ეროვნული

114
1964/3

1964

მნათობი

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚ-ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ
ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ-ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ 41-Ე № 9 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ 1964 Წ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝ�თᲔᲙᲐ

9409

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ

ირაკლი აბაშიძე — ლექსები 3
გიორგი ლაბაძე — მატარებლები გადადიან ხიდზე. მოთხრობა. დასასრული 5
რევაზ მარგიანი — წიგნიდან „ლილე". ლექსები 33
აკაკი გაწერელია — ცაბუტა და მისი რაინდი. მოთხრობა 35
ლადო სულაბერიძე — შავი სათვალე. ლექსი 45
სიმონ მთვარაძე — ლეკთა სარძლო. რომანი. დასასრული 46
ფრანც კაფკა — მოთხრობები. თარგმანი გერმანულიდან ზურაბ კაკაბაძისა . 62

ᲜᲐᲠᲙᲕᲔᲕᲘ

რევაზ ჯაფარიძე — ბუხენვალდის სამრეკლო 103

1814 ᲚᲔᲠᲛᲝᲜᲢᲝᲕᲘ 1964

ვანო შადური — ლერმონტოვი და ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახი 138

ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ

ერემია ქარელიშვილი — მაქსიმ რილსკი 154
გურამ კანკავა — ახალი მოტივები უახლეს ქართულ პოეზიაში 159
ზურაბ კაკაბაძე — ფრანც კაფკა 174

ᲬᲘ�გᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

გიორგი ჩიქობავა — კალე ბობოხიძის ახალი წიგნი 182
გურამ ბათიაშვილი — პოეტური ფიქრის სიცოცხლე 183
დ. გვრიტიშვილი — წიგნი საქართველოს ისტორიის საკითხებზე 189
შალვა გოზალიშვილი, გულნარა გოზალიშვილი—ქართული კულტურის დიდი მონაპოვარი 189
ახალი წიგნები 192

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ „ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ"

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი: გრიგოლ აბაშიძე

პ/მგ. მდივანი: ვ. წულუკიძე

სარედაქციო კოლეგია:

დ. ბენაშვილი, თ. ბუაჩიძე, დ. გამეზარდაშვილი, გ. მარგველაშვილი, ე. მაღრაძე, ბ. ულენტი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი, ს. შანშიაშვილი, გ. ჯიბლაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 63. ტელეფონი 7-13-42; 7-11-66.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 5/IX—64 წ. ქაღალდის ზომა 70×108. ანაწყობის ზომა 7¼×12½. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12, პირობით ფორმათა რაოდენობა 16. უე 02335, ტირაჟი 6.100, შეკვეთა 2188

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი
თბილისი, ლენინის ქ. № 14

Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии
Тбилиси, ул. Ленина, 14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ირაკლი აბაშიძე

ფანტომი

ციკლიდან „მიახლოება"

სიმშვიდე!
გქონდეს გული ქვასავით,
სიმშვიდე გულთა,
თვალთა მკრთომელთა...
გალაქტიკაში გასკდა ვარსკვლავი,
დედამიწისკენ მოჰქრის კომეტა;

სიმშვიდე!
მშვიდად შეხვდი განსაცდელს,
გულს გედოს სიბრძნე საუკუნეთა:
არ შეიძლება მიწას არ ასცდეს,
წავა ჩაივლის,
წავა კომეტა.

სიმშვიდე!
იდექ როგორც ფიქალი,
სიმშვიდე ფიქრებს, აზრებს,
სტრიქონებს...
ცივ ყინულეთში აწყდა გრიგალი,
მოაქვს ახალი წარღვნა ციკლონებს:

სიმშვიდე!
მშვიდად შეხვდი განსაცდელს,
რა მწარეც ჩანდეს, რა დამღუპველიც;—
არ შეიძლება შენს ცას არ ასცდეს,
წავა, ჩაივლის
წარღვნის ღრუბელიც.

სიმშვიდე!
იდექ როგორც ტაძარი,
სიმშვიდე დღეებს,
დილებს სისხამებს...
მზემ გაუჩინა მიწას ხანძარი,
მოაქვს სიმშილი გოლვას მრისხანეს;

სიმშვიდე!
მშვიდად შეხვდი განსაცდელს,
მიიღე მშვიდად
რისხვა ახალი:
არ შეიძლება შენს სახლს არ ასცდეს
წავა, ჩაივლის გოლვა მსახვრალი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიმშვიდე!
იდექ როგორც ბატონი...
სიმშვიდე!
. . . . . .
სადღაც ღმუის ატომი,
შენი ატომი...
ფანტომი.

ათას მზეზე უფრო ელვარე

ათასი წლების მწარე სირცხვილად
წყვდიადს არ ჰკვეთდა ერთი ნათელიც;
„მე ვიცი, ის, რომ
არა ვიცი რა“
ამბობდა ბრძენი ძველი ათენის.

თუმც საიდუმლოს ბევრს გაუცინეს,
ბევრ საიდუმლოს იყვნენ ბატონი,
თუმც მათ მიაგნეს
ნამცეცს უმცირესს,
რასაც სახელად მისცეს „ატომი“,

მაინც არ ჩანდა
სხივიც წვრილ-წვრილად,
დრო ათას წლებში
ერთ მზეს ელოდა;
„არა ვიცი რა“,
„არა ვიცი რა“...
და კვლავ ბნელოდა,
და კვლავ ბნელოდა.

დღეს ვინ გამართლდა,
დღეს ვინ გაწბილდა
როცა სულ სხვაა ქვეყნის ჰასაკი?
როცა ათას მზით ერთად გაბრწყინდა
დღეს ხიროსიმა და ნაგასაკი?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ლაბაძე

მატარებლები გადადიან ხიდზე

VII

ამინდი უცებ გაფუჭდა. წვიმდა და ქარიც იყო. ჩვენ იმედი გადაგვიწყდა — მოგზაურობა ჩაგვეშლება-თქო. არადა სწორედ გუშინ ჩაგვიტარა კომიტეტში ერთმა ექიმმა ლექცია და საიდუმლოსავით გაგვანდო: ერთი დღე ქალაქგარეთ გასეირნება მთელი კვირით უზრუნველყოფს ორგანიზმს ჯანმრთელობითო. ეტყობოდა, თავის პროფესია — ექიმობა ძალიან უყვარდა. ისეთი ხმადაბალი და გულითადი ხმით გველაპარაკებოდა, ყველას ძალიან მოგვეწონა და დავუჯერეთ კიდეც, რაც გვითხრა. წვიმა კი მოდიოდა და მოდიოდა. შინიდან არ ვიცოდი რა მქონდა წამოღებული და ჩემოდანი გავხსენი. ყველაფერი ბევრი იყო. თქვენ წარმოიდგინეთ, მოხარშული ქათმის გვერდით, ქაღალდში გახვეული მარილიც კი ჩაედო დედას. ხორცეული, რა თქმა უნდა, ამოვიღე და აივანზე გავიტანე — არ გაფუჭდეს-მეთქი. ყურძენიც იქვე დავკიდე, ჩურჩხელები და ხილი კი კარადაში შევყარე. ცოტა დიასახლისსაც მივუკითხე. რატომ წუხდებოდიო, — მითხრა. მე ვუთხარი — რა შეწუხებაა, სოფლიდან ახლა ჩამოვედიმეთქი. ბოლოს ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ მადლობა გადამიხადა.

ღვინო ათლიტრიანი ტიკით ჩაედოთ ჩემოდანში. ერთი ბოთლი ჭაჭის არაყიც აქვე იყო. ნოდარს დავურეკე ბარემ მოვულხინოთ-მეთქი, მაგრამ არაო, მოთმინებითა შენითაო და სხვა ათასი ამისთანა სისულელე მიქადაგა. გამართლებით გაუმართლა კი. მეორე დღესვე გამოიდარა და დათბა კიდეც. მარტივით ურევდა ნოემბერი. ასე რომ შაბათს უკვე ამინდიც კარგი იყო და გზებიც გახრიგინებული. ნოდარმა ტურისტულ კლუბში ზურგჩანთები და საძილე ტომრები იშოვა. ჩვენ ყველაფერი ზურგჩანთებში ჩავალაგეთ და ავიკიდეთ. მზია უბარგოდ მოდიოდა. მარტო აპარატი ჰქონდა მხარზე გადაკიდებული. მშვენიერი რეიტუზი და ბატინკები ეცვა. თავზე ქუდი ჩამოეფხატა. ლამაზი ტანკენარი ბიჭივით იყო.

— ეს ქუდი სად იშოვე? — ჰკითხა ნოდარმა.

— მოგწონს?

— შესანიშნავია.

კიდევ უფრო ჩამოიფხატა და შემოგვცინა. ნოდარი თვალმოუშორებლად მისჩერებოდა ერთხანს.

— ხადიშათ მზისფერო ქალავ, — თქვა მერე.

მზიამ გაიცინა.

— აბა მე რა ხადიშათი ვარ.

— ხარ.

— თუ სწორი გინდა გითხრა, არც მინდა ვიყო ხადიშათი.

— რატომ?

— რა დროის ხადიშათობაა.

დასასრული. იხ. „მნათობი“ № 8.

ნოდარს გაეცინა.

— წავიდეთ, — ვთქვი მე, — გივი როგორ ხარ, შე ძველო?

— კარგად. იმ საღამოს კი გამომთათხე და.

— დავთვერი, ცუდი სიმთვრალე ვიცი.

— ნერვები, — თქვა სიცილით ნოდარმა, მეოცე საუკუნე ნერვების წყვეტის საუკუნეა.

— ხელი მაგრა მოუჭირე, აბა, — ვუთხარი მე.

მე და მზია წინ მივდიოდით.

— ვაჟა მომენატრა. — მითხრა მან, — ნეტა სად დაყიალობს ახლა?

— ინგლისურად ანათლებს ქვეყანას, — გამეცინა მე.

— დაიმახსოვრე? რა მთვრალი ვიყავი მაშინ... ხანდახან მეჩვენება, რომ სულ წავედი ხელიდან, სულ გავფუჭდი.

— არაუშავს, გაგივლის.

— რა კარგი იყო, თქვენთან რომ წამოვსულიყავი.

— აბა. მეც როგორ დამავიწყდა.

— თქვენების გაცნობაც მინდოდა.

— სურათებით გიცნობენ კიდეც.

შემომხედა. ძალიან უხდებოდა ქუდიც და რეიტუზიც.

— სად იშოვე ეს ქუდი?.

— ვიღაც ბიჭს დავუნახე ქუჩაში და ვთხოვე ეჩუქებინა.

— ეგრე როგორ შეიძლება, — ვუთხარი მე, — არ აგეკიდა?

— შენ ეგ თქვი. მიიღო კიდეც.

— რა უქენი?

— საკადრისი მიიღო. ნუ გამახსენებ, გულს მირევს.

გივი და ნოდარი წამოგვეწივნენ.

— დავსხდეთ რამეზე, თორემ დაგვაგვიანდება.

— აგერ ტროლეიბუსიც.

— შეახტი, ხადიშათ! — დაუძახა ნოდარმა მზიას.

— ნუ მეძახი მაგ სახელს — ქუდი ჩამოიფხატა მზიამ. მერე ყველანი ერთად ავცვივდით და უკანა ბაქანზე დავდექით ჩვენი ზურგჩანთებიანად. გივიმ ბილეთი აიღო.

— წესიერი კაცი. — თქვა მზიამ ამრეზილად, — არ შეიძლებოდა უბილეთოდ?

— უბილეთოდ როგორ შეიძლება?

— წესიერი კაცი.

გივის გაეცინა.

— რა ხალხი ხართ ეს ვაჟები.

— ვაჟები კი არა ვაჟაები, — გაუსწორა ნოდარმა.

— არცერთი არ ხართ სწორი, — გამეცინა მე, — საკუთარი სახელების ბრუნება ვის გაუგონია.

— აი, ინჟინერიც. არ ჩამჭრა ეს ლიტერატორი კაცი! — თქვა ნოდარმა.

ავტობუსიდან მატარებელში გადავბარგდით. თითქმის მთელი კუპე ჩვენ დავიჭირეთ.

— ესეც ასე — ნოდარი მალი-მალ ისვამდა თავის გაფშეკილ ქოჩორზე ხელს, — სრულ საბრძოლო ფორმაში ვართ.— და შემდეგ — ყურადღება! ცეცხლი!

მატარებელი დაიძრა. ყველას გაგვეცინა.

— მიღწევაა. — ვქვი მე, — ხვალ ჩვენს ბრძანებას მთელი სამყარო დაემორჩილება.

— რა თქმა უნდა.

— კარგი ერთი, — თქვა მზიამ, — ვითამაშოთ რამე...

— მოგწყინდა?

— აბა რა, ლაყბობთ.

— რა ვითამაშოთ? — იკითხა გივიმ.

— მატარებლის გაჩერობანა, — შეგვთავაზა ნოდარმა.

— ეგ რაღაა.

— ასანთი ავაგდოთ, ვისაც უკუღმა ამოუტრიალდება იმან გააჩეროს მატარებელი.

— მეტი არაფერი გინდა?

— ღ ვ ი ნ ო.

მზიას გაეცინა, მერე დაიწყო.

— გზაზე მიდის ერთი კაცი.

— რათა ერთი

— მაშ რამდენი?

ნოდარმა აქაც აურია:

— ერთი ქალი და სამი კაცი.

— კარგი ნოდარ, რა არის რა, — დატუქსა მზიამ.

მატარებელმა სიჩქარეს უმატა. ფანჯრიდან მოჩანდა მოტიტვლებული ვე-

ლები და ნახირი. უფრო შორს კი მთები.

— ძეგვში უნდა ჩავიდეთ, არა? — იკითხა გივიმ.

— ჰო. იქედან ახლოა.

— მე წიგნი მაქვს წაკითხული შიომღვიმეზე.

— მაკალათიასი?—ჰკითხა ნოდარმა.

— ჰო, მგონი, კარგად ვიცი შიომღვიმე.

— მეგზურობას გაგვიწევ, ალბათ. — ვუთხარი მე.

— აჰ, არა, ვერ შეგპირდებით.

ძალიან თავდაჭერილად იქცეოდა. იმღამინდელი წყენა კიდევ ვერ მოენელებინა და მგონი არც არასოდეს მაპატიებდა. მზიას ხათრით ჯერჯერობით დაფარვას ახერხებდა მხოლოდ.

— აგარაკები დაიწყო, — თქვა ნოდარმა. — აი. — ფანჯარაში გაგვახედა. ფანჯრიდან ერთი-ერთმანეთზე ჩამწკრივებული აივნიანი აგურის სახლები მოჩანდა. ლამაზი და კარგი სახლები იყო. მერე და მერე კი ცოტა გაუცნაურდა: ალბათ, პოეტების ზონაში თუ შევედით. ზოგი სახლი აქაც გამოირჩეოდა, მაგრამ ზოგი რაღაცნაირად გაბრტყელებულიყო სიგანეში და გაოცებული ბატივით იყურებოდა. ზოგს კი ვერ გაიგებდით სახლი იყო თუ საფრთხობელა... გააჩნია, ვინ როგორ ლექსებს სწერდა.

— „აგარაკებზე წავლენ შოფრები...“ წაიღიღინა ნოდარმა.

გივიმ პაპიროსი ამოიღო და კუპიდან გავიდა. მე მის ადგილზე გადავჯექი.

— აქ აუზებიც აქვთ, — თქვა ნოდარმა და ისევ ფანჯარაში გაგვახედა.

— რას არ მოიგონებ, — გაეცინა მზიას, — მალე ჩავალთ ძეგვში?

— ამის შემდეგ.

— გივი ვერაა ხასიათზე, — ვთქვი მე.

— დაანებე თავი, — მითხრა მზიამ.

— დანებებული არ მაქვს?

— წავალ, მივხედავ, — თქვა ნოდარმა.

— მიდი, მიდი.

— ოჰ, ვაჟა, რომ იცოდე როგორ ვიტანჯები, — თქვა მზიამ, როცა ნოდარი გავიდა.

— რა იყო?

— აღარ შემიძლია.

— რა დაგემართა?

— ოჰ, ოჰ, აღარ შემიძლია...

— კარგი ერთი.

— ყველაფერი გულს მირევს.

— დაწყნარდი, — ვუთხარი მე, — ლიმონათი ხომ არ ამოგიტანო? მატარებელი მცხეთაში შედის.

— არ მინდა.

ნოდარი და გივი დაბრუნდნენ.

— პაპიროსი საშინელებაა, — თქვა ნოდარმა, — ჩვენი გივი კი ქაჩავს და ქაჩავს.

— არ უნდა მოსწიო გივი, — ვუთხარი მე.

— რას მიშლის?

— ნამდვილი მამაკაცი უნდა ეწეოდეს, — თქვა მზიამ.

— შენ ასე ფიქრობ? — ჰკითხა ნოდარმა.

— რადგან ვთქვი, ვფიქრობ კიდეც.

— ხვალიდანვე ვიწყებ, არა, დღეიდანვე... მომეცი, გივი.

— კარგი ერთი.

ძეგვში შევედით.

მე თხელი რეიტუზი მეცვა და მატარებლიდან რომ ჩამოვედი ერთბაშად შემცივდა. ნოდარს დიდი ზურგჩანთა გამოვართვი და ავიკიდე.

— ძაან თავაზიანი გახდი რაღაც. — მითხრა მან.

— მცივა, — გამეცინა მე.

ლიანდაგი გადავიარეთ და მინდორზე გავედით. მტკვრისკენ დავუყევით ბილიკს. ნოდარი ნამყოფი იყო და გზა იცოდა. მტკვარზე ნავით გადავედით და

ალმართს შევუყევით. ალმართი მოტიტვლებული იყო და მოსაწყენი სასიარულოდ. მაინც მხიარულად მივდიოდით. მზიასაც გამოუკეთდა ხასიათი და თავის „ინგლისური სიმონა დოლიძე“ წამოიწყო:

„აი, სიმონა დოლიძე,
ფაა ფრომ ოლ მაი ფრენდზ აი როუმ,
სიქს ლონგ იაზ ნოუ ბედ აი ნოუ,
ენ აუთლოუ ბოულ — ვიზაუთ ე ჰოუმ“.

მარტო გივი მოდიოდა ჩუმად. ვერაფრით ვერ გამხიარულდა.

— რა წინდები ვიყიდე ხევსურეთში? — თქვა ნოდარმა, — აფსუს, სადა მაქვს ახლა ისინი?

— მაინც რა იყო ასეთი, რომ გადაგვატანე თან?

— ძაან კარგი წინდები იყო.

— მერე რა უყავი?

— ერთ კვირაში დამეხა.

— მართლა კარგი ყოფილა.

გივი წინ მიდიოდა.

— მოგწონს ხევსურეთი? — ჰკითხა ნოდარს.

— არც ისე, ძველი სურნელება დაუკარგავს. წინდები კი კარგი იცის.

— რამ დაუკარგა ძველი სურნელება?

— გზამ, ტექნიკამ, განათლებამ.

— ეგ მართალია, მაგრამ მაინც ასე ჯობია, — ვთქვი მე.

— გააჩნია ვისთვის, ჩვენთვის არა.

— თქვენ ვინ ხართ?

— მწერლები, ჟურნალისტები, შემოქმედი ხალხი.

— თქვენ გასართობად გინდათ ყველაფერი, ხალხს კი ცხოვრება უნდა.

— საქმეც მაგაშია, რომ უნდა.

— სწორედ რომ მაგაშია.

— კარგით ერთი, — თქვა მზიამ, — სალაპარაკო ვერ იშოვეთ?

— განა ცუდი თემაა?

— ვინ ამბობს ცუდიაო, მაგრამ ყველაფერს თავის დრო აქვს.

— ძაან ჭკვიანურად ლაპარაკობ.

ფერმის წინ ავიარეთ და ვიღაც მოხუცი კაცი შეგვეხმიანა.

— შვილებო, რა დღეა დღეს?

— შაბათი, — ყველამ ერთად დავუძახეთ. მაღალი, წვერებგაბურდული მოხუცი იყო და მადლობა გადაგვხადა.

— ასეთ რამეზე ვგიჟდები, — თქვა ნოდარმა, — ნეტა მეც ისეთ ადგილზე წამიყვანა, სადაც დღეების ანგარიში ამერევა.

— მაგაზე ადვილი რა არის, მიდი იმ კაცთან ფერმაში.

— არა, ფერმაში არ მინდა.

— შენ რომანტიკა გინდა, ასფალტის გმირო.

— მაჯობე, — გამიცინა, — ასფალტის გმირი დიდებულია.

— საწყალი მოხუცი, — თქვა მზიამ.

— შეგეცოდა?

— საწყალი მოხუცი.

— კარგი ახლა, მთლად ნუ აიჩვილებ გულს.

— ვინ იჩვილებს. საწყალი მოხუცია.

— შენ გეჩვენება ეგრე.

— არ შევისვენოთ? — შეჩერდა გივი.

— აგერ იმ სერზე ავიდეთ და... — წინ წავიდა ნოდარი.

ავედით და შევისვენეთ. ცოტა ღვინოც დავლიეთ. მერე ისევ გავაგრძელეთ გზა. მალე შიო-მღვიმეც გამოჩნდა. დიდებული შესახედავი იყო.

— შარშან გაზაფხულზე ვიყავით აქ, — თქვა ნოდარმა, — კარგი დრო გავატარეთ.

— გაზაფხულზე მართლა კარგია, — დაემოწმა გივიც.

— შენ ყოფილხარ?

— არა.

— წიგნებიდან იცის, — გამეცინა მე.

— შენც ერთი, ამას რა წიგნები უნდა. გაზაფხულზე ყველაფერი გამწვანებული იქნება, — თქვა მან. როგორც იქნა ვეღირსეთ მის ღიმილს.

დაღლილები მივედით მონასტერში. წყალი დავლიეთ და იქვე გავგორდით. მაინცდამაინც ვერაფერი შვილი იყო ეს გაუთავებელი ალმართები.

შევისვენეთ და ეზოში გამოვედით.

სუფრის გაშლა მზიამ იკისრა და გააწყო კიდეც. ნოდარიც ეხმარებოდა.

— რომელი საათია, — ვკითხე მე გივის.

— ხუთი.

— კარგ დროს ამოვედით.

— კი. სამსახურიდან ცოტა ადრე რომ არ გაგვენთავისუფლებინა თავი, საღამომდე ვერ ამოვიდოდით.

— მოდით ბიჭებო, — დაგვიძახა მზიამ, — მზადაა.

მივედით და დავსხედით. ნოდარი ბერების დასაძახებლად წავიდა.

— როგორ მშია! — თქვა მზიამ.

— მეც.

— ყველას ძაან გვშია, ღვინო ჩამოასხი.

— აჰა, ყანწი გინდა?

— ყანწიც გაქვს?

— მაშ. ჩემმა დიასახლისმა მაჩუქა. ქმარი მოქეიფე ჰყოლია და იმისგან დარჩენია.

— ახლა აღარ ჰყავს?

— მოუკვდა.

— მაგის ბიჭი ჩვენთან სწავლობდა, — თქვა გივიმ.

— მართლა?

— ჰო, სადღაც რუსეთში გაანაწილეს.

— შენ ძალიან გაგიმართლა.

— კი. ყველაფერს კაცი უნდა.

— რა ვიცი, ჯანდაბას, — უცებ გავბრაზდი მე, ოღონდ მასზე კი არა, სულ სხვა რამეზე, — მე მაინც მგონია, თვითონ უნდა ვარგოდეს კაცი.

— ეგეცაა, — ესიამოვნა გივის. — წელს შენც იქნები არა განაწილებაზე?

— ალბათ.

ნოდარი დაბრუნდა ვიღაც მოხუცთან ერთად.

— მონასტრის წინამძღვარი არაა, — თქვა მან, — ზედაზნის ტყეში წასულა.

— დაბრძანდით, — ვთხოვეთ ჩვენ მოხუცს. თავპატიჟი არ გაუდვია. ანაფორა ამოიკეცა და დაჯდა.

ღვინოს ცოტა ტიკის გემო ჰქონდა, მაგრამ მაინც არა უშავდა — კარგი სასმელი იყო. ორი ჭიქის მერე მოხუცი ბერი შეგვითვრა.

— ჩვენი მაცხოვარი ბეგნაზე ფუტელის, — გაგვანდო მერე ჩურჩულით საიდუმლო.

— ვინ?

— იესო.

— აჰ — გაეცინა ნოდარს და ქათმის ბარკალი აიღო, — რაო მერე, რა გითხრათ?

— დამლოცა.

პატარა კაფანდარა მოხუცი იყო და წვრილი მოტვლეპილი თავი ჰქონდა.

— შენ და საბა დარჩით მარტო ამ ტაძარშიო. მოუარე და გეცოდებოდესო. თვითეული ტაძარი ადამიანის სულისგან არის აშენებულიო.

— საბა ვინაა? — ვიკითხე მე.

— მონასტრის წინამძღვარი, — ამიხსნა ნოდარმა.

— აჰა, სადაა მერე?

— ზედაზნის ტყეში. საღამოს მოვა.

— იქ რას აკეთებს, ნადირობს?

— კარგი ერთი.

მოხუცი ერთხანს თავჩაღუნული იჯდა.

— ხანდახან მეჩვენება, რომ ტირის.

— ვინ? — დაინტერესდა გივი.

— ტაძარი... ცრემლები ცვივა გუმბათიდან.

მე ჭიქა გავავსე და ერთი მას მივაწოდე.

— ხელი ჩამომართვა, — განაგრძო ბერმა, ფეხებში ჩავუვარდი, მაგრამ არ დამანება. წამომაყენა და ხელი ჩამომართვა. შუბლზედაც მეამბორა...

— უყურე შენ?

— გაუმარჯოს ქრისტეს, — თქვა ნოდარმა.

ბერმა ჭიქა აიღო და სახარების რომელიღაც თავის ჩიფჩიფს მოჰყვა. მე ძველი ქართულიდან მხოლოდ ერთი სიტყვა ვიცოდი: „რამეთუ“ და ვთქვი:

— რამეთუ.

მზიას გაეცინა. ბერმა უაზროდ შემომხედა. უკვე მთვრალი იყო.

ბერი სადგომისკენ წაჩანჩალდა. ჩვენ ისევ დავლიეთ და გავიბრუჟეთ. ეზოში

ვიჯექით, მიძინების ტაძრის წინ, საიდანღაც წყლის ჩხრიალი გვესმოდა. ჩიტებიც ჭიკჭიკებდნენ ირგვლივ. არა ქალაქის, არა ქუჩის, არა ხმაურის, იყო სულ სხვა ტაძრული და ძველსაუკუნოებრივი მყუდროება. ნოდარმა ერთი ჭიქა ღვინო დალია და ტაძრისკენ წავიდა. ბანცალით მიდიოდა. ის ყველაზე მეტს სვამდა დღეს. მივიდა და თავი დაარტყა კედელს. მერე უკან დაიხია და ისევ დაარტყა.

— მოდი აქ, ნუ გასულელდი, — დავუძახე მე.

შემობრუნდა და გაგვიცინა.

— ვერ განვიცადე, — ლაპარაკით წამოვიდა, — ამხელა ტაძარია და ვერ განვიცადე... დავითის აშენებულია და ვერ განვიცადე. მეთოთხმეტე საუკუნის სპილოსძვლისფერი ტაძარია და ვერ ვიგრძენი... ხომ უნდა იგრძნო? არ უნდა იგრძნო? ახლა მე ვგრძნობ... თავზე კოპი მაზის და იმით ვგრძნობ. შეხედეთ, — მოვიდა და გვაჩვენა.

— გაილეშე უკვე, — გამეცინა მე,— ერთხელ უნდა დაგერტყა კიდევ.

— დაწყნარდი, ბიჭუნი, შენც მოგიწევს, ყველას მოგვიწევს. — უნდა იგრძნო, ასე არ არის? როცა ვერ გრძნობ, უბედურებაა, დამისხი!

— მეტს ნუ დალევ, — უთხრა მზიამ.

— დამისხი და ყველამ დალიეთ. რატომ არ უნდა დალიოთ? როცა ვერ გრძნობ, უნდა დალიო... აბა სხვა რაღა დაგვრჩენია?

თვითონ დაისხა და დალია. მე ავდექი და ქვევით ჩავედი. ჩამავალი მზის სხივები მოჰფენოდა მიდამოს. ჩიტების ჭიკჭიკი ახლა ძალიან ახლოდან მესმოდა. შორს დიდებულად ილანდებოდა ქართლის გაშლილი ვაკე და მიღმა მთები. მიწაზე დავწექი. რაღაც ძალიან ნაცნობი იყო ყველაფერი. ასეთი გრძნობა დიდი ხანია არ მქონია... აი, მზე, მზის სხივები, ჩიტების ჭიკჭიკი, ეს ავარდისფერებული ცა... სად მინახავს ასეთი ცა? სიზმარში ხომ არა, ან ზღაპარში?

მიწა თბილი იყო და ნაცნობი. ლოყით მივეხუტე. გული მომეწურა, ისეთი ნაცნობი და მშობლიური სუნი ჰქონდა.

„გლეხის ბიჭი ვარ, — გავიფიქრე მერე, — ათასი უმაღლესი დავამთავრო, მაინც ასეთი ვიქნები, გლეხი“.

ხელი მოვხვიე მიწას და გავირინდე. უკნიდან ნაბიჯების ხმა შემომესმა. ნოდარი იყო. მოვიდა და ჩემს გვერდით გაიშოტა.

— უნდა იგრძნო, — თქვა მან, — როცა ვერ გრძნობ, უბედურებაა, მე ყველაფერს გვიან ვგრძნობ.

— კარგი, ნუ მიშლი, — ვუთხარი მე.

— შენც გიშლი? — რაღაცნაირი საწყალობელი ხმით მითხრა, — ყველას ვუშლი, ყველას, ყველგან ზედმეტი ვარ.

— რა მოხდა, — მისკენ შევბრუნდი მე და მხარზე დავადე ხელი.

— შენ ჩემი ყველაზე კარგი მეგობარი ხარ, ვაჟა, — მითხრა მან. — იცი როგორ მიყვარხარ? ძალიან. უნდა გამიგო. როცა ვერ გრძნობ, უბედურებაა. მე კი ვერასდროს ვერ ვგრძნობ, ან საერთოდ გვიან ვგრძნობ...

— არ მესმის. რა ვერ იგრძენი?

— ზედმეტი რომ ვიყავი, გესმის? რა უბედურებაა, ზედმეტი რომ ხარ და ვერ გრძნობ.

— მთვრალი ხარ ახლა შენ, ნოდარ.

— არა, არა. შენ უნდა გამიგო. მათ მარტო დარჩენა უნდოდათ.

— აჰ, — გულზე ცეცხლი მომეკიდა მე.

— ჰო. მე კი ვიჯექი და ვიჭყიპებოდი.

— სად არიან?

— იქ, ან სადღაც, არ ვიცი.

— ო, რა სულელია ეს მზია.

მაინც რატომ მძულს ეს გივი? რა დამიშავა კარგი სიტყვის მეტი მისგან არაფერი არ მახსოვს, მაშ, რაშია საქმე? რა ქვეინსტიქტი არის ეს?

— სულელი... — თქვა ნოდარმა, — რა უბედურებაა, როცა არავის უყვარხარ, ვაჟა. არავის... შენ არ იცი, საშინელებაა.

— მერე ხელს რა გიშლის, რატომ არავის იყვარებ?

— განა არ მინდა? არაფერი არ გამოდის. ყველას მალე ვბეზრდები. თავიდან ყველას მოვწონვარ, მერე კი ვბეზრდები. იუმორისტული მოთხრობასავით. ვარ: პატარას არაუშავს, დიდი ყველას წყინდება. სიცილს ვერ უძლებს ხალხი. უბედურებას უძლებს, ომსა და საშინელებას, სიცილს კი ვერა. სიცილისაგან გიჟდებიან, გესმის? ზედმეტი სიცილი ჭკუაზე შლით. მე კი სხვადასხვანაირად არ შემიძლია. არ შემიძლია და რა ვქნა?... მათ კი მარტო დარჩენა უნდოდათ... ო, რა გვიან მივხვდი. —

— დაწყნარდი, — გვერდით მივუჯექი, — გაგივლის, ახლა მთვრალი ხარ.

— არ გამივლის. ასეა სიფხიზლეშიც, ოღონდ თავს ვიკავებ და ვიცინი. სიცილით ვფარავ. ო, რა ბედნიერებაა სიყვარული, ვაჟა, როცა ვინმეს უყვარხარ, ვინმეს სხვას და არა ახლობელს. სხვა ქალს, სხვას — შორეულს. ღამით მიდიხარ სახლში და ფიქრობ: — რომ მოვკვდე? სისულელეა ხომ? მაგრამ რომ მოვკვდე? ესაა მთავარი. ვინ იტირებს? — ახლობელი. ყველანი იქნებიან: დედა, მამა, მეზობლები, ნათესავები, ის კი არა. ის ვერ იტირებს, არ არის და იმიტომ. მე კი სწორედ მისი ტირილი მინდა — სულ სხვა ცრემლი ექნება მას...

ერთ ხანს უხმოდ ვიჯექით.

— ხელად ვიგრძენი, რომ ზედმეტი ვიყავი, — თავი ჩაჰქინდრა მან, — ეს არის საქმე? — მერე ისევ მე შემომხედა. — მიყვარს, ვაჟა. ასეთ გოგოზე ვგიჟდები... ყველაფერი რომ იცის და ესმის. ასეთი ვინმე ჯერ არ შემხვედრია. ეს არის პირველი და გაგიჟებით შემიყვარდა, მიშველე რამე, მომეხმარე.

— მე რა შემიძლია, ნოდარ.

— რამე, რამე.

— ხომ იცი გივიზე თხოვდება.

— ვიცი.

— მერე რა ვქნათ?

— რა ვქნათ? — მიწაზე დაემხო და აქვითინდა. შევცდი, ადრე რომ ვთქვი — გულის ყველა კარი ღია აქვს-მეთქი. ყველა არ ჰქონია-ღია. რაღაცნაირი ზიზღნარევი სიბრალული ვიგრძენი. გურული ვაჟა გამახსენდა. „ნეტა აქ იყოს ახლა ისიც“. მე თვითონ მჭირდებოდა შველა.

ავდექი და ტაძრისკენ წავედი. მზია მარტო იჯდა.

— გივი სად არის? — ვკითხე მე.

— წავიდა.

— სად წავიდა.

— სახლში.

— რას ამბობ, — გამიკვირდა მე.

— წავიდა, წავიდა, — გაიცინა მან. — დაჯექი.

გვერდით მივუჯექი.

— ასე, ჩემო კარგო, თავს მაბეზრებდა და ვუთხარი კიდეც.

— რა უთხარი?

— მომბეზრდი-მეთქი.

ხელზე მოვუჭირე ხელი.

— გამიხარდა.

— მართლა?

— ხომ გეუბნები.

— აბა რა, — თქვა მან, — ნუ სვამო, ბიჭებს ასე ნუ ექცევიო, კაბა ცოტა გრძელი შეიკერეო. მე და გრძელი კაბა? თმები მოუშვიო. სასაცილოა.

— მესმის.

— პატრონობა დამიწყო! მე და პატრონი? გულზე მომეშვა, რომ ვუთხარი გულს მირევ-მეთქი. გუშინ ვიჩხუბეთ და არ მეგონა დღეს თუ წამოვიდოდა.

— იმიტომ იყო, ცუდ ხასიათზე?

— ხო, ვერ შენიშნე?

— როგორ არა; მეგონა, ჩემზე იყო გაბრაზებული.

— ეგეცაა. შენზე მითხრა: ძაან თავისუფლად ექცევიო. გესმის?

ხელზე გადავუსვი ხელი.

— შენს მეტი ვინ მყავს. შენ და ვაჟას მეტი. საწყალი მოხუცი დედაჩემი და თქვენ. ბიძაშვილ-ნათესავები ყველა გივისავით მელაპარაკებიან.

— ნუ ღელავ, — დავამშვიდე, მე, — არ გინდა.

— წარმოგიდგენია? პატრონობა და-

მიწყო ასე მალე. ჯერ არ გავყოლილვარ და უკვე დაიწყო. მერე რას იზამდა. რცხვენოდა ჩემი საქციელის.

— მეცნიერ-მუშაკია, რას იზამ.

— როგორ გამინათდა გული, რომ დაგინახე. ცუდად ვიყავი.

— ნუ გეშინია.

— როგორ მიყვარხარ, ვაჟა.

— მეც. ნუ გეშინია.

არეულ-დარეულ სუფრასთან ვიჯექით.

— უცებ მომეშვა გულს.

— ასე იცის.

— ნეტა სად არის ვაჟა?

— ჩამოვა.

— ნეტა მართლა. იანვრის არდადეგებზე ვეწვიოთ ჩვენც.

— გურიაში?

— გახსოვს ის საღამო?

— ის გლეხი?

— რა შარვალი ეცვა, წინდებში ჩატანებული.

— აბა!

წინდებმა ნოდარი გამახსენა.

— ერთი წამოეგო კიდევ ჩანგალზე.

— ვინ?

— ნოდარი.

— საწყალი ბიჭი, სად არის?

— მიწას ჩამხობია და მოთქვამს.

— კარგი ერთი. წავიდეთ, ცოდვაა.

— რაღაც... ა? — გამეცინა მე.

— კარგი ერთი.

ნოდარისკენ წავედით. ძალიან კარგ ხასიათზე ვიყავი. ეძინა. გავაღვიძეთ და საძილე ტომარაში ჩავაწვინეთ. გალეშილი იყო. ვერც გაიგო რას ვუშვებოდით.

— ვიღაცამ ხომ უნდა იტიროს? — წაიბუტბუტა ბოლოს, —ვიღაც შორეულმა...

— რას ამბობს?

— შენზე ბოდავს.

— საწყალი ბიჭი, — გაეცინა მზიას.

დაღამდა. თბილი ღამე იყო. ბერებს ეძინათ ალბათ. მონასტრის წინამძღვარი კი ჯერ არ დაბრუნებულიყო.

— ჩვენც დავწვეთ. — თქვა მზიამ, — ამას ხვალ ავალაგებ.

— კარგი.

საძილე ტომრებში ჩავწექით ერთმანეთის გვერდით. იქვე ნოდარსაც ეძინა.

— ძაან დათვრა, —თქვა მზიამ.

— ჰო, თქვენს ამბავს ვერ გაუძლო.

— ნუ გამახსენებ...

— კარგი, აღარ გაგახსენებ. მეც გულს მირევდა ის გვი, ჯანდაბამდის გზა ჰქონია.

ვიწექით და სიბნელეს ვუყურებდით.

— დავიძინოთ ახლა, — თქვა მერე მზიამ.

— ღამე ნების. — ვუთხარი მე.

— ჰო,—გაეცინა.

ნოდარი მკვდარივით იწვა. არ იცოდა, რა ბედნიერება ელოდა ხვალ. მე კი იმ ექიმზე ვფიქრობდი—კომიტეტში ლექცია რომ წაგვიკითხა.

— ქართველები ქალაქგარეთ ისე არ გავალთ, თუ ტიკიც არ წავიღეთ თანო,—დასცინოდა ის კაცი ყველაფერ ამას და ჩვენც მაშინვე სიცილით დავეთანხმეთ. იმიტომ, რომ კარგი კაცი იყო და ძალიან უყვარდა თავის პროფესია. ახლა კი ვგრძნობ, რომ მთლად ასე არ არის საქმე. ღვინო მოგზაურობის დროს მისწრებაა, ოღონდ ცოტა, რა თქმა უნდა. ალკოჰოლიზმს კი არ ვქადაგებ. ნოდარისავით კი არ უნდა გაილეშო კაცი. თუმცა ეს ასე გალეშილიც ჯობია იმ კუდაბზიკა გვის. არავითარი გისოსები და ცხრაკლიტულები. რაც არის, ის არის. მის მოთაფლულ თავაზიანობაში კი ყოველთვის ანტიპათიებს ვგრძნობდი და მეც იმიტომ ამომდიოდა მზე.—„ძაან თავისუფლად ექცევიო". მადლობა ღმერთს ყველაფერი კარგად დამთავრდა, თორემ მზია რომ მას გაჰყოლოდა—სამუდამოდ დავკარგავდით ერთმანეთს. ამას მაშინვე მიგრძნობდა გული.

— დაიძინე, ვაჟა, — შემეხმიანა მზია.

—საიდან მიხვდი, რომ არ მეძინა?

— მივხვდი.

— კარგი დავიძინოთ.

თვალები დავხუჭე. ძალიან სასიამოვნო იყო ასე ღია ცის ქვეშ წოლა. ერთ ხანს ისევ მეღვიძა. მერე ვიგრძენი რომ

მზია სადღაც წავიდა. დაიძინა და წავიდა. სულ მარტო დავრჩი. მერე ეს სიმარტოვეც წავიდა, მერე არაფერი...

შიო მღვიმის მონასტერი დაუარსებია სირიელ მამას—შიოს. ისინი სულ ცამეტნი წამოვიდნენ სირიიდან და ყველამ თავისი მონასტერი ააგო. მესმის თავდადება სარწმუნოებისათვის. საიდან სად ჩამოვიდნენ და რა ტანჯვით იცხოვრეს. ის მღვიმე რომ დავათვალიერეთ, სადაც შიო იჯდა, გული ამერია. რამ გააჩერა ამ ჯურღმულში? ეს ადგილი უწინ უდაბნოსავით ყოფილა. ვინ იცის რა ტანჯვა-წამებით არის აგებული ყველაფერი. ამაზე რომ დაფიქრდები, არ შეიძლება არ აღელდე. მე-20 საუკუნეში ფანატიზმი არავის გამოადგება, მაგრამ ზოგი რამე კი საჭიროა. ამას ხელად მიხვდები, მით უმეტეს ასეთ ადგილებში.

ნოდარი გამოფხიზლდა და ისევ ისე ხუმარა და მხიარულ ბიჭად იქცა. წუხანდელი ბღავილის არ ერცხვინებოდა. ჩვენს მეგობრობაში ეს სტადია უკვე გავლილი გვაქვს, მაგრამ გარეგნულად გარდაქმნით მაინც გარდაიქმნა. მიყვარს კაცი, საკუთარი სულიერი მღელვარების დაფარვას რომ ახერხებს. მე არ გამიმხელია მისთვის გივის წასვლის მიზეზი. უბრალოდ ვუთხარი—ეჩქარებოდა და შენ ადგომამდე წავიდა-მეთქი. თუმცა არც თვითონ ჩამციებია. მისთვის ისიც ბედნიერება იყო, რომ გივი არ იდგა ახლა მზიას გვერდით.

ისევ ეზოში გამოვედით.

—ასეა,—გვითხრა მონასტრის წინამძღვარმა,—ბერმა საბამ. იგი წუხელის გვიან დაბრუნებულიყო და დღეს დილით ვნახეთ. — რწმენა უნდა გქონდეთ, ახალგაზრდებო. რწმენა მთავარია ცხოვრებაში.—მაღალი, შავწვერა კაცი იყო და საოცრად მჟღერი ხმით ლაპარაკობდა:—თქვენ არ იფიქროთ, ღმერთს ვგულისხმობდე მარტო. არა, საერთოდ საჭიროა. აგერ, იმ მღვიმეებს ხედავთ?—ზევით, კლდეში გამოჭრილ მღვიმეებზე მიგვითითა,—იქ ვერაფერი ვერ ადის. სამი წლის წინ ალპინისტებმა მოიტანეს თოკები, მოუარეს ზევიდან და ძლივს ჩავიდნენ. აქ კი მე მყავს ერთი ლოფერე ბერი. აი, თქვენ რომ წუხელის გამოათვრეთ, დაადებს თავს და მშვენივრად ადის ზევით ფეხშიშველი. იცით ეს რატომ? მართლა ღმერთი კი არ იფარავს მას, არამედ თვითონ წამს რომ იფარავს. როგორც ხედავთ, რწმენა თავისას აკეთებს.

მშვენივრად ამბობდა.

— გესმის?—ვუთხარი მე ნოდარს.

— მაქვს ბედნიერება.

— წუხელის რას ბოდავდი აბა?

ნოდარმა მზიასკენ გაიხედა. იგი ბერს ელაპარაკებოდა.

— რწმენაა მთავარი, ისე კი ყველაფერი კარგადაა.

— ვითომ?

— შეიძლება ხშირად კაცი რომ ფიქრობ: აი, ახლა დავიღუპეო, სწორედ მაშინ გადარჩები ხოლმე.

— მართალი ხარ, უნდა გწამდეს კაცს, მაგრამ ძნელია წამება.

— წამება კი.

— ნუ მასხარაობ, ვაჟა, არ მოგწყინდა ეს ღრეჭა?

— შენ მეუბნები მაგას? მოსალოცია.

— მომილოცე მერე. ამ გივის რა ჯანდაბამ მოუარა.

— გინდა გითხრა?

— აკი მითხარი.

— მოგატყუე. მზიამ გააგდო.

— რაო.

—გააგდო-მეთქი. გულს ურევს უკაე. ნოდარმა აღარ იცოდა რა ექნა.

—ასეა,—ვუთხარი მე,—უნდა გწამდეს ბიჭუნი. ისე კი, დაიმახსოვრე: მარტო ზედმეტი სიცილისგან კი არა, ზედმეტი სიხარულისგანაც გიყდება კაცი.

ისეთნაირად შემომხედა, გადამყლაპავს-მეთქი მეგონა. გულით მიხაროდა მისი სიხარული. რა გამოვა ღმერთმა იცის, მაგრამ მაინც მიხაროდა.

მზია და მონასტრის წინამძღვარი ჩვენთან მოვიდნენ.

— დადექით ბიჭებო, სურათები გადავიღოთ,—თქვა მზიამ.

ჩვენ მონასტრის წინამძღვარს ამოვუდექით გვერდზე და გადავიღეთ. მერე მზიამაც გადაიღო, მერე სამივემ ერთად — ბერმა გადაგვიღო.

ძეგვისკენ არ გაგვიხვევია, ფეხით პირდაპირ მცხეთისკენ გავემართეთ. ყველანი კმაყოფილები ვიყავით. მზია სულ იძახდა: — ღმერთივით დრო გავატარეთ, არა ბიჭებო! ყოველ კვირას წამოვიდეთ ხოლმე.

— წამოვიდეთ, წამოვიდეთ, — ვუთხარი მე — მესამე კვირას, ალბათ, მარტო მოგიწევს სიარული.

— მაგას რატომ მეუბნები?

— ვერ მიხვდი?

— აჰ, — გაიცინა, — ნუ გეშინია.

ძეხეთაში მატარებელს ვერ მივუსწარით და ისევ ავტობუსს დაველოდეთ. ჩვენს წინ ვიღაც გოგო იდგა და მეტიჩრულად ნაბავდა თვალებს.

— მიდი გამოელაპარაკე, — მითხრა მზიამ.

— თავი დამანებე ერთი.

— მიდი, ბიჭი არა ხარ?

— შენ თვითონ მიდი, თუ გეხალისება.

— რა სულელი ხარ... მე მართლა ბიჭი ხომ არ გგონივარ?

— რატომაც არა.

— მე მივალ, — თქვა ნოდარმა.

— მზიამ ქვემოდან ახედა.

— მიდი.

ნოდარი წავიდა. ჩვენ დავინახეთ, როგორ მივიდა იგი გოგოსთან, რევერანსი გაუკეთა და გამოელაპარაკა. გოგომ ჯერ ტუჩი აიბუზა. მერე გაიღიმა, მერე ლაპარაკიც დაუწყო.

— გაერთო, — თქვა მზიამ.

— ნერვიულობ?

— კარგი ერთი, შენ რატომ არ მიხვედი?

— მე ჩემს სიყვარულს ვერ ვუღალატებ.

მზიამ გაიცინა.

— ჰო, მართლა, როგორ გყავს ციცინო? რომელ კლასში გადავიდა ახლა, მესამეში?

— არა, მეორეში ჩარჩა, — გამეცინა მეც.

— არა, მართლა რომელ კლასშია?

— მეცხრეში.

— გაისად ამთავრებს?

— ჰო. მეთერთმეტე კლასი ხომ მოხსნეს.

— გამაცანი ერთი.

— გაგაცნობ. ახლაც წამოვიყვანდი, მავრამ დედამისი არ გამოუშვებდა.

მზიამ ისევ გაიცინა.

— ყელსახვევი უნდა გაიკეთო და ისე იარო.

— რატომაც არა.

— ჰო, ჰო, არ გეხუმრები.

ავტობუსი მოვიდა. ნოდარმა ის გოგო წინიდან აიყვანა და ბილეთიც უყიდა. ჩვენ უკნიდან ავედით.

— თქვენი სურვილი შესრულებულია ვაჟანო, — გვითხრა მან, როცა ჩვენთან დაბრუნდა.

— გააბი?

— ისე რა.

— მართლა მეტიჩარაა!

— სრულიადაც არა. შორიდან ჩანს ისე.

— ვინ არის? — ვკითხე მე.

— სტუდენტია სამედიცინო ინსტიტუტის. მომეწონე და ნარკვევი უნდა დავწერო შენზე-მეთქი, — ვუთხარი. ძალიან ესიამოვნა.

— ხელობას უშველია, — გაიცინა მზიამ, — მე მეგონა ისე მოხიბლე.

ნოდარმა რაღაცნაირად შეხედა. მე ადგილი დავუთმე და ერთად დავსვი ისინი. ავტობუსი დაიძრა. მზიას სიცილი აღარ გამიგონია, როგორც ადრე, ნოდარის გვერდით რომ მოხვდებოდა-ხოლმე. სერიოზულად იყო საქმე. მე ფანჯა-

რაში ვიყურებოდი და ძალიან მეცოდებოდა... გივი.

VIII

ორშაბათს ბევრი საქმეები დამიგროვდა. სტატისტიკური სამმართველოდან ახალი ფორმები გამოვიტანე და იმათ განაწილებაში ვიყავი. ამ საქმემ სამშაბათიც და ოთხშაბათიც მოინდომა. ვიჯექი და თავაუღებლივ ვმუშაობდი. მარტო მიმართვების დაწერამ შემიკლა ხელში. უნდა რუსულად მეწერა. როგორი საქმეა? წერით ქართულადაც ვერ ვწერ ხეირიანად. აქეთ ოთარი გავაძალე, იქით რამაზი. ბოლოს როგორც იქნა მოვაბი თავი.

მზია და ნოდარი ნახვით აღარ მინახავს, მაგრამ ვიცოდი, კარგად მიდიოდა მათი საქმე. ყოველთვის ერთად მირეკავდნენ ხოლმე. ხუთშაბათს საკმაო დრო მქონდა და იქეთ დავურეკე. ვიფიქრე; ცოტას გავივლით და ლუდს დავლევთ-მეთქი. მაგრამ სამსახურში არ აღმოჩნდა. ვიღაცამ დაურეკა და წავიდაო. გასაგები იყო. ისევ ზევით ვისადილე ბუფეტში, რამაზთან და ოთართან ერთად.

დღეს რუსიკო მათემატიკაში აბარებდა გამოცდას. მასზე უფრო მე ვღელავდი. გასაკვირიც არაა. ეს სამი დღეა განუწყვეტლივ ვამეცადინებდი. მერე ისე კარგი და კეთილი გოგო იყო, ისე ძალიან უნდოდა მოწყობა, რომ საცოდაობა იქნებოდა მისი ჩაჭრა.

სამსახურიდან ცოტა ადრე წავედი. ჯერ კიდევ არ დაბრუნებულიყო. პაპა ილოც გაჰყოლოდა. ჩემს ოთახში გავედი და წიგნის კითხვა დავიწყე. „ნეტა რა დაემართა? ნუთუ აქამდე გამოცდები არ დამთავრებულა?“ ოთხი საათი იყო. ვკითხულობდი, მაგრამ თავში არაფერი შედიოდა. წიგნი მაგიდაზე დავდე და დივანზე ჩამოვჯექი. სარკეში ვხედავდი, რომ წვერი მქონდა გასაპარსი, ვიფიქრე, — ბარემ ავდგები და გავიპარსავ-მეთქი, მაგრამ ამ დროს ზარის ხმაც გაისმა. დეიდა მარო წავიდა გასაღებად, და უცებ: „უიმე, რას ამბობ, უი. შენ გენაცვალე“, გაისმა კოცნა, შეძახილი. ბოლოს ჩემს ოთახშიც შემოიჭრა ვიღაც. სწორედ რომ ვიღაც. კარგად ვერც ვიცანი სახე აბდღვრიალებოდა, თვალები შუქით ავსებოდა, თქვენ წარმოიდგინეთ სიხარულისაგან თმების შუაზე გადანაყოფი თეთრი ზოლიც კი უპრიალებდა.

— რუსიკო, — შევეგებე მე, — ჩაბარე.

თავი დამიქნია. ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს ასე ფართოდ გახელილი და სიხარულით სავსე თვალები.

— ხუთზე — ჩურჩულით მითხრა.

— რას ამბობ?

— ჰო.

— მომილოცავს, — ხელი მოვხვიე და ვაკოცე.

— უიმე, — განზე გამიხტა. უცებ ჩაქრა სიხარულის, ბედნიერების და აღტაცების გამომეტყველება მის თვალებში. სახეზე ახლა სიწითლემ გადაუარა.

მე გამეცინა.

— არ გეწყინოს. გამეხარდა.

— არა, რას ამბობთ.

— აქამდე სად იყავი?

— ავტობუსების სადგურში, ბილეთი ავიღეთ.

— მიდიხართ უკვე?

— პაპამ დაიჟინა, ბარემ დღესვე წავიდეთო.

— გაგაცილებთ.

— უიმე, არა. ნუ შეწუხდებით.

— რა შეწუხებაა. სიამოვნებით გამოგყვებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატომღაც უცებ მოიწყინა.

— მაპატიე რუსიკო, წეღან ცუდად გამომივიდა.

— უიმე, არა.

— მე შენ საკუთარ დასავით მიყვარხარ. გულით გამიხარდა.

არაფერი არ უთქვამს თავდახრილი იდგა.

— რუსიკო, — მოისმა პაპა ილოს ხმა, — სადა ხარ, გო?

— აქა ვარ პაპა.

— მოემზადე შვილო! — კარები შემოაღო.

— გამარჯობა პაპა! — მივესალმე მე.

— გაგიმარჯოს! — გააგრძელა მან,— ძაან ივარგეთ შენ და რუსიკომ, აი.

— ვითომ?

— მაშა! სულ ბდღვირი ადინა ლექტორებსა.

— კარგად იყო მომზადებული.

— კარგადა. აგაშენა ღმერთმა.

— რა გეჩქარება პაპა, — ვუთხარი მე, — დარჩით კიდევ.

— არა, შვილო. მეტს ვერ დავრჩებით. სახლი მეზობლების ამარა მაქვს მიტოვებული.

— თუ ეგრეა, რას იზამ.

რუსიკო ოთახიდან გავიდა. მე და პაპა აივანზე გავედით და იქ ვსაუბრობდით. საკმაოდ მაგარი მოხუცი იყო. ჯოხით დადიოდა, მაგრამ რომ შეხედავდი სისუსტის ნიშნად კი არ მოგეჩვენებოდა ეს ჯოხი — სიძლიერის. სულ არ ეტყობოდა ოთხმოცდარვა წელი.

— კარგი გოგო მყავს, გამიმართლა!— თქვა მან.

— კი, კარგი გოგოა. უჯოხოდ არ შეგიძლიათ, პაპა.

— უამისოდ კი. უჯოხოდ არა.

— ვერ გავიგე.

— ჯოხიც არის და ჯოხიც. — თქვა მან ღიმილით. ძალიან მოუხდა ეს გაღიმება თეთრ წვერებზე.

— აჰ. მგონი მიგიხვდით — გამეცინა მეც. — აგე, მოგაკითხათ ჯოხმა.

ოთახში რუსიკო შემოვიდა, დიასახლისიც შემოჰყვა.

— მორჩით? — ჰკითხა პაპამ.

— ჰო.

—წავიდეთ აბა.

— რა გეჩქარება, ადამიანო, — უთხრა დეიდა მარომ, — დაგეცადა ცოტა.

— საქმეს მიხედე, — შეუბღვირა პაპამ, — წამოდი, გო!

მე ჩემოდანი ავიღე და გავყევი.

— ნუ შეწუხდები, — მითხრა პაპამ. — ჩვენ წავიღებთ.

— გაგაცილებთ, — ვუთხარი მე.

ქვევით ჩავედით. ჩემი დიასახლისიც გამოგვყვა. მანქანა გავაჩერეთ და ჩავსხედით. რუსიკო ჩემს გვერდით იჯდა.

— თქვენი სურათი წამოვიღე, — მითხრა მან, — დამიწერეთ.

— ჩემი სურათი? სად ნახე?

— წიგნში იდო. ხომ მომცემთ?

— რად გინდა, — გამეცინა მე, — როგორ არ მოგცემ.

გამოვართვი და დავუწერე: „სახსოვრად რუსიკოს ვაჟასაგან"; ძალიან გაეხარდა. სურათი ხელში ეჭირა, ხელი მკერდთან ჰქონდა მიტანილი და მე რაღაც თბილი ჩამეღვარა მთელს სხეულში.

ავტოსადგურში ჩქარა ჩავედით. პაპა ამაყად გადმოვიდა მანქანიდან. ჩვენ აქეთ-იქედან ამოვუდექით. დეიდა მარო წინ მიდიოდა.

— აქ დავიცადოთ, — თქვა მერე და გაჩერდა, — მალე მოვა ავტობუსი.

— რომელი საათია? — იკითხა პაპამ.

— ხუთი.

— ჰო, მალე მოვა.

ისინი ერთად იდგნენ და საუბრობდნენ. მე და რუსიკო მოაჯირთან გავჩერდით.

— ვინ იცის, როდის ჩამოვალ კიდევ თბილისში, — თქვა მან.

— რატომ? ხომ ჩააბარე?

— ეს ხომ დაუსწრებელია.

— აჰ, მართლა. სულ დამავიწყდა, — გამეცინა მე, — არ გიხარია?

— როგორ არა, — თქვა მან და შემომხედა. მის მზერაში იყო კიდევ სხვა რაღაც, სიხარულის გარდა. მე შევკრთი.

„ნუთუ? შეუძლებელია!".

ავტობუსი მოვიდა. მე ჩემოდანი ავიტანე ზევით და პაპაც ავიყვანე. მერე გამოვემშვიდობე.

— ჩამოდი, გვესტუმრე, სოფელში, — მითხრა მან.

— უსათუოდ, პაპა, უსათუოდ.

— აბა შენ იცი.

ჯოხი ლაჯებში დაიჭირა და დაჯდა.

— ნახვამდის, — ვუთხარი რუსიკოს.

— ნახვამდის, — ხელი გამომიწოდა მან. მის თვალებში კიდევ უფრო მეტად ვიგრძენი ის რაღაც სხვა.

— კარგად იყავი, მამიდა, — უთხრა ჩემმა დიასახლისმა და გადაკოცნა. მერე წამოვედით. როცა შემთხვევით უკან მოვიხედე, დავინახე, რუსიკო ისევ იმავე ადგილას იდგა და გვიყურებდა. სურათი უხერხულად ეჭირა ხელში.

უცებ ისეთი გრძნობა დამებადა, თითქოს რაღაც დავაშავე, რაღაც დანაშაული ჩავიდინე და არავინ ჩემს მეტმა არ იცის ეს ამბავი, მარტო ჩემს სინდისს აწევს ვალად.

ვერაფერიშვილია ამის შეგრძნება. ისიც მაშინ, როცა ძლივს ერთი კეთილი საქმე გააკეთე შენს ცხოვრებაში.

გულდამძიმებულმა ამოვიარე ელბაქიძის აღმართი და ავტობუსზე დავჯექი.

ჩემი დიასახლისი გვერდით მეჯდა და რაღაცას მეკითხებოდა.

— დიახ, — ვუთხარი მე.

— რა დიახ, პლაშჩის ქამარი არ დაკარგო-მეთქი, — გაეცინა მას, — ამოვარდნილი გაქვს.

— აჰ, — ვთქვი მე.

მართლაც ამოვარდნილი მქონდა.

IX

— ვაჟა, ისევ თქვენ გადადით ცეკაში ფოლადიშვილთან, — მითხრა გამგემ,— მე მინისტრთა საბჭოში უნდა წავიდე სულაძის საქმეზე. აი, ეს სიგელები მიუტანე. ბარემ დავამტკიცოთ-თქო, — უთხარით.

— საშვი? — ვკითხე მე.

— დაურეკეთ და დაუშვებენ.

— კარგი, მომეცით.

გადმომცა და წავიდა. გადავათვალიერე. განათლების პროფკავშირების და ჩვენი კომიტეტის სიგელები იყო. მაგიდაზე დავაწყვე და ცეკაში დავრეკე — საშვი დაუშვით-მეთქი. მერე უჯრიდან ახალგაზრდა სპეციალისტების განაწილების სიები ამოვიღე და წყალთა მეურნეობის სამინისტროს მემანქანეებთან წავიღე გადასაბეჭდად. ჩვენი რუსულად მბეჭდავი გოგო ავად იყო. როცა დავბრუნდი, რამაზმა მითხრა:

— ვიღაცა გოგომ დაგირეკა ამ წუთში.

— არ თქვა ვინ ვარო?

— არა. ისევ დაურეკავო. მშვენიერი ხმა აქვს. ხშირად გირეკავს ხოლმე.

— აჰა, მზია ყოფილა.

— ძალიან კარგი ხმა აქვს. ვინ არის?

— ჩემი მეგობარია.

ოთარი ზევით, ჩვენი თავმჯდომარის მოადგილის კაბინეტში თათბირს ატარებდა ტექნიკუმის დირექტორებთან და გაბრაზებული ჩამოვიდა.

— გამგე სად არის? — იკითხა და მაგიდასთან დაჯდა.

— მინისტრთა საბჭოში, სულაძის საქმეზე.

— ერთი მაგ სულაძეც არის კიდე ბედოვლათი. მამაცხონებულმა თვრამეტი და ოცდაცხრამეტი ერთმანეთისგან ვერ გაარჩია?

— მართლა ვინ არის ეგ კაცი, — ვკითხე მე, — რა მოუვიდა?

— ინსტიტუტის დირექტორია. განაწილების ფურცელი რომ გამოგვიგზავნა, ოცდაცხრამეტი კაცი იყო ნაჩვენები შიგ. ჩვენც ავდექით და ყველანი გავანაწილეთ. სინამდვილეში კი თვრამეტი ყოფილა. როგორი საქმეა!

— დიდებული.

— მალე მოვა?

— რა ვიცი, რამაზს ეცოდინება.

— არც მე ვიცი, — თქვა რამაზმა.

მე ისევ ჩემს სიებს მივუბრუნდი. ყველა გვერდზე ერთი და იგივე შეცდომა იყო. татжикский таджикский-ს госунат осунт-ის და 634 — 624 ნაცვლად. მელნით ვასწორებდი. რამდენი-

მე გვერდი იყო. ვიფიქრე ბარემ მოვათავებ და სიგელებს მერე წავიღებ-მეთქი.

ტელეფონმა დარეკა. რამაზმა აიღო ყურმილი.

— ვის? ვაჟას? — თქვა მან, — ეხლავე.

— მომეცი, — ვუთხარი მე.

გადმომაწოდა.

— ალო!

— ვაჟა ხართ? — ქალის ხმა იყო.

— დიახ, — ვერ ვიცანი, — ვინ ლაპარაკობს?

— იცით რა. — მომესმა, — ამას არ აქვს მნიშვნელობა. ისეთი რამე არ უნდა გააკეთოთ, რომ მერე ინანოთ.

— არაფერი მესმის, ვინ ბრძანდებით?

რამაზი და ოთარი მიყურებდნენ.

— მაგას ვერ გეტყვით. თქვენზე ძალიან გაბრაზებული ვარ და იმიტომ. თვითონ მიხვდით.

— აზრზე ვერ მოვდივარ.

— იფიქრეთ და მიხვდებით. ნახვამდის!

— მოიცათ, ერთი წუთით...

დამიკიდა მილი. უხერხულად ვიდექი.

— გირევენ გოგოები? — გაიცინა ოთარმა.

— ეს იყო, — ვკითხე რამაზს.

— არა. ის სხვა იყო. ხშირად გირეკავს ხოლმე.

მე დავჯექი და ისევ ჩემს საქმეს დავუბრუნდი.

татжикский, госунат, 634, татжикский, госунат, 634. ნეტა ვინ იყო? მზიას ხმას მაშინვე ვიცნობდი. ან რაში დაჭირდებოდა? ციცინოსაგან კი იყო მოსალოდნელი ასეთი რამე, მაგრამ ნომერი რომ არ იცოდა? არც მიმიცია. სულ ტელეფონზე იქნებოდა ჩამოკიდებული. ეგ კი არა, აგერ ერთი კვირაა არ მინახავს და არც დამირეკია. ცდება-ხოლმე და ვეღარ მეცადინეობს. ხომ ისე ძალიან მიყვარს, მაგრამ ვითმენ, სხვანაირად არც შეიძლება. ბავშვს ხომ ვერ დავღუპავ? ისიც სისულელე მომივიდა, სიყვარული რომ ავუხსენი. ჯერ ადრე იყო მისთვის. თანაც მის ხმასაც ხომ ვიცნობდი? მაშ, ვინ უნდა ყოფილიყო? ვის რა ვაწყენინე ასეთი?.

Татжикский, госунат, 634, татжикский госунат, 634 დანაშაულის შეგრძნება ძნელია. მით უმეტეს, როცა კარგად არც გესმის შენი დანაშაული. ქალებთან კი მე არავითარი ამის მსგავსი შემთხვევა არ მქონია. რაღაცნაირად მწყალობდა ბედი. ისინიც კი, რომლებიც ადრე ჩემთან დადიოდნენ და მერე მე თვითონ მივატოვე, მადლიერები იყვნენ ჩემი. ეს იმიტომ, რომ არასდროს უსინდისოდ არ ვექცეოდი ვინმეს. თუ რამე მოხდებოდა, წინდაწინვე იცოდნენ, რომ მათივე ბრალი იქნებოდა და არც მემდუროდნენ. მხოლოდ ერთ ქალს ვაწყენინე და ისიც პატარაობისას. მეზობლის ქალი იყო. ბიბლიოთეკიდან — „იზოლდას და ტრისტანის“ წიგნი გამოვიტანე და წამართვა. ჯერ მე წავიკითხავ და მერე შენ წაიკითხეო. დამნაშავე არ ვყოფილვარ, მაგრამ მაინც ნაწყენი დამრჩა, როცა წიგნი უკან გამოვართვი. ეს იყო და ეს. ცხადია, ის ვერ დარეკავდა. სხვა კი ვინ უნდა ყოფილიყო?

Татжикский, госунат, 634. татжикский госунат, 634.

მერე რუსიკოც გამახსენდა. გამახსენდა ის, „რაღაც სხვა“ რომელიც მის გამოხედვაში ვიგრძენი, მისი შეცბუნება, ხელი რომ მოვხვიე და ვაკოცე. მისი უადგილო გაწითლება და სიმორცხვე. მაგრამ არც რუსიკოსი იყო ინ ხმა, ან სოფლიდან როგორ უნდა დაერეკა?

ავდექი და ფანჯარასთან მივედი. საოცრად დამეწმინდა და გამიფაქიზდა მეხსიერება. ღია ფანჯარაში კვლავ ირეკლებოდა დასავლეთისკენ გადახრილი მზის სხივები. მე შევხედე მას და უცებ შიომღვიმის მონასტრის ახლოს ნახული ცა და მზის ჩასვლა გამახსენდა. იყო რაღაც მსგავსება მათ შორის. მერე ისევ უცნობი ქალის ხმა ამოტივტივდა მეხსიერებაში. ახლა ისინი სამივე ერთმანეთს დაემსგავსნენ და ჩემი მეხსიერების უკან რაღაც ეკრანივით აენთო და განათდა.

მოპირდაპირე მხარეს, მეექვსე სართულზე, გოგოები მოდგომოდნენ ფანჯარას და ხელს მიქნევდნენ — სამუშაოს დამთავრების შემდეგ ჩამოდი და შევხვედეთო. მე მათთვის ყურადღება არ მიმიქცევია, ოღონდ გულში გამკრა: „მშენებლობის სამინისტროს თანამშრომლები არიან". ადრე ამაზე არასოდეს არ დავფიქრებულვარ — მშენებლობის სამინისტრო ყოფილა — ვთქვი მერე ხმამაღლა და ფანჯარას მოვცილდი. ისევ ჩემს მაგიდას დავუბრუნდი.

—რა თქვი? — თავი ასწია ოთარმა.

— მშენებლობის სამინისტრო-მეთქი.

— ჰოო.

მაგიდაზე დავიხარე და ისევ განაწილების სიებს დავხედე. Татжикский, госунат, 634. татжикский госунат; 634.

პირველად დავუკვირდი ამ სიტყვებს. რა არის ეს? ვის ეშმაკს მოუვიდა თავში госунат დაეწერა госунт-ის ნაცვლად? ან ეს татжикский რაღაა? ან თვითონ მე რას ვაკეთებ აქ?

ერთი უჯრა გამოვაღე — ქაღალდებით იყო სავსე. მეორე გამოვაღე იქაც ქაღალდები იყო. მესამე — იქაც. მეოთხე — მეოთხეშიც. ყველგან ქაღალდები იყო: ყვითელი, თეთრი, ძველი და ახალი ქაღალდები. მთელი ქვეყანა ქაღალდებით იყო დაფარული და უცებ ჩემში აღსდგა რაღაც დიდი, რაღაც უცნობი და ჯერ განუცდელი გრძნობა. ფანჯრიდან გავხედე მოპირდაპირე მხარეს და მომეჩვენა, იქიდან თითქოს ისევ მიქნევდნენ ხელს. მხოლოდ ახლა უფრო მძლავრად და გამომწვევად. იქ იყო მშენებლობის სამინისტრო. მიქნევდნენ და თავისკენ მეძახდნენ. თავისკენ მეძახდა ჩემი ძმის დაუმთავრებელი სახლი, სხვადასხვა სოფლისა და ქალაქის კორპუსები, სპორტის სასახლის დიდებული შენობა, რომელიც ახლა ჩემი მეხსიერების განათებულ ეკრანზე ამოცურდა და მთელი ხუთი წლის სტუდენტური ოცნება. სულ გადამავიწყდა იმ უცნობი ქალის ხმა. ახლა სულ სხვა ხმები მესმოდა. აგერ ჩემი ძმა:

— რაკი ინსპექტორად მუშაობ, ინჟინრობა დავიწყებული გექნება უკვე, — ამბობს ქილიკით იგი, — ერთი ეს მითხარი, დამლაგებლები თუ ატარებენ ასეთ წიგნაკებს?"

მაშინ კერ გავიგე, რაზე გავბრაზდი, რა იყო აქ გასაბრაზებელი და საწყენი. ახლა კი ერთბაშად მივხვდი ყველაფერს და უცებ ისეთმა გრძნობამ შემიპყრო, როგორც მაშინ, საშვიდნოემბროდ სოფელში რომ მივდიოდი: თითქოს შევცდი. შემთხვევით სულ სხვა მატარებელს გავყევი და ჩემი მატარებლის ფანჯარა, რომელშიც მე უნდა მოვთავსებულიყავი, რომ გავყოლოდი, ჩაბნელებული დარჩა.

ქაღალდები ისევ უჯრაში შევყარე და წამოვდექი. ფეხებზე სქელლანჩიანი შავი ბატინკები მეცვა და რაღაც ძალიან შეუსაბამოდ მეჩვენა ოქროსფრად გაკრიალებულ პარკეტის იატაკთან.

„როგორ შეიძლება ამ ბატინკების აქ ჩაცმა? — გავიფიქრე მე — რატომ აქამდე ვერ შევნიშნე ეს?" და სანამ ამაზე ვფიქრობდი, უკვე ყველაფერი გადავწყვიტე. ხელად მომეშვა გულს. სადღაც გაჰქრა ის უხასიათობა, ის დაეჭვება და სიმძიმილი, ის ლოთი-ფოთობა და მთელს სხეულში უჩვეულო ძალა და ენერგია ვიგრძენი, ოთახში ვეღარ ვეტეოდი.

ტელეფონმა დარეკა. ოთარმა აიღო ყურმილი. მე კი ისევ ის უცნობი ხმა გამახსენდა და ძალიან ვინანე, რომ იმ მეზობლის ქალს ვაწყენინე ბავშვობაში. რა დაშავდებოდა ორი დღით გვიან წამეკითხა ის დასაწვავი წიგნი?

— ვაჟა, — ყურმილი დადო ოთარმა, — სიგელებიო.

— რა სიგელები?

— ცეკადან რეკავდნენ.

— აა? — გამოვერკვიე, მე, — ეხლავე.

პლაშჩი ჩამოვიღე.

— რათ გინდა, — თქვა რამაზმა, — აქვეა. იქ მაინც უნდა გაიხადო.

— ჰო, მართლა, — ისევ უკან დავკიდე, მაგიდიდან სიგელები ავიღე და წავედი. მთელს სხეულში რაღაც წარმოუდგენელ სილაღეს და ფიჯანსაღეს

ვგრძნობდი. ისეთი განცდა მქონდა, თითქოს სამი თვე სიმძიმეებაკიდებული მივდიოდი და მოულოდნელად მომაშორეს ეს სიმძიმე. მიკვირდა, რა საოცრად მარტივი ყოფილა ყველაფერი და ძალით რად ვართულებდი-მეთქი. ან რატომ აქამდე ვერ მივხვდი ამას? გრძნობით კი ვგრძნობდი ხოლმე, მაგრამ მიხვედრით მხოლოდ დღეს მივხვდი, იმ უცნობი ქალის ხმის შემდეგ. მაინც ვინ იყო ის ქალი? ახლა შემეძლო უფრო ჯანსაღადაც მეფიქრა — შეიძლება მართლაც რომელიმე ნაცნობმა გოგომ დამირეკა და ამირია მეთქი. მოსახდენი ხომ უკვე მოხდა. თვალი ხომ ამეხილა. მაგრამ არც ასე მინდოდა. ეს ხმა უკვე იდუმალ ხმად იქცა ჩემში და ვიწამე კიდეც მისი იდუმალება.

მეოთხე სართულზე ავედი, იქ იყო უმაღლესი განათლების სექტორი. ფოლადიშვილი ვიკითხე. კაბინეტში არისო, — მითხრეს და მეც იქითკენ გავემართე. კარები შევაღე და შევედი. ოთახში ორნი იყვნენ ქალი და კაცი. ქალი ძალიან ახალგაზრდა იყო. კაცი კი ასე ოცდახუთმეტი წლისა. მაღალი და სანდომიანი, ძალიან უხდებოდა შეჭაღარავებული თმები.

— გამარჯობა, — წამოდგა კაცი და ხელი ჩამომართვა. ქალს კი თავიც არ აუღია.

— გამარჯობა, — ვუთხარი მე.

— კომიტეტიდან ხართ, არა?

— დიახ.

— დაბრძანდით, სკამზე მიმითითა.

— გმადლობთ.

უცნაურად ვფლობდი მთელ სხეულს. ისე კარგად და თავდაჭერილად ვიქცეოდი, მაშინვე მოვეწონე იმ კაცს. მეც ძალიან მიყვარდა და მომწონდა ახლა ჩემი თავი. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს სულ სხვა ვინმედ ვიქეცი, სულ სხვა ფიქრების და გარეგნობის ადამიანად. სარკეში რომ ჩამახედონ, ველარც კი ვიცნობ-მეთქი ჩემს თავს.

— დიდი ხანია მუშაობთ? — მკითხა კაცმა ცოტა ხნის შემდეგ და სიგელები გვერდზე გადადო.

— არა, — ვუთხარი მე, — ერთი თვე გახლავთ. — გულში კი გავიფიქრე ნახევარი საათის წინ რომ მოვსულიყავი, „გახლავთ“ — ამის ნაცვლად „იქნება“-ს ვეტყოდი-მეთქი.

— წელს დაამთავრეთ?

— დიახ.

—თქვენი სპეციალობით მუშაობთ.

— არა, — მშვიდად მივუგე მე. კიდევ კარგი ნახევარი საათის წინ რომ არ მოვედი.

— კარგი, — თქვა მან, — სიგელებს შევამოწმებთ და გამოგიგზავნით.

მე წამოვდექი.

— ნახვამდის, — ვუთხარი და თავი დავუკარი.

— ნახვამდის, — ხელი ჩამომართვა მან. გოგოს კი არც ახლა აუწევია თავი.

ოთახიდან გამოვედი და დაბლა დავეშვი. მეკარემ გამატარა მაგრამ ახლა ჩვენთან აღარ გამიშვეს. მოწმობა პლაშჩის ჯიბეში მქონდა. ვუთხარი ზევით დამრჩა-მეთქი. არ დამიჯერეს. ხომ ხედავ კოსტუმით ვარ გამოსულიმეთქი. მაინც არ დამიჯერეს. ბოლოს დავრეკე და ოთარმა ჩამომიტანა. მეკარეს შერცხვა: პატარა ბიჭს გავხარო, — მითხრა და გამიღიმა, — ულვაშები უნდა მოუშვაო.

— მოვუშვებ-მეთქი, — ვუთხარი. სრულებითაც არ ვიყავი ნაწყენი. პირიქით ყველაფერი ძალიან, ძალიან მახარებდა. ოთარი ლიფტში შევიდა, მე კი კიბეებს ავუყევი. ბომელი ავასწრებთ-მეთქი, დავუძახე და სირბილით წავედი. ავასწარი კიდეც.

— რაღაც ძალიან აღტაცებული ხარ, — მითხრა მან.

— სიმძიმეები მოვიხსენი.

— რა სიმძიმეები?

— შიომღვიმის მონასტერს რომ ვაშენებდი, ღმერთმა დამსაჯა სულ პატარა შეურჩებისათვის და ათტონიანი სიმ-

ძიმეები ჩამომკიდა. დღეს კი დავამსხვრიე, განვთავისუფლდი.

ოთარის გაეცინა და ოთახში შევიდა. მეც შევყევი. თვალი მოვავლე ქაღალდებში თავჩარგულ რამაზს, ქაღალდებით გამოტენილ მაგიდის უჯრებს, კარადებს, ქაღალდის ჩანთებს, ქაღალდით სავსე სანაგვეებს მაგიდასთან დავჯექი. სუფთა ფურცელი ამოვიღე და განცხადება დავწერე. უცებ ციცინო გამახსენდა, გამახსენდა მისი ხმა, მისი ბავშვური ტიკტიკი: „შენ რატომ არ მიდიხარ, ვაჟა? ხომ დაამთავრე უმაღლესი. წადი და მე დაგელოდები. ო, რა კარგია ეს უცებ მოსვლა". რაღაცნაირი სინაზე და სისათუთე ჩამეღვარა სულში; ისეთი განცდა დამებადა, თითქოს სადღაც, მახლობლად ბუჩქებში გაზაფხულის პირველი ია ამოდიოდა ენის უთქმელი სიმორცხვით და მთელი ბუნება განაბული უგდებდა ყურს მის ამოსვლას.

განცხადებაზე ხელი მოვაწერე.

საშვიდნოემბრო მოლოცვის შემდეგ კომიტეტის თავმჯდომარე აღარც მინახავს. მე თვითონ ვერიდებოდი მასთან შეხვედრას. ისე ძალიან მიყვარდა ეს კაცი, ისე ძალიან მწამდა მისი და ისე უეცრად გამიცრუვდა იმედი, რომ აღარ ვიცოდი, რა მეფიქრა. მაინც რა იყო ის დღე? ნუთუ მასაც ქონდა ეს ადამიანური ანგარება და სისუსტე? ნუთუ ყველაფერი მართლა იმისთვის იყო გაკეთებული, რომ თავი გამოეჩინა? რომ ხალხს ეთქვა მასზე რა კარგი და ყურადღებიანი ხელმძღვანელიაო?

არ მინდოდა ამაზე ფიქრი. მე მწამს წუთი ადამიანის ცხოვრებაში, როცა ყველაზე უფრო ბუნებრივად ჩანს მისი სახე. ეს, ალბათ, მისი წუთი იყო. მაგრამ სადღაა მაშინ ნამდვილი ადამიანი? ვისთვის და რისთვის უნდა იბრძოლო მაშინ კაცმა? რა უნდა გწამდეს?

მივდიოდი თავმჯდომარის კაბინეტისკენ, ხელში განცხადება მეჭირა და ამაზე ვფიქრობდი. ყოველთვის ხომ ვერ გაექცევი კაცი ფიქრებს. ერთხელ ხომ მაინც უნდა იფიქრო და გამოიტანო დასკვნა? მით უმეტეს ახლა მჭირდებოდა ეს დასკვნები, ახლა, როცა თვალი ამეხილა და ყველაფერი ახლებურად ვიგრძენი და განვიცადე.

მაგრამ... იქნებ შევცდი? იქნებ მომეჩვენა ასე? უცნაურია, ასეთი აზრი ჯერ არ მომსვლია თავში. მაგრამ მაშინვე თვალწინ წარმომიდგა ის თხუთმეტწუთიანი სკამების რახარუხი, ის ორწუთიანი სიტყვა და ისევ სკამების რახა-რუხი. რა იყო მაშინ ეს? რა საკალდებულო იყო?

მდივანმა ქალმა გამიღიმა. მასაც თავმჯდომარის ნათესავი ვგონივარ.

— შეიძლება? —ვკითხე მე.

— თქვენთვის, რა თქმა უნდა.

— მარტოა?

— კი, — ისევ გამიღიმა.

მე კარები გამოვაღე და შევედი. გული შემეკუმშა. მაგიდასთან იჯდა და როგორც ყოველთვის, ლურჯი კოსტუმი ეცვა და მწვანე ჰალსტუხი ეკეთა. რაღაცას სწერდა. რომ შევედი, თავი ასწია.

— ო, ვაჟა, ჩემო ბიჭო. — შესძახა მან— როგორ ხარ, როგორ ცხოვრობ?

— კარგად, — ხელი ჩამოვართვი და სკამზე დავჯექი მე, — კარგად ვარ.

— ასე უნდა დავიწყება? რაც სამსახური დაიწყე, ერთხელაც აღარ შემოგივლია ჩვენთან. მარტო ჩემმა მეუღლემ შემიკლა ხელში: ხომ არაფერი აწყენინეო.

— მაპატიეთ... — ვუთხარი მე, — ხომ კარგად ბრძანდება ქალბატონი მერი?

— კარგად. — გაეცინა, — გადიდკაცდი უკვე? შორიდან დაიწყე მოკითხვა?

— რას ბრძანებთ!

„ნუთუ მართლა შევცდი და მომეჩ-

ვენა ყველაფერი?"—გამიელვა თავში, —„აჰ, ნეტა მართლა".

— სამსახურის საქმე როგორ გაქვს? — მკითხა მან, — როგორ შეეწყვე?

— კარგად.

— ძალიან დატვირთული ხომ არ ხარ?

— არა. სრულებითაც არ ვარ დატვირთული.

— ეს კარგია.

სახე ხელისგულზე ედო და ისე მელაპარაკებოდა. უყვარდა ხოლმე ასე ლაპარაკი. ერთხანს უხმოდ ვიჯექით.

— იცით რა, — ვთქვი ბოლოს მე, მაგრამ აღარ გამიგრძელებია. განცხადება ამოვიღე და გადავეცი, სათვალეები გაიკეთა და გადაათვალიერა. მე თავჩაღუნული ვიჯექი.

— როდის დაწერე ეს? — მკითხა მერე.

— ნახევარი საათის წინ.

— შენ თვითონ დაწერე?

— დიახ, — მივუხვდი, —მე თვითონ.

დაკვირვებით შემომხედა.

— მოველოდი ამას,—მითხრა მერე ღიმილით, — გამიმართლე.

— მაშ, თქვენ ბატონო დავით...

— დიახ. არ შევმცდარვარ.

— აბა აქ რისთვის მომიყვანეთ? — გამიკვირდა მე.

— აი, ეს განცხადება რომ დაგეწერა.

— ბატონო დავით...

მე ეხლა გამახსენდა, რომ იგი პედაგოგიც იყო. მის ლექციებს ხომ ყველანი დიდი სიხარულით ვიწერდით ხოლმე. რაღაცას ნიშნავდა ეს გახსენება. მერე ამ ამბავსაც ჩაუკვირდი. გული გადამიქანდა. ერთბაშად ვიგრძენი რომ ვცდებოდი, რომ ყველაფერი მომეჩვენა და ცილი დავწამე იმ ადამიანს, რომელიც ყველაზე ძვირფასი იყო ჩემთვის. ეს ყველაფერი ახლა ვიგრძენი, ახლა ამ წუთში, ამ სიტყვების შემდეგ. იყო მასში რაღაც ძალიან დიდი და ძალიან დამაფიქრებელი. სკამზე ველარ ვეტეოდი. მკერდქვეშ რაღაცამ დაიწყო დნობა. გული იყო. ჩემი მეხსიერების უკან განათებულ ეკრანს კი თანდათან მოემატა შუქი.

— ასეა, ჩემო კარგო, — მითხრა მან, — ყოველთვის უნდა გამიმართლო-ხოლმე.

მე თავი დავხარე.

— მრცხვენია თქვენი, — ვთქვი ყრუდ.

— არაუშავს. უკვე ყველაფერი უკანაა და წინ.

— ძალიან, ძალიან მრცხვენია თქვენი.

„უკანაა და წინ, უკანაა და წინ"

— კარგი ერთი.

— ძალიან, ძალიან, ძალიან მრცხვენია თქვენი.

გაეცინა.

— სულელო ბიჭო, — ჩემთან მოვიდა და სავარძელში ჩაჯდა. — მიხარია, რომ ასეთს გხედავ.

მართლა გახარებული იყო. ერთ წუთს აღარ შემეძლო ოთახში გაჩერება, სულ გამიდნა გული.

— წინ დიდი გზა გაქვს, — მხარზე ხელი დამადო უცებ მან, — ჯერ ინჟინრად დაიწყებ მუშაობას, მერე მშენებლობის უფროსად, მერე ვინ იცის... ერთი რამ რომ გითხრა დამიმახსოვრებ?

— რა თქმა უნდა.

— აი, რა: რაც უნდა გახდე— სხვა არ დაგავიწყდეს. ხალხზე უნდა იფიქრო. გიფიქრია ოდესმე?

— ხალხზე? დიახ.

— არა. ამჯერად საერთოდ კი არ გეკითხები. იმაზე, ვინც უშუალოდ შენი ხელმძღვანელობით მუშაობს.

მე დავფიქრდი. ამის დიდი გამოცდილება არც მქონია. ოღონდ ერთი ზაფხული გამახსენდა. ბანაკში რაზმის ხელმძღვანელად ვიყავი და ბავშვები რამეს რომ დააშავებდნენ, ხან უსადილოდ დავტოვებდი, ხან თამაშიდან გავაგდებდი და ხან სასეირნოდ არ წავიყვანდი. ეს მხოლოდ იმიტომ, რომ რაღაც დააშავეს, ან თვითონ მე მაწყენინეს. იმაზე კი, თუ რას ფიქრობდ-

ნენ ეს დასჯილი ბავშვები, ან საერთოდ რაზმის რომელიმე ბავშვი, არასოდეს დავფიქრებულვარ.

— არა, — ვთქვი ბოლოს, — არ მიფიქრია.

— უნდა იფიქრო, — მხრიდან ხელი აიღო მან, — დღეს ღმერთი უკვე ალარავის წამს და არცაა საჭირო. ერთმანეთი კი უნდა ვიწამოთ. სხვანაირად არ შეიძლება. ხალხს რწმენა უნდა, რომ კარგად იმუშაოს, მაგალითად, მუშამ, უნდა სწამდეს, რომ კარგი და სამართლიანი ხელმძღვანელი ჰყავს. გულისყურიანიც, რომელსაც მისი ტკივილი ტკივა, მისი ლხინიც უხარია და ჭირიც აწუხებს. ეს შეიძლება, შენში იყოს, მაგრამ მათ უნდა დაანახო. იმიტომ კი არა, რომ შენზე ასე თქვან, არამედ იმიტომ, რომ თვითონ იწამონ ეს. იწამონ თავიანთი კეთილდღეობისათვის, პირადული და საერთო საქმის სასარგებლოდ, ხომ მიმიხვდი? ხომ დამიმახსოვრებ ამას?

— უსათუოდ, ბატონო დავით.

— ახლა კი მეტს ალარ შეგაწყენ თავს, კარგად იყავი, ოღონდ ერთ რამეზე აქედანვე შევთანხმდეთ — ანგარიშს ჩამაბარებ ხოლმე.

— უსათუოდ.

წამოვდექი. ხელი გამომიწოდა. — ნახვამდის!

— ნახვამდის! — კარებთან რომ მივედი, მოვიხედე. გამიღიმა და ხელი დამიქნია. გულაჩქროლებული გამოვედი გარეთ. ოთახში რომ დავბრუნდი, ოთარმა გაოცებით შემომხედა.

— რაღაც ვერ გცნობ დღეს,

— გული მიდნება, — ვუთხარი მე.

— წადი ერთი.

ნეტა სად არის ახლა ჩემი პატარა მაიმუნი?

გამგე ჯერ კიდევ არ დაბრუნებულიყო მინისტრთა საბჭოდან. უიმისოდ გამხელას კი აზრი არ ჰქონდა. მე ბრძანების ტექსტი შევადგინე და მბეჭდავებისაკენ გავემართე. ბარემ გადავაბეჭდინებ და ამასობაში გამგეც მოვამეთქი. გოგოებს მესამე აკლდათ. და რაღაც არ იყვნენ ისე ლამაზები.

— ვაჟა, — თქვა იზომ, — კინოში წავიდეთ დღეს.

— დღეს? რომ არ მცალია?!

— ოჰ, რატომ ვითომ?

— რა ვიცი.

— გაანებე გოგო თავი, — უთხრა ლეილამ, — რას ეხვეწები.

რაღაც არ იყვნენ ისე ლამაზები და არც ისე ლამაზად იღიმებოდნენ. მესამე აკლდათ ნამდვილად.

— ჯერ ეს ბრძანება წაიკითხეთ და მერე გამამტყუნეთ.

— მომეცი.

იზომ ხმამაღლა წაიკითხა.

— განთავისუფლდეს თანახმად პირადი განცხადებისა ვაჟა გიორგის ძე გოცირიძე მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების კადრების განყოფილების ინსპექტორის მოვალეობისაგან.

— ეს რა არის?

— ბრძანება. უნდა გადამიბეჭდო.

— რატომ მერე ვაჟა? — მითხრა ლეილამ, — რატომ მიდიხარ?

მე შევხედე მათ, მათ ბურბუშელა თმებს, ლამაზ გამხდარ სახეებს, მათ თეთრ ოცნებას — ქმრის კარგი სამსახური, მანქანა და სამოთახიანი ბინა რომ შეადგენდა... არ ღირდა თქმა.

— სხვაგან გადავყავართ. — ვუთხარი ბოლოს.

— სხვაგან, სად?

— უფრო დიდ ადგილზე?

— ჰო. აბა, მე თქვენ ვინ გგონივართ?

ისევ გაიღიმეს, მაგრამ არ გამოუვიდათ. უღმერთოდ აკლდათ მესამე. ბრძანების ტექსტი დავტოვე და წამოვედი.

— ის გოგო გირეკავს, — მითხრა რამაზმა და ყურმილი მომაჩეჩა.

— ვინ? — სწრაფად "გამოვართვი, — ალო.

— გამარჯობა ვაჟა.

— გამარჯობა მზია, — გულზე მომეშვა. — სად დაეხეტები.

— მთავრობის სახლის წინ ვარ, ჩამოდი.

— რა იყო, მოგენატრე?

— ჰო, ჩამოდი... საქმეც მაქვს.

— მარტო ხარ?

— მარტო.

— მოვდივარ.

ყურმილი დავდე. გამგეც მოსულიყო.

— როგორაა სულაძის საქმე? — ვკითხე.

— შავად, — გაეცინა, — მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე არ იყო და ერთი საათის შემდეგ უნდა მივიყვანო კიდევ. სიგელების რა ჰქენი?

— შეამოწმებს და გამოგზავნის, — ვუთხარი და განცხადება დავუდე წინ. — ცოტა ხანს ქვევით ჩავალ და მალე ამოვალ.

— წადი!

გამგეს მაინცდამაინც არ უჩქარია განცხადების წაკითხვა. ალბათ, რაიმე მომართვა თუ ეგონა. კარებში რომ გავდიოდი დავინახე, თუ როგორ გაიკეთა სათვალეები, მაგრამ მეტხანს აღარ გავჩერებულვარ. ქვევით დავეშვი. მზია კიბეებთან მიცდიდა.

— მოხვედი? ო, როგორ მინდოდა ახლა შენი ნახვა.

— აი, მეც აგერ ვარ.

— როგორ ხარ?

— მშვენივრად. შენ?

— ნუღა მკითხავ.

— რა მოხდა, ახალია რამე?

— ნუღა მკითხავ.

ხელი მოვკიდე.

— წავიდეთ, გავიაროთ ცოტა. რუსთაველის ქუჩას გავუყევით.

— რაღაც ვერ ხარ ხასიათზე, — ვუთხარი მე.

— მართლაც, — თმები გაისწორა ვიტრინაში, — აღარ შემიძლია, ვაჟა.

— რა?

— ყველაფერი მომბეზრდა.

— ნოდარიც?

— ნოდარიც. ძალიან მოსაწყენია. მე გამეცინა.

— ნუ, ჩემო კარგო, ნუ დამცინებ, აღარ შემიძლია.

— როდის დაგცინი?

— არ ვიცი... უცებ მომეჩვენა. ძალიან უბედური ვარ.

— მაინც რა მოხდა?

— არაფერი. უცებ მომბეზრდა... ეს ქუჩაც მომბეზრდა, ეს უსაქმური ხეტიალიც... ყველაფერი, ყველაფერი.

— მესმის. მოდი, ცოტა ხანს ჩამოვჯდეთ სადმე?

— საად?

— ზევით.

— კარგი.

ავედით და სკამზე დავსხედით ილიას და აკაკის ძეგლს უკან.

— რაიმე საქმეს უნდა მოჰკიდო ხელი მზია — ვუთხარი მე.

— რა საქმეს?

— რაიმეს.

ერთხანს დაფიქრებული ვისხედით და პატარა თეთრწინსაფარიან ბავშვებს ვუყურებდით. მზიანი თბილი დღე იყო და რომელიღაც საბავშვო ბაღიდან გამოეყვანათ სასეირნოდ ჯგუფ-ჯგუფად ისხდნენ აგურის სილაში და თამაშობდნენ. ზოგ მათგანს თუნუქის კოლოფიც ჰქონდა და კენჭებს აგროვებდა შიგ. მასწავლებლები — შუახნის სიმპათიური ქალი და მოკლედთმებშეკრეჭილი გამხდარი გოგო, ცოტა მოშორებით ერთად ისხდნენ სკამზე და საუბრობდნენ. მე მზიას შევხედე.

— რაზე ფიქრობ?

— ყველაფერზე. მთავარი კი მაინც ისაა — წიგნი დავხურე თუ არა, თავი ამტკივდა... საშინელებაა. ისეთი განცდა მაქვს, აღარც კი ვიცი როგორ ვთქვა... ლაფში ჩაფლული ურემიო, ხომ გაგიგონია?

— არ მესმის, რა წიგნებზე ლაპარაკობ.

— წიგნები, წიგნები, — ნაძალადევად გაიცინა — „როგორ ბრძანდებით მისის გორდონ?“ — თქვა მან. „გული მერევა“ ვუთხარი მე.

„კონიაკს არ მიირთმევთ, მისის?“ — თქვა მან. „გული მერევა“ — ვუთხარი მე. „იქნებ ჩემთან წამოსულიყავით, ჰა?“, „როგორ ვერ გაიგეთ, სერ, ყველანი გულს მირევთ-მეთქი“.

— ოჰო!

— სასაცილოა არა? ლაფში ჩაფლული ურემივითა ვარ... რა საქმეს უნდა მოვკიდო ხელი? ტყუილია შენი აგიტაციები. თავი დამანებე.

მე არაფერი მითქვამს. ბრძანება ამოვიღე და გავუწოდე.

— ეს რა არი?

— ბრძანება. თავი დავანებე სამსახურს.

— რატომ?

— ლაფში ჩაფლული ურემივითა ვარ, — გამეცინა მე— ამოსვლა მინდა.

— კარგი ერთი, ჩემი მეყოფა.

— ჰო, ჰო, არ გეხუმრები. ქალალდებით ვერ ავაშენე სპორტის სასახლე და ახლა ისევ რკინა-ბეტონით უნდა ვცადო.

— თბილისიდან მიდიხარ?

— სავალდებულო არაა... თუმცა მე მაინც მინდა წასვლა.

მზიამ ამოიოხრა და ქალალდი დამიბრუნა.

— ახლა მართლა ურემივითა ვარ... ორივემ მიმატოვეთ.

— იქნებ შენც წამოსულიყავი ა? მისის გორდონ? — გამეცინა მე.

— სად?

— სკოლები ცოტაა? ინგლისურად გაანათლებდი ქვეყანას.

— დამცინი? კარგი პედაგოგი კი ვიქნები!

— შესანიშნავი, შენ რა იცი?

— ვიცი. ის წიგნი რომ დავხურე, მერე მივხვდი.

— მარტო წიგნით არ იზომება ყველაფერი, მზია.

— განა მე ვზომავ? გუშინ სკოლის წინ გავიარე. შესვენება იყო და ბავშვები გამოფენილიყვნენ გარეთ. უნდა გენახა ვაჟა, რა წმინდები იყვნენ, რა სუფთები, რა უმანკოები... აი თუნდაც ესენი ავიღოთ... განა მე მიმესვლება მათთან?

— ნუ სულელობ, — ხელში მოვკიდე ხელი. — მოდი ვაჟასთან წავიდეთ,

— ვუთხარი მერე უცებ, — არ მოგენატრა?

— ვაჟასთან?

— ჰო.

— მომენატრა... მართლა ამბობ?

— აბა რა. ზეგისთვის ავიღებ ბილეთებს.

— რა კარგია. ხომ არ მეხუმრები, ვაჟა?

— გეხუმრები კიდეც და ყველაფერი. ზეგისათვის ავიღებ ბილეთებს. — ხელზე მომიჭირა ხელი.

— რა მეშველებოდა, შენ რომ არ მყავდე, შენ და ვაჟა.

— ხომ გყავართ. რას ჩამოგიშვია ცხვირი.

— როდის ჩამომიშვია, — გამოცოცხლდა, — წელან მარტო ვიყავი...

— მესმის. უღელში უნდა შევებათ მე და ვაჟა და ერთი მაგრა გავიქაჩოთ. თქვენ რას იტყვით, ქალბატონო ლაფში ჩაფლულო ურემო?

— კარგი ერთი.

ჩვენს წინ პატარა ბიჭი და პატარა გოგო თამაშობდა. პატარა ბიჭმა უცებ ყურში რაღაც უთხრა პატარა გოგოს და გაიქცა. გოგო ერთ ხანს გაკვირვებით აფახულებდა წამწამებს, მერე ატირდა. მოკლეთმიანმა გამხდარმა მასწავლებელმა მოიხედა და გამაფრთხილებლად დაიძახა:

— ჭკვიანად ბავშვებო! — მერე ისევ განაგრძო საუბარი. მზია წამოდგა და გოგოს წინ ჩაიმუხლა.

— რატომ ტირი, გენაცვალე? — ჰკითხა.

გოგოს ტირილი არ შეუწყვეტია, ისე უპასუხა:

— გურამმა ცუდი სიტყვა მითხრა, მასწავლებელო.

ეს ბავშვები ყველას რომ მასწავლებელს ეძახიან!

— აბა გურამი?

— აგერ დგას.

ბიჭი მოშორებით იდგა დოინჯშემოყრილი და ჩვენსკენ იყურებოდა.

— რა გითხრა? — მოეფერა მზია, — აბა მითხარი?

— ვერ ვიტყვი, მცხვენია.

— თქვი, თქვი, ნუ გრცხვენია. მე ხომ მასწავლებელი ვარ?

ამან გასჭრა.

— რა და... მიყვარხარო?

— რაო? — მზიამ მე შემომხედა. მე გამეცინა.

— მიყვარხარო, — თქვა გოგომ.

ვიცინოდით და არ ვიცოდით რა გვეთქვა. მერე მზია ისევ დაიხარა მისკენ.

— შენ ხომ გყავს ძმები, გენაცვალე?

— დიახ, მასწავლებელო.

— ხომ გიყვარს ისინი?

— დიახ.

— იმათაც ხომ უყვარხარ?

— დიახ.

— ჰოდა, გურამსაც ისე უყვარხარ, გენაცვალე.

— მართლა, მასწავლებელო? — გაეხარდა გოგონას. უცებ გაიქცა და დოინჯშემოყრილ ბიჭთან მიირბინა. მერე სილაში ჩასხდნენ სათამაშოდ პატარა ბიჭი და პატარა გოგო. მე მზიას შევხედე. საოცრად გამოცვლილი და გალამაზებული მეჩვენა.

— ზეგისათვის ავიღებ ბილეთებს, ვთქვი მე.

— ზეგისათვის? — უცებ ვერ გამოერკვა იგი, — ჰო, ჰო, დეპეშა არ გავუგზავნოთ ვაჟას?

— გავუგზავნოთ, — ავდექი მეც, — შესანიშნავი მასწავლებელი იქნები.

— კარგი ერთი, — ხელი მომიჭირა.

ისევ ქუჩაში გამოვედით და ფოსტისკენ გავწიეთ. მივდიოდი და ვგრძნობდი, რომ რაღაც ახალი იღვრებოდა ჩემს სულში, რაღაც ჯერ განუცდელი და ახალი.

ფოსტაში შევედით და დეპეშა გავგზავნეთ.

— რა კარგია, — თქვა მზიამ, — აქამდე რატომ ვერ ვიგრძენით ეს?

— ასეა. ყოველთვის ასეთან ვგრძნობთ ხოლმე.

— გასწავლა ნოდარმა? — გაეცინა.

— კარგი ბიჭია ნოდარი.

— განა მე ვაგინებ? კარგი ბიჭია, მაგრამ... მითვის იქნებოდა ცუდი ასე რომ არ მექნა.

— მესმის. ასე აპირებს დარჩენას?

— რა ვიცი, — მხარზე მომეკრა, — ხანდახან რომ დავფიქრდები, შემეშინდება... მომეწონება შორიდან ვინმე, მივალ ახლოს და არაფერი... საშინელებაა.

— არაუშავს, ჯერ არ არის გვიან.

— შენ ასე ფიქრობ?

— რა თქმა უნდა... შეიძლება ცუდი სიტყვა გითხრა?

— თქვი, თქვი, — გაეცინა მზიას.

— რა ფუნჩულა გოგო იყო, არა?

— ბიჭი?

— ბიჭიც.

წყლების მაღაზიამდე ავედით, მერე მზია გამომემშვიდობა.

— ჰო, ჰო, როგორ მიხარია. — მართლაც ძალიან გახარებული იყო.

— ნახვამდის!

— ნახვამდის!

ხელი დამიქნია და წავიდა. სანამ ავტობუსზე არ ავიდა, ვიდექი და ვუყურებდი. როცა ადიოდა, მოტრიალდა და ისევ დამიქნია ხელი. მე ქვევით დავუყევი ქუჩას. სამსახურში უნდა ავსულიყავი.

ოთხის ნახევარი იყო.

გამგე ისევ მინისტრთა საბჭოში დამხვდა წასული. ოთარი ოვაციებით შემომეგება:

— ყოჩაღ, — მხარზე დამკრა ხელი, — ვაჟკაცი ყოფილხარ.

— რაზე მეუბნები?

— ამაზე, — განცხადებაზე მიმითითა, რომელიც გამგის მაგიდაზე იდო, — ყველა ვერ იზამდა მაგას.

— რატომ, ვითომ?

— თბილი ადგილი ხომ იცი... ეს ადგილი კი ძალიან თბილია.

რამაზმა თავი აიღო.

— მაინც არ მესმის, — თქვა მან, — ასეთ ადგილს კაცი დაჰკარგავდა?

— შენ ასე ფიქრობ?

— ოთარის რას უყურებ, სამხედროშია მიჩვეული ხეტიალს, დაფიქრდი, ვაჟა, მე შენთვის კარგი მინდა.

— მესმის.

— დახიე განცხადება.

— აქ მარტო განცხადებაზე კი არ არის საქმე, — უთხრა ოთარმა.

— ამ ადგილის დაკარგვა სისულელეა. საიდან არ რეკავდა ხალხი.

— ვერ დავხევ, რამაზ, — ვუთხარი მე. — ისე კი გმადლობთ რჩევისათვის.

მან თავი გააქნია.

— ახლა საით აპირებ? — მკითხა ოთარმა.

— სადმე მშენებლობაზე.

— კანცელარისტად?

— წადი ერთი.

— გეკუთვნის დუდუკებზე ქეიფი. ხომ გპირდებოდი, ამაღამ შეგისრულებ.

— მართლა?

— აბა რა, ჯერ ეს სამუშაო დღე დამთავრდეს.

— რომელი საათია.

— ხუთის ნახევარი.

— გამგე მოვა?

— არა, იქედანვე წავა.

— რა თქვა.

— არაფერი.

— მე მაგიდის უჯრები დავალაგე.

— არ მესმის... ასეთი ადგილის დაკარგვა? — თქვა რამაზმა.

— ნუ დარდობ, რამაზ, — ვუთხარი მე — ყველაფერი კარგად იქნება.

გოგოებს ბრძანებები მოეტანათ გადაბეჭდილი. თავმჯდომარე წასული იყო, ავედი და მოადგილეს მოვაწერინე ხელი. მერე დეიდა ნინოს შევუტანე გასატარებლად.

— ვერ გიქნია ეს კარგი საქმე, შვილო, — მითხრა მან.

— რატომ დეიდა ნინო?

— არ უნდა დაგენებებინა თავი.

— განწყობილების საქმეა, — გამეცინა მე.

— ეჰ, ახალგაზრდები, ახალგაზრდები...

როგორ უხდებოდა ეს მეგრული აქცენტი. სიამოვნებით გავუბამდი კიდევ ლაპარაკს, მაგრამ რამაზმა დამიძახა: გამოდი რადიოდან გირეკავენო. გავედი.

— ალო.

— გამარჯობათ პატივცემულო, ვაჟა.

— როგორ ბრძანდებით თქვენო ბრწყინვალებავ?

— დიდებულად... მზიამ მიმატოვა.

— ვიცი, მითხრა.

— ეჰ... რა გოგოა! მაგრამ ხასიათი? დასწყევლოს ეშმაკმა, ქალების ფსიქოლოგია სპეციალურად უნდა შეისწავლოს კაცმა.

— რაღაც არ გავხარ ძაან უბედურს, — გამეცინა მე, — შენც გადაგიყვარდა უკვე?

— რას ამბობ. გული მომეწურება, რომ გამახსენდება, მაგრამ რას ვიზამ? არ იქნება ძალადაო, ხომ გაგიგონია? გივიზე ადრე მოვწყინდი.

— მართლა, გივი აღარ შეგხვედრია?

— ერთხელ. მზიასთან ერთად მივდიოდი. არ მომსალმებია.

— შენ რაღას გერჩის?

— რა ვიცი. ამ მეცნიერ-მუშაკებს შენ გაუგებ?

— ახლა რას აპირებ!

— რა უნდა დავაპირო?

— მზიაზე გეუბნები.

— არაფერი არ გამოვა. ვილაპარაკეთ უკვე, — თქვა მან, — მართლა დღეს იცი ვინ დამირეკა?

— ვინ?

— იმ გოგომ, მცხეთაში ძალათი რომ გამაცანით. ცოტა გამომიყვანა პესიმისტური მდგომარეობიდან.

— აჰა. აბა არ დაიკარგები, ნუ გეშინია.

— მეც მაგის იმედი მაქვს. შენ რას შვები?

— კარგად ვარ.

— აქ რომ დარეკავ, შენზე იცი რას ვეუბნები ბიჭებს? ეს, სამინისტროში რომ კაცი მყავს, ის არის-მეთქი.

— ტრაბახობ ჩემით? — გამეცინა

მე, — უნდა საფუძველშივე მოგისპო ეს მავნე სნეულება.

— როგორ?

— თავი დავანებე მუშაობას.

— რამ წამოგიარა?

— ხდება ხოლმე.

— სად აპირებ, ისევ თბილისში?

— არა, პროვინციაში, ბატონო ჩემო.

— წადი, წადი. თუ კარგად იმუშავებ ჩამოვალ და ნარკვევს დავწერ შენზე.

— აგიშენებივარ და ის არის.

— ჰო, რას იცინი. ნარკვევი, ძმაო ჩემო, სიყვარულივითაა—ხან აგამაღლებს, ხან დაგცემს. ფრთხილად უნდა იყო, ძმაო, ქალებს და ჟურნალისტებს უნდა ერიდო.

არ იყო მაინცდამაინც ცუდ ხასიათ--ზე.

— როდის მიდიხარ?—მითხრა მერე.

— ხვალ საღამოს.

— გაგაცილებ.

— მზიაც მოდის.

—მზიაც.

— ჰო.

— ეჰ... მაინც გაგაცილებ, გივი ხომ არა ვარ.

— კარგი ხვალ დაგირეკავ.

— ნახვამდის.

ყურმილი დავკიდე და ზარის ხმაც გაისმა. ხუთი საათი იყო.

—რა ამბავია,—თქვა რამაზმა,—მთელი ხუთმეტი წუთი ლაპარაკობ.

— უკანასკნელად მინდა დავტკბე ამ ტელეფონით.

— აბა ძმებო,—თქვა ოთარმა,—წავედით, დუდუკები გველიან.

— მე ვერ წამოვალ,—წამოდგა რამაზი.

— ნუ დამიწყებ ახლა. არავითარი პროტესტი, ჩაიცვი.

— ჰო, მაგრამ...

— ხმა მეთქი.

კარები ჩავკეტეთ და გამოვედით. ხალხი ნიაღვარივით მიედინებოდა კიბეებზე.

— კოლმეურნეობის მოედნამდე ფეხით ჩავიდეთ, — თქვა ოთარმა, — იქ ტრამვაიზე დავსხდებით. მანქანას ახლა ვერ ვიშოვით.

— წავიდეთ, წავიდეთ,— [illegible] ამინდია.

ნელ-ნელა გავუყევით. პიონერთა სასახლის წინ, წიგნებს რომ ყიდიან, ჩემი ძველი თანაკურსელი შემხვდა. რომელიღაც წიგნს ათვალიერებდა. დამინახა თუ არა ჩემსკენ გამოექანა. ისევ ორივე ხელით მომესალმა და ამბავი მკითხა.

— კარგად ვარ,—ვუთხარი მე. რამაზი და ნოდარი განზე იდგნენ.

— ხომ არაფერი გამოჩენილა?

— სამსახური? შენ ისევ იქ მუშაობ?

—აბა.—თვალები მარტვილივით აღაპყრო ზევით.

— საშინელებაა,—ვთქვი მე,—მაგრამ რა ვქნა. მე თვითონაც მომხსნეს სამსახურიდან. აი,—ბრძანება ამოვიღე და დავანახე.

— რას ამბობ?

— ჰო.

— მეტრეველი?

— სწორედ მეტრეველმა მომხსნა.

— ვერ ყოფილა შენი საქმე კარგად,— მითხრა და მშრალად გაიცინა. უცებ ისევ ის ძველი მედიდური გამომეტყველება დაუბრუნდა, როგორც ადრე ჰქონდა.

— წავედი, დამირეკე ხოლმე,—მითხრა მოწყალედ და ხელიც კი არ ჩამოურთმევია.

— კარგად იყავი,—ვუთხარი მე.

ოთარი იცინოდა, მათთან რომ დავბრუნდი.

— ეს რას გავს კაცო,—თქვა მან,— ჯერ ორი ხელით მოგესალმა გაბადრული. მერე კი კუშტად გამოგემშვიდობა და ხელიც არ ჩამოგართვა.

— ასეთია ცხოვრება. — გამეცინა მე,—განთავისუფლების ქაღალდი ვაჩვენე.

— ვინ არის?

— ჩემი ძველი მეგობარია.

— კარგი მეგობარი გყოლია.

— ეჰ,—თქვა რამაზმა,—არ უნდა დაგენებებია თავი, კარგი ადგილი გქონდა.

ტრამვაიზე დავჯექით და ავლაბრისაკენ წავედით.

მედუდუკეები და დუდუკები ერთმანეთს გავდნენ, ოღონდ მუსიკა არ გავდა მათ. მუსიკა იყო რაღაც სულ სხვა, ნათელი და შარავანდედით მოსილი. ეს იყო, ის ყველაზე ლამაზი ნატვრა—ბავშვობაში რომ ვინატრე და ამისრულდა. ეს იყო ტელეფონში მოსმენილი უცნობი ქალის საყვედურნარევი ხმა, უმანკო და სუფთა ბავშვის სიმღერა, რომელთა მოსმენის უფლება ყველას არც ჰქონდა. ეს იყო ერთად ერთი სიკეთე, რომელიც უნებურმა დანაშაულმა გაწონასწორა, ამაღელვებელი ფიქრები მშობლიური მიწის იმ ნაჭერზე, სადაც ღრმად მქონდა ფესვები გადგმული და ოცნება დიდ უკვდავებაზე. ასე მეგონა მთელი ჩემი ცხოვრება ხელისგულზე მაქვს მეთქი დადებული. ჩემი მეხსიერების განათებულ ეკრანებზე ეხლა ერთმანეთის მიყოლებით ამოცურდა ამ ორი კვირის განმავლობაში ნანახი და განცდილი, მოსმენილი და განაგონი, ნაგრძნობი და მინახვედრი, ო, რა გრძელი იყო ეს ორი კვირა.

მტკვარი ჩაუდის თბილის—ქალაქს,
სევდას წაიღებს...

მღეროდნენ მედუდუკენი. თვითონ დუდუკები კი სულ სხვა რამეს მიამბობდნენ და მომითხრობდნენ:

ერთი პატარა გოგონაა. მეცხრე კლასში სწავლობს და ლექსებს სწერს... მთვარიანში ხშირად უცქერნია ცისთვის და როცა იქედან ერთი ვარსკვლავი მოწყვეტილა, გული შეთრთოლებია. ოცნებით გადაურბენია ყვავილებით მოჩითული ერთი ციდა ეზო და ძეწნებისთვის გაუნდვია თავისი საიდუმლო ჩურჩულით:

„მე მიყვარს და ვარ ადამიანი,
და მასაც თუ ვუყვარვარ... ღმერთი ვარ".

ერთი პატარა გოგონაა, ხუთებზე სწავლობს და ლექსებს სწერს...

ოთარმა ჭიქა შემივსო. რამაზი მთვრალი იყო უკვე და მაგიდაზე თავჩამოდებულს ეძინა.

— გულით მიხარია შენი ამბავი,— მითხრა მან,—არ უნდა დაჯდე. ახალგაზრდა კაცი არასოდეს არ უნდა დაჯდე... გესმის? მერეც ამოგივა ყელში. დავლიოთ დაუჯდომელი ახალგაზრდა კაცის სადღეგრძელო.

— დავლიოთ.

ჭიქა მომიჯახუნა.

— ჩვენ რას გვიყურებ! ჩვენ ყველანი ცოლშვილიანები ვართ და დაბმულები. რამაზიც ცოლშვილიანია, შალვა დიმიტრიჩიც, ყველანი, ყველანი... მთელი ქვეყანა ცოლშვილიანია... შენ ჩვენ რას გვიყურებ. დუდუკებზე საქეიფოდ აქამდე იმიტომაც არ წამოგიყვანე. ყველა კი არ დამყავს. ყველა ნაბიჭვარი კი არ არის ღირსი ამ მუსიკას მოუსმინოს... შენ გაგიმარჯოს.

დავლიეთ. რამაზმა ოთარის ყვირილზე თავი ასწია.

— მე?—თქვა მან. ენა ეშლებოდა,— გამივსეთ... მე თქვენ ვინ გგონივართ. მთავარი ინსპექტორი ვარ. ყველა მეუბნება, აქამდე განყოფილების გამგეც გახდებოდიო... მერე რატომ ვერ გავხდი?—უაზროდ შეგვათვალიერა,—რატომ? ვერ შევძლებ თუ? რა იცის დიმიტრიჩმა ჩემზე მეტი. ყველაფერს მე ვაკეთებ... რატომ არ ვარ გამგე?

— იქნები—უთხრა ოთარმა,—ნუ ღელავ.

— სად არის მერე?—ისევ ჩაჰქინდრა თავი.

მტკვარი ჩაუდის თბილის — ქალაქს,
სევდას წაიღებს...

მღეროდნენ მედუდუკენი.

გოგონა მეცხრე კლასში სწავლობს, ხუთებზე სწავლობს და ლექსებს სწერს...—მღეროდა დუდუკები და ჩემი სულის მუსიკა.

გაოეთ კი თბილისის ვარსკვლავიანი და თბილი ღამე იყო.

X

ციცინო ყელზე ჩამომეკიდა.

— კარგი ნუ დამახრჩვე,—ვუთხარი მე და კარები მივხურე.

— დაგახრჩობ, დაგახრჩობ,—ყელზე მომიჭირა ხელები,—უნდა დაგახრჩო.— მერე გამიცინა. ხელები ჯიბეებში ჩაიწყო და მიბრძანა:

— გამხადე პლაშჩი!

— ეხლავე, ქალბატონო.

სულ ცისფერებში იყო გამოწყობილი: ცისფერი კაბა, ცისფერი ფეხსაცმელები, ცისფერი თავსამკაული...

— მოსატაცებელი გოგო ხარ,—ვუთხარი.

— მერე რატომ არ მიტაცებ?

— მოვა დრო და მოგიტაცებ.

— დრო, დრო...

პლაშჩი დერეფანში დავკიდეთ და ოთახში შევედით. სწორედ ეხლა ვაპირებდი ქუჩაში გასვლას და მისთვის დარეკვას. ამ საღამოს მივდივარ თბილისიდან და მინდოდა გამოვთხოვებოდი. სამი საათი იყო. ჩაის ვსვამდი. ნამთვრალებზე ძალიან მიყვარს ჩაი.

— ოჰ,—გაეცინა ციცინოს,— ახლა ადექი?

—დიახ, სინიორიტა,—ვუთხარი მე, — მომიზადე რამე, მშია.

— რა მოგიმზადო?

— რამე.

— მე მარტო კისელის გაკეთება ვიცი;

— ავშენებულვარ აბა. — გამეცინა მე,—აქამდე სად იყავი, რატომ არ გამოიარე?

— შენ თვითონ რატომ არ დარეკე?.. რანაირი ხარ, ვაჟა. სულ არ კითხულობ ჩემს ამბავს.

— რა კითხვა გინდა, მშვენიერად ხარ.

— მშვენივრად, მშვენივრად... რა საშინელებაა ეს მშვენივრად ყოფნა! იცი, რატომ არ მოვედი?

— რატომ?

ვიფიქრე: თუ ვუყვარვარ, თუ მართლა ვუყვარვარ, თვითონ მოვა და მომნახავს-მეთქი.

— პატარა სულელი გოგო ხარ, — ბვერდით მივუჯექი მე.

— შენ კი არ გიყვარვარ. რატომ არ გიყვარვარ, ვაჟა?

— ჭკვიანად იყავი, თორემ გავაბრტყელებ, — ხელი მოვხვიე.

— ოჰ, ოჰ, ოჰ, თავი დამანებე—ხელი გამაშვებინა—კიდევ თერთმეტი თვე და სამი კვირა დარჩა, არა?

— ხომ გეუბნები, ჭკვიანად იყავი-მეთქი.

თავი დახარა და ქვეშიდან შემომხედა კატასავით მიყურებდა.

— ჭკვიანად, ჭკვიანად! გული გამიწყალეთ ყველამ.

— მეც?

— შენც, ყველამ.

ერთხანს ასე გაბუტული იჯდა. მერე უცებ გამოიდარა.

— რანაირი ნიკაპი გაქვს,—მითხრა სიცილით და ხელი მომისვა.

— რანაირი?

— შუაზე გაყოფილი და ბრტყელი. მე კი,—ახლა თავისაზე მოისვა ხელი,— წვრილი, გამსლეული.

— შენც თვითონ გამსლეული არა ხარ?

—გამსლეული ვარ ხომ,—ზურგი შემაქცია.

— ოღონდ ნუ გამებუტები, თუ შეიძლებოდეს,—ვუთხარი მე,—ლექსები არ მოიტანე?

— არა,—არ მოუხედავს ისე მიპასუხა.

— რატომ მერე?

—იმიტომ.—არც ახლა მოუხედავს,— რომ არ მოხვედი და არ მომნახე. რატომ არ მოხვედი და არ მომნახე? რატომ არ მოხვედი?

— არ ვიცოდი. აწი მოვალ.

—მართლა?—შემოტრიალდა,—რა კარგია. მართლა მომნახავ? — და მერე უცებ:

— ვაიმე!

— რა იყო?

— უნდა წავიდე.

— რა მოხდა?

— სახლში სტუმრები გვყავს, პურზე გამომგზავნეს.

მეც ახლა გამახსენდა, რომ სწავლის შესახებ ჯერ არაფერი არ მითქვამს.

— დაიცა, მეც გამოგყვები—ვუთხარი.

— ჩქარა, ჩქარა,—პლაშჩის ჯიბიდან ბადურა ამოიღო, — დამიჭირე.

დავუჭირე და პლაშჩი ჩაიცვა. მერე სანამ მეც ჩავიცვამდი, ის უკვე ქვევით იყო და მიცდიდა. ვითომ რამე გააკეთა.

პურის მაღაზია იქვე იყო და ფეხით წავედით. ციცინომ ხელი გამიკეთა და ცერებზე აწეული მომყვებოდა. მე იმაზე ვფიქრობდი, თუ როგორ მეთქვა მისთვის თბილისიდან მივდივარ-მეთქი. იქნებ ჯობდა სულაც არ მეთქვა? რა ვიცი, ბავშვია ჯერ მაინც; ყველაფერი შესაძლებელია მოხდეს.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის წინ ვიღაც მთვრალები ქურთები გადაგვეყარნენ. სამნი იყვნენ და ბანცალით მოდიოდნენ. ჩვენ რომ გაგვიარეს, რომელიღაცამ მხარი გაჰკრა ციცინოს.

— აჰ,—იწივლა მან.

მე შემოვბრუნდი. იქვე იდგნენ და ილრიჭებოდნენ. სისხლი ამივარდა თავში. ციცინოს ხელი გავაშვებინე და იმას, რომელმაც მხარი გაჰკრა, გულისპირში ჩავავლე. მერე გავარტყი. კედელს მიენარცხა. დანარჩენებმა მკლავები დაიკაპიწეს. ერთმა დანაც დააძრო ჯიბიდან. ხალხი მოგვაწყდა.

—არ გააშველოთ,—იწივლა ისევ ციცინომ,—ხელი გაუშვით.

ყველამ მისკენ მივიხედეთ. გაფითრებული იდგა, ოღონდ თვალები უელავდა.

— მიდი—ვაჟა!—დამიძახა მერე. ამასობაში ერთმა მოასწრო და დამარტყა. დანიანს ვიღაც აკავებდა. მე ციცინოს ვეღარ ვხედავდი, მაგრამ ვგრძნობდი, იქვე იდგა და გაფაციცებით მადევნებდა თვალს. ხელი გავმართე და იმას, ვინც დამარტყა, ნიკაპს ქვემოდან ამოვკარი. მაშინვე დაეცა. მთვრალები იყვნენ და ადვილად გამომდიოდა. მერე დანიანიც გამოექცა ხალხს. ორივე ხელით მომიქნია. ვიღაც მოხუცმა კაცმა გვერდზე გამწია სწრაფად და ბეწვზე ამცდა. დანიანმა კი ცალკე ინერციისა და ცალკე სიმთვრალისგან თავი ვეღარ შეიკავა და დაეცა.

— მილიცია, მილიცია.—გაისმა აქეიქ. ჩემი მოჩხუბრები წამოცვივდნენ და გაიქცნენ. ამ შიშზე ეტყობოდა, რა ხალხიც იყვნენ. მე მივიხედ-მოვიხედე. არავინ არ ჩანდა.

ციცინო გაბრწყინებული მომეჭრა და ამაყად გამომდო მკლავში ხელი. ხალხმა თვალი გამოგვაყოლა.

— როგორ მიყვარხარ,—მითხრა მან და მკლავზე მომეკრა,—ჩემი გმირი ხარ.

— კაი გმირი ვიქნებოდი, იმ ყვითელ ეშმაკს დანა რომ დაერტყა.

— ჩემი გმირი ხარ. ვერ დაგარტყამდა.

— შენ რა იცი?

— ვიცი. ვერ დაგარტყამდა, ვერ დაგარტყამდა, ვერ დაგარტყამდა.

„ერთი პატარა გოგონაა—გამახსენდა წუხანდელი;—ხუთებზე სწავლობს და ლექსებს სწერს“...

— პური არ ვიყიდოთ?—ვუთხარი მერე, როცა მაღაზიასთან ავედით.

— ვიყიდოთ,—ბადურა გახსნა მან,—წამოდი ჩვენთან ვაჟა?

— თქვენთან?

— ჰო, მამა ჩამოვიდა. წამოდი რა?

— არ შემიძლია,—ვუთხარი მე.

მაღაზიაში შევედით და პური ვიყიდეთ.

—რატომ არ შეგიძლია?

ამ საღამოს თბილისიდან მივდივარ, მოსამზადებელი ვარ.

— რატომ მიდიხარ?

—სხვაგან უნდა ვიმუშაო; დიდი, დიდი კოშკები უნდა აგიგო,—გამეცინა მე.

— მართლა?

— აბა რისი გმირი ვარ?

ერთ ხანს გაფითრებული მიყურებდა.

— არ გაგიშვებ,—ხელში ჩამაფრინდა მერე,—არ გაგიშვებ. და უცებ:

— წადი, წადი. რა სულელი ვარ. მამაც ხომ მიდის ხოლმე... მე და დედა ერთად დაგიცდით შენ და მამას.

გული მომეწურა.

— შენც ხომ ყოველ ორ თვეში ჩამოხვალ, როგორც მამა?—მკითხა მერე.

— ჰო.

— უცებ მოხვალ არა?

— ჰო.

— ხანდახან დაიგვიანებ კიდეც, ხომ?

— ჰო.

— რა კარგია,—აგზნებულად შემომხედა,—ბებია ბუზღუნს დაიწყებს, დედაჩემი ჩემთან ჩხუბს, მე წერილების წერას და ისე ძალიან რომ მოგვენატრები, ისე ძალიან, როგორც მამა—უცებ მოგვადგები კარზე...

შუა ქუჩაში მომეხვია და მაკოცა. მერე გაიქცა. ფეხის წვერებზე აწეული მირბოდა. კოპწია იყო და მოხდენილი. ყველანი უყურებდნენ. ყოველ ფეხის ნაბიჯზე იხედებოდა უკან და ხელს მიქნევდა, სანამ ერთ მოხუც კაცს არ დაეჯახა. მერე ისევ დამიქნია ხელი და ავტობუსში შევარდა. მე შემოვბრუნდი. თითქოს რაღაც ჩამწყდა გულში. „სულ ბავშვია,—გავიფიქრე,—ვინ იცის, რა მოხდება. ნოდარის უნდა დავუბარო, მიმიხედოს“.

დრო იყო უკვე ბარგი ჩამელაგებინა და მზიასთან წავსულიყავი.

XI

მატარებელი ხიდზე გადადიოდა. მზიას ეძინა უკვე. ვაჟა კი დერეფანში ფანჯარასთან იდგა და გარეთ იყურებოდა. გარეთ თვალშეუდგამი სიბნელე მოჩანდა.

„კრეპი,—გაახსენდა უცებ მას,—შავი კრეპი, 2 მეტრი და 20 სანტიმეტრი“.

შუბლი მოისრისა.

„ყელსახვევებიც უნდა გამეგზავნა, ბურთიც, რამ დამავიწყა?“

კუპისკენ გაემართა. გარეგნულად დამშვიდებული ჩანდა. მაგრამ მაინც წყდებოდა გული თბილისზე. იყო რაღაც ძალიან სათუთი და მტკივნეული ამ გულისწყვეტაში.

„ვინ იცის რა მოხდება? ბავშვებთან ფრთხილად უნდა იყო კაცი. ყველაფერი არ უნდა ასწავლო“.

ორი რამ იყო უკან—ვალი და შეცდომები; წინ კი...

კუპის კარები შეაღო. მზიას გულაღმა ეძინა. ზეწარი გადახდოდა და ვარდისფერ პერანგში გახვეული თეთრი მკერდი უჩანდა, ვიღაც დაურიდებლად იჭვრიტებოდა ზედა საწოლიდან. ვაჟა რომ შევიდა, ხელად თავი მოიმძინარა.

„ამისთანა ხალხი უნდა გაიყვანო გვერდზე და გაასილაქო,—გაიფიქრა მან. მერე ფრთხილად დაიხარა მზიასკენ და ზეწარი გაუსწორა. მშვენიერი შესახედავი იყო. თმაგაწეწილს ეძინა ბალიშზე და წყნარად სუნთქავდა. ნაზად გადაუსვა თმებზე ხელი. მერე მოტრიალდა და სინათლე გამორთო. სიბნელეში გაიხადა და დაწვა. ათასნაირი ფიქრები აირივნენ თავში. ყველა ყურადღებას და გამოყოლას მოითხოვდა. არადა დაღლილი იყო, ეძინებოდა.

უცებ გაახსენდა რომ სინათლე სულ გამორთო. თვალი გაახილა. ფანჯარა ჩაბნელებული იყო. ჩაბნელებული იყო იმ მატარებლის ის ფანჯარა, რომელსაც უნდა გაყოლოდა და მიჰყვებოდა კიდეც. ხელი გადასწია და მაგიდის ფანარის ღილაკს თითი დააჭირა. კუპეში მაშინვე ვარდისფერმა შუქმა იფეთქა. გულზე მოეშვა. მერე თავი ბალიშზე დადო, მერე დაიძინა.

ძილში სპორტის სასახლე და მშენებლობის გრძელი კორპუსები ესიზმრა...

მატარებელი ხიდზე გადადიოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ მარგიანი

წიგნიდან „ღილე"

როცა დავმშვიდდე...

როცა დავმშვიდდე, მაშინ მითხარი
რომ ჩემი სისხლი ნახე დამცხრალი.
შეუბრალებლად, განუკითხავად
შემომაყარე თვალში ნაცარი.

როცა ვიქნები თვითკმაყოფილი,
უცხვად მოვითხოვ ვარდს და გვირილას,
გახდი ძვირფასის უარმყოფელი,
გადაიქეცი გლოვა-ტირილად!

როცა თავს სიბრძნით მოვიმძინარებ,
საკუთარ თავში არ დავეჭვდები,
სჯობს გაატანო მაშინ მდინარეს
ჩემგან მოძღვნილი ოქროს ბეჭდები.

როცა მედიდურს მნახავ სხვასავით,
შემიფრინდება სულში დიდება,
სთქვი:—ჩაესვენა ჩემი ვარსკვლავი
და არასოდეს ამობრწყინდება!

რისთვის მაგონებ...

რისთვის მაგონებ განვლილ ცდუნებას,
რაც წლების კვამლში სადღაც გამქრალა,
და დღეს შორია, როგორც ბუნებამ
შორი გახადა ჩემთვის საჰარა.

რასაც შენ ამბობ, კარგად მეცნობა,
რისთვისაც ახლა გინდა გამკილო,
ბუმბულზე მჩატე ჩემი შეცდომა
გახადო მუქი და სათაკილო.

ნუ მომაგონებ განვლილ ცდუნებას,
ძველი ნაღველი რად გსურს გალესო,
როცა ამ ქვეყნად გულს ეგულება
სათქმელი თბილი და საალერსო.

როცა სიბერე მეჩურჩულება
და სიჭაბუკემ თავი დახარა,
ო, ძველისძველი ჩემი ცდუნება
შორზე შორია, როგორც საჰარა.

რა იქნებოდა...

მე შენთან ყოფნის მკლავად წყურვილი,
მეჩვენებოდა წყაროს წკრიალი
და ერთადერთი მქონდა სურვილი,
რომ ვყოფილიყავ შენი ტრფიალი.

ტყვიამ დამინდო. ცეცხლმა დამინდო,
გავარვალებულ მზის მხურვალებამ.
ვერ გამიგია, იქნებ ამიტომ
არ შემიყვარეს შენმა თვალებმა!

გრიგალს გადავრჩი. სეტყვას გადავრჩი
და მაინც შემრჩა გული კეთილი.

როგორც ვენახი მღვრიე ავდარში
მე მხოლოდ შენით ვარ დასეტყვილი.

ვეძებდი სიტყვას თბილს და უნაზესს,
გავუძელ გვალვას, ხვატს და თაკარას,
ბედმა შენს ტუჩებს—წმინდა ოაზისს
დასაწაფებლად არ მიმაკარა.

რა იქნებოდა, რომ ბედს გავეშვი,
ერთხელაც მაინც ეცა ნუგეში,
რომ ჩამეხედა მე შენს თვალებში
ოდნავ ნაღვლიან ცის სილურჯეში...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მულხრის მწვანე ჭალავ

მულხრის მწვ ნე ჭალა,
ტირიფების კვნესა.
მოშრიალე ჩალა,
დაჟანგული ვეძა.

ზეცა ლურჯი, მქრქალი,
გამქვირვალე ბროლი.
მორის მიიმე ტანი
ცისფერ ლოდებს შორის.

წისქვილი და ძელი,
მიშვებული ღარი.
სარეკელას ენით
თქმული ბევრი პწკარი.

ნედლი თივის ზვინი,
ორთითების გროვა.
ნაზი, ფერმიხდილი
ყვავილების თოვა.

თუნგი სავსე რაჰით,
მოლოდინი ჩუმი.

მოალერსე ბალღი,
რძე და აბრეშუმი.

მაღლა მთაზე თოვლი,
ფიფქიანი კალთა,
დაბლა ჩემი ტოლი
შეთვალული პანტა.

პანტის ძირში მდგარი
გოგონების წყება,
თავსაფრების ქარი
და მზის გაღიმება.

მთიბველების ძმების
მოგუგუნე ბანი
და გაშლილი მხრების
მტკიცე გალავანი...

... მხოლოდ შენით მღერის,
შენით გაიმსქვალა
გული, გული ჩემი,
მულხრის მწვანე ჭალავ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი განთაელია

ცაბუტა და მისი რაინდი

ანუ

შემოდგომის ერთი ამბავი

მოთხრობა

მუდამ ასეა.

ყრმობის შთაბეჭდილებანი გვეწვევიან, მოგონებებში შევტოპავთ და მოგონებანი ნეტარებით აგვავსებენ ან დაგვაღონებენ. ხორცშესხმული დადიან ჩვენთან ერთად. ზოგი მათგანი ჭინკასავით აგედევნება, მერმე ფეხს მოირთხამს, ორჭოფულად თვალს ჩაგიკრავს და მქირდავი ღიმილით გეკითხება: „გძულვარ თუ გიყვარვარ?!“

და მოჰყვება იმ ცისას, ამ ბრისას.

გაოგნებული დადიხარ, უყურებ და არც უყურებ რასმე.

თუ ხელიდან გაგისხლტა, შეეცდები კვლავ დააბინავო იგი გულის სიღრმეში.

ასეა მუდამ

• • •

ორმოცდახუთძეტი წლისაა ცაბუტა, გამხდარ-გამხდარი და მაღალი. ასაკისათვის შეუფერებელი სახელი ჰქვია. ძაძით მოსილი დადის, მხრებზე დიდი, ორად დაკეცილი თავშალი აქვს მოხურული. ომში დაღუპულ უფროს ძმას და შარშანწინ გარდაცვლილ ბიცოლას გლოვობს. შინ მარტოდ-მარტოა. მისი ერთად-ერთი და ოჩამჩირეშია გათხოვილი, მოხუცი დედაც იქა ჰყავს, მარტოოდენ ზამთარში თუ ეწვევა აქეთ. საბრალო მოხუცს გული გაუცივა გაუთხოვარ ცაბუტას ჯიჯღინმა, სიცოცხლეს უმწარებს, დღენიადაგ ამას ჩასჩიჩინებს: ერთი ვაჟიშვილი დაკარგე საყვარელი და მიწაში გიწევს, შენ რატომ არ დაგევსო ეგ თვალები, დედაჩემო! დარჩენილ სიცოცხლის დღეებს ამადლის მხრებში მოხრილ, ყავარჯნიან დედაკაცს, თანაც როდიხს გაჰკრავს ფეხს, ან მჭადის საზელ გობს დაანარცხებს ხოლმე ქვედა სართულის მიწურიატაკზე.

„დია, დია, შენც იმათ მიწეოდე მალე, შვილო!“... — კვნესის უმწეო ესევდია, მეტის თქმა ვერ გაუბედნია თავის გულში ქოქოლას აყრის ცაბუტას, ღმერთს სამდურავს უთვლის, ასეთი უგვანო და ავყია რომ გამოურია მათ ოჯახს.

ცაბუტას არც ძმა ჰყვარებია დიდად, არც ბიცოლა ეხატებოდა გულზე, მაინც ყველასაგან ნუგეშს მოიოხოვს, თავისი ბედნიერებისათვის ვერ მოიცალა ქალმა, გარდაცვლილი ნათესავების გამო ტირილში დაუღამდა დღე და წუთისოფელი. მეზობლებს ერთი რამ ვერ გაუგიათ ოღონდ: მოკლე თმას რომ იღებავს და რაც კეფასთან შერჩენია, იმასაც გულმოდგინედ უვლის. ცაბუტას თხელი ტუჩები უსიამოვნოდ აჩენენ გამოხრულ კბილებს. ჭროღა და ცივი თვალები აქვს, ისეთი, თავის დღეში რომ ცრემლები არ დასცვივათ. ვისმე თუ მიუსამძიმრებს, უსულგულო და მშრალი ვიშ-ვიშით გამოიტირებს მიცვალებულს, საიქიოში ძმასთან სალამს დააბარებს, ორიოდჯერ კიდევ ამოისლუკუნებს და გაეცლება.

სოფელში ყველა უცნაურ, მაგრამ მოსარიდებელ ქალად თვლის ცაბუტას.

ყოვლის გამჩენს მაინც მთლად არ გაუწირავს იგი, ძალიან ხანდაზმულად არ გამოიყურება და სოფლის ქალებს იმითაც არა ჰგავს, რომ შეუძლია ზეპირად და სხაპასხუპით წარმოსთქვას საღვთო წერილის ზოგი მუხლი, რომლის შინაარსი მგონი თვითონაც კარგად არ გაეგება. ერთრამედ ღირს იმის ცქერა, მღვდელს რომ გამოაჯავრებს. ძველი აღთქმის სახელები მაშინ სასაცილოდ ისმის ცაბუტას ავყიობის ფონზე.

საიდან იცის?

ცაბუტას მამა, ცხონებული ლუკა, სოფლის დიაკონი იყო. მათი ოდის კედელზე ახლაც ჰკიდია გრძელწვერიანი მოხუცის გადიდებული სურათი, ხოლო ბუხრის თავზე ძევს ხუცურად დაბეჭდილი „კურთხევანი“ ორ დაჟანგულ შანდალს შორის.

ცაბუტას დედა ძიძად ერგებოდა ამქამად ფუძეაყრილ და ოდესღაც კუდაბზიკა აზნაურებს, თავის ორ პატარა ქალიშვილთან ერთად იგი ხშირად დაიარებოდა მათთან, ამიტომ ცაბუტას გონებაში ცხოვლად აღბეჭდილან ბავშვობის შთაბეჭდილებანი. ნეტარხსენებულ ლუკას ასულს შეუძლია დაწვრილებით მოუთხროს სოფლის ყოფილ ბინადართა ზნე-ჩვეულებებზე, ბევრი მათგანის მიმოხრა და გამოთქმები გაიმეოროს, თვალწათლივ დაუხატოს მსმენელს დიდი ცაცხვების ან ხელოვნური თალარების ქვეშ, ვრცელ ეზოებში გამართული საქორწინო ნადიმები, ისიც დასძინოს იმ დროს, წელებზე ფეხს თუ როგორ იდგამდნენ ცაბუტას მოგვარენი და სოფლის გოგო-ბიჭები პერანგის ამარა დატანტალებდნენ ვიწრო ორღობეებში. ცაბუტამ თავისებურად დასაჯა ისინი, ვის წინაშეც ოდესღაც შურით ავსილი და ტუჩებთან მიტანილი თითით იდგა: თავის თეთრბეწვიან ძაღლს ფეოდალური სახელი, ასტანდარ დადიანი შეარქვა!..

ცაბუტას ორსართულიანი სახლი მთავარი ქუჩის პირას ლამაზად მოვლილ ეზოში დგას. ოდის უკან პატარა საყანე ადგილია, სადაც დაბალი და მიწამდე ტოტებდაშვებული კაკალი ღრმა ჩრდილს აფენს. კაკლის ქვეშ ქვის ფეხებიანი მუდმივი მაგიდაა. სახლის წინ კი ხურმის, უნაბისა და სუროებიანი აკაციის შტოებია ერთმანეთზე გადახლართული. ეზოს შაბიამნისფრად შეღებილი ჭიშკარი ამშვენებს. აქედან ნახევარ კილომეტრზე კორდიანი ველი და ვიწრო დაღმართია. ცაბუტას სახლის აივნიდან მოჩანს მდინარე აბაშა, რომელიც ფართო ხეობიდან გამოდის და დაბლობზე მიიკლაკნება. მდინარის გადაღმა, დიდ ბორცვზე აყუდებულა ნანგრევები.

საღამოობით ცაბუტა ჩვეულებრივ აივანზე ზის თავისი ერთად-ერთი მეგობრითურთ. ბალკონის რიკულებს შორის ძაღლს ორი თათი გამოუშვერია ავი და კაპასი ვინმეა იგი, ზედ კოჭთან ეცემა ეზოში შემობორიალებულ რომელიმე არამკითხეს და წკავ-წკავით მიდამოს გააყრუებს. მცირეოდენი ხმაურის გამოც ყურებს ცქვეტს და თვალები გიშერივით უბრწყინავს ბამბის ქულასავით თეთრი ბეწვით დაფარულ ქუთუთოებში. მაშინ მხოლოდ მისი გრძელი კუდი განისვენებს გაუნძრევლად...

ცაბუტას ხელები იღლიაში უწყვია და მოწყენილი გასცქერის ქუჩაში მიმავალთ, შიგადაშიგ რაღაცას ებუტბუტება იქვე ჩაცუცქულ პირუტყვს...

დილით ადრე დგება ცაბუტა. თხელ ჩაის შესვამს, ძაძით შეიმოსება, ხელში ქოლგას დაიჭერს, ძაღლს რაღაცას დაუბარებს, ჭიშკარს მოიხურავს და დაბისაკენ გასწევს. დაბა სოფელს ორი კილომეტრითაა დაშორებული, ამიტომ გზადშეხვედრილ მანქანას გააჩერებს და შიგ მოთავსდება. ცაბუტას მეტწილად ფეხზე დგომა უხდება მგზავრებით გაჭედილ მანქანაში და მათთან ხშირად ჩხუბი მოსდის. ასე ვაი-ვაგლახით შედის დაბაში და გულმოსული პირველი ჩამოდის მანქანიდან, ფულის გადახდა კი ავიწყდება („აბა, სად გაახსენდებოდა, თქვენი ჭირიმე, ამდენი დაციდარაბის შემდეგ!“).

ხუთ საათამდე სამსახურშია. ჭრაკერ-

ვის სახელოსნოში მუშაობს მოლარედ და ერთხელაც არ უსარგებლია რითიმე: კაბა არ შეუკერვინებია მანდ, მტკაველის ოდენა შალის ნაჭერიც კი არ მიუთვისებია, მხოლოდ ერთხელ საკუთარი ფულით მომცრო კრაველის ქუდი გამოაჭრევინა ადგილობრივ მექუდეს და ერთიც — პატარა ჩოხა-ახალუხი ხუთი წლის ძმიშვილისათვის, ოჩამჩირეში წასაღებად. ცაბუტა ვერ ითმენს გაიძვერებს, მექრთამეებს, მძარცველებს, კოლმეურნეობის დოვლათის, სასუქისა და თივის გამნიავებლებს, მთავრობის ორგულ ხალხს. სამსახურიდან შინ მობრუნებული, ყველა ოხერსა და გადამთიელს მიუზღავს თავისას, მიკიბულ-მოკიბული არ უყვარს. ცაბუტას გულისყურით უსმენენ, კვერს არ უკრავენ, მაგრამ არც ედავებიან.

ჭიშკართან ცაბუტა კაბის ქობას დაიბერტყავს, ქოლგას დაკეცავს და ეზოში შევა. ასტანდარ დადიანი მხარულად შეიკუნტრუშებს და ხტუნვა-ხტუნვით აუძღვება აივანზე.

• • •

ოქროს შემოდგომა დგას. სოფელი ნახარებუ ცის ლურჯი თაღითაა გადახურული. ცაბუტას სახლის აივნიდან მოჩანს მარტვილის ტაძარი, მშვენიერი ტაბაკონის მთა და ლეჩხუმის გორაკები... ხეების ფოთლებს სიყვითლე შეჰპარვიათ, ჰყვავიან მხოლოდ ასკილის ბუჩქები, ტუხტი და გვიმრა. თემშარას თუ გადაჭრით და მდინარისაკენ მიმავალ ბილიკს დაუყვებით, დაინახავთ, მგზავრებს გაუთელიათ ეკლიანი ბარდები, ანწლი და კატაბალახა. ჰაერში კიდევ დაწრიალებენ ნემსიყლაპიები, ყურთან რომ აგედევნებათ ხოლმე. ცის ლაჟვარდოვან ტატნობზე მზეს ღაჟღაჟი გაუდის, ნაშუადღევს კი თანდათან იფერფლება დასალიერთან, ნელ-ნელა ხურავს მეწამულ წამწამებს და უკანასკნელად აყრის ოქროს მტვერს ტაძრის მოლაპლაპე ჯვარს.

ცხოვრებას თავისი მოთხოვნილებები აქვს.

ცაბუტა გობში გაბერტყავს სიმინდს, ნარმის პარკში ჩაჰყრის, იღლიაში ამოიჩრის, თავსაფარს მოიხურავს და ძაღლთან ერთად წისქვილისაკენ გასწევს. ძაღლს ყურები დაუშვია და გვერდით მიჰყვება.

გზისა და ბილიკის გასაყარ ადგილამდე, კოდმეს რომ ეძახიან, ცაბუტას უსიამოვნო განცდები არ მოელის მაინცდამაინც.

მაგრამ, სწორედ ამ დროს მეზობლის ორი ქალიშვილი, უფროსი ძაბული და უმცროსი მადონა, აგრეთვე ჭიშკარს გამოკეტავენ, მათაც წისქვილში საფქვავი აქვთ წასაღები და ცაბუტასთან ერთად უნდა გაუყვნენ თემშარას. ცაბუტას დანახვაზე ისინი წამით შედგებიან და ერთმანეთს გადახედავენ, რატომღაც შეაყოვნებენ, მერმე ნაძალადევი მორიდებით მეზობელს მხარს აუბამენ.

ძაბულის ჯერ ოცი წელი არ შესრულებია. აბაშის ტბებივით ლივლივა თვალები აქვს, სილურჯე მის წამწამებსა და უპეებსაც შეფრქვევია. სულის წამღები სილამაზისაა ეს შეჩვენებული. ან როგორი ნაწნავები აქვს, ხილაბანდში რომ ძლივს ეტევა! სოფლის ბიჭებს ყველას თვალი რჩება მასზე. ნატიფი, პირდაპირ დასაკბენი პირისკანი აქვს, სიცილის დროს ბროლივით კბილები გამოსჭვივის... ადრე ავსებია მკერდი, წვივები რძესავით თეთრი აქვს, მზეს ჯერაც არ დაუკრავს („კოლმეურნეობაში მუშაობას არიდებს მამამისი“.) და მის გვერდით მივაბიჯებ მე, ლუკას ბედნიერი ასული, სურსულა მოხდილი პირისახით, ფარგასავით თხელი და აყლაყუდა!..

ძაბული გრძნობს ცაბუტას გაყინული შურით აღსავსე ჭროღა თვალების სრბოლას და მხრები უთრთის... მისი უმცროსი და კი ერთი ეშმაკი ვინმეა, არავის რიდი და თაკილი არ იცის. ცაბუტა თითქოს სულაც არ ამჩნევს მას.

ან რა მისახედია ეს უცხვირპირო!..

ძაღლი ყორის ძირას გაშლილ ბუჩქთან ჩერდება და რაღაცას ყნოსავს. შემდეგ შარდს აქცევს. პატრონი შედგება და უცდის.

(შარშანწინ ცაბუტას ერთი ასეთი მეგობარი გაუსრისა სტუდებეკერმა. ეზოში მაგნოლიის ძირას დამარხა. ერთხანს იდარდა. მას შემდეგ ფრთხილობს, არ უნდა ასტანდარსაც იგივე ბედი ეწიოს).

— ფრუჰ!.. — ჩაიფრუტუნებს მადონა. ძაბული იდაყვს გაჰკრავს.

ძაღლი ბუჩქს თავს ანებებს და ყველანი გზას განაგრძობენ.

ცაბუტას ჭირის დღესავით ეჯავრება მადონა, რომელიც დაინახავს თუ არა მას, უმალვე პირს იბრუნებს და სიცილს ძლიკს იკავებს. არც ძაბული უყვარს, მაგრამ შესაჭმელი გოგო კია. როგორ გააჩინა იმ ლობიოს ბარჯგმა, დედამისმა, ამისთანა კალმით დახატული?!

— ძაბული, ურჩიე შენ დას, ჩემს უნაბს მოეშვას. მითხრეს, გუშინ ჩემი სამსახურში ყოფნის დროს შემოპარულა და ორი შტო დაუკრეფია!

— უი, ეს დასამიწებელი, ეს!—უჩქმეტს მადონას უფროსი და. მადონა კი მზადაა თავი იმართლოს, ყველა საფიცარი დაიფიცოს, დედ-მამა გაიწყვიტოს, მაგრამ ძაბული სიტყვის თქმას უკრძალავს.

მართლა უნაბის დაკრეფის გამოა ცაბუტა გულმოსული თუ სხვა რამ აჯავრებს?! რატომღაც მუდამ მას უთვალთვალებს ეს მატანტალა. თუ ძაღლთან ერთად ზის ბალკონზე ცაბუტა, ან უკანა ეზოშია თავის საყვარელ ოთხფეხთან ერთად, მადონა უმალვე თხრილის გასწვრივ თავის ეზოს ღობეს ჩაუვლის. ამ ეშმაკის კერძს ჰგონია ცაბუტა არ ატყობს?! კიდევ იმაზე მოსდის გული ცაბუტას, კაკო ფოტოგრაფს რომ ეპუტუნება რაღაცას... ჩუმად ხითხითებენ ორივენი... კაკო ფოტოგრაფი ძაბულის შერთვას აპირებს თურმე, ქალიშვილის მშობლები ამ აბ-ბავს საიდუმლოდ ინახავენ, ვინ იცის. რას არ ჩაულაპარაკებენ სასიძოს ავი ენები!... ცაბუტას არ უნდა დაიჯეროს სოფელში დარხეული ხმა. კაკო ფოტოგრაფის ამბავს ნუ იკითხავთ, ჯიბიდან გავარდნილი ვინმეა!.

კოდმეს უახლოვდებიან. სანამ ბილიკს დაუყვებოდნენ, სოფლის მაღაზიას და სასადილოს უნდა ჩაუარონ. და კვირაში ერთხელ წისქვილში მიმავალ ცაბუტასათვის აქ გავლა ნამდვილი განსაცდელია.

აი სოფლის მაღაზიაც. აქ კოლმეურნენი დასასვენებლად თავს იყრიან. სასადილოდან ისმის შეზარხოშებულთა ხმამაღალი ლაპარაკი. საპარიკმახეროს გვერდით ფოტოგრაფის სახელოსნოა. სწორედ მისი პატრონის დანახვა წელში გასცრის ხოლმე ცაბუტას, მუდამ გულში შესთხოვს ღმერთს, პირისპირ მაინც არ შეახვედროს ამ ვაჟბატონს.

მაგრამ ღმერთი სადაა, ცაბუტას არ წყალობს ღმერთი. თვალს მოჰკრავს თუ არა ფოტოგრაფი, უმალვე შარაგზის პირას გაჩნდება და განზრახ ყველას გასაგონად მიესალმება:

— ცაბუს გაუმარჯოს, ც-ცაბუს!.. (კაკო ცოტას ენას უკიდებს).

სასადილოს ფანჯრებს შიგ მყოფთა სახეები მოასკდებიან. ცაბუტა მათკენ არ მიიხედავს, გრძნობს კი, რომ ყველა მას უმზერს.

დგას კაკო ფოტოგრაფი და ცაბუტამ იცის, რომ ეშმაკურად აცმაცუნებს პატარა ულვაშებიან ტუჩებს. წაბლისფერი პირისახე აქვს და თვალებში მოუშორებელი ღიმილი უკრთის: ქალაქელ ბიჭივით აცვია, თხელი ქსოვილის აგურისფერი საყელო ლამაზად გადმოუფენია გულზე („მოქნილი ვაჟია, ამას უნდა ერქვას ასტანდარი!"). დიდი ქვეშ-ქვეშაა. მეხიც კი დასცემია, მიწა გახეთქია და შიგ ჩაუტანია...

— გაგიმარჯოს! — ცალყბად და უკმეხად მიუგდებს ცაბუტა, აინუნშიაც არ ჩააგდებს, წინ იყურება და ამაყად მიაბიჯებს. ფოტოგრაფისაკენ რომ მიიხედოს, დაინახავს, ის ძაღლიშვილი კიდევ არ აშორებს თვალს. მაინც რა-

ტომ შეუჩნდა ასე ძალიან?! ღმერთო, მომკალი, რა მაკადრა შარშან: „გათხოვდი ცაბუტა, მოძებნე ვინმე, თუ არა-და ძალით გაგაბახებინე თავი ვინმეს და მერე გაყევიო!“ ეს ეკადრება მის ჭაღარას? („ეგეც უნდა ვთქვა, თმა რომ შეღებილი მაქვს?!“) შარშან კი ჩააჩუმა ეგ სალახანა, ისეთი მწარე სიტყვა უთხრა, ალის ქარი ჩაუგდო, ცოტას გაწყდა, სილაც არ გააწნა. კაკოს კრინტიც არ დაუძრავს, არც წაკიდებია, მუდამ აქეთ ესალმება და უღიმის. მეტი რა ჰქნას ცაბუტამ? მეორედ გათათხოს?! გულში ბრაზს იკლავს ცაბუტა, თავს არიდებს. წერად აუჩნდა ეს კაცი, თუ რაა?

... ბილიკს დაუყვნენ. ძაბული და მადონა ხმაგაკმენდილი გვერდით მიჰყვებიან. ცაბუტა მთლად აღრენილია, კარგად იცის, თუ რატომ არ მიესალმა საცოლეს კაკო ფოტოგრაფი. ხალხს თვალს უხვევს.

— მაგ თავაგდებულთან ხომ არ მიგაქვს ჩემი უნაბი, შე უნამუსო?—ეუბნება ცაბუტა ახლა მადონას და, როგორც ყოველთვის, ერთს ფიქრობს და სხვას ამბობს, ან ორი სხვადასხვა ფიქრი უტრიალებს თავში.

ძაბული შეურაცხყოფილია.

— რატომ კადრულობ, ცაბუ, მაგას, კაკოს ათი უნაბი უდგას ეზოში.

— პატიოსნად დაგითვლიათ ორივეს!.. — ჩაუკრავს ცაბუტა და გესლიანად იღიმება. ძაბული თავის ნაწნავის ბოლოს კბენს.

გამარჯვებული ცაბუტა მაინც გულამრეზილია:

— ...ენიას გოგო უნდოდა, მაგრამ სერიოჟა შოფერმა გამოაცალა ხელიდან... ეგ სერიოჟაც კარგი იდიოტი ვინმეა, ვიცი, რა შვილიცაა, ღორის ჯაგარივით ამოსვლია ბალანი ყანყრატოსთან... — განაგრძობს ყველა დაქორწინებულზე გულაღრენილად ცაბუტა, — მაგ გუდაცარიელ და ენაჩორთოლა კაკოს თავმოძულებული თუ გაატანს ქალს, მის ოდაში ენა რომ დააწო, არაფერი აგყვება! — ამთავრებს ცაბუტა და სიმიდით სავსე პარკი ერთი იღლიიდან მეორეში გადააქვს.

ძაბული და მადონა წინადადებებზე, გუბეებზე აღარ არიან. ენაკვიმატი მეზობელი მათს საქმროსა და სასიძოს აბიაბრუებს!...

მდინარე ზანტად მიიზლაზნება. პატარა ტბები სულს ღაფავენ ფონზე გადასვლისას. სანაპიროს გასწვრივ ძეწნის ტოტები ოდნავ ეხებიან დამდგარი გუბეების ზედაპირს, ხოლო ლიფსიტები და თავკომბალები უმოწყალოდ არხევენ წყლის მცენარეებს. მორევთა ტატნობი ალაგ-ალაგ თეთრ ლოტოსებს დაუფარავთ. წისქვილისაკენ გადაშვებული არხის წყალი მდორედ მიედინება და ფურცლები მიაქვს. ჩიტები ნისკარტით იტაცებენ ფოთლებს, ჰაერში ააქვთ და ფრინველების უდარდელი თამაში არხის ფერადოვან ხალიჩას ოდნავ შესამჩნევ ჟრჟოლას ჰგვრის.

თავჩაქინდრული მიდიან. ასტანდარი ხანგამოშვებით შედგება ქვაზე წამოსკუპულ ასკინკილას წინ, აყოვნებს, მერმე გამოუდგება, მაგრამ ჩიტი ზედ ცხვირთან აუფრენს.

ყველა სულდგმულს თავისი მწვალებელი ჰყავს.

აგერ წისქვილიც.

• • •

კაკო ფოტოგრაფი ქუჩის მეორე, მარჯვენა მხარეს სახლობს, სწორედ ძაბულის ეზოს პირდაპირ. კოლმეურნეობას მიწის სამყოფი ნაკვეთი მიუზომია რაჭიდან გადმოსახლებულ მისი მშობლებისათვის ამ ოცი წლის წინათ, როდესაც კაკოს ხუთი წელი არ შესრულებოდა. აქვე დაუმთავრებია საშუალო სასწავლებელი და შემდეგ თბილისის სამხატვრო ტექნიკუმში მოწყობილა. მამის გარდაცვალების გამო იძულებული გამხდარა დედასთან ჩამოსულიყო და მხარში ამოსდგომოდა. ერთხანს დაბაში უმსახურნია კლუბის დეკორატორად. კლუბი გაუუქმებიათ და მასაც ფოტოგრაფობისათვის მოუკიდნია ხე-

ლი. ახლა, მორჩება თუ არა სახელოსნოში მუშაობას, „ლეიკას“ გადაიკიდებს მხარიღლივ და ისე დადის. მეტ დროს მაინც კოდმეზე ატარებს. მისი ფოტოკამერის ერთ მხარეზე, ჩარჩოში ჩასმულია სადღაც შეძენილი სურათი მკერდშიშველა ქალბატონისა. უტიფრად მომღიმარ თვალებმინაბულ გრიზეტას თავი გვერდზე გადაუწევია, მარცხენა ძუძუ დეკოლტედან ამოვარდნია, მარჯვენას კი ქალს უკან მდგომი ცილინდროსანის ხელი უფარავს. მამაკაცი ტუჩებით დასწაფებია ქალის ღაბაბიან კისერს, ზედ ყვრიმალთან.

კამერის მეორე მხარეზე, აგრეთვე, ჩარჩოში ჩასმულია ნაპოლეონის გამოსახულება, ლეგენდარული კორსიკელი ანთებული ლამპარივით მიაქროლებს ალამს არკოლის ხიდზე...

კოდმეს ვაჟებმა დიდი ხანია შეაჩვიეს თვალი ამ პორტრეტებს. მათ კაკო ფოტოგრაფის სხვა ცუღლუტობანი უფრო ართობთ. და აი რა.

დადის ეს ქრისტეს ფეხის მკვნეტელი სოფელში, და ზოგიერთს ყური მოუკრავს, რომ ხანდისხან ვინმეს ამოიჩემებს, მარჯვე შემთხვევას ეძებს, ჩაუსაფრდება და შეუმჩნევლად გადაუღებს სურათს, სწორედ მაშინ, როცა მისი მიამიტი მსხვერპლი სახიფათო რასმე სრულიად არ მოელის და უნებლიედ თავის თავს გასცემს რაიმე უცნაური მიმოხრით. ფოტოგრაფსაც ადამიანის ეს უჩინარი თვისებანი იზიდავს. აბა რა ხალისი უნდა მოჰგვარონ სკოლის მოწმობისათვის საჭირო სურათების გადასაღებად მასთან მისულმა გოგო-ბიჭებმა, ან გარდაცვალებულთა ჭირისუფლებმა,ღია კუბოსთან შეჯგუფულნი რომ მიაშტერდებიან ხოლმე კამერას. ამგვარი სურათების ნეგატივს ფოტოგრაფი გამქღავნების უმალ ამსხვრევს, ან-და იქვე თხრილში გადაუძახებს. კაკო მხოლოდ სასაცილო არსებათა გამოსახულებას ინახავს მალულად. ვიღაც-ვიღაცეებს მაინც უნახავთ მისი იშვიათი განძი. რამდენიმე განდობილმა მეგობარმა და, მგონი, ძაბულის უმცროსმა დამ იციან კაკოს ფოტოგრაფის ოინბაზობის ამბავი. მტკაველისოდენა სურათზე აღბეჭდილი ყოფილან ქენია და კირილე ხარბედიები, ამბობენ, ქალი ქოფაკივით იღრინება, ქმარს კი დამფრთხალი თხის სულელური გამომეტყველება აქვსო. ორივენი სხვისი ეზოს ნაკვეთის მიტაცებაზე ფიქრობენ, ამიტომ ქურდბაცაცებივით შემკრთალნი გამოიყურებიან თურმე. სხვა სურათზე ბალდიდან ჩამოსახლებული მიხას სოფლის ფურნის დიდ კატას მიუგავს აწკეპილი და თეთრი ულვაშები; აქლემის დრუნჩივით ჩამოვარდნია ქვედა ტუჩი უტუს; კენგურუსავით მიწაზე მიათრევს ვეება ჩუპეს მარჩიელი ჩოჩიგე, ღობემძვრალა დედაკაცი ერთი... ახირებულთა და სულმდაბალთა ნიღბებს აქ ჩამოთვლილი პირუტყვების სახელები ჰქონია მიწერილი და ყველა სახელი ზედგამოჭრილი ყოფილა.

მოდით და ნუ შეგეშინდებათ! ცაბუტა დიდი ხანია მიუხვდა განზრახვას; კარგად გაეგება, რატომ დაადგა თვალი მისი ცოდვით სავსემ. სოფლის დიაკვანის ასული მდინარის თევზივით ფრთხილია და ბადეს გაურბის, ისე ჩაუვლის ხოლმე, ვითომ არც დაუნახავს. ხალხში გარეული მაინც იქეთ მიაპყრობს თვალს, სადაც თავისი სულთამხუთავი ეგულება. ზის კაკო ფოტოგრაფი ჭადრის ან მუხის ძირას მეზობლებთან ერთად, აბრამის ბატკნად მოაქვს თავი და არხეინადაა. ყველას კი მუხანათურად აკვირდება, ცაბუტა და მისი თეთრბეწვიანი ამხანაგი ხომ დიდი ხანია ამოჩემებული ყავს. აბა გულის ჯიბეები გაუჩხრიკონ ერთი, სულ დასტა-დასტა სასაცილო სურათებს ამოულაგებენ. გაუგო საიდუმლოება, ცაბუტას არაფერი გამოეპარება... ჰმ! მაინც რომ მიშტერებია?! ავი რამ უდევს გულში, ეშმაკმაც არ იცის მისი თავი და ბოლო! ერთიც ვნახოთ და ცაბუტაც გადაიღოს? ყველაფერს შეურიგდება ცაბუტა, მეზობლების ჩუმჩუმელა ქირქილს კი

ვერ აიტანს. დაცინვა ჰკლავს ადამიანს, სიცილის მოგერიება ძნელია. ჩემი მტერი ჩავარდა ჩოჩიგეს ყბაში, ქვეყანას მოსდებს მის ამბავს... თუმცა რა საჭაცილო ჭირს ისეთი, კაცმა რომ თქვას? არაფერი. მაგრამ ვაი თუ იმ გომბიომ, მადონამ იცის რამე და ამ გადამთიელს ჩაუკაკლა?! ნუთუ შარშან მოჰკრა თვალი რამეს?! შეუძლებელია!... აბა რატომ ეღიმება ეშმაკურად მის დანახვაზე! როგორ გაიგოს?!

და ცაბუტა საგონებელშია ჩავარდნილი, თავის ქერქში ვერ ეტევა, აკვიატებული ფიქრი მოსვენებას უკარგავს.

კაკოს ისევ მასზე აქვს თვალი დასობილი. ცაბუტა ცხვირს აიბზუებს და კრიჭაშეკრული და სარგადაყლაპულივით გაკერპებული დგას მეზობლებს შორის, ხოლო ძაღლი მოლზე გაწოლილა და გრძელი კუდი პირში გაუჩრია...

...დამანებე თავი, შენ შენი ღმერთი, ხომ არაფერს გერჩი?

• • •

ასე გარბიან დღეები.

სიმინდი დაფქვილია და შინ მიტანილი. დილით ისევ დაბაში გასწევ და საღამოს კვლავ შენს კარმიდამოს მიხედავ...

შემოდგომას ზოგჯერ გუნება ეცვლება. ანაზდად ცაზე ღრუბლები აიშლებიან და გასაოცარი სისწრაფით გაეშურებიან დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, იტყვით, შავი და მშიერი მგლები მისდევენ ერთმანეთსო. შემდეგ ცა კურუმი ღრუბლებით დაიფარება და ხეები ჩრდილებს დაჰკარგავენ. ავდრის მოლოდინში ყველაფერი სულგანაბულია. ჯერ სუსტი გრუხუნი გაისმის, მერმე წვრილად მოწვიმს, სამხრეთით ზედი-ზედ გაიელვებს, უცბათ მეხიც გავარდება და ამას ძლიერი გრგვინვა მოჰყვება. სულ მალე ისეთ კოკისპირულ წვიმას წამოუშენს, ყველაფერი ერთბაშად აირევა, პირუტყვის ბღავილმა და შინაური ფრინველის გნიასმა ლამის ყურთა სმენა წაიღოს, ხოლო ვენახში შეპარული კრუხი წიწილებითურთ თავგანწირული ნალიისაკენ მოკურცხლავს, გეგონებათ ომწაგებული და უკუქცეული სარდალი სტოვებს ბრძოლის ველს...

ცაბუტას ამ დროს შინ შეაქვს ეზოში გაფენილი თეთრეული, სამზარეულოს კარებს ურდულს გაუყრის, სახლის კიბეს აირბენს და დარაბებს მიხურავს. და ორი სულიერი არსება, ცაბუტა და ასტანდარი, თავისებურად განიცდიან ბუნების მძვინვარებას: ერთს შეღებილი თმა უშნოდ დასტყეპებია თავზე, მეორე კი დიდხანს იბერტყავს გაწუწულ ყურებს და პატრონს აფრქვევს თავისი ბეწვის სუნით გაჟღენთილ წყლის წვეთებს.

მოიპარება საღამო, აღსავსე სინესტითა და მოწყენილობით. წვიმისაგან დამზრალი პეპლები აღარ ფარფატებენ ელექტრონის ნათურების ირგვლივ, კარგ ამინდში ისინი ხომ ადამიანს საყელოში მიუძვრებიან და თავს აბეზრებენ. ნაავდრალზე კი შეიძლება აივანზე „სოფლის გაზეთი“ წაიკითხოთ: ხომ უნდა გაიგოს კაცმა რა ხდება რაიონში?!

• • •

თუ ცამ პირი მოიხსნა, მერე გადაღება არ მოაგონდება. ღამით ისე ბნელა, თვალებთან თითსაც ვერ მიიტანთ. მაგრამ ბოლოს გადაიკარებს, ღრუბლებიდან მთვარე გამოაჭყეტს და ვერცხლის ძაფის ქსელს გააბამს აკაციისა და ალვის ხეებს შორის. ცაზე კუდიანი ვარსკელავი გამოჩნდება და ლუკას ასული ფიქრობს, ეს ანდრია მოციქულის ჩიოაღდანმა გადასერა ვარსკვლავებით მოწინწკლული ცა.

დღისით ყველა თავის ეზოში ფუსფუსებს. საყანე ადგილებზე დედაკაცები აგროვებენ ჩალის ღერებს, ბულულებსა და ხმელ ფოთლებს და სწვავენ. ჰაერში ჯერ კვამლის ენები დაიკლაკნებიან მროკავი მხევლებივით, მერმე ალი

იფეთქებს, — ეზოები თავიანთ ვეება და ცეცხლოვან თვალებს აბრიალებენ.

გზებზე ისევ-ისე დაჰქრიან მანქანები. ფოტოგრაფის მიერ სურათებზე აღბეჭდილთა სახეებიც ჩნდებიან ხან აქ, ხან იქ: ჩუპესქელი დედაკაცი კვლავ ღობეღობე დაძვრება, ახმახ მიხას დიდი ულვაშები აუპრეხია და თემშარაში გამოსულ მეზობლებს მეასეჯერ უყვება პირველი მსოფლიო ომის ამბებს. ჟენია და კირილე ტრიფოლიატებს რგავენ ეზოს გადაღმა, მომავალში სხვისი მიწის ზედმეტი და მოზრდილი ნაკვეთის მითვისების მიზნით; სქელტუჩა უტუ შერღვეულ ღობეს სარებით ამაგრებს უუღლო ღორებისაგან დასაცავად.

ცაბუტა?

შაბათია და ძეხორციელმა არ იცის, რომ ცაბუტა დაბადების დღეს იხდის. სამსახურიდან დაბრუნებულა და ხელის განძრევა არ ეზარება თანაც წამდაუწუმ აქეთ-იქით იცქირება, ეტყობა, უნდა არავინ შეამჩნიოს მისი მზადება, თუმცა, შარშანდელივით მაინცდამაინც დღესაც არ სცილდება თავის ეზო-კარს მადონა, ხანგამოშვებით აქეთ გამოიხედავს. ცაბუტას ლები და საბნები გამოუმზეურებია, დაბალი უნაბის ტოტებზე გადაუფენია და მზის შუქისა და ჩრდილების მოძრაობის შესაბამისად ადგილს უცვლის, ხანაც გადააბრუნ-გადმოაბრუნებს. აგერ მადონა ჭიშკართან კომედან დაბრუნებულ ფოტოგრაფს ეჩურჩულება რაღაცას. ცაბუტა სახლის ქვედა სართულში შედის და პატარა ჭურჭუტანიდან აკვირდება მათ. კაკო ბოლოს თავის სახლისაკენ იბრუნებს პირს, გზას გადაჭრის და ეზოში შედის, ცაბუტას ოდისაკენ სულაც არ მოუხედავს. უთუოდ გადაკრულშია. ღვინოს ან არაყს ჩაცეცხლავდა სასადილოში. აგერ, საცაა ძილს მიეცემა, ერდოზე წამოწოლილი. ია და ვარდი ფენია...

ცაბუტა ისევ გარეთაა. ძაბულის მხარეს შეავლებს თვალს. მადონა არ ჩანს. მდინარეში საბანაოდ თუ წატანტალდა. ჯანდაბამდე გზა ჰქონია!

ნასამხრალია. ყველა თავის ოჯახშია მოსვენებით, ამ დროს მეზობლები ერთმანეთს არ აწუხებენ. არც დედლები კრიახებენ, ხოლო მამლებს ცალი ფრთები გასაგრილებლად სილანარევ მიწაზე გაუშლიათ...

— ასტანდარ! — ხმადაბლა უბრძანებს ძაღლს ცაბუტა და ესეც სწრაფად აჰყვება პატრონს აივანზე. ორივენი სახლში იმალებიან და კარგა ხანს აყოვნებენ. შემდეგ სახლის აივანზე ცაბუტას ლანდი გამოჩნდება. სახე და მთელი ტანი ბოლომდე გაშლილი თავსაფარით აქვს დაფარული და თვალები-ღა მოუჩანს. ცაბუტა ფრთხილად მიმოიხედავს, გარემოს ასწონ-დასწონის და ფეხაკრეფით ჩამოივლის კიბეს. უკანა ეზოში ჩალა ჯერ აჭრილი არაა, ძაბულის მხარეზე ხომ გაუვალი და ხშირი ეკალბარდები ფარავენ ლუკას ქალის კარმიდამოს. აქედან სრულებით არაფერი მოჩანს.

ცაბუტას იღლიაში რაღაც ამოუჩრია, იგი კაკლის ხესთან მიიჭრება, შეყენებულ ხის ბოძებს გამოაცლის ტოტებს და ქოლგასავით გადაეფარება ცაბუტას ლანდივით მოძრავ ტანს.

ირგვლივ ჩამი-ჩუმი არ ისმის. ყოველმხრივ დაბურულ ყანაში სამარისებური სიჩუმე დასადგურებულა...

* * *

წყალს პეშვით აისვრი ჰაერში, იგი ქვევით ეშვება. ანთებულ სანთელს გადმოაყირავებ, ალი მაინც ზევით მიიწევს.

ცაბუტაც თავისას არ იშლის.

...ახლა კაკლის ძირას სხედან რიდეახდილი ცაბუტა და მისი რაინდი ასტანდარი. ქალს ზურმუხტისფრად დაწინწკლული ხილაბანდით წაუკრავს თავი, მშვენიერი დალალები კისერთან შეუგროვებია, ერთიც გრძელი ნაწნავი ზურგზე გადაუგდია. სახე ფერ-უმარილით შეუღებავს. ახალი და თეთრი კაბა აცვია. ასტანდარი ცაბუტას პირდა-

პირ მერხზე წამოსკუპულა ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი, კოჭებამდე ატლასის ფერი პატარა შარვალი ამშვენებს, მომცრო კრაველის ქუდი ჩამოუფხატია, ყურთმაჯებიანი თათები მაგიდაზე დაუწყვია და გატრუნული შეჰყურებს ცაბუტას, რომელიც დალალებს ისწორებს და თავის რაინდს ეკოხტავება, ხანგამოშვებით კი მოხარშული ქათმის ნაჭერს სთავაზობს. რასაც ძაღლი თვალის დახამხამებისთანავე ნთქავს.

ასე სხედან ცაბუტა და ასტანდარი კაკლის ჩრდილში, გეგონებათ თავადაზნაურთა ეზოებში გამართულ თალარში იმყოფებიან ისინი. და იმართება იდუმალებით ავსილი, ხმადაბალი და ბევრის მეტყველი საუბარი მათ შორის:

— ასტანდარ, შე დაღუპულო ასტანდარ!... — იწყებს ცაბუტა ჯერ დამცინავი ჩურჩულით, შემდეგ სახის გამომეტყველება ნეტარებით ევსება, უმზერს და არც უმზერს ძაღლს, შორეულ წარმოდგენათა და ოცნებათა ნისლშია გახვეული იგი.

ასნტანდარი თვალებს უპაჭუნებს.

„— აჰ, რაოდენ წარმტაცი ხარ დღეს, ჩემო სულისდგმავ!“ — გამოელაპარაკება ასტანდარი ცაბუტას, ამისავე გულში.

— ხომ არ სტყუი, ასტანდარ, ა? — ბუტბუტებს ცაბუტა, თანაც ვნების გამოსახატავად ნარნარად არხევს თავის დამჭკნარ გულ-მკერდს.

„— შენც არ მომიკვდე, სულზე უტკბესო “ — ესმის თავის გულში ცაბუტას ასტანდარის პასუხი.

— ჩემამდე თუ ეტრფოდი ვინმეს, ასტანდარ! მართალი თქვი, სული ნუ წაგიწყდება! — შეჰმუდარებს ჩუმად ცაბუტა.

ძაღლი კუდს აქნევს, ხან ყურებს ცქვეტს და კაკლის ხის ტოტზე ბეღურების თამაშს აკვირდება, ცხვირს მაღლა იშვერს. და მოძრაობს ასტანდარის ძვირფასი კრაველის ქუდი, ხოლო ყურთმაჯებიანი თათები ხან მაგიდაზე უწყვია, ხან მაგიდის ქვეშ, ატლასისფერ შარვალზე. რამდენიმე წუთი და ასტანდარი კვლავ სმენადაა გადაქცეული, თათებს არ ამოძრავებს და გატრუნული მისჩერებია თავის დიოფალს. და ცაბუტას კვლავ ესმის ასტანდარის ფიცი, რომ აროდეს უგემნია სხვათა ბაგეთა სიტკბო (ესაა ოღონდ რაინდს გულთან არ მიაქვს ხელები და დარდიმანდულად არ ჰხრის თავს დიოფალის წინაშე.)

— როგორ დაგვლოცა, ასტანდარ ჩემო, მღვდელმა ჯვარის წერისას, გახსოვს თუ არა?!

კაკლის ტოტიდან მუხლუხოს ოდენა მწერი ეცემა მაგიდას და ასტანდარი უმალვე თათით იჭერს მას, დაჰყნოსავს, ერთხანს ეთამაშება, მერე ჰკლავს და მიწაზე გადმოაგდებს. და კვლავ დრუნჩს მიაპყრობს საზეიმოდ მორთულ ქალბატონს.

ასტანდარს არ დაუხსომებია სულიერი მამის სიტყვები.

— მე კი კარგად მახსოვს, ასტანდარ, ძალიან კარგად. ჯერ შენ დაგლოცა მღვდელმა განსდიდენ სიძე, ვითარცა აბრაამ, და იკურთხენ ვითარცა ისააკ, და განმრავლდინ ვითარცა იაკობ, სვლითა მშვიდობისათა, მოქმედებითა სიმართლისათა, ცნებათა ღვთისათა...

ასტანდარი სდუმს. დიოფალი კი ნეტარხსენებულ ლუკას გალობას ბაძავს:

— მერე მე დამლოცა მღვდელმა: და შენ სძალო, განსდიდენ ვითარცა სარრა, და იშვებდ ვითარცა რებეკა და განმრავლდინ ვითარცა რაქილ სიხარულითა თვისისა ქმრისათა, დაცვითა მათისა მის სჯულისათა, რამეთუ ესრეთ სათნო ჰყო ღმერთმან...

და ირხევა საცეცხლური და საცეცხლური საკმეველს აკმევს და ბაზმა და თაფლის სანთლები იცრემლებიან ღვთისმშობლის ხატის წინ საკურთხეველის ახლოს... და სერაფიმის ფრთა ეშვება მათს თავზე...

— ქორწილიც ხომ კარგი, გვქონდა, ასტანდარ, ა? — ეკითხება კვალად ცაბუტა ასტანდარს და რაინდი იგი კვალად

სდუმს და ცაბუტა მესამედ აწვდის კერძს.

და როგორი ქორწილი!

ანთებული ლამპრები დიდი ცაცხვისა და კაკლების ძირას. ეკლესიიდან მობრუნებულმა ნეფე-დედოფალმა ორ რიგად გამწკრივებულ და ხმლებ გადაჯვარედინებულ მამაკაცთა შორის გაიარეს თავდახრილებმა და დიდ დარბაზში შევიდნენ... დედამთილ-მამამთილმა დალოცეს მაშინ ცაბუტა... სამ დღე-ღამეს გასტანა ლხინმა, ტაბუტამ კი მხოლოდ მეორე ღამეს მიაშურა ხალიჩებით მორთულ საძინებელ ოთახს... ოქროთი მოსირმულ ორხოვის იქეთ მულებმა და ორმა მოსამსახურე ქალმა გახადეს საქორწინო კაბა და იგი, აღვსილი კდემამოსილებითა და უმანკოებით, აბრეშუმის საბანზე მიწვა დალალებ დაშლილი და მარტოდ-მარტო დარჩენილი სანუკვარი მეუღლის მოლოდინში. ვეება ლამფის პატრუქი ოდნავ იყო ჩაწეული და ცისფერი აბაჟური უცნაურ ჩრდილს აფენდა ირგვლივ... მერმე ის იყო, ცაბუტას სჯულიერმა თანამეცხედრემ შემოაღო კარი... ასტანდარს მშვენიერი ჩერქეზული ჩოხა წინა ოთახში დაეტოვებინა, გულის საპირე შეეხსნა, ატლასისფერი შარვალი ლილისფრად ულაპლაპებდა ლამფის მცხრალ შუქზე...

ქმარი ტახტთან ახლოს მიუჯდა, პატარძალს.. ცაბუტას სუნთქვა შეეკრა მაიშნ, გული საგულეში არ ეტეოდა რაღაც საშინელისა და უცნაურის მოლოდინში... და არ ახსოვს ცაბუტას, თუ როგორ გაოგნებული მიენდო იგი ასტანდარის ვაჟკაცურ მკლავებსა და აკოკრებულ ტუჩებს.

ცაბუტა გარინდებულია. თვალები დაუხუჭავს. რამდენიმე წუთი და... ცაბუტა ტირის.

ვინმე რომ უყურებდეს ახლა ცაბუტას, საკუთარ თვალს არ დაუჯერებს. ორიოდე ობოლი ცრემლი მოგორავს ქუთუთოებიდან და წვრილ ღარებს ტოვებს მის ღაწვებზე. მართლა ტირის ცაბუტა.

ძაღლს ნიკაპი დაუბჯენია მაგიდაზე მორიგი კერძის მოლოდინში. მხოლოდ კრაველის ქუდით დამძიმებულ ყურებს აბარტყუნებს უხერხულად.

— სულ ტყუილია, შე გასაქრობო ასტანდარ, სულ ტყუილი... — გაიღებს ხმას ცაბუტა. — მარტო ვარ, შე ოთხფეხავ, მარტო! არც ქალიშვილობაში ვუნდოდი ვინმეს, არც შემდეგ. გესმის?! — ამოისლუკუნებს საქორწინოდ მორთული ცაბუტა. იგი ნელ-ნელა ეუფლება თავს, უკანასკნელი ცრემლი უბზინავს ღაწვზე, კაკლის შტოებში შემოპარულ ჩამავალ მზის სხივზე და მისი დაღარული სახე, ხელოვნური დალალების ჩარჩოში, ელვარებს როგორც უძირო სევდის გამოკვეთილი მედალიონი.

ამ დროს ძაღლი უცებ აწრიალდება და ვიღაცას შეუტევს. თითქოს რაღაცამ გაიჩხაკუნა კიდეც. შემდეგ გაისმა ჩასაფრებულთა სირბილის ხმა. თავზარდაცემული და ელდანაკრავი ცაბუტა ზეზე წამოხტება, თვალების გუგებზე ისეთი სიფითრე გადაეკვრის, როგორსაც დიდი ვნება ან სიკვდილი იწვევს. სწრაფად შეიბურავს სახესა და მთელ ტანს გაშლილი თავსაფრით, ძაღლსაც გადაეფარება და სასოწარკვეთილი ხშირბარდებისაკენ მიიხედავს, რომელიც მის ეზოს ძაბულის კარმიდამოს მხრიდან ყოველთვის იმედიანად იფარავდა.

არავინა ჩანს, მაგრამ აშკარაა, რომ თვალი შეასწრეს. დაბადების დღე დაეფეცეს ცაბუტას!!

გამალებით აიტაცებს ჩოხა-ახალუხიან ძაღლს ხელში, იღლიაში თავსაფრის ქვეშ დამალავს და სულმოუთქმელად გააქანებს ოდისაკენ.

* * *

კაკო ფოტოგრაფი გამომიტყდა, რომ მას არ გაუმეღავნებია ნეგატივი. შემეცოდა ცაბუტა, ცრემლისგან მთლად დამახინჯებული მისი სახე რომ დავინახეო.

ამიტომ სოფელში არავინ დასცინის ცაბუტას, არც თვითონ ფოტოგრაფი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლაღო სულაბერიძე

შავი სათვალე

მოფარებია მაგ შავ სათვალეს
ჩემთვის უცნობი შენი თვალები.
ნუ ემალები, შენ გენაცვალე,
ამ ჩახჩახა მზეს ნუ ემალები!

ვერ აირეკლა მდინარეს შენი
ღია თვალები, მოელვარენი.
მოფარებია მაგ შავ სათვალეს
ჩემთვის უცნობი შენი თვალები.

არ იკარებენ სხივებს კრიალას
გულჩახურული მინები შავი.
შეხედე, შველი დგას ნეკრიანად,
ბალახებისკენ დახრილი თავით.

სოფელს არ უყვარს თალხი ფერები,
მზის სხივს არ უყვარს თალხი ფერები.
შემოგხვევია ჭრელი პეპლები,
მზისკენ და ცისკენ ასაფრენები.

ბინდიც დადგება და ბინდისფერი
ისეც გახდება თივა და ზვინი.
მოასწარ მანამ, შუქია ბევრი,
აივსე უბე და თვალის ჩინი!

სიყვარულის ცა სულ არ ბნელდება,
სულ მზის სხივებით არის ნათელი.
და ამ ცას განა შეეხედება
შავი სათვალით, შავი სათვალით?!

ბინდისფერია შენი სათვალე,
დღე ილევა და ისეც ბინდდება,
ნუ ერიდები, შენ გენაცვალე,
თორემ მზის სხივი გაგიფრინდება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიმონ მთვარაძე

რომანი

ღვთა საძღო

— მეტისმეტი მოგდის, ვეფხვო! — გაწყრა ივანე, რომელსაც გაზვიადებული ქებაც ისევე სძულდა, როგორც გაჭიანურებული წუწუნი.

— თუ მეტისმეტი მომდის, აი ამათაც თქვან! — არც ვეფხვომ დაიხია უკან.

— ეგრეა, ვეფხვო მართალს ამბობს, მართალს! — თავგამოდებით შესძახა ვიღაცამ.

— ეგრეა, ეგრეე! — დასტური დასცა ყველამ.

ივანემ რაკი ცხენი საკვებზე დაიგულა, ხელი ჩაიქნია, თქვენთან ლაპარაკი არ ღირსო და კაკლის ხისაკენ გასწია, რომლის ჩრდილშიც წვრილფეხობას და ქალებს სუფრა უკვე გაეშალათ.

ასე დარჩა ივანე ბედნიერ ოჯახში სადღეობო სუფრაზე, მაშინ როდესაც დაუძინებელი მტერი იქვე, ახლომახლო დაძრწოდა. დარჩა და ბოლოს სანანურიც გაუხდა...

უხვ სალხინო სუფრაზე არც სადღეგრძელოები აკლდათ, არც სიმღერა, არც ოხუნჯობა, არც მხიარული ყიჟინი და არც ზმა-შაირები. სუფრის თავში, სწორედ კაკლის ხის ძირთან. თამადად დაესვათ ამ დღით ყველაზე ბედნიერი მამა ეფრემ ნათელაშვილი. მის გვერდით, ცალ მხარეს, მიწიდან ამოზნექილ ვეებერთელა ფესვზე, იჯდა დევკაცი ივანე კოტორაშვილი, ხოლო მეორე მხარეს თამადის გმირი შვილი ვეფხვო ნათელაშვილი, მათ კი მხარს უმშვენებდნენ სწორედ ის გლეხები, რომელნიც გზაში ურემს დამცველ რაზმად მოჰყვებოდნენ, სუფრის ირგვლივ წრეს ავსებდნენ და ამ უბნის შრომაჯაფაში გამოძეწკილი გლეხები. მათ შორის ახალგაზრდებიც იყვნენ, უკვე დავაქკაცებული ოჯახის ბურჯნიც, ხანდაზმულნიც და თეთრწვერა მოხუცებიც. ძალზე ცხელოდა, ყველას ახალუხის საყელოები გადაეღელათ, ზოგი პერანგის ამარა სწვეოდა თავის გულსათუთ მეზობელს, ზოგი კი ოფლში იწურებოდა, რადგანაც ცისფერ თუ წყლისფერ ჩოხებში კოხტაობდნენ. საგულდაგულოდ მორთულ-მოკაზმული არც ერთი არ იყო, შინაურულ ტანსაცმელში უფრო ლაღად და თავისუფლად გრძნობდნენ თავს, სათქმელსაც თავისუფლად ამბობდნენ, სიმღერასაც და ერთმანეთის სიყვარულსაც უფრო ამჟღავნებდნენ.

ნამდვილი გლეხური სუფრა იყო გაშლილი: გულუხვი, მსუყე და თვალის მომჭრელი!

დიდებული განწყობილება სუფევდა, თითქოს ქვეყანაზე აღარც სპარსი იყო, აღარც თურქი და აღარც ლეკი. გულღია მასპინძელი არც სიტყვას იშურებდა და არც ღვინოს. ბედნიერ დღედ თვილდნენ ამ დღეს და რაღა გასაკვირველია, რომ ერთმანეთის სიყვარულით სულდგმულობდნენ, ერთმანეთის სიხარულით ნეტარებდნენ და ერთმანეთის პატივისცემით ზეიმობდნენ. გასაკვირველი მხოლოდ ის იყო, რომ არც დახუთულმა დედაბერმა ისურვა სახლში ყოფნა, ერთხელ კიდევ გამხადეთ ღირსი ჩემიანების ბედნიერების მონაწილე ვიყო და საქვეყნოდ ქებული ვაქ-

---

დასასრული. იხ. „მნათობი“ №№ 7-8.

კაცის, კოტორაშვილის ყურებით დავტკბეო. თხოვნა შეუსრულეს. დაბინდების ჟამს, ხელში ციმ-ციმ აყვანილი კაკლის ხის ქვეშ ამოიყვანეს, ახლა იგი თამადის უკან, ხის ძირას იჯდა, ზურგით ოთხ ახროვილ ბალიშზე მიყრდნობილი; ქვეშ ორ-სამ პირად ნაბდები დაეგოთ, ბეჭებზეც ნაბადი მოეხვევნათ, რადგან ლეიბ-საბნები მიწაზე გასაშლელად ვერ გაემეტებინათ და ახლა ანთებული თვალებით ისე გამოიყურებოდა, როგორც ანაზდეული მოჩვენება და ზღაპრული ქვეყნიდან მოფრენილი არსება. ავადმყოფისთვის საჭმელიც მიერთმიათ. გოგრისა და კომბოსტოს ფოთლებზე დაწყობილი, იქვე სასმელიც დაედგათ, მაგრამ არაფერს ეკარებოდა. მისი საზრდოც და ერთადერთი მასულდგმულებელიც თავისიანების სიხარული, თავისიანების ლხინი და ქეიფი იყო. გვამში გამჯდარი ქარები ძვლებს თითქოს ლურსმნითა და ჩაქუჩით უხვრეტდა, მაგრამ ყველაფერს ივიწყებდა, იმიტომ, რომ მახლობელთა ესოდენ დიდი სიხარულის მოწმე იყო და პირიდან ღიმილი არ შორდებოდა. შავი კაბა ეცვა, შავი მოსახვევი ეხვია, შავ ნაბდებში იყო გახვეული, და საერთოდ თეთრგვრემანი, ახლა კი ნაავადმყოფარი სახე, ერთიორად უფრო მკრთალად მოუჩანდა. ასეთ შთაბეჭდილებას აძლიერებდა ის გარემოებაც, რომ არც არაფერს ჭამდა და არც არაფერს სვამდა, მხოლოდ მაშინ იჩენდა სიცოცხლის ნიშანწყალს, როცა თამადა სადღეგრძელოს წარმოსთქვამდა. მოხუცი, სახესთან ერთად, დამჭკნარ ხელებსაც გამოაჩენდა ხოლმე — ცისკენ აპყრობილთ და ყველა სადღეგრძელოს ერთი და იმავე ლოცვით ამკობდა:

— ღმერთო, შენ იყავ ჩვენი შემწე და მფარველი! შენ მოეც ნუგეში ჩვენს ხალხს, შენ ულხინე და უბედნიერე საქართველოს!

ყოველთვის ასე ილოცებოდა, მიუხედავად იმისა ეს ლოცვა უდგებოდა თუ არა სადღეგრძელოს, ილოცებოდა და გამოსთქვამდა მომაკვდავი ადამიანის დაუცხრომელ ნატვრას იმისას, რომ თავის ხალხთან ერთად, თავისიანებიც გამრავლებულ-გაბედნიერებულიყვნენ.

თამადას სადღეგრძელოები არ ელოდა, ხოლო მოხუცი არ იღლებოდა ლოცვა-კურთხევით.

ამ საზეიმო ვითარებისათვის ხანში შესული გლეხი — ეფრემ ნათელაშვილი, მართლაც, რომ საუკეთესო თამადა გამოდგა. დაწყებით, რომ კარგად დაიწყო, არც თანამიმდევრობაში შემცდარა, რითაც თავის სტუმრებს აღაგზნებდა და ხალისის ცეცხლს უკიდებდა. ყველაზე წინ ერთად თავმოყრის სადღეგრძელო თქვა და თავისი ჭერის ანგელოზი დალოცა:

— ძმებო, მეგობრებო, მეზობლებო და ნათესავებო, — გაბედულად წამოიწყო მან და ყანწი მაღლა ასწია, — ჩვენს სასიხარულო თავმოყრას გაუმარჯოს, ჩვენს შავ-ბნელ დროში ნუმც მოგვკლებოდეს ნურასოდეს ისეთი ბედნიერი წუთები. გაუმარჯოს ამ ოჯახის კეთილ ანგელოზს, კეთილად წარემართოს ჩვენი საქმეები!

— ნეტავი ნატვრა მანატრა, ეგ ნატვრა ამიხდებოდეს! — თითქმის ყვავილით ბანი მისცა იმ გლეხმა, რომელიც გზაში მეურმედ იყო. სხვებმა კი ყიჟინით უპასუხეს:

— ვაშა, ჩვენს თავმოყრას გაუმარჯოს!

პირველად მხოლოდ ასეთი ყიჟინით გამოხატავდნენ თვითეულ სადღეგრძელოზე თავიანთ აზრს და მოწონებას, რადგან ზოგს სიტყვის თქმისა ერიდებოდა, ზოგი ლეკების დევნით მუხლებში გადამწყდარი იყო და საჭმელს უფრო ეტანებოდა, ვიდრე სასმელს. ივანე კოტორაშვილი და ვეფხვო ნათელაშვილი მთელი ორი დღე-ღამის განმავლობაში კლდე-ღრეზე და აღმართ-დაღმართებში ლეკთა დევნით ქანცგაწყვეტილნი, საჭმელს ისე ეტანებოდნენ, როგორც აფთრები. ვინც კი თვალი შეასწრო, ყველა გაოცებული დარჩა კოტორაშვილის მადით და ლუკმით.

ამ ნამდვილ დევკაცს, ჭამაც დევკაცური სცოდნოდა. როგორც კი სუფრას შემოუსხდნენ, ივანე მისწვდა ცივად მოხარშულ ქათამს, თეძო და ბარკალი ერთად აახლიჩა, ასევე ერთიანად ცალ ყბაში რომ მოიქცია ხორცი, ძვლები იქვე ჩაცუცქებულ ქოფაკს მიუყარა, მერე ამ ხორცს სეფისკვრის ოდენა პურიც დააყოლა. ახლა ივანეს ძალა ყველამ იწამა ასეთი მადიანი ჭამითაც და აღარ უკვირდათ მისი გმირობა, რადგან ჭამით დევკაცი, მკლავითაც დევ-კაცი უნდა იყოს და რაც მაგას ჩაუდენია, ის რაღა გასაკვირველიაო.

არაჩვეულებრივი ადამიანი, ჩვეულებრივ ადამიანებში ყოველთვის იწვევს ასეთ განცვიფრებას. ზოგს უნდოდა თავისი აღტაცება სიტყვით გამოეთქვა, მაგრამ თამადამ აღარ აცალა, მას ყანწი აევსო და ფეხზე წამომდგარმა სამშობლო და მისი მეთაური მეფე ვახტანგი ადღეგრძელა. საქართველოს სადღეგრძელოს მისთვის თავდადებულ გმირთა სადღეგრძელო მოჰყვა, ხოლო ამის შემდეგ საკუთარი მშობლები შეიწყალეს, პურის ნატეხზე ღვინის დაწვეთებით, და ბოლოს თამადამ არ დაივიწყა ისინიც, ვინც დღევანდელ სუფრას ამშვენებდნენ. როდესაც ზოგადი სადღეგრძელოები მოათავა, მზით შერუჯული ეფრემ ნათელაშვილი ფეხზე წამოხტა, ყველა გააჩუმა და მკაფიო ხმით დაიწყო:

— ძმებო, ჩემო ღვიძლნო და საყვარელნო, ოდითგანვე ჩვენსა და ლეკებს შორის მეგობრული ურთიერთობის მეტი სხვა არაფერი ყოფილა! ახლა კი, ახლა ამათზე მოუსვენარი, ამათზე დაუნდობელი მძარცველი-ამაწიოკებელი საქართველოს სხვა არავინა ჰყავს. ჟამსა და სახადს არ მოუტანია ჩვენთვის იმდენი ვნება, რაც ლეკების თავდასხმით გვემართება.

— მერედა, ვისი ბრალია?

— ბრალს ვინ კითხულობს, როდესაც ვიმუსრებით და ჩვენი ამომწყვეტი ვიცით ვინც არის! — გაწყრა თამადა. — ჰოდა, მათქმევინეთ!

— არა, უნდა ვიკითხოთ! უნდა ვიცოდეთ, რომ ფესვის ამოძირკვაზე ვიზრუნოთ, რადგან თუ ფესვი მოვსპეთ, ყლორტი აღარასოდეს არ გაიზრდება. ეს ფესვი იგივე დამპყრობელი თურქი და სპარსია. ისინი ასისიანებენ ჩვენზე ჩვენს მეზობლებს, ისინი აიძულებენ ისევე იტაცონ ჩვენგან ცოცხალი ადამიანები, როგორც გვაიძულებენ ჩვენ, რომ ხარკი ვუხადოთ... ოჰ, ჩემი პირველი შეტაკებები რომ მაგონდება ლეკებთან, თმა ყალყზე მიდგება, როგორც ვიყავ დაბრმავებული და გაბრიყვებული!... — ივანემ ღრმად ამოიოხრა!

პირველ ხანებში, როდესაც ივანეს ძმები მოსტაცეს, ლეკებს არაფერში არ ინდობდა, სადაც კი წააწყდებოდა, განურჩევლად დიდისა თუ პატარისა, ქალისა თუ კაცისა, მიწის მუშისა, მწყემსისა თუ მებატონისა, ყველას მუსრს ავლებდა, რადგან დაკარგული ძმების კვალს ვერსად მიაგნო და ყველას თავისი ოჯახის დამღუპველად თვლიდა. რაკი ასეთი დაუნდობელი ჟლეტით მან თავის მიზანს ვერ მიაღწია, მერე ჩაუფიქრდა თავის საქციელს და თავის თავს ჰკითხა: სწორედ იქცეოდა თუ არა? ჯერ ერთი, ასეთი დაუნდობელი ჟლეტით ლეკებს უფრო აღიზიანებდა, უფრო ხშირ და განუწყვეტელ თავდასხმებს იწვევდა, რომ თვითონ ივანე ხელთ ეგდოთ და მოესპოთ. მეორე კიდევ ის გახლდათ, რომ ასეთი ჟინიანი ბრძოლით თვითონ ივანეც ზარალდებოდა, მისი რაზმელებიც იჟლიტებოდნენ და ხელში არაფერი რჩებოდა. ივანე კოტორაშვილი, თუნდაც თავისი დროის კვალობაზე, ცოდნით და განათლებით თავს ვერ მოიწონებდა, მაგრამ ხშირად უსმენდა ხოლმე ბრძენ და განათლებულ ხალხს, რომელთაც მშვენივრად იცოდნენ: მრავალტანჯულ სამშობლოს წარსულიც, ყოფნისა და არ ყოფნის, სიკვდილისა და სიცოცხლის, ზნეობისა და უზნეობის საკითხებიც და, როგორც ბუნებით ნიჭიერ ადამიანს, არ გასძნელებია ზოგიერთ

რთულ საკითხში თავისით გარკვეულიყო.

მან დაინახა ის დიდი მგელი, რომელიც ასულგდმულებდა ლეკების ავაზაკურ თავდასხმებს. ამ არაადამიანურ საქმის წამომწყებნი და შემოქმედნი ისევ ის ბოროტი დამპყრობელნი იყვნენ, რომელნიც ხალხთა შორის სიძულვილს თესდნენ, მეზობელს მეზობლის მტრად ხდიდნენ, რომ დაუძლურებულ და გაჩანაგებულ ქვეყნებში თავისუფლად ეთარეშნათ. ჯერ კიდევ უხსოვარ დროიდან, სპარსი დამპყრობი, საქართველოზე თავდასხმის დროს, დაღესტნის მცხოვრებთ ხშირად იხდიდა მოკავშირედ, ხოლო იმ შავბნელი დროიდან, როდესაც ბიზანტიის დიდებული სახელმწიფოს ნანგრევებზე, დასახლდა თურქი დამპყრობი, სულ სხვა ხასიათის სამსახური დაეკისრა ერთმორწმუნე დაღესტანს, მათ ხანებს და ბეგებს: მათ უნდა ეკვებათ სტამბოლის მონათა ბაზარი ადამიანებით. პირველ რიგში ასეთ საკვებს მოითხოვდნენ საქართველოდან, რომ იგი დაესუსტებინათ და ადვილად დაეპყროთ.

ამრიგად, შაჰი თუ ხონთქარი უბრძანებდა დაღესტნის რომელიმე ბეგს ან ბელადს, ბეგი კი მშრომელი მოსახლეობიდან აირჩევდა ვაჟკაცებს და მშობლიური აულებიდან გაძევების შიშით ავაზაკთა ბრბოს ადგენდა და ასრულებდა შაჰისა თუ ხონთქრის ნებას!

მას შემდეგ, რაც ივანე კოტორაშვილი დარწმუნდა, რომ დამპყრობელთა მზაკვრული განზრახვით ხდებოდა მეზობლის მეზობელზე თავდასხმა, ხოლო უბრალო ხალხის მონაწილეობა ამ ავაზაკობაში, უხეში ძალადატანების შედეგი იყო, თავდამსხმელ რაზმის ბელადებს აღარ უშვებდა ცოცხალს, ხოლო დანარჩენთ სერს ადებდა, მეორედ აღარ წამოხვიდეო და ათავისუფლებდა. ივანე აშკარად ატყობდა, თვით ბრძოლის დროსვე, რომ ავაზაკთა ბრბო ნამდვილად ძალით იყო გამორეკილი. როგორც კი მათ მეთაურს მოუკლავდა, დანარჩენები უმალვე იარაღს ყრიდნენ, თითქოს უხარიათ, რომ ბელადი აღარა ჰყავთო. ივანე ადვილად მიჰხვდა, თუ რატომ ხდებოდა ასე, რაკი რაზმი ძალადატანებით იყო შედგენილი და მხოლოდდამხოლოდ ბელადის შიშით მოქმედებდა, როგორც კი შიშის შთამნერგავი მოისპობოდა, დანარჩენები სიამოვნებით ჰყრიდნენ იარაღს და ყველა ესწრაფოდა „ყონაღობას“ ივანეს რაზმელებთან.

ბრძოლის ამ ხერხმა —ერთ მხრივ რომ გაუადვილა წარმატება კოტორაშვილს, მეორე მხრივ უდიდესი სარგებლობა მოუტანა, როგორც ლეკებს, ისე ქართველებსაც. აღარც ერთი მხარე არ ზიანდებოდა ისე, როგორც აქამდე. დაღესტანში იკლო შავი ძაძებით შემოსილი ქალების — დედების, ცოლების, დების და სხვათა რიცხვმა, ხოლო საქართველოში გატაცებულ ტყვეთა რიცხვმა, რადგან რაკი ლეკები იარაღს სიხარულით ყრიდნენ, აღარც მეზობელ ხალხის ოჯახებს იკლებდნენ და თავიანთ ოჯახებსაც მშვიდობით უბრუნდებოდნენ...

ელვარა ივანეს გმირობით იყო აღფრთოვანებული და უფრო მეტად უყვარდა, ვიდრე საკუთარი მამა, რადგან მამა საკუთარი ოჯახის ბურჯი იყო, ივანე კი ქვეყნის ბურჯი, ქვეყნის მამა და სწორედ ამიტომ, მის წინაშე, ყოველთვის მოწიწებას, მოკრძალებას და თაყვანისცემას უფრო განიცდიდა, ვიდრე მამა-შვილურ სიყვარულს. ელვარა მაშინ იყო ბედნიერი, თუკი ივანეს რაიმეში სამსახურს გაუწევდა. თუკი მისი ცოდნა ივანეს რაიმეში დაეხმარებოდა და გზას გაუკვლევდა. თავის მხრივ გმირი ვაჟკაციც ელვარას, როგორც ქალს, როგორც მომავალ დედას, ყოველგვარ სიკეთის წყაროდ და სათავედ თვლიდა. ივანეს ღრმად სწამდა, რომ ელვარა არ ჰგავდა ჩვეულებრივ ქალებს, ის რაღაც უფრო დიდი საქმისათვის იყო გაჩენილი, ხოლო, რა იყოს ეს საქმე, ამაზე წარმოდგენაც არა ჰქონდა!

ივანეს უზომოდ უყვარა ელვარა, პა-

ტივისცემით და მოწიწებით ეპყრობოდა.

ეს სიყვარული არ გავდა არც დედის, არც დის, მით უმეტეს, არც ცოლის და არც შვილის სიყვარულს, რაღაც უფრო დიდი იყო, მიუწვდომელ-განუმეორებელი, რადგან იგი ისევე ჰყავდა თაყვანსაცემად გამხდარი, როგორადაც თავისი სამშობლო, თავისი ხალხი და უხილავი ღმერთი.

სახელგანთქმული გმირის და ბრძენი გოგოს აზრთა ერთიანობამ ამ სუფრაზეც იჩინა თავი.

— ძია ივანე მართალს ამბობს, მამა! — მკაფიო ხმით დაიწყო ელვარამ.

— ძირი უნდა ამოიძირკვოს, რომ ყლორტები აღარ დაიყაროს!

— რაზე ამბობ, გოგო, რაზე ეთანხმები ივანეს? — ფიცხად აღმოხდა გაოგნებულ თამადას.

— რაც უკვე ითქვა! — იმავე კილოთი მიუგო ქალმა, — დაუნდობელმა მტრებმა — დამპყრობლებმა გვიძღვნეს ლეკიანობა, უფრო კი თურქეთმა, რადგან მათ შექმნეს მონების ყიდვა-გაყიდვის უდიდესი ბაზარი — სტამბოლში. წაიკითხეთ ჩვენი ისტორია, ვიდრე თურქეთი არ დასახლდა ჩვენს საზღვრებთან, ლეკების ავაზაკურ თავდასხმებზე წარმოდგენაც არ ჰქონდა ქართველ ხალხს.

ყველა პირდაღებული უსმენდა. ჭამაც დავიწყებოდათ და სმაც.

— ეს ხომ ასეა, მაგრამ ეს ბოროტება პირველად მაინც სპარსელებმა დაიწყეს და მათვე ასწავლეს ლეკებს მონობის უდიდესი ბაზრის — სტამბოლის გზაც. ისტორიულად ცნობილია, რომ ასეთი ავაზაკური თავდასხმების გეგმა, ყველაზე ადრე ლეკებს მისცა მძვინვარე შაჰ-აბასმა და მანვე მიუსია მისგან აოხრებულ კახეთს, რომ საბოლოოდ მოეღოთ მისთვის ბოლო.

ივანე კოტორაშვილი ორივე ხელით ხმალს დაყრდნობოდა და მიწას თვალგაშტერებული დაჰყურებდა, შუბლი მოჭმუხვნოდა და მოელვარე თვალები რისხვით ავსებოდა. მისი ჩრდილი, ერთიათად უფრო ბუმბერაზი ვიდრე თვითონ იყო, მის ზურგს უკან კაკლის ვეებერთელა ძირს აჰკრავდა. ასეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ივანეს ამირანი წამოსდგომია და უხმოდ ეკვეთრება — რაღასა ზიხარ, ადექი, გავწიოთ და მტერი შევმუსროთო. ვეფხვი უკან გადახრილიყო, მარჯვენა ხელით მიწას დაყრდნობოდა და ნამდვილად პირდაღებული უსმენდა, რადგან ვერ იქნა და ვერ მიმხვდარიყო, ჩემმა დამ, ჯერ ისევ დედის კალთაში მჯდომმა, ამდენი რამ საიდან იცისო! ელვარას ნათქვამმა არც სხვებზე მოახდინა ნაკლები შთაბეჭდილება. უკვე დავაკაცებული, თუ ხანში შესული მეზობლები მას უსმენდნენ არა მარტო თურქებზე შურისძიების ცეცხლით ანთებულნი, არამედ უზომო სიამოვნებითაც! წერა-კითხვის უცოდინარ გლეხს საიდან შეეძლო გაეგო, როდის არაბები ბატონობდნენ და როდის კიდევ ხვარაზმელები?

— შენი ჭირიმე, შვილო! — აღტაცებით შესძახა იმ გლეხმა, რომელიც გზაში მეურმედ იყო. — ამას იქით აღარც მღვდელი დამჭირდება და აღარც ბერი, შენ იქნები ჩემი თვალის ამხელი! ვახტანგ მეფე უნდა ვილოცოთ, რომ იმის სკოლაში. შენ ამდენი რამ გასწავლეს

— ძმებო, მეგობრებო! — შესძახა ღვინის ზემოქმედებით აღგზნებულმა მხარბეჭგანიერმა ვაჟკაცმა. — ბედნიერიო, რომ იტყვიან, ჩვენ უნდა ვიყოთ, რადგან ჩვენს სუფრას ამშვენებს გმირიც და ბრძენიც! ყველაზე სასიხარულო კი ის არის, რომ ორივე გლეხია, ჩვენი სისხლი და ხორცი, გაუმარჯოთ!

— გაუმარჯოთ! — გუგუნით უპასუხა ყველამ ერთხმად.

— ივანეს გაუმარჯოს!

— ჩვენს მფარველ ანგელოზს, ვაშაა!

ივანეს ამდენი ქება ცოტა არ იყოს მობეზრდა, წამოხტა, დასხედითო ანიშნა და დინჯად, მაგრამ წყრომის კილოთი თქვა:

— მომასვენეთ, დალიეთ, თუ სვამთ! — კიდევ რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ ისეთი რამ მოხდა, ენა სასაზე მიეკრა...

სნეულ დედაბერს დამჭკნარი ხელი ნაბდიდან გამოეყო და თამადას ეღიჯინებოდა:

— შვილო, ეფრემ, ყანწი აავსე და მომაწოდე!

ყველა ერთ წუთს გაჩუმდა და გაიტვრინა.

— კოტორაშვილო! — ხმას აუწია დედაბერმა. — ჩემი დღეები უკვე დათვლილია რასაც გეტყვი, ისე მიიღე, როგორც ანდერძი. შენ ყოველთვის იმას ცდილობ, რომ აირიდო ზედმეტი სისხლის ღვრა. ამ გზას არასოდეს გადაუხვიო, შვილო, და სიკვდილის შემდეგაც ლოცვა-კურთხევით მოგიხსენიებენ, რადგან შენ იქნები მაგალითი არა მარტო გმირობისა, არამედ ადამიანობისაც! კურთხეულ იყავი უკუნითი-უკუნისამდე!

მოხუცმა სასმისი ტუჩებთან მიიტანა და ისევ ისე სავსე დაუბრუნა თამადას, როგორიც მიიღო მისგან.

— ამინ! — დაიგუგუნა ყველამ ერთხმად და, თითქოს დედაბერმა ამოსწურა მათი სათქმელი, ხმის ამოუღებლივ გამოსცალეს სასმისები.

მშვენიერი ღამე იყო, ერთი იმ ღამეთაგანი, რომელიც ადამიანს ხიბლავს, აჯადოებს და რომელიც ასე ხშირად სჩვევია ცივ-გომბორის მთის კალთებს.

კაკლის ხიდან ორმოცდაათიოდე ნაბიჯზე ძლივს მოჩანდა მეზობლის ღობე, ხოლო ღობეს იქით, აყრილი ხეხილნარის ჩრდილში, ვაზის ჭიგოები ყელყელაობდნენ საგულდაგულოდ მოვლილ ვენახში. სადღაც თავქვეზე დაშვებული წყალი ძალუმად მიჩხრიალებდა.

წამით წყლის ჩხრიალი დაფარა ანაზდად ატეხილმა ქოფაკის ღრენამ და წკმუტუნმა. ნაგაზი გაანჩხლებული ყეფით ფეხზე წამოიჭრა და მეზობლის ღობეს ისეთი გამეტებით დაეტაკა, კინაღამ გაგლიჯა.

ათას ხიფათში გამოვლილი ივანე კოტორაშვილი ერთი ნახტომით კაკლის ხის უკან მუქ ჩრდილში შთაინთქა. იმავე წუთს განუყრელი მეგობარი ვეფხვ ნათელაშვილიც მის გვერდზე დაერჭო. ორივეს ხმლის ვადაზე გაევლოთ ხელი, და შუბლშეჭმუხვნილნი გაჰყურებდნენ იმ მხარეს, საითაც გაანჩხლებული ნაგაზი გნიასით გაიქცა, არაფერი შეუნიშნავთ, გარდა მეზობლის ღობისა, რომელიც ხეთა ჩრდილებში ისე მოჩანდა, თითქოს ვეებერთელა გრძელ მორებზე ნაბდები გადაუფარებიათო. სუფრასთან მსხდომთ სული გატვრინეს. ყველას დაჰკრა შიშის ჟრუანტელმა, თითქოს ელვამ თვალი მოსჭრათ და ახლა მეხის გავარდნას ელიანო. მეხი არ გავარდნილა, მაგრამ ყრუ ღამეში მეხვიით კი დაიჭექა ვეფხვ ნათელაშვილმა.

— ჰა, მიდი, ბროლიავ, მიდი, დაიჭი!

იმის მაგიერ, რომ პატრონის შეძახილზე მართლაც მივარდნოდა და დაეჭირა ის, რასაც უყეფდა, ყალყზე შემდგარი ქოფაკი ღობეს მოსწყდა, გადმოხტა და პატრონისაკენ წამოვიდა. ყველამ შვებით ამოისუნთქა.

— მეზობლის ღორი იქნებოდა. ღამლამობით ერთთავად ჩვენკენ იწევს, ეგ მუდრეგი ეგა! — ყველას გასაგონად — წამოიძახა თამადამ.

—ღორი ღრუტუნს არ მოიშლის, ლეკებმა კი ღამურასავით უჩუმრად იციან წამოპარვა!—მიუგო ივანემ და კაკლის ჩრდილს შეფარებული, ღობისაკენ ისე უხმაუროდ წავიდა, თითქოს კატა მიაბიჯებს და არა ეს ამოდენა დევკაციო. ვეფხვოც უხმაუროდ მიჰყვა უკან. ლეკების ხსენებაზე ყველას ელეთ-მელეთი შეუდგა. გაფართოებული თვალებით გადაჰხედეს ერთმანეთს, ზოგი ფეხზეც წამოიჭრა და ჩრდილში მიმავალ კოტორაშვილის გზას გაუშტერა თვალი. ივანემ და ვეფხვომ კარგა ხანს ათვალიერეს მეზობლის ვენახიც და აშოლტილ ხეთა ჩრდილებიც, მაგრამ რაკი საეჭვო ვერაფერი ნახეს, ისევ სუფრას დაუბრუნდნენ. ნაგაზი ისევ თავის ადგილას დაწოლილიყო და ცხვირი თათებში წაეყო.

—ოჰ, ბროლა!—ნატვრით წამოიძახა ივანემ.—ნეტავი ან შენ მოგცა ენა, ან მე შენი ყნოსვა და სმენა! მაშ მეზობ-

ლის ღორზე გაქვს ეჭვი?—უცებ მიუბრუნდა იგი ეფრემას.

—ნამდვილად! ეს ქოფაკი ისეა იმაზე გადაკიდებული, რომ საცა კი წაასწრებს, სიცოცხლეს უმწარებს!—მიუგო თამადამ.

—ჰო, მაგრამ...—შეაწყვეტინა საგონებელში წასულმა ივანემ.—რატომ ღრუტუნის ხმა ერთხელ მაინც არ მოგვესმა?

—მართლაცდა, რატომ არ მოგვესმა!—გაოცებით აღმოხდა რამდენიმეს.

თითქოს ამ პასუხს ელოდაო, ივანე ცქვიტად მიუბრუნდა სუფრის ბოლოში მჯდომ მხარბეჭგანიერ ვაჟკაცს და უბრძანა:

—მირონ, გაიყოლე რამდენიმე ბიჭი, ეზოზე გადავლით ამ ღობეს შემოუარეთ და მთისაკენ მიმავალი გზა კარგად დაზვერეთ. ღრმა უფსკრულებიან ხეობასაც ჩაჰხედეთ და დაუყურადეთ! თუ რამე საეჭვო შენიშნოთ, კრინტი არ დასძრათ, ქვა ესროლეთ ამ კაკლის ხეს და მერე ვნახოთ...

მირონამ გვერდზე მჯდომ ორ ვაჟკაცს ხელი წაჰკრა, ორივე ფეხზე წამოჰყარა იქვე ახროვილ ჭიგოებიდან სათითაო აირჩიეს და პაწაწინა ფერდობის ბილიკს ჩაჰყვნენ. კალო გადაირბინეს, შემოსასვლელში დაყრილ ძეძვის კონებს ზედ გადაახტნენ და გაუჩინარდნენ...

ქეიფის ხასიათზე აღარავინ იყო. ლეკების ხსენებამ ყველას გუნება წაუხდინა. ივანე და ვეფხვო იარაღს ისხამდნენ და წასასვლელად ემზადებოდნენ. შეიძლება ძაღლის გაავებული ყეფა ივანეს არაფრად ჩაეგდო, მაგრამ ლეკების რაზმი ამ არემარეზე ეგულებოდა, იცოდა მათი ვერაგობის ყველა წვრილმანი—ჯერ მიგაძინებდნენ, არხეინად გაგრძნობინებდნენ თავს და მერე დაგესხმოდნენ. ცხრა წლის მანძილზე ისე განუვითარდა ლეკებთან ბრძოლის ჩვევა, რომ, ხშირად, რაც მოხდებოდა, იმას მანამდე გრძნობდა, ვიდრე თვალხილულად დაინახავდა. ახლაც ძალზე დაეჭვებული იყო, რაღაცას გრძნობდა, რაღაცას ყნოსავდა, მაგრამ ან ამ საზეიმო განწყობილების წახდენა არ უნდოდა და ამიტომ არაფერს ამბობდა, ან ძალზე ჭკვიან ბელადთან ჰქონდა საქმე და ჯერაც ვერ გარკვეულიყო რა ხდებოდა. ორი დღე სდია, ვერსად ვერ მოეწია, ყველაზე მეტად ეს აფიქრებდა და თავისი წარუმატებლობის აღიარება არ უნდოდა, გული ათასად ეფლითებოდა. ღრმა ფიქრში, თუ საგონებელში წასული, ისხავდა ივანე იარაღს, თან უნდოდა წასვლა და თან არც უნდოდა, თითქოს დაბარებული ჰყავს და აქ მოვლენ, აქ ეწვევიანო, ასე ეუბნებოდა გული, მაგრამ რაზმი გაფანტული ჰყავდა და, პირობის თანახმად, თავის დროზე იქ უნდა მისულიყო, სადაც შეკრება დაუნიშნა თავის მეომრებს. წაუსვლელობა არ შეიძლებოდა.

ივანეს ჭმუნვარება ყველას გადაედო, კრინტის დაძვრას ველარავინ ბედავდა, მაგრამ თამადამ მაინც იმარჯვა:

—ისე წახვალთ, სამადლობელსაც არ იტყვით?—ნაძალადევი ღიმილით ყანწები შეავსო მან. ივანემ მიჰხედა, მაგრამ, პასუხის გაცემის მაგიერ, რაღაცამ შეაკრთო და შეაშფოთა. თამადის ზურგს უკან მან დაინახა ერთმანეთს ჩახუტებული დედა-შვილი და არც ის დარჩენია შეუმჩნეველი, რომ შვილი ძალზე გაფერმკრთალებული და ერთიანად აცახცახებული იყო.

—ელვარა, რა დაგემართა?—ჰკითხა ივანემ.

—მოუკვდეს დედა! ლეკების უბრალო ხსენებაც კი შიშის ზარსა სცემს!—თქვა დედამ და უფრო მაგრად მიიკრა მკერდზე.

—ლეკებიო? მერე შენ რისა გეშინიან?—დაუყვავა და მიუალერსა ივანემ.—ლეკებმა სხვები რომ მოიტაცონ ვაპატიებ, შენ კი უბრალოდ რომ შემოგხედონ, არც ერთს არ ვაცოცხლებთ, არც მე და არც შენი ძმა ვეფხვო!

იმ წუთში უკან დაბრუნებულმა მზვერავებმა სიტყვა შეაწყვეტინეს, მათ მოუტანეს ფრიად სანუგეშო ამბავი, რომ საეჭვო ვერაფერი ვნახეთ, გზასაც ავყევით სასაფლაომდე, უფსკრულებ-

საც ჩავხედეთ, ბუჩქი და ხის ძირიც არ გაგვიშვია შეუმოწმებელი, მაგრამ ძეხორციელის რაიმე ნიშანსაც ვერსად წავაწყდითო.

ივანეს კი სულ სხვას ეუბნებოდა გული და გამოცდილება. მისი ეჭვის საფუძველი ქოფაკის ანაზდეული გაკაპასება იყო. ძაღლმა რაღაც იგრძნო, რაღაც მოიყნოსა, უთუოდ მტერი, თორემ მოყვარე სუფრასთან რად მოიპარებოდაო, მაგრამ გადაჭრით ვერაფერი ეთქვა, რადგან გული ეუბნებოდა, გული აღუძრავდა ეჭვებს და არა საქმე, თვალით დასანახი რაიმე საბუთი. ამიტომ იყო, რომ მზვერავებს მრავალმნიშვნელოვნად მიუგო:

—მაშინ უნდა ვიწამოთ, რომ ძაღლი ვარსკვლავებს უყეფდა!

—კიდევ იმაზე ფიქრობ, კაცო?—უდარდელად ჩაიქნია ხელი თამადამ.—მაგის რჯულიც არ იყოს, ძაღლის ყეფას ყოველთვის ლეკები რომ მოჰყვნენ, აქამდის ჩვენი სახსენებელი აღარც უნდა იყოს! თუ ღორი არ იყო, ნამდვილად ზღარბი იქნებოდა! ამ ბახჩა-ბოსტნებში ისე გამრავლდნენ, ფეხი ველარ აგვიქცევია და ჩვენს ბროლას არც ისინი ეპიტნავებიან!

—ზღარბი?—ივანე გაშტერდა.—შეუძლებელია!—ერთბაშად წამოიძახა მან.—ზღარბს რომ ძაღლი უყეფს, თან უწკმუტუნებს, რადგან მისი ეკლებისა ეშინია! განა ვინმემ გაიგო მისი წკმუტუნი?

ძაღლს არ დაუწკმუტუნია, გააფთრებული ყეფდა, ამის მეტი არავის არაფერი გაუგონია, სწორედ ასეც უპასუხეს:

—არა, წკმუტუნი არ გაგვიგონია!

ივანე ღრმად ჩაფიქრდა. გული აშკარად უწინასწარმეტყველებდა ხიფათს, მაგრამ ამის თქმისა ერიდებოდა, რადგან არ უნდოდა სხვები შეეშფოთებინა, ეგებ გული იმიტომ წამჩურჩულებს ამდენ ეჭვს, რომ ლეკების კვალი ციცგომბორის მთის დასავლეთ კალთებზე გადმოვიდაო. აღარაფერი უთქვამს, დუმდა. ერთხანს იმ აზრზეც კი დადგა, მოდი და ამაღამ აქ დავრჩები, თუ რაიმე მოხდა, ჩემიანებს ჩემზე უკეთ ვინ დაიცავსო, მაგრამ ესეც უარჰყო, არ შეიძლებოდა რაზმის დიდი ხნით გაფანტვა. ისინი დროზე უნდა შეეკრიბა, რომ ლეკთა მარბიელი რაზმის აღმოჩენის შემთხვევაში, არც ერთი არ გაეშვა დაუსჯელი.

ივანე საგონებელში იყო წასული, მაგრამ თამადა მაინც არ ცხრებოდა. მან სავსე ყანწი კვლავ გულდაგულ გაუწოდა:

—კოტორაშვილო, გვიკადრე, სამადლობელი გვაღირსე!

— „გვიკადრე“, რა სათქმელია?—იწყინა ივანემ.—ეს ყანწი და ეს სუფრა სანანური არ გაგვიხადონ-მეთქი.

ივანეს სიტყვა შუაზე გაუწყდა, ყანწი ვიღაცას მიაჩეჩა ხელში, ხოლო თვითონ შემკრთალმა თუ გაოცებულმა რამდენიმე ნაბიჯი წინ გადადგა და შევერცხლილ ღამეს, სადღაც სივრცეში, თვალდაჭყეტილი დააკვდა. ვეფხვო ყველაზე ადრე მიხვდა, რომ ივანემ რაღაც უცხო და უჩვეულო შენიშნა, უმალვე ფეხზე წამოხტა და გვერდში ამოუდგა.

—ჰხედავ რამეს?—ჰკითხა ჩურჩულით.

—იქ... იქ... იქნებ შენც დაინახო, გაიხედე!—უთხრა ივანემ და ხელი იქით გაიშვირა, საითაც ივრის ხეობა ეგულებოდა და აგრეთვე, ცივ-გომბორის მთის ჩავაკებაში, მრავალი სოფელიც, ერთმანეთზე გადაბმულ-გადაჯაჭვული. სადღაც, ქვემოთ მთვარით გაკაშკაშებული მთა მოჩანდა, თითქოს ზეციდან შავი ღრუბელი ჩამოვარდნილა და ერთ ადგილას გაქვავებულაო, ხოლო მის კალთაზე გაბარჯღულ ხის კენწეროებში, თუ უფრო მაღლა, სამი ვარსკვლავი ენთო და ციმციმებდა შუაში საგრძნობლად მაღლა აწეული, ხოლო აქეთ-იქიდან დაბლა და განზე გაწეული, რაღაც სჩანდა, რაც მიაგავდა უტარო ჯვარს. ივანეს და ვეფხვოს შეშფოთებამ ყველა ფეხზე წამოჰყარა. თამადაც კი გვერდში ამოუდგა გმირებს და აღელვებით წამოიყვირა:

—რას ხედავთ, გამაგებინეთ!

ივანემ ხელით ანიშნა, ცოტა ხანს გაჩუმდიო და იმ ჯვარის გამოსახულებისათვის თვალი არ მოუშორებია, ისე თქვა, თითქმის თავისთვის:

—ნუთუ მიაგნეს, მიეწივნენ, გზა შეუკრეს? ნიშანს იძლევიან!

—ნამდვილად ეგრეა! თუ არა ჩვენი ბიჭები, სხვამ საიდან უნდა იცოდეს კოტორაშვილის ნიშანი?

—ჰო, მაგრამ მაშხალებს არა ჰგავს, რაღაც სხვა ანთია!—მიუგო საგონებელში წასულმა ივანემ.

—მართალია, უფრო დახვეწილ-დაწმენდილ სინათლეს გამოსცემს, იქნებ ძალიან შორს არის და ასე იმიტომ გვეჩვენება?—სცადა ივანეს დარწმუნება ვეფხვომ.

— არა, არა! გარეგნულად ნიშანი ჩვენია, მაგრამ მაშხალები რომ არ არის, ეს აშკარაა! აბა, რას იტყვით?—მიუბრუნდა ივანე ირგვლივ შემორტყმულთ.—ვის გიჭრით ყველაზე უკეთ თვალი, იქ რას ხედავთ?

საიდანღაც წინ გამოხტა ზვიადა და თამამად მიუგო:

—ანთებულ სანთლებს, ძია ივანე, სწორედ ისეთი სანთლებია, ეკლესიაში რომ ანთია ხოლმე!

—სანთელს ხელად გააქრობდა ნიავი, ან ეგეთი ბრტყელი შუქი სანთელს სად ექნება?—კვლავ დაეჭვდა ივანე.

—კელაპტრებია და იმიტომ! ამას არ უნდა ფიცი. საკუთხევლის წინ რომ ააბრიალებენ, თვალს ვეღარ მოვწყვეტ ხოლმე!—ისეთი ღრმა რწმენით და გაბედულად უპასუხა ზვიადამ, თითქოს შორს სივრცეში კი არ ხედავდა, თვალწინ უნთია და უკვირს, ამას რაღა კითხვა უნდაო.

—ნამდვილად კელაპტრებია!—დაუდასტურა ზვიადას რამდენიმემ.

—კელაპტარები სად უნდა ეშოვათ?—ჯერ გაიკვირვა ივანემ და შემდეგ კი, თითქოს რაღაც ენიშნაო, უცებ სახე გაუნათლდა.—ეკლესიიდან გამოიტანდნენ, მაგრამ აქეთ სად არის ისეთი დიდი ეკლესია, რომ ამ სიმსხო კელაპტრებს ხმარობდნენ? ჰო, ვიცი! ყალოუბნობას ხშირად ვყოფილვარ!—წამოიძახა ივანემ და უმალვე დაასკვნა:—მაშ, ახლა რა ანათებს, ის კი არა, ისიც გასაგებია საიდან ანათებს, ვეფხვო, მოემზადე!—ხმამაღლა მოუწოდა ივანემ. მაგრამ ვიდრე მობრუნდებოდა, იქვე ახლოს, სადაც კელაპტრები ენთო, ჯერ ერთმა ცეცხლის ალმა იფეთქა, თითქოს თივის ბულულს, ან ხმელი ფიჩხის გროვას მეხმა დაჰკრა და ააბრიალაო, მერე მეორემ, მეორეს მესამე მოჰყვა, მესამეს—მეოთხე და მთელი ის მხარე ცეცხლად იქცა. ივანე კოტორაშვილი ისე კარგად იცნობდა ლეკების ბუნებას, რომ უცებ მიხვდა, რაც ხდებოდა. თავდამსხმელი ავაზაკები ცეცხლს უკიდებდნენ სოფელს, რომ სახლებში გულარხეინად მყოფ ხალხს შიშით თავზარი დასცემოდა, გარეთ გამოცვენილიყვნენ ცეცხლის ალზე, რომელიც მოეწონებოდათ, მისთვის ეტაცათ ხელი და დაღესტანში წაეთრევინათ რომ იქიდან დარუბანდის ან ახალციხის გზაზე დაეყენებინათ და საბოლოოდ სტამბოლის ბაზარზე ჩაერეკათ.

ძალზე ნაცნობი სურათი იყო და ივანეს აღარ დაუყოვნებია. მან თვალი გადაავლო სუფრის ირგვლივ მსხდომთ და მეხივით დაიჭექა:

—ლეკები! ცხენი, ჩქარა!

ანაზდად ყველაფერი აირ-დაირია, ზოგი სუფრას ზედ გადაახტა, ზოგი ბილიკს ჩარბოდა, ზოგი ჩარდახისკენ გარბოდა ცხენების გამოსაყვანად, ზოგი კი წყევლა-კრულვას უთვლიდა აბეზარ ავაზაკებს. ივანემ და ვეფხვომ კაკლის ხის ძირში მიყრილ შუბებსა და ფარებს ხელი დასტაცეს და თავ-პირის მტვრევით ფერდობი ჩაირბინეს. ივანე თავზარდაცემული იყო ლეკების ამ უცნაური რაზმის უცნაური თავდასხმით. რაზმელები კელაპტრების შუქით ივანეს ატყობინებდნენ, ყაჩაღები მოვიმწყვდიეთ, მოგვეშველენითო; მხოლოდ ეს მომწყვდეულნი სოფელს ცეცხლს უკიდებდნენ. როგორ და რანაირად? ნამდვილად ლეკები ორ ნაწილად არიან

გაყოფილი. ერთს რომ ჩემი რაზმელები ებრძვიან, მეორე ნაწილი სოფელში დათარეშობს, დროზე უნდათ მიშველებაო,—დაასკვნა ივანემ და უნაგირი სწრაფად შეაგდო შავრას ზურგზე...

ნათელაშვილების ეზოს შიგნითაც და გარეთაც ამ ახლადდალმებულზე აუარებელი ხალხი აირია. ყველას პირზე ლეკები ეკერა, ხოლო ცეცხლწაკიდებულ სოფელს გულგახეთქილნი გაჰყურებდნენ:

—ლეკები! ლეკები!—ერთავად გაისმოდა ღობის შიგნითა და ღობის გარეთაც.

—დაბლა რომ სოფელი იწვის, მაღლა რაღა სინათლე მოჩანს სამ წერტილად?—ხშირად კითხულობდნენ ერთმანეთში, მაგრამ პასუხის გამცემი არავინ იყო, რადგან ეს საიდუმლო მხოლოდ ორმა ადამიანმა იცოდა: ივანემ და ვეფხვომ. იმათ კი პასუხისთვის არ ეცალათ, ცხენებს კაზმავდნენ. დიახ, ამ აღელვებულ-აფორიაქებულ ხალხში არავინ იცოდა, რომ ეს სამი წერტილი რაზმის შეკრების ნიშანი იყო. ერთი რომ აინთებოდა—ეს ნიშნავდა, მტერი ამ არემარეზე ტრიალებს, კვალს ვეძებთო, ორი—ნიშნავდა კვალში ჩადგომას, სამი კი—ვებრძვით და მოგვეშველენით, ალყაში მოვიქცეთო. ღამე რომ ცეცხლის სხვადასხვა საშუალებებს იყენებდნენ, მაგალითად: მაშხალას, სანთელს, კვარს, ჭრაქს, ლამპას, და სხვას, რასაც კი ცეცხლი წაეკიდებოდა, დღისით კიდევ სველი კაჭაჭის, თივის და ფალას-ფულასების ბოლი იყო მაცნე და მაუწყებელი; ერთი ბოლი—მიკვლევას ნიშნავდა, ორი—კვალში ჩადგომას, სამი—ვებრძვით და მოგვეშველენითო. სწორედ ამიტომ ჩქარობდნენ ივანეც და ვეფხვოც. არც ერთმა არ იცოდა ექვს-ექვს კაცებად დაყოფილი რაზმის რამდენი ექვსეული ებრძოდა ლეკებს, რომელთა რიცხვიც, კვალის მიხედვით, ორმოცზე მეტი უნდა ყოფილიყო. არ იცოდნენ, მაგრამ ერთი რამ კი ცხადი იყო: კოტორაშვილის რაზმები უთუოდ ცოტანი იყვნენ, თორემ სოფლისათვის ცეცხლის წაკიდებას ლეკები ვერ შესძლებდნენ...

ცეცხლი სოფელს კი არა, თვითონ ივანეს წაეკიდა ამის დამნახავს. იგი ვერ შერიგებოდა იმ აზრს, რომ ლეკებმა არა მარტო გზა-კვალი აურიეს და გააცურეს, არამედ ივანეს რისხვაც აიცდინეს და თავიანთ განზრახვასაც ხორცი შეასხეს: სოფელს ცეცხლი წაუკიდეს, ალბათ, ტყვეებიც იგდეს ხელთ, ხალხის დოვლათიც და...

გალომებული ივანე შავრას მოახტა. მას დაავიწყდა ქოფაკის გაალმასებული მიტევებაც, თავისი გულისთქმაც, რაღაც შეუცნობელი ეჭვიც, რომ აქ რაღაც უბედურებაა მოსალოდნელიო და ის წინაგრძნობაც, რომელსაც ყოველთვის უჯერებდა ხოლმე... დაავიწყდა, რადგან ხედავდა ცეცხლწაკიდებულ სოფელს, თავისი მეომრების მოწოდების ნიშანს და თვითონაც ცეცხლი ეკიდებოდა... ვიდრე ცხენს ადგილიდან დასძრავდა, იგი მიუბრუნდა ღობის შიგნით და ღობის გარეთ მოჯარებულ ხალხს და ვაუკაცური, მძლავრი ხმით მიმართა:

—არ შეშინდეთ, რაკი მათი ბილწი საქმე თვალსაჩინო გახდა, ახლა ველარსად წაგვივლენ, მაგრამ ფხიზლად იყავით. ვისაც იარაღი აქვს და ხმარებაც შეუძლია, ამ ღამით არ დაიძინოს. შესაძლებელია ქვემოთ დამფრთხალნი, ზემოთ ტყისაკენ წამოეხეტონ და რაც თვალში მოუვათ, ან ხელში მოხვდებათ, არავის და არაფერს დაინდობენ, ყველას და ყველაფერს წაიყვანენ და წაიღებენ! ქალები და ბავშვები სახლებში ჩაკეტეთ, ვაუკაცები დარაჯათ დადექით! რასაც გეუბნებით, არ დაივიწყოთ, გული მიჩქროლავს ტიალი, ალბათ, იქ, ცეცხლწაკიდებულ სოფელში ტრიალებს დიდი უბედურება. გზა მიტიეთ. ღმერთი იყოს თქვენი შემწე და მფარველი! ვეფხვო, მომყე!—უკანასკნელად კიდევ გადაჰხედა ხალხს ივანემ და შავრა ადგილიდან მოსწყვიტა:

თვალის დახამხამებაში ივანე და ვეფ-

ხვო ორღობის ხეთა ჩრდილებში შთაინთქნენ.

სისხლით შელებილი სუფრა

ხალხი ერთხანს კიდევ ყაყანებდა ღობის შიგნითაც და ღობის გარეთაც. ისეთი გულმედგარი ვაჟკაცი, როგორიც კოტორაშვილია, რაზე გვაფრთხილებდა, აქ რას ხედავდა ისეთსო. აი, ამაზე გამართეს კამათი და დავა. მაგრამ საბოლოოდ მაინც სწორი დასკვნა მიიღეს: რაც ივანემ გვირჩია, უნდა შესრულდეს, სათანადო თადარიგს უნდა შევუდგეთო.

მალე ყველამ თავ-თავის სახლს მიაშურა. ვაჟკაცებმა იარაღი აისხეს. ქალებმა საფარი და ცხრაკლიტული მონახეს ბავშვებთან ერთად. უბანში სიწყნარე ჩამოვარდა. მარტო ნათელაშვილების ოჯახში არ წყდებოდა ხმაური და მოძრაობა, რადგან მაშხალების შუქზე ჯერ კიდევ კარგად მოჩანდა აულაგებელი სუფრა. ამ სუფრას პატრონობა უნდოდა, თორემ ყველაფერი საძაღლ-ღოროდ გახდებოდა. სუფრა კი არა დახუთული დედაბერიც კი ჯერ ისევ კაკლის ხის ქვეშ იჯდა. და სხვები რომ ივანე კოტორაშვილს აცილებდნენ, იმას სუფრაზე ეჭირა თვალი, ძაღლს ან საიდანმე ანაზდად შემოვარდნილ ღორ-ხბოს ადამიანთა სასმელი და საჭმელი არ წაეხდინა. არც ძაღლი მოშორებია სუფრას და დედაბერს. გონიერი პირუტყვი, რაკი ნახა რომ პატრონებმა თავი მიანებეს გაშლილ-გაფანტულ სანოვაგეს, თვითონ დარჩა დარაჯად.

როდესაც ხალხი დაიშალა და ყველამ თავ-თავის საქმეს მოჰხედა, ოჯახის ბურჯმა ეფრემამ, სხვებზე წინ ჩათვალა საჭიროდ კოტორაშვილის რჩევა-დარიგების შესრულება. სხვას თუ ჰქონდა გასაფრთხილებელი, მას ერთიათად მართებდა სიფხიზლე, რადგან ლეკებისათვის სანუკვარი დავლა—მზეთუნახავი ქალი ჰყავდა.

—გასწი, სუფრას მიჰხედე,—შესძახა მეუღლეს,—დროზე მიალაგ-მოალაგე და ივანეს რჩევაც მოიგონე, სახლებში ჩაიკეტენით. თუ რამე მოხდა, წყევლა კი არა, ზამბულაკების დაცლაც ვერ-არაფერს გიშველის. იმ დახუთულ დედაბერსაც ღამეს ცის ქვეშ ხომ არ ათევინებთ?

ხალხის გუგუნი ისმოდა.

—გამოდით, მალე! ვიგვიანებთ!

წელან, როდესაც ნათელაშვილების ეზო-ყურე დაცარიელდა, ქალების უმრავლესობამ და ბავშვებმა სახლებს მიაშურეს და ცხრაკლიტულში ჩაკეტილნი ძილს მიეცნენ. ვაჟკაცებს შორის კი თითქმის არავინ ინდომა სარეცელი და ვერც ხანდაზმულნი გაიტაცა ნებივრობამ. ასეთ შფოთიან წუთებში ყველანი ხევის პირას გროვდებოდნენ და იქიდან უდიდესი მღელვარებით და მრისხანე შეძახილებით ერთმანეთს მოუწოდებდნენ:

—მალე გამოდით, ვიგვიანებთ!

წელან, ცეცხლმოკიდებულ სოფლებს რომ გაჰყურებდნენ, ვაჟკაცებმა მოილაპარაკეს, ცხენებს მოვახტეთ და დროით მივეშველოთ ჩვენს მოძმეთ გაჭირვებაშიო, ივანეც აქეთკენ მოგვიწოდებდაო და ახლა ხევის პირზე თავს იყრიდნენ. ჯერ ყველა არ მოსულიყო, ხოლო ვისაც თავი მოეყარა, ისინი სხვებს გაჰკიოდნენ და გასძახოდნენ:

—მალე გამოდით, ვიგვიანებთ!

ვერც ერთი ვერ დაიკვეხნიდა შეიარაღების სრულყოფით, ზოგი შუბით იყო შეიარაღებული, ზოგი ხმლით, ხოლო ხანჯალი არც ერთს არ აკლდა და ძალზე იმედიანად იყვნენ, რადგან ხალხმაც იცოდა და თვითეულმა მხედარმაც, რომ შურისძიებით ანთებული და გამწარებული ადამიანის ხელში, კომბალიც კი მრისხანე იარაღს წარმოადგენდა და ამიტომ თვითეულ შეძახილზე, ხალხი მხედრებს წამქეზებელი ყიჟინით აგულიანებდა:

— დასცხეთ, გააქრეთ ყაჩაღების სახსენებელი!

ვიდრე მდევარი გზას არ გაუდგებოდა, სოფელი არ იძინებდა, ყველა უბანს ქოთქოთი ჰქონდა შემდგარი, ყველგან

გაისმოდა შეძახილი და სწორედ ეს ამხნევებდა კაკლის ხის ქვეშ მყოფთ. კოტორაშვილის გაფრთხილება თუ დარიგება აღარც აგონდებოდათ. გამოცდილი ადამიანის სულ უბრალო რჩევაც კი იმ დროს უდიდესი სიბრძნის დარი იყო, ამათ კი დაივიწყეს, არად ჩააგდეს, რაკი სოფელი გნიასებდა და ვაი, რომ ძვირად დაუჯდათ. როდესაც მოხუცს გააგებინეს, თუ რაზე ქოთქოთებდა სოფელი, მან ხელები მაღლა აღაპყრო და კვლავ შეჰღაღადა, თავისი გულის კვნესა და სანატრელი:

—ღმერთო მაღალო, შენ გადმოჰხედე მოწყალე თვალით საქრისტიანოს, შენ იყავ შემწე და მფარველი საქართველოსი, შენ გაუმარჯვე ჩვენს ვაჟკაცებს! უფალო, გვაშორე ავი და ბოროტი!—უცებ ზეცა დაივიწყა და ელვარას მიუბრუნდა.—აალაგეთ, ნუღარ შემომყურებთ, მდევარი წავა და სოფელიც მიყუჩდება... მე ჯერ კიდევ აქ მოგიცდით.

—ახლავე, ბები, აი, ამის შემდეგ ერთი გზაც და მერე წაგიყვანთ და მოგასვენებთ!

ელვარა და თებრო სანოვაგით და ჯამ-ჭურჭელით დატვირთულები სახლისაკენ დაეშვნენ. მოხუცი მარტო დარჩა. მას თვალი გაუშტერდა ქვემოთ ცეცხლწაკიდებულ სოფელზე. ცეცხლი ისე ძლიერად აღარ ბრიალებდა, როგორც წეღან, მაგრამ ჯერ კიდევ ჩანდა, ჯერ კიდევ კიაფობდა, როგორც ადამიანთა ძალმომრეობისა და ავაზაკობის უტყუარი ნიშანი. დაუძლურებულ მოხუცს ძალაუნებურად ცრემლი მოადგა. უცებ მისმა მახვილმა სმენამ ღობის ლაწანის მსგავსი ხმაური დაიჭირა, მაგრამ თვალმა კი უმტყუნა, იქით მხარეს კაკლის ჩრდილი მუქად გაწოლილიყო და ვერაფერი დაინახა. მოხუცმა სული გატვრინა და გაინაბა, მით უმეტეს, რომ იქვე ქოფაკმაც თავი წამოჰყო... უცებ ლაწანი კვლავ გამეორდა. მოხუცმა „ღმერთო გვიშველოს“ თქმაღა მოასწრო. ძაღლი, წეღანდელზე უფრო გაავებული, ყეფით ფეხზე წამოიჭრა და იქითკენ გაფრინდა საიდანაც ხმაური მოდიოდა. მოხუცმა გასამხნევებლად მოინდომა დაყვირება მაგრამ მოხდა საოცარი და წარმოუდგენელი რამ, რაც არასოდეს დამართნია ნათელაშვილების ოჯახის ერთგულ და ფხიზელ დარაჯს ბროლიას. როგორც კი ღობეზე აიტოტა გაანჩხლებული, იმავე წუთს ხმა ჩაიწყვიტა, თითქოს ტომარა ჩამოაცვეს ან მორევში ჩაიძირაო. მოხუცი მიხვდა, რომ ვიღაც ავაზაკმა მათ ბროლიას ან შუბი ჩასცა პირში, ან თავი გაუპო ხმლით. იგი აცახცახებული დააშტერდა კაკლის მუქ ჩრდილს და ანაზდად თვალი მოჰკრა უფრო მუქსა და მოძრავ ჩრდილებს. ისინი ღამურებივით ჩუმად მოიპარებოდნენ, ალბათ, ნაბდებში გახვეულნი. მოხუცს სურდა დაეყვირა, მაგრამ კრიჭაშეკრულს უბრალო ხავილი აღმოხდა, სურდა წამომდგარიყო, გაქცეულიყო, მაგრამ თავად სნეული, დამბლადაცემული და დახუთული, დაჭყეტილი თვალებით შეჰყურებდა ჩუმად, უხმაუროდ მისკენ მხოხავ აჩრდილებს და სული ზეზეურად ჰხდებოდა. ნაშიერთა გადარჩენის მძაფრმა სურვილმა ამირანის ღონე ჩაუდგა ძარღვებში, ფეხზე წამოიჭრა და სახლისაკენ მიბრუნებულმა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაიხავლა:

—ლეკები! ლეკები! ლეკები!

გასაქცევ-გადასახტომად წინ წაიხარა, მაგრამ აღარ დასცალდა, ვიღაც ეძგერა უკანიდან. იმავე წუთს ყაჩაღის ხელში რაღაცამ გაიკრიალა და, ვიდრე დავრდომილი მოხუცი ხმას ამოიღებდა, ხანჯალი გულში განეწონა. მოხუცმა ერთ წუთს მკერდთან საშინელი ტკივილი იგრძნო და ამ ტკივილმა არაადამიანური ხმა ამოაღებინა. ეს ხმა არ იყო არც ყვირილისა, არც კივილისა, ეს იყო ღმუილი უზომო ტანჯვისა, განწირულებისა, გაქრობის შიშისა და თავზარდაცემისა. ამ ხმამ თვით მკვლელიც კი შეაძრწუნა. ისე უშვა ხელი, თითქოს შანთით დასწვესო. უკან, კაკლის ხის ჩრდილისკენ გადახტა და ჩრდილს შეაფარა თავი. მოხუცის სხეული კი უსუ-

ლოდ დაეცა... იმ ადგილას სუფრა ჯერ ისევ ასალაგებელი იყო, რადგან ამლაგებელნი ქვემოდან მოსდევდნენ და სისხლმა ჯერ რომ სუფრა შეღება, შემდეგ პურის ნაჭერიც გააწითლა, ქათმის ბეჭ-ბარკალიც, ყველის ნაჭრებიც და მწვანილის გროვასთან შეგუბდა... სუფრაც და სანოვაგეც ამ პაწაწინა ადგილზე სისხლმა წალეკა, მაგრამ ამაზე უფრო საგულისხმო სხვა რამეც მოხდა...

როდესაც დავრდომილი მოხუცის გვამი სუფრასთან დაეცა, კაკლის ხის ჩრდილიდან, ვიღაც გამოხტა, ისიც შავ ნაბადში გახვეული და თავით-ფეხებამდე შეიარაღებული. მოხუცის გვამს დაჰხედა თუ არა, აღშფოთებულმა მკვლელს ხელი სტაცა და შეანჯღრია:

—ალაჰ, მოჰკალი?

— ქვემოდან მგონია ისევ ის მორბის, ვისაც ვუთვალთვალებთ, — გულცივად გააფრთხილა მკვლელმა. ახოვანს თითქოს ხელი ჰკრეს და გამოფხიზლდაო, სწრაფად შებრუნდა და ერთი ნახტომით კაკლის ხის ჩრდილში გაქრა. ამ ჩრდილში ათიოდე კაცი სხვაც გაკანკულიყო, მაგრამ შორიდან ერთსაც ვერ დაინახავდით, რადგან ჩრდილი და ნაბდის ფერი ერთმანეთს ერწყმოდა, ყველას შეუმჩნეველს და უხილავს ჰხდიდა.

ელვარამ და თებრომ უკანასკნელი ხონჩა-ტაბაკი გადაარჩიეს ცალკე და კვლავ წასასვლელად მოემზადნენ.

— დედა, ერთი გზაღა გამოვა, მერე კი ბებია უნდა ჩამოვიყვანოთ!

—ბარემ მორჩით, შვილო, და მერე ბებიის ჩამოყვანაში მეც მოგეშველებით!—მიუგო დედამ მზრუნველ შვილს.

—ჩვენც მოვერევით, ჩემი ბებია ჩალასავით მსუბუქია! მომყე, თებრო!

ორივენი დერეფნიდან გაცვივდნენ და კალოს აღმართს შეუდგნენ. იგი სწრაფად აირბინეს, ჯერ კალოზე ფეხი არც დაედგათ, რომ რაღაც საშინელი ხმა მოესმათ. ეს ხმა უმალვე მისწყდა, მაგრამ რაკი არაადამიანურ ბღავილად თუ გმინვად მოესმათ, ერთ ადგილზე შედგნენ და გაქვავდნენ. ორივეს გულს ბაგა-ბუგი გაჰქონდა.

— რა იყო, გო? — ბრუდიანად ეკითხა თებრომ. — ხარმა დაიბღავლა თუ წყალში ჩავარდნილს ტალღამ ჩააწყვეტინა ხმა:

— არ ვიცი, — მიუგო ელვარამ, — რა იყო, ვერ მივხვდი, ხოლო აქედან რომ იყო, ეს კი აშკარაა. — მან კაკლის ხისკენ გაიშვირა ხელი, სადაც ბებია ეგულებოდა და დაასკვნა, — ნამდვილად ბებია გახდა ცუდად!

— მოდი, გო, სხვებსაც დავუძახოთ და ისე ავიდეთ! — გაკერპდა თებრო.

— ბებიას უჭირდეს და მე სხვებს დავუძახო? — წამოიძახა ელვარამ და ადგილს მოწყდა. თებრო ძალაუნებურად უკან მიჰყვა, ძალზე შეშინებული იყო, მაგრამ მაინც მიჰყვა.

როგორც კი ფერდობის პაწაწინა აღმართს შეუდგნენ და წეღანდელი ღრეობის ადგილი თვალწინ გადაეშალათ, ორივენი კვლავ შედგნენ და გაქვავდნენ: ბებია აღარსად ჩანდა. ირგვლივ ყველაფერი დაათვალიერეს, მაგრამ ვერც ჩრდილში და ვერც სინათლეში საეჭვო ვერაფერი დაინახეს. ამ გარემოებამ, ცოტა არ იყოს, ორივე გაამხნევა. უფრო გაბედულად დააკვირდნენ იმ ადგილს, სადაც ნაბდებში გახვეული ბებია იჯდა. მოხუცი აღარ ჩანდა, ხოლო სუფრის თავში მორის ნაგლეჯი ეგდო, თუ კუნძი კარგად ვერ გაარჩიეს!

— ბებიას გული წასვლია! — შეჰყვირა ელვარამ და იქ გაჩნდა, სადაც დედაბრის გვამი ეგდო. თებროც უკან მიჰყვა, იმანაც ჩაიჩოქა ელვარას გვერდზე და, რაკი მოხუცი მხართეძოზე წამოწოლილს უფრო ჰგავდა, ვიდრე მკვდარს, ან გულწასულს, ორივემ ერთსა და იმავე დროს სტაცა ხელი, რომ გადმოებრუნებინათ. ელვარა ელდა-ნაცემი იქვე გაშეშდა, თავზარი დაეცა, თვალები გაუფართოვდა, მთელი სხეული აუცახცახდა და სრულიად შეუგნებლად ხელი მთვარის შუქზე გაშა-

ლა და ცეცხლწაკიდებულივით შეჰ-კივლა:

— სისხლ! მოუკლავთ! სისხლი!

ამ კივილმა ორივე გამოაფხიზლა და გონს მოიყვანა.

— გავიქცეთ, აქ ჯოჯოხეთი ტრიალებს! — შიშით აკანკალებულმა თებრომ მხრებში ხელი დასტაცა ელვარას და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, თავქვე, ბილიკისკენ დაითრია. იმავე წუთს თვითონ მას, ვიღაც სწვდა თმებში, უკან გაჰკრა და კაკლის ძირს მიახეთქა. საბრალო გოგომ პირი დააღო, რომ ქვეყნისათვის ეუწყებინა თავისი უბედურება, მაგრამ არ აცალეს, პირში რაღაც ჩასჩარეს და მეტისმეტი ტკივილისაგან გულწასული მიწაზე დასცეს. ელვარამ მხოლოდ ერთი დაინახა: კაკლის ხის ჩრდილიდან შავნაბდოსანი ადამიანები ყორნებივით გამოცვივდნენ, ეს საკმარისი იყო, რომ გული წასვლოდა და ზედ დასცემოდა ბებიის გაციებულ გვამს. ამის შემდეგ რა მოხდა, აღარც ერთს გაუგია და აღარც მეორეს. ავაზაკებმა გულწასულ ელვარასაც პირი გაუღეს, ჩვრებით გამოუტენეს, გონს რომ მოვიდეს, არ იყვიროსო. ორივე გოგო ნაბდებში გაახვიეს, ზურგზე მოიკიდეს, სწრაფად გადაახტნენ ღობეს, გადაირბინეს ნათელაშვილის მეზობლის ბაღბოსტანი და გაქრნენ...

ყველაფერი ეს იმ დროს მოხდა, როდესაც სახლში ჯერ ისევ გუზგუზებდა ცეცხლი, ხევისპირას სოფელი გუგუნებდა, ხოლო აჩრდილი გმირი კოტორაშვილისაც აქ ტრიალებდა. ეს მოხდა სვებედნიერ და ხალხმრავალ სოფელში. მოხდა ისე, თითქოს უდაბურ, გაშლილ ველზე ქორი დააცხრა წიწილებს და სრულიად დამშვიდებულმა, რომ პატრონები ვერაფერს დააკლებენ, გაძიძგნა ისინი, გულარხეინად გადაიზადა თავისი სისხლიანი ნადიმი.

ვინ ეტყოდა, თუ რა მოულოდნელი უბედურება დაატყდა თავს საქმით გართულ დედას. იგი მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რომ დღევანდელი საქმე დღესვე მოეშორებინა და ხვალ აღარ გაცდენილიყო, სხვა საქმეებისათვის მიეხედნა, როდესაც ხონჩა-ტაბაკუბიც დარეცხა, დაწმინდა და თავის ადგილას მოაწყო, მხოლოდ მაშინ მოაგონდა აქამდე ასჯერ მოსაგონებელი.

— ჩემი სიკვდილი! ის გოგოები სად წავიდხენ აქამდე? — გულგახეთქილმა იკითხა და დერეფნიდან ეზოში გამოვარდა. კალოს აღმართს აჰხედა — არავინ ჩანდა და შიშით ელდახაცემმა, განწირულებით შეჰყვირა:

— შვილო, ელვარ! ელვარ, არ გესმის, გოგო?

რაკი ელვარა ხმას არ იღებდა, ახლა მეზობლის გოგო მოიგონა და იმას დაუძახა: — თებრო! თებრო! შენ რაღა მოგივიდა, სად დამეკარგეხით, შვილებო!?

გუმანით მიჰხვდა, რომ რაღაც უბედურება მომხდარიყო, ერთი ისე შეჰკივლა, რომ ნასვამი, ხანშიშესული გლეხი, რომელიც აივანზე გაშხლართულიყო და უკვე ძილში იყო წასული, წამოხტა და ხმამაღლა შესძახა:

— რა მოხდა, ადამიანო, რა გაკივლებს?

თავზარდაცემული დედა ამ შეკითხვამ თითქოს გამოაფხიზლაო, ერთი შეჰყვირა: „ადე, კაცო, რაღაც უბედურებაა ჩვენს თავს, სიკვდილი მაკივლებსო“! და ადგილს მოსწყდა. კალოს აღმართი ისე აირბინა, თითქოს თორმეტი წლის გოგო ქათამს გამოუდგა და ფრინველს ფრინველივით აედევნაო. მეზობლებიც ასევე ფრენით მიჰყვნენ მას...

ეფრემას თითქოს დაჰკრეს თავშიო, ერთ წუთს თვალთ დაუბნელდა, მაგრამ ერთბაშად ისე გამოფხიზლდა, კაცს ეგონებოდა დღევანდელ ბედნიერ დღეს წყალი უსვამს და არა ღვინოო. ფეხზე გაშმაგებული წამოიჭრა. კიბე ჩაირბინა და აღმართზე ლანდივით გაქრალ მეუღლეს და მეზობლებს დაედევნა. როგორც კი კალო გადაირბინა და ფეხი ფერდობზე შედგა, გულშემზარავი კივილი მოესმა:

— დავიღუპნეთ, ხალხო, გვიშველეთ, მოგვხედეთ!

ხანშიშესულ გლეხს მუხლი მოეკვეთა. პაწაწინა ფერდობი სხვა დროს რომ ისე აევლო, თითქოს კიბის ორი-სამი საფეხური აიარაო, ახლა საშინელ აღმართად ეჩვენა. ვერ იქნა და წინ ერთი ნაბიჯიც ვერ გადადგა.

ანაზდეული უბედურებით გონდაკარგული დედა კი კვლავ შემზარავი ხმით გაჰკიოდა:

— მოუკლავთ! მოუკლავთ! მოუტაცნიათ! გამოვუდგეთ, გვიშველეთ, ხალხო!

ღამის მყუდროებაში დედის წივილ-კივილი ისე გაისმოდა, როგორც, ზათქი და ზარი უბედურებისა. გაისმოდა და რაკი საშველად ხალხს მოუოწდებდნენ, ეს ხალხი მართლაც იღვიძებდა. ჯერ მახლობელ უბანში გამრავლდა სინათლე და შეძახილები, შემდეგ თანდათან ზემო უბანიც ამოძრავდა და ქვემოც. ზოგი საცვლების ამარა გამორბოდა, ზოგი ხმლით და ზოგი კეტით. მთელი სოფელი წამოიშალა, მაგრამ ყველაზე წინ მაინც ისინი მოვიდნენ უბედურების ადგილას, ვინც აპირებდა მდევრად წასვლას და ცეცხლწაკიდებული სოფლის შველას.

მირონ ილაური, ის იყო რაზმს სათავეში ჩაუდგა, ნიშანიც მისცა რომ დაძრულიყვნენ, მაგრამ ამ დროს ატყდა თავზარდაცემული დედის წივილ-კივილი. მხედრები ერთ ადგილზე გაქვავდნენ, ცხენებმაც ყურები ცქვიტეს.

— ბიჭებო, — წამოიძახა მირონამ, — დიდ ლხინს დიდი ჭირი მოსდევსო, ნათელაშვილებს რაღაცა უჭირთ!

— რას ამბობ, კაცო, ახლა არ იყო, კაკლის ხის ქვეშ სუფრას ვუსხედით? — შეეკამათა ვიღაცა.

— ჰოდა, მეც ეგა ვთქვი! სუფრა და სუდარა, ჩვენს ქვეყანაში, განუყრელი ძმები არიან! — მკვახედ მიუგო მირონამ. — უცებ შეწყვიტა ლაპარაკი და ყველა გააჩუმა. —სსუთ! ყური დაუგდეთ!

ნათელ, მშვიდ ღამეში, ყველამ აშკარად გაიგონა დედის კივილი: — მოუკლავთ! მოუტაცნიათ!-გაიგონეს და ბევრი აღარც უფიქრიათ, რაზმი ადგილს მოსწყდა.

სულ მალე ნათელაშვილების ეზოყურე შეიარაღებული მხედრებით აივსო. ყველა ძირს გადმოხტა, ცხენებს ეზოში მიანებეს თავი და კაკლის ხის ქვეშ აცვივდნენ. აქ მათ ისეთი შემზარავი სურათი იხილეს, რომ ლამის კლდესავით უტეხი ვაჟკაცებიც კი მგლოვიარე დედაკაცებად იქცნენ, აქვითინდნენ. ეფრემა ზედ გაჰკვროდა თავისი დედის ცხედარს და მდუღარეებას აფრქვევდა:

— დავიღუპე, ათასნაირად დავიღუპე, ბიჭებო! შვილი მომტაცეს, დედა მომიკლეს! — დაიბღავლა მან. როდესაც ქუდმოხდილი ვაჟკაცები გარს შამოეხვივნენ.

დედა კაკლის ხის ქვეშ წინ და უკან დარბოდა, თავშალგადავარდნილი, ლოყებდაკაწრული, თმებგაწეწილი და მხოლოდ ერთ სიტყვას გაჰკიოდა:

— მიშველეთ, ქრისტიანებო! მიშველეთ, ცოცხლად ვიმახრები!

ყველას მშვენივრად ესმოდა, რომ ასეთ ვითარებაში, ვერც ცრემლი და ვიშ-ვიში იქცეოდა წამლად, ვერც წივილ-კივილი და ვერც გლოვა და ზარი, ესმოდათ, რომ მოქმედება იყო საჭირო, მაგრამ კრინტი ვერვის დაეძრა, რადგან მკერდგაპობილ მოხუცს ბოსლით შეღებილ სუფრას დაჰყურებდნენ. აღარ იცოდნენ რით და როგორ ენუგეშებინათ — ორიოდე წუთის წინ აჭიკჭიკებული თამადა და უზომო ბედნიერებით ფრთაშესხმული დედა. არ იცოდნენ, მაგრამ როგორც ანაზდეული იყო მწუხარება, ასევე ანაზდეული გამოდგა ვაჟკაცის მხნეობა. ამ უზომო მწუხარებაში ვაჟკაცის შეძახილი გაისმა:

— ძმებო, მკვდარს აღარაფერი ეშველება, ცოცხალზე ვიფიქროთ! — შეჰყვირა მირონამ. — აშკარაა, მოხუცი მოუკლავთ, გოგოები კი გაუტაც-

ნიათ, კვალს მივყვეთ, ჩვენები დავიბრუნოთ.

ახალგაზრდა ვაჟკაცები უცებ გაიფანტნენ კაკლის ხის ქვეშ და გაფაციცებით დაუწყეს ძებნა ავაზაკთა კვალს. წინ წასულებმა ღობესთან თავგაჩეხილი ქოფაკის მძორიც დაინახეს, ახლახან გადათელილი ღობეც, ყველაფერი ნათელი გახდა და უმალვე მირონას აცნობეს:

— აქედან მოგვპარვიან! მეზობლის ნათხარ-ნაბარი ბახჩა იმათი ფეხის კვალით იქნება აჭრელებული. ამ ბახჩაზე გავლით, უთუოდ მთის გზაზე გავიდოდნენ და ახლა მიჰქრიან მთაციკისაკენ. რადგან ეს არის ყველაზე მოკლე გზა შიგნით კახეთში გადასასვლელად, ალაზნის გაღმა მხარეს კი ზედ აკრავს ლეკის მთა და დაღესტნის გზები. მდევრები თუ ვართ, ცივის გზას უნდა მივყვნეთ!

—მეც ეგრე ვიფიქრე, ლეკს სხვა გზა არა აქვს! — განაცხადა ჩაფიქრებულმა მირონამ.

— მართალს ამბობ, სხვა გზა არ აქვს, თუ ძალიან შორიდან არ მოუარა!

— ნუღარა დგახართ, წადით, ცხენები წამოიყვანეთ ორღობეზე შემოვლით, ამ ბახჩის გასწვრივ მთის გზაზე ამოდით. მე კი კვალს შევამოწმებ, რომ გული დავაჯეროთ და, ვიდრე თქვენ ცხენებს გამოიყვანთ გზაზე, მე წინ დაგხვდებით.

სულ ათიოდე წუთის შემდეგ ბაღჩაში კვალიც შეამოწმეს, ცხენებიც გამოიყვანეს და მთელი რაზმი პირშეღმა გზაზეც მიჰქროდა მთებისაკენ, დაბურული ტყეებისაკენ. მალე რაზმი სოფელს გასცდა და კლდის კალთებზე შეფენილ ტყეში ჩაიკარგა.

მეტისმეტად ჩქარობდნენ, მეტისმეტად გაავებულნი იყვნენ, რომ მთავარი არც ერთმა არ იკითხა: ასეთი ძვირფასი ნადავლით დატვირთული ლეკები, რომელ გზას აირჩევდნენ: მოკლეს და ხიფათიანს, თუ გრძელს და უხიფათოს?

ამ ღამით სოფლიდან მარტო მდევარი არ მიჰქროდა ლეკების კვალზე. მაცნემ თუ შიკრიკმაც დრო იხელთა თუ არა, ცხენს მოახტა და გაქუსლა, ხოლო არა ზემოთ — მთებისაკენ, არამედ ქვემოთ, ველებისაკენ, უფრო კი ცეცხლწაკიდებული სოფლისაკენ...

ზვიადა, მამასთან ერთად, დიდხანს დასტიროდა საყვარელი ბებიის გვამს, მაგრამ ამაზე უფრო მტკივნეულად გულს უმძიმებდა საყვარელი დის, ელვარას გატაცება.

მირონამ განკარგულება გასცა ცხენები მთის გზაზე გამოიყვანეთო, ისიც მშობლების შეუმჩნევლად ჩაიპარა ეზოში, თავის ქურანას მოახტა და, როგორც მაცნემ, კოტორაშვილისკენ გაქუსლა. შურისძიებით გამეხებულ ბიჭს სრულიად დავიწყებოდა შიში, სიფრთხილე. იგი მარტოდმარტო მიჰქროდა გაუკაცრიელებულ შარაგზაზე...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფრანც კაფკა

მეტამორფოზა

ერთხელ დილით, როცა გრეგორ ზამზამ შფოთიანი სიზმრების შემდეგ გამოიღვიძა, აღმოაჩინა, რომ თავის საწოლში რაღაც საშინელ მწერად ქცეულიყო. იგი ჯავშანივით მაგარ ზურგზე იწვა და თავის ოდნავ წამოწევისას ხედავდა ამობურცულსა და ყავისფერ, მორკალული ქერქლით დანაწევრებულ მუცელს. მუცელზე საბანი ძლივს უჩერდებოდა და ლამის მთლად ჩამოცურებულიყო. მის თვალწინ საცოდავად ფუსფუსებდნენ სხეულთან შედარებით შეუფერებლად წვრილი მრავალრიცხოვანი ფეხები.

„რა დამემართა?“ — გაიფიქრა მან. ეს არა ჰგავდა სიზმარს. მისი ოთახი ზედმეტად პატარა, მაგრამ ნამდვილად ადამიანის საცხოვრებელი ოთახი, მყუდროდ სუფევდა კარგად ნაცნობ ოთხ კედელს შუა. მისი მაგიდის ზემოთ, რომელზედაც მაუდის ნიმუშების გახსნილი კომპლექტი ელაგა — ზამზა ხომ კომივოიაჟერი იყო — სურათი ეკიდა, რომელიც ამასწინათ ილუსტრირებული ჟურნალიდან ამოჭრა და კოხტა, მოოქროვილ ჩარჩოში ჩასვა. სურათზე ვიღაც ბეწვისქუდიანი და ყელსახვევიანი ქალი იყო გამოსახული. ქალი წელში გამართული იჯდა, მძიმე მუფტაში ღრმად ჩამალული ხელები წინ გაეწვდინა და ასე ენახვებოდა მაყურებელს.

შემდეგ გრეგორმა ფანჯრისკენ გაიხედა და ღრუბლიანმა ამინდმა (ფანჯრის რაფაზე დაცემული წვიმის ხმა მოისმოდა) კიდევ უფრო ნაღვლიან გუნებაზე დააყენა. „რა იქნება, რომ ცოტახანს კიდევ ვიძინო და ეს სისულელეებიც დავივიწყო“, იფიქრა მან; მაგრამ დაძინება ვერაფრით მოახერხა; იგი მარჯვენა გვერდზე იყო ძილს მიჩვეული და ახლანდელი მდგომარეობა ამის საშუალებას არ აძლევდა. ძალიან ეცადა მარჯვნივ გადაბრუნებას, მაგრამ ისევ ზურგზე დაეცა. ლამის ასჯერ სცადა, თვალებიც დახუჭა, რათა აფუსფუსებული ფეხები არ დაენახა, და მხოლოდ მაშინ აიღო ხელი ამ ცდაზე, როცა ფერდში რაღაც აქამდე უცნობი, მსუბუქი, ყრუ ტკივილი იგრძნო.

„ღმერთო ჩემო“, გაიფიქრა მან, „რა სადავიდარაბო პროფესია ავირჩიე! დღენიადაგ ვმოგზაურობ. უფრო მეტსაც ვღელავ. ვიდრე ისინი, ადგილზევე რომ აგვარებენ საქმეებს. ამასთან თვითონ მგზავრობაც ზედმეტი წვალებაა, ბილეთებზე უნდა იზრუნო, თავის დროზე ვერ უნდა ჭამო, თანაც, ღმერთმა უწყის, რას გაჭმევენ, უგულო ურთიერთობა უნდა დაამყარო ადამიანებთან. ეშმაკსაც წაუღია ყველაფერი!“ მან მუცლის ზემო ნაწილში მსუბუქი ქავილი იგრძნო. ზურგზე მწოლიარე ნელნელა მიიწია საწოლის ხარიხასთან, რათა თავის უკეთ წამოწევა შესძლებოდა; მოძებნა აქავებული ადგილი, რომელიც უცნაური, პატარ-პატარა, თეთრი წინწკლებით დაფარულიყო. ამ ადგილის ფეხით მოსინჯვა დააპირა, მაგრამ მაშინვე უარყო, რადგან ოდნავ შეხებისას ტანში ცივად გააჟრჟოლა. უკანვე ჩაცურდა და თავდაპირველ მდგომარეობას დაუბრუნდა. „ასე ადრე წამოდგომა. — გაიფიქრა მან,—ჭკუაზე შეგშლის კაცს. კაცმა კარგად უნდა გამოიძინო. სხვა კომივოიაჟერები ოდალისკებივით ცხოვრობენ; როცა მე, მაგალითად, დილით

ჰოტელში ვბრუნდები მიღებულ შეკვეთებზე ხელის მოსაწერად, ეს ვაუბატონები ჯერ კიდევ საუზმეს შეექცევიან. მე რომ ასე მოვიქცე, ჩემი შეფი მაშინვე სამსახურიდან დამითხოვს. ვინ იცის, იქნებ ეს ჩემთვის უკეთესიც იყოს. მე რომ მშობლების ხათრით თავს არ ვიკავებდე, უკვე დიდიხანია დავტოვებდი სამსახურს: მე მივიდოდი უფროსთან და პირდაპირ მოვახსენებდი, რა აზრისაცა ვარ მასზე. იგი, ალბათ, თავისი პულტიდან გადმოვარდებოდა. უცნაური ჩვეულება აქვს — პულტზე ზის ხოლმე და ასე მაღლიდან ესაუბრება მოსამსახურეს, რომელიც იძულებულია უფროსის სუსტი სმენის გამო მთლად ახლო მივიდეს მასთან. მაგრამ მდგომარეობა ჯერ არც ისე უიმედოა. როგორც კი ფულს დავაგროვებ და ჩემი მშობლების ვალს დავუბრუნებ უფროსს, — ამას კი ხუთი-ექვსი წელი დასჭირდება — მაშინვე ჩემს გზას მოვნახავ. მერე ჩვენ დავემშვიდობებით ერთმანეთს. ჯერ-ჯერობით კი საჭიროა წამოვდგე, რადგან ჩემი მატარებელი ხუთ საათზე გადის".

და მან მაღვიძარა საათს დახედა, რომელიც სკივრის თავზე წიკწიკებდა. „ღმერთო დიდებულო", — აღმოხდა ფიქრში. უკვე შვიდის ნახევარი გამხდარიყო, ისრები მშვიდად განაგრძობდნენ სვლას, ნახევარს კიდევაც გადასცილებოდა, დიდი ისარი თითქმის თხუთმეტი წუთით წაწეულიყო წინ. ნუთუ არ დარეკა მაღვიძარამ? საწოლიდან ჩანდა, რომ იგი ზუსტად ოთხ საათზე იყო დაყენებული; რა თქმა უნდა, საათმა დარეკა. მაგრამ ნუთუ შესაძლებელია, რომ არ გაეღვიძებინა ზარის ხმას, რომელიც ისე ძლიერია, რომ ავეჯს აზანზარებს? მას მოუსვენრად ეძინა, მაგრამ როგორც ჩანს, მით უფრო ღრმად სძინებია. რა უნდა ჰქნას ახლა? შემდეგი მატარებელი შვიდ საათზე გადის. უკვე ძნელია მისწრება, ნიმუშების კომპლექტი ჯერ არ ჩაულაგებია და თავსაც ვერა გრძნობს მაინცდამაინც კარგად; კიდევაც რომ მოასწროს, სულერთია, ვერ აიცდენს უფროსის გულისწყრომას, რადგან სავაჭრო სახლის შიკრიკი გრეგორს ხუთი საათის მატარებელზე უცდიდა და უკვე აცხობებდა მის დაგვიანებას. ეს შიკრიკი შეფის მონა-მორჩილი იყო, უხერხემლო და განსჯის უნარს მოკლებული. რა მოხდება, რომ გრეგორმა თავი მოიავადმყოფოს? ეს ძალზე უსიამოვნო და ამავე დროს საეჭვოც იქნება, რადგან იგი ამ ხუთი წლის განმავლობაში არცერთხელ არ გამხდარა ავად. შეფი, ცხადია, სპეციალურ ექიმს მოიყვანდა, მშობლებს უსაყვედურებდა ზარმაცი შვილის გამო და ყურად არ იღებდა არავითარ შეპასუხებას. თანაც დაიხმარებდა ამ ექიმს, რომლის აზრითაც ყოველი ადამიანი სავსებით ჯანმრთელი, მაგრამ ზარმაცია. და განა ამ შემთხვევაში მთლად მტყუანი იქნებოდა? თუ მხედველობაში არ მივიღებთ, რომ გრეგორი, მიუხედავად ხანგრძლივი ძილისა, ჯერ მთლად ვერ გამოფხიზლებულიყო. იგი მართლაც სავსებით კარგად გრძნობდა თავს და საკმაოდ მაგრადაც შიოდა.

სანამ გრეგორი გამალებით ფიქრობდა ყოველივე ამაზე და თან ლოგინის დატოვება ვერ გადაეწყვიტა (საათმა ამ დროს დარეკა — შვიდს თხუთმეტი წუთი აკლდა), ვიღაცამ მის სასთუმალთან კარზე მორიდებით დააკაკუნა. „გრეგორ, — გაისმა ძახილი, — ეს დედამისი იყო, — შვიდს თხუთმეტი აკლია, შენ ხომ გამგზავრებას აპირებდი?" რა ნაზი იყო ეს ხმა. გრეგორი შეაშინა საკუთარმა ხმამ, რომელიც უდავოდ მისი ადრინდელი ხმა იყო, მაგრამ, რომელსაც თითქოს შიგნიდან რაღაც დაუხშობელი, საცოდავი წრიპინი ერთვოდა; ამის გამო მის სიტყვებს მხოლოდ ერთის წამით ჰქონდათ გასაგები ელერადობა, ხოლო შემდეგ კი იმდენად მახინჯდებოდნენ, რომ ძნელი ხდებოდა მათი სწორად გაგება. გრეგორს სურდა დაწვრილებით ეპასუხა და ყველაფერი აეხსნა, მაგრამ ასეთ ყოფაში მხოლოდ იმას დასჯერდა, რომ თქვა: „ჰო, ჰო, გმადლობ, დედა, ახლავე ავდგები". როგორც ჩანს, გარეთ ხის კარის წყალობით არ შეიმჩნეოდა მისი ხმის

ცვლილება, რადგან დედა დაამშვიდა გრეგორის პასუხმა და უკან წაფრატუნდა. მაგრამ ამ პატარა გასაუბრებამ ოჯახის სხვა წევრების ყურადღება იმას მიაპყრო, რომ, მოლოდინის საწინააღმდეგოდ, გრეგორი ჯერ კიდევ შინ ყოფილა. მამამ მუშტით დაუბრახუნა კიდევაც ფრთხილად გვერდით კარზე. „გრეგორ! გრეგორ! — დაიძახა მან, — რაშია საქმე“? და ცოტა ხნის შემდეგ უფრო ხმამაღლა გაიმეორა: „გრეგორ! გრეგორ!“ ხოლო მეორე კართან და ეჩურჩულებოდა შეწუხებული: „გრეგორ? ცუდად ხომ არა ხარ? ხომ არაფერი გიჭირს?“ გრეგორმა ორივეს ერთად უპასუხა „უკვე მზადა ვარ“, თანაც შეეცადა, რაც შეიძლება მკვეთრი, გარკვეული გამოთქმითა და გრძელი პაუზებით როგორმე ხმის უჩვეულო ჟღერადობა დაეფარა. მამა მიუბრუნდა თავის საუზმეს, და კი განაგრძობდა ჩურჩულს. „გრეგორ, გაფიცებ, გამიღე კარი“. მაგრამ გრეგორი სულაც არ ფიქრობდა კარის გაღებას, იგი კმაყოფილი იყო რომ მოგზაურობებში შეძენილი სიფრთხილის წყალობით სახლშიაც კეტავდა ხოლმე ღამ-ღამობით ოთახის კარებს.

უპირველეს ყოვლისა, მას უნდოდა მშვიდად და ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე წამომდგარიყო, ტანთ ჩაეცვა, ესაუზმა და მხოლოდ ამის შემდეგ მოეფიქრებინა მომავალი მოქმედების გეგმა. იგი მიხვდა, რომ საწოლში ვერაფერს გონივრულს ვერ მოიფიქრებდა. გაახსენდა, რომ ლოგინში მწოლიარეს არაერთხელ უგრძვნია ხოლმე რაღაც მსუბუქი, — შესაძლოა, უხერხული წოლისაგან გამოწვეული ტკივილი, რომელიც შემდეგ წამოდგომისას ცარიელი მოჩვენება გამომდგარა; და იგი იმედიანად მოელოდა, რომ დღევანდელი შემაწუხებელი წარმოდგენებიც გაიფანტებოდა. მას ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ ხმის ასეთი ცვლილება სხვა არაფერი იყო, თუ არა მისი პროფესიისათვის დამახასიათებელი მაგარი გაცივების შედეგი.

საბნის გადაძრობა სავსებით მარტივი საქმე გამოდგა. საჭირო გახდა მუცლის გამობერვა და საბანი თავისთავად გადმოვარდა. მაგრამ შემდეგ საქმე შედარებით გართულდა, ძირითადად, იმის გამო, რომ გრეგორი უჩვეულოდ განიერი იყო. ტანის წამოსაწევად მკლავებისა და ხელების გამოყენება სჭირდებოდა, მათ ნაცვლად კი გააჩნდა მხოლოდ მრავალი ფეხუკა, რომლებიც უწესრიგოდ მოძრაობდნენ და არ ემორჩილებოდნენ. როცა ერთერთი მათგანის მოხრას შეეცდებოდა, ეს ფეხი, უპირველეს ყოვლისა, გაიჭიმებოდა ხოლმე. ხოლო, როცა ბოლოს და ბოლოს მოახერხებდა მის დამორჩილებას, დანარჩენები ამასობაში, თითქოსდა მისგან სრულიად განთავისუფლებულნი, ერთობ მტკივნეულად აწრიალდებოდნენ. „მთავარია ტყუილუბრალოდ აღარ ვიწვე ლოგინში“, — გაიფიქრა გრეგორმა.

პირველყოვლისა, მას უნდოდა, რომ სხეულის ქვედა ნაწილის მოშველიებით ჩამოსულიყო საწოლიდან, მაგრამ ეს ნაწილი, რომელიც სხვათა შორის, ჯერ არ ენახა და რომელზეც გარკვეული წარმოდგენა არა ჰქონდა, ძალზე მოუხეშავი აღმოჩნდა. საქმე ერთობ ჭიანურდებოდა; როცა ბოლოს გაშმაგებულმა ღონე მოიკრიბა და წინ გასხლტა ანგარიშმიუცემლად, სწორად ვერ მოზომა და საწოლის ქვედა ხარიხას მიენარცხა. მწვავე ტკივილმა დაარწმუნა, რომ სწორედ სხეულის ქვედა ნაწილი ყოფილა ყველაზე მეტად მგრძნობიარე.

ამიტომაც სცადა, ჯერ სხეულის ზედატანი გადმოეტანა საწოლიდან; ფრთხილად შემოაბრუნა თავი საწოლის კიდისაკენ. ეს იოლად მოახერხა და მთელი სხეულიც, მიუხედავად მისი სიფართოვისა და სიმძიმისა, ბოლოსდაბოლოს მიჰყვა თავს. მაგრამ, როცა თავი საწოლის გარეთ, ჰაერში გადმოკიდა, შეეშინდა, კვლავ გაეგრძელებინა ამგვარი მოძრაობა, რადგან ამ მდგომარეობაში საწოლიდან ჩამოვარდნისას მის თავს დაშავებისაგან მხოლოდ სას-

წაული თუ იხსნიდა. ხოლო სწორედ ახლა ცნობიერების დაკარგვა ყოვლად დაუშვებელი იყო. ამას ისევ ლოგინში დარჩენა სჯობდა.

მაგრამ, როცა ამდენი დაძაბულობისაგან აქლოშინებული, ისევ ისე მწოლიარე აღმოჩნდა, როცა მან თავისი კიდევ უფრო მეტად აწრიალებული ფეხები დაინახა და ვერაფრით ვერ შესძლო მათი დაოკება, გაიფიქრა, რომ შეუძლებელია ლოგინში დარჩენა და რადაც არ უნდა დაუჯდეს, საწოლიდან განთავისუფლება უნდა სცადოს. ამავე დროს არც ის დაივიწყა, რომ შიგადაშიგ შეეხსენებია თავისი თავისთვის, გახწირული გამბედაობით მოქმედებას დინჯი მოსაზრება ჯობიაო. ასე ფიქრობდა. თან განსაკუთრებული ყურადღებით მისჩერებოდა ფანჯარას; მაგრამ, სამწუხაროდ, დილის ნისლი, რომელსაც ვიწრო ქუჩის გაღმა მხარეც დაეფარა, ძნელად იძლეოდა დარწმუნებულობისა და მხნეობის მოპოვების საშუალებას. „უკვე შვიდი საათია, — გაიფიქრა მან, როცა საათის რეკვის ხმა გაიგონა, — უკვე შვიდი საათია და მაინც კიდევ ამოდენა ნისლია ქუჩაში“. ცოტა ხანს წყნარად იწვა, ფრთხილად სუნთქავდა, თითქოს სრული სიჩუმისაგან ნამდვილი და თავისთავად ცხადი, გასაგები მდგომარეობის დაბრუნებას ელოდა.

მაგრამ შემდეგ გაიფიქრა: „რვის ნახევრამდე აუცილებლად უნდა წამოვდგე ლოგინიდან. სხვათა შორის, ამ დროისათვის ვინმე მოვა კიდევაც სამსახურიდან ჩემი ამბის შესატყობად, სამსახური ხომ შვიდამდე იწყება“. მან თანაბარი რხევით დაიწყო საწოლიდან მთელი სხეულის გადმოგდება. ასე რომ გადმოვარდნილიყო, თავს, რაც შეიძლება, მაღლა დაიჭერდა და ალბათ დაშავებას გადაურჩებოდა. ზურგი საკმაოდ მაგარი ჩანდა და ნოხზე დაცემისას არაფერი არ უნდა დამართოდა. ყველაზე მეტად გრეგორს ის აფიქრებდა, რომ დაცემის ხმაური კარს იქით მყოფთა შეშფოთებას გამოიწვევდა. მაგრამ მეტი გზა არ ჰქონდა, უნდა გაებედნა.

როცა გრეგორი საწოლიდან უკვე სანახევროდ იყო გადმოკიდებული, (ეს ახალი მეთოდი უფრო თამაშს ჰგავდა, ვინემ დაძაბულ მუშაობას, იგი მხოლოდ რწევას მოითხოვდა), მას აზრად მოუვიდა, რა იოლი მოსახერხებელი იქნებოდა ყოველივე, მას რომ მიშველებოდნენ. სავსებით საკმარისი იყო ორი ღონიერი ადამიანი — იგი გულისხმობდა მამასა და მოახლე ქალს. მათ მხოლოდ მის ამობურცულ ზურგს უკან ხელების შეყრა დასჭირდებოდათ; ასე გადმოიღებდნენ საწოლიდან, მერე დაიხრებოდნენ და ყურადღებას მიაქცევდნენ იმას, რომ გრეგორი გადაბრუნებულიყო იატაკზე, სადაც, საფიქრებელია, მისი ფეხები გარკვეულ გამოყენებას ჰპოვებდნენ. მაგრამ კარები კიდევაც რომ დახურული არ ყოფილიყო, განა მას შეეძლო საშველად დაძახება? ამის გაფიქრებისას გრეგორმა, ყოველივე გასაჭირის მიუხედავად, ღიმილისაგან თავი ვერ შეიკავა.

იგი უკვე იმდენად იყო გადმოკიდული, რომ ცოტა უფრო მაგრად დარწევისას წონასწორობას ვეღარ შეინარჩუნებდა; ამასთანავე ხუთ წუთში რვის თხუთმეტი შესრულდებოდა; საჭირო იყო სასწრაფოდ მიეღო გადაწყვეტილება; სწორედ ამ დროს ზარმა დარეკა. „ალბათ, სამსახურიდან მოვიდა ვინმე“, გაიფიქრა მან და ერთბაშად შეაჩერა რწევა; ლამის გაშეშდა, ხოლო მისი ფეხები კიდევ უფრო სწრაფად აცეკვდნენ. ერთის წამით დუმილი ჩამოვარდა. „კარს არ აღებენ“, — იფიქრა უაზროდ იმედაღძრულმა. მაგრამ შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, მოახლე ქალი მტკიცე ნაბიჯით გაემართა და კარი გააღო. პირველივე სიტყვის გაგონებისთანავე გრეგორისათვის ნათელი გახდა, თუ ვინც მოსულა — ეს იყო რწმუნებული. რა დააშავა გრეგორმა ისეთი, რომ მაინცდამაინც ამ ფირმაში სამსახური ერგო წილად, სადაც სულ მცირეოდენი დარღვევაც კი მაშინვე საშინელ ეჭვს იწვევს? განა ფირმის მოსამსახურენი ყველანი უკლებლივ ყალთაბან-

დები არიან, განა არ შეიძლება, რომ მათ შორის ერიოს ერთგული კაციც, რომელმაც დილის რამდენიმე საათი მისდაუნებურად გააცდინა, მაგრამ ამის გამო სინდისის საშინელი ქენჯნა იგრძნო და რა მისი ბრალია, თუ ლოგინიდან წამოდგომის ძალა არ შესწევს? ნუთუ საკმარისი არ იქნებოდა რომელიმე მოწაფე გამოეგზავნათ, — თუ საერთოდ საჭირო იყო ამგვარი დაკითხვა და გამოძიება, — ნუთუ მაინცდამაინც რწმუნებული უნდა მოსულიყო, რათა ამით მთელი ამ უცოდველი ოჯახისათვის ეგრძნობინებინათ, რომ ამ საეჭვო შემთხვევის გამოძიება მხოლოდ რწმუნებულის მახვილგონიერებისათვის შეიძლებოდა მიენდოთ? და გრეგორმა საწოლიდან ისკუპა უფრო მეტად ამგვარი ფიქრებით აღელვების გამო, ვინემ რაიმე გარკვეული გადაწყვეტილების შედეგად, ძირს ხმაურით დაეცა, თუმცა განსაკუთრებული გრუხუნი არ გამოუწვევია. ნოხმა ოდნავ შეანელა დაცემა და ზურგიც, არ მოელოდა, იმდენად მოქნილი გამოდგა; ამიტომაც დაცემის ხმა ყრუ და ნაკლებად მკვეთრი იყო. ოღონდ თავი ვერ დაიჭირა საკმარისად ფრთხილად და იატაკზე მოუხვდა; და მან, ტკივილისაგან გამწარებულმა, თავი ნოხს გაუხახუნა.

„იქ რაღაც გადმოვარდა“, — თქვა რწმუნებულმა მარცხნივ მეზობელ ოთახში. გრეგორმა სცადა წარმოედგინა შესაძლებელი თუ იყო, რწმუნებულსაც შემთხვეოდა იმის მსგავსი რამ, რაც მას დღეს დაემართა. კაცმა რომ თქვას, ამაში არაფერი იყო შეუძლებელი. მაგრამ თითქოსდა ამის პასუხად რწმუნებულმა მეზობელ ოთახში რამდენიმე მტკიცე ნაბიჯი გადადგა და ლაქის ჩექმები ააჭრიალა. მარჯვნივ მეზობელ ოთახიდან და ეჩურჩულებოდა გრეგორს: „გრეგორ, რწმუნებული მოვიდა“. „ვიცი“, — უჩუმრად თქვა გრეგორმა. იგი ვერ ბედავდა ხმის აწევას ისე, რომ დას გაეგონა.

„გრეგორ, — დაუძახა ბოლოს მამამ მარცხენა ოთახიდან, — ბატონი რწმუნებული მობრძანდა და კითხულობს რატომ არ გაემგზავრე დილის მატარებლით. ჩვენ არ ვიცით, რა ვუპასუხოთ. ამას გარდა, მას პირადად შენთან ლაპარაკი სურს. ამიტომაც გთხოვ, გააღო კარი. იგი იმდენად დიდსულოვანი იქნება, რომ ოთახის არეულობას გვაპატიებს“ „დილა მშვიდობისა, ბატონო ზამზა“, — თავაზიანად ჩაურთო რწმუნებულმა. „იგი შეუძლოდაა“, — უთხრა რწმუნებულს დედამ, სანამ მამა კარებთან ლაპარაკს განაგრძობდა. „მენდეთ, ბატონო რწმუნებულო, იგი ნამდვილად შეუძლოდაა. ასე რომ არ იყოს, გრეგორი დილის მატარებელს არ ჩამორჩებოდა, მას ხომ სხვა არაფერი ახსოვს, თუ არა თავისი სამსახურებრივი მოვალეობა. მე, ცოტა არ იყოს, ვუჯავრდები კიდევაც, როცა იგი საღამოობით არსად მიდის ხოლმე. მან ახლა ქალაქში რვა დღე დაჰყო და ყოველ საღამოს შინ იჯდა. ზის ხოლმე მაგიდასთან და გაზეთს კითხულობს ან მატარებლის განრიგს სწავლობს. მისი გასართობი ისაა, რომ ზოგჯერ ფიცრების გამოხერხვას ჰკიდებს ხელს. ამ ორი-სამი საღამოს განმავლობაში მან, მაგალითად, პატარა ჩარჩო გამოსჭრა; თქვენ გაგიკვირდებათ, ისეთი ლამაზი ჩარჩოა. მის ოთახში ჰკიდია; ახლავე ნახავთ, როგორც კი გრეგორი კარს გააღებს. მე მოხარული ვარ, თქვენ რომ მობრძანდით, ბატონო რწმუნებულო; უთქვენოდ ჩვენ ვერც ვაიძულებდით მას კარი გაეღო; იგი ერთობ ჯიუტია; და, რა თქმა უნდა, ამასთანავე შეუძლოდაცაა, — მიუხედავად იმისა, რომ მან ეს უარყო ამ დილით“. „ახლავე გამოვალ“,— ფრთხილად თქვა გრეგორმა, ისე, რომ არ შერხეულა, რათა მათი საუბრისაგან არაფერი გამორჩენოდა. „სხვაგვარად, ქალბატონო, მე არც შემიძლია ავხსნა ყოველივე ეს, — თქვა რწმუნებულმა, — იმედი ვიქონიოთ, რომ იგი არც ისე სერიოზული ავადმყოფია. თუმცა „მეორეს მხრივ, ისიც უნდა შევნიშნო, რომ ჩვენ მოხელეები, — სამწუხაროა ეს თუ საბედისწერო,—საქმის ხათრით

იძულებული ვართ ხოლმე უბრალოდ დავძლიოთ და უგულებელვყოთ მსუბუქი ავადმყოფობა". „მას, ბატონ რწმუნებულს, უკვე შეუძლია შემოსვლა?" — მოუთმენლად იკითხა მამამ და კვლავ დაუკაკუნა. „არა", — თქვა გრეგორმა. მარცხნივ, მეზობელ ოთახში, უსიამოვნო დუმილი ჩამოწვა, ხოლო მარჯვენა ოთახიდან დის სლუკუნი მოისმა.

რატომ არ გადიოდა სხვებთან და? იგი, ალბათ, ახლახან წამომდგარიყო ლოგინიდან, ჯერ ჩაცმაც არ დაეწყო. ნეტავი რატომ ტიროდა იგი! იმიტომ ხომ არა, რომ გრეგორი არ დგებოდა და რწმუნებულს არ უშვებდა ოთახში, იმიტომ ხომ არა, რომ ადგილის დაკარგვის საფრთხე ელოდა და ამის შემდეგ მისი შეფი მშობლებს ძველი პრეტენზიებით შეაწუხებდა? მაგრამ ყოველივე ეს ხომ ნაადრევი შეშფოთებაა. გრეგორი ჯერჯერობით აქ იყო და სულაც არ ფიქრობდა ოჯახის მიტოვებას. ახლა იგი ნოხზე იწვა და მისი ამგვარი მდგომარეობის შემხედვარე ვერავინ მოსთხოვდა რწმუნებულის ოთახში შემოშვებას, ხოლო ამ მცირედი არათავაზიანობის გამო, რომლის გასამართლებელი საბუთიც შემდეგში იოლად მოიძებნებოდა, მართლა ხომ არ დაითხოვდნენ გრეგორს. მას მიაჩნდა, რომ უფრო გონივრული იქნებოდა, თავი დაენებებინათ მისთვის და არ შეეწუხებინათ ტირილითა და თხოვნით, მალე გამოსულიყო ოთახიდან. მაგრამ აქ რაღაც გაუგებრობას ჰქონდა ადგილი, რაც მათს საქციელს ამართლებდა.

„ბატონო ზამზა,—ხმამაღლა დაუძახა რწმუნებულმა,—რა მოხდა? ჩაკეტილხართ თქვენს ოთახში, გვიპასუხებთ მხოლოდ „ჰოსა" და „არას", ტყუილუბრალოდ აშფოთებთ თქვენს მშობლებს და,—ესეც გავიხსენოთ სხვათაშორის,—სრულიად გაუგებარი მიზეზით თავს არიდებთ სამსახურებრივი მოვალეობის აღსრულებას. მე თქვენ გელაპარაკებით თქვენი მშობლებისა და შეფის სახელით, დაბეჯითებით გთხოვთ დაუყოვნებლივ მოგვცეთ ყოველივეს ახსნა-განმარტება. მე ფრიად გაოცებული ვარ. მე თქვენ დინჯ, ჭკუადამჯდარ კაცად მიმაჩნდით, თქვენ კი მოულოდნელად სრულიად უცნაური ხასიათი გამოამჟღავნეთ. მართალია, უფროსმა ამ დილით თქვენი დაუდევრობის სავარაუდო ახსნა მომაწოდა—ეს ეხებოდა თქვენდამი ამას წინათ მინდობილ ინკასოს,—მაგრამ მე მზად ვიყავი პატიოსანი სიტყვა მიმეცა, რომ ეს ახსნა სინამდვილეს არ შეეფერებოდა. ხოლო ახლა. როცა თქვენს უცნაურ ჯიუტობას ვხედავ, აღარავითარი ხალისი აღარა მაქვს, რომ კვლავაც დაგიცვათ. სხვათა შორის, თქვენი მდგომარეობა აღარც ისე მტკიცეა. თავდაპირველად მინდოდა ყოველივე ეს პირისპირ ლაპარაკში გამემხილა, მაგრამ როცა თქვენ აქ ტყუილუბრალოდ დროს მაკარგვინებთ, უკვე აღარ ვიცი, რატომ უნდა შევიკავო თავი და არ მოვახსენო თქვენს მშობლებსაც. თქვენი საქმიანობა ბოლო ხანებში სრულიად არადამაკმაყოფილებელი იყო. მართალია, ახლა არ არის წელიწადის ის დრო, როცა შესაძლებელია დიდი მასშტაბის საქმის წამოწყება, მაგრამ არ არსებობს პერიოდი, როცა საერთოდ სრულიად შეუძლებელი იყოს ეს. დიაღ, ბატონო ზამზა, ასეთი პერიოდი არ უნდა არსებობდეს".—„კი მაგრამ, ბატონო რწმუნებულო,—დაიძახა მოთმინებადაკარგულმა გრეგორმა, რომელსაც აღელვებისაგან ყოველივე დაავიწყდა,—ახლავე გავაღებ. ოდნავ შეუძლოდ ვიყავი, თავბრუ მეხვეოდა, ამან შემიშალა ხელი და დროზე ვერ წამოვდექი. ახლაც კიდევ ლოგინში ვწევარ. მაგრამ უკვე სავსებით საღად ვგრძნობ თავს. ახლავე წამოვდგები, მხოლოდ ერთი წამით იქონიეთ მოთმინება! ჯერ არც ისე კარგად ვყოფილვარ, როგორც მეგონა. მაგრამ არა მიშავს. არ ვიცი, რა დამემართა! ჯერ კიდევ გუშინ საღამოს სავსებით ჯანსაღად ვიყავი, მშობლები დამემოწმებიან, თუმცა უკეთ რომ ვთქვათ, გუშინვე გამიჩნდა რაღაც წინათგრძნობა.

შესაძლოა, მემჩნეოდა კიდევაც. ნეტავი რატომ არ შევატყობინე სამსახურში! მაგრამ ასეთ შემთხვევებში ხომ ყოველთვის იმას ვფიქრობთ, რომ ავადმყოფობას ფეხზე გადავიტანთ. ბატონო რწმუნებულო! დაინდეთ ჩემი მშობლები! მე ხომ არ დამიმსახურებია ასეთი საყვედურები; ჩემთვის ხომ აქამდე არაფერი უთქვამთ ამის მსგავსი. თქვენ, ალბათ, არ გაეცანით ბოლო შეკვეთებს, რომლებიც მე გამოვაგზავნე. ამას გარდა, მე გავემგზავრები კიდეც რვა საათის მატარებლით, რამდენიმე საათის დასვენებამ ძალა დამიბრუნა. ნუღარ დაყოვნდებით, ბატონო რწმუნებულო; მე ახლავე გეახლებით კონტორაში, პატივი დამდეთ და ჩემს უფროსს მოახსენეთ ყოველივე ეს!“

ამასობაში სანამ გრეგორი ამ სიტყვებს აფრქვევდა ისე, რომ ხეირიანად თვითონაც არ ესმოდა, რას ლაპარაკობდა, საწოლში გავარჯიშებული, ოლად მიცოცდა სკივრთან; ახლა ცდილობდა მას მიყრდნობოდა და წელში გამართულიყო. გრეგორს, მართლაც, უნდოდა კარი გაეღო, მათ წინაშე გამოჩენილიყო და რწმუნებულთან საუბარი გაება; აინტერესებდა რას იტყოდნენ მისი დანახვისას; თუკი შეშინდებოდნენ, მაშინ გრეგორს ეხსნებოდა ყოველგვარი პასუხისმგებლობა და შეეძლო დამშვიდებულიყო; ხოლო თუკი მშვიდად შეხვდებოდნენ, მაშინ აღარც მას ექნებოდა აღელვების საბაბი და რვა საათის მატარებელსაც მიუსწრებდა. თავდაპირველად, იგი რამდენიმეჯერ დაცურდა გლუვი სკივრიდან, მაგრამ ბოლოს ტანი აიქნია და წელში გაიმართა. იგი უკვე ყურადღებას აღარ აქცევდა სხეულის ქვედა ნაწილის მწვავე ტკივილებს; იქვე ახლო სკამის ზურგს მიაწვა და კიდეებზე ფეხებით ჩაებღაუჭა. ახლა უკვე სხეული დამორჩილებული იყო. ამ დროს რწმუნებულის ლაპარაკი მოესმა და გაჩუმდა.

„გაიგეთ რამე? — ჰკითხა რწმუნებულმა მშობლებს,—ხომ არ გვასულელებს?“ ღვთის გულისათვის, — წამოიძახა ატირებულმა დედამ,—იგი ალბათ, მძიმე ავადმყოფია და ჩვენ კი ასე ვაწვალებთ. გრეტა! გრეტა!—დაიყვირა მან ბოლოს. „დედა?“ შეეპასუხა და მეორე მხრიდან. მათ ლაპარაკს გრეგორის ოთახი აკავშირებდა.—„ახლავე ექიმთან წადი. გრეგორი ავადაა. ექიმთან, სასწრაფოდ. ხომ გაიგონე გრეგორის ლაპარაკი“. „ეს ცხოველის ხმა იყო“, დედის ყვირილთან შედარებით საგრძნობლად წყნარად თქვა რწმუნებულმა. „ანა! ანა!“—გასძახა მამამ წინაოთახის იქით, სამზარეულოში, და ტაში შემოჰკრა,—ახლავე ზეინკალი მოიყვანე!“. ორივე ქალმა კაბის შრიალით გაირბინა წინაოთახში (ასე სწრაფად მაინც როგორ ჩაიცვა გრეტამ?); სადარბაზო კარი გააღეს, მერე დახურვის ხმა აღარ მოისმა, ალბათ, ღიად დატოვეს; ასე იქცევიან ხოლმე იმ სახლში, სადაც დიდი უბედურება ხდება.

გრეგორი კი ბევრად უფრო დამშვიდდა. მის ლაპარაკს სხვები აღარ იგებდნენ, ხოლო მისთვის ადრინდელზე გასაგები გახდა; ალბათ, იმიტომ, რომ ყური შეაჩვია. სხვები თვლიდნენ, რომ მას ყველაფერი რიგზე არა ჰქონდა და მზად იყვნენ დახმარების აღმოსაჩენად. მტკიცედ და დაჯერებულად გაცემულმა განკარგულებებმა გრეგორზე კეთილი ზეგავლენა მოახდინა, მან თავი კვლავ ადამიანთა შორის იგულვა და ორივესაგან — ექიმისა და ზეინკლისაგან,—ისე, რომ მაინცდამაინც ვერც ანსხვავებდა მათ ერთმანეთისაგან, სასწაულს მოელოდა. მოახლოებული გადამწყვეტი საუბრისათვის რომ შესაფერი მკაფიო ხმა შეემზადებინა, რამდენჯერმე ჩაახველა, მაგრამ, რაც შეიძლება, ყრუდ, რადგან, შესაძლოა, მის ჩახველებასაც აღარ ჰქონდა ადამიანური ხმოვანება. ამასობაში მეზობელ ოთახში სრული სიჩუმე ჩამოვარდა. შესაძლოა, მშობლები რწმუნებულთან ერთად მაგიდას უსხდნენ და ჩურჩულებდნენ, ან იქნებ კარებს მოყრდნობოდნენ და უსმენდნენ.

გრეგორი ნელნელა სკამიანად მიჩოჩ-

და კარებთან. მერე სკამი მიატოვა და კარებს მიახტა. ფეხის გულებზე რაღაც წებოვანი ნივთიერება ეცხო, ამან შეუნარჩუნა გამართული მდგომარეობა,—ცოტახანი შეისვენა, მერე პირით გასაღების გადაბრუნებას შეუდგა. ჩანდა, რომ კბილები არა ჰქონდა,—რითი ჩასჭიდებოდა გასაღებს? — ამისათვის მას საკმაოდ ღონიერი ყბები აღმოაჩნდა. მათი დახმარებით, მართლაც, აამოძრავა გასაღები; ამასთანავე ყურადღება არ მიუქცევია, რომ რაღაც დაიშავა; პირიდან მოყავისფრო სითხე მოსდიოდა, გასაღებს მიჰყვებოდა და იატაკზე წვეთავდა. „ყური უგდეთ,—თქვა მეზობელ ოთახში რწმუნებულმა,—გასაღებს ატრიალებს“. ამან გრეგორი ძალზე გაამხნევა. მაგრამ უმჯობესი იქნებოდა, რომ ყველას, მათ შორის, მამასაც და დედასაც, მიეძახებინათ: „მარჯვედ, გრეგორ, აბა, დააწექი, დააწექი კლიტეს!“ წარმოიდგინა, რომ ყველანი გაფაციცებით ადევნებდნენ თვალყურს მის მუშაობას, და მთელის ძალით, თავდავიწყებით ჩასჭიდა პირი გასაღებს. გასაღების ბრუნვის შესაბამისად კლიტის გარშემო დაცეკვავდა. გასაღებზე პირით ჩაჭიდული გამართულ მდგომარეობას ინარჩუნებდა. ხან დაეკიდებოდა გასაღებს, ხანაც დააწვებოდა ტანის მთელი სიმძიმით. ბოლოს კლიტის გაღების მკვეთრმა ხმამ ერთბაშად გამოაფხიზლა გრეგორი, ღრმად ამოისუნთქა და წარმოსთქვა: „მაშ, ზეინკალი აღარ დამჭირდა“. და კარი რომ გაეღო, თავით სახელურს დააწვა.

რამდენადაც კარი ამგვარი წესით გაღო, იგი ჯერ დამალული იყო და არა ჩანდა, თუმცა კარი საკმაოდ ფართოდ გახსნილიყო. თავდაპირველად ცალი საგდულისათვის უნდა შემოეარა, თანაც ძალზე ფრთხილად, თუ არ უნდოდა, რომ ოთახში შესვლისას ზურგზე დანარცხებულიყო. იგი ამ ძნელი მოძრაობით იყო გართული და დრო არა ჰქონდა სხვა რაიმესათვის მიექცია ყურადღება, როცა რწმუნებულის ხმამაღალი წამოძახება გაიგონა: „ოჰ!“ ეს ქარის შუილსა ჰგავდა. გრეგორმა დაინახა იგი, რწმუნებული ყველაზე ახლოს იდგა კარებთან, დაღებულ პირზე ხელი მიეფარებინა და უკან-უკან იხევდა, თითქოს რაღაც უხილავი ძალა ეწეოდა. იქვე დედა იდგა, რწმუნებულის იქ ყოფნის მიუხედავად, თმაჩეჩილი, გულზე ხელები დაეკრიფა; მან ჯერ მამას შეხედა, მერე ორი ნაბიჯი გადმოდგა გრეგორისაკენ და თავდახრილი და სახედამალული ერთბაშად ჩაიკეცა ფართოდ გაშლილ კაბის კალთებში; მამამ მუშტი შეკრა და გამწყრალი გამომეტყველება მიიღო, თითქოს უნდოდა გრეგორი ისევ თავის ოთახში გაეძევებინა; მერე შეცბუნებულად მიმოიხედა, თვალებზე ხელები აიფარა და ატირდა ისე, რომ მისმა ძალუმმა მკერდმა რყევა დაიწყო.

გრეგორს აღარ უცდია სასტუმრო ოთახში შესვლა, საგდულზე დაეყრდნო ისე, რომ მხოლოდ ნახევარი ტანი და გვერდზე გადახრილი თავი მოუჩანდა. ამასობაში სინათლემ საგრძნობლად იმატა. ქუჩის გაღმა მხარეს უკვე სავსებით გარკვევით მოჩანდა უშველებელი მუქნაცრისფერი შენობის — საავადმყოფოს ნაწილი, ფასადზე მწყობრად გამწკრივებული, გამოკვეთილი ფანჯრებით. ისევ წვიმდა, ოღონდ ახლა უფრო მსხვილი, ცალ-ცალკე დასანახი წვეთები ცვივოდა. მაგიდა ჭურჭლით იყო სავსე, რადგან მამას ძირითად ტრაპეზად მიაჩნდა დილის საუზმე, რომელსაც საათობით აგრძელებდა ხოლმე გაზეთების კითხვაში. მოპირდაპირე კედელზე გრეგორის ფოტოსურათი ეკიდა, სამხედრო სამსახურში ლეიტენანტად ყოფნისას გადაღებული, ხელი დაშნაზე ედო, უზრუნველად იღიმებოდა და გამომეტყველებით თავისი სამხედრო პოზისა და მუნდირისადმი პატივისცემას მოითხოვდა. წინაოთახის კარი ღია იყო; ღია იყო, აგრეთვე, სადარბაზო კარიც, საიდანაც კიბის ბაქანი და დაბლა ჩამავალი კიბის დასაწყისი მოსჩანდა.

„მაშ,—თქვა გრეგორმა, თან გრძნობდა, რომ იგი ერთადერთი იყო, რომელ-

მაც სიმშვიდე შეინარჩუნა,—მე ახლავე ტანთ ჩავიცვამ, ნიმუშებს ჩავალაგებ და გავემგზავრები. თქვენ გინდათ, რომ გავემგზავრო? გინდათ? თქვენ ხედავთ, ბატონო რწმუნებულო, მე არა ვარ ჯიუტი და ხალისით ვმუშაობ; მოგზაურობა თუმცა დამტანჯველია, მაგრამ მე არ შემიძლია მოგზაურობის გარეშე ცხოვრება. სად მიდიხართ, ბატონო რწმუნებულო? სამსახურში? ჰო? ყოველივეს ისე მოახსენებთ, როგორც იყო? ზოგჯერ შესაძლოა, კაცმა დროებით დაჰკარგოს შრომის უნარი, მაგრამ სწორედ მაშინ გვევალება, გავიხსენოთ მისი ადრინდელი მუშაობა და ვიფიქროთ, რომ იგი მომავალში დაბრკოლებათა გადალახვის შემდეგ, კიდევ უფრო მუყაითად იმუშავებს. მე ფრიად დავალებული ვარ უფროსისაგან. თქვენ ეს კარგად მოგეხსენებათ. მეორეს მხრივ, მე ჩემს მშობლებსა და დაზღვრუნვა მაკისრია. მე გასაჭირში ვარ, მაგრამ უთუოდ თავს დავაღწევ. ოღონდ თქვენ ნუ გამირთულებთ მდგომარეობას. მხარი დამიჭირეთ სამსახურში! მე ვიცი, კომივოიაჟერები მაინდამაინც არ უყვართ. ფიქრობენ, რომ ისინი ბევრ ფულს აკეთებენ და მშვენივრად ცხოვრობენ. ვერ მიმხვდარან, რომ ეს ცრურწმენაა. თქვენ კი, ბატონო რწმუნებულო, უკეთ გაგეგებათ ყოველივე ეს, უკეთ, ვინემ სხვებს, ჩვენ შორის დარჩეს და, უკეთ, ვინემ თვითონ უფროსსაც, რომელიც როგორც მეპატრონე, იოლად შეიძლება შეცდეს თავისი ხელქვეითის საზარალოდ. თქვენ ისიც კარგად იცით, რომ კომივოიაჟერი, რომელიც მთელი წლის განმავლობაში ფირმის გარეშე იმყოფება, იოლად შეიძლება გახდეს სხვადასხვა ჭორისა, შემთხვევითობისა და უსაფუძვლო ბრალდების მსხვერპლი, რომელთაგანაც თავის დაცვა მისთვის საგსებით შეუძლებელია; ასეთ საშიშროებათა შესახებ კომივოიაჟერმა მეტ წილად არაფერი იცის და მათ მავნე შედეგებს მხოლოდ მაშინ განიცდის საკუთარ ტყავზე, როცა მოგზაურობის დასასრულს დაქანცული შინ ბრუნდება. ბატონო რწმუნებულო, ნუ წახვალთ მანამ, სანამ თუნდაც ერთი სიტყვით არ მაგრძნობინებთ, რომ ნაწილობრივ მაინც მამართლებთ!"

მაგრამ რწმუნებულმა გრეგორის ლაპარაკის დაწყებისთანავე ზურგი შეაქცია მას, მხარი უტოკავდა და ყურთუკულმა ტუჩებგამობერილი უყურებდა. გრეგორის ლაპარაკის დროს იგი ერთი წამითაც არ შეჩერებულა, კარებისაკენ მიიწევდა და თან გრეგორს თვალს არ აცილებდა; მაგრამ მიიწევდა ძალზე ნელა, ისე, თითქოს ოთახის დატოვება რაღაც იდუმალი კანონით იყო აკრძალული. იგი უკვე წინაოთახში გავიდა და სასტუმრო ოთახიდან უკანასკნელი ნაბიჯის გადადგმისას ფეხი ისე უეცრად მოსწყვიტა იატაკს, თითქოსდა ტერფი დასწვოდეს. ხოლო წინაოთახში გასულმა მარჯვენა ხელი შორს, კიბისაკენ გაიწვდინა, თითქოს იქ რაღაც ზეციური ნეტარება ელოდა.

გრეგორი ხედავდა, რომ არასგზით არ შეიძლებოდა ამ გუნებაზე რწმუნებულის გაშვება, თუ უნდოდა, სამსახურში მთლად არ წახდენოდა საქმე. მშობლებს ეს კარგად ვერ შეეგნოთ; მათ წლების განმავლობაში ისეთი შეხედულება შეექმნათ, თითქოს გრეგორს თავისი ადგილი სამსახურში მთელი ცხოვრების მანძილზე მტკიცედ ჰქონდა უზრუნველყოფილი, ამას გარდა ახალი საზრუნავით შეფიქრიანებულებმა სრულიად დაჰკარგეს მიხვედრის უნარი. გრეგორი კი ყველაფერს ხედავდა: საჭირო იყო რწმუნებულის დაკავება, დამშვიდება, დარწმუნება და, ბოლოსდაბოლოს, მისი გულის მონადირება. ამისაგან იყო დამოკიდებული გრეგორისა და, აგრეთვე, მთელი ოჯახის მომავალი! ნეტავი გრეტა მაინც ყოფილიყო აქ ამ დროს! იგი ჭკვიანი გოგოა; მან ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო ტირილი, როცა გრეგორი მშვიდად იწვა ზურგზე; და, ცხადია, რწმუნებული, რომელიც ქალების მოყვარულ კაცად იყო ცნობილი, დაემორჩილებოდა მას; გრეტა ჩაკეტავდა სადარბაზო კარებს

და წინათახშივე მოელაპარაკებოდა რწმუნებულს, უთუოდ მოახერხებდა მის გადარწმუნებას. მაგრამ, სამწუხაროდ, სწორედ გრეტა არ იყო ახლა სახლში; ამიტომ თვითონ გრეგორს უნდა ემოქმედა. და იმის გათვალისწინების გარეშე, რომ ჯერ არ იცოდა, მოძრაობის როგორი უნარი გააჩნდა და ამასთანავე, შესაძლოა, მისი ლაპარაკიც კვლავ გაუგებარი იყო, მოსცილდა საგდულს და ღია კარებში გასვლა დააპირა. გეზს იღებდა რწმუნებულისაკენ, რომელიც უკვე კიბის ბაქანზე გასულიყო და სასაცილოდ ჩაბღაუჭებოდა მოაჯირს; მაგრამ გრეგორმა თავი ვერ შეიმაგრა, ამაოდ მოიძია საყრდენი, წამოიყვირა და თავის მრავალრიცხოვან ფეხებზე დაეცა. ეს მოხდა თუ არა, ამ დილით პირველად იგრძნო, რომ მისი სხეული მოხერხებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ფეხებმა მტკიცე ნიადაგი იპოვეს და, როგორც სიამოვნებით შენიშნა, სავსებით ემორჩილებოდნენ; თვითონვე ეწეოდნენ იქეთკენ, საითაც წასვლას აპირებდა. გრეგორი ახლა უკვე იმას ფიქრობდა, რომ მის გასაჭირს, სადაცაა, სრულიად მოეღებოდა ბოლო. მაგრამ სწორედ იმ დროს, როცა დედა სავსებით გამოთიშული ჩანდა, გრეგორი კი მის წინ ბარბაცებდა, ერთბაშად წამოხტა, მკლავები შორს გაიწვდინა, თითები გაფარჩხა და დაიყვირა: „მიშველეთ, ღვთის გულისათვის, მიშველეთ!“ თავი დაბლა დახარა, თითქოს გრეგორისათვის უკეთ შეხედვა უნდოდა, და უაზროდ უკუიქცა. აღარ გახსენებია, რომ მის უკან გაწყობილი მაგიდა იდგა; მაგიდას რომ მიაღწია, თითქოსდა დაბნეულობისაგან, სასწრაფოდ ზედ შემოჯდა; როგორც ჩანდა, ვერც კი შენიშნა, რომ მის გვერდით გადაყირავებული დიდი საყავედან ყავა ნიაღვარივით გადმოდინდა და ხალიჩაზე დაიღვარა.

„დედა, დედა“,—წყნარად თქვა გრეგორმა და თვალები მისკენ მიაპყრო.

გრეგორს ერთი წუთით მთლად დააკიწყდა რწმუნებულის არსებობა; მაგრამ დაღვრილი ყავა რომ დანახა, თავი ვერ შეიკავა და ყბებით ჭაჭაკუნი რამდენიმე ყლუპი შესვა. ამის დანახვისას დედამ ხელახლა წამოიყვირა, მაგიდიდან ჩამოხტა და მისკენ გამოქანებულ მამას მკერდში ჩაეკრა. მაგრამ გრეგორს ახლა აღარ ეცალა მშობლებისათვის; რწმუნებული უკვე კიბეზე იმყოფებოდა, მოაჯირზე ნიკაპი შემოედო და უკანასკნელად იყურებოდა მისკენ. გრეგორი გამოედევნა, უნდოდა დასწეოდა; რწმუნებულმა, ალბათ, რაღაც იგრძნო, ერთბაშად რამდენიმე საფეხურს გადაახტა და თვალს მიეფარა: „თფუი!“ იყვირა მან ისე, რომ ხმამ ყველა სართულს მიაღწია. მამა აქამდე შედარებით ინარჩუნებდა წონასწორობას; სამწუხაროდ, რწმუნებულის გაქცევამ, როგორც ჩანს, მთლად დააბნია; ნაცვლად იმისა, რომ რწმუნებულს გამოდევნებოდა, ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, გრეგორისათვის მაინც მიეცა ამისი საშუალება, რწმუნებულის მიერ შლაპასა და პალტოსთან ერთად სკამზე დატოვებულ ხელჯოხს სწვდა მარჯვენა ხელით, მაგიდიდან გაზეთი აიღო, ფეხები ააბაკუნა და ხელჯოხისა და გაზეთის ქნევით ცდილობდა გრეგორი უკანვე თავის ოთახში შეედევნა. გრეგორის ვერავითარმა თხოვნამ ვერ გასჭრა, მამას არც ესმოდა მისი თხოვნა; რა საცოდავადაც არ უნდა ექნია თავი გრეგორს, მამა სულ უფრო და უფრო უმატებდა ფეხების ბაკუნს. ამასობაში დედას, მიუხედავად გრილი ამინდისა, ფანჯარა ფართოდ გაეღო და ქუჩისკენ თავგადაგდებული, სახეს ხელებში მალავდა. ქუჩისა და კიბის შორის ძლიერი გამკრავი ქარი გაჩნდა, ფარდები აფრიალდა, გაზეთები აშრიალდა მაგიდაზე, რამდენიმე ფურცელი იატაკისკენ გაფრინდა; მამა შეუბრალებლად უტევდა გრეგორს და ველურივით შიშინებდა. გრეგორი კი ძალზე ნელა იხევდა, რადგან უკან-უკან სიარულში ჯერ სრულიადაც არ იყო გაწაფული. შემობრუნება რომ გაებედა, მაშინვე თავის ოთახში აღმო-

ჩნდებოდა; მაგრამ ეშინოდა შემოტრიალებისას დროის დაკარგვით მოთმინებიდან არ გამოეყვანა მამა და მისი ჯოხისაგან ზურგსა და თავში სასიკვდილო დარტყმა არ მიეღო. ბოლოს და ბოლოს სხვა გამოსავალი მაინც არა რჩებოდა, რადგან შენიშნა, რომ უკან სვლისას გარკვეული მიმართულების შენარჩუნებასაც ვერ ახერხებდა. და რაც შეეძლო, სწრაფად, ნამდვილად კი ერთობ ნელა, დაიწყო შემობრუნება, თან მამას არ აცილებდა შეშინებულ მზერას. მამა, ალბათ, მიუხვდა კეთილ განზრახვას, ხელი არ შეუშლია, პირიქით, შორიდან ხელჯოხის წვერით დირიჟორობდა კიდევაც მის მოძრაობას. ოღონდ ნეტავი ყოველივე ამას თან არ ხლებოდა მამის აუტანელი შიშინი! ეს შიშინი გრეგორს თავგზას უბნევდა. უკვე თითქმის მთლად შემობრუნებული იყო, როცა შიშინმა დააბნია და ოდნავ ისევ უკან შეტრიალდა. ბოლოს, როგორც იქნა, კარამდე მიაღწია; მაგრამ აქ გამოირკვა, რომ მისი სხეული ზედმეტად ფართო ყოფილა და კარში გატევა გაუჭირდებოდა. მამას, ცხადია, ოდნავადაც არ მოჰგონებია მეორე საგდულიც გამოეღო, რათა გასაქანი მიეცა გრეგორისათვის. მას მხოლოდ ერთი აკვიატებული აზრი ჰქონდა, — რაც შეიძლება, მალე გასულიყო გრეგორი თავის ოთახში. არავითარ შემთხვევაში არ მოითმენდა იმ საფუძვლიან მზადებას, რომელიც სჭირდებოდა გრეგორს, რათა გამართულიყო და ასე გატეულიყო კარებში. პირიქით, ახლა იგი განსაკუთრებული ხმაურით წინ მიერეკებოდა გრეგორს, თითქოს არავითარი დაბრკოლება არ ყოფილიყო. ხმა, რომელიც გრეგორის ზურგს უკან მოისმოდა, უკვე აღარ გავდა მხოლოდ მამის ხმას; ეს უკვე ნამდვილად აღარ იყო ხუმრობა; და გრეგორიც თავგანწირვით შეეტენა კარებში. სხეულის ერთი მხარე მაღლა აეწია და ფერდი დაუწყლულდა. წყლულისგან თეთრ კარს საზიზღარი ლაქები დააჩნდა. მერე კარში გაიჩხირა და დამოუკიდებლად განძრევა აღარ შეეძლო; ცალ მხარეს ფეხები ჰაერში ცახცახით ჩამოეკიდა, ხოლო მეორე მხარეს მტკივნეულად მიეჭყლეტა — იატაკს; მაშინ მამამ უკნიდან, ახლა, მართლაცდა, შვების მომგვრელი დარტყმით, ძლიერად უბიძგა და გრეგორი სისხლდადენილი ოთახში ღრმად შევარდა. კარი ხელჯოხით მიაჯახუნეს; ბოლოს, როგორც იქნა, სიჩუმე დამყარდა.

II

შებინდებისას გრეგორს გამოეღვიძა; ღრმად და უგრძნობლად ეძინა. მალე, ალბათ, ისედაც გაიღვიძებდა, რადგან საკმარისად დასვენებულად და გამოძინებულად გრძნობდა თავს; მაგრამ მაინც ფიქრობდა რომ ვიღაცის მსუბუქი ნაბიჯისა და მერე წინა ოთახში გამავალი კარის ფრთხილი დახურვის ხმებმა გამოაღვიძეს. მაღლა ჭერსა და ავეჯის ზედა ნაწილებს ქუჩიდან ელექტრონათურების მკრთალი შუქი ალაგ-ალაგ ეცემოდა; მაგრამ დაბლა გრეგორთან სრულიად ბნელოდა. გრეგორი კარებთან მიცოცდა, უნდოდა შეეტყო, რა მდგომარეობა იყო გარეთ; ნელნელა მიცოცდა, ჯერ კიდევ მოუხერხელბად ხმარობდა საცეცებს, რომელთა ფასიც მან ახლა გაიგო პირველად. სხეულის მარცხენა მხარე გადაქცეოდა ერთიან ნაჭრილობევად, რომელიც უსიამოვნოდ სწიწკნიდა; ამიტომაც იგი, მიუხედავად ფეხების ორმხრივი რიგისა, მაგრად კოჭლობდა. ერთი ფეხი, — საოცარია, რომ მხოლოდ ერთი — ამ დილანდელი ინციდენტის შედეგად მძიმედ დაშავებოდა და უსიცოცხლოდ ეთრეოდა იატაკზე.

კართან მისვლისას მიხვდა, თუ რა ეწეოდა მაინცდამაინც კარისკენ; ეს რაღაც საკვების სუნი ყოფილა. იქ ტკბილი რძით სავსე ჯამი იდგა, რომელშიაც თეთრი პურის პატარ-პატარა ნაჭრები ტივტივებდა. გრეგორმა სიხარულისაგან ლამის სიცილი დაიწყო; მას ახლა დილანდელზე უფრო მეტად შიოდა; თავი ისე ღრმად ჩაჰყო რძეში, რომ თითქმის თვა-

ლებიც შიგ ჩაემალა; მაგრამ იმედგაცრუებულმა თავი მაშინვე ამოჰყო. არა მხოლოდ იმიტომ, რომ დაზიანებული მარცხენა მხარე უშლიდა ჭამაში ხელს (ჭამის დროს ძალზე ქშინავდა და მთელი სხეული ერყეოდა), არამედ იმიტომაც, რომ რძე სრულიად აღარ ეგემრიელა; რძე კი აქამდე მისი საყვარელი სასმელი იყო, და, ცხადია, დამაც სწორედ ამიტომ შემოუტანა; ჯამს ზიზღით ზურგი შეაქცია და უკან, ოთახის შუაგულისკენ გაცოცდა.

სასტუმრო ოთახში, როგორც გრეგორი კარის ჭუჭრუტანიდან ხედავდა, გაზი აენთოთ; ჩვეულებრივ დღის ამ დროისათვის მამა დედასა და ზოგჯერ დასაც ხმამაღლა საღამოს გაზეთს უკითხავდა ხოლმე; ახლა კი სრული სიჩუმე სუფევდა. შესაძლოა, გაზეთის ამ კითხვას, რომლის შესახებაც მისთვის გრეტას ხშირად მოუყოლია და მოუწერია ხოლმე, უკვე გადაეჩვივნენ. მაგრამ ირგვლივ რომ ასეთი სიწყნარე იყო გამეფებული, თუმცა კი, ცხადია, ბინა არ იყო ცარიელი. „რა მყუდროდ ცხოვრობდა ჩემი ოჯახი“, გაიფიქრა გრეგორმა და თან დიდი სიამაყე იგრძნო, რომ ამ მშვენიერ ბინაში მშობლებისა და დის ასეთი ცხოვრების უზრუნველყოფა მოახერხა. ნუთუ ახლა ამ სიმყუდროვეს, კეთილდღეობასა და კმაყოფილებას ასე საშინლად მოეღება ბოლო? და გრეგორმა ოთახში დაიწყო აქეთ-იქით ცოცვა, რათა ამგვარ ფიქრებს აღარ მისცემოდა.

ერთხელ ამ გრძელსა და გაუთავებელ საღამოს ოდნავ გამოიღო და მაშინვე მიიხურა ერთ-ერთი კარი; მერე ეს კიდევ განმეორდა, ოღონდ ახლა მეორე კარი გამოაღეს. ჩანდა, ვიღაცას შემოსვლა უნდოდა, მაგრამ ვერ გაებედა. გრეგორმა გადაწყვიტა ამ გაუბედავი მნახველისთვის შემოსვლა გაებედვინებინა, ანდა, ყოველ შემთხვევაში, ის მაინც გაეგო, თუ ვინ იყო იგი. ამიტომაც უშუალოდ სასტუმრო ოთახის კართან დადგა; მაგრამ კარი მეტად აღარ შემოუღიათ და გრეგორი ამაოდ უცდიდა. დილით ადრე, როცა ყველა კარი ჩაკეტილი იყო, ყველას უნდოდა ოთახში შემოსვლა, ახლა კი, როცა ერთერთი კარი თვითონვე გააღო და დანარჩენებსაც, ცხადია, მთელი დღის განმავლობაში გააღებდნენ, აღარავინ შემოდიოდა მასთან.

სასტუმრო ოთახში სინათლე მხოლოდ გვიან ღამით ჩააქრეს. გრეგორი მიხვდა, რომ მშობლები და გრეტა აქამდე ფხიზლობდნენ, რადგან ისიც მოესმა, თუ როგორ გადიოდნენ სამივენი ოთახიდან ფეხის წვერებზე. ცხადი იყო, რომ დილამდე აღარავინ შემოვიდოდა გრეგორთან; ამგვარად, მას საკმარისი დრო ჰქონდა, რომ მშვიდად, ყოველგვარი ხელისშეშლის გარეშე მოეფიქრებინა მომავლის გეგმები. მაგრამ ეს მაღალი გამოცარიელებული ოთახი შიშსა გვრიდა, თუმცა კი საამისო მიზეზს ვერ მიმხვდარიყო. ამ ოთახში ხომ უკვე ხუთი წელია ცხოვრობს. იგი ოდნავ დარცხვენილად, ნაწილობრივ გაუცნობიერებლად მოტრიალდა და დივანქვეშ შესაძრომად გაემართა. თუმცა კი დივანი ზურგზე აწვებოდა და თავის მაღლა აღებაც არ შეეძლო, იქ მაინც ერთობ მყუდროდ იგრძნო თავი და მხოლოდ იმას ნანობდა, რომ მთლიანად ვერ ეტეოდა დივანქვეშ. იქ გაატარა მან მთელი ღამე თვლემაში, რომელსაც შიგადაშიგ შიმშილი აფრთხობდა ხოლმე. თვლემაში ზოგჯერ მომავალი დღისთვის ზრუნავდა და ეღვიძებოდა რაღაც იმედები, რაც აფიქრებინებდა ხოლმე, რომ ჯერ-ჯერობით დინჯად უნდა მოქცეულიყო და ცდილიყო დიდი მოთმინებითა და ტაქტით ოჯახისათვის თავისი ახლანდელი მდგომარეობის გამო მიყენებული უსიამოვნებანი შეემსუბუქებინა.

დილაადრიან, როცა ჯერ კიდევ თითქმის ბნელოდა, შემთხვევა მიეცა, მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ძალა გამოეცადა; წინაოთახიდან კარი გამოაღო დამ და შემოიხედა. მას უკვე ტანთ ჩაეცვა. ერთხანს ვერ მიაგნო გრეგორს, მაგრამ როცა კი დივანქვეშ

შენიშნა (ღმერთო ჩემო, სადმე ხომ უნდა ყოფილიყო, გაფრენა ხომ არ შეეძლო) იმ ზომამდე შეშინდა, რომ თავი ვერ შეიკავა და კარი მიიჯახუნა. მაგრამ მერე თითქოს ინანა ამგვარი საქციელი; მაშინვე ისევ გამოაღო კარი, ფრთხილად შემოვიდა თითის წვერებზე, გეგონებოდათ მძიმე ავადმყოფთან ან ვინმე სრულიად უცხო კაცთან მოსულიყოს. გრეგორს თავი დივანის კიდესთან მიეტანა და ასე აკვირდებოდა დის მოქმედებას. ნეტავი თუ შენიშნავს, რომ მას რძისათვის პირი არ დაუკარებია, თანაც იმიტომ კი არა, რომ არა შიოდა; ნეტავი თუ მიხვდება, მისთვის უფრო შესაფერი საჭმელი მოიტანოს? თვითონ თუ ვერ მიხვდებოდა, გრეგორი უმალ შიმშილით სიკვდილს არჩევდა, ვიდრე მისი ყურადღების მიპყრობას გაბედავდა; თუმცა მას ერთი სული ჰქონდა, დივანიდან გამომძვრალიყო, ფეხებში ჩავარდნოდა გრეტას და რამე გემრიელი საჭმლის მოტანა ეთხოვნა. მაგრამ გრეტამ მაშინვე გაოცებით შენიშნა სავსე ჯამი, რომლიდანაც რძე ოდნავ დაქცეულიყო; ჯამი ხელში აიღო, — თუმცა არა შიშველ ხელებით, არამედ ჩვრით, — და ოთახიდან გაიტანა. გრეგორი ძალზე დააინტერესა და დააფიქრა იმან, თუ რას მოიტანდა იგი რძის ნაცვლად; ამ მხრივ სრულიად სხვადასხვა შესაძლებლობები არსებობდა. მაგრამ ვერასოდეს მიხვდებოდა იმას, რაც დამ თავისი კეთილი გულის წყალობით გააკეთა; მან ძველი გაზეთის ფურცლებზე მრავლად დააწყო სხვადასხვა საჭმელები და ასარჩევად შემოიტანა; ამით უნდოდა მისი გემოვნება გამოეცნო. აქ იყო ძველი, შემპალი ბოსტნეული; ვახშმისაგან მორჩენილი, გაცივებულ და გამაგრებულ, საწებელში ამოსვრილი ძვლები; იყო აგრეთვე ცოტაოდენი ქიშმიში და ნუში; ყველის ნაჭერი, რომელიც გრეგორმა ორი დღის უკან უვარგისად გამოაცხადა; გამხმარი პური, კარაქწაცხებული პურის ნაჭერი, კიდევ ერთი პურის ნაჭერიც ოღონდ კარაქწაცხებული და მარილწაყრილი. ამასთანავე, გრეტამ იქვე წყლით სავსე ჯამიც დაუდგა, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ გრეგორისათვის იყო განკუთვნილი. იმისათვის, რომ გრეგორს მისი თანდასწრებით ჭამა არ მორიდებოდა, დამ თავაზიანობა გამოიჩინა და სასწრაფოდ გავიდა ოთახიდან, გასაღები გადააბრუნა და კარი ჩაკეტა, რომ გრეგორს სავსებით თავისუფლად ეგრძნო თავი. გამალებით აფუსფუსდნენ გრეგორის ფეხები, როცა იგი საჭმლისაკენ გაემართა. ჭრილობებიც სავსებით დაამებული მოეჩვენა. იგი აღარავითარ დაბრკოლებას აღარ გრძნობდა, რამაც გააკვირვა კიდევაც და მოაგონა, რომ ამ ერთი თვის წინათ ხელი ოდნავ გაიჭრა დანით და ეს ჭრილობა ჯერ კიდევ გუშინწინ საკმაოდ აწუხებდა „ნუთუ ახლა მე ნაკლებად მგრძნობიარე ვარ?“, — გაიფიქრა და თან ხარბად მიეტანა ყველის ნაჭერს, რომელიც ყველაზე მეტად იზიდავდა. ისე სიამოვნებით შეექცეოდა საჭმელს, რომ თვალებზე ცრემლები მოსდგომოდა; მან სწრაფად გაანადგურა ყველი, ბოსტნეული, საწებელი; საღი საჭმელი კი სულაც არ ეგემრიელებოდა, მათ სუნსაც ვერ იტანდა: რის შეჭმასაც დააპირებდა, საღი საჭმლისაგან მოშორებით წაიღებდა და ისე შეექცეოდა. გრეგორს უკვე კარგახანია დაესრულებინა ჭამა და იქვე ნებიერად გაწოლილიყო, როცა დამ ნელა გადააბრუნა გასაღები იმის ნიშნად, რომ გრეგორი გასცლოდა იქაურობას და უკან დახეულიყო. გრეგორი ამასობაში უკვე თვლემდა, მაგრამ გასაღების ხმამ უეცრად დააფრთხო; სასწრაფოდ ისევ დივანის ქვეშ შეძვრა. ახლა ძალზე გაუჭირდა იქ გაძლება იმ მცირე ხნის განმავლობაშიც კი, ვიდრე გრეტა ოთახში იმყოფებოდა; გაუჭირდა, რადგან უხვი საჭმლის წყალობით სხეული რამდენადმე დამრგვალებოდა და ამ სივიწროვეში სუნთქვა უძნელდებოდა. იგი ხუთვის მსუბუქ შეტევებს ებრძოდა და თან ოდნავ გადმოკარკლული თვალებით უყურებდა გრეტას, რომელსაც აზრადაც არ მოსდიოდა, რომ გრეგორს უჭირდა. უყუ-

რებდა, თუ როგორ მუშაობდა გრეტა ცოცხით, როგორ აგროვებდა ერთად ნარჩენებს და არა მხოლოდ ნარჩენებს, არამედ იმასაც, რასაც გრეგორი ზედაც არ მიჰკარებია, თითქოს საჭმელად აღარც ესენი გამოდგებოდა. მერე დამ შეგროვილი ნასუფრალი სასწრაფოდ თულუხჩში ჩაყარა, თულუხჩს ფიცრის სახურავი დაახურა და გარეთ გაიტანა. როგორც კი დამ დასტოვა ოთახი, გრეგორი მაშინვე გამოძვრა დივანის ქვემოდან, თავისუფლად გაიჭიმა და გაიბერა.

ამგვარად ღებულობდა გრეგორი თავის ყოველდღიურ საჭმელს; პირველად დილით, სანამ მშობლებსა და მოახლე ქალს ჯერ კიდევ ეძინათ. მეორეჯერ საერთო სადილობის შემდეგ, რადგან მშობლები ამ დროსაც იძინებდნენ ცოტა ხნით, ხოლო მოახლე ქალს გრეტა გაგზავნიდა ხოლმე რაიმე საქმეზე. ცხადია, არც მათ უნდოდათ, რომ გრეგორი შიმშილით მომკვდარიყო. მაგრამ ისინი, ალბათ, ვერ გადაიტანდნენ, მისი ჭამა-სმის შესახებ იმაზე მეტი რომ გაეგოთ, რაც ყურმოკვრით იცოდნენ; შესაძლოა, გრეტა სწორედ იმაზე ზრუნავდა, რომ მშობლებისათვის ეს მცირე წუხილი მაინც აეცილებინა, რადგან ისინი უამისოდაც საკმარისად იტანჯებოდნენ.

თუ რა საბაბით გაისტუმრეს უკან იმ პირველ დილით ექიმი და ზეინკალი, ეს გრეგორმა ვეღარ გაიგო, რადგან არავინ არაფერს ეუბნებოდა; გრეგორის ლაპარაკი რომ არ ესმოდათ, ეგონათ, არც მას შეეძლო სხვათა ლაპარაკის გაგება. ამიტომაც როცა გრეტა მასთან იმყოფებოდა, გრეგორს მისგან მხოლოდღა ოხვრა და წმინდანებისადმი მიმართული ვედრება ესმოდა ხოლმე. უფრო გვიან, როცა და ასე თუ ისე შეეგუა ყოველივეს, — სრულ შეგუებაზე ლაპარაკი, ცხადია, ზედმეტი იყო, — გრეგორს ზოგჯერ ყური წაუკრავს კეთილგანწყობილი შენიშვნისათვის; „დღეს მოსწონებია საჭმელი“, იტყოდა ხოლმე გრეტა, როცა ნახავდა, გრეგორს მთლად მოუსუფთავებია სუფრა; ხოლო საწინააღმდეგო შემთხვევაში, რაც სულ უფრო და უფრო ხშირად მეორდებოდა, თითქმის ნაღვლიანადაც ამბობდა: „პირიც არ დაუკარებია“.

რახან გრეგორს ახალ ამბებს უშუალოდ არავინ უყვებოდა, მეზობელ ოთახში ლაპარაკს უგდებდა ხოლმე ყურს; ხმას გაიგონებდა, გაიქცეოდა შესატყვისი კარისაკენ და ზედ აეკვროდა. პირველ ხანებში მათი ყოველი საუბარი გრეგორს შეეხებოდა; ორი დღის განმავლობაში რამდენჯერაც კი სუფრას მიუსხდნენ, იმდენჯერ ბჭობა გამართეს, თუ ამიერიდან როგორც უნდა მოქცეულიყვნენ; მაგრამ ტრაპეზასა და ტრაპეზას შორის ინტერვალებშიც ამავე თემაზე მსჯელობდნენ. სახლში ყოველთვის ორი ადამიანი მაინც იყო, რადგან მარტო დარჩენას ვერავინ ბედავდა, ხოლო ყველას ერთად რომ დაეტოვებია ბინა, ეს მთლად შეუძლებლად მიაჩნდათ. ამასთან მოახლე ქალმა (ძნელი იყო თქმა, თუ რამდენად იცოდა მან ყოველივე) მუხლებზე დაჩოქვით შესთხოვა დედას, სამუშაოდან დაეთხოვა; ხოლო როცა დაითხოვეს, ცრემლმორეული მადლობას იხდიდა, თითქოს უდიდესი წყალობა მიეღოს; მერე იფიცებოდა, არავის არაფერს არ ვეტყვიო. გრეტა იძულებული შეიქნა, დედასთან ერთად ემზარეულა. ეს არც ისე ძნელი საქმე გამოდგა, რადგან ისინი თითქმის არაფერს ჭამდნენ. გრეგორს განუწყვეტლივ ესმოდა, თუ როგორ თხოვდა ერთი მეორეს, რაიმე შეეჭამა, და მეორე როგორ პასუხობდა: „გმადლობ, საკმარისად გეახელი“. სასმელსაც არ ეკარებოდნენ. გრეტა ხშირად ეკითხებოდა ხოლმე მამას, ლუდი ხომ არ გინდაო, ხალისით თავაზობდა, თვითონ მოგიტანო და როცა მამა დუმდა, დაუმატებდა, მეეზოვე ქალის გაგზავნაც შეიძლებაო; მაგრამ მამა მტკიცედ იტყოდა: „არა“, და ამის შესახებ საუბარიც შეწყდებოდა.

უკვე პირველ დღესვე განუმარტა მამამ დედას და აგრეთვე დასაც, თუ როგორი იყო ოჯახის ქონებრივი მდგომარეობა და პერსპექტივები. მაგიდიდან

დგებოდა ხშირ-ხშირად და საშინაო სალაროდან, რომელიც მას ამ ხუთი წლის წინათ გაკოტრებული ფირმიდან შემორჩა, სხვადასხვა ქვითრები და დავთრები გამოჰქონდა. მოისმოდა, თუ როგორ აღებდა მამა სალაროს და როგორ ჰკეტავდა კვლავ, როცა საჭირო ქაღალდებს მოსძებნიდა. მამამისის ეს განმარტებანი ნაწილობრივ შეადგენდნენ იმ პირველ სასიხარულო ცნობას, რომელიც მან მიიღო თავისი ტყვეობის პერიოდში. იგი თვლიდა, რომ მამას ფირმიდან აღარაფერი შემორჩენია; ყოველ შემთხვევაში მამას არაფერი უთქვამს ამის საწინააღმდეგო და გრეგორიც არაფერს ეკითხებოდა. გრეგორის ერთადერთი საზრუნავი მაშინ ის იყო, რომ ყველა ღონე ეხმარა, რათა ოჯახს, რაც შეიძლება, მალე დავიწყებოდა განცდილი მარცხი, რომელმაც ყველანი სრულ სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. ამიტომ მან განსაკუთრებული ენთუზიაზმით დაიწყო მუშაობა და ერთბაშად უბრალო ნოქარიდან კომივოიაჟერად იქცა, რომელსაც ცხადია, ფულის კეთების სრულიად სხვა შესაძლებლობები ჰქონდა და რომლის ყოველი წარმატება მაშინვე ნაღდი ფულის სახით გაოცებული, გაბედნიერებული ოჯახის წევრების წინაშე მაგიდაზე დაიდებოდა ხოლმე. ეს დიდებული დრო იყო და იგი შემდეგ არასოდეს განმეორებულა, ყოველ შემთხვევაში იმ ადრინდელი ბრწყინვალებით; თუმცა კი გრეგორი შემდეგაც კვლავ იმდენ ფულს აკეთებდა, რომ მთელი ოჯახის შენახვა შეეძლო და კიდეც ინახავდა. ამას თანდათან ყველანი შეეჩვივნენ — როგორც ოჯახი, ასევე გრეგორიც; ფულს მადლიერების გრძნობით ართმევდნენ ხოლმე და გრეგორიც ხალისით აძლევდა, მაგრამ განსაკუთრებული გულთბილობა აღარ იგრძნობოდა. მარტო და იყო გრეგორთან ძველებურად ახლოს. გრეგორს განზრახული ჰქონდა, რომ გრეტა, რომელსაც მისგან განსხვავებით ძლიერ უყვარდა მუსიკა და ამასთან საკმაოდ კარგადაც უკრავდა ვიოლინოზე, მომავალ წელს კონსერვატორიაში მიებარებია. ქალაქში მცირე ხნით დაყოვნებისას გრეგორი დასთან საუბარში ხშირად ახსენებდა ხოლმე კონსერვატორიას, მაგრამ ახსენებდა, როგორც მშვენიერ ოცნებას, რომლის განხორციელებაზე ფიქრიც კი შეუძლებელი იყო; მშობლებს ეს უწყინარი ოცნებაც არ მოსწონდათ. გრეგორი კი სავსებით გარკვეულად ფიქრობდა კონსერვატორიაზე და განზრახული ჰქონდა, თავისი გეგმა შობისწინა საღამოს საზეიმოდ გაემხილა ოჯახის წევრებისათვის.

ამგვარი, მისი ახლანდელი მდგომარეობისთვის სავსებით უსარგებლო, ფიქრები უტრიალებდნენ გრეგორს თავში. როცა ზეზეულად მდგარი, კარს ეკვროდა და უსმენდა. ზოგჯერ საერთო დაღლილობისაგან თავი ჩამოუვარდებოდა და უცაბედად კარზე მიერტყმეოდა; მაგრამ მაშინვე აიღებდა, რადგან ამით გამოწვეული ხმაურის გაგონებისას კარს იქით მყოფნი უცებ შეწყვეტდნენ ხოლმე საუბარს. „ნეტავი რას სჩადის?“ — რამდენიმე ხნის შემდეგ იტყოდა მამა, აშკარად კარებისაკენ პირშექცეული; მერე თანდათან ისევ განახლდებოდა შეწყვეტილი საუბარი.

გრეგორმა საკმაოდ დაწვრილებით შეიტყო (მამა თავის განმარტებებს ხშირად იმეორებდა ხოლმე ნაწილობრივ იმიტომ, რომ ამ საქმეებს კარგა ხანია ჩამოსცილდა, ხოლო ნაწილობრივ იმიტომ, რომ დედას უჭირდა გაგება), რომ ყოველივეს მიუხედავად, ოჯახს შემორჩენილი ჰქონია თუმცა მცირე, მაგრამ მაინც რაღაც გარკვეული ქონება; პროცენტებს ხელს არ ახლებდნენ და ამიტომ თანხა ცოტა გაზრდილა კიდევაც. ამაგარდა, თურმე გრეგორის მიერ ყოველთვიურად შემოტანილი ფულიც (გრეგორი თავისთვის მხოლოდ რამდენიმე გულდენს იტოვებდა ხოლმე) მთლად არ იხარჯებოდა და, რასაკვირველია, გარკვეული კაპიტალის სახით გროვდებოდა. გრეგორი კარს უკან გულმოდგინედ იქნევდა თავს, ოჯახის ამგვარი წინდახედულობითა და მომჭირნეობით გახარე-

ბული. ამ ზედმეტი ფულით მას შეეძლო მამის მიერ უფროსისაგან აღებული ვალის ნაწილი დაეფარა და ამით მოეახლოებინა დღე, როცა სამსახურის დატოვების უფლება ექნებოდა; მაგრამ ახლა კი აშკარა გახდა, მამამისი მართალი ყოფილა, როცა ამ ფულის შენახვა გადაწყვიტა.

ოღონდ ეს ფული სრულიად არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ ოჯახს პროცენტებით არსებობა შესძლებოდა; ამ ფულით ოჯახი დიდი-დიდი ორი წელი თუ გაიტანდა თავს; ეს დანაზოგი წესით შავი დღისთვის უნდა გადაენახათ; ხოლო საარსებო ფული რაღაც სხვა წყაროდან უნდა ეშოვნათ. მამა კი, თუმცა ჯანმრთელი, მაგრამ საკმაოდ მოხუცებული იყო, რომელსაც უკვე ხუთი წელია, აღარ უმუშავნია და ვეღარც ენდობოდა თავის თავს; ხუთი წელი მისი გადატვირთული, მაგრამ წარუმატებელი ცხოვრების პირველი არდადეგები იყო. ამ დროის მანძილზე, იგი ერთობ დამძიმდა და მოუხეშავი გახდა. იქნებ მოხუც დედას შეეძლო ფულის შოვნა, დედას, რომელიც ასტშით იყო დაავადებული, ოთახში სიარულიც კი უძნელდებოდა და ყოველ მეორე დღეს ღია ფანჯარასთან სულშეხუთული იწვა ხოლმე ტახტზე? ან იქნებ დას უნდა ეშოვა ფული, დას, რომელიც ჩვიდმეტი წლის ბავშვი იყო და უფლება ჰქონდა ისეთივე ცხოვრებით ეცხოვრა, როგორც აქამდე, კოხტად ჩაეცვა — დაეხუტა, გვიანამდე სძინებოდა, სამეურნეო საქმეებში მოხმარებოდა, მონაწილეობა მიეღო უწყინარ გასართობებში და, უწინარეს ყოვლისა, ვიოლინოზე დაეკრა? როცა სიტყვა ფულის შოვნის ამ აუცილებლობაზე ჩამოვარდებოდა, გრეგორს დასცხებოდა ხოლმე სირცხვილისა და დარდისაგან.

ასე ათენებდა ხოლმე იგი გრძელ ღამეებს, არც ერთი წამით არ ეძინა და საათობით ფხაჭუნობდა ტყავზე. ანდა ფანჯარასთან დიდის ვაივაგლახით მიათრევდა სავარძელს, შეცოცდებოდა და სავარძელს ღაბჯენილი რაფაზე გადაეუუდებოდა, რაც თავისებური მოგონება იყო იმ ნეტარი გრძნობისა, რომელიც წინათ ფანჯარაში გახედვისას ეუფლებოდა ხოლმე. დღითი-დღე სულ უფრო და უფრო უარესად ხედავდა მისგან რამდენადმე დაშორებულ საგნებს; მათი სახლის პირდაპირ აღმართულ საავადმყოფოს, რომელიც ადრე უსიამოვნოდ ეჩხირებოდა ხოლმე თვალში, ახლა საერთოდ ვეღარც ამჩნევდა. კარგად ახსოვდა, რომ ქალაქის წყნარ შარლოტენშტრასეზე ცხოვრობდა; თორემ ისე მოჩვენებოდა თითქოს თავისი ფანჯრიდან იცქირებოდა უდაბნოში, სადაც ნაცრისფერი ცა და მიწა განურჩევლად შერწყმოდნენ ერთმანეთს. მხოლოდ ორჯერ შენიშნა გულისხმიერმა გრეტამ ფანჯარასთან მდგარი სავარძელი და ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ყოველთვის ოთახის დალაგების შემდეგ სავარძელი ისევ ფანჯარასთან მიეტანა და ამასთან ფანჯრის საგდულიც ღია დაეტოვებინა. გრეგორს რომ დასთან ლაპარაკი და ამის გამო მადლობის თქმა შესძლებოდა, მაშინ მის მომსახურებას უფრო იოლად აიტანდა; უამისოდ კი ძლიერ იტანჯებოდა. მართალია, გრეტა ყოველნაირად ცდილობდა. შეემსუბუქებინა შექმნილი მძიმე მდგომარეობა, რასაც თანდათან უკეთ ახერხებდა; მაგრამ გრეგორიც ხომ თანდათან უკეთ და უკეთ ხვდებოდა ყოველივეს. დის შემოსვლაც კი საშინელი იყო. გრეტა ძალიან ცდილობდა, გრეგორის ოთახში არავის შემოეხედა, მაგრამ შემოსვლისთანავე დაუყოვნებლივ, ისე, რომ კარის დახურვაზედაც არ ჰკარგავდა დროს, ფანჯრისაკენ გაექანებოდა, სასწრაფოდ გამოაღებდა, თითქოს სული ეხუთებოდა; რაც უნდა სიცივე ყოფილიყო, ღია ფანჯარასთან დარჩებოდა ერთხანს და ჰაერს ღრმად ჩაისუნთქავდა. დღეში ორჯერ აფრთხობდა ხოლმე იგი გრეგორს ამ სირბილითა და ხმაურით. მთელი ამ დროის განმავლობაში გრეგორი კანკალებდა დივანქვეშ, კანკალებდა და თანაც კარგად იცოდა, რომ ყოველივე ამას გადარჩებოდა, გრეტას მასთან ერთად

დახურულ ოთახში გაძლება ორ.ა შესაძლებოდა.

ერთხელ, როცა გრეგორის მეტამორფოზის შემდეგ უკვე ერთი თვე გასულიყო და მის გარეგნობაში არაფერი იყო გრეტასთვის მოულოდნელი, ამ უკანასკნელმა ჩვეულებრივზე ადრე შემოაღო კარი და დაინახა, რომ იგი მართლაც და საფრთხობელასავით გაუნძრევლად მიმდგარიყო ფანჯარასთან და ქუჩაში იცქირებოდა. სულაც რომ არ შემოსულიყო ოთახში, გრეგორს ეს არ გაუკვირდებოდა, რადგან იგი თავის ადგილმდებარეობით გრეტას ხელს უშლიდა; მაშინვე გაეღო ფანჯარა; მაგრამ გრეტა არა თუ არ შემოსულა, არამედ ერთბაშად უკუიქცა და კარი მიიხურა. ვინმე უცხოს რომ დაენახა, იფიქრებდა, თითქოს გრეგორი მას ჩასაფრებოდა და კბენას უპირებდა. ცხადია, გრეგორი მაშინვე დივანქვეშ შეიმალა; მაგრამ და შუადღემდე აღარ დაბრუნებულა; თანაც, როცა დაბრუნდა, ჩვეულებრივზე ბევრად უფრო შეშფოთებული ჩანდა. აქედან მიხვდა გრეგორი, რომ გრეტა ვერ იტანდა და ვერც ვერასოდეს აიტანდა მის შესახედაობას; დას ისიც კი უჭირდა დივანიდან გამოჩრილი გრეგორის სხეულის მცირე ნაწილის დანახვაზე თავს რომ იკავებდა და არ გარბოდა. ამიტომ გრეგორმა ერთ დღეს დივანზე ზეწარი ზურგით გადმოათრია — ამ სამუშაოს ოთხი საათი მოანდომა — და იქ ისე მოაწყო, რომ ზეწრის ქვეშ მთლად დაიმალა; ახლა დას, კიდევაც რომ დახრილიყო, აღარ შეეძლო მისი დანახვა, გრეტას ზედმეტად არ მიუჩნევია ზეწრის გადაფარება, თორემ უთუოდ მოაცილებდა იქედან. ცხადი იყო, გრეგორს იგი თავისი სიამოვნებისათვის არ ჰქონდა გადაფარებული. გრეგორს ისიც კი მოეჩვენა, რომ გრეტას მადლიერი მზერა დაიჭირა, როცა ერთხელ ზეწარი ფრთხილად წამოსწია თავით, რათა დაენახა, თუ როგორ შეხვდა და მის ამ ახალ გამოგონებას.

მშობლებმა პირველი ორი კვირის განმავლობაში ვერ გაბედეს გრეგორთან შემოსვლა; გრეგორს ხშირად ესმოდა, როგორ უწონებდნენ ისინი დას მის ამჟამინდელ საქმიანობას, მაშინ, როდესაც ადრე ხშირად უჯავრდებოდნენ ხოლმე და მიაჩნდათ, რომ იგი საკმაოდ ქერქეტა გოგოა. ახლა ისინი, მამაცა და დედაც, გრეგორის ოთახთან იდგნენ ხოლმე და უცდიდნენ, სანამ გრეტა ოთახს ალაგებდა. როგორც კი გამოვიდოდა, მაშინვე მოსთხოვდნენ, დაწვრილებით ეამბა, რა მდგომარეობა იყო ოთახში, რა შეეჭამა გრეგორს, როგორ მოიქცა იგი ამჯერად და თუ ოდნავ მაინც ემჩნეოდა გამომჯობინების ნიშნები. უნდა ითქვას, რომ დედამ შედარებით ადრე გამოსთქვა გრეგორის მონახულების სურვილი; მაგრამ მამა და გრეტა აჩერებდნენ, თავდაპირველად იშველიებდნენ გარკვეულ მოსაზრებებს, რომლებსაც გრეგორი ყურადღებით ისმენდა და სავსებით იზიარებდა. უფრო გვიან ისინი ძალისძალათი აკავებდნენ დედას და. როცა ეს უკანასკნელი გაიძახოდა: „შემიშვით გრეგორთან, იგი ხომ ჩემი უბედური შვილია! როგორ არ გესმით, რომ, მასთან უნდა შევიდე!“, გრეგორი ფიქრობდა, რომ უმჯობესი იქნებოდა დედამისი შემოსულიყო ხოლმე მასთან, ცხადია, არა ყოველდღე, არამედ კვირაში ერთხელ მაინც. დედას უკეთ გაეგებოდა ყველაფერი, ვინემ დას, რომელიც მიუხედავად გაბედულებისა, მაინც ბავშვი იყო და ამ მძიმე საქმეს, ბოლოს და ბოლოს, ალბათ, ბავშვური თავქარიანობის წყალობით კისრულობდა.

დედის ნახვის სურვილი გრეგორმა მალე შეისრულა, მშობლებს ერიდებოდა და დღის განმავლობაში ფანჯარასთან არა ჩნდებოდა ხოლმე; მაგრამ რამდენიმე კვადრატულ მეტრ იატაკზე დიდხანს ცოცვაც არ შეეძლო; გაუნძრევლად წოლას ღამითაც ძლივს იტანდა, ჭამაც აღარავითარ სიამოვნებას არ ანიჭებდა; ამიტომაც გულის გადასაყოლებლად კედლებსა და ჭერზე ცოცვას დაეჩვია. განსაკუთრებით ჭერზე ჩამოკიდება მოსწონდა. ეს სრულიად არა

ჰგავდა იატაკზე წოლას; იქ უფრო თავისუფლად სუნთქავდა: ტანში ჟრუანტელი უვლიდა; ისეც მომხდარა ხოლმე, რომ ამ ნეტარ უზრუნველობაში მყოფი მისთვის მოულოდნელად ჭერს მომწყდარა და იატაკზე დანარცხებულა. მაგრამ ახლა იგი თავის სხეულს ბევრად უკეთ ფლობდა, და როგორი სიმაღლიდანაც არ უნდა ჩამოვარდნილიყო, არაფერს დაიშავებდა. გრეგორი ცოცვისას აქა-იქ წებოვან კვალს სტოვებდა; ამიტომაც გრეტამ მაშინვე შეამჩნია მისი ეს ახალი გასართობი. განიზრახა გრეგორისათვის ცოცვა შეემსუბუქებინა და ხელისშემშლელი ავეჯი, უპირველეს ყოვლისა, სკივრი და საწერი მაგიდა ოთახიდან გაეტანა. მაგრამ მარტო გაუჭირდებოდა ამის გაკეთება; მამისადმი დახმარებისათვის მიმართვას ვერა ბედავდა; ხოლო მოსამსახურე გოგო უთუოდ უარს ეტყოდა; ეს ჩვიდმეტი წლის გოგო, რომელიც, მართალია, არ ფიქრობდა მათგან წასვლას, სამზარეულოში იკეტებოდა ხოლმე და იქედან მხოლოდ საგანგებო გამოძახების შემთხვევაში გამოდიოდა. ამიტომაც გრეტამ გადასწყვიტა, როცა მამა შინ არ იქნებოდა, დედა მოეყვანა დასახმარებლად. დედამ სიხარულისაგან შეჰყვირა და წამოჰყვა, მაგრამ გრეგორის ოთახთან დადუმდა. თავდაპირველად, ცხადია, გრეტამ შეიხედა გრეგორის ოთახში და შეამოწმა, ყველაფერი თუ იყო თავის წესსა და რიგზე; მხოლოდ ამის შემდეგ შემოუშვა დედა. გრეგორმა დიდი სისწრაფით მოძრაობისას ცოტა უფრო მეტად მოსწია და მოჭმუჭნა ზეწარი; ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ზეწარი მართლაცდა შემთხვევით დაეგდოთ დივანზე. გრეგორმა დასთმო ზეწრის ქვემოდან თვალთვალი; მან უარი თქვა იმ შესაძლებლობაზე, რომ დედამისი ამჯერზეც დაენახა; ამის გარეშეც ნასიამოვნები იყო დედის მოსვლით. „მოდი, იგი არა ჩანს“, — თქვა გრეტამ და, ეტყობოდა, დედა ხელჩაკიდებული წამოიყვანა. გრეგორს ესმოდა, როგორ ეწოდა ეს ორი სუსტი ქალი მძიმე სკივრს და როგორ ცდილობდა გრეტა ძირითადი სიმძიმე თვითონ ეტვირთა, მიუხედავად დედის გაფრთხილებისა, მეტისმეტი არ მოგვიდეს და არა გაილახოვო. ყოველივე ეს ძალიან დიდხანს გაგრძელდა. დაახლოებით ხუთი წუთი იყო გასული მათი მუშაობის დაწყებიდან, როცა დედამ შენიშნა, უმჯობესი იქნება სკივრი ადგილზე დავტოვოთ, ძალზე მძიმეა და, ალბათ, მამის მოსვლამდე ვერ მოვასწრებთ გატანას, შუაოთახში გაჩხერილი დაგვრჩება და ამით გრეგორს გზას გადავუღობავთო; მეორეს მხრივ, შესაძლოა, გრეგორს არც მოეწონოს ოთახიდან ავეჯის გატანაო. მისი აზრით გრეგორისათვის ეს უსიამოვნოც კი იქნებოდა; მას, მაგალითად, ცარიელი კედლის ყურება ცუდ გუნებაზე აყენებს: რატომ არაა შესაძლებელი, რომ გრეგორსაც იგივე განცდა ჰქონდეს, იგი ხომ დიდი ხანია შეეჩვია ავეჯს და ამიტომაც ცარიელ ოთახში მთლად მიტოვებულად იგრძნობს თავს. „და განა“, — დაასრულა დედამ სავსებით ჩუმად, თუმცა ისედაც თითქმის ჩურჩულით ლაპარაკობდა, რომ გრეგორს, რომლის ადგილსამყოფელი მან არ იცოდა და, რომელსაც, მისი აზრით, სიტყვების მნიშვნელობა არ ესმოდა, ხმაც კი არ გაეგონა“. და განა ავეჯის გატანა იმის მაჩვენებელი არ იქნება, რომ ჩვენ თითქოს გრეგორის გამომჯობინების იმედი დავკარგეთ და მთლად მივატოვეთ? მე ვფიქრობ, უკეთესი იქნება, ვცდილობდეთ, მისი ოთახი ისევე დავტოვოთ, როგორც აქამდე იყო, რომ გრეგორს ჩვენთან დაბრუნების შემთხვევაში ყველაფერი უცვლელად დახვდეს და ამით ამ დროის დავიწყებაც გაუიოლდეს“.

დედამისის სიტყვების გაგონებისას გრეგორმა აღიარა, რომ უშუალო ადამიანური და ოჯახური ურთიერთობების უქონლობამ, როგორც ჩანს, გონება აურია, რადგანაც იგი ოთახის დაცარიელებას სავსებით სერიოზულად იყო მოწადინებული. ნუთუ მას, მართლაც,

უნდოდა თავისი თბილი, მამაპაპეული ავეჯით კომფორტაბელურად მოწყობილი ოთახი გამოქვაბულად ექცია, სადაც იგი, თუმცა კი შეუფერხებლად შესძლებდა ცოცვას, მაგრამ ამასთანავე სწრაფად და სრულიად დაივიწყებდა თავის ადამიანურ წარსულს? იგი უკვე ისედაც ახლოა ამგვარს დავიწყებასთან, და მხოლოდ დედის ხმამ, რომელიც დიდიხანია აღარ მოესმინა, გამოაფხიზლა. არაფრის გატანა არაა საჭირო; ყოველივე ადგილზე უნდა დარჩეს; მისთვის აუცილებელია ავეჯის კეთილ ზეგავლენას განიცდიდეს. და თუკი ავეჯი ხელს უშლის უაზრო ცოცვას, ამაში ცუდი არაფერია, ეს მისთვის ხელსაყრელიცაა.

მაგრამ და, სამწუხაროდ, სხვაგვარად ფიქრობდა. გრეგორის საქმეების გარჩევისას იგი მშობლებთან შედარებით მეტი მცოდნის პრეტენზიას აცხადებდა ხოლმე. ახლაც დედის რჩევა იმის საკმაო საფუძველი გახდა, რომ გრეტას არა მხოლოდ სკივრისა და საწერი მაგიდის, არამედ აუცილებელი დივანის გამოკლებით, მთელი ავეჯის გატანა განეზრახა. მისი ასეთი განზრახვა მხოლოდ ბავშვური სიჯიუტით და ამ ბოლო ხანებში ძნელად მოპოვებული უჩვეულო თვითდაჯერებით არ იყო გამოწვეული; მან ხომ ნამდვილად იცოდა, რომ გრეგორს ცოცვისთვის დიდი სივრცე სჭირდებოდა; ავეჯი კი ამ მხრივ სავსებით გამოუყენებელი ჩანდა. შესაძლოა, აქ მისი ასაკის გოგოებისათვის დამახასიათებელი მეოცნებე ხასიათიც თამაშობდა გარკვეულ როლს, რაც გრეტას ამჯერად იქითკენ უბიძგებდა, რომ გრეგორის მდგომარეობა კიდევ უფრო საშინელი გაეხადა; ამით საშუალება მიეცემოდა, მისთვის კიდევ უფრო მეტი დახმარება გაეწია; ოთახში, სადაც გრეგორი ცარიელ კედლებშუა იქნებოდა მოქცეული, მის გარდა სხვა ვერავინ გაბედავდა შესვლას.

ამიტომაც მან ანგარიში არ გაუწია დედის რჩევას; დედა ამ ოთახში რაღაც დაბნეული ჩანდა, მალე გაჩუმდა კიდევაც და შეძლებისდაგვარად შეეცადა გრეტას სკივრის გატანაში მიხმარებოდა. სკივრის გარეშე გრეგორს ისე თუ ისე, შეეძლო გაძლება, მაგრამ საწერი მაგიდა აუცილებლად უნდა დარჩენილიყო. და როგორც კი ქალებმა სკივრთან ერთად ოხვრითა და კვნესით დასტოვეს ოთახი, გრეგორმა თავი გამოყო და გამოიხედა რათა საქმეში, რაც შეიძლება ფრთხილად და თავაზიანად, ჩარევის საშუალება გამოეძებნა. მაგრამ საუბედუროდ, პირველი სწორედ დედა დაბრუნდა, როცა გრეტას ჯერ კიდევ სკივრისთვის მოეხვია ხელი და აქეთ-იქით არყევდა, თუმცა კი ადგილიდან ვერ დაეძრა. დედა მიჩვეული არ იყო გრეგორის გარეგნობას და მის დანახვაზე შეიძლებოდა ავადაც გამხდარიყო; ამიტომაც გრეგორი სასწრაფოდ გაექანა დივანის მეორე მხარისაკენ, რამაც წინ გადმოკიდებული ზეწრის შერხევა გამოიწვია; ეს საკმარისი აღმოჩნდა, რომ დედის ყურადღება მიექცია. დედა ერთბაშად შეჩერდა, ერთხანს ჩუმად იდგა; მერე გრეტასთან დაბრუნდა. გრეგორი თავის თავს არწმუნებდა, რომ არაფერი განსაკუთრებული არა ხდებოდა, რომ ავეჯი უბრალოდ ერთი ადგილიდან მეორეზე გადაჰქონდათ; მაგრამ ქალების აქეთ-იქით სიარული, მათი წამოძახილები, ავეჯის ჭრიალი მასზე მაინც დიდი აურზაურის შთაბეჭდილებას ახდენდა; დივანქვეშ მოკუნტული და იატაკზე მჭიდროდ დაკრული, თავის თავს გაუტყდა, რომ ამას დიდხანს ვეღარ აიტანდა. ისინი აცარიელებდნენ ოთახს; ართმევდნენ ყველაფერს, რაც მისთვის ძვირფასი იყო; მათ უკვე გაიტანეს სკივრი, რომელშიაც მისი პატარა ხერხი და სხვა ხელსაწყოები ელაგა; ახლა კი ადგილიდან სძრავდნენ საწერ მაგიდას, რომელიც უკვე იმდენ ხანს იდგა აქ, რომ თითქმის შეზრდოდა იატაკს და, რომელზედაც მას, როგორც სავაჭრო სასწავლებლის, შემდეგ კი სამოქალაქო და სახალხო სასწავლებლების მოწაფეს, გაკვეთილები უმზადებია ხოლმე. გრე-

გორს უკვე დრო აღარა ჰქონდა, ქალების კეთილი განზრახვანი აეწონ-დაეწონა; მან, სხვათაშორის, თითქმის დაივიწყა კიდევაც მათი არსებობა, რადგან ისინი, არაქათგამოცლილნი, მდუმარედ განაგრძობდნენ მუშაობას და მხოლოდ მათი ფეხების ბაკუნიღა ისმოდა.

გრეგორი გამოვარდა თავისი საფარიდან, — ქალები ამ დროს მეზობელ ოთახში შესასვენებლად დაყოვნებულიყვნენ, — ოთხჯერ შეიცვალა სირბილის მიმართულება, კარგად არც იცოდა, თავდაპირველად რა უნდა გადაერჩინა; მერე შიშველ კედელზე დაკიდული ქალის პორტრეტი ეცა თვალში, სასწრაფოდ აცოცდა და ზედ მიეკრო მინას, რომელიც მას იჭერდა კიდევაც და ამავე დროს სასიამოვნოდ უგრილებდა მუცელს. ყოველ შემთხვევაში, ამ პორტრეტს, რომელსაც იგი ტანით სრულიად ფარავდა, ვერავინ წაიღებდა. გრეგორმა თავი სასტუმრო ოთახის კარისაკენ შემოაბრუნა, რათა ქალების შემოსვლისათვის თვალყური ედევნებინა.

მცირე შესვენების შემდეგ, ისინი დაბრუნდნენ გრეგორის ოთახში, გრეტას ხელი დედისათვის შემოეხვია და ლამის ხელში აყვანილი მოჰყავდა. „ახლა რა გავიტანოთ?“ — თქვა გრეტამ და ოთახში მიმოიხედა. ამ დროს მზერა კედელზე ჩამოკიდებული გრეგორის მზერას წააწყდა. გრეტას, ალბათ, მხოლოდ დედისადმი მორიდებამ შეაძლებინა თავი დაეჭირა; დედისკენ გადაიხარა, რათა აქეთ-იქით ყურების საშუალება არ მიეცა, და აცახცახებულმა დაუფიქრებლად უთხრა: „წამო,ერთი წუთით სასტუმრო ოთახში დავბრუნდეთ“. გრეგორისათვის ნათელი იყო გრეტას განზრახვა; მას უნდოდა დედა სახიფათო ადგილს მოეცილებინა და მერე გრეგორი ჩამოეგდო კედლიდან. აბა, სცადოს! ფეხს არ მოიცვლის, არაფრით არ დათმობს ამ სურათს, უმალ სახეზე შეახტება გრეტას.

გრეტას სიტყვებმა დედა შეაშფოთა; დედამ განზე დაიხია, მოყვავილებულ შპალერზე უზარმაზარი ყავისფერი ლაქა შენიშნა და გაუცნობიერებლად გამწივანი ხმით დაიძახა: „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!“, წაიქცა და აღარ განძრეულა. „შენც, გრეგორ!“ მუშტის მოღერებითა და თვალების ბრიალით იყვირა დამ. გრეგორის მეტამორფოზის შემდეგ, ეს გრეტას პირველი სიტყვები იყო, რომლებითაც მან უშუალოდ გრეგორს მიმართა. იგი მეზობელ ოთახში გაიქცა, რომ რამე წამალი მოეტანა და დედა მოებრუნებია; გრეგორსაც უნდოდა დედას მიშველებოდა, — პორტრეტის გადასარჩენად დრო ჯერ კიდევ ჰქონდა; მაგრამ ზედ მისწებებოდა მინას და ძლივსძლივობით გაითავისუფლა თავი; მერე მეზობელ ოთახში გაიქცა თითქოს ეხლაც ადრინდებურად შეეძლო დისათვის რჩევის მიცემა; მაგრამ იძულებული გახდა მის უკან უსაქმოდ მდგარიყო; გრეტა წამლის ბოთლებში იქექებოდა, უკან მოხედვისას გრეგორი რომ შენიშნა, შეშინდა, ბოთლი ხელიდან გააგდო და გატეხა; ბოთლის ნატეხმა გრეგორი სახეში დასჭრა; ამასთან ზედ რაღაც მწვავე წამალი შეესხა. გრეტამ იმდენი ბოთლი აიღო, რამდენის ხელში დაკავებაც შეეძლო, და დაუყოვნებლივ დედამისთან გაიქცა, კარი ფეხით მიიხურა; ახლა გრეგორი, იზოლირებული აღმოჩნდა დედისაგან, რომელიც მისი მიზეზით, ალბათ, სიკვდილის პირზე იყო მიმდგარი. კარის გაღებას ვერ ბედავდა, რადგან ამით გრეტას გააქცევდა. გრეტა კი აუცილებლად უნდა დარჩენილიყო დედასთან გრეგორს ახლა სხვა არაფერი დარჩენოდა, მოთმინებით უნდა მოეცადა. და სინანულისა და შეშფოთებისაგან აწრიალებულმა, აქეთ-იქეთ ცოცვა დაიწყო, ყველაფერი დაიარა, კედლები, ავეჯი, ჭერი; ბოლოს როცა მთელი ოთახი დატრიალდა მის ირგვლივ, სასოწარკვეთილი დაეცა შუა მაგიდაზე.

ცოტა ხანმა გაიარა; გრეგორი ღონემიხდილი იწვა; ირგვლივ სიჩუმე სუფევდა: ეს, ალბათ, კეთილის მომასწავებელი იყო; უეცრად ზარის ხმა მოის-

მა, მოახლე გოგო, ცხადია, თავის სამზარეულოში ჩაკეტილიყო და კარის გაღება გრეტას მოუხდა. მამა დაბრუნებულა. „რა მოხდა?“, ეს იყო მისი პირველი სიტყვები; გრეტას გამომეტყველებამ ყოველივე გასცა. გრეტა ყრუდ პასუხობდა, როგორც ჩანდა სახით მკერდზე ეკვროდა მამას. „დედას გული წაუვიდა, მაგრამ ახლა უკეთაა. გრეგორი გამოვარდა“. „მე ამას ველოდი, — თქვა მამამ. — „მე მუდამ გეუბნებოდით, მაგრამ თქვენ, ქალებმა არ შეისმინეთ“. გრეგორისათვის ნათელი იყო, რომ მამამ გრეტას ნაამბობი ცუდად გაიგო: ალბათ, იფიქრა, რომ გრეგორმა ძალა იხმარა; ამიტომაც ეხლა რაიმენაირად მამის მოთავფვლა იყო საჭირო; ახსნა-განმარტებისათვის მას არც დრო ჰქონდა და არც შესაძლებლობა. ამიტომაც იგი სასწრაფოდ მიცოცდა კართან და ზედ მიეკრა, რათა მამა წინაოთახიდან შემოსვლისთანავე მიმხვდარიყო, რომ საჭირო არაა მისი ძალად გაძევება, რომ იგი მზადაა მაშინვე გავიდეს თავის ოთახში, როგორც კი კარებს გაუღებენ.

მაგრამ მამა ასეთი ნატიფი მოსაზრებების გარკვევის გუნებაზე არ იყო. „აჰა!“ შემოსვლისთანავე წამოიძახა მან ისეთი კილოთი, თითქოს ერთსადაიმავე დროს განრისხებულიც იყო და გახარებულიც. გრეგორმა თავი მამისაკენ შემოაბრუნა. გრეგორს არაფრით არ წარმოედგინა მამა ისეთად, როგორიც ახლა იდგა მის წინაშე; მართალია, მას ახალი ცხოვრების დაწყების შემდეგ თვალი აღარ მიუდევნებია, თუ რა ხდებოდა მისი ოთახის გარეთ და ამიტომაც მოსალოდნელი იყო, რომ ამ მხრივ რაღაც ცვლილებებს წააწყდებოდა; მაგრამ მიუხედავად ამისა, ნუთუ ეს მართლაც მამამისი იყო? იგივე კაცი, რომელიც საწოლში მისვენებული იწვა ხოლმე, როცა გრეგორი სამოგზაუროდ მიემართებოდა; რომელიც, მისი შინდაბრუნებისას საღამოთი შლაფროკში გამოწყობილი და სავარძელში მჯდომარე ხვდებოდა ხოლმე და თუმცა კი წამოდგომას ვერ ახერხებდა, მაგრამ სიხარულის ნიშნად ხელებს ზეაღმართავდა; ხოლო იშვიათად, როცა რომელიმე კვირადღეს ანდა დიდ დღესასწაულზე სასეირნოდ მიემართებოდნენ, გრეგორსა და დედას შორის მიაბიჯებდა; მიაბიჯებდა ცოტა უფრო ნელა, ვინემ გრეგორი და დედა, რომლებიც თვითონაც საკმაოდ ნელა მიდიოდნენ, თავის ძველ პალტოში გამოხვეულიყო, ყავარჯენს ფრთხილად იწვდენდა წინ და როცა რაიმეს თქმა უნდოდა, შეჩერდებოდა, რომ თავისი თანამგზავრები გარს შემოეკრიბა? ახლა იგი საკმაოდ წელში გამართული და რიხიანად გამოიყურებოდა; ტანზე მჭიდროდ შემოკრული ოქროსფერფოლაქებიანი, ლურჯი მუნდირი ეცვა, რომელსაც ბანკის ლაქიები ატარებდნენ ხოლმე. მაღალი მოჭიმული საყელოს ზემოთ მისი ძალუმი ორმაგი ნიკაპი გამოწვდენილიყო. ხშირი წარბების ქვემოდან ფხიზლად და ყურადღებით იცქირებოდნენ შავი თვალები; ჩვეულებრივ უფერული და გაჩეჩილი თმა ამჯერად აებრჭყვიალებინა და ზედმიწევნით დაევარცხნა. მან მოიძრო ქუდი, რომელზედაც, ალბათ, ბანკის მონოგრამა იყო დამაგრებული, და ოთახის მეორე მხარეს დივანზე გადაისროლა, მუნდირის გრძელი კალთები უკან გადასწია, ხელები ჯიბეებში ჩაიწყო და გაბოროტებული სახით გრეგორისკენ დაიძრა. მან თვითონაც არ იცოდა, რას აპირებდა; ოღონდ არაჩვეულებრივად მაღლა სწევდა ფეხებს; გრეგორი გააოცა მისი ჩექმის ძირების სიდიდემ. გრეგორმა აღარ მოუცადა მამის მოსვლას, რადგანაც იცოდა, რომ ამ ახალი ცხოვრების დაწყების შემდეგ მამას მასთან ურთიერთობის ერთადერთ წესად მხოლოდ უდიდესი სიმკაცრე მიაჩნდა. გრეგორი გაიქცა. ჩერდებოდა მხოლოდ მაშინ, როცა მამა შეჩერდებოდა, და კიდევ გარბოდა, როგორც კი მამა დაიძრებოდა ადგილიდან. მათ რამდენიმე წრე გააკეთეს ოთახში ისე, რომ არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა, და ამასთან ყოველივე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს, ნელი მოძრაობის გამო, არც გავდა დევნას. ამიტომაც გრეგორი ჯერჯერობით იატაკზე რჩებოდა და კედლებსა და ჭერზე აძრომას ერიდებოდა, რადგან მამას ეს, ალბათ, განსაკუთრებულ ბოროტ განზრახვად მოეჩვენებოდა. მეორეს მხრივ, გრეგორი მიხვდა, რომ იგი ამგვარ ნელ სირბილსაც დიდხანს ვერ გაუძლებდა; მამის ყოველი ნაბიჯის გადადგმისას გრეგორს ათასგვარი მოძრაობის გაკეთება უხდებოდა. თანდათან სუნთქვა გაუჭირდა; ფილტვები ხომ მას არც ადრე ჰქონდა მაინცდამაინც სანდო. ძლივს მიბარბაცებდა, ღონის მოკრებას ცდილობდა, სანახევროდ დახუჭოდა თვალები და იმდენად დაჩლუნგებულიყო, რომ კედლების გამოყენება ვერ მოეფიქრებინა. უეცრად მის სიახლოვეს რაღაც დაეცა და გაგორდა. ეს იყო ვაშლი. პირველს მეორე მოყვა. გრეგორი შიშისაგან გაშეშდა; სირბილის გაგრძელებას აზრი აღარა ჰქონდა, რადგან მამას მისი დაბომბვა გადაეწყვიტა და ახლა ზედიზედ ესროდა ისე, რომ დამიზნებას ვერ ასწრებდა. ეს პატარა ვაშლები დაელექტროვებულებივით მიგორავდნენ იატაკზე და ერთმანეთს ეჯახებოდნენ. ერთი ვაშლი გრეგორის ზურგს შეეხო; მაგრამ ისე, რომ არ დაუშავებია; სამაგიეროდ ზედმიყოლებით გასროლილი მეორე ვაშლი მაგრად ჩაუჯდა ზურგში; გრეგორს უნდოდა გაცოცებულიყო, თითქოს ეს მოულოდნელი წარმოუდგენელი ტკივილი ადგილის მონაცვლების წყალობით გაუვლიდა; მაგრამ თავს ადგილიდან ძვრა ვერ უყო. გონება დაუბნელდა და გაიშხლართა. უკანასკნელი მზერა შეასწრო, როგორ გაიღო მისი ოთახის კარები, საიდანაც პერანგის ამარა გამოვარდა დედა (გრეტას მისთვის კაბა გაეხადა, რათა სუნთქვის საშუალება მიეცა), რომელსაც უკან გრეტა მოსდევდა ყვირილით; დედა მამისკენ გაექანა, გახსნილი ქვედატანი გზაში ჩამოეშალა, ბორძიკით მიიჭრა მამასთან, გადაეხვია, თავის კეფაში ხელისგულები ამოსდო და (აქედან გრეგორი უკვე ვეღარაფერს ხედავდა) გრეგორის დანდობას შეევედრა.

III

გრეგორის მძიმე ჭრილობა, რომელიც მას ერთ თვეზე მეტ ხანს ტანჯავდა (ვაშლი სხეულზე დარჩენოდა, როგორც თვალსაჩინო სახსოვარი, რამდენადაც ვერავის გაებედა ვაშლის სხეულიდან მოცილება), ყველას, მათ შორის, მამასაც, მოაგონებდა, რომ გრეგორი, მიუხედავად თავისი ამჟამინდელი საცოდავი და საზიზღარი გარეგნობისა, მაინც მათი ოჯახის წევრი იყო, რომელსაც მტრად კი არ უნდა მოჰკიდებოდნენ, არამედ მათი ოჯახური მოვალეობა იყო, ზიზღი როგორმე დაეძლიათ და მოეთმინათ მისი არსებობა; მოეთმინათ, მეტი არაფერი. გრეგორმა ჭრილობის წყალობით საბოლოოდ დაჰკარგა ძველებურად მოძრაობის უნარი და ერთი კედლიდან მეორემდე მისვლას ბებერი ხეიბარივით ძალზე დიდ დროს ანდომებდა. მაღლა აცოცებაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. მეორეს მხრივ, თავისი მდგომარეობის ამგვარი გაუარესების საკმარის საზღაურად ის მოიპოვა, რომ ამიერიდან შესაღამოვებისას სასტუმროს ოთახის კარს აღებდნენ, რომელსაც იგი გაღებამდე უკვე ორი საათით ადრე უთვალთვალებდა ხოლმე; მას, სიბნელეში შეუმჩნევლად მწოლიარეს, სასტუმრო ოთახიდან განათებულ მაგიდასთან მიმსხდარი ოჯახის წევრების დანახვა და, წინანდელისაგან განსხვავებით, რამდენადმე საყოველთაო ნებართვით საუბრის მოსმენაც შეეძლო.

მართალია, ეს აღარ იყო ადრინდელის მსგავსი გაცხოველებული საუბრები, რომლებიც ბევრჯერ მონატრებია გრეგორს მოგზაურობისას ჰოტელის პატარა ოთახში, როცა იგი ნესტიან საწოლზე მიეგდებოდა ხოლმე; ახლა უმეტეს შემთხვევაში სიწყნარე სუფევდა. მამა ვახშმის შემდეგ მალე იძინებდა თავის სავარძელში. დედა და გრეტა

ერთმანეთს სიჩუმის დაცვას თხოვდნენ; დედა სინათლისაკენ გადახრილი იჯდა და თეთრეულს კერავდა მოდების ფირმის შეკვეთით. გრეტა, რომელიც ნოქრად მოწყობილიყო, საღამოობით სტენოგრაფიას და ფრანგულ ენას სწავლობდა; ალბათ, უკეთესი ადგილის შოვნისათვის ზრუნავდა. ზოგჯერ მამას გამოეღვიძებოდა და, თითქოს არც კი იცოდა, რომ სძინებია, ეტყოდა დედას; „დღესაც რა დიდხანს კერავ!“, და მაშინვე ისევ ჩაიძინებდა; ხოლო დედა და გრეტა დაღლილად გაუღიმებდნენ ერთმანეთს.

მამა თავისებურ სიჯიუტეს იჩენდა იმ მხრივ, რომ მუნდირს შინაც არ იხდიდა; მისი შლაფროკი გამოუყენებლად ეკიდა, მაშინ, როდესაც იგი ასე გამოწყობილი თვლემდა თავის სავარძელში; თითქოს მუდამ მზად იყო სამსახურებრივი მოვალეობის აღსასრულებლად და აქაც თავისი უფროსის ხმის გაგონებას ელოდა. ყოველივე ამის გამო მუნდირმა, დედისა და დის ზრუნვის მიუხედავად, დაკარგა ადრინდელი სიკოხტავე და სისუფთავე. და გრეგორი ხშირად მთელი საღამო მისჩერებოდა დალაქავებულ მაგრამ გაწმენდილი ფოლაქებით აბრეშუმიალებულ ტანსაცმელს, რომელშიაც მოხუც კაცს ერთობ მოუხერხებლად და მაინც მშვიდად ეძინა.

როგორც კი საათი ათს დარეკავდა, დედა წყნარად აღვიძებდა ხოლმე მამას და თხოვდა საწოლში დაწოლილიყო, რადგან ამ მდგომარეობაში ნამდვილი ძილი არ შეიძლებოდა; ძილი კი მას ძალზე ესაჭიროებოდა; იგი ხომ დილის ექვს საათზე სამსახურში უნდა გამოცხადებულიყო. მაგრამ სიჯიუტის გამო, რომელიც მამას სამსახურის დაწყების შემდეგ დასჩემდა, ისევ მაგიდასთან დარჩენას მოისურვებდა, თუმცა კი, როგორც წესი, კვლავ ჩაიძინებდა და მერე დიდი გაჭირვებით ხერხდებოდა მისი იძულება, სავარძელი ლოგინზე გაეცვალა. რამდენსაც არ თხოვდნენ დედა და გრეტა, იგი კიდევ დიდხანს აქნევდა თავს, თვალებს არ ახელდა და არა დგებოდა. დედა სახელოზე მოსწევდა ხოლმე, ალერსიან სიტყვებს ჩასჩურჩულებდა და თავს ახებებდა თავის საქმეს; გრეტა მიეშველებოდა დედას, მაგრამ მამაზე არაფერი არ სჭრიდა. იგი კიდევ უფრო ღრმად ეშვებოდა თავის სავარძელში. მხოლოდ მაშინ, როცა ქალები იღლიებში შეუყრიდნენ ხელებს, გაახელდა თვალებს, გადახედავდა ხან ერთს, ხან მეორეს და იტყოდა: „ესეც ცხოვრებაა. ესაა ჩემი მშვიდი სიბერე“, და ორივე ქალზე დაყრდნობილი წამოდგებოდა, დინჯად, თითქოს საკუთარი სხეულის ზიდვა უჭირდა, კარებამდე მიაყვანინებდა თავს; ხოლო კართან მისული თავს დაუქნევდა დასამშვიდობებლად და დამოუკიდებლად განაგრძობდა გზას; მაგრამ ქალები ხელიდან გააგდებდნენ თავიანთ სამუშაოს და გამოედევნებოდნენ, რომ მისთვის შემდგომი დახმარება აღმოეჩინათ.

ვის ჰქონდა დრო ამ დამაშვრალსა და გადაღლილ ოჯახში გრეგორის გამო თავი იმაზე მეტად შეეწუხებინა, რაც მთლად აუცილებელი იყო? ოჯახის ბიუჯეტი სულ უფრო და უფრო შეიკვეცა; მოახლე გოგო დაითხოვეს, ხოლო განსაკუთრებით მძიმე სამუშაოს შესასრულებლად დილაობითა და საღამოობით ერთი ახმახი, აჩონჩხილი ჭაღარა, თმაგაწეწილი ქალი მოდიოდა ხოლმე; ყოველივე დანარჩენს, თავის დიდ საკერავ სამუშაოსთან ერთად, დედა აკეთებდა. ისიც მოხდა, რომ იძულებული შეიქმნენ გაეყიდათ ძვირფასი სამკაულები, რომლებსაც დედა და გრეტა უდიდესი ბედნიერების გრძნობით ატარებდნენ ხოლმე საზეიმო გართობებსა და დღესასწაულებზე; გრეგორმა ეს ერთ საღამოს შეიტყო, როცა ისინი აღებულ ფულზე მსჯელობდნენ. ყველაზე მეტად იმაზე ჩიოდნენ ხოლმე, რომ ამ პირობებისათვის შეუფერებლად დიდი ბინის გამოცვლა არ შეეძლოთ, რამდენადაც ვერ მოეფიქრებინათ, გრეგორი როგორ უნდა გადაეყვა-

ნათ; მაგრამ გრეგორი ხვდებოდა, რომ გადასახლება მარტო ამიტომ არ ფერხდებოდა; მის გადაყვანას ბოლოს და ბოლოს უბრალო დანახვრეტებული ყუთის შოვნა სჭირდებოდა; ბინის გამოცვლას უმთავრესად აფერხებდა მათი სრული უიმედობა და აკვიატებული აზრი, რომ რაღაც ისეთი უბედურება შეემთხვათ, რომლის მსგავსი არავის შემთხვევია მათი ნათესავებისა და ნაცნობების წრეში. ისინი ბეჯითად ასრულებდნენ ყოველივეს, რაც ღარიბ ადამიანებს მოეთხოვება; მამას საუზმე დაჰქონდა ბანკის მოსამსახურეებისათვის, დედა თავს სწირავდა უცხო ადამიანების თეთრეულს, გრეტა მომხმარებლის მოთხოვნის მიხედვით დახლთან წრიალებდა ხოლმე; მაგრამ ამაზე მეტისათვის მათ ძალა აღარ ყოფნიდათ. და გრეგორს ჭრილობა ხელახლა ასტკივდებოდა ხოლმე, როცა დედა და გრეტა, მამის ლოგინში დაწვენის შემდეგ, უკან დაბრუნებულნი, მუშაობის გაგრძელების ნაცვლად, ერთმანეთის ლოყა-ლოყაზე მიტანილნი დასხდებოდნენ; როცა მერე დედა გრეგორის ოთახზე ანიშნებდა და იტყოდა: „კარი მიხურე, გრეტა“, როცა გრეგორი კვლავ სიბნელეში აღმოჩნდებოდა, ხოლო დედა და გრეტა ერთად დაღვრიდნენ ცრემლს, ანდა უცრემლო თვალებით მაგიდას მიაშტერდებოდნენ.

თითქმის სრულიად უძილოდ ატარებდა გრეგორი მთელ ღამეებსა და დღეებს. ზოგჯერ ფიქრობდა, რომ კარის შემდეგი გაღებისას იგი კვლავ ხელში აიღებდა ოჯახზე ზრუნვის საქმეს. მის ფიქრებში ჩნდებოდნენ დიდი ხნის დავიწყებული უფროსი და რწმუნებული, ნოქრები და შეგირდები, ჭკუაბლაგვი მეეზოვე, ორი-სამი მეგობარი, რომლებიც სხვა ფირმებში მუშაობდნენ, პროვინციული სასტუმროს დამლაგებელი ქალი (სასიამოვნო, წამიერი მოგონება) ქუდების მაღაზიის მოლარე ქალი, რომელსაც იგი სერიოზულად, მაგრამ მეტისმეტად გაჭიანურებულად ეარშიყებოდა, — ყველა ესენი ჩნდებოდნენ უცნობ ანდა უკვე დავიწყებულ სახეებს შორის, მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ მას ან მის ოჯახს რაიმე დახმარებას შეპირებოდნენ, სავსებით მიუღწეველნი ჩანდნენ, და გრეგორი მოხარულიც კი იყო, როცა კვლავ დავიწყებას ეძლეოდნენ. მერე იგი ისევ კარგავდა ოჯახზე ზრუნვის ხალისს, ბრაზობდა ცუდი მოვლის გამო და მიუხედავად იმისა, რომ კარგად არც იცოდა, რისი ჭამა ესიამოვნებოდა, გეგმებს აწყობდა, როგორ შეჭრილიყო საკუჭნაოში და გამოეტანა ის, რაც წესით ერგებოდა. გრეტა ახლა აღარ ფიქრობდა იმაზე, თუ რისი ჭამა ესიამოვნებოდა გრეგორს; დილასა და შუადღეს თავის მაღაზიაში გაქცევის წინ ფეხით შეაგდებდა გრეგორის ოთახში რაიმე საჭმელს, რათა მერე საღამოთი, იმის მიუხედავად, შეეჭამა გრეგორს თუ — რაც ახლა უფრო ხშირად ხდებოდა — პირიც არ დაუკარებია ზედ, უკანვე გამოეგდო ცოცხის ერთი მოქნევით. ოთახის დალაგებას, რაც შეიძლება, სწრაფად აფუჩეჩებდა, კედლებს ჭუჭყის ზოლები გასდევდა, ყველგან მტვრისა და ნაგავის გროვა იდგა. პირველ ხანებში გრეგორი დის შემოსვლისას საყვედურის ნიშნად რომელიმე განსაკუთრებით მოუვლელ კუთხეში დგებოდა ხოლმე; მაგრამ მთელი კვირეების განმავლობაში რომ მდგარიყო იქ, გრეტა, სულერთია, ოდნავადაც არ გამოსწორდებოდა; იგი მასზე ნაკლებ არ ამჩნევდა ჭუჭყს, მაგრამ გადაწყვეტილი ჰქონდა ასევე დაეტოვებინა. ამასთან, წესად ჰქონდა მიღებული, არავინ ჩარეოდა გრეგორის ოთახის დალაგების საქმეში; ამ წესს იცავდა განსაკუთრებულის ფხუკიანობით, რაც ადრე მისთვის უჩვეულო იყო და რაც ახლა მთელ ოჯახს დასჩემებოდა. ერთხელ დედამ საფუძვლიანად დაასუფთავა გრეგორის ოთახი, რისთვისაც რამდენიმე კასრი წყლის დახარჯვა დასჭირდა; სხვათაშორის სინესტემ უსიამოვნოდ იმოქმედა გრეგორზე, და იგი შეწუხებული უმოძრაოდ გაიშხლართა დივანზე; დედის ამ-

გვარ საქციელს დაუსჯელად არ ჩაუვლია; როგორც კი გრეტამ საღამოთი გრეგორის ოთახში ცვლილება შენიშნა, უკიდურესად შეურაცხყოფილად იგრძნო თავი, სასტუმრო ოთახში გაიქცა და, მიუხედავად დედის ვედრებით ზეაღმართული ხელებისა, ტირილი მორთო; მშობლები (მამა, რა თქმა უნდა, წამოხტა თავისი სავარძლიდან) თავდაპირველად უმწეო გაოცებით მისჩერებოდნენ; მერე ისინიც აწრიალდნენ. მარჯვნივ მჯდარმა მამამ საყვედურები დააყარა დედას იმის გამო, რომ მან გრეტას არ დაანება გრეგორის ოთახის დალაგება; მარცხნივ — გრეტა გაჰყვიროდა, სულაც აღარ შევალ გრეგორის ოთახშიო. ამასობაში დედა საწოლი ოთახისაკენ ეწეოდა მამას, რომელსაც აღელვებისაგან ღონე გამოლეოდა; სლუკუნით აცახცახებულმა გრეტამ მაგიდას წაუშინა თავისი პატარა მუშტები; ხოლო გრეგორი ბრაზით შიშინებდა, რომ არავის აზრად არ მოსდიოდა, კარი მიეხურა და იგი ამ სანახაობისა და ხმაურისაგან გადაერჩინა.

მართალია, სამსახურში მუშაობით დაქანცულ დას მასზე ზრუნვა მობეზრდა, ხოლო დედას მასთან შემოსვლა ეკრძალებოდა, გრეგორი მაინც არ უნდა დარჩენილიყო მთლად მიტოვებული. შინ მათ გარდა ხომ მოახლე ქალიც იყო. ეს მოხუცი ქვრივი ქალი, რომელსაც თავისი მაგარი აგებულების წყალობით ყოველგვარი გასაჭირის ატანა შეეძლო, გრეგორისადმი განსაკუთრებულ ზიზღს არა გრძნობდა. ერთხელ ყოველგვარი ცნობისმოყვარეობის გარეშე, უცაბედად გრეგორის ოთახის კარი გამოაღო; როცა დაინახა გრეგორი, რომელიც ამ მოულოდნელობისაგან შემკრთალი აქეთ-იქით აწყდებოდა, გაოცებული შეჩერდა და ხელები მუცელზე დაიწყო. ამის შემდეგ იგი ყოველთვის დილითა და საღამოთი ოდნავ გამოაღებდა ხოლმე გრეგორის ოთახის კარს და შიგ შეიხედავდა. პირველ ხანებში იგი მიმართავდა კიდევაც სიტყვებით, რომლებიც მას, ალბათ, საალერსო სიტყვებად მიაჩნდა: „აქეთ მოდი, ბებერო ნეხვის ხოჭოვ! — ანდა, —ერთი შეხეთ ამ ბებერ ნეხვის ხოჭოს!“ გრეგორი არაფერს უპასუხებდა ამგვარ გამოლაპარაკებაზე, გაუნძრევლად რჩებოდა თავის ადგილზე, თითქოს კარი არც კი გაღებულიყოს. ნეტავი ამ ქალისათვის მაინც ებრძანებინათ, დრო და დრო მისი მყუდროების დარღვევის ნაცვლად, ყოველდღიურად ოთახის დასუფთავება ეკისრა! ერთხელ დილით ადრე (ფანჯრებზე ძლიერი წვიმა ურტყამდა, რაც, ალბათ, მოახლოვებული გაზაფხულის ნიშანი იყო) მოახლე ქალმა თავისი ჩვეული საუბარი წამოიწყო; გრეგორი ისე გამწარდა, რომ, თუმცა ნელა და გაუბედავად, მაგრამ მაინც შემობრუნდა მისკენ, თითქოს თავდასხმას უპირებდა. მოახლე ქალმა, იმის ნაცვლად, რომ შეშინებულიყო, იქვე კარებთან მდგარი სკამი მაღლა აღმართა, პირი ფართოდ გააღო და აშკარა იყო მისი განზრახვა, პირს მანამ არ დახურავდა, სანამ სკამს გრეგორის ზურგზე არ დაუშვებდა. „მაშ, მეტს ვეღარაფერს ვბედავთ“? — იკითხა მან, როცა გრეგორი ისევ უკან შეტრიალდა; მერე სკამი მშვიდად დადგა ადგილზე.

გრეგორი თითქმის აღარაფერს სჭამდა. როცა იგი შემთხვევით ჩაუვლიდა მისთვის გამზადებულ საჭმელს, გართობის მიზნით ერთ ლუკმას მოკბეჩდა, საათობით გააჩერებდა პირში და მერე უმეტეს შემთხვევაში უკანვე გამოაფურთხებდა. თავდაპირველად მას ეგონა, რომ ეს უმადობა ოთახში მომხდარ ცვლილებებზე დარდით იყო გამოწვეული; მაგრამ ყველაზე ადრე სწორედ ამ ცვლილებებს შეეგუა. ნივთები, რომლებსაც სხვაგან ვერსად მოუძებნიდნენ ადგილს, გრეგორის ოთახში შემოჰქონდათ ხოლმე. ასეთი ნივთი საკმაოდ ბევრი იყო; ერთერთი ოთახი სამ მდგმურს მიაქირავეს; ეს სერიოზული ბატონები (სამივე წვეროსანი იყო, როგორც ეს გრეგორმა კარების ჭუჭრუტანიდან შეამჩნია) საშინლად დიდ ყუ-

რადღებას აქცევდნენ წესრიგს; ისინი მოითხოვდნენ წესრიგს არა მხოლოდ თავიანთს ოთახში, არამედ — რახან აქ დასახლდნენ — აგრეთვე მთელს ბინაში და განსაკუთრებით კი სამზარეულოში. ისინი ვერ იტანდნენ ვერავითარ ზედმეტ და, მით უფრო, ჭუჭყიან ხარახურას. გარდა ამისა, მათ საჭირო ნივთების უმეტესობა საკუთარი ჰქონდათ. ამის შედეგად, სახლში დაგროვდა ზედმეტი ნივთები, რომლებიც ვერც გაიყიდებოდა და არც გადასაგდებად ემეტებოდათ. ყველა ესენი გრეგორის ოთახში შემოიტანეს. მათ შორის იყო აგრეთვე ნაცრისა და ნაგვის ყუთები. მოახლე ქალი ყოველივეს, რაც თუნდაც დროებით გამოუსადეგარი აღმოჩნდებოდა, მაშინვე გრეგორის ოთახში შეაგდებდა ხოლმე. საბედნიეროდ, გრეგორი ხშირად ხედავდა მხოლოდ შემოგდებულ საგანსა და ხელს, რომელსაც ეს საგანი ეჭირა. მოახლე ქალს, ალბათ, განზრახული ჰქონდა თავის დროზე ეს საგნები ისევ უკანვე წაეღო, ანდა ყველა ერთად გადაეყარა; სინამდვილეში კი ისინი იმავე ადგილას რჩებოდნენ, სადაც თავიდანვე დააგდეს, თუკი გრეგორი ცოცვისას არ წამოედებოდა და ადგილიდან არ დასძრავდა მათ; — თავდაპირველად გრეგორს ეს უნებურად ემართებოდა, რამდენადაც ცოცვისათვის სივრცე არა ჰყოფნიდა, შემდეგ კი ამას მზარდი სიამოვნებით აკეთებდა ხოლმე, თუმცა ამგვარი მოგზაურობის შედეგად დაღლილობისა და დარდისაგან მისიკვდილებული საათობით იდგა და აღარ ინძრეოდა.

როცა მდგმურები ვახშამსაც შინ სასტუმრო ოთახში მიირთმევდნენ, სასტუმრო ოთახის კარი დახურული რჩებოდა; გრეგორი ამასაც იოლად შეეგუა, მით უფრო, რომ იგი ზოგჯერ არც იმ საღამოებს იყენებდა, როცა კარი ღია იყო, და ოჯახის წევრებისაგან შეუმჩნევლად იწვა ხოლმე თავისი ოთახის ყველაზე ბნელ კუთხეში. ერთხელ მოსამსახურე ქალმა სასტუმრო ოთახის კარი ოდნავ გამოღებული დასტოვა; იგი ღია იყო მაშინაც, როცა საღამოთი მდგმურები სასტუმრო ოთახში შემოვიდნენ და სინათლე აანთეს; მაგიდას სწორედ იმ მხრიდან მიუსხდნენ, სადაც წინათ მამა, დედა და გრეგორი სხდებოდნენ ხოლმე; ხელსახოცები გაშალეს და ხელში დანა-ჩანგალი მოიმარჯვეს. კარებში მაშინვე გამოჩნდნენ დედა და გრეტა. დედა ხორციანი ლანგრით ხელში მოდიოდა, უკან მოჰყვებოდა გრეტა, რომელსაც კარტოფილით სავსე ლანგარი მოჰქონდა. საჭმელს ოხშივარი ასდიოდა. მდგმურები დაიხარნენ მათ წინაშე მდგარი ლანგრებისაკენ, თითქოს ჭამის დაწყებამდე საჭმლის ხარისხის შემოწმება უნდოდათ; მართლაც, ერთ-ერთმა მათგანმა, რომელიც შუაში იჯდა და მათ შორის განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობდა, ლანგარზევე ჩამოსჭრა ხორცს ნაჭერი, რომ გაეგო, საკმარისად რბილი თუ იყო, და საჭირო ხომ არ გახდებოდა მისი ისევ უკან სამზარეულოში გაგზავნა. იგი კმაყოფილი დარჩა და დედამ და გრეტამ, რომლებიც დაძაბულად აკვირდებოდნენ მის მოქმედებას, თავისუფლად ამოისუნთქეს და გაიღიმეს.

თვითონ ოჯახის წევრები სამზარეულოში ჭამდნენ ხოლმე; მაგრამ სამზარეულოში გასვლამდე მამა ქუდით ხელში შემოვიდა სასტუმრო ოთახში, მდგმურებს საერთო სალამი მისცა და მაგიდას გარს შემოუარა. მდგმურები ზეზე წამოდგნენ და რაღაცა ჩაიბურტყუნეს. მერე მარტოდ დარჩენილნი საჭმელს თითქმის სრული დუმილით შეექცეოდნენ. გრეგორს უცნაურად მოეჩვენა, რომ საჭმლის ჭამის მრავალგვარ ხმაურში მუდამ გამოირჩეოდა კბილების ხმა; თითქოს ამით უნდოდათ გრეგორისათვის გაეგებინებინათ, რომ ჭამისათვის კბილებია საჭირო, და რომ იგი უკბილო ყბებით, რაც არ უნდა მოხერხებულად ხმარობდეს მათ, ვერაფერს გააწყობდა. „მე მადა კი მაქვს, დარდიანად გაიფიქრა გრეგორმა, მაგრამ არა ამგვარი საჭმლის მიმართ. რა

გემრიელად მიირთმევენ მდგმურები, მე კი ასე ვიღუპები!“

სწორედ იმ საღამოს სამზარეულოდან ვიოლინოს ხმა მოისმა (გრეგორს არ ახსოვდა, მთელი ამ ხნის განმავლობაში ვიოლინოს ხმა თუ გაეგონა). მდგმურებს უკვე დაესრულებინათ ვახშამი, შუათანას გაზეთი აეღო, თითო-თითო ფურცელი დანარჩენი ორისათვის მიეცა და ახლა ყველანი გაზეთს კითხულობდნენ, თანაც პაპიროსს აბოლებდნენ. ვიოლინოს ხმის გაგონებაზე მათ ყურები ცქვიტეს, სკამიდან წამოდგნეხ და ფეხის წვერებზე წინაოთახის კარებთან მივიდნენ; იქ დადგნენ შეჯგუფებულნი. როგორც ჩანს, სამზარეულოში მათი ფეხის ხმა გაიგონეს, რადგან მამამ დაიძახა იქედან: „იქნებ ბატონებს არ სიამოვნებთ ვიოლინოს ხმა? ახლავე გავაჩუმებთ“. „პირიქით,— თქვა შუათანამ, — ხომ არ ინებებდა ქალიშვილი ჩვენთან შემოსვლას და აქ დაკვრას, სადაც ბევრად უფრო მოსახერხებელია?“ — „სიამოვნებით“, — დაიძახა მამამ, ვითომც თვითონ ყოფილიყოს შემსრულებელი. მდგმურები სასტუმრო ოთახში დაბრუნდნენ და დაელოდნენ. მალე გამოჩნდენენ მამა პიუპიტრით, დედა ნოტებით, გრეტა ვიოლინოთი ხელში. ეს უკანასკნელი მშვიდად შეუდგა ვიოლინოს აწყობას, მშობლები, რომლებსაც აქამდე არასოდეს არ გაუქირავებიათ ოთახი და ამიტომაც მდგმურებს გადაჭარბებული თავაზიანობით ექცეოდნენ, თავიანთ საკუთარ სკამებზე დაჯდომას ვერა ბედავდნენ. მამა კარს მიეყრდნო და მარჯვენა ხელი შეკრული ლივრეის ორ ფოლაქშუა გაუყარა; დედა, რომელსაც ერთერთმა მდგმურმა სკამი მიაწოდა, მოშორებით კუთხეში იჯდა, რადგანაც მან სკამი იქვე დასტოვა, სადაც მდგმურმა შემთხვევით დაუდგა.

გრეტამ დაკვრა დაიწყო; მამა და დედა თავთავიანთი მხრიდან ყურადღებით ადევნებდნენ თვალს მისი ხელების მოძრაობას. მუსიკით მოხიბლულმა გრეგორმა ოდნავ წინ წაწევა გაბედა, და მისი თავი უკვე სასტუმრო ოთახში აღმოჩნდა. მას აღარც კი უკვირდა, რომ იგი ბოლოხანებში სხვებს მაინც-დამაინც დიდ ანგარიშს არ უწევდა; ადრე სხვებისათვის ანგარიშის გაწევა საამაყოდაც მიაჩნდა; ხოლო დამალვისათვის მეტი საფუძველი მას სწორედ ახლა ჰქონდა, რადგან მტვრიან ოთახში ყოფნის შედეგად იგი მთლად დამტვერიანებულიყო; ზურგითა და ფერდით თან დაათრევდა ძაფებს, თმებს, საჭმლის ნარჩენებს. იგი ზედმეტად გაგულგრილებულიყო და ხალისი აღარ ჰქონდა, რომ ადრინდებურად დღეში რამდენჯერმე ზურგზე დაწოლილიყო და ნოხს გახახუნებოდა მტვრის ჩამოსაცილებლად. მიუხედავად ამგვარი მდგომარეობისა, მას არ მოერიდა სასტუმრო ოთახის გაპრიალებულ იატაკზე შემოსვლა.

იგი არავის შეუმჩნევია. ოჯახის წევრები მუსიკით იყვნენ გართული; მდგმურები კი, რომლებიც თავდაპირველად ჯიბეებში ხელებჩაწყობილები ზედ პიუპიტრთან იდგნენ, ნოტებში იხედებოდნენ და ამით აშკარად ხელს უშლიდნენ გრეტას, ახლა ფანჯარასთან მიმდგარიყვნენ და დაბალ ხმაზე საუბრობდნენ, რასაც მამა შეწუხებული მზერით უთვალთვალებდა. ისე გავდა, რომ სასიამოვნო და გასართობი მუსიკის მოსმენის იმედი გაცრუებოდათ და ახლა მხოლოდ ზრდილობის გამო ითმენდნენ მყუდროების დარღვევას. განსაკუთრებით ის მანერა, თუ როგორაც უშვებდნენ ცხვირიდან და პირიდან პაპიროსის ბოლს, ამჟღავნებდა მათ ძლიერ ნერვიულობას; გრეტა კი საკმაოდ კარგად უკრავდა. მას სახე გვერდზე გადაეხარა და ყურადღებიანი და ნაღვლიანი მზერით ნოტებს მიჰყვებოდა. გრეგორი ცოტა კიდევ უფრო წინ გაცოცდა; თავი დაბლა იატაკზე ედო, რათა დის მზერის დაჭერა შესძლებოდა. ნეტავი ცხოველი თუ იყო იგი, როცა მუსიკამ ასეთნაირად დაატყვევა? ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს სანუკვარი უცნობი საკვებისაკენ გზა

გახსნოდეს. გადაწყვიტა, დასთან მისულიყო, კაბის კალთა ჩამოეწია და ამით ენიშნებია, რომ იგი ვიოლინოთი მის ოთახში შესულიყო, რადგან აქ მის დაკვრას არავინ ისე არ აფასებდა, როგორც გრეგორი დააფასებდა. იგი გრეტას აღარ გაუშვებდა თავისი ოთახიდან, ყოველშემთხვევაში მანამ, სანამ ცოცხალი იქნებოდა. ამაში მაინც გამოადგებოდა საშინელი გარეგნობა; ოთახის ყველა კარს ერთდროულად დაუდგებოდა დარაჯად და შიშინით დააფრთხობდა ყოველ თავდამსხმელს; ხოლო გრეტა იძულებით კი არ დარჩებოდა მასთან, არამედ თავისივე სურვილით; გრეტა მის სიახლოვეს დივანზე ჩამოჯდებოდა, ყურს მისკენ დახრიდა და მაშინ გრეგორი გაანდობდა, რომ მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი მისი კონსერვატორიაში მიბარება, რომ იგი, ამასობაში ეს უბედურება რომ არ შემთხვეოდა, ყველას გასაგონად განაცხადებდა კიდევაც ამას წარსულ შობა ღამით — შობა ღამე ხომ უკვე გავიდა; განაცხადებდა და თანაც არავითარ შეკამათებას არ გაუწევდა ანგარიშს. ამგვარი სიტყვების შემდეგ გულაჩუყებულ დას ცრემლი წასკდებოდა, ხოლო გრეგორი მაღლა აიწევდა და აკოცებდა შიშველ ყელზე, რომელზედაც გრეტა სამსახურის დაწყების დღიდან აღარც ყელსახვევს იკეთებდა და აღარც საყელოს.

„ბატონო ზამხა!“ დაუძახა შუათანა მდგმურმა მამას და საჩვენებელი თითით, ისე, რომ ზედმეტი სიტყვები არ დაუხარჯავს, ნელნელა წინ მცოცავ გრეგორზე მიუთითა. ვიოლინო დადუმდა; შუათანა მდგმურმა ჯერ თავისქნევით გაუღიმა თავის მეგობრებს; მერე ისევ გრეგორს გახედა. მამამ საჭიროდ ჩათვალა გრეგორის გაძევების ნაცვლად, ჯერ მდგმურები დაემშვიდებინა, თუმცა ისინი სრულიადაც არ ღელავდნენ და, როგორც ჩანდა, გრეგორის ყურებით უკეთ ერთობოდნენ, ვინემ ვიოლინოს მოსმენით. მამამ სასწრაფოდ მიირბინა მათთან; ხელებგაშლილი ერეკებოდა თავიანთი ოთახისაკენ და თანაც ცდილობდა სხეულით ჩამოჰფარებოდა და ამით გრეგორის დანახვის საშუალება წაერთმია. მდგმურები ახლა ოდნავ გაბრაზდნენ, ოღონდ გაურკვეველი იყო რის გამო — მამის ამგვარი საქციელისა, თუ გრეგორის მეზობლობის ამოჩენის გამო. ისინი მამისაგან ახსნა-განმარტებას მოითხოვდნენ, ხელებს მაღლა იშვერდნენ, მოუსვენრად იწვალებდნენ წვერებს და ნელ-ნელა უკან იხევდნენ; გრეტა დაკვრის უეცარი შეწყვეტინების გამო, ერთხანს დაბნეული იდგა, უღონოდ ჩამოშვებულ ხელში ვიოლინო და ხემი დაეკავებინა, თანაც ნოტებში იხედებოდა, თითქოს კვლავ დაკვრას განაგრძობდა. მაგრამ ამასობაში დასძლია დაბნეულობა, ადგილიდან მოწყდა, ვიოლინო და ხემი კალთაში ჩაუგდო დედას, რომელიც ისევ თავის სკამზე იჯდა და ძლივს სუნთქავდა; გავარდა მეზობელ ოთახში, რომელსაც მამის წყალობით ახლა უფრო სწრაფად უახლოვდებოდნენ მდგმურები. მერე იქიდან ჩანდა, თუ როგორ აფრიალებდა და ალაგებდა მისი გამოცდილი ხელები საბნებსა და ბალიშებს. მან მდგმურების შესვლამდე უკვე მოასწრო ლოგინების გაწყობა და ოთახიდან გამოვარდა. მამა იმ ზომამდე შეიპყრო სიჯიუტემ, რომ ყოველგვარი თავაზიანობა დაივიწყა, რაც მას წესით უნდა გამოეჩინა მდგმურების მიმართ; ერეკებოდა და ერეკებოდა მათ, სანამ ოთახის კარებამდე მიღწევისას შუათანა მდგმურმა ფეხის ძლიერი დაბაკუნებით არ შეაჩერა. „ნება მომეცით მოგახსენოთ, — თქვა მან, ხელი მაღლა აღმართა და თვალებით დედასა და დას დაუწყო ძებნა, — რომ მე ამ ოჯახში არსებული საზიზღარი პირობების გამო — აქ მან გულიანად გააფურთხა — უარს ვამბობ ოთახის ქირაობაზე. ამასთანავე, ცხადია, არც იმ დღეების ქირას გადავიხდი, რომლებიც უკვე გავატარე ამ ოთახში, პირიქით, მე იმაზე ვიფიქრებ, ხომ არ წამოგიყენოთ რაიმე პრეტენზია, რაც მერწმუნეთ, საკმაოდ იო-

ლი დასასაბუთებელი იქნება". იგი გაჩუმდა და წინ გაიხედა, თითქოს რაღაცას ელოდა. და, მართლაც, მაშინვე მიეშველნენ მეგობრები: „ჩვენც ახლავე ვტოვებთ ოთახს". ამის შემდეგ მან სახელურზე ხელი წაავლო კარს და ხმაურით მიიჯახუნა.

მამა ხელების ფათურით მიბარბაცდა თავის სავარძელთან და შიგ ჩაეშვა; ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ჩვეულებისამებრ წაძინებას ეპირებოდა; მაგრამ თავის ძლიერი რხევის მიხედვით იოლი იყო მიხვედრა, რომ სრულიადაც არ ეძინა. გრეგორი მთელი ამ დროის განმავლობაში წყნარად იწვა იქ, სადაც მდგმურებმა შეასწრეს თვალი. თავისი გეგმის განუხორციელებლობისა და, ალბათ, აგრეთვე ხანგრძლივი შიმშილით გამოწვეული სისუსტის გამო მას სრულიად დაჰკარგოდა მოძრაობის უნარი. დარწმუნებით იცოდა, რომ უახლოეს წამში საერთოდ ყოველივე დაინგრეოდა და თავს დაატყდებოდა. იგი ვერც ვიოლინომ დააფრთხო, რომელიც დედას აკანკალებული ხელიდან გაუსხლტა, კალთიდან გადმოუვარდა და დაცემისას მკვეთრი ხმა გაიღო.

„ძვირფასო მშობლებო", — თქვა გრეტამ და თავისებური შესავალივით მაგიდას ხელი დაჰკრა, — ასე არ შეიძლება გაგრძელდეს. თქვენ იქნებ ვერ შეგიგნიათ, მე კი ეს კარგად ვიცი. მე არ მინდა ამ ურჩხულს ჩემი ძმის სახელი ვუწოდო და ამიტომაც ასე ვიტყვი: ჩვენ უნდა ვცადოთ მისი თავიდან მოცილება, ჩვენ ყოველივე გავაკეთეთ, რაც ადამიანისათვის შესაძლებელია, ვუვლიდით მას, ვითმენდით; მე ვფიქრობ, ჩვენ ვერავინ გვეტყვის საყვედურს".

„იგი ცამდე მართალია", — წყნარად ჩაილაპარაკა მამამ. ხოლო დედამ, რომელიც ჯერ კიდევ მძიმედ სუნთქავდა, პირზე ხელი აიფარა და თვალებამღვრეულმა ყრუ ხველება წამოიწყო.

გრეტა დედას მივარდა და შუბლი დაუჭირა. მამა, რომლის აზრებსაც გრეტას სიტყვებმა უფრო გარკვეული მიმართულება მისცეს, ახლა წელში გამართული იჯდა; ქუდს ათამაშებდა თეფშებს შორის, რომლებიც მდგმურების ვახშმის შემდეგ მაგიდაზე ელაგა; დრო და დრო მიწყნარებულ გრეგორს გაჰხედავდა.

„ჩვენ უნდა ვცადოთ მისი თავიდან მოცილება, — მიმართა დამ ახლა მხოლოდ მამას, რადგან დედას ხველებისაგან არაფერი ესმოდა, — იგი თქვენ ორთავეს მოგკლავთ, მე ამას ვხედავ, როცა ჩვენ ისედაც ამდენი მუშაობა გვიხდება, შეუძლებელია სახლში კიდევ ეს გაუთავებელი ტანჯვაწვალება ავიტანოთ. აღარც მე შემიძლია მეტის ატანა". და ერთბაშად ისეთი ტირილი წასკდა, რომ ცრემლი დედას ეცემოდა სახეზე, რომელსაც გრეტა ხელის უხებური მოძრაობით უმშრალებდა.

„შვილო, -- უთხრა მამამ თანაგრძნობით და ჩანდა, რომ ზედმიწევნით მიუხვდა გულის ნადებს, — მაგრამ რა უნდა ვქნათ?"

დამ მხოლოდ მხრები აიჩეჩა დაბნეულობის ნიშნად, რაც მას ტირილის დროს დაუფლებოდა ადრინდელი სიმტკიცის ნაცვლად.

„ჩვენი რომ გაეგებოდეს მაინც"—ნახევრად კითხვის აზრით თქვა მამამ; დამ ხელი გაასავსავა ტირილის შეუწყვეტლად; ანიშნა, იმაზე ფიქრიც კი ზედმეტიაო.

„მას რომ ჩვენი გაეგებოდეს,—გაიმეორა მამამ და თვალებდახუჭულმა გაიზიარა დის ურწმუნოება, -- მაშინ, ალბათ, შევძლებდით მასთან შეთანხმებას. ამის გარეშე კი"...

„აქაურობას უნდა გაეცალოს, — იყვირა დამ, — მამა, ეს ერთადერთი საშუალებაა! ოღონდ შენ უნდა მოიშორო ის აზრი, რომ იგი გრეგორია. ჩვენი უბედურება სწორედ ისაა, რომ ასე დიდხანს გვჯეროდა ეს. მაგრამ როგორ შეიძლება, რომ იგი გრეგორი იყოს? გრეგორი ხომ დიდიხანია მიხვდებოდა, რომ შეუძლებელია ადამიანების ცხოვრება ამგვარ ცხოველთან ერთად და თვითონვე წავიდოდა. მაშინ ჩვენ დავ-

კარგავდით ძმას, მაგრამ სამაგიეროდ ცხოვრების გაგრძელებასა და მისი ხსოვნის პატივისცემას შევძლებდით. ეს ცხოველი კი ასეთნაირად გვავიწროვებს და გვდევნის, მდგმურებს გვიფრთხობს, უნდა რომ მთელი ბინა თავითონ დაიკავოს და ჩვენ კი ღია ცის ქვეშ დაგვტოვოს. შეხედე, მამა, — უეცრად იყვირა მან, — ეგი ისევ იწყებს!“ და გრეგორისათვის სავსებით გაუგებარი შეძრწუნებულობით დედას ხელი უშვა, მოსწყდა მის სკამს, თითქოს დედაც კი გასწირა, ოღონდ გრეგორის სიახლოვეს არ დარჩენილიყო, და მამისაკენ გაექანა, მის უკან დადგა; მამა, მისი საქციელით აღელვებული, ზეზე წამოდგა და თითქოს თავდასხმისაგან იცავდა, ხელები გაუწვდინა. ხოლო გრეგორს აზრადაც არ მოსვლია ვისმესი და მით უმეტეს დის შეშინება. მას თავის ოთახში დაბრუნება უნდოდა და ამისათვის შემოტრიალება დაიწყო. ეს კი თვალში ეცა ყველას, რადგან ავადმყოფური მდგომარეობის გამო მოძრაობა უჭირდა, შემობრუნებისას თავს იშველიებდა, მაღლა სწევდა ხოლმე დიიატაკზე ურტყამდა. იგი შეჩერდა და აქეთ-იქით მიმოიხედა. მგონი მიუხვდნენ კეთილ განზრახვას; შიში მხოლოდ წამიერი გამოდგა. ახლა ყველანი დადუმებულიყვნენ და ნაღვლიანად მისჩერებოდნენ მას. დედას ფეხები წინ გამოეშვირა და ისე მისვენებულიყო თავის სკამზე, დაღლილობისაგან თვალები თითქმის მთლად დახუჭვოდა; მამა და გრეტა ეროიმეორის გვერდით ისხდნენ, გრეტას ხელი მამის ყელზე შემოეჭდო.

„ახლა, ალბათ, შემიძლია შევტრიალდე“ — გაიფიქრა გრეგორმა და ისევ შეუდგა თავის საქმეს. დაძაბულობისაგან ქშინავდა, დრო და დრო იძულებული იყო შეესვენა. არავინ აჩქარებდა, იგი თავისი თავისათვის მიენდოთ. რა წამსაც დაასრულა შემობრუნება, მაშინვე პირდაპირ თავისი ოთახისაკენ გაემართა. გაუკვირდა, რომ მის ოთახამდე ასე დიდი მანძილი ყოფილა და ვერ გაეგო, როგორ მოახერხა ციტა ხნის უკან ამავე მანძილის ასე შეუმჩნეველად გავლა. იგი სწრაფად ცოცავდა ზურგვით იყო გართული და ვერც კი შეემჩნია, რომ მისთვის არცერთი სიტყვითა და არცეროი წამოძახილით ხელი არ შეუშლიაო. მხოლოდ მაშინ მოაბრუნა თავი, როცა უკვე კარებში იდგა, მაგრამ მოაბრუნა გაჭირვებით, სანახევროდ; მაინც მოახერხა შეენიშნა, რომ მის ზურგს უკან ოთახში არაფერი შეცვლილიყო, მხოლოდ და წამომდგარიყო ფეხზე. საბოლოო მზერით დედას შეავლო თვალი, რომელსაც ახლა სრულიად ჩასძინებოდა.

როგორც კი თავის ოთახში აღმოჩნდა, კარი სასწრაფოდ მიხურეს, ჩარაზეს და გასაღებითაც ჩაჰკეტეს. უეცარმა ხმაურმა გრეგორი იმ ზომამდე შეაკრთო, რომ მუხლთ მოეკვეთა. ეს და იყო, რომელმაც ასე იჩქარა. იგი ფეხზე წამომდგარი იცდიდა, მერე მსუბუქად ისკუპა წინ — გრეგორს არც უგრძვნია მისი მოახლოვება, — „ბოლოს და ბოლოს გვეღირსაო!“, დაუძახა მშობლებს, როცა კლიტეში გასაღებს ატრიალებდა.

„ახლა რაღა ვქნა“ — გაიფიქრა გრეგორმა და სიბნელეში მიმოიხედა. მალე აღმოაჩინა, რომ საერთოდ ვეღარ ინძრეოდა. ეს არც გაკვირვებია; საკვირველად უფრო ის მიაჩნდა, რომ აქამდე ახერხებდა მოძრაობას ამ წვრილი ფეხებით. სხვა მხრივ შედარებით კარგად გრძნობდა თავს. თუმცა მთელი სხეული სტკიოდა, ამასთან გრძნობდა, რომ ტკივილი თანდათან უყუჩდებოდა და საცაა მთლად გაუვლიდა. ზურგში ჩაჭედილ დამპალ ვაშლსა და მის გარშემო ანთებულ სხეულს, რომელიც რბილი მტვერით იყო დაფარული, თითქმის აღარც გრძნობდა, ოჯახის წევრებს ახლა გულაჩუყებითა და სიყვარულით იგონებდა. მისი გადაწყვეტილება ოჯახის დატოვების შესახებ დის გადაწყვეტილებაზე უფრო მტკიცე იყო. იგი უსაგნო და ნეტარი ფიქრებით იყო გართული, როცა ქალაქის საათმა ღამის სამი დარეკა. როცა ფანჯარაზე გარიჟრა-

ქის სინათლე დაეცა, იგი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. მერე თავი დაბლა ჩამოუვარდა და ნესტოებიდან უკანასკნელი სუსტი სუნთქვა აღმოხდა.

როცა დილით ადრე მოახლე ქალი მოვიდა — ეს ღონემოჭარბებული ქალი ხშირი გაფრთხილების მიუხედავად, ისე აჯახუნებდა ხოლმე კარებს, რომ მთელ ბინაში ძილი შეუძლებელი ხდებოდა — გრეგორის ოთახში შესვლისას ვერაფერი განსაკუთრებული ვერ აღმოაჩინა. მან იფიქრა, რომ გრეგორი შეურაცხყოფილს თამაშობდა და გახგებ იწვა ასე უმოძრაოდ; მას მიაჩნდა, რომ გრეგორს, სრულიადაც არ აკლდა მოსაზრებულობა. რახან შემთხვევით ხელში ცოცხი ეკავა, შეეცადა კარებიდან ცოცხით გრეგორისათვის შეეღიტინებინა. როცა ამას არავითარი შედეგი არ მოჰყვა, გაჯავრდა და ცოცხი ოდნავ ჩაჰკრა გრეგორს; მხოლოდ მაშინ, როცა გრეგორი ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე დასძრა ადგილიდან, რაღაცას მიხვდა და ყურადღება დასძაბა. მისთვის ნათელი გახდა საქმის ნამდვილი ვითარება; მან თვალები დაჭყიტა და დაუსტვინა; დიდხანს არ დაყოვნებულა, საწოლი ოთახის კარი გამოაღო და ხმამაღლა დაიძახა სიბნელეში; „ერთი ნახეთ, იგი მომკვდარა, აქა წევს მკვდარი!“

ცოლქმარი ზამზა საწოლზე წამომსხდარიყვნენ და ამ ცნობის არსის ჩაწვდომამდე მოახლე ქალის მოულოდნელი შემოჭრით გამოწვეული შიშის დაძლევას ცდილობდნენ. მაგრამ შემდეგ ბატონი და ქალბატონი ზამზები სასწრაფოდ წამოდგნენ საწოლიდან; ბატონმა ზამზამ საბანი მოიხურა, ქალბატონი ზამზა კი ღამის პერანგის ამარა წამოჰყვა; ასე შევიდნენ გრეგორის ოთახში. ამასობაში გაიღო სასტუმრო ოთახის კარიც, სადაც გრეტას ეძინა ხოლმე მდგმურების დაყენების შემდეგ. გრეტა ჩაცმული იყო, თითქოს არც სძინებია; მისი ფერმკრთალი სახეც ამას უჩვენებდა. „მკვდარია“? — იკითხა ქალბატონმა ზამზამ, და მოსამსახურე ქალს შეხედა, თუმცა კი მას თვითონვე შეეძლო შეემოწმებინა, შემოწმების გარეშეც შეეძლო — ეს გაგები. „სწორედ ამას ვამბობ“, — თქვა მოსამსახურე ქალმა; დასამტკიცებლად ცოცხი ჰკრა გრეგორის გვამს და განზე გააგდო. ქალბატონი ზამზა ისე გადაიხარა, თითქოს უნდოდა ცოცხი შეეჩერებინა, მაგრამ თავი შეიკავა.

„მაშ, ასე,—თქვა ბატონმა ზამზამ, — ჩვენ ახლა შეგვიძლია ღმერთს მადლობა ვუთხრათ“. მან პირჯვარი გადაიწერა და სამივე ქალმა მის მაგალითს მიბაძა. გრეტამ, რომელიც გრეგორის გვამს თვალს არ აცილებდა, თქვა: „შეხედეთ, როგორი გამხდარი იყო. მას დიდი ხანია აღარაფერი უჭამია. როგორც შემქონდა საჭმელი, ისევე უკან გამომქონდა“. მართლაც, გრეგორის სხეული სავსებით გაბრტყელებულიყო და გამომხმარიყო. ეს მხოლოდ ახლა გამოჩნდა მთლად ნათლად, როცა გრეგორის სხეული ფეხებზე აღარ იდგა და არც სხვა რაიმე აცდუნებდა თვალს.

„გრეტა, ერთის წუთით ჩვენთან შემოდი“, — თქვა ქალბატონმა ზამზამ ნაღვლიანი ღიმილით. და გრეტაც გაჰყვა მშობლებს საწოლ ოთახში, თან უკან გრეგორის გვამისაკენ იხედებოდა. მოსამსახურე ქალმა კარი მიხურა და ფანჯარა ფართოდ გააღო. ახალი გათენებული იყო, მაგრამ უკვე თბილოდა. მარტი იწურებოდა.

მდგმურები გამოვიდნენ თავიანთი ოთახიდან და გაოცდნენ, როცა მაგიდაზე საუზმე ვერ აღმოაჩინეს. როგორც ჩანდა, მდგმურების არსებობა დავიწყებოდათ. „სად არის საუზმე?“ — დაუბღვირა შუათანა მდგმურმა მოახლე ქალს.. ამ უკანასკნელმა პირზე თითი მიიდო და უსიტყვოდ ანიშნა, გრეგორის ოთახში შესულიყვნენ. ისინი შევიდნენ იქ და უკვე მთლად განათებულ ოთახში გარს შემოუდგნენ გრეგორის გვამს, თავიანთი ოდნავ გაცვეთილი პიჯაკის ჯიბეებში ხელებჩაწყობილები. ამ დროს კარი გაიღო და გამოჩნდა ბატონი ზამზა თავის

ლივრეაში. ერთ მხარეს ცოლი მოჰყვებოდა ხელგაყრილი, ხოლო მეორე მხარეს ქალიშვილი. ისინი ოდნავ ნამტირალევს ჰგავდნენ. გრეტა დრო და დრო მამის მხარს ეკვროდა სახით.

„ახლავე დასტოვეთ ჩემი ბინა!“ — თქვა ბატონმა ზამზამ და კარზე მიუთითა, ისე, რომ ამასთანავე ქალები არ მოუშორებია. „ამით რისი თქმა გსურთ!“ — ცოტა შეცბუნებულად თქვა შუათანა მდგმურმა და პირფერულად გაუღიმა. დანარჩენ ორს ხელები უკან დაეწყოთ და განუწყვეტლივ იფშვნეტდნენ, თითქოს სიამოვნებით ელოდნენ დიდ კამათს, რაც მათს სასარგებლოდ დამთავრდებოდა. „სწორედ იმისი თქმა მსურს, რასაც მოგახსენებთ“, — უპასუხა ბატონმა ზამზამ და თავის მხლებლებთან ერთად მდგმურისაკენ მიიწია. ეს უკანასკნელი თავდაპირველად წყნარად იდგა და იატაკს დაჰყურებდა, თითქოს მის თავში ყველაფერი აირია და ახლიდან ლაგდებოდა. „რახან ასეა, ჩვენ წავალთ“, — თქვა მან და ისე შეხედა ბატონ ზამზას, თითქოს უეცრად მოთვინიერებული, ამ მხრივაც მის თანხმობას საჭიროებდა. ბატონმა ზამზამ თავი დაუქნია. ამის შემდეგ შუათანა მდგმური გრძელი ნაბიჯებით წინაოთახისაკენ გაემართა; მისი მეგობრები, რომლებსაც ხელების ფშვნეტა შეეწყვიტათ და ისე უსმენდნენ საუბარს, ხტუნაობით გამოედევნენ, თითქოს ეშინოდათ ბატონ ზამზას არ შეესწრო წინაოთახში და მათთვის წინამძღოლისაკენ გზა არ მოეჭრა. წინაოთახში ტანსაცმლის საკიდიდან ქუდები ჩამოიღეს, ხელში თავიანთი ხელჯოხები აიღეს, მდუმარედ თავი დაუკრეს და კარში გავიდნენ. ბატონმა ზამზამ, როგორც აღმოჩნდა, სრულიად უსაფუძვლო უნდობლობა გამოიჩინა და ორივე ქალის თანხლებით კიბის ბაქანზე გაჰყვა. მოაჯირზე დაყრდნობილები უყურებდენ როგორ ეშვებოდნენ მდგმურები გრძელ კიბეზე. მართალია, ნელა, მაგრამ შეუჩერებლად მიდიოდნენ, ხედავდნენ როგორ იმალებოდნენ ისინი ყოველი სართულის მოსახვევში და როგორ ჩნდებოდნენ კვლავ რამდენიმე წამის შემდეგ. რაც უფრო ქვემოთ ჩადიოდნენ მდგმურები, მით უფრო ჰკარგავდა ზამზების ოჯახი მათდამი ინტერესს; ხოლო როცა ხორცის დამტარებელი ბიჭი წამოვიდა კიბეზე, წელში ამაყად გამართული და თავზე კალათშედგმული, გვერდი ჩაუარა მათ და მაღლა გზა განაგრძო, ბატონი ზამზა და ქალები მოსცილდნენ მოაჯირს და გულდამშვიდებულნი დაბრუნდნენ ბინაში.

მათ გადაწყვიტეს დღევანდელი დღე დასვენებისა და სეირნობისათვის დაეთმოთ; მუშაობისაგან შესვენება არა მხოლოდ დაიმსახურეს, არამედ ეს მათთვის აუცილებელიც იყო. ამიტომაც ისინი მაგიდას მიუსხდნენ და განმარტებითი ბარათების წერას შეუდგნენ. ბატონი ზამზა სწერდა თავის დირექციას, ქალბატონი ზამზა თავის დამქირავებელს, ხოლო გრეტა თავის უფროსს. როცა ისინი წერილს წერდნენ, მოახლე ქალი შემოვიდა ოთახში და მოახსენა, სამუშაო დღე დასრულდა და მივდივარო. სამივემ თავი დაუქნია ისე, რომ წერა არ შეუწყვეტიათ. მოახლე ქალი იდგა და წასვლას არ აპირებდა; მაშინ მაგიდასთან მსხდომებმა თავი აიღეს და გაჯავრებით შეხედეს. „რა მოხდა?“ იკითხა ბატონმა ზამზამ. მოახლე ქალი გაღიმებული იდგა კარებში, თითქოს რაღაც სასიხარულო ამბავი ჰქონდა მოსაყოლი, მაგრამ მხოლოდ მაშინ მოუყვებოდა, როცა დაწვრილებით გამოკითხავდნენ. მის შლაპაზე თითქმის შვეულად დამაგრებული სირაქლემას ფრთა, რომელიც ყოველთვის აღიზიანებდა ბატონ ზამზას, მსუბუქად ქანაობდა ოთხივე მხარეს. „მაინც რა გნებავთ?“ — ჰკითხა ქალბატონმა ზამზამ, რომელსაც იგი შედარებით მეტ პატივს სცემდა. „დიაღ“, — უპასუხა მოახლე ქალმა და თანაც გულითადი სიცილისაგან ლაპარაკის გაგრძელება უჭირდა, „იმის გადაგდებაზე ნუღარ იზრუნებთ, ყველაფერი მოგვარებულია“. ქალბატონი ზამზა და გრე-

ტა თავიანთი წერილებისაკენ დაიხარნენ, თითქოს წერის გაგრძელება უნდოდათ: ბატონმა ზამზამ შენიშნა, რომ მოსამსახურე ქალი აპირებდა ყველაფრის დაწვრილებით მოყოლას და ენერგიული ხელის დაქნევით ანიშნა გაჩუმებულიყო. მოახლე ქალს, რახახ ამბის მოყოლის საშუალება არ მისცეს, გაახსენდა, რომ ეჩქარებოდა; აშკარად ნაწყენი კილოთი დაიძახა „მშვიდობით ბრძანდებოდეთო“, უეცრად შეტრიალდა და ბინიდან კარების საშინელი ბრახუნით გავარდა.

„საღამოთი ჩვენ მას დავითხოვთ“, — თქვა ბატონმა ზამზამ, მაგრამ არც ცოლისაგან და არც ქალიშვილისაგან პასუხი არ მიუღია; როგორც ჩანდა, მოსამსახურე ქალმა კვლავ დაარღვია მათი სიმშვიდე. ისინი ზეზე წამოცვივდნენ, ფანჯარასთან მივარდნენ და იქ დარჩნენ ერთმანეთზე გადახვეულები. ბატონი ზამზა შემობრუნდა და ერთხანს წყნარად აკვირდებოდა მათ. მერე დაუძახა: „მოდით აქ, ბოლოს და ბოლოს დაივიწყეთ წარსული. მეც მომაქციეთ ყურადღება“. ქალებმა დაუჯერეს, მივიდნენ მასთან, მიუალერსეს და სასწრაფოდ დაასრულეს წერილების წერა.

მერე სამთავემ ერთად დასტოვა ბინა, რაც უკვე მრავალი თვის განმავლობაში აღარ მომხდარა, და ტრამვაით ქალაქგარეთ გაემგზავრნენ. ვაგონი, რომელშიაც ისინი მარტო ისხდნეხ, თბილი მზის სხივებით იყო სავსე. მსჯელობდნენ მომავლის პერსპექტივების შესახებ, — აღმოაჩინეს, რომ ეს პერსპექტივები არც ისე ცუდი იყო, რადგან მათი სამსახური, რის შესახებაც ისინი აქამდე მაინცდამაინც არ ეკითხებოდნენ ერთმანეთს, ფრიად მომგებიანი და ბევრის აღმთქმელი ყოფილა. მათი მდგომარეობის გაუმჯობესებას თავდაპირველად ყველაზე მეტად ბინის გამოცვლა შეუწყობდა ხელს. მათ გადაწყვიტეს გრეგორის მიერ არჩეულ ახლანდელ ბინასთან შედარებით უფრო პატარა და იაფი, მაგრამ მოხერხებული ბინა ეშოვნათ როცა ისინი ამის შესახებ საუბრობდნენ, ბატონმა და ქალბატონმა ზამზებმა თითქმის ერთდროულად შენიშნეს, რომ მათი სულ უფრო და უფრო გამოცოცხლებული გოგონა, მიუხედავად ბოლოხანებში გადატანილი ტანჯვა-წვალებისა, რომელმაც მისი ღაწვები, ცოტა არ იყოს, გააფერმკრთალა, ფრიად დამშვენებულა, გავსილა და ლამაზ ქალიშვილად ქცეულა, ისინი თანდათან მიჩუმდნენ და ახლა თვალებით ეუბნებოდნენ ერთმანეთს, რომ უკვე დროა ქალიშვილისათვის შესაფერისი სასიძო ეძიონ. და მოგზაურობის დასასრულს გოგონა, თითქოს მათი ამგვარი აზრების დადასტურება უნდოდა, პირველი წამოდგა სკამიდან და ლაღად გაშალა თავისი ახალგაზრდული სხეული.

განაჩენი

ეს მოხდა მშვენიერი გაზაფხულის კვირადილით. ახალგაზრდა სოვდაგარი გეორგ ბენდემანი იჯდა თავის კაბინეტში, მეორე სართულზე. ეს სახლი მდინარის პირას ერთმანეთისაგან მხოლოდ სიმაღლითა და შეფერილობით განსხვავებული, დაბალი და მსუბუქად ნაგები შენობების გრძელ რიგში იდგა. მას ახლახან დაესრულებინა წერილის წერა საზღვარგარეთ მყოფი სიყრმის მეგობრისადმი, დაეკეცა იგი ნებიერი აუჩქარებლობით, და ფანჯარაში იხედებოდა საწერ მაგიდაზე იდაყვდაყრდნობილი; უცქეროდა მდინარეს, ხიდსა და გაღმა ნაპირის ოდნავ ამწვანებულ ბორცვებს.

იგი ფიქრობდა მეგობარზე, რომელიც სამშობლოში თავისი საქმის წარუმატებლობით უკმაყოფილო, რამდენიმე წლის წინათ გაეცალა იქაურობას და რუსეთში გადაიხვეწა. ახლა პეტერბურგში რაღაც სავაჭრო საქმეს

აწარმოებდა, რომელსაც თავდაპირველად კარგი პირი უჩანდა, მაგრამ ბოლო ხანებში მეგობარს ბედი არ სწყალობდა. ამაზე თვითონვე ჩიოდა, როცა გეორგს ძალიან იშვიათად ესტუმრებოდა ხოლმე. უნაყოფოდ ჯახირობდა უცხოეთში, იქაურ ყაიდაზე მოშვებული წვერი ცუდად უფარავდა სიყრმის წლებიდან ნაცნობ სახეს, რომლის მოყვითალო ფერი რომელიღაც პროგრესულად განვითარებულ ავადმყოფობას ამეღავნებდა. როგორც მისივე მონათხრობიდან ჩანდა, იგი მაინცდამაინც არ დაკავშირებია თავის თანამემამულეთა კოლონიას და, ამავე დროს, არც ადგილობრივ მკვიდრთა ოჯახებთან ჰქონია რამე საზოგადოებრივი ურთიერთობა; ასე რომ, მას თავი სრულ მარტოხელად განეწესებინა.

რა შეიძლება მისწერო ამგვარ გზაბნეულ კაცს, რომელსაც სიბრალულით თუ თანაუგრძნობ, თორემ შველით ვერაფერს უშველი. იქნებ ურჩიო, შინ დაბრუნდეს, ისევ აქ დამკვიდრდეს, ძველი მეგობრული ურთიერთობა აღადგინოს (რასაც, ცხადია, არაფერი უშლის ხელს) და, საერთოდ, დაენდოს მეგობრებს, მათი იმედი იქონიოს? მაგრამ ეს ხომ იმას ნიშნავს, პირდაპირ განუცხადო (რაც უფრო რბილად ეტყვი, მით უფრო დამამცირებელი იქნება), რომ მისი აქამომდელი ცდები უშედეგო აღმოჩნდა, რომ მან, ბოლოსდაბოლოს, ხელი უნდა აიღოს ადრინდელ საქმიანობაზე, უკან დაბრუნდეს და ცნობისმოყვარეთა გაოცებული მზერა მორჩილად აიტანოს. ამით იმასაც აგრძნობინებ, რომ მის მეგობრებს კარგად სცოდნიათ საქმის მოგვარება, თვითონ კი ყოფილა ხანდაზმული ბავშვი, რომელსაც ისღა დარჩენია, წარმატებულ მეგობრებს კუდში მისდიოს და მიბაძოს. და მერე განა რამე შედეგი კი მოჰყვება ამგვარ შემაწუხებელ და მომაბეზრებელ წერილს? ალბათ, იმასაც ვერ მიაღწევ, შინ დააბრუნო — მან ხომ ერთხელ თვითონვე თქვა, აქაური პირობებისა და ურთიერთობისა არაფერი გამეგებაო; მეგობარი მაინც უცხოეთში დარჩება, თანაც გუნებაწამხდარი იქნება ამ რჩევა-დარიგებით და კიდევ უფრო მეტად დასცილდება თავის მეგობრებს. მაგრამ, ვთქვათ და, დაუჯერა ამ რჩევას; მერე აქაც რომ ვერ გაიმართოს ხელი (ცხადია, არა განზრახ, არამედ უნებურად), რომ ვეღარც მეგობრებმა უშველონ და სირცხვილი ჭამოს, ამიერიდან ნამდვილად დაჰკარგოს სამშობლო და მეგობრები? ამას ხომ მართლაც ისევ ისა სჯობია, უცხოეთში დარჩეს? და განა შეიძლება დარწმუნებული იყო, რომ აქ წარმატებას მოიპოვებს?

ამ მოსაზრებათა გამო, ისეთ უბრალო ამბებსაც კი ვერ მისწერ (თუკი. საერთოდ, საჭიროდ მიიჩნევ მასთან წერილობით ურთიერთობას), რომელთა შეტყობინებაც თვით უშორეულესი ნაცნობისთვისაც არ მოგერიდებოდა. იგი უკვე სამ წელზე მეტია, რაც სამშობლოში არ ყოფილა და ამას ერთობ ნაძალადევად ხსნიდა: თითქოს რუსეთის არამტკიცე პოლიტიკური ვითარება შეუძლებელს ხდიდა, ყოველი, თუნდაც წვრილფეხა საქმოსანი კაცის საზღვარგარეთ გამგზავრებას, მაშინ, როდესაც ასიათასობით რუსი სრულიად მშვიდად მოგზაურობდა დედამიწის სხვადასხვა მხარეში. გეორგისათვის კი ბევრი რამ გამოიცვალა ამ სამ წელიწადში. ორი წლის წინათ დედა გარდაეცვალა. ამის შემდეგ გეორგი თავის მოხუც მამასთან ცხოვრობდა და საერთო მეურნეობას ეწეოდა. მეგობარს დედის გარდაცვალების ამბავი შეეტყო და თავისი სამძიმარიც გამოეთქვა ერთერთ წერილში; თუმცა, უნდა ითქვას, სამძიმარს სითბო აკლდა, ვინაიდან უცხოობაში ამგვარი შემთხვევის გამო მგლოვიარობა, უბრალოდ, წარმოუდგენელიცაა. იმ დროიდან გეორგმა თავის სავაჭრო საქმეს, ისევე, როგორც ყოველივე სხვას, მეტი ენერგიულობით მოკიდა ხელი. შესაძლოა, ადრე, გეორგის დამოუკიდებელ მოღვაწეობას რამდენადმე მამამისი აბრკოლებდა, აბრკოლებდა იმით,

რომ საქმის წარმოებისას მხოლოდ საკუთარ შეხედულებებს ცნობდა; შესაძლოა, დედის სიკვდილის შემდეგ, მამა, მიუხედავად იმისა, რომ საქმისათვის, თავი არ დაუნებებია, შედარებით პასიური და უმოქმედო გახდა. შესაძლოა, აგრეთვე, რომ, აქ რაღაც ბედნიერმა შემთხვევებმა ითამაშა უფრო მნიშვნელოვანი როლი, (რაც ფრიად საფიქრებელია). ფაქტი კი ისაა, რომ ამ ორ წელიწადში გეორგის სავაჭრო საქმე სრულიად მოულოდნელად აყვავდა, საჭირო გახდა მომსახურე პერსონალის ორჯერ გაზრდა, ბრუნვამ ხუთმაგად იმატა და შემდგომი წინსვლაც უეჭველი ჩანდა.

ხოლო მეგობარს არავითარი წარმოდგენა არა ჰქონდა ამ ცვლილებებზე. ადრე (უკანასკნელად კი სწორედ იმ წერილში, რომელშიაც დედის სიკვდილის გამო თანაგრძნობას უცხადებდა) იგი ცდილობდა, გეორგი რუსეთში გამგზავრებაზე დაეყაბულებინა; ამასთან დაკავშირებით, ვრცლად მსჯელობდა გეორგის სავაჭრო საქმის პერსპექტივებზე პეტერბურგში. ციფრები ბევრად ჩამორჩებოდა იმას, რასაც გეორგმა უკვე მიაღწია. გეორგს მაშინ საკმაო ხალისი არ აღმოაჩნდა, მეგობრისათვის თავისი წარმატების შესახებ მიეწერა და მერე მოგვიანებით რომ გამოესწორებინა ეს, უთუოდ უცნაურად გამოჩნდებოდა მისი საქციელი.

ამიტომ გეორგი იმით იფარგლებოდა, რომ წერდა სრულიად უმნიშვნელო ამბებს, ისეთ ამბებს, რომლებიც მშვიდ კვირადღეს, უბრალო დაფიქრებისას, ყოველგვარი წესრიგის გარეშე ამოტივტივდება ხოლმე მეხსიერებაში. მას სხვა არაფერი სურდა, გარდა იმისა, რომ ხელუხლებლად დაეტოვებინა მეგობრის წარმოდგენა მშობლიურ ქალაქზე, წარმოდგენა, რომელიც უცხოობაში ყოფნის ხანგრძლივ პერიოდში შეიმუშავა და, რომლითაც დაკმაყოფილდა კიდევაც; ამის გამო იყო, რომ გეორგმა მეგობარს ზედიზედ სამჯერ ერთმანეთისაგან საკმაოდ დიდი ინტერვალებით დაცილებულ წერილებში ვიღაც სავსებით უცხო კაცის მიერ ასევე უცხო ქალიშვილის დანიშვნის ამბავი მოუთხრო; ასე რომ, მეგობარმა გეორგის განზრახვის საწინააღმდეგოდ, ამ ამბით დაინტერესებაც კი დაიწყო.

გეორგს ამგვარი წვრილმანების მიწერა ერჩია იმის გამხელას, რომ თვითონ, ერთი თვის წინათ, შეძლებული ოჯახის შვილი, ვინმე ფრიდა ბრანდენფელდი დანიშნა. ხშირად საუბრობდა იგი თავის საცოლესთან ამ მეგობარსა და ამ განსაკუთრებულ წერილობით ურთიერთობაზე. „მაშ, იგი არ გვეწვევა ქორწილზე, — ამბობდა ქალი,— მე კი მსურდა ყველა შენი მეგობარი გამეცნო“. „არ მინდა შევაწუხო, — უპასუხებდა გეორგი,—სწორედ გამიგე, ალბათ, ჩამოვიდოდა კიდეც, ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვფიქრობ, მაგრამ ეს ნაძალადევი იქნებოდა და, ამასთანავე, დაზარალებულად იგრძნობდა თავს, ალბათ, შეშურდებოდა ჩემი, უკმაყოფილო შეიქნებოდა და ასეთ გუნებაზე მოუხდებოდა უკან გამგზავრება სრულიად მარტოს. მარტოდ-მარტოს — იცი თუ არა, რას ნიშნავს ეს? „ჰო, მაგრამ მას ხომ შეუძლია რაიმე სხვა გზით შეიტყოს ჩვენი ქორწინების ამბავი?“ „ამას ხელს ვერ შევუშლი, მაგრამ მისი ცხოვრების თავისებური წესის გამო ეს ნაკლებად მოსალოდნელია“. „თუ ასეთი მეგობრები გყავს, გეორგ, საერთოდ, არც უნდა დაგენიშნე“. „რას იზამ, ასეა, და ამაში ჩვენ ორივე ვართ დამნაშავენი. მაგრამ ახლა არც მინდა, სხვაგვარი მდგომარეობა იყოს“. ხოლო მერე, როცა ქალი, მისი ხშირი კოცნისაგან სუნთქვაჩქარებული, კვლავ წარმოსთქვამდა: „მე კი ეს ნამდვილად მწყინს“, გეორგი უკვე ფიქრობდა, მართლაც, არაფერი დაშავდებოდა იმით, რომ ყოველივე მიეწერა მეგობრისათვის. ამნაირი ვარ და ამნაირი უნდა მცნოს მეგობარმა, არწმუნებდა იგი თავის თავს, „მე ხომ არ შემიძლია გადავიქცე ისეთ კაცად, რომე-

ლიც მას უფრო შესაფერის მეგობრობას გაუწევდა“.

და მართლაც, ატყობინებდა ამ კვირადილით დაწერილ ბარათში თავის მეგობარს: „ყველაზე საინტერესო ახალი ამბავი ბოლოსათვის შემოვინახე. მე დავნიშნე ფრიდა ბრანდენფელდი, შეძლებული ოჯახის შვილი. ესენი აქ შენი გამგზავრებიდან კარგა ხნის შემდეგ დასახლდნენ და ცხადია, არ იცნობ. სხვა დროს შესაძლებლობა მექნება, ჩემ საცოლეზე ცოტა უფრო დაწვრილებით ცნობები მოგაწოდო, ამჯერად კი მხოლოდ იმას გეტყვი, რომ მე ნამდვილად ბედნიერი ვარ; ჩვენს ურთიერთობაში კი მხოლოდ ის შეიცვალა, რომ ამიერიდან ჩვეულებრივი მეგობრის ნაცვლად ბედნიერი მეგობარი გყავს, ხოლო ჩემი საცოლის სახით, რომელიც გულითად სალამს გითვლის და მოკლე ხანში თვითონვე მოგწერს წერილს, შენ გულწრფელი მეგობარი შეიძინე, რაც უცოლო, მარტოხელა კაცისათვის არც თუ ისე უმნიშვნელო რამაა. მე ვიცი, შენს ჩამოსვლას ბევრი რამ აბრკოლებს, მაგრამ განა სწორედ ჩემი ქორწილი არ იქნება შესაფერისი შემთხვევა, რათა შენ ერთხელაც აიღო და არაფრად ჩააგდო ეგ დაბრკოლება? თუმცა მე არ გაძალებ; მოიქეცი ისე, როგორც საჭიროდ მიიჩნევ!“

გეორგი დიდხანს იჯდა თავის საწერ მაგიდასთან, ფანჯრისაკენ პირშექცეული და წერილს ხელში ატრიალებდა. როცა ქუჩიდან ვიღაც ნაცნობი მიესალმა, მან ერთობ დაფანტული ღიმილით უპასუხა.

ბოლოს წერილი ჯიბეში ჩაიდო და თავისი ოთახიდან მოკლე დერეფნით გაემართა მამის ოთახისაკენ, რომელშიც გეორგი უკვე რამდენიმე თვეა არა ყოფილა. ეს მაინცდამაინც საჭირო არც იყო, რამდენადაც მამამისს საქმის წარმოებისას ხვდებოდა ხოლმე, სადილსაც ერთად ჭამდნენ ერთ სასადილოში და, თუმცა თავთავიანთი საზრუნავი კი ჰქონდათ, საღამოს უმეტეს შემთხვევაში, ერთხანს საერთო ოთახში ისხდნენ და გაზეთს კითხულობდნენ, თუ გეორგი არ იყო მეგობრებთან, ანდა თავის საცოლესთან, რომელთანაც სიარულს ბოლოდროს მოუხშირა. გეორგს გაუკვირდა, რომ ამ მზიან დილით მამის ოთახში ასე ძალიან ბნელოდა. ოთახს პატარა ეზოს მეორე მხარეზე აღმართული მაღალი კედელი ჩრდილავდა. მამა ფანჯარასთან იჯდა, კუთხეში, რომელიც განსვენებული დედის სამახსოვრო ნივთებით იყო მორთული, და გაზეთს კითხულობდა; გაზეთი გვერდულად დაეკავებინა, რათა ამით მხედველობის ერთგვარი ნაკლი აენაზღაურებინა. მაგიდაზე საუზმის ნარჩენი ელაგა, რომლის მიხედვითაც ჩანდა, რომ მას ძალზე ცოტა ეჭამა.

„ა, გეორგ!“ — თქვა მან და მისკენ გაემართა. შლაფროკი სიარულში გაეხსნა და კალთები ფეხებზე ეფართხუნებოდა. „მამაჩემი ისევ ისეთივე გოლიათია“, — გაიფიქრა გეორგმა.

„აქ აუტანელი სიბნელეა“, — თქვა მან.

„ჰო,მართლაც ბნელა“, — უპასუხა მამამ.

„ფანჯარაც დაგიხურავს?“

„ასე მირჩევნია“.

„გარეთ კი თბილა“, — თქვა გეორგმა და სკამზე ჩამოჯდა.

მამამ მაგიდიდან ჭურჭელი აალაგა და სკივრზე გადააწყო.

„მე შენთვის იმისი თქმა მინდოდა,— განაგრძობდა გეორგი და თანაც მოხუცი კაცის მოძრაობას ადევნებდა თვალს გაოცებული,— რომ ჩემი ნიშნობის ამბავს პეტერბურგშიც ვატყობინებ“. მან წერილი ოდნავ ამოსწია ჯიბიდან და მერე ისევ უკან ჩააბრუნა.

„პეტერბურგში?“ — იკითხა მამამ.

„ჰო, ჩემს მეგობარს“, — თქვა გეორგმა და მამას თვალებში შეხედა. — ბიუროში საქმის წარმოებისას მამასულ სხვაგვარია, გაიფიქრა გეორგმა, ვიდრე ახლა, აქ რომ ზის გულხელდაკრეფილი.

„ჰოო, შენს მეგობარს“, — .წარმოთქვა მამამ ხაზგასმით.

„ხომ იცი, მამა, მე თავდაპირველად მინდოდა დამემალა მისთვის ჩემი ნიშნობის ამბავი. ტაქტისათვის ვიქცეოდი ასე. შენც კარგად იცი, მძიმე ხასიათის კაცია. ვფიქრობდი, რომ მას სხვა გზითაც შეეძლო ჩემი ნიშნობის ამბის გაგება, თუმცა ეს მაინცდამაინც მოსალოდნელი არ იყო მისი განმარტოებული ცხოვრების თავისებური წესის გამო; თუკი გაიგებდა, ამას მე ხელს ვერ შევუშლიდი, მაგრამ ჩემგან არ უნდა შეიტყოს მეთქი, ასე ვფიქრობდი“.

„ახლა კი მაინც სხვაგვარად გადაწყვიტე, არა?“ — იკითხა მამამ, გაზეთი ფანჯრის რაფაზე დასდო, ხოლო გაზეთზე — სათვალე და ხელი გადააფარა.

„ჰო, ახლა გადავიფიქრე. თუკი იგი ჩემი კეთილი მეგობარია, ვიფიქრე, მაშინ ჩემი ბედნიერი ნიშნობა მისი ბედნიერებაც უნდა იყოს. ამიტომაც გადავწყვიტე, ყველაფერი შემეტყობინებინა, ხოლო წინასწარ შენთვის მინდოდა მეთქვა“.

„გეორგ, — თქვა მამამ და უკბილო პირი ფართოდ დააღო, — მომისმინე! შენ ამ საქმეზე მოხვედი, გინდოდა რჩევა გეკითხა. ეს შენ კარგად გახასიათებს. მაგრამ ყოველივე ეს არაფრად ეღირება, სრულიად არაფრად, თუკი სრულ სიმართლეს არ მეტყვი. მე არაფერს შევეხები ისეთს, რაც აქ უადგილო იქნება. ჩვენი ძვირფასი დედის სიკვდილის შემდეგ, ზოგიერთი არასასიამოვნო რამ მოხდა, რას იზამ, ამის დროც დგება ხოლმე და, როგორც ჩანს, დგება უფრო ადრე, ვიდრე ჩვენ ვფიქრობთ. საქმეს ხეირიანად თავს ვეღარ ვართმევ, ეს არაა ჩემთვის დაფარული, მე ახლა არა მსურს თავი მოვიტყუო, აღარა მაქვს საკმარისი ძალა და უნარი, მეხსიერება თანდათან მღალატობს, ბევრ რამეს თვალს ვეღარ ვადევნებ. ეს, ჯერ ერთი, ხანდაზმულობის ბრალია და, მეორეც, ჩვენი დედიკოს სიკვდილი მე ბევრად უფრო მძიმედ განვიცადე, ვიდრე შენ. მაგრამ, რადგანაც ჩვენ ახლა მაინცდამაინც ამ წერილზე ვლაპარაკობთ, მე მინდა გკითხო და გთხოვ, გეორგ, არ მომატყუო. ეს სრულიად უმნიშვნელო რამაა,ეს სრულიად არაფრად არა ღირს და ნუ მომატყუებ. მართლა გყავს შენ ეგ მეგობარი პეტერბურგში?“

გეორგი შეცბუნებული წამოდგა ზეზე. „თავი დავანებოთ ჩემს მეგობრებს. ათასი მეგობარიც ვერ ამინაზღაურებს მამაჩემს. მე, იცი, რა მგონია? შენ საკმარისად არ უფრთხილდები თავს, ასაკი კი თავისას მოითხოვს... ჩემთვის ძალზე საჭირო ხარ საქმეში, თვითონაც იცი. მაგრამ თუკი ყოველივე ეს შენს ჯანმრთელობას ემუქრება, სულაც ხელს ავიღებ მაგ საქმეზე, ხვალვე თავს დავანებებ. ასე არ ივარგებს. შენთვის რაღაც სხვაგვარი ცხოვრება უნდა დავაწესოთ, სრულიად სხვაგვარი. ამ სიბნელეში ზიხარ იმ დროს, როცა სხვა ოთახში კაშკაშა სინათლეა. ოდნავ იციცქნები ხოლმე, იმის მაგიერ, რომ ყუათიანად დანაყრდე. დახურულ ფანჯარასთან ზიხარ მაშინ, როცა სუფთა ჰაერი ასე ძალიან გესაჭიროება. არა, მამაჩემო! მე ექიმს მოვიყვან და მისი მითითების მიხედვით ვიმოქმედებთ. ოთახები უნდა გავცვალოთ, შენ წინა ოთახში გადახვალ, მე კი აქეთ გადმოვბარგდები. სხვა მხრივ შენთვის არაფერი შეიცვლება, ყველაფერს აქ გადმოვიტანთ.მაგრამ ეს საჩქარო არ არის, ახლა ლოგინში უნდა დაგაწვინო. აუცილებლად გჭირდება დასვენება. აბა, მოდი, გახდაში მოგეშველები;შენ დარწმუნდები, რომ ესეც შემიძლია. ან იქნებ ახლავე გინდა წინა ოთახში გადასვლა, მაშინ დროებით ჩემს ლოგინში დაგაწვენ. ეს, სხვათა შორის, ძალზე გონივრულიც იქნება.“

გეორგი სულ ახლო იდგა მამასთან, რომელსაც ღრმად ჩაექინდრა გაბურძგნული, თეთრი თმით დაფარული თავი.

„გეორგ“, — წარმოსთქვა მამამ წყნარად, ისე, რომ არ შერხეულა. გეორგმა იქვე დაიჩოქა; მან დაინახა მამის დაღლილ სახეზე უკიდურესად გაფართოებული თვალის გუგები. ეს მზერა მისკენ იყო მიმართული.

„შენ არავითარი მეგობარი არა გყავს პეტერბურგში. შენ მუდამ მასხარა იყავი და ამ მხრივ არც ჩემს წინაშე შეგიკავებია თავი. განა როგორ შეიძლება, რომ სწორედ იქ გყავდეს მეგობარი! მე ამას ვერ დავიჯერებ.“

„აბა, დაფიქრდი, — თქვა გეორგმა, სავარძლიდან წამოაყენა და შლაფროკი გახადა მამას, რადგან იგი ერთობ მისუსტებული ჩანდა. — მალე სამი წელი შესრულდება მას შემდეგ, რაც ჩემი მეგობარი გვესტუმრა. მე ისიც მაგონდება, რომ შენ მაინცდამაინც არაფრად გეპიტნავებოდა მისი სტუმრობა. ყოველ შემთხვევაში, კარგად მახსოვს, შენს წინაშე ორჯერ ვიუარე კიდეკაც მისი ჩემთან ყოფნა. ჩემთვის გასაგები იყო შენი ანტიპათია; იგი მართლაც ახირებული კაცია. მაგრამ შემდეგ ისევ ტკბილად ისაუბრე მასთან. მაშინ ვამაყობდი კიდეც, შენ რომ უსმენდი მეგობარს, თავს უქნევდი და ეკითხებოდი; დაფიქრდი და უთუოდ გაიხსენებ. იგი მაშინ გვიამბობდა რუსეთის რევოლუციის დაუჯერებელ ამბებს. მან გვიამბო, მაგალითად, ერთხელ კიევში, სავაჭრო საქმეზე ყოფნისას, როგორ შეესწრო არეულობას, როგორ დაინახა სახლის აივანზე გადმომდგარი მღვდელი, რომელსაც ხელის გულზე სისხლის ჯვარი ამოეჭრა, ხელი მაღლა აღემართა და ბრბოს მოუწოდებდა.შემდეგში შენ თვითონ ყვებოდი ხოლმე ამ ამბავს“.

ამასობაში გეორგმა მამა კვლავ დასვა, ფრთხილად გახადა წინდები და ნაქსოვი შარვალი, რომელსაც ტილოს კალსონის ზემოდან ატარებდა მოხუცი კაცი. როდესაც ჭუჭყიანი თეთრეული დაინახა, გეორგმა უსაყვედურა თავისთავს, რომ მამა ასე უყურადღებოდ ჰყოლია მიტოვებული. განა მისი მოვალეობა არაა მამის თეთრეულის დროულად გამოცვლას რომ თვალყური ადევნოს! მას ჯერ არც კი ულაპარაკია თავის საცოლესთან იმაზე, თუ როგორ უნდა წარმართონ მამის მომავალი ცხოვრება; მათ არ ულაპარაკიათ, რადგან უთქმელადაც ჰქონდათ ნაგულისხმევი, რომ მამა ძველ ბინაში დარჩებოდა მარტო. ახლა კი მტკიცედ გადაწყვიტა, მამაც თან გადაეყვანა ახალ ბინაში. თუმცა კი უფრო ზუსტად დაკვირვებისას, ცოტა არ იყოს, დაგვიანებული ჩანდა ეს ზრუნვა.

გეორგმა ხელში ატატებული წაიყვანა მამა საწოლისაკენ. საშინელი გრძნობა ჰქონდა, როცა რამდენიმე ნაბიჯის გადადგმის შემდეგ, მოხუცი კაცი მის მკერდზე დაკიდული საათის ძეწკვს გაეთამაშა. გეორგმა ერთხანს ვერც მოასერხა მამის ლოგინში ჩაწვენა, ისე მაგრად ჩაბღაუჭებოდა მოხუცი ამ ძეწკვს.

როგორც კი მამა საწოლში დააწვინა, შვება იგრძნო, თითქოს მდგომარეობა გამოსწორდა. მამამ თვითონვე გადაიფარა საბანი, ღრმად შეძვრა შიგ. მოხუცი საწოლიდან არცთუ მტრულად მისჩერებოდა გეორგს.

„ჩემი მეგობარი უკვე მოგაგონდა, არა?“ — ჩაჰკითხა გეორგმა და გასამხნევებლად თავი დაუკანტურა.

„ახლა კარგად მახურავს?“ — ჰკითხა მამამ, თითქოს არ შეეძლო თვითონვე დაენახა, ეხურა თუ არა ფეხებზე საბანი.

„მაშ, შენ მოგწონს ლოგინში წოლა“, —უთხრა გეორგმა და საბანი უკეთ დაახურა.

„კარგად მახურავს?“ — კიდევ ჰკითხა მამამ და ისე ჩანდა, რომ განსაკუთრებული ყურადღებით ელოდა პასუხს.

„დამშვიდდი, მამა, კარგად გახურავს“.

„არა!“ — იყვირა მამამ ისე, რომ პასუხი კითხვას მიენარცხა, საბანი ისეთი ძალით გადაისროლა, რომ ჰაერში მთლად გაიშალა, და მოხუცი ზეზე წამოდგა. ცალი ხელი მსუბუქად მიაყრდნო ჭერს. „შენ კი გინდა, კარგად დამხურო, ჩემო ძვირფასო ნაყოფო, მაგრამ ჯერ კიდევ არა ვარ დახურული. ძალაც შემწევს საკმარისი, საკმარისზე მეტიც. დიაღაც ვიცნობ შენს მეგობარს. იგი სწორედ საჩემო შვილი იქნებოდა. ამიტომაც ატყუებდი მას წლების განმავ-

ლობაში, აბა სხვა რა მიზეზით? შენ გგონია,რომ მის გამო არ მიტირია? იმიტომაც იკეტები ხოლმე შენს ბიუროში, — შეფი დაკავებულია და ხელი არავინ შეუშალოსო, — მხოლოდ იმისათვის, რომ შენი ყალბი წერილების გაგზავნა შეგეძლოს რუსეთში. მაგრამ საბედნიეროდ, მამას ვერავინ ასწავლის შვილის სულში ჩახედვას. ახლა გჯერა, მამა მთლად მოათვინიერე, ისე მოათვინიერე, რომ შენი უკანალით ზედ შეგიძლია წამოჯდე და იგი არც კი გაინძრევა; და ჩემმა უფალმა შვილმა ჯვარისწერა გადაწყვიტა!"

გეორგი შეჰყურებდა საფრთხობელასავით აღმართულ მამას. პეტერბურგელი მეგობარი, რომელიც მამამისს თურმე აგრე კარგად სცნობია, ისე მწვავედ გაახსენდა როგორც არასდროს. შორეულ რუსეთში გადაკარგულს ხედავდა მას. გამოცარიელებული, გაძარცული სავაჭროს კარებთან თაროების ნამტვრევებსა და დაგლეჯილი საქონლის შუა ჩამდგარიყო მეგობარი. მაინც რამ წაიყვანა იგი ამ სიშორეს!

„შემომხედე!" — შესძახა მამამ, და გეორგი ანგარიშმიუცემლად გაექანა საწოლისაკენ, რათა ყოველივე გაერკვია, მაგრამ შუაგზაზე შეყოვნდა.

„რადგან მან კაბის კალთა წამოიხადა, — დაიწყო მამამ მომტკბარუნებული ტონით, — რადგან მან აი, ასე წამოიხადა კაბის კალთა, მაგ საზიზღარმა ბატმა, — და მამამ ყოველივე ამის თვალნათლივ საჩვენებლად პერანგი ისე მაღლა წამოიწია, რომ თეძოზე ომის დროიდან გამოყოლილი ნაჭრილობევი გამოაჩინა, — რადგან მან კაბის კალთა ასე, აი, ასე წამოიხადა, იმიტომაც აეკიდე, და რათა ხელშეუშლელად დაიკმაყოფილო ამ ქალით თავი, ამისათვის შეურაცხყავ დედის ხსოვნა, გაყიდე მეგობარი, მამა კი საწოლში ჩააგდე, ისე, რომ მას განძრევაც აღარ შეეძლოს. მაგრამ შეხედე, შესძლებია თუ არა მამას განძრევა?" — მამა იდგა მტკიცედ და ფეხებს იქნევდა. მოხუცი გაცისკროვნებულიყო შინაგანი შთაწვდომით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეორგი იდგა ოთახის კუთხეში, მამისაგან, რაც შეიძლება, მოშორებით. კარგა ხნის წინ მტკიცედ გადაწყვიტა, ყველაფრისთვის ედევნებინა თვალყური, რათა ამით საიდანღაც, რაიმენაირი შემოვლითი გზით, უკნიდან თუ მაღლიდან მოსალოდნელი უეცარი თავდასხმა აერიდებინა. ახლა კვლავ მოაგონდა დიდიხნის წინათ დავიწყებული ეს გადაწყვეტილება და მერე ისევ დაუძვრა ცნობიერებიდან იმის მსგავსად, როგორც ნემსის ყუნწში გაატარებენ ხოლმე მოკლე ძაფს.

„მაგრამ მეგობარი მაინც არ დარჩა მოტყუებული! — წამოიძახა მამამ და ნათქვამი საჩვენებელი თითის მოძრაობით გაამაგრა. — მე ვიყავი აქ მისი რწმუნებული."

„კომედიანტო!" — თავი ველარ შეიმაგრა და მიაძახა გეორგმა; მაშინვე ინანა და ენაზე იკბინა თვალებგაშტერებულმა, იკბინა ისე მწარედ, რომ მუხლთ მოეკვეთა, მაგრამ გვიანღა იყო.

„დიაღ, მე მართლაც კომედია გავითამაშე! შესანიშნავი სიტყვაა! სხვა რა ნუგეში დარჩენოდა დაქვრივებულ მოხუც მამას? აბა, მითხარი — და ამ პასუხის გაცემისას მაინც იყავი ჩემი შვილი, სხვა რა დამრჩენოდა უკანა ოთახში გამომწყვდეულს, უნდო პერსონალისაგან დევნილ, გადაღძუებულ ბებერს? და ამასობაში დალხენილი ჩემი შვილი ჩემს მიერ შემზადებულ საქმეებს ამრგვალებდა, სიხარულისაგან ფეხზე ძლივს იდგა, ხოლო მამის წინაშე კი გულჩათხრობილი გამომეტყველებით ჩაივლიდა ხოლმე ღრმად პატივცემული კაცივით! როგორ გგონია, განა მე არ მიყვარდი, მე, რომელმაც გაგაჩინე ამ ქვეყნად?

ახლა წინ გადმოიხრება, გაიფიქრა გეორგმა, რომ წაიქცეს და დაილეწოს! ამ სიტყვამ წივილივით გაიარა მის ტვინში.

მამა, მართლაც გადმოიხარა წინ, ოღონდ არ წაქცეულა; და რადგანაც გეორგი არ მიუახლოვდა, როგორც მამა მოელოდა, კვლავ გაიმართა წელში.

„მანდ დარჩი, სადაც ხარ, არა მჭირდები! შენ გგონია, ჯერ კიდევ ძალა შეგწევს აქ მოსასვლელად და, უბრალოდ, თავს იკავებ, რადგანაც ასე გირჩევნია. არ შეცდე, მე კვლავ ბევრად უფრო ძლიერი ვარ. მარტო რომ დავრჩენილიყავი, ალბათ, უკანდახევა მომიხდებოდა, მაგრამ დედაშენმა გადმომცა თავისი ძალა, შენს მეგობარსაც მშვენივრად დავუკავშირდი, შენზე ცნობებიც აქა მაქვს ჯიბეში!“

„პერანგზეც კი ჯიბეები აქვს!“ — გაიფიქრა გეორგმა და ეგონა ამ დაუჯერებელი შენიშვნის ძალით დაუჯერებელს გახდიდა მამამისის არსებობასაც. მხოლოდ ერთი წამით ფიქრობდა გეორგი ამას და მაშინვე გადაავიწყდა ყველაფერი.

„ჩამოეკიდე შენს საცოლეს და ისე დამიპირისპირდი! მე აღვგვი მას შენი არემარიდან ისე, რომ გონსაც ვერ მოეგო!“

გეორგმა სახე დამანჭა იმის გამოსახატავად, თითქოს მამის ნათქვამი არ ეჯერებოდა; მამამ მხოლოდ თავი დააქნია გეორგისკენ, რათა თავისი ნათქვამის სრულ ჭეშმარიტებაში დაერწმუნებია.

„ძალიან კი გამაცინე დღეს, როცა მოხვედი და მკითხე, საჭიროა თუ არა ჩემს მეგობარს ნიშნობის ამბავი შევატყობინოო. მან ხომ ყველაფერი იცის, შე ლენჩო, შენა, მან ხომ ყველაფერი იცის! მე ხომ ვწერდი ხოლმე, რადგან შენ ჩემთვის კალმის წართმევა დაგავიწყდა. ამიტომაც აღარ ჩამოდის აქ შენი მეგობარი წლების განმავლობაში, მან ასჯერ უკეთ იცის ყველაფერი, ვიდრე შენ თვითონ, იგი მარცხენა ხელით ჭმუჭნის ხოლმე შენს წერილებს, მაშინ როდესაც ჩემი ბარათები მარჯვენა ხელში წასაკითხად აქვს მომარჯვებული!“

და მან აღფრთოვანებისაგან მკლავი მაღლა გაიქნია.

„მან ათასჯერ უკეთ იცის ყველაფერი!“ — წამოიძახა მოხუცმა.

„ათიათასჯერ“, — თქვა გეორგმა მამამისის გამოსაჯავრებლად, მაგრამ უკვე მის პირშივე მიიღო ამ სიტყვამ საშინლად სერიოზული ელერადობა.

„რამდენიმე წელია, რაც ველოდები ამ შეკითხვას. იქნებ, გგონია, რომ სხვა რამე მაწუხებს? იქნებ, გგონია, რომ გაზეთებს ვკითხულობ? აჰა!“ — და მან გეორგს ესროლა გაზეთის ფურცელი, რომელიც როგორღაც საწოლში მოხვედრილიყო. ეს იყო ძველი, გეორგისათვის სავსებით უცნობი სახელწოდების გაზეთი.

„რა დიდხანს ყოყმანობდი, სანამდე მომწიფდებოდი ამისათვის? დედა მოკვდა, ვერ მოესწრო ამ დიდი სიხარულის დღეს. მეგობარი იღუპება რუსეთში, ჯერ კიდევ სამი წლის წინათ სიდამპლის სიყვითლე შეპარვოდა; და მეც, შენ კარგად ხედავ რა დღეში ვარ, საამისოდ ხომ მაინცა გაქვს თვალები!“

„მაშ, თურმე მიდარაჯებდი და თვალყურს მადევნებდი!“ — წამოიძახა გეორგმა.

თანაგრძნობის ტონით დასძინა მამამ: „ეს შენ ცოტა უფრო ადრე უნდა გეთქვა, ახლა გვიანღა არის“.

და მერე ხმამაღლა: „ახლა შენ იცი, რაცა ყოფილა შენს გარეთ, აქამდე მხოლოდ საკუთარი თავის შესახებ იცოდი! ისე რომ ვთქვათ, უცოდველი ბავშვი იყავი შენ, მაგრამ უფრო ზუსტად თუ ვიტყვით — ეშმაკეული კაცი! ამიტომაც იცოდე: მე შენ წყალში დაღრჩობით სიკვდილს გისჯი!“

გეორგმა თავი ოთახიდან გაძევებულად იგრძნო, გარეთ გაიჭრა და თან გაიყოლა სმენაში ჩარჩენილი საწოლზე მამამისის დანარცხების ხმა. კიბეზე ისე ჩარბოდა, როგორც დაქანებულ სიბრტყეზე; უეცრად შეეფეთა მოსამსახურე ქალი, რომელიც მაღლა ასვლას

აპირებდა ოთახების დასალაგებლად. „ღმერთო დიდებულო!“ — შესძახა ქალმა და სახეზე წინსაფარი აიფარა; მაგრამ გეორგი უკვე გასცლოდა იქაურობას. ჭიშკრიდან გავარდა, ხიდის ქვაფენილზე გაიქცა, წყლისაკენ მიექანებოდა. მოაჯირს ხელი სტაცა, როგორც დამშეული წაეტანება ხოლმე საჭმელს. ზედ გადაევლო, როგორც ჩინებული ტანმოვარჯიშე (სიყმაწვილის ჟამს იგი, მართლაც, იყო გიმნასტი თავისი მშობლების საამაყოდ), ერთხანს მოაჯირზე ეკიდა ხელებით, მკლავებში ძალა ელეოდა, მოაჯირის რიკულებს შუა ავტობუსი დალანდა; მანქანის გრუხუნი იოლად დაფარავდა წყალში ჩავარდნის ხმას; წყნარად დაიძახა: „ძვირფასო მშობლებო, მე ხომ მუდამ მიყვარდით“, მოაჯირს ხელი უშვა და მდინარეში გადავარდა.

იმ დროს ხიდზე არაჩვეულებრივად დიდი მოძრაობა იყო.

გერმანულიდან თარგმნა **ზ. კაკაბაძემ.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ ჯაფარიძე

გუხენვალდის საჭრეკლო

ზომაზე მეტად გამხდარმა ხანშიშესულმა რუსმა, ტაქსის შოფერმა, რომელსაც გაჭაღარავებული ხეშეში თმა ბიჭურად შეეკრიჭა და ამით პირხმელ სახეზე რაღაც არაბუნებრივი იერი დასდებოდა, მთელი გზა რევოლუციის მოედნიდან შერემეტიევის აეროდრომამდე ხველებ-ხველებით გაგვატარა. საწყალი უზომოდ გაცივებული იყო. თავი მაინც ყოჩაღად ეჭირა, ამ პატიოსან მგზავრებს უცხვირპირო კაცი არ ვეგონოო.

მგზავრი ქვეყნად ათასნაირია. ზოგს შუა ზამთარშიაც სცხელა, ზოგს აგვისტოს პაპანაქებაშიც კბილს კბილზე აცემინებს და ეს წამოჩიტული შვილიშვილების პატრონი, ბიჭურად თმაშეკრეჭილი ძიაკაციც მუდამდღე მოვალეა ყოველი ახალი მგზავრის სურვილისამებრ ჩართოს ან გამორთოს მანქანის ქურა, გააღოს ან ჩაგმანოს ფანჯრები...

ქურის გამორთვისთანავე, მითუმეტეს თუ ფანჯარაც ჩამოსწია, მანქანა უეცრად ცივდება, შოფერი კი, რომელიც საჭეს ადრიან დილიდან გვიან ღამემდე უზის და ზოგჯერ ხემსის გადასაყლაპავად ვერ მოუცლია, თითქოს რკინისაა — არც ორპირ ქარს უფრთხის და არც სითბო-სიცივის სწრაფ მონაცვლეობას.

მე და ჩემი მეგობარი ქალი, ვის გვერდითაც მანქანის უკანა სავარძელზე ვიჯექი, გერმანიის ავიაკომპანიის თვითმფრინავით ბერლინს უნდა გადავფრენილიყავით.

უცხო ქვეყანაში სტუმრად მიმავალმა ჯობს მატარებლით იმგზავრო, თავდაპირველად ასეც იყო გადაწყვეტილი, მაგრამ გამგზავრებისათვის საჭირო საბუთების შედგენა ძალიან გაგვიჭიანურდა, დელეგაციას ჩამოვრჩით და ახლა ისღა დაგვრჩენოდა, წინ წასულ ჩვენიანებს როგორმე ბერლინში დავწეოდით.

მანქანაში ქურა ენთო. უღვთოდ ცხელოდა. მარჯვენა ფანჯარა ჩამოვწიე. შოფერმა ხველებ-ხველებით მოიხედა და შეძლებისდაგვარად გაიღიმა, თქმით კი არაფერი უთქვამს.

— ასწიე, ცოდოა, — მიუხვდა ჩემი მეგობარი და სახელურს თვითონ მოავლო ხელი.

სამზერ მინასთან მიმაგრებულ პაწია სარკეში, რომელშიაც ნეონის ნათურებით იისფრად გაჩახჩახებული პროსპექტი ლივლივებდა, შოფრის მადლიერი სახე დავინახე. ცხვირსახოცი ამოეღო და ჩაბჟირებული ხველებით აცრემლებულ თვალებს იწმენდდა.

წინ თანდათან შეთხელდა სახლები, მერე სინათლემაც იკლო და ბოლოს, როდესაც მანქანამ რკინის ხიდი გადაიარა და სოფელი ხიმკი-მოსკოვის ყველაზე უფრო შორეული გარეუბანი ლენინგრადის გზაზე — უკან დარჩა, ნახევრად ჩაბნელებულ ფიჭვნარში აღმოვჩნდით.

აკვარიუმისმაგვარ მოსაცდელ დარბაზში, სადაც შოფერმა შეგვიყვანა და ჩემოდნები კალენკორგადაკრულ სავარძელთან დაგვიწყო, მილეთის ხალხი ირეოდა. მინის კედლის გადაღმა მოჩანდა ღამის წყვდიადში ჩაფლული აეროდრომი, საიდანაც დროდადრო მძლავრი საავიაციო ძრავების ყრუ გუგუნი სწვდებოდა სმენას. ნოტიო ჯანღს ისედაც ბნელი ღამე კიდევ უფრო ჩამოებნელებინა და დაუგვიანებლივ გაფრენას ფრიად საეჭვოს ხდიდა.

უჩინარი რადიორეპროდუქტორი წამდაუწუმ აცხადებდა ახალ და ახალ ცნობებს. ხუთიოდე წუთის წინ დაფრენილიყო დიდი ბრიტანეთის ავიაკომპანიის თვითმფრინავი და წითელი და მწვანე ნათურებით თვალებაჟუჟუნებული ავტოტრაპი უხმაუროდ იხევდა უკან, რათა ლონდონიდან მშვიდობით მოსული ლაინერისათვის გზა დაეთმო და მერე ლიუკს მისდგომოდა მგზავრების ჩამოსასხმელად.

ხალხმრავალი მოსაცდელი დარბაზი ღამის ნოტიო სიგრილით, ჩვენთვის გაუგებარი ხორხისმიერი გადაძახილ-გადმოძახილებით და ყაყანით აივსო.

შორ გზებზე ნაფრენ მოლურჯო ლაინერს სადღაც კოკისპირული წვიმა წამოსწეოდა. ქათქათა ფრთებსა და ფუზელაჟზე წვრილი ციმციმა წვეთები ბრწყინავდა. მოსაცდელი დარბაზიდან დავინახაეთ, როგორ შემოესივნენ მას ხოჭოსავით მოფუსფუსე დაფეხვილი ავტოავზები და ბენზინის ჩასასხმელად თუ ბარგის გადმოსაცლელად მოედნის მარჯვენა მხარეს წააგორეს.

დარბაზის კარს ახლა შიგნიდან მოაწყდა ლოდინით გასავათებული მგზავრების ტალღა.

კართან მფრინავის ლურჯ კიტელში გამოწკვართული სტიუარდესა იდგა და მკვეთრი რუსული გამოთქმით მარცვალ-მარცვალ უცხოურ გვარებს კითხულობდა. გამოცხადდა ჩასხდომა ფჰენიანის თვითმფრინავში. ეს თვითმფრინავი ნოვოსიბირსკში და შემდეგ ულანუდეში გაივლის. სტიუარდესამ კარი გამოაღო, ნაწვიმარ თუ მონარწყავ ბაქანზე გავიდა და მგზავრებიც გუნდად გაიყოლა.

აქ, შერემეტიევის აეროდრომზე, ყოველი მხრივ იგრძნობა მსოფლიოს მაჯისცემა. ადგილი, სადაც ჩვენ ვდგავართ, უხილავი ძაფებითაა დაკავშირებული მთელი დედამიწის ზურგთან. აქედან მიდიან და აქეთ მოისწრაფიან ეთერში აჭრილი რადიოტალღები. ათასობით კილომეტრის იქით, ოკეანის თუ ცას მიბჯენილი უდაბური მთაგრეხილების თავზე მიფრინავენ ან მოფრინავენ მშვიდად მთვლემარე მგზავრებით გაჭედილი თვითმფრინავები და მათ მიერ გავლილი ყოველი სანტიმეტრი კვალს სტოვებს აქ, სადღაც ჩვენს ახლოს განლაგებული ელექტრო და რადიოაპარატურის შკალებზე...

ამას რომ ფიქრობ, კაცი როგორღაც მაღლდები, თავი სამყაროს უსასრულობის აუცილებელი ნაწილი გგონია. თითქოს შენ რომ არ იყო, სამყაროში რაღაც მოიშლება, რადგან ისინიც, ვინც ამ რადიოტალღებსა და უკუნეთ ღამეში უკიდეგანო სივრცეს დაჭიდებულ ლაინერებს განაგებს, შენებრ ერთადერთნი არიან და ერთი მეორის ადგილს ვერასოდეს დაიკავებს.

ფჰენიანის თვითმფრინავმა რეაქტიული ძრავები ჩართო და სარბენ ბილიკისაკენ შებრუნებისას შემზარავი გრუხუნით იქაურობა გააყრუა. რადიო დიდხანს აცხადებდა კიდევ რომელიღაც ქვეყნის თუ ქალაქის სახელს — მგზავრებს აფრთხილებდა, პასპორტის გასასინჯად და საბაჟო დეკლარაციის შესადგენად მეზობელ ფლიგელში გაბრძანდითო.

მე კიოსკთან მივედი და დროის მოსაკლავად პრიალა ქაღალდზე დაბეჭდილ ბროშურებს დავუწყე თვალიერება. ზოგი ბროშურა ყირიმის ზღვისპირეთს და ღირსშესანიშნავ ადგილებს აქებდა, ზოგი სამარყანდისა და ბუხარის არქიტექტურულ ძეგლებს ასხამდა ხოტბას. ბროშურები დასურათებული იყო, მოჩანდა ლურჯი ზღვა, იალქნიანი ნავები და სამხრეთის თაკარა მზეში გახუხული დამსვენებლები ქარაფოვან ნაპირზე.

— თქვენ ამას გაუგეთ რამე?

არარუსის მიერ რუსულად ნათქვამმა ამ ორიოდე სიტყვამ გვერდზე მიმახედა, ბროშურების მაგიდის მეორე მხარეს შავგვრემანი ახოვანი შესახედაობის ოცდახუთიოდე წლის ახალგაზრდა კაცი იდგა და ძალიან გულისხმიერი დიდრონი თვალებით ხან მე მიყურებდა და ხანაც გადაშლილ ბროშურას დასცქეროდა.

აქ გამოხატული იყო საათის თუ კომპასის აჭრელებული ციფერბლატი. წლის ყოველ მხარეს გაწვდილი ისრები და ამ ისრების წვერთან წვრილი ასოებით მიწერილი მოკლე სიტყვები მიუთითებდნენ, თუ დედამიწის რომელ კუთხეში რა დროა, როცა მოსკოვში დილის 11 საათია...

წამით მეც დავაკვირდი ციფერბლატს და ახალგაზრდას მეგობრულად ავხედე — ვიცი, ძალიან გინდა ამიხსნა, რა როგორაა და ბარემ ამიხსენი-მეთქი.

თავადვე დამასწრო. ახლადკურსდამთავრებული ყმაწვილის მთელი კეთილსინდისიერებით დამისურათხატა, სად რა და რისთვის იყო. ბოლოს, ამ საქმეს რომ მორჩა, თვალებში უფრო გაბედულად შემომხედა და ცოტა უფრო შინაურული თავაზით, კავკასიელებს ერთმანეთის მიმართ პირველ გაცნობისთანავე რომ გვჩვევია, მკითხა, საით გაგიწევიაო. ფიქრით სხვაგან იყო. საკუთარი სათქმელი აწუხებდა. გავჩუმდი თუ არა, არც იქით, არც აქეთ, ადგა და თავისი თავგადასავალი მიამბო, თან გარეთ, ნახევრად ჩამობნელებულ ბაქნისაკენ იყურებოდა.

ორი თუ სამი წლის წინათ დამთავრებინა ბაქოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. შარშან ასპირანტურის კურსიც უკან მოვიტოვეო. გასულ შემოდგომაზე ცოლშვილსაც მოჰკიდებოდა. შინ დატოვებული ჩვილი გოგონას სახელი მითხრა, მაგრამ ვერ დავიმახსოვრე.

ყველაფერ ამას რომ ამბობდა, მთელი სახე უბრწყინავდა, დაშტერებულად გამომზირალ თვალებში ცეცხლი უგიზგიზებდა, თითქოს აი, ამ წუთში მარტო მე კი არა, მთელ ქვეყნიერებას უყვებოდა თავისი ცხოვრებისა და ცოლშვილის განუმეორებელ ამბებს.

ახლა ცენტრალურ აფრიკაში მივდივარო. ორი ან სამი წლითო. იქ რკინიგზის ხიდები უნდა ავაშენოთო. შინიდან უპალტოოდ წამოვედი, აფრიკაში მაინც სიცხე იქნებაო...

და გაიცინა. მაგარი, ნაფოტა კბილები დამანახვა. კმაყოფილი იყო, რომ ამდენი რამ მითხრა და გზად ძიმავალმა ახალი მეგობარი შეიძინა.

უცნაურად აფოფინებული, მართლაც და ცაში აფრენილი ბიჭი იყო, მაგრამ ადვილად შეატყობდი — ორივე ფეხი მაგრად ედგა მიწაზე. მე ახლაც მჯერა, რომ ის უსათუოდ საშვილიშვილო საქმეებს გააკეთებს ცენტრალურ აფრიკაში. იქ გრძელი, მკვიდრბურჯებიანი რკინიგზის ხიდები აშენდება წყალუხვ მდინარეებზე და, როდესაც ჩვენთაგან ცოცხალი აღარავინ იქნება და ქვეყნად სულ ახალი და ახალი თაობები მოვლენ, ამ ხიდებზე მძიმე სატვირთო და სამგზავრო მატარებლები ივლიან.

2

თვითმფრინავში ფრთების გასწვრივ მოგვიწია დაჯდომა. ილუმინატორში სარბენი ბილიკის შორეული ნათურები

ციმციმებდნენ. სულ ახლოს ალუმინის გრძელი და ფართო ფრთა გაწვდილიყო და მთელ მოედანს ფარავდა.

სუსტად განათებულ სალონში შესვლისთანავე ერთბაშად შეწყდა ჩვენებური ლაპარაკი და ჯერაც ისევ რუსული ტყის შუაგულში მყოფნი, სრულიად უცხო ხალხში აღმოვჩნდით.

სამმა ცქრიალა ფროილაინმა სალონს ჩამოუარა და საკიდებზე გადაცმული პალტოები წაიღო. სამივე ქერა იყო, ცისფერთვალება ,სამივეს თავის მომხიბვლელობაში დარწმუნებული ყმაწვილი ქალის მშვიდი ღიმილი დასთამაშებდა სახეზე. მოკლედ შეკრეჭილი და საგანგებოდ აჩეჩილი ჩალისფერი თმის კულულები თითქმის ერთნაირად გამოშლოდათ ემბლემით დამშვენებული ლურჯი პილოტურიდან, რომელსაც ავიატორი ქალიშვილები რაღაც განსაკუთრებული მოხდენილობით იხურავენ.

გარეთ უკუნი სიბნელე იყო. ოთხმოტორიანი ლაინერი სივრცეს მძიმედ მიარღვევდა. ილუმინატორებში მხოლოდ დროდადრო გაიკიაფებდა შორეული ნათელი წერტილი ან წერტილების მთელი ჯგუფი. ეს სოფელი ან რომელიმე პატარა ქალაქი იყო. ორჯერ თუ სამჯერ მწვანე და წითელი მოძრავი წერტილებიც დავინახეთ. ისინი სულ ახლო იყვნენ ღამის მორევში ღრმად ჩაძირულ დედამიწასთან. მხოლოდ ალღოთი თუ მიხვდებოდით, რომ მწვანე და წითელი წერტილები თვითმფრინავები იყო, რომლებიც ჩვენებრ სადღაც მიფრინავდნენ და სტრატოსფეროში მიმქროლავ ხომალდებს ვერც კი ამჩნევდნენ.

სალონში გაზეთები ჩამოარიგეს. მარტო გერმანული გაზეთები იყო. როდესაც მაღალმა, ქერათმიანმა ფროილაინმა ჩემს მეზობელს „ბერლინერ ცაიტუნგი“ დაუდო მოწიწებით მუხლებზე, მე ვანიშნე — აქ მეთქი?

— რას ინებებთ? — ალბათ ეს მკითხა.

— ლეზენ,—ვუთხარი მე და გავწითლდი, რადგან მეტი არ ვიცოდი.

— რუსსკი? — დაჩ? — თვითონვე გადაწყვიტა, ვიწრო კაბაში გამოწკვართული ნორჩი ტანის ოდნავ შესამჩნევი რხევით გაბრუნდა, მოსკოვის საღამოს გაზეთი მომიტანა და გერმანულ-რუსულად აყღურტულდა, დღევანდელი გახლავთ, ესაა მოიტანესო.

ილუმინატორებში კვლავ სიბნელე იჭვრიტებოდა. ღამის მორევის ფსკერზე გაბნეული ვიტებსკი, თუ ვილნიუსი უკუნეთს ჩაენთქა და სადღაც დარჩენილიყო.

სალონში სრული სიჩუმე ჩამოვარდა. მგზავრებს სავარძლის ზურგები უკან გადაეწიათ და მთელი დღის ფუსფუსით მოღლილნი უშფოთველ ძილს მისცემოდნენ. ცქრიალა ფროილაინებიც გაქრენ, ტყის ფრთოსნებივით თავიანთ ბუდეში შეიყუჟნენ და გარეთ აღარ გამოდიოდნენ. მხოლოდ ჩვენ ორს არ გვეძინა, საათს წამდაუწუმ დავცქეროდით და ვცდილობდით ძირს რამე დაგვენახა. ქვემოთ, ღამის ფსკერზე, იყო პოლონეთი. სადღაც მდორედ მიედინებოდა მდინარე ვისლა.

მინას ცხვირსახოცი მოვუსვი და ზედ შუბლით მივეყრდენი. ძირს წვრილი ნათელი წერტილი კიაფობდა. მერე ასობით ამგვარი წერტილები სიგრძივ გამწკრივდნენ. აეროდრომი თუ იყო, ან რომელიმე დიდ ქალაქში შემავალი ავტოსტრადა. წვრილ-წვრილი სინათლეებით დაწიხწკლული დედამიწა უეცრად გაქრა. თვითმფრინავი კვლავ ღრუბლების სქელი ფენის ზემოთ მიიკვლევდა გზას. აქ-იქ, ნაპრალებში, ხელახლა გაიელვებდა სინათლის მოციმციმე ჯაჭვებით დასერილი ვაკე და მერე ისევ ყოველივეს ფარავდა სართულსართულ აკოლიკებული კიდეებშერეულული ყომრალი ღრუბელი.

ცენტრალურ აფრიკაში რკინიგზის ხიდების ასაშენებლად მიმავალი ყმაწვილი ინჟინერიც ახლა, ალბათ, ჩვენებრ ცაში იყო და მთვლემარე მგზავრებით გა-

ჭედილ სალონში მარტოდმარტო ფხიზლობდა. აბა რა დააძინებდა. ვინ იცის, წინა ღამეც და იმის წინა ღამეც უძილოდ გაატარა. შინიდან ჩვილი გოგონას გულისამაჩუყებელი სუნთქვა გამოჰყვა და ცრემლმორეული პატარა ცოლის კურცხალი წამონთებულ ღაწვს უწვავდა. შორს, ძალიან შორს იყო აფრიკა, ვინ იცის, რანაირი, უცხო ფერებითა და ხმებით სავსე...

თვითმფრინავმა ღრუბლის ბულულებზე გაივაკა, მერე შიგ შეაჭრა და თანდათანობით ძირს დაეშვა. ძრავები ახლა უფრო ყრუდ გუგუნებდნენ. სადღაც კარი გაიღო. სალონში ნაცნობი ფროილაინები შემოფრთხიალდნენ. აი, ის, მაღალი, ვინც მე გაზეთი მომიტანა, წინ მოდიოდა და ვიწრო კაბაში, გამომწყვდეულ ნორჩ ტანს კოპწიაღ არხევდა. ლაინერი ძლივს შესამჩნევი ბიძგებით ეშვებოდა დაბლა. მოპირდაპირე ილუმინატორში გამოჩნდა, როგორ აყირავდა უთვალავი სინათლეებით მოქარგული დედამიწა. თვითმფრინავი ნელნელა სწორდებოდა. ახლა მიწა თითქოს სადღაც ზემოთ იყო და ჩვენ რეაქტიული ძრავების მძლავრი გრიალით ქვემოდან ვუახლოვდებოდით. ერთიან ალად ქცეული სინათლეები გამოიკვეთა. ლურჯი ღამის ბინდბუნდში უკვე შეიძლებოდა იმის გარჩევა, რომ დასაჯდომად გამზადებული ლაინერის ფრთებქვეშ დიდი ქალაქის სწორი, ალაგ-ალაგ მიხვეულ მოხვეული ფართო ქუჩები და შუაგულში ჩაბნელებული დიდრონი მოედნები იყო.

თვითმფრინავიდან გამოსვლის წინ მოსკოვში საგანგებოდ ნაყიდი წითელი ვარდი ამოვიღე და გულზე დავიბნიე. ამ ვარდით უნდა გამოვეცნეთ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოგზაურობის ბიუროს წარმომადგენელს, რომელიც აეროპორტის მოსაცდელ დარბაზში დაგვხვდებოდა.

ხალხის მოზიმზიმე ტალღამ სახელდახელო ფარდულისმაგვარი შენობისაკენ გაგვიტაცა. ირგვლივ სქელი ნისლი იყო. დაწინაურებულები ამ ნისლში შედიოდნენ და თითქოს უჩინმაჩინის ქუდი დაეხუროთ, უკვალოდ იკარგებოდნენ.

მოსაცდელ დარბაზში ხალხი ბლომად მოგროვდა. მე და ჩემი მეგობარი დამხვდურს გაფაციცებით დავეძებდით და, ცოტა არ იყოს, შეფიქრიანებულნი, ხარბად ვუგდებდით ყურს ყოველ რუსულ სიტყვას.

რუსულად მოლაპარაკენი სამხედროები თუ დიპლომატები იყვნენ. ერთი წყება ჯერ კიდევ შერემეტიევის აეროპორტში შევნიშნე. სხვები ამათ შესახვედრად გამოსულიყვნენ და ახლა ყველა ერთად მისეოდა საპასპორტო მაგიდის ვიწრო სარკმელს, სადაც ხანში შესული სათვალიანი პოლიციელი პასპორტებს ფურცლავდა და სამგზავრო საბუთების სისწორეს ამოწმებდა.

სწორედ ამ დროს, როცა ბედის საცდელად ტელეფონ-ავტომატის მოძებნას ვაპირებდი, ტანდაბალი, ხმელ-ხმელი კაცი მომიახლოვდა და დაღლილ-დაქანცული ადამიანის უღიმღამო ღიმილით თავისი სახელი და გვარი მითხრა. ეს გამხდარ-გამხდარი, სახეჩამოგრძელებული ქერა კაცი, ასე ორმოცი-ორმოცდაორი წლისა — ჰერბერტ შაიბეი — ყოფილიყო, სწორედ ის, ვისაც ასე მოუთმენლად ველოდით.

შაიბეი რუსულს გვარიანად ლაპარაკობდა. მხოლოდ ცოტა უფრო მაგარი გამოთქმით, როგორც, საერთოდ, რუსეთის პროვინციებში ნაცხოვრებ გერმანელებს სჩვევიათ. ომისწინა წლები ვოლგისპირეთში გაეტარებინა. რუსულიც იქ ვისწავლე, მაგრამ ახლა ვატყობ, თანდათან მავიწყდებაო. დაგვიანებით მოსვლის გამო ბოდიში მოიხადა. მანქანა გაფუჭებოდა.

გზაში რამდენჯერმე გაგვაჩერეს ღამის პატრულებმა. ჯიბის ფანრის შუქზე პასპორტებს გვისინჯავდნენ და მერე სახესაც ფანრით გვინათებდნენ, რათა

იგი პასპორტში ჩაკრულ სურათისათვის შეედარებინათ. ჰერბერტ შაიბეიმ თავისებური მაგარი რუსულით ისევ ბოდიში მოგვიხადა. დღე არ გავა, დასავლეთ ბერლინიდან ვინმე არ შემოგვიგზავნონ და ყოველ ცისმარე დღე სამოყვროდ მოსულ უცხოელ სტუმარსაც კი ზედმეტი შეკითხვებით ვაწუხებთო.

ბნელმა, ნისლიანმა ღამემ იმედი გაგვიცრუა. ათი-თხუთმეტი ნაბიჯის იქით თითქმის ვერაფერს ვხედავდით. შოფერი წამდაუწუმ ამუხრუჭებდა მანქანას, რათა სიბნელეში არაფერს დავჯახებოდით.

დროდადრო სმენას თითქოს დედამიწის გულიდან ამომავალი ყრუ გუგუნი სწვდებოდა. ეს ქალაქის ელექტრომატარებლების ხმა იყო. წვრილი ფილაქნით მოგებული განიერი ქუჩა, რომელსაც ჩვენ ვადექით, სწორედ რკინიგზის გასწვრივ მიემართებოდა. უკან დაგვრჩა რამდენიმე სარკინიგზო სადგური და მანქანა უკვე ქალაქის უფრო მეტად ეანათებულ ნაწილში შევიდა. ტრანსპორტის მიმოსვლა უკვე შეწყვეტილი იყო, მხოლოდ ცარიელი მატარებლები ღაბრიგინებდნენ ღამეულ ძილში გარინდებული ქალაქის თავზე. ერთბაშად ვირც კი წარმოიდგენ, როგორ უნდა მოახერხო კაცმა დაძინება ამისთანა ოროძტრიალში. დღისით-მზისით კიდევ არაფერი, მაგრამ ღამ-ღამობით ცარიელი ვაგონების ბაგაბუგი ათკეცდება, აძას კი ფანჯრების ზრიალი და მიწის განუწყვეტელი ძიგძიგი ერთვის...

3

სასტუმროს პორტიემ ძალიან ადრე გაგვაღვიძა. შაიბეი უკვე გეახლათ და ჰოლში გელოდებათო. ტანსაცმელს უხალისოდ მივწვდი. როდისღა მოასწრო შინ მისვლა და უკან მობრუნება.

ადრიანი დილა იყო. ქუჩებში თქორით აბრწყინებული ფილაქნისა და ნისლს ამოფარებული ვიტრინების გარდა, კვლავ არაფერი ჩანდა. შოფერი ფხიზლობდა. ქალაქს, ის ყოფა გამოდვიძებოდა და ჩამოღამებულ ტროტუარზე თითოოროლა გამვლელსაც დაინახავდი.

მხოლოდ ოსტბანჰოფის მოედანზე დუღდა სიცოცხლე. აქ წინ და უკან დაჭრიალებდნენ ჩემოდნებით დატვირთული ურიკები. გაწუწულ ავტობუსებს უამინდობით გუნებაგაფუჭებული მგზავრები მოჰყავდა. მგზავრების უმეტესობა საგარეუბნო მატარებლისაკენ მიიჩქაროდა.

ვესტიბიულში გავლისას ჩვენი ყურადღება იქ ატეხილმა ფუსფუსმა მიიპყრო. კიბისთავში ტელეკამერა დაედგათ. დარბაზში თავშეყრილ ხალხს დროდადრო მაღალ ნიშებში ჩადგმული იუპიტერები ანათებდნენ.

ჰერბერტ შაიბეიმ წუთით დაგვტოვა და მალე ისევ მოირბინა. ვაგზლის ვესტიბიულში ასე ნაადრევად მოგროვილი ხალხი იური გაგარინსა და ვალენტინა ტერეშკოვას გასაცილებლად მოსულიყო. გერმანიის დაბა-ქალაქებში ათი დღის მოგზაურობის შემდეგ გმირი კოსმონავტები ამ დილით შინ ბრუნდებოდნენ.

ეს წესიერი, საკვირველად გულთბილი გერმანელი — ჰერბერტ შაიბეი — ვაგონში ამოგვყვა და ვიდრე მატარებლის გასვლის ნიშანს მისცემდნენ, იქიდან ფეხი აღარ მოუცვლია.

ჩვენ ლაიპციგში მივდიოდით. შაიბეი თვითონ დალაპარაკებოდა მოგზაურობის ბიუროს ლაიპციგის განყოფილებას. სადგურში აუცილებლად დაგვხვდებოდა განყოფილების წარმომადგენელი და იმ სასტუმროში მიგვაცილებდა, სადაც ამჟამად იქ მყოფი ჩვენიანები დაბინავდნენ.

მატარებელი უკვე დაძრული იყო, როცა წამის წინ ბაქანზე ჩასული შაიბეი ისევ ამოვარდა ვაგონში და კუპეს მოაშურა. თურმე ნუ იტყვით, გულმავიწყობა — ეს საძაგელი სენი — არც

თუ ისე იშვიათად თვით გერმანელსაც კი ეწვევა ხოლმე. ეს რა მომივიდა, საუბარში გავერთე და ბილეთები თან მიმქონდაო.

კიბემდე გავყევით. მატარებელი დინჯად სტოვებდა ხალხმრავალ ბაქანს და ჩვენს კაფანდარა მაპინძელსაც დიდად როდი გასჭირებია დაბლა ჩამოხტომა. მერე ერთხანს კიდევ მოსდია ფანჯარას, ხელს გვიქნევდა და დაღვრემილი სახისათვის სრულიად შეუფერებელი ღიმილით გვაცილებდა.

ნახევარი გზა ისე გავიარეთ, ვაგონში ახალი მგზავრი არავინ ამოსულა. მატარებელი მხოლოდ ორი-სამი წუთით ჩერდებოდა ხოლმე პატარა სადგურების წინ და მერე ისევ აუჩქარებლივ შედიოდა ამ გაუთავებელ ნისლსა და ჯანღში. ფანჯრიდან ძლივს ვარჩევდით: რკინიგზას ტყის ვიწრო ზოლი მოსდევდა. შემოდგომის ფერებით აჭრელებული ტყის იქით მინდვრები იყო.

ვიდრე ამ ნაცნობი სურათის თვალიერებით ვიყავით გართული, საუზმის დროც დამდგარიყო. მგზავრებს საკვოიაჟები გაეხსნათ, მუხლებზე სახელდახელო სუფრა გაეშალათ და საკმაოდ გულგრილად, თითქოს თვითეული მათგანის მეტი აქ სხვა არავინ ყოფილიყოს, საუზმობას შესდგომოდნენ. ნასაუზმევს ყველამ გულდაგულ მოაგროვა საჭმლის ნარჩენები, საბოსტნე თესლებივით ცალცალკე პარკებში ჩააწყო, თავიც საიმედოდ მოუკრა და დამშვიდებულმა წაძინება სცადა.

უსაუზმოდ მხოლოდ ერთი მგზავრი, სახემობერებული შუახნის მამაკაცი დარჩა. ის ჩემს პირდაპირ იჯდა და მთელი გზის მანძილზე ხან მე მათვალიერებდა ფარული ცნობისმოყვარეობით, ხან ჩემს მეგობარს. უცხო მგზავრის ახირებული ცნობისმოყვარეობა, თითქმის თავხედობამდე მისული, პირველად მეუცხოვა და შეურაცხმყოფელადაც მომეჩვენა, მაგრამ ბოლოს შევნიშნე — ეს კარგა ხნის წინათ გადამწიფებული ძიაკაცი, რომელიც მიუხედავად ევროპული ჩაცმულობისა, მაინც იმერეთის სოფლებში მოხეტიალე ლეკ მექვაბეს მივამსგავსე, თავის გამომეტყველებას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა.

ორთქლმავლის კვამლით შებოლილი ფანჯრის მიღმა თანდათან იწყო ნისლმა გაფანტვა. დედამიწამდე ჩამოზვავებული ცის კიდური მწვანე მინდვრის პირს გასცილდა, ღრუბლის ნაპრალში მზეც ჩამოიხედა და თვალწინ მშვენიერი სანახაობა წარმოგვიდგა.

ტყის ვიწრო ზოლში დამჭკნარი ზაფრანისფრად ბრიალებდნენ ფოთლებშეყვითლებული ბლის ჩოჩქები. სიყვითლე მუხასაც შეჰპარვოდა. თავდახრილი ძეწნა მწვანე ბუჩქად მოკუზულიყო. ულამაზო თხმელა და ტანკენარი თეთრი ვერხვი ყველა ამათ თავზე დაშრიალებდა. იქვე, ტყის ზოლის გადაღმა, იწყებოდა შაქრის ჭარხლით გადამწვანებული მინდორი. შორს, ნისლში, კომბაინები დაბორიალებდნენ. ალაგ-ალაგ პლანტაციაში მიწიდან ამოყრილი შაქრის ჭარხლის გორები იდგა. გორების ახლომახლო წითელ-ყვითელ ტანსაცმელში გამოწყობილი შლიაპიანი გლეხები და გრძელკაბიანი ქალები ფუსფუსებდნენ, გოდრებს ჭარხლით ავსებდნენ და შიგ შუაგულ პლანტაციაში შემოსულ საბარგო მანქანებს ტვირთავდნენ. დედაქალაქიდან მომავალ სამგზავრო მატარებელს თითქმის ვერავინ ამჩნევდა.

გზისპირები ატალახებული იყო. აქაიქ მღვრიე წყლის გუბეებიც იდგა. მაშ წვიმა აქეთაც ყოფილიყო და ნაჭირნახულევი დედამიწა მაცოცხლებელი ტენით გაეჯერებინა.

— ძალიან ბოდიშს ვიხდი, — დაილაპარაკა ჩემს პირდაპირ მჯდომმა შუახნის კაცმა უცებ რუსულად და თავაზიან ღიმილად გაბადრული თვალებში შემომაჩერდა, — თუ საწყენად არ მიიღებთ, მიპასუხეთ — რა ენაზე ლაპარაკობთ? ეს ენა ჩემს ახალგაზრდობაში გამიგონია. მგონი აჭარული უნდა იყოს. მართალი ვარ?

ამ კაცს ისე გაკვირვებული მივაჩერ-

დით, თითქოს შორეულ ქვეყანაში ვინმე კარის მეზობელი გვენახოს. მაშინვე ავუხსენით, ძალიან არ შემცდარხართ-მეთქი, თქვენი შეცდომა მხოლოდ ისაა, რომ ენას, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ, ქართული ქვია და არა აჭარული, აჭარა საქართველოს ერთი კუთხეა და იქ ისეთივე ქართველები ცხოვრობენ, როგორც ჩვენა ვართ-მეთქი.

თავი გადააქნია და წამით თვალი მომარიდა. ეტყობოდა, შემოდავებას აპირებდა, მაგრამ საკუთარ ცოდნას ვერ ენდო. წინა დღეს მოპარსული ჭაღარა წვერი ოდხავ წამოზრდოდა. მსუქანი, თითქოს შეშუპებული, ავადმყოფური სახე უბზინავდა. თაფლისფერ ფიქრიან თვალებში იმდენი სითბო და ნაღველი ედგა, ერთბაშად მისდამი მოკრძალებითა და თანაგრძნობით განიმსჭვალებოდი. აბა, როგორ წარმოვიდგენდი, თუ ეს ალერსიანი გამომეტყველების დარბაისელი კაცი, ვისაც ქართული ბგერების გაგონება სიყმაწვილეს აგონებდა და დაუფარავ სიამოვნებას ჰგვრიდა, ირახელი იყო, ოდესღაც ერთი იქაური პოლიტიკური პარტიის წინამძღოლი, იატაკქვეშ მომუშავე, შემდეგ ევროპაში გადმოხვეწილი, მშობელ მიწასა და თავისიანებს დიდი ხნის წინათ მოწყვეტილი...

კუპეში მყოფ გულგრილ ევროპელებს როდი მოერიდა. ოდესღაც მოსისხლე მტრები — ქართველები — შინაურ ადამიანებად დაგვიგულა და თავისი გატანჯული ცხოვრების მწუხარე ამბავი თვალებზე კურცხალმომდგარმა გვიამბო.

დასავლეთ ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფო შემოევლო. ერთხელავე ხელმოცარულს ფეხი ვერსად მოეკიდებინა. დაბოლოს, აღმოსავლეთ ბერლინში დაედო ბინა. იქ რაღაც სამსახური ეშოვნა. ლაიპციგში ოთახი მაქვს ნაქირავებიო. ჩემი უმცროსი გოგონა, სამედიცინო ინსტიტუტის უკანასკნელ კურსზე სწავლობს და, ენაცვალოს მამა, ახლა იმის დასახედავად მივდივარო.

თავი კვლავ ირანის ქვეშევრდომად მიაჩნდა, ოღონდ გულში ღრმად გადაეწყვიტა — ვიდრე იქ შაჰის ტახტზე რეზა ფეჰლევი იჯდა, მშობელ ქვეყანას სათოფედ არ გაჰკარებოდა.

უცხოეთში ამდენი წოწიალის შემდეგ შინ უდროო დროს დაბრუნება მართლაც და გულუბრყვილობა იქნებოდა. შაჰი უმალ შეიპყრობდა თავის ძველ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს და ისე გაუსწორდებოდა, როგორც ბედნიერი შემთხვევის წყალობით ხელში ჩავარდნილ მტრებს უსწორდებიან.

უცებ შევნიშნე; კუპე დაცარიელებულიყო. მგზავრები ვაგონის ვიწრო დერეფანში გაკრეფილიყვნენ. ირანელ ემიგრანტს თეთრი ცხვირსახოცი ამოეღო და ვითომდა გაოფლილ შუბლს იმშრალებდა. გულწრფელად, თითქმის მუდარით გვთხოვა, ჩემს ღარიბ ოჯახს ეწვიეთო, დიდხანს არ გაგაჩერებთ, და ვერც მასპინძლობით გაგაკვირვებთ მაგრამ ღმერთმა ხომ იცის, გული მთელი მაქვსო...

კინაღამ სულმა წამძლია. ანდა, უარი რის გამო უნდა მეთქვა მშობელ ქვეყანას მონატრებული უბედური კაცის ამ ადამიანურ თხოვნაზე. მრავალი წლის წინათ მიტოვებული სამშობლო ენატრებოდა და, ყურძნის სიყვარულით ღობეს კოცნიდა.

მატარებელი მალე გაჩერდა. ვაგონის კიბეზე ჩამოსვლისთანავე თვალი რატომღაც ზემოთ გამექცა. ადრე გაგებული მქონდა, თუ სადღაც წამეკითხა, რომ ლაიპციგის მთავარ სარკინიგზო ვაგზალს სიდიდის მხრივ მეორე ადგილი უჭირავს ევროპაში მილანოს ვაგზლის შემდეგ. ეს ვაგზალი 13 წლის განმავლობაში შენდებოდა და მშენებლობა პირველი მსოფლიო ომის დროს დამთავრდა.

უზარმაზარ სივრცეს, რომელიც სამ თვალშეუდგამ კედელსშუაა მოქცეული, თავს ვეებერთელა თაღი გადმომხობია. გამჭვირვალე თაღის მთავარი კამარა რკინის კონსტრუქციაზეა დაფუძნებული და მნახველს რჩება შთაბეჭდილება, თითქოს მთელი ქვეყნიერება ამ ჭერქვეშ იყოს მოქცეული. ქშინავენ შორეულ გზებზე ნარბენი შავი ორთქლმავ-

ლები. ტენდერზე გამურული მუშები აკოლიკებულან და ორთქლმავლის გაუმაძღარ მუცელში, ისევე, როგორც ორი საუკუნის წინათ, რკინის ნიჩბებით ჰყრიან ნახშირს...

გასასვლელისაკენ დაძრულ ხალხის ტალღას ბრმად მივყევით.

გადალეული ქვის ფილებით მოგებულ ბაქანზე თვითმავალი ურიკები დახრიგინებდნენ. თუმცა უკვე შუადღე მოახლოებული იყო, ჭყიოდნენ და ღრიალებდნენ დილის გაზეთების გამყიდველები. მძლავრი ამწეები ყურისწამღები ღრჭიალით ეწეოდნენ რაღაც მძიმე ტვირთს და ღია პლატფორმებზე აწყობდნენ. ბაქანზე ათი თუ თორმეტი ახალმოსული მატარებელი იდგა. აქ სულ ოცდაექვსი ბაქანი და მატარებლის დასადგომი ადგილია!

მართლაც და ზღვა ხალხი, როგორც გამსკდარ ჯებირიდან ნაგუბარი წყალი, უკანმოუხედავად მიიჩქაროდა გასასვლელისაკენ.

კიდევ და კიდევ თაღები, რკინისა და მასიური გრანიტის სვეტები, კაცის სიმაღლე ასოებით გამოყვანილი კუთხოვანი წარწერები, ფართოზე უფართოესი დერეფნები, კიბეები, შესასვლელები და გამოსასვლელები...

4

დღის პირველ საათზე სასტუმრო „ბავარიშეს ჰაუსის“ ჰოლში მართლაც ყველამ თავი მოიყარა. აქ გავიცანით გაუთავებელ ქაქანს შეჩვეული ხანში შესული ქალი, მუსიკალური კომედიის ყოფილი მსახიობი, ამჟამად დრამატურგი, რომლის პიესები გერმანიის რამდენიმე თეატრის სცენაზე იდგმებოდა. კიდევ ორი სანდომიანი მანდილოსანი, ერთი—მედიცინის პროფესორი და მეორეც—არქეოლოგი, წარმოშობით სომეხი, ოღონდ ყუბანის ნახიჩევანის მკვიდრი, ახალგაზრდა ინჟინრების ჯგუფი და სამიც ექიმი — სამივე მოსკოველი.

ინჟინრებს შორის ერია მაღალი მხარბეჭიანი ვაჟი — საშკა — მკვირცხლი და მოუსვენარი ყმაწვილი. საშკა საგრძნობლად ელამი იყო. ცალი თვალით რომ შენ გიყურებდა, მეორეთ ადგილაც შორს გაურბოდა. ეს გარემოება, ალბათ, სტანჯავდა, მაგრამ სხვათა დასანახავად ცდილობდა ყველაფერი ხუმრობაში ჩაეტარებინა. ხელში დღემუდამ ვიწროფირიანი კინოაპარატი ეჭირა და ყოველ ხედს, რომელიც კი გზაში შეგვხვდებოდა, გრძელ-გრძელ კადრებად იღებდა. საღამე მიმავალს კარი უეჭველად მხრით უნდა გაეტანა და შემდეგ, სულ უკანასკნელ წუთებში, დაეგვიანებინა კიდეც.

თანამგზავრებს უკვე მოესწროთ ამ მარტორქასავით ღონიერი და ოკრობოკრო ყმაწვილი კაცის შეყვარება. ვაგონისოდენა წითელი ავტობუსის დაძვრის წინ, რითაც ამიერიდან მოგზაურობა უნდა განგვეგრძო, უსიკვდილოდ მოიკითხავდნენ ხოლმე — საშკა უკვე მოსულია, თუ ისევ დაიგვიანაო.

შემოვიდა მეგზური — ბერლინში მცხოვრები ლიტველი ბიჭი, ფაქიზად გაპარსული და, ჩრდილოეთში დაბადებული და გაზრდილი კაცის პირობაზე, შეუფერებლად შავგრემანი. თავზე ნაბადის ძველასავით ჩამოეფხატა ხშირი შავი თმა და მხოლოდ წინ შეეკრიჭა. ისედაც დაბალი, დანაოჭებული შუბლი ვიწრო ხორბლისფერ ზოლად უჩანდა.

მეგზურს—ლეონას სტეპანაუსკასს—მოჰყვა ავტობუსის შოფერი — ზომაზე მეტად გასუქებული, მაგრამ საოცრად სხარტი და დაუზარელი ორმოციოდე წლის კაცი. მის ჯიშიან, სიმსუქნისაგან დამრგვალებულ მხარბეჭს დაბალ კისერზე დანდობილი თავი ციხის გოდოლივით წამოსდგომოდა. დაბუსხულ ტუჩებს შუა ინგლისური სიგარა გაეჩარა. სქელ კისერს დინჯად ატრიალებდა. როდესაც პირადად მიმართავდი, ჰორსტი — შოფერს ასე ეძახოდნენ — სახეს მკვეთრად მოაბრუნებდა, ორიოდე სიტყვას წაიზმუვლებდა და სიგარას, თითქოს ეშინია ქარმა არ წამართვასო, კვლავ დაბუსხული ტუჩებით მოეჭიდებოდა.

ისტორიკოსმა, ვისაც ქალაქის ღირსშესანიშნაობათა დათვალიერებისას მეგზურობა უნდა გაეწია, ნაშუადღევს მოგვაკითხა და ავტობუსში ლეონასის ადგილი დაიკავა. წითელი ავტობუსი ძლივს გაეტია შუა საუკუნეობრივ ვიწრო ქუჩაში, სასტუმროს წინ აყუდებულ ოთხსართულიან სახლს შემოუარა და ორიოდე წუთის შემდეგ ვაგზლის მოედანზე გავიდა.

აქედან კარგად მოჩანდა კუთხის მაღალი სახლი, წვეტიანი კოშკითა და სვეტებსშუა მიმაგრებული სამფეროვანი ალმით — ქალაქის რატუშა და საერთაშორისო ბაზრობაზე ჩამოსულ უცხოელთა შეხვედრის ადგილი. ამ დიდ ყვითელ შენობაში, რომელიც ერთი შეხედვით კაცს იქნებ ძალიან დიდიც არ მოეჩვენოს, იდება სავაჭრო ხელშეკრულებანი, ხდება გარიგება...

ლაიპციგი აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის გზების შესაყარზეა გაშენებული. პარიზიდან რუსეთის უნაპირო ტრამალებისაკენ მიმავალ ქარავანს ოდესღაც კარავები მაინის ფრანკფურტში და შემდეგ ლაიპციგში უნდა დაეცა, ხოლო თუ ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვების ნაპირებიდან წამოსულ კაცს გზა იტალიისაკენ ედო, მას მაგდებურგი, ლაიპციგი და ნიურნბერგი უნდა გაევლო და შორეულ იტალიაში მხოლოდ ისე მისულიყო.

ამ დიდ მსოფლიო გზაჯვარედინზე, ალბათ, ჯერ პაწია დაბა გაშენდა. აშმორებული ტრაქტირების, სამჭედლოების, მეუნაგრეთა სახელოსნოების და თავლების წინ ჭენჭეხი და ცხენის ჩონჩორიკის სუნი იდგა. მრავალ ენაზე მოლაპარაკე ბრბო სალაყბოდ დუქნების წინ გამოდიოდა და აღებ-მიცემობას ეწეოდა.

რვანახევარი საუკუნის წინათ პირველად გამართული მსოფლიო ბაზრობები წელიწადში ორჯერ — გაზაფხულსა და შემოდგომაზე ეწყობა. ბაზრობაში მონაწილეობის მისაღებად ორმოცდაათი სახელმწიფოს სავაჭრო ფირმა ჩამოდის და რა გინდა აქ რომ არ იშოვნო — ძვირფასი ხალიჩებით, ბროლეულით, ფაიფურით დაწყებული და ციდან უფრო ძვირფასი პოლიგრაფიული მანქანებით და ზღაპრული ხელოვნებით გამოცემული წიგნებით დამთავრებული.

საგაზაფხულო ბაზრობაზე უმთავრესად ფართო მოხმარების საგნებით ვაჭრობენ, საშემოდგომო ბაზრობა კი მთლიანად მანქანებსა და აპარატურას ეძღვნება. კაცმა რომ თავი გადასდო და ბაზრობის გასამართავი შენობების ყველა პავილიონი შემოიარო, ას კილომეტრზე მეტი მანძილის გავლა დაგჭირდება.

ვინ არ იამაყებს ლაიპციგის უძველესი უნივერსიტეტით, სადაც გარდა გერმანელი სტუდენტებისა, მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან ჩამოსული სტუდენტი სწავლობს.

უცხოელთათვის, ვისაც უნივერსიტეტში შესვლა განუზრახავს, გახსნილია ერთწლიანი მოსამზადებელი კურსები. კურსების დამთავრების შემდეგ სწავლას მოწყურებული უცხოელი გოგო-ბიჭები გერმანულ ენაში ისე იწაფებიან, რომ უკვე თავისუფლად შეუძლიათ ლექციების მოსმენა და შემდეგ გამოცდების ჩაბარებაც.

მე შენ გეტყვი, წიგნების შოვნა გაუძნელდებათ. ლაიპციგში გამოცემული წიგნები მთელ დედამიწის ზურგზეა მოდებული. წიგნის გამოცემის აქაურ ოსტატებს ბადალი არა ჰყავთ ევროპაში. ლაიპციგში დაბეჭდილი წიგნი, როგორც წიგნი, თავისთავად მაღალი ხელოვნების ნიმუშია.

წიგნის გამოცემის ოსტატთა ახალი და ახალი თაობების აღსაზრდელად ლაიპციგში ორი უმაღლესი სასწავლებელია დაარსებული. პოლიგრაფისტები, ვისაც შემდგომ საქმე ბეჭდვის ტექნიკურ პროცესებთან და მანქანებთან ექნებათ, თავიანთ პოლიგრაფიულ ინსტიტუტში სწავლობენ. ცალკე, წიგნის ხელოვნების ინსტიტუტში იღებენ უმაღლეს განათლებას მხატვარი-გრაფიკოსები. ეს, ასე ვთქვათ, უნივერსი-

ტეტია, სადაც ახალგაზრდობა წიგნის გამოცემის საუკუნოებრივ ტრადიციებს ეწაფება.

წიგნის სიყვარული და პატივისცემა მარტო მისი გამოცემით როდი ამოიწურება. ლაიპციგი გერმანიის უდიდესი ბიბლიოთეკების ქალაქია. მხოლოდ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა მილიონ შვიდასი ათას ტომს ითვლის. პირველი მსოფლიო ომის წინ აქ დაარსდა გერმანული წიგნის ბიბლიოთეკა. ამ სახელგანთქმულ საჯარო ბიბლიოთეკაში თავმოყრილია გერმანული და გერმანიაში გამოცემული მთელი უცხოური ლიტერატურა — სულ ორი მილიონ რვაასი ათასი ტომი.

წითელმა ავტობუსმა ფერადი ფილაქნით მოჭიქული მარკტპლაცი — ბაზრის მოედანი გაიარა და მხოლოდ ერთი წუთით გაჩერდა ცამდე აღმართულ ტაძრის — ტომასკირხეს წინ. ეს ის შენობაა, სადაც ყოველ კვირა-უქმედღეებში ბავშვთა საეკლესიო კაპელა — „ტომანერ ხორ“ — გამოდის ხოლმე. კაპელას ჯერ კიდევ იოჰან სებასტიან ბახი ლოტბარობდა ამ სამასი თუ მეტი წლის წინათ. ეკლესიაში დღესაც გუშინდელ ჩამოსხმულს მიაგავს ბრინჯაოს ფილა, რომლის ქვეშაც დიდი კომპოზიტორი განისვენებს.

5

ქალაქის მყუდრო ქუჩების მიღმა შემოდგომის ფერებმა იწყეს ამოტივტივება. ფილაქანზე ყვითელი ფოთლები ეყარა. ღობეებგადაღმა წითლად ბრდღვიალებდნენ ფოთლებშემჭკნარი ქლიავები და კომშები, ლეღვები და ალუბლები...

მალე გამოჩნდა ისიც, საითაც მიგვეჩქარებოდა.

შიშველ ზეგანზე აღმართულიყო უზარმაზარი წითელი ობელისკი. იგი ფართოკიბოვან კვარცხლბეკზე იდგა. მხოლოდ მიახლოებისას თუ დარწმუნდებოდი, რომ ეს ჩვეულებრივი ობელისკი არ იყო.

მისი წინამოს შუაგულში დატანებული თაღოვანი კარი და ასეთივე სამი კარი შენობის სამივე მხრიდან ტურფად ნაგები ტაძრის საკურთხეველს მიაგავდა. ყოველი კარის წინ გვრაცხლბეკიდან წამოყელყელავებული გრანიტის ფართო კიბე ადიოდა. კედლებში მოხდენილად ჩადგმულ გრანიტისვე კიბეებს ციხე-დარბაზის ზედა სართულებში აყავხარ. ოთახებში ახლა საშუზეუმო ექსპონატები გამოუფენიათ, ყველაზე დიდ, მაღალჭერიან დარბაზში კი, რომელსაც სახელად „დიდების დარბაზი“ ჰქვია, ყოველი წლის 18 ოქტომბერს „ტომანერ ხორის“ კონცერტი იმართება.

18 ოქტომბერი...

ამ დღეს ლაიპციგთან საბოლოოდ დამარცხდა რუსეთის ულრანი ტყეებიდან უკანდახეული ნაპოლეონი. ცეცხლმოდებულ მოსკოვში შერცხვენილი ზვიადი ბონაპარტე მოკავშირეთა არმიებმა 18 ოქტომბერს ლაიპციგის ზეგნებს შუა მოიმწყვდიეს და აქაური ველმინდვრები მტრის ურდოების სისხლით შეღებეს.

იმპერატორი სწორედ იმ ბორცვზე იდგა, სადაც ასი წლის შემდეგ, ნიშნად მისი დამარცხებისა, ეს შესანიშნავი ძეგლი აღიმართა და წასაგებად განწირულ ბრძოლას ხელმძღვანელობდა. ამ ბორცვზე და ამ ბორცვის გარშემო ტრიალებდნენ შორეული ლაშქრობით ილაჯგაწყვეტილი ადიუტანტები და იმპერიის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ოფიცრები.

ნაპოლეონს სულ ავის მომასწავებელი ცნობები მოსდიოდა.

ქარიანი ამინდი ყოფილიყო. ქარს ნაპოლეონისათვის ქუდი მოეტაცა. იქვე მდგომ მკვირცხლ კორნეტს მოესწრო, მტვერში აფრიალებულ სამკუთხოვან ქუდს ქორივით დასცხრომოდა და იგი ბონაპარტესათვის მიერბენინებინა. თავშიშველი იმპერატორი კორნეტს ვერ ამჩნევდა, ფრანგთა მილეწილ-მოლეწილ რედუტებს თვალმოუშორებლივ გაჰყურებდა და შეთხელებულ თმას ოქტომბრის სუსხიანი ქარი უწეწავდა.

ვიდრე ამ სამახსოვრო ზეგანზე ამო-

ვიდოდით, ავტობუსის მარცხენა ფანჯრებში გუმბათმოვარაყებულმა თეთრმა ეკლესიამ გაიელვა, გაიელვა და უკან დარჩა. თეთრი ეკლესია, ისიც ოქროსფრად მოვარაყებული გუმბათით, აქამდე არსად შეგვხვედრია, აქაური კათოლიკური ეკლესიები და პატარ-პატარა რუხი კასტიოლები სულ სხვანაირია.

გუმბათმოვარაყებული თეთრი ეკლესია ბორცვიდანაც კარგად ჩანდა. კაცს ეგონებოდა, ვიღაც გოლიათს ნოვგოროდის კრემლის გალავნიდან ციმციმ გამოუტანია და აქ დაუდგამსო.

ეკლესია მართლაც რუსული აღმოჩნდა, იგი ობელისკთან ერთად დაუდგამთ „ხალხთა ომში" გმირულად დაღუპული ოცდაორიათასი რუსი მეომრის სახსოვრად სულის მოსახსენიებლად.

ოთხად ოთხი დღით დაგვაგვიანდა ძეგლთან ამოსვლა, თორემ დაუვიწყარი სანახაობის მოწმე გავხდებოდით. ოთხი დღის წინ, 18 ოქტომბერს, უზურპატორის დამარცხებისა და მოკავშირეთა არმიების ტრიუმფის წლისთავზე აქ ათიათასობით ადამიანი შეკრებილიყო. ნაშუადღევს დაწყებული ზეიმი გვიან ღამემდე გრძელდებოდა. დიდებული ციხე-კოშკი რომლის მთავარ დარბაზშიაც ლაიპციგელი ბიჭუნების კაპელა გალობდა, ფეიერვერკით იყო გასხივოსნებული. ამ დროს მისი დანახვა საქსონიის შორეული კუთხეებიდანაც კი შეიძლებოდა. შემოგარენი წითელყვითელ ეროვნულ ტანსაცმელში აჭრელებულ მოზეიმე ბრბოს აევსო...

6

ახალ დაბინდებულზე ავტობუსი მრგვალსვეტებიანი სასახლის კიბესთან გაჩერდა და ჰორსტიც ჩვეულებისამებრ პირველი ჩამოხტა მანქანიდან, რათა ლენინგრადელ დრამატურგს და ორ სხვა, ხანშიშესულ მანდილოსანს ჩამოსვლაში მოხმარებოდა.

გრანიტის ფართო კიბემ ძველი ოსტატების ხელით მოხარატებულ მუხის კართან მიგვიყვანა. ვესტიბიულში, რომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორც უკაცრიელი ეკლესიის თაღქვეშ, სადაც მხოლოდ ორიოდე სანთელი ბუტავს, ციოდა. ეს ცივი და უცხაურად მდუმარე სასახლე მართლაც ძალიან წაგავდა უკაცრიელ ეკლესიას. თითქოს საკმევლის სუნიც კი იდგა. მაღალი რუხი თაღი, რომელიც სადღაც ზემოთ მიმავალ მარმარილოს კიბეს და ვესტიბიულს დიდებულ იერს აძლევდა, სამ თუ ოთხ ადგილას გაბზარული იყო. ალაგ-ალაგ ბათქაშიც ჩამოსცვენოდა. ნიშებით დაღარულ კედლებზე ჭუჭყიანი წყლის კვალი ჩანდა. ახლა თუ სხვა დროს, ჭირში წვიმას გამოეჟონა.

მართლმსაჯულების სასახლეში ვიყავით. ოდესღაც საქვეყნო ბრწყინვალებითა და მოწიწებით მოსილ შენობას, სადაც ათასი მომჩივანი და მოპასუხე, მოსამართლე და ნაფიცი მსაჯული ირეოდა, დღეს ერთი ყმაწვილი ბიჭი და სიცივისაგან მოკაკვული სამი დედაბერი ემსახურება.

უკანასკნელი სასამართლოს პროცესი მართლმსაჯულების სასახლის დიდ დარბაზში ოცდათერთმეტი წლის წინათ გაიმართა. ასამართლებდნენ გიორგი დიმიტროვს რაიხსტაგის დაწვის თაობაზე. სახელმწიფო ბრალმდებლად გამოდიოდა იმპერიის გენერალური პროკურორი...

კედლებმოხატული დიდი დარბაზი მეორე სართულზეა.

დარბაზის ნახევარი, სცენისებურად ამაღლებული, გრძელ ციკლოიდურ მაგიდას უკავია. მაგიდის გარშემო, კედლის მხრიდან, ნაცისტური ემბლემით დადაღული მაღალზურგიანი სკამებია შემოლაგებული. ყველაზე უფრო მაღალ სამ სკამზე მოსამართლენი მსხდარან.

პრიალა მაგიდაზე წყლით სავსე სურები და აღმოსავლური ფაიფურის ხუთი თუ ექვსი ჯამი ჩამოურიგებიათ.

აქეთ, საკუთრივ დარბაზში, მოაჯირსგადაღმა, უბრალო მერხი დაუდგამთ ბრალდებულების დასასხდომლად. მერხის უკან, კარგა მოზრდილ ადგილზე, იარაღშემართული ბადრაგი დგებოდა.

ბრალდებულის მოპირდაპირე მხა-

რე — ქუჩაში გამავალ ფანჯარასთან — სახელმწიფო ბრალმდებლის კათედრას უჭირავს, შუაში კი, მოსამართლეთა მაგიდის წინ, კიდევ ერთი გრძელი მაგიდაა ჩადგმული ვექილებისათვის. აქაც ჩამოუმწკრივებიათ წყლით სავსე სურები და აღმოსავლური ფაიფური, ოღონდ გაცილებით უფრო იაფად ღირებული. ყველაფერი ისეა, თითქოს ხუთიოდე წუთის წინ იმპერიის უზენაეს სასამართლოს სხდომა შეუწყვეტია და გადაწყვეტილების მისაღებად მეზობელ ოთახში განმარტოებულა...

ვექილებისა და მსაჯულების მაგიდებს შუა, სწორედ იმ ადგილას, სადაც სცენაზე ასასვლელი საფეხურებია, დგას კიდევ ერთი, მოსამართლეთა სავარძლებისაკენ პირით მიქცეული კათედრა. ამ კათედრასთან აყენებდნენ მოწმეს, ის ფიცს სდებდა და სასამართლოს ჩვენებას აძლევდა...

მუზეუმის თანამშრომელმა დედაბერმა მაგნიტოფონი მომართა და ღილს თითი დააჭირა.

ისედაც მდუმარე დარბაზში სიჩუმის ანგელოსი შემოვიდა. სიჩუმე ჯერ ფირის ოდნავ გასაგონმა შრიალმა და შემდეგ კი ხმაჩახლეჩილი მამაკაცის ისტერიულმა შეყვირებამ დაარღვია.

ტანში გაგვცრა. თითქოსდა მანეულის ბუჩქიდან სივილით გამომძვრალი მაისის გველი დაგვენახოს. ეს გერინგი იყო. ამ დარბაზში უდანაშაულო დიმიტროვის დასათრგუნავად მოწვეული თურმე მოწმეთათვის განკუთვნილ კათედრაზე იდგა და პირში შემოჩერებულ სასამართლოს ჩვენებას აძლევდა.

სამშობლოდან გადმოხვეწილმა დიმიტროვმა, ტომით ბულგარელმა, ხომ ხეირიანი გერმანული არ იცოდა. ვიდრე იმპერიის უშიშროების პოლიცია რაიხსტაგის დაწვის გამო შეთითხნილ საქმეს იძიებდა და ის საშიშ დამნაშავეთა ციხის განმარტოებულ საკანში იჯდა, დღე და ღამ გერმანულ ლექსიკონებსა და გრამატიკის სახელმძღვანელოებს ჩაჰკირკიტებდა. გულში ღრმად ამოეჭრა გაბედული განზრახვა: სახელმწიფოს სათავეში მოსული ფაშისტების მიერ გათამაშებულ სასამართლო პროცესზე, თარჯიმანის დაუხმარებლად გამოსულიყო და თვით მოსამართლეთა წინააღმდეგ მიმართული საბრალმდებლო სიტყვა გერმანულ ენაზე წარმოეთქვა.

ამ წარბშეუხრელმა კაცმა თეთრად გათენებული ღამეების ფასად მიაღწია საწადელს. ასიოდე დღის განმავლობაში, რაც წინასწარ გამოძიებას დასჭირდა, გერმანული ისწავლა და ამავე ენაზე შედგენილ მრავალტომიან საქმესაც ზედმიწევნით გაეცნო. მისი მოულოდნელი წამოძახილებით გამწარებული გერმან გერინგი დაკლული ხარივით ღრიალებდა მოსამართლეთა მაგიდის წინ. ამაოდ რეკდა ვერცხლის ზარს მოსამართლე, იმპერიის ყოვლისშემძლე მინისტრის საამებლად ბრალდებულს ამაოდ უყვიროდა — ხმა ჩაიკმინდეო. მეტს რაღას უზამდნენ მსჯავრდასადებ კაცს — ჯამში ჩავარდნილ გემრიელ ლუკმას — გარეთ ხომ ვერ გააგდებდნენ. მაშინ საქმის გარჩევაც უნდა გადადებულიყო...

სამკვდრო-სასიცოცხლოდ დატაკებული მოკამათეები — ერთი ძლიერი და ყოვლისშემძლე მინისტრი, მეორე — საღი აზრის ძალას მინდობილი, მაგრამ მოსისხლე მტრის კლანჭებში მოქცეული სამართლის მაძიებელი კაცი — დროდადრო ჩაჩუმდებოდნენ ხოლმე, თითქოს ვეფხვი და ფოცხვერი ახალი კამარის შესაკვრელად ემზადებიანო და მაშინ გარკვევით გვესმოდა, როგორ ზუზუნებდა დარბაზში ოცდაათი წლის წინათ თავშეყრილი საზოგადოება, როგორ სუნთქავდა თვალის სეირის მოყვარული თუ ფეხქვეშ გათელილი სამართლიანობის იდუმალ ჭირისუფლად მოსული ასობით ადამიანი. ვიღაცამ ჩაახველა, ვიღაცას ნერვების ამოდენა დაძაბულობა ვერ აეტანა და ჩუმად კვნესოდა. უცებ ჭიქამ გაიწკრიალა. წყურვილით თუ ზედმეტი მღელვარებით ხახაგამშრალი მოსამართლე წყალს ისხამდა და სურა რუკრუკებდა. მერე კვლავ იმპერიის მინისტრის თავდაჯერებულმა

ხმამ ააზანზარა დარბაზის მაღალი ბჭეები...

უბრალო მოკვდავთაგან, ალბათ, ეჭვიც არავის ეპარებოდა, რომ ყველაფერი ამ ველური ძალითა და მითვისებული უფლებით გაზულუქებული კაცის ნება-სურვილის მიხედვით უნდა მომხდარიყო.

მას აქეთ მხოლოდ ოცდაათმა და კიდევ ერთმა წელიწადმა განვლო. კუდმოკვეცილი ოცდაათი წელიწადი რაოდენ მცირე მანძილია ისტორიის გადასარბენზე! და რა დარჩა? ფირზე აღბეჭდილი ხმები... მოჩვენებითი ძლევამოსილების არარაობა ამ ეშმაკის მანქანამ ცინიკურად შემოინახა.

ანგარიში გასწორებულია. ვნებათაღელვა დაცხრა. დღეს გიკვირს კიდევაც: ნუთუ კაცი, ვინც უზარმაზარი იმპერიის პირველ მინისტრობას და რაიხსმარშლობას მიაღწია, იმდენად უგუნური იყო, რომ თითქმის ხელცარიელი — მარტოოდენ სახელმწიფოებრივი ძალმომრეობით აღჭურვილი მარადისობას გამოეჯიბრა? მარადისობა ხომ მარადისობაა, მას ვერც მოჰკლავ და ვერც სისხლს დაადენ...

7

ლაიპციგი ძალიან ადრე იღვიძებს. ახალ ნანათლევს ტრამვაი აღრჭიალდა და ქუჩები დიდი ქალაქისათვის დამახასიათებელმა გუგუნმა და ქოთქოთმა მოიცვა. გარეთ გამოვედი. აქედან კარგად მოჩანდა შავად შემურული გრანიტის ვაგზლის კუთხე და გზაჯვარედინზე აწრიალებული მანქანები. წინ, ვიწრო ქუჩის მოპირდაპირე მხარეს, ჭურჭლეულობის და ბეწვეულობის მაღაზიები იყო.

შეხედავ და, აქაური მაღაზიები უკაცური გეგონება. კარს შეაღებ თუ არა, უმალვე შემოგესევიან თავაზიანი ფროილაინები — საქონელს გთავაზობენ.

მეგონა, ყველაზე ადრე ავდექი-მეთქი. გამიკვირდა, როცა ვაგზლის მხრიდან მომავალი საშკა და მოსკოველი ექიმები დავინახე. საშკას ვიწროფირიანი აპარატი მოემარჯვებინა და ჭურჭლეულობისა და ბეწვეულობის მაღაზიების რიგს იღებდა. ახალგაზრდები ტკბებოდნენ. გოლიათი საშკა ცალთვალა დევივით მოაბიჯებდა ამათ შორის და საკმაოდ შესამჩნევად ცდილობდა ყოველი თავისი მიმოხვრით გაემხიარულებინა ისედაც გამხიარულებული ამხანაგები.

გვარიანი ამინდი ეპირებოდა. შემოდგომის წითელი მზე უკვე ამოსული იყო და თხელ გამჭვირვალე ნისლში, რომელიც მსუბუქად ეხებოდა აბრწყინვებულ სველ სახურავებს, ბრძმედის ჭუჭრუტანაში გამოჭრილი ფოლადის ჭავლივით ბზინავდა და ციმციმებდა.

ცოტა მოგვიანებით ხელახლა გავუარეთ ვაგზალს, მრავალსართულიან სასტუმრო „ნაციონალს“, მაღალი კოშკით ღრუბლებში აჭრილ ქალაქის რატუშას. და გეზი სამხრეთ-დასავლეთისაკენ ავიღეთ.

გზა საქსონიის ველებზე იდო. აქედან ტიურინგიის ბორცვებზე უნდა ავსულიყავით და ნაშუადღევს, ოთხი-ხუთი საათის მომქანცველი მგზავრობის შემდეგ, გერმანიის დიდი გულის ნავსაყუდელს — ვაიმარს ვწვეოდით.

ქალაქის ჭიშკარში ჰორსტმა მანქანა შეაჩერა და საგზაო რუკა გაშალა. შოფერი და ლეონას სტეპანაუსკასი კარგა ხანს არჩევდნენ, რომელი გზით წავსულიყავით. ლიტველი ბიჭი ბოლოს ისევ ჩვენ მოგვიბრუნდა.

ვაიმარის ნახვა გვეჩქარებოდა და ჩვენ უმოკლესი გზა ავირჩიეთ. იგი მარცხნივ სტოვებდა ბერლინიდან სამხერთ გერმანიაში მიმავალ ავტოსტრადას და უძველესი ფეოდალური ქალაქების — ვაისენფელდისა და ნაუმბურგის გავლით ტიურინგიის ტყეებისაკენ მიემართებოდა.

ლაიპციგის სამხრეთ გარეუბანს გავცდით თუ არა, გარს ისევ შაქრის ჭარხლის ნეშოთი გადამწვანებული პლანტაცია შემოგვერტყა. პლანტაციას, რომელსაც კიდე არსაით უჩანდა, წვრილი ფილაქნით მოგებული ვიწრო გზა შუაზე სჭრიდა. ლარივით სწორ გზას ორ-

თავე მხრივ მსხმოიარე მსხლისა და ვაშლის ნორჩი ხეები გასდევდა.

ჭრელჭრელა ტანსაცმელში გამოწყობილი გლეხები გრძელტარიანი ჩეკიებით ჭარხალს თხრიდნენ. სხვებს ძროკუნჭულო გოდრები წამოეკიდათ და ჭირნახულო გზისპირზე გამოჰქონდათ. აზრად არავის მოსვლია, თავი აეწია და გზაზე კისრიტეხით მომავალი წითელი ავტობუსი შეეთვალიერებინა. უფროსებზე ნაკლებ გულგრილობას არც ბალღები იჩენდნენ. ცოტა უფრო მოზრდილები ჭარხლის გოდრებთან ფუსფუსებდნენ, დიდებს გოდრების გადმოპირქვავებაში ეხმარებოდნენ, სულ პატარები კი გორებზე აცოცებულიყვნენ და ზედ წვერზე წამოსკუპებულნი თვალს ადევნებდნენ დედ-მამის, თუ უფროსი და-ძმების მუშაობას.

მინდვრებში, სადაც მოსავალი უკვე აეღოთ, ჯოგად თავშეყრილი ჭრელი ძროხები და ხბოები ბალახობდნენ, მწყემსები არსად ჩანდნენ. გასაკვირი იყო პირდაპირ—ნუთუ აქაური პირუტყვი შაქრის ჭარხლის გემრიელ ნეშოს არ ეტანება?

გზის მარცხენა მხარეს ერთიმეორეს წაება უსწორმასწოროდ ამოთხრილი ვეება სიგრძე-სიგანის ორმოები. ერთი შეხედვით, ორმოები კი არა, უფრო ნამეწყრალები გეგონებოდა.

ჰორსტმა სარკეში დაინახა ფანჯრებზე მიკრული სახეები და სიგარის პლაკუნპლაკუნით მოიხედა —მურა ქვანახშირის საბადოებიაო.

მალე გიგანტური ორმოები უკან დარჩა. მარჯვნივ მუშათა დაბის ფიცრულმა სახლებმა ჩაიქროლეს. მანქანა თავბრუდამხვევი სისწრაფით მიჰქროდა დაცემულ ვაკეზე.

ხანდახან ათ-თხუთმეტ კილომეტრს ისე გაივლიდი, პლანტაციებში კაცის ჭაჭანება არ იყო. იფიქრებდი, ოდესღაც მჭიდროდ დასახლებული ქვეყანა აყრილა და გუშინდელ ნაფუძრებზე შამბსა და მაყვალს უხარებიაო, მაგრამ აი, ჰორიზონტზე განმარტოებული ხეების და მიწაყრილების ბუნდოვანი მოხაზულობანი ამოტივტივდებოდნენ, თანდათან იზრდებოდნენ და მიახლოებისას წოწოლასახურავიანი ქვის სახლებისა და სახლებსშუა აღმართული რუხი კასტიოლის სახეს იღებდნენ.

ეს საქსონური სოფლები იყო. ორმწკრივად ჩამორიგებული სახლები ხანსწორ, ხანაც მიხვეულ-მოხვეულ შუკებს ქმნიდნენ. ქუჩების გასწვრივ, ლამაზი ღობეების გადაღმა, მანსარდიან სახლებს და საოჯახო ნამშრალებს ხეხილით დაჩრდილული პაწია ეზო და ყვავილნარი ამშვენებდა. მანსარდის ფანჯარაში ზაფრანა, ხახვი და ქლიავისა და ლეღვის ჩირის გრძელი აცმები გამოეკიდათ. აქა-იქ სარეცხი შრებოდა.

საქსონური სოფლის სურათი სრული ვერ გამოგივა, თუ ქვის მაღალ კასტიოლზეც არა თქვი ორიოდე სიტყვა. ლაიპციგიდან მოყოლებული გზად ერთი სოფელიც არ შეგხვდება, რომლის შუაგულშიაც დიდი ან პატარა კასტიოლი არ იყოს წამოჭიმული. კასტიოლის სიდიდე და გარეგნული ბრწყინვალება, ალბათ, სოფლის მცხოვრებთა შეძლებაზე ჰკიდია. ამ მხრივ წისქვილი, ეკლესია და სასაფლაო მოგზაურს უტყუარ ცნობებს მოგაწვდიან.

შორიდან კასტიოლი სვანურ კოშკს მოგაგონებს. მაგრამ ახლო მიხვალ თუ არა, უმალვე დარწმუნდები, რომ ამ უკანასკნელს ნამდვილად არა ჰგავს, რადგანაც, ჯერ ერთი, წახნაგოვანი რუხი კოშკი რომელიც, ასე ვთქვათ, დედამიწას ცასთან აკავშირებს, სვანური კოშკივით განმარტოებული როდი დგას. იგი თვით კასტიოლის მთავარი შენობის განუყრელი და დამამთავრებელი ნაწილია. მეორეც — წინაალმდეგ სწორ ოთხკუთხედად ცაში აზიდული სვანური კოშკისა, კასტიოლის კოშკი ზემოთ და ზემოთ საგრძნობლად ვიწროვდება და იმ ადგილას, სადაც, ალბათ, ზარები ჰკიდია, წაწვეტებული გუმბათით მთავრდება.

არეულობა და დიდი გარდაქმნები, როგორც ცნობილია, აქაც მოხდა, მაგრამ ამის გამო კასტიოლები არავის და-

უნგრეთია. აბა რად უნდა დაენგრიათ? შენობა შენობაა, თანაც ასე მკვიდრად, საშვილიშვილოდ აგებული. ღმერთი არ გწამს? დიდი ამბავი — პირველი ათეისტი შენ იქნები! კლუბად გადააკეთე. ესეც არ გინდა? მაშ სათესლე მარცვალი ან კარტოფილი მაინც შეინახე. შიგ თუ ძველი შენობის ახლებურად გამოყენების სხვა გზა ვერ მოგინახავს.

ჰალეს ოლქის პატარა ქალაქ ვაისენფელდში ერთბაშად შევიჭერით. ისევ შუასაუკუნეობრივი ვიწრო ქუჩები, სამ-ოთხსართულიანი ქვის სახლები, ნაცრისფერი მოზაიკური ფილაქანი და სიმშვიდე.

ფილაქნით, მკვიდრი სახლებითა და საარაკო სიმშვიდით, რაც შეუვალი თვითკმაყოფილების შთაბეჭდილებას სტოვებს, დიდი და მცირე გერმანული ქალაქები ერთმანეთს ჰგვანან. ცალ-ცალკე ყველა ნამდვილი ქალაქური ქალაქია, მხოლოდ გეოგრაფიული განფენილობით თუ განსხვავდებიან ერთიმეორისაგან. აქაც მოგინდება დარჩე, იქაც, ვიწრო, მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებში დაუსრულებლივ იხეტიალო და თუნდაც იცხოვრო ორი-სამი წელიწადი...

ჰორსტს გამოცოცხლება დაეტყო. აქეთ-იქით მალიმალ იყურებოდა და წინა სავარძელში კისრამდე ჩაფლულ სტეპანაუსკასს, რაღაცას აჩვენებდა. გარემო შეიცვალა. შორს, სამხრეთ-დასავლეთით, ულრუბლო ცის დასალიერი მთების მუქ-ლურჯი ზოლით შემოიფარგლა.

ასეა ხოლმე, როდესაც შუარუსეთიდან მომავალი მატარებელი ყუბანის სადგურებს გამოსცილდება და, თითქოს სიზმარში, აგერ-აგერ თვალს კავკასიონის ქედის ლურჯ ზეგნებს დალანდავ. მთების შემხედვარე ქართველ კაცს თავი უკვე შინა გგონია და გულისკოვზთან რაღაც გიღიტინებს, ერთ ადგილზე აღარ გაყენებს, ზემოთ გეწევა. ლამისაა გიჟურად გახარებულმა ხმამაღალი ხარხარი მორთო და შენი უცნაური აცუნდრუკებით შეცბუნებული მგზავრები გადარიო.

ნახევარი საათის შემდეგ საქსონიის უკანასკნელი ქალაქი გავიარეთ, მთის კალთას შევუდექით და ჰორსტმა ავშეკავებული ზარ-ზეიმით გამოაცხადა — აწ უკვე ტიურინგიის მიწაწყალზე ვიმყოფებითო.

8

ქვემოთ, დაბლობში, თხმელის ბუჩქებით დაბურულ ჭალაზე, ველის მდინარის ცისფერი კიდე გამოჩნდა და ისევ ძიიმალა. მდინარე წყალუხვი და განიერი იყო, მაგრამ თხმელისა და ტირიფების გაუვალ ბუჩქნარში თითქმის შეუმჩნევლად მიიპარებოდა.

თავი ზღაპარში გვეგონა. მდინარის გაღმა, ციცაბო კლდის წვერზე, ჭალას წითელი აგურითა და გრანიტით ნაგები უძველესი ფეოდალური ციხე-დარბაზი გადმოჰყურებდა, მოპირდაპირე მთაზე კი ქარის წისქვილი იდგა და იმის გოლიათურ ფრთებს სიო ნელი რონინით ატრიალებდა.

გზა ხეხილის ბაღებში შევიდა. მდინარე ზაალე — ის, რომელიც წეღან დავინახეთ, სწორედ ამ ბაღის ბოლოში უხმაუროდ მოიზლაზნებოდა და ლაქვარდ ცაში ატყორცნილი ციხე-დარბაზის სალკლდოვან საძირკველს ლოკავდა.

მალე გამოჩნდა ტიურინგიის პირველი ქალაქი — ნაუმბურგიც.

საერო არისტოკრატიის ქვეშევრდომი ფეოდალური ქალაქებისაგან განსხვავებით, ნაუმბურგი ადრეულ შუა საუკუნეებში ეპისკოპოსს ეკუთვნოდა. ქალაქის შუაგულში, ბაზრის მოედანზე, დღესაც ხელუხლებლივ დგას სამნავიანი მაღალზე მაღალი კასტიოლი — მეთორმეტე საუკუნის ხუროთმოძღვრების ძეგლი — აქაური ეპისკოპოსის საკათედრო ტაძარი.

მდორე ზაალე ჭალებში დავტოვეთ და გზას სულ ზევით და ზევით გავყევით. იენამდე შვიდი კილომეტრიღა დაგვრჩა, ხუთი, სამი...

იენა...

ეს ის ადგილია, სადაც აღმოსავლეთის დასაპყრობად წამოსულმა ნაპოლეონ

ბონაპარტემ პრუსიის უზარმაზარი არმია სასტიკად დაამარცხა და იენასთან მოპოვებული წარმატებით ფრთებშესხმული კიდევ უფრო დარწმუნდა საკუთარ უძლეველობაში.

წითელი მზე უკვე საშუადღეოზე იყო ასული, როცა ავტობუსი ქალაქის მთავარ მოედანზე, ერთი მაღალი შენობის წინ, სხვა ცარიელი ავტობუსების და მსუბუქი მანქანების გვერდით გაჩერდა. შემდეგ შევიტყეთ, რომ ეს არცთუ ისე დიდი, ქვის მკვიდრი შენობა, მეცხრამეტე საუკუნის უახლესი სტილით აგებული, უნივერსიტეტის მთავარი კორპუსი იყო. აქ ასწავლიდა ფრიდრიხ შილერი.

იენის ქუჩების მეტი წილი ფერდობებზე აკოლიკებულა. ვაკე მხოლოდ ცენტრალურ ქუჩებს უკავია. იენა ძველებურ ცირკსა ჰგავს. ხალისიანი კიდურა უბნები ჩაღრმავებულ შუაგულს წითელ-ყვითელ-მწვანე ფერებში აცურებული ამფითეატრებიდან გადმოსცქერიან.

უნივერსიტეტის მოგრძო შენობის უკან ქალაქის ძველ კედელს წავადექით. სუროთი და შქერის ბუჩქებით გადავლილი ეს აგურის მაღალი კედელი, რომელიც ქალაქის შუაგულს ზემოდან დაგორებული ლოდებისა და ნიაღვრებისაგან იფარავს, ზემოიმერელი ფეოდალის თავად გიორგიტა წერეთლის ბურჯებიან ყორეს მივამგვანე. ყორე, თუმცა ნახევრად დანგრეული, საჩხერის ზემოთ, ფერდობზე, დღესაც არის და ხელოვნურად მოვაკებული მწვანე ეზოს ქვედა მხარეს ჯერ კიდევ საიმედოდ იჭერს. გამრჯე გლეხკაცის ხელით მოვაკებულ ეზოს ჩემს პატარა ბიჭობაში დიდრონი კაკლები ამშვენებდა. სადღაა მოდინახის ტიტველ ფერდობზე ვაივაშით გახარებული ის კაკლები, რომელმა მსახვრალმა ხელმა გაიმეტა მოსაჭრელად.

სამაგიეროდ, იენის მამაპაპურ კედელს ახალ თაობებშიც მრავალი პატრონი და მოჭირნახულე გამოსჩენია. დანგრევის მაგიერ კედელი მზრუნველი ხელით შეუკეთებიათ და ისიც კვალინდებური თავდაბლობით ასრულებს ძველ დანიშნულებას.

ლიტველმა ბიჭმა ავტობუსიდან გამოსვლის წინ გამოგვიცხადა, აქ მხოლოდ შესასვენებლად ვჩერდებითო და როგორც კი ქალაქში მიხედ-მოხედვის ორმოციოდე წუთმა გაიარა, ისევ საკუთარი სახლივით შეჩვეულ წითელ ავტობუსს მივაშურეთ. ჰორსტი უკვე მანქანის ღია კართან იდგა, ინგლისურ სიგარას აპლაკუნებდა და დაღლილობისაგან ტანდამძიმებულ მანდილოსნებს კიბეზე ასვლაში ეხმარებოდა.

მანქანა აღმართს შეუდგა. ვისაც ჭიათურაში წყალსადენის კოშკიდან ზემო რგანისაკენ უმგზავრია, ამ აღმართსაც ადვილად წარმოიდგენს. ქალაქის ქუჩები მოაგარაკეთა ეზოებმა და სხვადასხვაფერად შეღებილმა ფიცრულმა სახლებმა შესცვალა. გზა ნაძვნარში შევიდა და ირგვლივ თანდათანობით ჩამობნელდა. ხშირ ტოტებში მხოლოდ ხანდახან თუ გამოატანდა საშუადღეოდან კარგა ხნის გადახრილი მზის სხივი. ტყეში პირველყოფილი სიჩუმე იყო, მხოლოდ ჩიტები ჭიკჭიკებდნენ. ერთი ორჯერ ზემოდან მომავალი მანქანა შემოგვხვდა და გზის სივიწროვის გამო ორივეჯერ განზე გადავდექით.

ეს ადგილები მეცნობოდა. თითქოს იმერეთის პაწია მდინარის—ჯრუჭულის ხეობას საკალმახოდ აყოლილი გაუვალ წიფლნარში გზას ცხრაწყაროსაკენ მივიკვლევდი. სულ მეგონა, ქვემოთ, ხეობაში, ფრიალო კლდეებზე გადმოკიდებული გიჟმაჟი მდინარე მოშხუისმეთქი. მერე გამოირკვა. რომ მთებისა და კლდეების სიახლოვით გაფიცხებული ზაალე მარცხნივ დაგვეტოვებინა და ჰარცის მთების აღმოსავლეთი კალთებით სულ სხვა მხარეს მივდიოდით.

ჩამობნელებული ნაძვნარი საკვირველი სანახავი იყო. მკათათვის დიდი სიცხეების დროს აქ, ალბათ, მთელი ტიურინგიის ქალაქების მოსახლეობა იყრის თავს. გარშემო უკეთესი დასასვენებელი ადგილი არსადაა.

ლეონასმა რეპროდუქტორი ჩართო და მიკროფონი პირთან მიიტანა.

ახლა ავტობუსი სწორედ იმ ადგილებს სტოვებდა, სადაც იენის ფიჭვნარში სასეირნოდ გამოსული გოეთე და ბეთჰოვენი ჰერცოგ კარლ ავგუსტის ოჯახს გადაეყარნენ...

გამოჩნდა საგზაო წარწერები—ვაიმარამდე ამდენი და ამდენი კილომეტრია. წარწერები მთელი გზის მანძილზე გვხვდებოდა, მაგრამ იენიდან გამოსვლის შემდეგ საგანგებოდ გახშირდა.

ვაიმარისაკენ გერმანიის ყოველი კუთხის გზა მიემართება. რომელ გზასაც არ უნდა დაადგე, ყველგან ამოიკითხავ ამ წარწერას: ვაიმარამდე ამდენი და ამდენი კილომეტრია.

ვაიმარი გერმანიის რომია, სადაც ქვეყნის ყველა გზა და ბილიკი თავს იყრის...

აღმართს თავდაღმართი მოჰყვა და წინ ისევ შაქრის ჭარხლითა და ბორცვებზე გაშენებული ვენახებით აფერადებული ველი გადაიშალა. მოპირდაპირე ლურჯი მთის თხემზე თითქმის ცისკიდურთან, მეგზურმა რაღაც შავი წერტილი დაგვანახა. წერტილი წუთწუთობით იზრდებოდა და, როდესაც ხუთი-ექვსი კილომეტრი კიდევ გავიარეთ, მაშინ თვალნათლივ გამოჩნდა, რომ ეს უსიერ მთაზე აშენებული განმარტოებული კოშკი იყო—ბუხენვალდის სამრეკლო...

დაბლობში, ვერცხლისფრად აციმციმებული ილმის პირას, ჩამავალ მზის სხივებზე უთვალავი სახურავებითა და ფანჯრის მინებით ბრწყინავდა ვაიმარი.

სამხრობის ჟამს ქარი ამოვარდნილიყო და ავტობუსის ჩაგმანულ ფანჯრებს გამეტებულად აწყდებოდა.

მოტორის მონოტონურ გუგუნს უცებ რაღაც მძლავრი, მაგრამ ყრუ, შორეული ხმა გამოეყო. ყური კარგად მივუგდეთ. ახლა კი გარკვევით შემოგვესმა: ვაიმარის მხრიდან მონაბერ ქარს ზარების შორეული გუგუნი მოჰქონდა. არა, რამდენიმე ზარის ხმას არ ჰგავდა, ხმა მხოლოდ ერთი ზარისა უნდა ყოფილიყო, მაგრამ ის ერთი ზარი თუ დაფდაფი თითქოს შიგ დედამიწის გულში ისე სევდიანად და ყრუდ გმინავდა, იმის გამგონეს ძარღვებში სისხლი გაგეყინებოდა.

— ბუხენვალდის სამრეკლოს ზარს არისხებენ,—თქვა ლეონასმა მიკროფონში და მხოლოდ მცირე დუმილის შემდეგ დაუმატა: —ალბათ, ერების ხეივანში უცხოელები გამოჩნდნენ. ამნაირი წესია...

9

ვაიმარის ხილვით გამოწვეული სიხარული წინასწარვე მოწამლული იყო. ტიურინგიის ბაღებსა და ვენახებში შესულთ გზად ბუხენვალდის ზარი მიგვაცილებდა. ბუხენვალდი —ფაშისტების მიერ მოწყობილი სიკვდილის ბანაკი—ზემოდან ურცხვად გადმოსცქერის კაცთმოყვარე ვაიმარს...

მაგრამ დადგა წუთი, როდესაც ესეც კი მიგვავიწყდა.

ჩვენს წინ ნაყოფიერ ველზე გაშლილი, აქეთ-იქით მწვანე გორაკებსშუა მოქცეული ვაიმარი ამოტივტივდა.

წვერწაწვეტებული კასტიოლებით აჩონჩხილი ქალაქი სალაშქროდ აშლილ გვარდიას მიაგავდა. ჩაფხუტჩამოფარებულ, მუზარადაბრწყინებულ ესკადრონებს—მკაცრ გეომეტრიულ ფიგურებად დალაგებულ სახლებს—ხელთ ლაპლაპა შუბები—კასტიოლთა წახნაგოვანი კოშკები ეჭირათ და იერიშის დაწყების წინ ჰერცოგის ნიშანსღა ელოდებოდნენ....

მანქანა ბაზრის მოედანზე, სასტუმრო „ელეფანტის“ წინ გაჩერდა.

სამხრეთისაკენ საგრძნობლად დაქანებული მოედნის მარცხენა მხარე მთლიანად ქალაქის ძველ რატუშას უჭირავს. მარჯვნივ ჰერცოგ კარლ ავგუსტის ციხე-დარბაზებია მაღალი კოშკითურთ. იგი ბრტყელი კრამიტით გადახურული ციცაბო სახურავების ზემოთ ვაიმარის ყოველი კუთხიდან კარგად მოჩანს. მოედნის ჩრდილო კიდე ერთიმეორეზე გვერდის კედლებით მიბჯენილ პირველხარისხოვან სასტუ-

მროებს „ელეფანტს“ და „პარკ ჰოტელს“ უკავია.

სასტუმრო თავისი თეთრი მარმარილოს კიბეებით, იატაკზე დაფენილი ძვირფასი ხალიჩებით, ჩინებულად მოვლილი სუფთა დერეფნებით, ჰოლებით და საცხოვრებელი ოთახებით თუმცა ინტიმურ განწყობილებას ქმნის, თბილისის, ბათუმის, მითუმეტეს მოსკოვის, კიევის თუ ტაშკენტისა და დუშანბეს სასტუმროებთან შედარებით მაინც მოძველებულად და მოუწყობლად გამოიყურება. ბერლინის „ალბრეჰტსჰოფისა“ არ იყოს, წყალი თვით საცხოვრებელ ოთახებშია გამოყვანილი. პაწაწინა სააბაზანოში მარტო შხაპი მოუწყვიათ და ვენტილაციის უქონლობის გამო შიგ იმისთანა შმორის სუნი ტრიალებს — გიჯობს ახლოსაც არ გაეკარო.

ეს ყველაფერი ორი-სამი და იქნებ მეტი საუკუნის წინათაა აგებული. ძველის ახლებურად გადაკეთებას, ცხადია, ახლის აშენება სჯობს ხოლო დასანგრევი და ხელახლა ასაშენებელი ამ სასტუმროებს ჯერ მაინც არაფერი სჭირთ.

„ელეფანტს“ დიდებული რესტორანი აღმოაჩნდა. სასტუმროს პირველი სართული თითქმის მთლიანად რესტორნის რამდენიმე დარბაზს, სამზარეულოს და სხვა დამხმარე სათავსოებს უჭირავს. დიდ დარბაზში სანაქებო სუფრა გაგვიშალეს. რომ იტყვიან, ჩიტის რძეც არ აკლდა. ოღონდ ეგაა, სამხრეთელი კაცისათვის არცთუ ისე ადვილი შესაგუებელია აქაური სასმელ-საჭმელი. ხორციან კერძებს მარილი და სიცხარე აკლია. პური გამომშრალია და ძველი, თითქმის ობმოკიდებული, რამდენიმე საათით ადრე სჭრიან, რომ სუფრის გაშლამდე როგორმე გამოშრობა მოასწროს. სვამენ გემრიელ ლუდს, ზომიერად, ჩაის და ხილის წყლებს, ხანდახან დამტკბარ ღვინოსაც. ბოლოს მოაქვთ ხილი—მსხვილმარცვლიანი დამკრახული ყურძენი ან სიმწიფისაგან მთლად დარბილებული ყვითელი მსხალი.

საღამოობით, შაბათს ან კვირას, რესტორნის დიდი დარბაზიდან სკამებს და მაგიდებს გაიტანენ და იქ—ცეკვებს იმართება. მთელი ვაიმარის ახალგაზრდობა „ელეფანტშია“ თავმოყრილი. მუსიკა გვიან ღამემდე უკრავს. ცეკვით, სასმელით, გატეხილი ღამითა და სიყვარულით გაბრუებული ქალ-ვაჟები მშობლიური ქალაქის ქუჩებს განთიადისას აედევნებიან...

სუფრას ოცი-ოცდაერთი წლის მოხდენილად გამოწყობილი კელნერი და ორიც ასევე ახალგაზრდა ფროილაინი ემსახურებოდა.

აქაური ხალხის თვალტანადობა საგრძნობლად განსხვავდება ჩრდილოეთის სოფლებისა და ქალაქების მცხოვრებთა გარეგნობისაგან. აქ მზეა და მისი მხურვალება ადამიანებს თითქოს ძარღვებში ჩაღვრია. ხორცსავსე, ცისფერთვალება და რძისა და ღვინისფრად ღაწვებატკეცილი გრეტჰენები ყოველ ნაბიჯზე შეგხვდება.

დილით ჰორსტი აღარ გამოჩენილა. ვაიმარი პატარა ქალაქია და იმისი ქუჩების შემოსავლელად სახლისოდენა ავტობუსი როდი იყო საჭირო.

მარკტ პლაცზე მარცხნივ მოვუხვიეთ და ვიწრო ქუჩამ, სადაც მხოლოდ წყვილცხენშებმული ეტლები თუ აუვლიდნენ გვერდს ერთმანეთს, მეორე ასეთსავე მოედანზე გაგვიყვანა. ამ პატარა მოედნის ცალ მხარეს რკინის ბოძგინტებზე გამართული ვაზის ტალავერი ამშვენებდა, მის პირდაპირ კი იქაურობას კარგა მოზრდილი მანსარდიანი სახლი გადმოჰყურებდა.

ამ სახლში სიცოცხლის საუკეთესო წლები გაატარა იოჰან ვოლფგანგ გოეთემ და, დღიდან პოეტის გარდაცვალებისა, იგი გერმანიის ეროვნულ მუზეუმადაა გამოცხადებული.

გოეთე ვაიმარში სულ ახალგაზრდა მოვიდა. პოეტის ყმაწვილი მეგობარი, შემდეგ ვაიმარისა და მთელი ტიურინგიის განმგებელი ჰერცოგი კარლ ავგუსტი ხელოვნებისა და ლიტერატურის მოყვარული დედის კვალს გაჰყვა—სი-

ცოცხლის უკანასკნელ წუთამდე მუზებს მფარველობდა.

რამდენიმე წლით უფროს, ღრმად განათლებულ და ზეგარდმო ნიჭით დაჯილდოებულ ფოლფგანგ გოეთესთან ყმაწვილი ჰერცოგი განსაკუთრებული მეგობრული გრძნობებით და თითქმის ბავშვური თაყვანისცემით იყო დაკავშირებული. ადრე დაობლებულ ბიჭუნას, რომელიც ჭკვიანი და მოყვასის შემბრალე დედის ფრთებქვეშ იზრდებოდა, უდროოდ გარდაცვალებული მამის ალერსი აკლდა და გოეთე—სიყრმის უფროსი მეგობარი—ჭაბუკის მწუხარე სულს მფარველ ანგელოზად მოევლინა

ამ დროს ვაიმარი ერთი პაწაწინა ფეოდალური ქალაქი იყო, ნახევრად სოფლური ყაიდისა, თუმცა მისი სახელი უკვე მთელ გერმანიაში გაისმოდა. ოდესღაც აქ დიდი გერმანელი მხატვარი ლუკას კრანახ-უფროსი ჩამოვიდა. ცოტა მოგვიანებით ვაიმარის ჰერცოგმა ვილჰელმ ერნესტმა ქალაქში ოპერის თეატრი დააარსა, და კარის ორგანისტად ლაიპციგის მცხოვრები იოჰან სებასტიან ბახი მოიწვია.

ბახი სასტუმრო „პარკ ჰოტელის“ მეზობელ სახლში ცხოვრობდა, ბაზრის მოედანზე.

გოეთეს მეგობრის — ჰერცოგ კარლ ავგუსტის დედა ბრაუნშვაიგელი პრინცესა ანა ამალია ადრე დაქვრივდა და ჯერ მთლად ახალგაზრდა ქალი იძულებული გახდა მცირეწლოვანი კარლის რეგენტობა ეტვირთა. რეგენტის სასახლე მხატვრების, თეატრალების, კომპოზიტორების და მუსიკოს-შემსრულებლების თავშესაფრად და შეხვედრის ადგილად იყო გადაქცეული.

ვოლფგანგ გოეთემაც სწორედ იმხანად გადააბიჯა სტუმართმოყვარე სასახლის ზღურბლს.

პოეტის სახლი გარეგნული ბრწყინვალებით როდი იქცევს მნახველის ყურადღებას. ჩვეულებრივი ორსართულიანი შენობაა და ვაიმარის სხვა სახლებისაგან თითქმის არაფრით გამოირჩევა. მესამე სართულად ბრტყელი კრამიტით დახურული ფანჯრებიანი მანსარდი ადგას. სადარბაზო შესასვლელი ახლა ჩაკეტილია. შენობის მარცხენა ფრთის ქვეშ ჩადგმულ ჭიშკარს ფილაქნით მოგებულ ეზოში შეყავხარ. მარცხნივ ორი თუ სამი ოთახია მეჯინიბეების თუ ხაბაზების მოსათავსებლად, თვით ეზოში კი, ალბათ, ეკიპაჟებს აყენებდნენ.

საცხოვრებელი ოთახები მეორე სართულზეა. იქ ასასვლელი კიბის ჭერი და კედლები ფერწერული ტილოებით, ჩანახატებით და ბრინჯაოს ქანდაკებებითაა მთლიანად დაკავებული. ხელოვნების ნაწარმოებები, რაც კი გერმანიის ამ ეროვნულ მუზეუმშია გამოფენილი, თვით გოეთეს შეუძენია და თვითეულ ნივთს ადგილიც პოეტის მითითებისამებრ აქვს მიჩნეული. ვაიმარელი ღმერთკაცის, სულიერ მიდრეკილებებს მისი ხელით ნალოლიავები ნივთებიც კი გვაგრძნობინებენ. ყოველი ნივთი, კედლებზე დაკიდებული ფერწერული სურათები იქნება, ბრინჯაოს ქანდაკებები, თაბაშირის ან სპილენძის ბარელიეფები, მინერალების ნიმუშები თუ დაბალი სერვანტების თავზე გამწკრივებული ფაიფური, ამ სახლის პატრონის მისწრაფებათა მრავალმხრივობაზე მეტყველებს.

პოეტს ორი მისაღები ოთახი ჰქონია—დიდი და მცირე. ერთში გოეთე მხოლოდ ახლო მეგობრებს ხვდებოდა. მეორეში კი ყველას შეეძლო შესვლა, ვინც კი რაიმე მიზეზის ან საბაბის გამო პოეტისა და მინისტრის ნახვას მოისურვებდა.

„მუსიკალურ ოთახში“ ახალ ნაწარმოებებს ისმენდნენ. გოეთეს მუსიკა ძალიან უყვარდა და თავადაც ხშირად უჯდა ხოლმე როიალს. ძველებურ, წერწერტა ინსტრუმენტთან, როგორც ულამაზესი ქალის გვერდით, მჯდარა თვით ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი და ირგვლივ გამეფებული სამარისებური სიჩუმე მძლავრი ტრაგიკული აკორდებით დაუმსხვრევია.

მეზობლადაა „პორცელანის ოთახი“,

სადაც სერვანტებში, სერვანტების თავზე და კედლებზე განთქმული ოსტატების ხელით მოხატული ფაიფურის ჭურჭელია გამოფენილი.

„ფერწერის ოთახის“ ოთხივე კედელი მთლიანად გერმანელი ოსტატების ტილოებისათვის დაუთმიათ.

„სასადილოში“, გარდა ოვალური მაგიდისა და სამი ზურგიანი სკამისა, უჯრებიანი განჯინა დგას და ღია თაროებზე ტყავის ყდებში ჩასმული წიგნები აწყვია.

შენობის მარცხენა ნაწილში, სწორედ ჭიშკრის თავზეა მოთავსებული „ქრისტიანას ოთახი“.

თავისი ყმაწვილი ცოლი—ქრისტიანა, ვაიმარელი ხელოსნის უბრალო ქალი—გოეთეს ნაზი სიყვარულით უყვარდა. თითქოს ძველი კეთილი ზღაპრიდან მოვლენილი ქრისტიანა გაუნათლებელი ქალი იყო, მაგრამ ესთეტ პოეტს ხიბლავდა მისი უშუალობა. ამ ადამიანის გვერდით ყოფნა გოეთეს პირველქმნილ ბუნებასთან აახლოებდა და აუწერელ სულიერ ნეტარებას აგრძნობინებდა. უკვე ღრმა მოხუც პოეტს ქრისტიანა გერმანელი ხალხის უბრალოებისა და გულითადობის უწმინდეს განსახიერებად მიაჩნდა.

ყველაზე უმთავრესი რამ, რაც აქაა—მწერლის სამუშაო კაბინეტი—სახლის უკანა ფლიგელშია. შიგ ახლა არავის უშვებენ. მხოლოდ ღიად დატოვებული კარიდან თუ შეიძლება ოთახის დათვალიერება. აქ ყველაფერი ისეა დაცული, როგორც პოეტის სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში იყო.

სხვა ოთახებთან შედარებით კაბინეტი პატარა და, როგორც მე მომეჩვენა, მზენაკლულია. იგი ზედმიწევნით სადაა მოწყობილი და სახლში გაბატონებული ფუფუნების ნიშანწყალიც არ ატყვია. დგას სრულიად უბრალო ხის საწერი მაგიდა, ასევე სახელდახელოდ გამოჩორკნილი სკამი და წიგნების კარადა. ამ წყნარ, სპარტულ საკანში განშარტოებული გოეთე ყოველდღიური ცხოვრების ფუსფუსს სავსებით ეთიშებოდა და ვაიმარის ჰერცოგის მინისტრი და მრჩეველი აქ მხოლოდ პოეტი იყო—პოეზიის ღმერთს მსხვერპლს სწირავდა..

10

ვაზის თალარით დამშვენებულ მოედანზე, რომელსაც ჩრდილოეთის მხრიდან იოჰან ვოლფგანგ გოეთეს მარადსახსოვარი სახლი გადმოსცქერის, დგას კიდევ ერთი, მაღალი ფანჯრებით და სადარბაზო კარით აგრეთვე მოედანზე გამომავალი სახლი, ოღონდ გაცილებით უფრო პატარა და ღარიბული შესახედავი.

ეს პატარა შენობა, უფრო კი შენობის ერთი პაწია ოთახი არანაკლებ ძვირფასი და სანუკვარია გერმანელი ერისათვის, ვიდრე გოეთეს უზარმაზარი სახლი თუ სასახლე.

სახლის მეორე სართულზე ნაქირავებ ოთახში ცხოვრობდა ფრიდრიხ შილერი.

შილერი გოეთეზე გაცილებით უმცროსი იყო და უკვე დაბრძენებულ მეგობარს ჭაბუკი მუდამ თვალებში შესციცინებდა. პირველი შეხვედრის შემდეგ, რაც გოეთეს სტუმართმოყვარე სახლში მოხდა, შილერმა იგრძნო ამ ზეკაცისაგან მოშორებით ყოფნას ვერ შევძლებო და უზომოდ ღარიბმა და ცხოვრების სიდუხჭირით გატანჯულმა ყმაწვილმა კაცმა ეს პატარა ოთახი იქირავა, რათა მეგობართან დღიანღამიანა ახლო ყოფილიყო... ორსართულიანი მანსარდიანი სახლი, მეზობელ ქუჩაზე, მოგვიანებით შეიძინა და ამდენი ხნის ნატვრა—როგორმე საკუთარი ეზოყურე ჰქონოდა—აისრულა.

გოეთეს გავლენიანი პროტექციისა და თავისი მონდომების წყალობით შილერმა ხელი მოიმართა და, თუმცა გვიან, მაგრამ სიცოცხლის მიწურულში მაინც ადამიანურ ცხოვრებას ეღირსა.

ვაიმარის თეატრის სცენაზე ერთიმეორის მიყოლებით დაიდგა შილერის დრამები. შილერის, როგორც დიდი, მეამბოხე პოეტისა და ცხოვრების გაუტანლობაზე შემომწყრალი რაინდის

სახელი უკვე კიდითკიდემდე გაისმოდა მთელს გერმანიაში.

გოეთესთან ერთად შილერს უკვე თავ-თავიანთ ენაზე კითხულობდნენ ფრანგები და ინგლისელები, იტალიელები და ესპანელები, პოლონელები და რუსები...

ტირანიის წინააღმდეგ ამხედრებული დონ კარლოსი ქალაქიდან ქალაქში დააბიჯებდა და მომხრეებს აგროვებდა.

მოცალეობის ჟამს შილერს თურმე ფურთის თამაში უყვარდა. სახლის მეორე სართულზე, სასადილო ოთახში დგას მაგიდა, რომლის გარეშემო ოჯახის ახლო მეგობრები თავს იყრიდნენ და მთელი დღის მუშაობით აღგზნებული შილერი სხვებთან ერთად გატაცებით თამაშობდა, ჭინჭყლობდა, ხმაურობდა, იქაურობას იკლებდა...

სიცოცხლეს მოწყურებულ პოეტს არ დასცალდა მონაპოვრით — სახელითა და ნივთიერი კეთილდღეობით დიდხანს დამტკბარიყო. საკუთარ ჭერქვეშ მხოლოდ ოთხი წელი იცხოვრა და ამ სახლში ფეხი თითქოს იმისათვის შემოსდგა, რომ ორი უკანასკნელი ქმნილება დაეწერა და ბოლოს, მესამე ქმნილების წერისას, გოეთესებურად უბრალოდ მოწყობილ სამუშაო ოთახში წამებით მომკვდარიყო.

ხის დაბალფეხებიანი საწოლი, რომელზედაც ქვეყნის უსამართლობასთან შერკინებულმა პოეტმა სული დალია, კუთხეში დგას, უკანა ოთახში გასავალ კართან. წინ, ფანჯრის მეზობლად, საწერი მაგიდა და ხმარებისაგან აპრიალებული სკამია. მაგიდაზე სანახევროდ ჩათავებული თაბახის ბოლოში დევს კალამზე მელანშემშრალი კალმისტარი...

ტკივილისაგან გაწამებული მომაკვდავი როგორ იფიქრებდა, თუ მზაკვარი ბედი ისე უმუხთლებდა, რომ უკურნებელ სენს ზეზე ვეღარ წამოუდგებოდა და აკანკალებული ხელით ნაწერი ფურცელი ბოლომდე ჩაუთავებელი დარჩებოდა.

კარის მარცხნივ, კედელზე, გიტარა ჰკიდია, გიტარის ქვეშ კი თავახდილი ფორტეპიანო დგას...

ეროვნული ბიბლიოთეკა

11

ორი-სამი კვარტალი გავიარეთ და უკვე ქალაქგარეთ აღმოვჩნდით. ვაიმარს ხომ გარეუბნები და თითქმის ყველა ძველი ქალაქის ხვედრად გაჩენილი ქოხმახები არა აქვს. სახლები ყველგან, ქალაქის შუაგულშიც და განაპირა ქუჩებშიც, ერთნაირია.

გოეთეს განთქმული ცაცხვნარი უკანასკნელ სახლთანვე დაიწყო. ეს კარგა მოზრდილი ტყე აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ წამოქანებულ ზეგანს და ბალახოვან ჭალაშია გაშენებული. ბორცვის ძირას, სადაც ჭალის აქეთა ნაპირი ცაცხვების ჩრდილში იკარგება, მდორედ მოედინება კამკამა ილმი. ატბორებულ ილმში, როგორც ბროლის სარკეში, მოჩანს სამხრეთის ცა და მაღალი, შტოებგაბარდნილი ცაცხვები, რომელთაც შეყვითლებული ფოთლები მხოლოდ აქა-იქ შერჩენიათ. ხრეშით მოსწორებული განიერი ბილიკები ვიღაცის მზრუნველ ხელს სუფთად დაუგვია და ყვითელი ფოთლები სამ თუ ოთხ ადგილას ბულულებად მოუგროვებია. ბილიკის გასწვრივ, თვალშეუდგამი ცაცხვების ქვეშ ბულვარის გრძელი სკამები გაუმწკრივებიათ. ახალგაზრდა დედებს სუფთა ჰაერზე ძუძუთა ბალღები გამოუყვანიათ, სკამებზე მოკალათებულან და ბედნიერნი და გალაღებულნი უფროსი გოგო-ბიჭების თამაშს თვალს აქედან ადევნებენ.

პატარა საცალფეხო ბოგირთან. ილმის პირას, კლდეში მოჩუხჩუხე წყარო ვიპოვნეთ. თითქოსდა შქმერის მთაზე მიწაში ამოხეთქილ ბინულს წავდგომოდე. სიპი ლოდებისაგან შემდგარი ლურჯი კლდე კაცის ხელით ნაკეთებს უფრო მიაგავდა, ვიდრე ნამდვილს. წყარო კი ერთადერთი წყარო იყო, რომელიც კი გერმანელთა მიწაწყალზე ვნახეთ.

ილმი ისე ნელა მოედინებოდა, გეგო-

ნებოდა, არც იძვრისო. ბოგირის ქვეშ, ისე ჰგავდა, წყალი ღრმა უნდა ყოფილიყო.

დღევანდელ ვაიმარში თქმულებასავით მოგითხრობენ ნამდვილად მომხდარ ამბავს. სწორედ იმ ადგილის ქვემოთ, სადაც ქვას და ქვას შუა ობოლი წყარო მოწანწკარებს, საუკუნენახევრის წინათ ვიღაცას ილმში თავი დაუხვრეტია. ცაცხვებში სასეირნოდ გამოსული გოეთე სრულიად შემთხვევით გადაჰყრია სულისა და გულის შემძვრელ სანახაობას.

სამ მარჯვე მყვინთავს ძლივსძლივობით ამოეყვანა უბედური მდინარის ციცაბო ნაპირზე და ზედ წყაროსთან დაესვენებინა.

დამხვრეტილი გოგონა იყო, სულ ახალგაზრდა, თექვსმეტი-ჩვიდმეტი წლისა ძლივს იქნებოდა.

როდესაც დაფეთებულმა დედაკაცებმა გაცივებულ გვამს გულისპირი ჩაუხიეს, იქნებ სასწაული მოხდეს და მოვასულიეროთო, ქალს უბიდან წყლით გაჟღენთილი წიგნი გადმოვარდნოდა. გოეთე თვითონ დახრილიყო წიგნის ასაღებად, აეღო და უმალვე ელდა სცემოდა.

წიგნი „ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი“ იყო.

ამბობენ, პოეტმა მაშინ იგრძნო პირველად, თუ რა დიდი უბედურების მოტანა შეუძლია გენიოსის ხელით დაწერილ წიგნს, უკეთუ იგი, როგორც ხანძარი, მარტოოდენ სიყვარულით ათრთოლებულ გულს წაეკიდა და გონება კი, ყოველის განმეტრეტი გონება მიწისძვრის მიღმა დარჩა.

ილმზე გადებულ ვიწრო ბოგირს გადაივლი და შენს წინ მწვანე მინდორი გადაიშლება. ასწლოვანი ცაცხვებით დაჩრდილული მინვდრის იქითა ბოლოში გერმანულ ყაიდაზე აშენებული წოწოლასახურავიანი ქოხი — ჰარტენჰაუზი დგას. ეს ქოხი კარლ ავგუსტის ბრძანებით აუგიათ და მოწყალე ჰერცოგს ბოლოს იგი გოეთესათვის უჩუქებია.

„ტყის“ ქოხი და მისი შემოგარენი გოეთეს ისე შეჰყვარებია, ერთ მშვენიერ დღეს ვაიმარი მიუტოვებია და საბოლოოდ და საცხოვრებლად აქ გადმოსახლებულა.

იმის გამო, რომ ჯერ ცაცხვები პატარა იყო, ჰარტენჰაუზის ფანჯრიდან მაშინ კარგად მოჩანდა ვაიმარის განაპირა სახლი და იმის უკან წვერით ცაში აჭრილი კოშკი ჰერცოგ კარლ ავგუსტის ციხე-დარბაზისა. კოშკი თუმცა შუა ქალაქშია, მარკტპლაცზე, შორიდან დამნახავს იგი განაპირა სახლის ნაწილი გეგონება.

კუთხის ორსართულიანი სახლი, მანსარდითურთ, შიგ ცაცხვებში გამომავალ ქუჩაზე, ფონ შტაინებს ეკუთვნოდა. აქ ცხოვრობდა შარლოტა ფონ შტაინი, რომელიც იმხანად თავდავიწყებით უყვარდა ოცდაექვსი წლის ჭაბუკ პოეტს...

მთელი ორი დღით სადღაც დაკარგული ჰორსტი დილაადრიან ისევ ვნახეთ. წითელი ავტობუსი მეზობელ ქუჩაზე დაეყენებინა და მკერდმოღეღილი ჰოლში ინგლისური სიგარის პლაკუნ-პლაკუნით შემოვიდა.

ჰორსტის მანქანა იქვე, თეატრის მოედანზე, ანა ამალიას სასახლის წინ გველოდებოდა.

რეგენტის სასახლე შორიდან სწორედ იმით ვიცანით, რომ იმის წინ ჰორსტის წითელი ავტობუსი იდგა.

ჟამთასვლისა სასახლეს არა ეტყობარა. იგი, ვით ძვირფასი მიცვალებული, თითქოს დაბალზამებულია და ქათქათა თავსასთუმალს მძინარესავით მინდობია.

ოდესღაც ეს ალაყაფის ჭიშკარი ღია იყო და აქ, მარჯვნივ და მარცხნივ, სადარაჯო ჯიხურების წინ, ჯაჭვ-მუზარადში ჩამჯდარი შუბოსნები იდგნენ.

კვირის დღეებიდან განსაკუთრებულ სანატრელ დღედ რეგენტის სასახლეში პარასკევი ითვლებოდა. პარასკეობით მრგვალი მაგიდის გარშემო, იკრიბებოდნენ გერმანიის სახელგანთქმული პოეტები და კომპოზიტორები, მხატვრები და მოქანდაკეები სამღვდელო პი-

რნი და ვაიმარის ჰერცოგის სტუმრები. კეთილშობილ სულთა კრებულის სადედოფლოდ ყოველთვის გამოდიოდა ბრაუნშვაიგელი პრინცესა ანა ამალია. რეგენტს თავისი წამოზრდილი ვაჟი კარლიც მუდამ თან ახლდა.

აქ, მრგვალ მაგიდასთან, პოეტები კითხულობდნენ ახალ ნაწარმოებებს, რეჟისორები თანამოძმეთ აცნობდნენ ახალი სპექტაკლების დადგმის იდეას, იყო აზრთა ჭიდილი, შეხლა-შემოხლა. ვინ იცის, რამდენი პარასკევი დასჭირდა „ფაუსტის“ ოდების კითხვას. ამ ოთხკედელშუა გოეთეს ხმა ეღერდა. მას სულგანაბული უსმენდნენ ძლიერნი ამა ქვეყნისა.

ვიდრე თეატრის სცენას იხილავდა, ჯერ აქ უნდა წაკითხულიყო ყოველი ახალი პიესა. მრგვალ მაგიდასთან იჯდა ჭაბუკი შილერიც და თავისებურად სახეწამონთებული დაძსწრეთ ჯერაც მელანშეუმშრალ ბალადებს უკითხავდა. დარბაზი ბროლის ჭაღებით იყო გაჩახჩახებული. ირგვლივ სიცოცხლე და სიხარული მეფობდა...

მოედანზე გამორჩეული ადგილი უჭირავს გერმანიის ეროვნული თეატრის არცთუ ისე დიდ ქვის შენობას. მაღალფანჯრებიანი მეორე თუ მესამე სართულის წინა ნაწილი, ზემოთ რომ სამკუთხოვანი სახურავით მთავრდება, მრგვალ სვეტებზეა დაფუძნებული. ქუჩისპირიდან დერეფანში შესასვლელად ხუთსაფეხურიანი გამწვდომი კიბე უნდა აირბინო.

ამ ადგილას, სადაც დღეს გერმანიის ეროვნული თეატრის დიდებული შენობაა აღმართული, ადრე კომედიის თეატრი მდგარა. მეოთხედი საუკუნის მანძილზე კომედიის თეატრს თვით გოეთე ხელმძღვანელობდა. შილერის დრამები პირველად ამ თეატრის სცენაზე დაუდგამთ.

მრავალი ტრიუმფის მომსწრე თეატრი ერთ მშვენიერ დღეს ბრმა შემთხვევის მსხვერპლი გამხდარა. მსახიობების გაუფრთხილებლობის გამო სცენაზე ცეცხლი გაჩენილა და რამდენიმე წუთის განმავლობაში მთელი თეატრი ისე გულსაკლავად ჩაფერფლილა, საშველად შემოხვეულ მთელ ვაიმარს ამდენ აბრიალებულ ხანძართან მიკარებაც ვერ მოუხერხებია.

კომედიის თეატრის ნაფუძარზე ახალი თეატრის აშენებას სამ წელიწადზე მეტი დასჭირდა.

სახელწოდება „ეროვნული თეატრი“, რომელიც გერმანიაში ერთადერთია, მას აგერ ახლა მიენიჭა. 1919 წლის 11 ნოემბერს თეატრის შენობაში ეროვნული დამფუძნებელი კრება მოიწვიეს. კრებამ ტიურინგიის საჰერცოგო ვაიმარის რესპუბლიკად გამოაცხადა და კონსტიტუცია მიიღო.

პირველი ხანძრის იმ ავადმოსაგონარი დღიდან მოედანს ხანძრები დაეკვება. მეორე მსოფლიო ომის ბოლოს, 9 თებერვალს, როცა უმაგალითო ხოცვა-ჟლეტამ უკვე გერმანიის მიწაწყალზე გადმოინაცვლა, ერთერთი საჰაერო თავდასხმის დროს თეატრი ხელახლა დაინგრა.

ირგვლივ ხანძარი ბობოქრობდა. კვარის ხუხულასავით იწვოდა მანსარდიანი სახლები. მოედნის მარჯვენა კუთხეში ჭურჭლეულობის დიდი უნივერსალური მაღაზიის ჭერი ყურისწამღები გრუხუნით ჩამოიქცა. ხანძრის ენამ ანა ამალიას სასახლის კედლებიც ალოკა და მალე ფანჯრებში ცეცხლშერეული ყომრალი ბოლი გამოიჭრა.

ბომბსაცავებში ჩახიზნული ქალაქი უკაცრიელს მიაგავდა.

კვამლითა და მტვრის ბუღით დაბურულ მოედანზე, რომელსაც სამხრეთის ცხრათვალა მზის მაგივრად ახლა ხანძარი ანათებდა თავისი საზარელი სინათლით, თეატრის წინ, წარბშეუხრელად იდგა ხელი-ხელგადახვეული ორადორი კაცი, იდგა და, თითქოს აქ არაფერი მომხდარაო, გარუჯულ სივრცეს სადღაც შორს გაჰყურებდა.

ორთაგან ერთი — ხანდაზმული — თავისი სიცოცხლის ღვთიურ დანიშნულებაში ღრმად დარწმუნებული კაცი იყო და უმცროს მეგობრისაკენ გაწვდილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაფნის გვირგვინიც მშვიდად და ღირსეულად ეკავა. მეორე მთლად ახალგაზრდა ჩანდა, შეუპოვარი და შინაგანი გზნებით სახეანთებული. მას დიდების გვირგვინი არ ახსოვდა, ფიქრით სულ სხვაგან იყო, მხოლოდ უფროსი მეგობრის ვაჟკაცურ ხელს გრძნობდა მარჯვენა მხარზე და მარტო ერთი წამით ამას თუ გაერინდებინა.

ბრინჯაოს უშიშარი ღმერთკაცები ბრინჯაოსავე მაღალ კვარცხლბეკზე იდგნენ, აბრიალებულ ცეცხლსა და კვამლში გახვეულნი წინ, ომის ხანძრის მიღმა იყურებოდნენ და კვლავინდებური სიფიცხით სჯეროდათ, რომ ტირანიის ნანგრევებზე, ადრე თუ გვიან, კაცთმოყვარეობისა და ძმობის ზეიმი გარდაუვალი იყო.

მოედანი სამ დღეს იწვოდა, სამ დღეს ხრჩოლავდა გამურულ კედლებსშუა ჩახლეწილი იატაკი და სახურავი, მაგრამ ყოვლის გადამბუგავი ცეცხლი აქ ბევრად უფრო ადრე გაჩნდა.

დღით 22 მარტს, ერთი წლით ადრე, ვიდრე მთელი გერმანიის მიწაწყალზე ფაშიზმის სვასტიკიანი დროშა აფრიალდებოდა, ვაიმარის რესპუბლიკა დაეცა.

ტიურინგიის ნაცისტურმა მთავრობამ ვაიმარი, რომელიც მთელ განადგურებულ კაცობრიობასთან ერთად სწორედ იმ დღეს ეროვნული თეატრის შენობაში დიდი გოეთეს გარდაცვალების ასი წლისთავს აღნიშნავდა, თავის რეზიდენციად გამოაცხადა.

ეტერსბერგის მთაზე, წიფლიანში, ახო გატეხეს, გარეშემო ეკლიანი მავთული შემოავლეს და ურჩთა მოსათვინიერებლად საკონცენტრაციო ბანაკის მშენებლობას შეუდგნენ.

ჯერ კიდევ გუშინ პოეზიისა და მშვიდობის ქალაქს შიშის ზარი დაეცა. გაჩაღდა ჩხრეკა და დაპატიმრებანი. დანამდვილებით არავინ უწყოდა, ვის რა მოელოდა ხვალ ან ზეგ.

შემდგომ „ბუხენვალდად“ წოდებული სიკვდილის ბანაკი მალე უკვე მზად იყო და მსხვერპლთა პირველ ნაკადებს ელოდა.

12

თავდაპირველად ბანაკი ურჩი გერმანელებისა და გერმანიაში მცხოვრები ებრაელების მოსათავსებლად იყო განკუთვნილი. ორმოცი თუ ორმოცდაათი გრძელი ფარდული ექვსიათას კაცს ელოდებოდა. ბანაკის დანარჩენ შენობებს და ნამშრალებს მობადრაგე ესესელები და დამხმარე პერსონალი დაიკავებდა.

ფიჭვის გაურანდავი ფიცრებისაგან შეკოწიწებული ორ და სამსართულიანი საწოლებით სავსე ფარდულები დახურვისთანავე ხალხით გაიჭედა. ფაშიზმის აშკარა მოწინააღმდეგენი, ეჭვმიტანილნი და ებრაელები ჯერ მხოლოდ ტიურინგიის პროვინციებიდან და თვით ვაიმარიდან მოჰყავდათ. ერთი წლის შემდეგ, სწორედ მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინადღეს, ფაშისტური წყობილებით უკამყოფილო ქალი და კაცი, მოხუცი და ახალგაზრდა, გერმანიის სხვა კუთხეებიდანაც მორეკეს და ბინად ყველას ფარეხისმაგვარი უფანჯრო ფარდულები მიუჩინეს.

ნორჩი ტყვეები პროტესტს აცხადებდნენ. უბედურებს ჯერ კიდევ გულუბრყვილოდ სწამდათ, რომ ტირანულ სახელმწიფოში ამას რაიმე მნიშვნელობა ჰქონდა. ემუქრებოდნენ ბანაკის ადმინისტრაციას — ასე და ასე ვიზამთ. თქვენს დანაშაულობებს ადამიანის მოქალაქეობრივი ღირსებისა და ჰუმანიზმის წინააღმდეგ ბერლინს ვაცნობებთო. მთელი დღეობითა და კვირეობით შიმშილობასაც კი აცხადებდნენ. ბევრი ებრაელებს ესარჩლებოდა, რადგან მხეცური ანტისემიტიზმი გერმანელი ერის თავლაფის დასხმად მიაჩნდა...

ტყვეთა შორის აქა-იქ ფაშისტების მხარდამხარ ნაბრძოლმა პირებმაც ამოჰყვეს თავი. ეს უკანასკნელნი სხვებზე მეტ გაკვირვებას და უკმაყოფილებას ამჟღავნებდნენ და განა ცუდუბრალოდ:

სამსახურში დაწინაურებულმა თუ დაწინაურების მონატრულმა ამხანაგებმა არ დაუფასეს მათ გაწეული ამაგი და, რათა გზიდან ჩამოეცილებინათ, საკონცენტრაციო ბანაკში ჩასამწყვდევად გასწირეს. ახალი წესრიგის მსხვერპლთა აშმორებულ თავშესაფარში თითქოს ბედის დაცინვით მოხვედრილი გუშინდელი მოიერიშენი მერე და მერე კიდევაც ერიდებოდნენ ნაციონალ-სოციალისტური იდეებისადმი ერთგულების გამომჟღავნებას. მათ უკვე დაიჯერეს, რომ ნაციონალ-სოციალისტური პარტია დამარცხდა გააფთრებულ კლასთა ბრძოლაში და მის ადგილზე სახელმწიფოს განმგებლად სხვა პარტია მოვიდა, ოღონდ ხალხის თვალის ასახვევად ახალი ხელისუფალნი ნაციონალ-სოციალისტური პარტიის დროშასა და დანაპირებს ამოეფარნენ.

მეორე მსოფლიო ომი კარს იყო მომდგარი. ჰიტლერი ფრთას შლიდა და კაცობრიობის წამოსაჩოქებლად ემზადებოდა.

აურაცხელი საომარი ტექნიკისა და სტრატეგიული რესურსების დაგროვების კვალდაკვალ „სულიერად უნდა გაწმენდილიყო“ თვით გერმანელი ერი, ვისაც განგებამ დედამიწაზე მოსახლე სხვა ხალხების განუწყვეტელი ბატონობა არგუნა.

იმპერიის საიდუმლო პოლიციას გერმანია უნდა გაემარგლა ახალი წესრიგის მიმართ მტრულად განწყობილი და მეოყევი ელემენტებისაგან, თუნდაც ამ უკანასკნელთა რიცხვს ქვეყნის მოსახლეობის სამი მეოთხედი შეედგინა, ამით, ასე ვთქვათ, ერი გაეჯანსაღებინა და ხალხის სულიერი ძალები ჰიტლერის ნაჩვენები გზით წარემართა.

ომის დაწყების პირველსავე დღეებში ბანაკს უცხოელ ტყვე ჯარისკაცთა და მშვიდობიანი მოსახლეობის ჯგუფები მოადგა. კარგა ხანმა გაიარა მას შემდეგ, რაც ბუხენვალდის მოსახლეობამ ექვსი ათას კაცს გადააჭარბა. ხალხის ტევა აღარ იყო, ახალი ნაკადები კი მოდიოდნენ და მოდიოდნენ. საცხოვრებელ ფართულებს სულ ხუთიოდე ჰექტარი მიწა ეკავა. ამ ხუთიოდე ჰექტარ მიწაზე უკვე იმდენივე ადამიანისშვილი ცხოვრობდა, რამდენიც ახლანდელ ვაიმარში...

ჰორსტმა ნელა გაატარა წითელი ავტობუსი ქალაქის ფოსტამტის ძველებური შენობის წინ და სიჩქარე გადართო.

აქ აღმართი იწყებოდა.

ახლაღა მივაქციე ყურადღება, რომ წინა სავარძელში ჩაფლულ ლეონასს მიკროფონი ტუჩებთან ახლო მიეტანა და ლიტვურად დამტკბარი რუსულით რაღაცას გვიამბობდა. იმისი ხმა ნაწყვეტ-ნაწყვეტად მოისმოდა ზედ სავარძლის ზემოთ მიმაგრებულ რეპროდუქტორში.

რესპუბლიკის ცენტრალურ გაზეთებს წინადღეს არჩევნების შედეგები გამოექვეყნებინა. ჩვენი აქ ყოფნა თურმე რესპუბლიკის სახალხო პალატის არჩევნებს დაემთხვა.

ლეონას სტეპანაუსკასს ბეჯითი სტუდენტის კეთილსინდისიერებით ამოეწერა საჭირო ციფრები შავყდიან უბის წიგნაკში და ახლა გულდაგულ, თითქოს კარნახის გაკვეთილზე, გვატყობინებდა, რომელი პარტიის რამდენი წარმომადგენელი და კერძოდ ვინ შევიდა რესპუბლიკის ახალ პარლამენტში.

უცხოური გვარების კითხვით გართულმა ჭაბუკმა უცებ უკან მოიხედა, ზეზე წამოვარდა და ხელი მარცხნივ გაიშვირა.

ავტობუსმა დინჯად გაიარა შლაგბაუმი და დაუქმებული რკინიგზის ლიანდაგი ძიგძიგით გადასჭრა.

მარცხნივ სარკინიგზო სადგური და სამგზავრო პარკი იყო.

— აქამდე ეშელონებით მოჰყავდათ, აქედან ფეხით...

ეს ხმა რადიორეპროდუქტორში მოისმა და ყველა უმალვე მიხვდა, ვინც ახსენეს...

გზა სულ აღმართ-აღმართ მიიწევდა ნორჩ ფიჭვნარში. მეხსიერებაში იენის ტყე და ის ადგილი ამოტივტივდა, სადაც გოეთე და ბეთჰოვენი ჰერცოგის ოჯახს გადაეყარნენ. ირგვლივ სწორედ

იქაური მშვიდობიანი სიწყნარე იყო და განვლილ დღეებს გზის ორივე მხარეს გაყოლებული მავთულხლართი თუ მოგაგონებდა.

ახლადმიღებულ ტყვეთა დიდ თუ მცირე ჯგუფებს ეშელონის კარიდან ვიდრე ბანაკის ალაყაფამდე შეიარაღებული ბადრაგი მიაცილებდა, მაგრამ გზა მაინც შეღობილი იყო. ნედლს ხესა და ჩრდილს მონატრებულ ადამიანს ფილაქანს იქით ცხვირიც ვერ უნდა გაეყო.

ნამეტნავად ძალაგამოლეულნი ვაგონებშივე რჩებოდნენ, სადაც სულის უეჭველი ამოხდა ელოდათ, ხოლო იმათ, ვისაც შავი დღისათვის შემონახული უკანასკნელი ღონე ბუხენვალდის გზაზე უმტყუნებდა, განზე გაათრევდნენ და, თუ ამ ძიძგილაობაში სასიკვდილოდ განწირული ტყვე ზეზე არ წამოდგებოდა, ავტომატის მოკლე ჯერით იქვე გაათავებდნენ.

ვაიმარის სარკინიგზო სადგურიდან ბუხენვალდის ბანაკის ალაყაფის ჭიშკრამდე ყოველი ხის ძირი უდანაშაულო ადამიანების სამარეებითაა მოფენილი. ალალბედზე მიმავალ კაცს გული გიფრიალებს, ფეხი არსად წამოჰკრა და ბალახოვანი ბელტის ქვემოდან ადამიანის ძვლები არ ამოჰყარო...

13

ეტერსბერგის მთაზე განსაკუთრებული სიცხადით იგრძნობოდა, რომ შემოდგომა იყო. ფოთოლგაყვითლებული წიფლის ტყე ცეცხლწაკიდებულს მიაგავდა. აღმუვლებული ქვენა ქარი ტოტებს ღუნავდა და სიცივე ძვალრბილში ატანდა. შლეგ ქარს ფრიალ-ფრიალით მოჰქონდა ხმელი ფოთლები და ფილაქნებზე ახვეტილ სილასთან ერთად თვალებში გვაყრიდა. რა უნდა ყოფილიყო აქ ცივ ზამთარში, როცა შემოდგომის დამდეგსაც კი ამისთანა წყეული ამინდია!

პატარ-პატარა ჯიხურებში, რომელთა სარკმელებს, ამ ჭირვეული ქარის გამო, მხოლოდ სტუმრის მიახლოებისას აღებდნენ, ღირსშესანიშნავი ადგილების ფოტოები იყიდებოდა.

მსგავსად გერმანიის მრავალი ძველი სახლისა, ფრიალო კლდის წვერზე გადმომდგარი ფეოდალური ციხე-კოშკებისა და შუასაუკუნეობრივი ქალაქების მთელი უბნებისა, ბუხენვალდიც სამუზეუმო ღირსშესანიშნაობადაა მიჩნეული. ამისთანა ადგილებში ყველგან იპოვნი პაწია ჯიხურს, სადაც თავაზიანი ფროილაინები ამათუიმ ექსპონატის ან ძეგლის მთლიანი ხედის მშვენიერ ფოტოსურათებს შემოგვთავაზებენ. გამონაკლისს, რასაკვირველია, არც შემზარავი ბუხენვალდი წარმოადგენს.

ლარივით სწორი გზა ერთსართულიან უფანჯრო ფარდულებს მიებჯინა. მაღალი საყარაულო კოშკებით საიმედოდ დაცული ალაყაფის ჭიშკარი, რომლის თავზე შესკუპებული საათის ისრები ვიღაცას შვიდისნახევარზე გაეჩერებინა, სწორედ ამ დაყრუებული ფარდულების შუა აღემართათ.

ჭიშკარი, ცხადია, რკინისაა. მას მხოლოდ ბანაკის მორიგე ოფიცრის ბრძანებით და თანდასწრებით აღებდნენ, რათა სისხამ დილით სამუშაოზე მიმავალი ან დაბინდებისას სამუშაოდან მობრუნებული ტყვეების მწყობრი გაეტარებინათ.

თავის დროზე აქ სამმაგი და ოთხმაგი ყარაული იდგა.

ბანაკის ეზოდან გასვლის წინ მწყობრს შეაჩერებდნენ, საგანგებოდ გამოყოფილი დამთვლელები მწკრივებს გადათვლიდნენ და, თუ განწესების ფურცელში ნაჩვენები რიცხვი სინამდვილეს ედრებოდა, მორიგე ოფიცერი ბრძანებას გასცემდა გაეღოთ ალაყაფის ჭიშკარი.

ბანაკის ირგვლივ შემორტყმულ მავთულხლართში მაღალი ძაბვის დენი გადიოდა. მავთულზე უბრალო მიკარება და ცოცხალი არსების სიკვდილი ერთი იყო. ფრთხილი ადმინისტრაცია არც ამას სჯერდებოდა. ბანაკის ოთხივე კუთხეში საყარაულო კოშკები იყო აღმართული. დიდი სიცივეების დროს ავტო-

მატზე ხელებმიყინული გუშაგი ყოველ ნახევარ საათში იცვლებოდა.

გაქცევასა და მიმალვაზე ფიქრი ცოტას თუ ვისმე შეეძლო. ჯოჯოხეთური წამებით სვეგამწარებულ ამდენ ხალხში მაინც გამოჩნდებოდნენ ხოლმე თავზეხელაღებულნი. ბანაკის მომაკვდინებელ ღობეში, თანაც ოთხივე კუთხიკ დაყენებული ფხიზელი გუშაგების შეუმჩნევლად, გაღწევა ყოვლად შეუძლებელი იყო.

მაშ რა ეღონათ?

ოდნავ ხელსაყრელ შემთხვევას ჩაიგდებდნენ და გარბოდნენ ქვის სამტეხლოებიდან თუ გზის მშენებლობიდან, ვენახიდან თუ სათოხრიდან, გარბოდნენ თითო-თითო, ორ-ორი, სამ-სამი, დიდ-დიდ ჯგუფებად...

მაგრამ უცხო ქვეყანაში დედამიწის ყოველი კუთხიდან თავმოყრილ მშიერ-მწყურვალ და ჩაუცმელ-დაუხურავ ადამიანებს როდემდე უნდა ერბინათ ან თავი სად უნდა შეეფარებინათ. გაქცეული ტყვის შემბრალესა და შემფარებელსაც ხომ იგივე დღე ელოდა, რასაც ეს უბედური გამოექცა.

გვიან ღამით მხარგაკრულ ლტოლვილს ფხოწიალით შემოათრევდნენ ბანაკის ჭიშკარში, პროექტორებით განათებული მწყობრის წინ ჩვარივით დააგდებდნენ, ისედაც ძალღონეგამოლეულს სხვათა ჭკუის სასწავლებლად ცემით დაასახიჩრებდნენ და განთიადისას მისივე ხელით გათხრილ საფლავში ჩაკლავდნენ.

თავისუფლების მზეს მოწყურებული კაცის გული მაინც უდრეკი და შეუპოვარი ყოფილა.

მეორე დღეს სხვები გარბოდნენ, გარბოდნენ იმის იმედად, რომ ბედი უეჭველად გაუღიმებდათ და სამშვიდობოს ვინმე გააღწევდა...

ახალ დაბინდებულზე ისევ აენთებოდნენ პროექტორები, ისევ ირწეოდა ნახევრადმძინარე ტანისამოსშემომდნარი, მშიერი ბრბო და გაფართოებული თვალებით მისჩერებოდა ძვალად და ტყავად ქცეულ თანამოძმეთ, ვინც სულ უკანასკნელ წამს, როცა მთელი გასაჭირი თითქმის უკან იყო მოტოვებული, წინადღეს დაღუპულ ამხანაგთა მსგავსად, მდევრის ხელში ჩავარდა.

განთიადისას, სწორედ ბანაკის აყრის წინ, ავტომატის ორი-სამი ჯერი ამცნობდა ფარდულებში მყოფთ, რომ წუხანდელ წამებულთა ტანჯვას ბოლო მოეღო და მთელი ღამის განმავლობაში აძიგძიგებული უღონო ხელებით საფლავს ახლა სასწრაფოდ ავსებდნენ...

ჭიშკარში შევედით და განცვიფრებული მივაცქერდით ტიტველ მინდორს. აქ არცერთი შენობა აღარ იდგა. ბანაკის ეზოს მარცხენა ზედა კუთხეში მოჩანდა მხოლოდ აგურხანის თუ წყალსატუმბი კოშკისმაგვარი რაღაც მრგვალი სახლი და კიდევ ორი მომცრო სახლი ეზოს მარჯვენა კიდის ჩასწვრივ.

ომის უკანასკნელ გაზაფხულზე ბანაკის გალავანში დიდი ხოცვა-ჟლეტა მოხდა. ტყვეები აჯანყდნენ და თავს დაესხნენ ადმინისტრაციას, ასობით თავდადებული ადამიანის წმინდა სისხლის ფასად მობადრაგე ბატალიონები როგორღაც განაიარაღეს და მტერს წინასწარვე მომარაგებული და აქამდე საიდუმლოდ შენახული ტყვიითა და ხიშტით ეკვეთნენ, მაგრამ მთავარი მომაკვდინებელი იარაღი მაინც გულში ბალღამივით ჩაგუბებული სიძულვილი იყო...

ძნელია კაცმა გაიხსენო სხვა ამის მსგავსი შეტაკება. ისინი, ვისაც სიკვდილის მთესველ რეგულარულ ჯარზე იერიში მიჰქონდა, ფეხზე ძლივს მაგრდებოდნენ, ბევრი უკვე სიკვდილის პირას იყო მისული, არამცთუ კაცის, იმათ მოდუნებულ კუნთებს ჭიანჭველის გასრესაც აღარ შეეძლოთ, მაგრამ აჯანყების ხანძარს გულში წლობით ნანატრი შურისძიების ნაპერწკალი გაეღვიძებინა და არაქათგამოლეული ადამიანებიც უკანასკნელი ღონის დაძაბვით ცდილობდნენ როგორმე მხარდამხარ გაჰყოლოდნენ ამხანაგებს და დუშმანის გამარჯვების ამბავი საფლავში ჯავრად არ ჩაეტანათ.

სისხლისმღვრელი ბრძოლა მთელ კვირას გრძელდებოდა.

ამერიკის შეიარაღებულ ძალთა მეწინავე მოტორიზებულმა ნაწილებმა ამასობაში აიზენახს მოაღწიეს, იქიდან აქამდე სულ ერთი ან ერთნახევარი დღის სავალი გზა იყო და აჯანყების მეთაურები იმედოვნებდნენ, ან ახლა მოგვისწრებენ, ან ახლაო. დამყარდა ორმხრივი რადიოკავშირი. აჯანყების მთავარი შტაბი ამერიკელთა სარდლობას დაუყოვნებლივ დახმარებას სთხოვდა. პასუხად ამერიკელი ესკადრილიები მოფრინდნენ და ისედაც ცეცხლის ალში გახვეულ ბანაკს ბომბები დააყარეს. თხრილებსა, ორმოებსა და ესესელების ბლინდაჟებში თავშეფარებული აჯანყებულები განწირული კაცის სიხარულით შეჰყურებდნენ ყომრალი ციდან გამოჭრილ შურისმაძიებელ ბომბდამშენებს. მაგრამ ბომბდამშენი მაინც ბომბდამშენი იყო. მას ყველასათვის სიკვდილი მოჰქონდა...

ბანაკის გალავანში თითქმის ყველა შენობასა და ნამშრალს ცეცხლი ეკიდა. ხანძარმა შთანთქა საძულველი ფარდულებიც...

ათ აპრილს საღამოს სრული ექვსი საათი ან შვიდის ათიოდე წუთი იქნებოდა, როცა ბანაკის ყველა უბანზე ბრძოლა საბოლოოდ შეწყდა. ბუხენვალდის მიდამოებში ესესელთაგან ცოცხალი აღარავინ გადარჩენილა.

აჯანყების მთავარმა შტაბმა ბრძანება გასცა, ვისაც ფეხზე დგომა შეეძლო, თავიანთი ფარდულების ნანგრევების წინ მოგროვილიყვნენ და მწყობრად დამდგარიყვნენ.

დაჭრილ-დასისხლიანებული ადამიანები უხმოდ დაეწყვნენ იქ, სადაც არაერთჯერ მდგარან და იმის გასაგებად თუ ვინ გადარჩა და ვინ თავი დასდო, სიები ამოიკითხეს.

ეს აწ უკვე თავისუფალ ადამიანთა პირველი ამოკითხვა იყო, რომელსაც შეიარაღებული ბადრაგი აღარ ესწრებოდა.

ზარ-ზეიმის წუთებში ბანაკის ალაყაფის ჭიშკრის თავზე საათი გააჩერეს და ამიერიდან იგი შვიდისნახევარს უჩვენებს...

უკანასკნელ ბრძოლას და ბომბარდირებებს მრავალი სიცოცხლე შეეწირა. დანახშირებული ფარდულების გარშემო და თვით ფარდულების ნანგრევებში ადამიანთა ათასობით გვამი ეყარა. ვინ იცის, რამდენი კაცი დაიკარგა უგზოუკვლოდ, რამდენი დაიფერფლა ხანძარში და სანატრელი თავისუფლების მზის ამოსვლას ვერ ეღირსა...

ერთი საათის შემდეგ უთვალავი მოტორის ჭახჭახი მოისმა. თითქოს მიწა იძრა და თავბრუდახვეული გვერდზე გადაქანდა. თუმცა გვიან, მაგრამ ბოლოს მაინც ეტერსბერგის მთაზე ამერიკელი მოტოციკლისტები ამოვიდნენ.

14

ბუხენვალდს ჯოჯოხეთი ერქვა, ამ ჯოჯოხეთის ჯოჯოხეთს კი კიდევ ჰქონდა თავისი ჯოჯოხეთი და განა ორი და სამი. ერთი იმათგანი ახლაც ხელუხლებლად დგას გალავნის მარჯვენა მხარეს და პირდაპირ გიკვირს, აჯანყების დღეებში დაწვას როგორ გადაურჩა. შეიძლება მარტო იმის გამოც, რომ ეს დაბალი, ერთსართულიანი სახლი ქვითა და აგურითაა აშენებული და კარ-ფანჯრის მეტი შიგ დასაწვავი არაფერია.

ნამდვილად სახლი ორსართულიანია, მხოლოდ თავისი თავგადასავლით საზარელი პირველი სართული მთლიანად მიწაშია მოთავსებული.

შენობას რატომღაც რევიერა ერქვა და აქ საექიმო დახმარების გასაწევად შემოჰყავდათ არაადამიანური მუშაობით, სიცივითა და შიმშილით დასუსტებული ტყვეები, ვისაც ბედი იმდენად უმუხთლებდა, რომ ავადაც გახდებოდა.

რევიერაში ანუ ბანაკის სანნაწილში ტყვეთა დიდი და მცირე ჯგუფები სხვა მიზნითაც მოჰყავდათ ხოლმე. ამ შენობის ვიწრო სარკმელები დღისა თუ ღამის ყოველ დროს განათებული იყო, რადგან მუშაობა ერთი წუთითაც არ წყდებოდა.

ეზოში გაძვალტყავებული ადამიანების გრძელი მწკრივი იდგა და ყოველი იქ მდგომი შენობაში შესასვლელად თავის რიგს უცდიდა. ბევრმა არ იცოდა თუ რა ხდებოდა იქ — შიგნით, ბევრმა კი არა, თითქმის არავინ არ იცოდა....

როდესაც ხან ერთ, ხან მეორე და მესამე ფარდულში საექიმო დახმარების მისაღებად წასული ათი-თორმეტი კაცი უკან აღარ დაბრუნდებოდა, ადმინისტრაცია სხვათაშორის გამოაცხადებდა — საშიში გადამდები სნეულება აღმოაჩნდათ და ყველა საავადმყოფოში მოვათავსეთო.

ხანდახან ასეც ხდებოდა: დილის ამოკითხვაზე გამოაცხადებდნენ, ხალხის ნაწილი სხვა ბანაკში უნდა გადავიყვანოთ და ვინც წასვლის მსურველია. ათი ნაბიჯით წინ გამოვიდესო.

მოხალისეები ცალკე გაჰყავდათ. იწყებოდა „საექიმო შემოწმება". საექიმო შემოწმების დროს რივიერის წინა ოთახში ბანაკის სასულე ორკესტრი უკრავდა. იქნებ ბევრს უკვირდა კიდეც, ორკესტრი რა შუაში იყო ან ასე განუწყვეტლივ რად მოსდევდა მარში მარშს და მემუსიკენი თუნდ ერთი წუთით, სულის ამოსათქმელად, რად არ ისვენებდნენ.

სხვა ბანაკში გასაგზავნი ტყვეები წინაკარში თითო-თითო შეჰყავდათ. აქედან ისინი უმალვე მოდევნო ბნელ ხაკანს გაივლიდნენ და თერაპევტის კაბინეტში მოხვდებოდნენ. ძალაუნებურად ყურადღებას არავინ აქცევდა თუ რად იყო აქაურობა წითელი საღებავით შეღებილი და აშკარად ნასვამ ექიმსაც თეთრის მაგიერ წითელი ატლასის ხალათი რატომ ეცვა.

პირის ღრუს მოჩვენებითი გასინჯვის შემდეგ პაციენტს კედლისაკენ მიუთითებდნენ და ისიც სიმაღლის გასაზომ ხელსაწყოზე უნდა შემდგარიყო. ხელსაწყოზე ზურგის მიყრდნობა, თავის გამართვა და კეფაში ტყვიის დახლა ერთსა და იმავე წამში ხდებოდა. მკვლელი მოსაზღვრე ოთახის კედელთან იდგა და როგორც კი ნიშანს მიიღებდა, ახალი ზვარაკი უკვე სიმაღლის გასაზომ ხელსაწყოზე დგასო, საიმედოდ მიჩქმალულ ხვრელში, სწორედ განწირული ადამიანის კეფის პირდაპირ, პისტოლეტის ტუჩს გამოჰყოფდა და სასხლეტს გამოშლიდა. წინა ოთახში გაშმაგებით უკრავდა ბანაკის სასულე ორკესტრი, გარეთ კი ფეხზე ჩამოშეშებული ათობით ტყვე, ვისაც ახალ ადგილზე გადაყვანა საოცნებო ფერებით ეხატებოდა, მოთმინებით უცდიდა თავის რიგს...

უკანა ოთახი ნახევრად ბნელი და უფანჯროა. აქ დღესაც დგას რელსებზე შეყენებული ორი ვაგონეტი. ერთიცა და მეორეც გვამების გასატანად იყო განკუთვნილი.

ჯერ კიდევ თბილ სისხლში მოსვრილ ახალ მკვდარს ორი სანიტარი თერაპევტის კაბინეტიდან აქ გამოარბენინებდა და მისივე უბედური ამხანაგების გვერდით ვაგონეტში მოათავსებდა.

რკინიგზა სულ უკანა, მოგრძო დარბაზში გადის. დარბაზი ნათელია. უკანა და ერთ გვერდით კედელში რძისფერი მინის ფანჯრები აქვს ჩასმული.

ვიდრე ამ დარბაზში შემოსული კაცი გონს მოეგებოდე, გაიფიქრებ, წისქვილში ვარო. მერე თანდათან შეამჩნევ, რომ მწკრივად გაყოლებული ხვიმირების მაგიერ აქ აგურით ნაშენები რუხი კონუსებია აღმართული, — დოლაბებიც არაა. კარღია კონუსების სიღრმეში რკინის რაღაც მოწყობილობა მოჩანს. არც საწისქვილო ღელის ხალისიანი შხუილი ისმის საიდანმე. სამარისებური სიჩუმეა. რძისფერ-ფანჯრებიან მოგრძო დარბაზში ყოველთვის სიჩუმე იყო. მხოლოდ ეს ხახადაფჩენილი კონუსები გუგუნებდნენ და დარბაზის შუაბოძზე მიმაგრებული რეომიურის თერმომეტრი კატასტროფულ სიცხეს უჩვენებდა.

კრემატორიუმის საკვამურში, რომლის წვერზე, თითქოსდა აქ არაფერი მომხდარაო, მშვიდობიანად იდგა გამჭვარტლული მეხამრიდი, შავი ბოლი დღიან-ღამიანა ამოდიოდა. თავდაუზოგავად მუშაობდნენ, ადამიანის თბილი

სისხლით მოსვრილ ვაგონეტებს წინ და უკან დააგორებდნენ და სულის შემხუთველი სიცხით გასავათებულ სანიტრებს ოფლი წურწურით ჩამოსდიოდათ.

შენობის პირველ სართულზე, ბნელ სარდაფში, ლიფტით ჩავედით. ვიდრე აქ სიკვდილის ფაბრიკა მძვინვარებდა, ლიფტით მხოლოდ გროვა-გროვა დაყრილი ნატანჯი მიცვალებულები ამოჰქონდათ.

სარდაფი დიდი როდია, მაგრამ თავის დროზე აქ მაინც ხერხდებოდა ასოციასოცდაათი კაცის მოკვლა სამუშაო დღის განმავლობაში.

მსხვერპლთ ხელ-ფეხს გაუბორკავდნენ, პირს სხვისი ნერწყვით გაჟღენთილი ჩვრით ამოტენიდნენ და რკინა-ბეტონის კედელში ჩამაგრებულ კანჯოზე ყულფით დაჰკიდებდნენ.

ზოგი, ვინც მაღალი იყო, ფეხის ჭვინტებით ოდნავ ეხებოდა ცემენტის იატაკს და ხროტინით იხრჩობოდა. ამის შემხედვარე ჯალათი უმალვე ხელს წამოავლებდა ხის კვეჟოს, რომელიც დღესაც ადრევე მიჩნეულ ადგილზე დევს სარდაფის კედელთან და ყულფის ჩქარა განთავისუფლების მიზნით, ყელში თოკწაჭერილ ადამიანს ყვრიმალში შემოჰკრავდა.

მერე და მერე, რადგანაც სიკვდილით ლასჯა უზომოდ გახშირდა, ადგილის სიმცირის გამო თითო კანჯოზე ორ, სამ და მეტ კაცს ჰკიდებდნენ, სისხლით მოთხვრილი ჯალათები არაადამიანური დაღლილობის გამო ფეხზე ძლივს იდგნენ.

ზემოთ გაშმაგებით უკრავდა ბანაკის სასულე ორკესტრი, კრემატორიუმის საკვამურზე კი მშვიდობიანად იდგა გამჭვარტლული მეხამრიდი და ვაიმარისმხრიდან წამოსულ საავდრო ღრუბელს უთვალთვალებდა.

იმათთვის, ვისაც ხელისუფალნი საშიშ დამნაშავედ მიიჩნევდნენ, ალაყაფის ჭიშკართან იდგა ქვითკირის უფანჯრო ფარდული. ის დღესაც დგას.

ფარდული თხუთმეტი ოუ ოცი ბაწაწინა საკნისაგან შესდგება. შუაში კარიდან კარამდე — ფარდულს სუსტად განათებული ვიწრო ტალანი გაუდის. საიმედოდ ჩაგმანული საკნები, სადაც სიკვდილმისჯილებს ამწყვდევდნენ, ტალანის ორივე მხარეს გაუმწკრივებიათ.

საკანში სრული სიბნელე სუფევს. არამცთუ ფანჯარაში, ჭერში ან კედლებში სასულეც კი არ დაუტოვებიათ.

საკანი ისე ვიწროა, კარგი მოსული ვაჟკაცი შიგ მხარს ვერ მოიბრუნებს. სიგრძით სწორედ სამი ნაბიჯი იქნება. დღიან-ღამიანა ზეზე დგომას რომ ვერ გაუძლოს და ადამიანი პირქვე დაეცეს, თავით თუ კარს შეეხო, ფეხებით აუცილებლად უკანა კედელს მისწვდება.

რკინის კარში პატარა სარკმელია დატანებული. სარკმლის გაღება მხოლოდ გარედან შეიძლება. სწორედ აქედან სწვდება საკანს ამქვეყნიური სინათლის ზოლი...

ტყვე დასაკითხავად ცალკე ოთახში გამოჰყავდათ. იქ დღესაც ჰკიდია საიდუმლო პოლიციის ოფიცრის მუნდირი, რომლის მფლობელმაც აქ უკანასკნელად დაჰკითხა ხელისუფლების მიერ საშიშ დამნაშავედ მიჩნეული პირი. ის, ვისი მხარბეჭიც ამ მუნდირს ავსებდა, დიდი ხანია მტვრად იქცა. ტყვეობის აჯანყების მარადსახსოვარ დღეს. მაგრამ ვაი, რომ აღარც ისინი არიან ვისაც ურჩხულის მომაკვდინებელი მზერა შეეხო...

სიკვდილმისჯილის აღსასრული აქვე დგებოდა. ჯალათი რკინის სარკმელს გამოაღებდა, ბინდბუნდში სუსტად განათებულ უმწეო ტყვეს გაუცინებდა, გაფართოებულ თვალებსშუა პისტოლეტს დაუმიზნებდა და სწორედ მაშინ, როდესაც სუნთქვაშეგუბებული პატიმარი გულსაც კი გაიმაგრებდა — მცდიანო, აბა აგრე ადვილად და წარბშეუხრელად კაცის შვილის გამეტება ვისა სმენიაო, პისტოლეტიც დაიგრიალებდა და ვიწრო საკნის ცემენტის იატაკი სისხლით მოირწყვოდა.

ამ საკნებს ბევრი სიკვდილი ახსოვთ. ბევრი ისე მომკვდარა, როგორც ვაჟკაცს შეეფერის, ბევრისათვის მხნეო-

ბას უღალატია და შუბლში ნაძგერები ტყვია ორივე მუხლზე დაჩოქილს მიუღია.

ყოველი საკნის უკანა კედელზე დღეს ოქროს ასოებითაა ამოკვეთილი იმათი სახელები, ვისაც აქ გმირის სიკვდილი ერგო და ადამიანთა მოდგმის ნაძირალების წინაშე ქედი კი არა და არ ძოიხარა...

15

რას აკათებდა აქ დედამიწის ოთხივე კუთხივ მორეკილი ასიათასობით ადამიანი?

ჰარცის მთების წიაღში, თმაქოჩორა წიფლარის ქვეშ, სწორედ ბუხენვალდის საკონცენტრაციო ბანაკში დამწყვდეული ტყვეების ხელით აშენდა საიდუმლო სამხედრო ქარხანა. ქარხანა ზედიზედ დიდ-დიდ ჯგუფებად უშვებდა უპილოტო თვითმფრინავ-ყუმბარა ფაუ-1-ს და ფაუ-2-ს, რომლითაც ლამანშის აქეთა მხარეს, ნორმანდიის ნაპირებზე მოწყობილი გერმანული სასტარტო მოედნები დიდი ბრიტანეთის ქალაქებს ბომბავდნენ. ამ ღვთის რისხვისაგან ხსნა არა ძალას არ შეეძლო. საქმეს ვერც საზენიტო არტილერია შველოდა, ვერც ნახევარი საათის წინ ცაში აჭრილი ავიაგამანადგურებელთა ესკადრილიები. თვითმფრინავი-ყუმბარა გზის გაუმრუდებლად ეშვებოდა იქ, საითაც გაგზავნილი იყო .

ქარხნის მშენებლობა წლების განმავლობაში მიმდინარეობდა და თანაც ისე საიდუმლოდ, რომ მის გარშემო ახლო-მახლო სოფლებისა და ქალაქების მოსახლეობამაც არაფერი იცოდა.

ბანაკში მოყვანილ ტყვეს აქ სამუდამოდ სტოვებდნენ. მას ან ბუხენვალდის რომელიმე აშმორებულ ფარდულში უნდა ამოხდომოდა ტანჯული სული, ანდა ფაშიზმის საბოლოო გამარჯვებამდე აქ უნდა დარჩენილიყო, რათა საკონცენტრაციო ბანაკის ეკლიანი მავთულხლართის იქით გერმანიის სამხედრო მანქანის საიდუმლოება არ გაეტანა.

იმხანად მოკავშირეთა ავიანაწილები და შენაერთები გაფაცეცებით დაეძებდნენ ადგილს, სადაც ეს ყველაფერი უპილოტო თვითმფრინავ-ყუმბარები კეთდებოდა. დღე დღეს მისდევდა, კვირა-კვირას, ძიებას ბოლო არ უჩანდა. ინგლისის ჩაბნელებული ქალაქების თავზე კი ყოველდღიურად, გერმანული სიზუსტითა და დაჟინებით ცვივოდა დიდი დამანგრეველი და ცეცხლგამჩენი ძალის მქონე სამართავი ყუმბარები და მოსახლეობას აწიოკებდა.

იყო ბევრი შემთხვევა, როდესაც თვითმფრინავი-ყუმბარა შემზარავი წივილით გადმოუვლიდა ლა-მანშის სრუტეს, ლონდონში განგაში ატყდებოდა, აღრიალდებოდნენ ორთქლმავლები, ტემზის დოკებში მდგომი გემები, ქარხნებისა და ფაბრიკების საყვირები, ბომბსაცავებში ჩახიზნული ქალაქი გულგახეთქილი უცდიდა გამაყრუებელ აფეთქებას, მაგრამ მატერიკიდან სამტროდ გამოგზავნილი ყუმბარა მიწას თითქმის უხმაუროდ დაასკდებოდა, დაცემისას იქნებ რომელიმე სახლის კუთხეც მოენგრია, ნაცნობ ჰექა-ქუხილს, კი კვლავ ამაოდ უცდიდა ხანძარს, სიკვდილსა და ძრწოლვას შეჩვეული ხალხი...

მაშინ ვინ შეიტყობდა, თუ აფეთქებისათვის უვარგისი ყუმბარა-თვითმფრინავებიც ბუხენვალდელი ტყვეების ნახელავი იყო და საკონცენტრაციო ბანაკში ჩამწვდეული ფრანგები თუ იტალიელები, გერმანელები თუ რუსები, უნგრელები თუ ჰოლანდიელები შორეული ლონდონის უბნებისა და ადამიანების გადასარჩენად საკუთარ სიცოცხლეს სწირავდნენ.

ეს იყო ერთადერთი რამ, რითაც ბუხენვალდის უფლებააყრილ მოქალაქეებს მოსისხლე მტრისათვის ზიანის მიყენება შეეძლოთ.

ეტერსბერგის მთის ულრან ტყეში რამდენიმე საიდუმლო ქარხანა ააგეს. ქარხნების მშენებლობა მრავალ სიძნელესთან იყო დაკავშირებული. მთაზე ფართო სამანქანო გზის ამოყვანა ად-

რე არავის უფიქრია. განა ამას რაიმე საჭიროება მოითხოვდა? ახლა ხომ კეთილმოწყობილი გზა უნდა გაეყვანათ. ხოლო როდესაც ეს ბანაკი შემოიღობა და საიდუმლო ქარხნების ასაგებად ბერლინმა ეტერსბერგის ტყე აირჩია, აღმოჩნდა, რომ საშენი მასალა — უმთავრესად ქვა — მშენებლობის ადგილიდან არცთუ ისე შორს, მთის ჩრდილო დაქანებაზე ბლომად იყო.

წერაქვებითა და ძალაყინებით შეიარაღებული ტყვეთა ათასეულები კლდეებს შეუსიეს. ახლო-მახლო ბორცვებზე საიმპერიო გვარდიის ორი პოლკი განლაგდა და იარაღმომარჯვებული ყოველი ჯარისკაცი თვალს ფხიზლად ადევნებდა, გაქცევას და ნაკაფში მიმალვას ხომ არავინ აპირებსო.

მალე ნაღმები აგრიალდა. კიდევ ცოტა ხანიც და შეუსვენებელი მუშაობით არაქათგამოლელუმა ტყვეებმა ვეება ლოდების მონათხარ ადგილებში საშენი ქვის ხორები ჩადგეს.

ადამიანს, თუნდაც მთლად ღონეგამიხდილს, ბევრი რამ შესძლებია. სათითაოდ ყველა დავარდნილი იყო, მაგრამ შეერთებული ძალით მაინც გაუკეთებელს აკეთებდნენ, დარსა და ავდარში, ჩამოხეულ-ჩამოგლეჯილნი და მშიერ-მწყურვალნი ებრძოდნენ სიპ ქვებს, ამტვრევდნენ, აკოპიტებდნენ, ერთ ადგილას აგროვებდნენ, წაქცეულ ამხანაგს ხელს უწვდიდნენ და თავად ჰაერს ეპოტინებოდნენ წონასწორობის შესანარჩუნებლად.

დილიდან საღამომდე ქვის სამტეხლოში და ბანაკისაკენ მიმავალ აღმართზე ათობით ადამიანი იხოცებოდა. ბევრი ამდენ ტანჯვას ვეღარ უძლებდა და წამით მიწაზე მიწოლილი თავისი დღით კვდებოდა, სხვებს კი შეუბრალებელი ზედამხედველის მათრახი და ტყვია უსწრაფებდა სიცოცხლეს.

ბანაკში ხალხი ისედაც ბევრი იყო. ვაიმარის სარკინიგზო სადგურიდან სულ ახალი და ახალი ჯგუფები მოდიოდა. სად უნდა მოგეთავსებინა ამდენი უსახლკარო და იმპერიის კეთილდღეობისათვის ზედმეტი ადამიანი. და ისინიც ხოცავდნენ, ხოცავდნენ, [illegible] ელად, დიდსა და პატარას, [illegible] ახალგაზრდას, ქალსა და კაცს, ჯანმრთელს და სნეულს, ოღონდ კი ზედმეტი ხალხისაგან თავი დაეღწიათ.

იაფზე უიაფესი შრომა ბუხენვალდის ბანაკში ადამიანის შრომა იყო. ცხენებისა და კამეჩების ადგილზედაც კი ადამიანებს ამუშავებდნენ, რადგან ეს ბევრად უფრო იაფი ჯდებოდა. გარდა ამისა, ტყვეები ცხენებსა და კამეჩებს იმითაც სჯობნიდნენ, რომ ისინი თუმცა უცხო ტომისა, მაგრამ მაინც ადამიანები — მოაზროვნე ცხოველები იყვნენ და თუკი საჭიროება მოითხოვდა, სიმღერაც შეეძლოთ...

სანნაწილის გვერდით, წვრილი ფილაქნით მოგებულ მოედანზე, რკინის დაჟანგებული ფორანი დგას. ფორანი რკინის მაღალ თვლებზეა შეყენებული და ცხვირით მიწაზე დაბჯენილი ხელნაც დაჟანგული რკინისა აქვს.

ეს ის ფორანია, რითაც ტყვეები საშენ ქვას ეზიდებოდნენ. ამნაირი ფორანი თურმე რამდენიმე იყო და მხოლოდ ეს ერთი გადარჩენილა. შიგ ცხენები და კამეჩები არასდროს გაუბამთ. ცხენსაც და კამეჩსაც საკვები უნდოდა. აბა რის გულისათვის უნდა ემტვრიათ თავი თივის საშოვნელად, როდესაც თვით ბანაკში გამწევი ძალის ამოულეველი მარაგი იყო. ტყვეები არც თივას ითხოვდნენ და არც მწვანე კონცენტრატს...

სიპი ლოდებით პირამდე დატვირთულ ვეებერთელა ფორანს, რომლის ადგილიდან დაძვრას, ალბათ, ყევარი ხარ-კამეჩი დასჭირდებოდა, ჯოგად მიხვეული ადამიანები დააგორებდნენ ერთნი მარჯვნიდან უდგნენ ოფლით გალიპულ ხელნას, მეორენი მარცხნიდან, სხვები ფორანს უკანიდან და გვერდებიდან აწვებოდნენ, რათა თუ წინ მიმავლებს მუხლი უმტყუნებდა, აღმართზე ვაივაგლახით ამოგორებული მახინა როგორმე შეეკავებინათ.

ფორანში შებმულ ადამიანებს სხვა

მოვალეობაც ეკისრებოდათ. ქვის სამტეხლოდან მშენებლობის ადგილამდე, და ასე უკან ჩამობრუნებისას, მწყობრად უნდა ემღერათ. უბედურთ სხვა რა ღონე ჰქონდათ — მღეროდნენ. „მომღერალი ცხენების“ ყურება, როგორც მათ ბანაკში ეძახდნენ, ესესელთათვის და მათი უცხო სტუმრებისათვის ყველაზე უფრო სასიამოვნო სანახაობა იყო, რის ნახვაც კი „ამ მიყრუებულ“ ეტერსბერგის მთაზე შეიძლებოდა.

სიმღერის თვითნებურად შეწყვეტა მუშაობაზე უარის თქმას უდრიდა. თუნდ ერთი ხმის უცაბედი ჩაჩუმება მუსიკის მოყვარულ და ბავშვობიდანვე სმენადახვეწილ ზედამხედველებს უმალვე ყურში ეცემოდათ. ჯიკავ-ჯიკავით დაეტაკებოდნენ ჭაპანში გაბმულ, აღმართ-აღმართ მიმავალ ბრბოს და დამნაშავეს ხელდახელ იპოვნიდნენ.

ღონემიხდილი ამხანაგის მოკვლით შეძრული „ცხენები“, ვითომც არ დაენახოთ, რა მოხდა, სიმღერას თუ ხმაშეწყობილ გმინვას განაგრძობდნენ და გოლგოთის ციცაბო აღმართზე თავიანთ მძიმე ჯვარს მიათრევდნენ.

საღამოჟამს მთელი ეს გზა და ქვის სამტეხლოები უპატრონო მკვდრებით და დაჭრილ-დასახიჩრებული მომაკვდავებით მოიფინებოდა. დღისით ვინ გიჟი-გადარეული გაბედავდა მათთვის ხელი ეხლო, დაცემული ამხანაგის მოვლაზე ან მკვდრის დამარხვაზე ეფიქრა! მხოლოდ ეგ იყო, [illegible] გზიდან კი გადაათრევდნენ, რათა [illegible] მისვლა-მოსვლა არაფერს დაეყოვნებინა და ისედაც ზანტად მოღოღიალე „ცხენებს“ გვამი ფეხებში არ გაბლანდვოდა.

მზის ჩასვლის წინ, როდესაც ბანაკის საყვირი დიდსა და პატარას სამუშაო დღის დასასრულს აუწყებდა, გზისპირებს ხორთუმდაშვებული ბულდოზერი ჩამოუვლიდა. ბულდოზერი გოლიათური ძალით მიაწვებოდა სილას, ქვასა და ღორღს, რაზედაც უთვისტომოდ მიტოვებული გვამები ეყარა და ყველაფერს ერთად თავდაღმა წამოაგორებდა. კიდეებწამახული მძლავრი ხორთუმის წინ შავი მიწის მოძრავი გორა აღიმართებოდა და იქიდან მხოლოდ წამისწამ გამოჩნდებოდა ხოლმე ტალახში ამოსვრილი ქალის თუ კაცის უსიცოცხლო ხელი, ქოჩრიანი თავი ან დაფლეთილი ტანსაცმლის ნარჩენები...

ბულდოზერი პირწმინდად მოივლიდა ქვის სამტეხლოებს, გვამებს მიწასთან და როჭკთან ერთად მოაქუჩებდა, ბოლოს ამ უწესრიგო გროვას წინ გაიგდებდა, საკირის მაგვარ პირღია ორმოში ჩააცურებდა და უკანასკნელი დღის ახალ მსხვერპლთ ორ ბარისპირ მიწას სამადლოდ მიაყრიდა.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანო შადური

ლერმონტოვი და ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახი

I. პეტერბურგში

თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ლერმონტოვისა და ალექსანდრე ჭავჭავაძის ნაცნობობის შესახებ არავითარი დოკუმენტური მასალა არ არსებობს, მაგრამ არაპირდაპირი ცნობები, რომლებიც მკვლევარებმა (განსაკუთრებით ი. ანდრონიკოვმა) შეაგროვეს და გააანალიზეს, იმაზე მეტყველებენ, რომ ეს ორი დიდი პოეტი შეიძლება ერთმანეთს ხვდებოდნენ ჯერ კიდევ პეტერბურგში ლერმონტოვის საქართველოში გადმოსახლებამდე.

ცნობილია, რომ 1832 წლის შეთქმულების აღმოჩენასთან დაკავშირებით ალექსანდრე ჭავჭავაძეც დააპატიმრეს და 1834 წლის იანვარში ქ. ტამბოვში გადაასახლეს ოთხი წლის ვადით. მაგრამ ორი-სამი თვის შემდეგ „მისი იმპერატორის უდიდებულესობის“ მიერ შეწყნარებული პოეტი დააბრუნეს პეტერბურგში, სადაც იგი დარჩა 1837 წლის ზაფხულამდე. ალ. ჭავჭავაძის ბიოგრაფიის ეს პერიოდი ყველაზე ნაკლებად შესწავლილია. დღემდე გამოურკვეველია, თუ რას აკეთებდა და ვის ხვდებოდა იგი იმ დროს პეტერბურგში. მოგვეპოვება მხოლოდ შემდეგი ფაქტები (რომლებსაც კავშირი აქვს ჩვენს თემასთან).

1835 წლის 25 ივლისს გრიგოლ ორბელიანი ჩრდილოეთიდან (სადაც იგი გადასახლებული იყო შეთქმულებაში მონაწილეობის გამო) ალექსანდრე ჭავჭავაძის მეუღლე სალომეს სწერდა: „ამას წინათ ვნახე ღენერალ-ლეიტენანტი ბარონი როზენი, რომელიც იყო დივიზიონნის კამანდირად საქართველოში, დიახ, კარგად მიმიღო, გაუხარდა ჩემი მასთან მისვლა. — მიამბო თქვენი ანბავი, კნიაზისა (ალ. ჭავჭავაძისა), რომელიცა ენახა პეტერბურღში, და ბატონისშვილის თეკლის მოსვლა საქართველოში. — მე აქ შევიტყე, ვითომც საქართველოში უნდა იყოს სენატი, და არიან დანიშნულნი სენატორად სხვათა შორის კნიაზი ერისთავი და თქვენი კნიაზი. — მომწერეთ გეთაყვანე სალომე ეს მართალია თუ არა. ეს კი ვიცი, რომ კნიაზი ძალიან კარგათ არის მიღებული პეტერბუღში.[1]

როგორც ჩანს, ცბიერი იმპერატორი ანგარიშს უწევდა ალექსანდრე ჭავჭავაძის უდიდეს ავტორიტეტს და ამიტომ ლმობიერად ეპყრობოდა მას, ხოლო ქართველი პოეტი ცდილობდა ეს მდგომარეობა გამოეყენებინა თავის სამშობლოსა და თანამოაზრეთა საკეთილდღეოდ. ასე, მაგალითად, 1835 წელს ალ. ჭავჭავაძე ცდილობდა შეემსუბუქებინა გადასახლებაში მყოფი გრ. ორბელიანის

წერილს საფუძვლად უდევს ავტორის მოხსენება ლერმონტოვისადმი მიძღვნილ საიუბილეო საკავშირო სამეცნიერო კონფერენციაზე ქ. პენზაში 1964 წლის მაისში.

[1] გრ. ორბელიანი. წერილები, ა. გაწერელიას რედაქციით და შენიშვნებით ტ. I. 1936 წ. გვ. 33.

მდგომარეობა[1]. იმავე წელს მან ნიკოლოზ პირველის თანხმობითა და „თავდებობით“ ხაზინიდან სესხად აიღო 300 ათასი მანეთი ასიგნაციებად 26 წლის ვადით[2]. ალბათ, ალ. ჭავჭავაძე ფიქრობდა საქართველოში მალე დაბრუნებასა და ამ თანხის საკუთარი მეურნეობის გასაუმჯობესებლად გამოყენებას.

მაგრამ პოეტს კიდევ დიდხანს მოუხდა იქ დარჩენა. პეტერბურგში დაწერილია როგორც მისი მიმართვა გრაფ პასკევიჩისადმი ფულის საკითხზე 1836 წლის 16 სექტემბერს, ისევე „საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი და მდგომარეობა 1801-დან 1831 წლამდე“. ნარკვევის ერთ-ერთ ხელნაწერს, რომელსაც ამ რამდენიმე ხნის წინ ჩვენ მივაგენით[3], წამძღვარებული აქვს ალ. ჭავჭავაძის მიმართვა მეფისადმი. მიმართვა დათარიღებულია 1837 წლის 10 მაისით და ძვირფას ცნობებს შეიცავს „ნარკვევის“ მიზანდასახულებაზე. ირკვევა, რომ სწორედ იმ დროს, როცა რუსეთის მმართველ წრეებში ამიერკავკასიის მართვა-გამგეობის საკითხი ირჩეოდა, ალ. ჭავჭავაძემ დაწერა და ნიკოლოზ პირველს წარუდგინა „ნარკვევი“, რათა სწორად გაეშუქებინა ქართველი ხალხის წარსული და ახლანდელი მდგომარეობა და დაეცვა იგი „უსაფუძვლო საყვედურებისაგან“[4].

დოკუმენტურად დადასტურებულია, რომ 1837 წლის ზაფხულიც ალ. ჭავჭავაძემ პეტერბურგში გაატარა. ამ წლის 22 ივნისითაა დათარიღებული მისი „ნარკვევის“ ერთ-ერთ ნუსხაზე მინაწერი მიძღვნა, რომელიც — ინახება ლენინგრადში, მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის არქივში[1]. ივნისშივე ალ. ჭავჭავაძემ ყმობიდან გაათავისუფლა თავის ნიჭიერი ყმა-ჭაბუკი, მომავალი ცნობილი მხატვარი გიორგი ივანეს ძე მაისურაძე. „იმ უჩვეულო წარმატებათა წაქეზებისათვის, რაც მან (გ. მაისურაძემ) გამოიჩინა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ფერწერასა და ხატვაში, ვხედავ რა მის მონდომებას და ნიჭს და მსურს რა ყოველივე ეს განვითარდეს და გაიფურჩქნოს საზოგადო სარგებლობისათვის, ასევე სასარგებლოდ მხატვრობისა, ვჩუქნი მე მას თავისუფლებას“[2],— წერდა ალ. ჭავჭავაძე განთავისუფლების სიგელში. სიგელზე ხელმოწერა მოხდა პეტერბურგშივე 1837 წლის 13 აგვისტოს[3]. აღსანიშნავია, რომ ალ. ჭავჭავაძის მზრუნველობის შედეგად გ. მაისურაძე შევიდა პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში, სადაც კ. ბრიულოვის სახელოსნოში მეცადინეობდა ტ. გ. შევჩენკოსთან ერთად.

აქ ჩამოთვლილი ფაქტები ერთგვარ წარმოდგენას გვაძლევენ ალ. ჭავჭავაძის მოღვაწეობის პროგრესულ ხასიათზე პეტერბურგში 1834-37 წლებში.

ცნობილია, რომ იმ დროს მ. ლერმონტოვიც პეტერბურგსა და მის მახლობელ ცარსკოე სელოში იმყოფებოდა. სამხედრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1834 წლის დეკემბერში მას ანიჭებენ ლეიბ-გვარდიის ჰუსართა პოლკის კორნეტის წოდებას, შემდეგ წელს კი დედა-ქალაქის ერთ-ერთ ჟურნალში იბეჭდება მისი პოემა „ჰაჯი-აბრეკი“, ხოლო საცენზურო კომიტეტში იხილება მისი დრამა „მასკარადი“.

დავუბრუნდეთ საკითხს, ხვდებოდნენ თუ არა ერთმანეთს პეტერბურგში ყოფ-

[1] გრ. ორბელიანი. წერილები ა. გაწერელიას რედაქციით და შენიშვნებით. ტ. I. 1936 წ. გვ. 25.

[2] იხ. საქ. ცენტრარქივი, ფონდი 2, № 3380 ფურც. 16; შეად. ალ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ი. გრიშაშვილის რედაქციით, 1940 წ., გვ. LXV და ი. ენიკოლოფოვის სტატია, „საბჭოთა ხელოვნებაში“, 1940 წ. № 5.

[3] ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი ლენინგრადში, ფონდი 1268, ანაწერი 1(68). № 9, ფურც. 1.

[4] დაწვრილებით ამ საკითხზე იხ. ჩვენს წიგნში „Декабристская литература и грузинская общественность“, 1958 გვ. 504...

[1] Г-IV-299.

[2] შ. კვასხვაძე, გიორგი მაისურაძე, თბილისი, 1958 წ., გვ. 67.

[3] იქვე. გვ. 68.

ნის დროს ლერმონტოვი და ალ. ჭავჭავაძე? როგორც აღვნიშნეთ, ამ კითხვაზე დადებითი პასუხის გასაცემად პირდაპირი ცნობები არ გვაქვს, მაგრამ სპეციალურ ლიტერატურაში გამოითქვა ორი მოსაზრება სათანადო საბუთების მოტანით. პირველი მათგანი ეკუთვნის ირ. ანდრონიკოვს, რომელმაც დაადგინა პრასკოვია ნიკოლოზის ასულ ახვერდოვას შორეული ნათესაობა და ახლო ნაცნობობა ერთი მხრით მ. ი. ლერმონტოვთან, ხოლო მეორე მხრით — ალ. ჭავჭავაძესთან.

პ. ნ. ახვერდოვა იყო რუსი სამხედრო მოღვაწის ნ. არსენიევის შვილი და ენათესავებოდა მ. ი. ლერმონტოვის აღმზრდელ ბებიას ე. ა. არსენიევას. 1815 წელს იგი ცოლად გაყვა თბილისში მცხოვრებ თ. ახვერდოვს, რომლის დედა — ანა ჩოლოყაშვილი მკვიდრი და იყო ალ. ჭავჭავაძის მეუღლე სალომეს დედისა.

პრასკოვია ნიკოლოზის ასული არსენიევა-ახვერდოვა მეტად განათლებული და ნიჭიერი ქალი იყო; გასული საუკუნის ოცდაათიან წლებამდე იგი ცხოვრობდა თბილისში, ალ. ჭავჭავაძის მეზობლად. მას ჰქონდა შინაური პანსიონი, სადაც ალ. ჭავჭავაძის შვილებიც იზრდებოდნენ. (სწორედ აქ გაეცნო და დაუახლოვდა ა. გრიბოედოვი ნინო ჭავჭავაძეს). 1830 წლიდან პ. ნ. ახვერდოვა ცარსკოე სელოსა და პეტერბურგში ცხოვრობდა, მაგრამ ქართველებთან და კერძოდ ალ. ჭავჭავაძესთან ცოცხალი კავშირ-ურთიერთობა არ შეუწყვეტია. დამახასიათებელია, რომ, როცა გრ. ორბელიანი 1831 წლის 11 ნოემბერს პეტერბურგში ჩავიდა, მეორე დღესვე პ. ნ. ახვერდოვას ეწვია. გრ. ორბელიანს თავის დღიურში („მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურღამდის") 12 ნოემბერს ჩაუწერია:

„დილით მოვიდა ღრაფის (სიმონიჩის) სანახავად ბატონიშვილი ლუარსაბ, რომელთანაც წარმადგინა ღრაფმა. აქედამ წავედით ბატონიშვილ ფარნაოზთან... აქედამ წავედით პრასკოვია ნიკოლაევნასთან, რომელიცა განჭვირდა ფრიად ჩემს ანაზდეულად მისვლას".[1]

კიდევ უფრო საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სწორედ პ. ნ. ახვერდოვასაგან შეიტყო ალ. ჭავჭავაძემ თავის დედის გარდაცვალების ამბავი. პ. ახვერდოვამ გადასცა მას თბილისიდან გაგზავნილი წერილიც ამ სამწუხარო ცნობით. ეს ირკვევა ალ. ჭავჭავაძის კერძო ბარათიდან, რომელიც მას 1936 წლის 22 ივნისს გამოუგზავნია ნ. ი. ფალავანდიშვილისათვის.

„მოწყალეო ხელმწიფე თავადო ნიკოლოზ იოსების ძევ, — ვკითხულობთ ამ ბარათში, — პრასკოვია ნიკოლაევნასაგან ვსცან გუშინ ჩემზედ მოწევნილი უბედურება... და თქვენი წიგნიც იმისაგან მივიღე...".[2]

პ. ახვერდოვას მიმოწერა და ცოცხალი კავშირ-ურთიერთობა ჰქონდა როგორც თბილისში და პეტერბურგში მცხოვრებ ქართველებთან, ისევე თავის ნათესავ ელიზავეტა ალექსის ასულ არსენიევასთან (მ. ლერმონტოვის ბებია) და მის ახლობლებთან. ამაზე მეტყველებს ე. ა. არსენიევას წერილი პ. ა. კრიუკოვასადმი, სადაც ნათქვამია: „მე ხშირად ვხვდები დარია ნიკოლაევნას და პრასკოვია ნიკოლაევნას და ყოველთვის თქვენზე ვლაპარაკობთ"[3]. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ბარათი, რომელიც მ. ლერმონტოვს 1836 წლის აპრილში პეტერბურგიდან თუ ცარსკოე სელოდან გაუგზავნია თავის ბებიასთან თარხანში. ამ ბარათში, რომელიც 1948 წელს ი. ანდრონიკოვმა აღმოაჩინა, ვკითხულობთ: „ძვირფასო ბებია, რადგან თქვენი ჩამოსვლის დრო (პეტერბურგში) ახლოვდება, მე უკვე ბინას დავეძებ, კარეტაც შევათვალიერე, მაგრამ მაღალია. პრასკოვია

[1] ქართველი მწერლები რუსეთის შესახებ, შემდგენელი ვ. შადური, 1962, გვ. 427.

[2] ალ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ი. გრიშაშვილის რედაქციით, 1940 წ. გვ. XII.

[3] Литературное наследство № 45-46, 1949, გვ. 650-651.

ნიკოლაევნა ახვერდოვა მაისში აქირავებს თავის სახლს, ვგონებ გამოგვადგეს, ეს კია, რომ შორსაა".[1]

„ამ სტრიქონებით, — ასკვნის ი. ანდრონიკოვი,— შეგვიძლია დამტკიცებულად ჩავთვალოთ მათი ნაცნობობა. არსენიევა და ლერმონტოვი ახვერდოვას პეტერბურგში ხვდებოდნენ. ყოველივე ეს სწორედ მაშინ ხდებოდა, როცა იქ იყო ჭავჭავაძეც... ყველაფერი იმის სასარგებლოდ ლაპარაკობს, რომ ისინი (მ. ლერმონტოვი და ალ. ჭავჭავაძე) ერთმანეთს გაეცნენ".[2]

თუ ი. ანდრონიკოვი თავის ჰიპოტეზებში ზომიერებას იცავს და დაუსაბუთებელ დასკვნებს გაურბის[3], სამწუხაროდ, იგივე არ ითქმის ი. ბალახაშვილზე, რომელიც კატეგორიულად ამტკიცებს, რომ „ალ ჭავჭავაძეს არა მარტო საქართველოზე უსაუბრია ლერმონტოვთან. იგი ლერმონტოვების საოჯახო ალბომებსაც გასცნობია".

თავის სტატიაში „ა. ჭავჭავაძე ლერმონტოვების(?!) ოჯახში", რომელიც ი. ბალახაშვილმა ორჯერ გამოაქვეყნა (პირველად გაზეთ „თბილისში" 1959 წლის 1 აგვისტოს და მეორედ — გაზეთში „მოლოდიოჟ გრუზიი" 1964 წლის 20 ივნისს), იგი ამბობს, რომ 1836 წელს ალ. ჭავჭავაძე გაეცნო ლერმონტოვების საოჯახო ალბომებს და იქიდან გადმოთარგმნა მიხეილ ლერმონტოვის მამის იურის ლექსი, მიძღვნილი მ. ლერმონტოვის დედისადმი და ჩაწერილი ალბომში 1816 წლის 26 აგვისტოს. აი ეს ლექსიც:

Я не скажу тебе люблю,
Всеобщей моде подражая:
Как часто говорят — люблю,
Совсем о том не помышляя.
И слово ли одно—люблю —
В себе всю нежность заключает,
Нет, мало говорить люблю.
Коль сердце тож не повторяет.
Кто часто говорит люблю,
Тот редко любить умеет,
Иной не вымолвит люблю,
А чувством только пламенеет,
Так я не говорю люблю
Хранья молчанье осторожно,
Но верно так тебя люблю,
Как только мне любить возможно.

ალ. ჭავჭავაძეს ეს თხზულება მართლაც გადმოუთარგმნია. ქართულად იგი ასე ჟღერს:

მე შენ არ გეტყვი: გეტრფი!
ვითა სხვანი გეტყვიან.
ბევრი გარწმუნებს — გეტრფი;
გულით კი სხვაგან რბიან.
მხოლოდ ეს ლექსი: გეტრფი!
ნეტა რას ძალსა მქონობს?
ცუდ არს: გეტრფი და გეტრფი,
თუ გულიც არ მიმყოლობს.
ასეთი გეტყვის: გეტრფი,
რომ ტრფობა არ იცოდეს;
სხვამ ნუთუ ვერ გრქვას: გეტრფი
და გულში კი იწოდეს.
ნუ ელი მეც გრქვა: გეტრფი!
დუმილს ვრაცხ უმჯობესად,
მაგრამ მერწმუნე გეტრფი
საზომის უაღრესად.

ეს ლექსი წინათ ალ. ჭავჭავაძის ორიგინალურ ნაწარმოებად იყო მიჩნეული და იგი რუსულადაც კი გადაითარგმნა ნ. რეულის მიერ[1]. ი. ბალახაშვილმა ბოდიში მოიხადა, როგორც თვითონ წერს, „ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეტური შარავანდედის წინაშე, რომ ავტორობის რიდე ჩამოაცალა მისი სახელით გავრცელებულ ლექსს. მაგრამ ამ ლიტერატურულმა ექსკურსმა ლერმონტოვების

[1] ი. ანდრონიკაშვილი. ს ქართველო ლერმონტოვის შემოქმედებაში, თბილისი, 1953 წ. გვ. 73-74.

[2] იქვე, გვ. 74-75.

[3] თუმცა არ შეიძლება დაეთანხმოთ მის შემდეგ მტკიცებას: „უეჭველია, რომ საქართველოში მომავალ ლერმონტოვს ახვერდოვამ წერილები გამოატანა თავის თბილისელ მეგობრებთან—უპირველეს ყოვლისა ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძესთან" (იქვე, გვ. 75). ეს შეუძლებელია, რადგან ალ. ჭავჭავაძე პეტერბურგიდან საქართველოსკენ გამოემგზავრა მ. ლერმონტოვის გადმოსახლების შემდეგ და ამიტომ თვით ალ. ჭავჭავაძეს შეეძლო ახალგაზრდა პოეტისათვის გამოეგზავნინა წერილები თავის თბილისელ მეგობრებთან.

[1] იხ. მისი კრებული „Из грузинских поэтов", 1914, გვ. 181.

ოჯახში ჭავჭავაძის სტუმრობის ფაქტი გამოგვიმჟღავნა, რომელიც, რა თქმა უნდა, ათასგზის უფრო სანუკვარია, ვიდრე ერთი ლექსის ავტორობის საკითხიო".[1]

ეს სენსაციური ცნობა უდავოდ ყურადღების ღირსია. გამორიცხული არაა, რომ ალ. ჭავჭავაძის თარგმანის წყარო ლერმონტოვების ალბომი იყო, მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ ლექსის ორიგინალი იური ლერმონტოვის კალამს არ ეკუთვნის. იგი ფართოდ გავრცელებული საალბომო ლექსია და გასული საუკუნის პირველ ათეულ წლებში ბევრ საოჯახო ალბომში გვხვდება.[2]

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ლერმონტოვების ალბომები დიდიხანია ცნობილია სპეციალისტებისათვის[3], ხოლო ის ლექსი, რომლის ავტორად ი. ბალახაშვილი შეცდომით მ. ი. ლერმონტოვის მამას თვლის, ჯერ კიდევ 1939 წელს მოიყვანა თავის შრომაში მკვლევარმა ვ. მანუილოვმა როგორც XIX საუკუნის დასაწყისისათვის დამახასიათებელი მოდური საალბომო ლექსის ნიმუში.[4]

ამგვარად, შესაძლებელია მ. ლერმონტოვი და ალ. ჭავჭავაძე ერთმანეთს გაეცნენ და ხვდებოდნენ ჯერ კიდევ პეტერბურგში, მაგრამ ამის დამამტკიცებელი საკმაო საბუთები ჯერჯერობით არ გაგვაჩნია. ამ საკითხის საბოლოოდ გასარკვევად და ობიექტური ჭეშმარიტების დასადგენად საჭიროა კვლევა-ძიების გაგრძელება და ყოველგვარი ნაჩქარევი სუბიექტური დასკვნებისაგან თავშეკავება.

[1] გაზ. „თბილისი", 1/VIII 1959 წ.

[2] ზოგიერთ მათგანზე ცნობები მოგვაწოდეს მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის არქივში მომუშავე მკვლევარებმა ე. ნაიდიჩმა და ბ. გრადოვამ.

[3] Исторический вестник, 1881, ტომი VI გვ. 374-376; Иллюстративное полное собр. соч М. Ю. Лермонтова, под ред. В. Каллаша, 1914, ტომი I, გვ. XVI-XVII.

[4] В. А. Мануилов. Семья и детские годы Лермонтова. ჟურნალი „ზვეზდა", 1939 № 9, გვ. 113.

II. 1837 წლის ტრაგედია. ლერმონტოვი ჭავჭავაძეების ოჯახში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავიხსენოთ 1837 წლის ტრაგიკული ამბები, რომლებსაც მჭიდრო კავშირი აქვს საკითხთან ლერმონტოვისა და ჭავჭავაძის ნაცნობობის შესახებ.

როგორც ცნობილია, 1837 წლის 27 იანვარს პუშკინი დანტესთან დუელში სასიკვდილოდ დაიჭრა. ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედო ქალაქს, ხოლო შემდეგ — მთელ რუსეთს. ყველგან შეშფოთებით ლაპარაკობდნენ გულგანგმირული პოეტის ტანჯვასა და ბედზე. 29 იანვარს დღის 2 საათსა და 45 წუთზე შეწყდა მისი გულისცემა, რამაც საზოგადოება დიდად შეაძრწუნა და ააღელვა.

პეტერბურგში მყოფი ალ. ჭავჭავაძეც, ცხადია, მეტად განიცდიდა რუსეთის გენიის დაღუპვას, რომელსაც იგი ადრევე თარგმნიდა და რომელიც, ზოგიერთი ცნობით, 1829 წელს, თბილისში ყოფნის დროს, ჭავჭავაძეებს ეწვია და სამძიმარი გამოუცხადა მათი სიძის ა. გრიბოედოვის დაღუპვის გამო.

გამორიცხული არაა, რომ პეტერბურგში ყოფნისას ალ. ჭავჭავაძე ა. პუშკინსაც ხვდებოდა, რომ დიდი რუსი პოეტის ერთ-ერთ ბარათში. «Ты хотел видеть тифлисского живописца».) რომლის ადრესატი დღემდე გამოურკვეველია, შეიძლება იგულისხმებოდეს ალ. ჭავჭავაძე და გ. მაისურაძე[1]. ცხადია, პეტერბურგში ალ. ჭავჭავაძე წაიკითხავდა პუშკინის „მოგზაურობას არზრუმს", რომელიც 1836 წელს გამოქვეყნდა და რომლის წინასიტყვაობის შავში ნახსენები იყო „თავადი ჭავჭავაძე". ამ შესანიშნავი ნაწარმოების დაბეჭდილ ტექსტში კი პუშკინი გრიბოედოვზე წერდა: „საქართველოში ჩამოსვლისას მან შეირთო ის, ვინც უყვარდა..." ეს ხომ ნათქვამი იყო მის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, ქალიშვილზე და სიძეზე,

[1] შ. კვასხვაძე, გიორგი მაისურაძე. 1958, გვ. 60-66.

რომლის ცხედარს პუშკინი ამიერკავკასიაში შეხვდა!

ახლა კი პუშკინი თვითონ იწვა სიკვდილის სარეცელზე, და ალ. ჭავჭავაძე ხედავდა, თუ როგორ განიცდიდა ამ ამბავს საზოგადოება, როგორი აღშფოთება იგრძნობოდა ყველგან საყვარელი პოეტის მკვლელების წინააღმდეგ. განსაკუთრებით მძლავრად გაისმა ახალგაზრდა ლერმონტოვის ლექსი „პოეტის სიკვდილზე". მასში გასაოცარი ძალითა და ენერგიით იყო გამოსახული ხალხის ზიზღი და აღშფოთება ჯალათების წინააღმდეგ. ლექსი ისეთი სისწრაფით გავრცელდა, რომ ლერმონტოვი მაშინვე ყველასათვის ცნობილი შეიქმნა. აშკარა გახდა, რომ „პუშკინი მემკვიდრის დაუტოვებლად არ მომკვდარა" (ბ. ბელინსკი), რომ ცუდ-უბრალოდ არ ჩაივლის „მის ფიქრთა მაღალი მისწრაფება", რომ ჭაბუკმა ლერმონტოვმა ვაჟკაცური მამაცობით ჩასჭიდა ხელი და მაღლა ააფრიალა ტყვიით განგმირული პუშკინის ძირდახრილი დროშა. მეფის მთავრობა დაუყოვნებლივ შეუდგა „მავნე ლექსის" ავტორის საქმის გამოძიებას. ლერმონტოვი დააპატიმრეს. 25 თებერვალს გამოვიდა ნიკოლოზ პირველის ბრძანება: გადასახლდეს იგი საქართველოში — ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში. თანამედროვეთა მოგონებებით, ლერმონტოვის დაპატიმრებაგადასახლებამ პეტერბურგში „დიდი ხმაური" გამოიწვია, მასზე ლაპარაკობდნენ ყველგან. ცხადია, განსაკუთრებით მღელვარე ლაპარაკი იქნებოდა ლერმონტოვისა და ალ. ჭავჭავაძის ნათესავ პ. ნ. ახვერდოვას ოჯახში.

პეტერბურგიდან საქართველოში ლერმონტოვის გადმოსახლების შემდეგ მალე ალ. ჭავჭავაძეც სამშობლოში დაბრუნდა.

რა ხდებოდა მაშინ აქ?

პუშკინის დაღუპვის ამბავმა ჩვენი საზოგადოებრიობაც დიდად შეაშფოთა. ამ მხრივ დამახასიათებელია ცნობილი დეკაბრისტი ლიტერატორის ა. ა. ბესტუჟევ-მარლინსკის წერილი. „მე თავზარი დამცა პუშკინის ტრაგიკულმა დასასრულმა — სწერდა იგი ამას თბილისიდან 1837 წლის 23 თებერვალს. — ...როცა მე წავუკითხე შენი წერილი მამუკა ორბელიანს, მას წყევა აღმოხდა: „მე მოვკლავ იმ დანტესს, თუ კი ოდესმე შევხვდები — წარმოსთქვა მან".[1]

მამუკა ორბელიანმა ამ სიტყვებით გამოხატა მოწინავე ქართველი საზოგადოების განწყობილება. ეს საზოგადოება, კერძოდ, ალ. ჭავჭავაძის ოჯახი, ცხადია, განსაკუთრებულ ინტერესს გამოიჩენდა ახალგაზრდა პოეტისადმი, რომელიც სწორედ იმიტომ გადმოასახლეს საქართველოში, რომ ესოდენ გაბედულად გამოვიდა პუშკინის მკვლელთა წინააღმდეგ და ამით მთელ იმპერიაში გაითქვა სახელი.

ჩვენ დანამდვილებით ვერ ვიტყვით, რომ ალ. ჭავჭავაძე ლერმონტოვს პეტერბურგში ხვდებოდა, მაგრამ „დემონის" ავტორი რომ საქართველოში 1837 წელს ჭავჭავაძეების ოჯახში რამდენჯერმე ყოფილა, ეს კი უდავოა.

ამაზე მეტყველებს, პირველ ყოვლისა, რ. ნიკოლაძის გამოუქვეყნებელი მოგონებები, რომლებზეც მკითხველის ყურადღება უნდა შევაჩეროთ.

თბილისში, გალაკტიონ ტაბიძის ქუჩაზე, ოცდამეერთე ნომერში ცხოვრობს ჩვენი ცნობილი მეცნიერი, ქიმიის პროფესორი რუსუდან ნიკოლოზის ასული ნიკოლაძე-პოლიევქტოვა — გამოჩენილი ქართველი პუბლიცისტის ნიკო ნიკოლაძის შვილი. XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე ამ სახლში (და არა მარტო ამ სახლში) რუსუდან ნიკოლაძე (მას ახლა ოთხმოცი წელი უსრულდება) ხშირად ესწრებოდა იმ საინტერესო საუბრებსა და კამათს, რომლებიც იმართებოდა ხოლმე ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, კირილე ლორთქიფანიძის, გიორგი წერეთელსა და ნიკო ნიკოლაძეს შორის. ცნობილია, რომ ქართული კულტურის ეს გიგანტები სამოციან

[1] რუსი მწერლები საქართველოს შესახებ, 1949 წ., გვ. 137-138.

წლებში ერთად სწავლობდნენ პეტერბურგში, რომ ამ „თერგდალეულებს“ ერთმანეთთან აკავშირებდა ძველი მეგობრობა, საზოგადოებრივ-ლიტერატურული ინტერესები, იდეურ-ესთეტიკურ შეხედულებათა მსგავსება, ზოგიერთ მათგანს კი — ნათესაური ურთიერთობაც. ისინი დროგამოშვებით ხვდებოდნენ ერთმანეთს ნიკო ნიკოლაძესთან და გაცხოველებით საუბრობდნენ სხვადასხვა საკითხებზე.

„დედაჩვენის ინიციატივითა და მოთხოვნით, — წერს რუსუდან ნიკოლაძე, — ჩვენი ოჯახის უმცროსი თაობა მოკლედ იწერდა ამ შესანიშნავი საუბრებისა და ლიტერატურული „ბრძოლების“ ყველაზე უფრო საინტერესო მომენტებს“.

თერგდალეულები ხშირად თურმე ეხებოდნენ ლერმონტოვის, პუშკინისა და გრიბოედოვის საქართველოში ყოფნის ამბებსაც; მათზე ქართველმა სამოციანელებმა მრავალი საინტერესო ცნობა შეაგროვეს თანამოკალმე „მამებისაგან“, რომლებიც გასული საუკუნის 80-90-იან წლებამდე მოღვაწეობდნენ. ასეთები იყვნენ: გრიგოლ ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი, ვახტანგ ორბელიანი, მიხეილ თუმანიშვილი, კონსტანტინე მამაცაშვილი, გიორგი ერისთავი და სხვა მწერლები და საზოგადო მოღვაწეები, რომლებსაც ახლო მეგობრული ან ნათესაური კავშირი ჰქონდათ ალ. ჭავჭავაძის ოჯახთან. ამ პირველი წყაროებიდან — ლერმონტოვის თანამედროვეთაგან — ცნობები მისი საქართველოში ყოფნის შესახებ გადაეცა თერგდალეულებს, ხოლო თერგდალეულებისაგან — რუსუდან ნიკოლაძეს.

რუსუდან ნიკოლაძე, რომელსაც დიდი ერუდიცია, მეხსიერება და ბრწყინვალე ლიტერატურული ტალანტი დღემდე შერჩენია, დაინტერესებულ პირებს ხალისით უყვებოდა თერგდალეულთა საუბრების შინაარსს, უყვებოდა, მაგრამ არ წერდა. ეს აიხსნება არა მარტო იმ გარემოებით, რომ რ. ნიკოლაძე საზოგადოებრივ-პედაგოგიური და სამეცნიერო მუშაობით გადატვირთვის გამო დროს ვერ პოულობდა მემუარების დასწერად, არამედ უმთავრესად იმით, რომ უაღრესად თავმდაბალი ქიმიკოსი საკმაოდ არ აფასებდა თავის ლიტერატურულ ნიჭს, გაურბოდა „სხვის სფეროში“ შეჭრას, „ლიტერატურულ მოგონებათა“ ავტორის როლში გამოსვლას. ეს ცოცხალი ენციკლოპედია თავის მდიდარ ცნობებს უხვად აძლევდა მკვლევარებს, რომლებსაც მათი გამოყენების სურვილი გააჩნდათ, მაგრამ უარს ამბობდა საკუთარი „სახელის მოხვეჭაზე“.

მხოლოდ მრავალი თხოვნის შემდეგ დავითანხმე რ. ნიკოლაძე დაეწერა თერგდალეულთა იმ საუბრების შინაარსი მაინც, რომლებიც ლერმონტოვის საქართველოში ყოფნას ეხებოდა. მოგონებათა ეს ნაწილი უკვე დაწერილია, მაგრამ ჯერ გამოქვეყნებული არ არის.

ამ მოგონებებიდან ვგებულობთ, რომ როცა პუშკინის დაღუპვისა და ლერმონტოვის საქართველოში გამოძევების ამბებმა თბილისამდე მოაღწია, აქაური მოწინავე საზოგადოება მოუთმენლად ელოდა ჭაბუკი პოეტის თბილისში ჩამოსვლას. ეს ამბები, — წერს რ. ნიკოლაძე, — ისევე, როგორც ლერმონტოვის ლექსი პუშკინის დაღუპვაზე პირველ რიგში მოხვედრილა ალ. ჭავჭავაძის ოჯახში, რადგან ამ გამოჩენილ ქართველ პოეტსა და მის შვილ ნინოს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა პეტერბურგელი ინტელიგენციის მოწინავე წრეებთან. „ახალმა საერთო მწუხარებამ, პუშკინის დაღუპვამ, ეს შესანიშნავი სახლი ლერმონტოვისათვის იქ გამოჩენისთანავე მშობლიურ კერად გადააქცია“.

III. ნინო ჭავჭავაძის საჩუქარი ლერმონტოვს („ხანჯლის“ შესახებ)

ცნობილია, რომ მოწინავე რუსი პოეტები ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნეში ხანჯალს მიმართავდნენ, როგორც დესპოტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის

სიმბოლოს. იგივე ითქმის პუშკინის ცნობილ ლექსზე „ხანჯალი“ (1821), რომლის პირველ სტროფს მოგვაგონებს ლერმონტოვის „ხანჯლის“ დასაწყისი.

ჩემო ხანჯალო, ჯავარდნისავ,
მიყვარხარ მეტად,
ცივო ელვარე ამხანაგო,
შენ უმკვეთრესი
შურისგებისთვის ფიქრიანმა ქართველმა
გეპყრა.
სასტიკ ბრძოლისთვის შენ გლესავდა ლაღი
ჩერქეზი.

შემდეგ, განსაკუთრებით ლექსის უკანასკნელ სტროფში ამ მხატვრული საბის შინაარსი ფართოვდება და ხანჯალი წარმოგვიდგება როგორც სულიერი სიმტკიცის, მოვალეობისადმი ერთგულების, უმაღლესი ადამიანური კეთილშობილების სიმბოლო.

უნაზეს ხელით მომრთმევიხარ შენ საჩსოვარად,
და სულ პირველად
იმა წუთში განშორებისა,
სისხლის მაგიერ
დაგჩენოდა სიბრტყეზე ცვარად
ცრემლი ნათელ-მარგალიტი მწუხარებისა.
და ის თვალები,
იდუმალი კაეშნით სავსე
შავი თვალები დამტერებით
მომჩერებოდნენ
და, ვით ლაპლაპა მაგ ფოლადის,
მთრთოლვარე ალზე,
ხან ბინდდებოდნენ,
ხანაც ისევ გაბრწყინდებოდნენ.
შენ თან დამყვები
სიყვარულის მუნჯ საწინდარად
და მე, ყარიბი, შენში ვხედავ
ძვირფას მაგალითს,
დიახ, უცვლელი, სულით
მძლავრი ვიქნები მარად,
ძმაო რკინისავ, შენებრ მტკიცე,
შენებრ მაგარი!

თარგმანი დ. გაჩეჩილაძის.

ეს სიტყვები ქღერს, როგორც პოეტის მიერ დადებული ფიცი იმ ქალის წინაშე, რომელმაც მას ხანჯალი აჩუქა. ეჭვს გარეშეა, რომ ეს იყო საჩუქარი. ამაზე ლაპარაკობს როგორც ლექსის მთელი შინაარსი, ისევე მისი პირველადი სათაური. ბოლო ხანებში გამოირკვა, რომ პირველად მას ერქვა „საჩუქარი“,[1] მაგრამ ავტორმა საბოლოოდ „ხანჯალი“ აირჩია. უფრო ადრე დადგინდა, რომ ლექსი დაწერილია 1837 წელს — ლერმონტოვის საქართველოდან წასვლის წინ[2]. ტექსტიდან ძნელი არაა იმ დასკვნის გამოტანა, რომ ესოდენ უცნაური (პირველი შეხედვით) საჩუქარი ყარიბ-პოეტს თანამგზავრად (в попутники) გადაეცა, როგორც სიმტკიცისა და კეთილშობილების სიმბოლო.

მაგრამ ლექსში ბევრი რამ გაუგებარი და გასაშიფრავია. ჩვენ არ ვიცით, ვისმა „უნაზესმა ხელმა“ («Лилейная рука»). მიართვა პოეტს ეს რკინის საჩუქარი; რატომ გადაჭკრავს ნაწარმოებს რაღაც ტრაგიკული ელფერი; ვის „ნათელ ცრემლზეა“ ლაპარაკი და რატომ იყო იგი „მარგალიტი მწუხარებისა“; ვისი „კაეშნით სავსე“ შავი თვალები იგულისხმება ან რა „მუნჯ სიყვარულზეა“ ლაპარაკი ლექსში.

ამ საკითხებს შუქს ფენს რ. ნიკოლაძის მემუარები და ქართველ და რუს მოღვაწეთა მრავალრიცხოვანი წერილები, მოგონებები და ლექსები.

რ. ნიკოლაძის მემუარებიდან ირკვევა, რომ მ. ი. ლერმონტოვი და მისი მეგობარი პოეტი ა. ი. ოდოევსკი საქართველოში ყოფნის დროს 1837 წელს არა ერთხელ სწვევიან ალ. ჭავჭავაძის ოჯახს, ხშირად საუბრობდნენ მის შვილ ნინოსთან გრიბოედოვზე, დადიოდნენ მთაწმინდაზე — გრიბოედოვის საფლავზე. ნინო ჭავჭავაძე მეტად მადლიერი ყოფილა ასეთი ყურადღებისათვის და მადლობის ნიშნად თითოეული მათგანისათვის საჩუქრად შეუთავაზებია ხანჯლები თავის მამისა და დაღუპული

[1] М. Ю. Лермонтов. Сочинения в шести томах, под ред. Н. Ф. Бельчикова, Б. П. Городецкого и Б. В. Томашевского, ტომი II, გვ. 337-338. 1954.

[2] ზოგიერთი კომენტატორი მას ათარიღებს 1838 წლით.

მეუღლის საერთო კოლექციიდან. ხანჯალი გრიბოედოვის ქვრივმა საჩუქრად აირჩია თურმე, როგორც „მოვალეობისადმი ერთგულების, მეგობრობისადმი თავდადებისა და რკინისებური სიმტკიცის სიმბოლო“. ლერმონტოვი ასეთ საჩუქარს ძალიან აუღელვებია და მეორე დღესვე მას ნიკოლოზ ბარათაშვილისათვის წაუკითხავს თავისი „ხანჯლის“ პირველი ვარიანტი, რომელიც, ბარათაშვილის ამხანაგების მოწმობით, რამდენადმე განსხვავდებოდა საბოლოო ტექსტისაგან. იქ ლაპარაკი ყოფილა ხანჯალზე ამოჭრილ რაღაც წარწერაზე, რომელიც სამხედრო თუ სამოქალაქო დევიზს წარმოადგენდა[1]. ეს წარწერა ნინო ჭავჭავაძეს გადაუთარგმნია თავის სტუმრებისათვის და უთხოვია ლერმონტოვისათვის — ფიცი დაედო „ხანჯლისადმი ერთგულების შესახებ“ (რ. ნიკოლაძე).

ამის შემდეგ გასაგები ხდება ლერმონტოვის „ხანჯლის“ დასასრული, რომელიც ერთგვარ ფიცს წარმოადგენს:

„დიახ, უცვლელი, სულით მძლავრი ვიქნები მარად,
ძმაო რკინისავ, შენებრ მტკიცე, შენებრ მაგარი“.

ასევე გასაგები ხდება ავტოგრაფის ის სტრიქონები, რომელიც ლექსის საბოლოო ტექსტში არ შესულა:

«И надпись мне твою красавица прочла».

მარტო რ. ნიკოლაძის მემუარებიც კი საკმარისი იქნებოდა ლერმონტოვის ამ შედევრის ადრესატის დასადგენად. მაგრამ საკითხის სავსებით ნათელსაყოფად და ლექსის სხვა ადგილების გასაშიფრავად საჭიროა უფრო ახლო გავეცნოთ ნინო ჭავჭავაძის პიროვნებას სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების საფუძველზე.

ყველაფერმა ხელი შეუწყო იმას, რომ ნინო ალექსანდრეს ასული ჭავჭავაძე (1812—1857) ისტორიაში შესულიყო, როგორც თავისი დროის ყველაზე უფრო გამოჩენილი და სახელმოხვეჭილი ქართველი ქალი. მან სამართლიანად დაიმსახურა საყოველთაო ღრმა პატივისცემა და აღტაცება მაღალი ზნეობის, ტრაგიკული ბედისა და იმ ჭეშმარიტად გმირული ცხოვრების გამო, რომელი, ტიციან ტაბიძის ხატოვანი გამოთქმით, მარადი სიყვარულის თავგანწირულ პოემად იქცა.[1]

ცნობილია, რომ ნინო ჭავჭავაძე აღიზარდა მეტად კულტურულ ოჯახში. თანამედროვეთა ერთსულოვანი აღიარებით, მისი მამის მთავარი დამსახურება იმაში მდგომარეობდა, რომ მან თავისი სახლი გადააქცია მოწინავე ქართველ და რუს მოღვაწეთა დამაკავშირებელ რგოლად.

კ. ბოროზდინის სიტყვით, საქართველოში ჩამოსვლისთანავე გრიბოედოვი „დაუახლოვდა თავად ალექსანდრე ჭავჭავაძეს, რომელსაც, როგორც პოეტს, სხვებზე უკეთესად შეეძლო მისი პიროვნების გაგება და შეფასება, და მათ შორის დამყარდა უაღრესად გულწრფელი, მეტად მჭიდრო მეგობრობა“.[2]

ალ. ჭავჭავაძე დაუნათესავდა გრიბოედოვს, მაგრამ იდეურ ნათესაობაში იგი იყო რუსული კულტურის მოწინავე მოღვაწეთა მთელ თაობასთან.

განსწავლულმა და ნიჭიერმა პოეტმა თავის ქალიშვილებსაც — ნინოსა და ეკატერინეს — ფართო განათლება მისცა. ალ. ჭავჭავაძის კულტურულ და სტუმართმოყვარე ოჯახში ყოველ ადამიანს შეეძლო ეპოვა სულიერი საზრდო, დაეკმაყოფილებია ესთეტიკური მოთხოვნილებანი, ცხოველი საუბარი გაემართა ყველაზე უფრო სახელმოხვეჭილ ქართველ მოღვაწესთან და მის განათლებულ და ულამაზეს ასულებთან, რომლებიც ისევე თავისუფლად

[1] ცნობილია, რომ ამგვარი წარწერები ხშირი იყო კავკასიაში. გავიხსენოთ ა. ა. ბესტუჟევ-მარლინსკის „ამალათ-ბეგის“ ეპიგრაფი: „Будь медлен на обиду—к мщенью скор! Надпись дагестанского кинжала“.

[1] ტიციან ტაბიძე. ნინო ჭავჭავაძე „ლიტერატურული გაზეთი“. 1958 წლის 13 ივნისი.

[2] Грибоедов в воспоминаниях современников, под ред. Н. К. Пиксанова, 1929, ss 303

ლაპარაკობდნენ რუსულად და ფრანგულად, როგორც მშობლიურ ენაზე. ისინი დიდ ინტერესს და სიყვარულს ამჟღავნებდნენ ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი, შესანიშნავად უკრავდნენ მუსიკალურ ინსტრუმენტებზე და ჩინებულად მღეროდნენ რუსულ და ქართულ სიმღერებს.

როგორც ალექსანდრე ჭავჭავაძე იყო გასული საუკუნის პირველი ნახევრის ყველაზე უფრო გამოჩენილი ქართველი, ისევე მის შვილებს პირველი ადგილი ეჭირათ ქართველ ქალთა შორის მაღალი ინტელექტით, კულტურითა და სილამაზით; თუმცაღა უნდა აღინიშნოს, რომ ეს შესანიშნავი დები დიდად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან.

აღწერს რა 1830-იან წლების ქართველ მზეთუნახავებს, ბარონი თ. ტორნაუ შენიშნავს, რომ მათ შორის ორ მნათობსავით ბრწყინავდნენ ნინო და ეკატერინეო. „ეკატერინე ალექსანდრეს ასულის სხივოსანი თვალები და მომხიბლავი ღიმილი გულს მწვავდა, — წერს ტორნაუ, — ნინო ალექსანდრეს ასულის სილამაზე და ანგელოსური ხასიათი კი გულზე მალამოდ მედებოდა. ერთისაკენ მიისწრაფოდა თვალები და გრძნობები, მეორე დაუძლეველი ძალით იზიდავს სულს“.[1]

„ორივენი, — წერდა კ. ბოროზდინი, რომელიც მათ პირადად იცნობდა, — შესანიშნავი მზეთუნახავები იყვნენ და თავბრუს ახვევდნენ მთელ მაშინდელ თბილისელ ახალგაზრდობას. თვით გრიბოედოვი თავის ცოლს „მადონას“ უწოდებდა, რადგან ნინო ალექსანდრეს ასულის თვალებში ზეციური სათნოება და სიმშვიდე ისახებოდა. და მის გვერდით საუცხოო კონტრასტს შეადგენდა მისი და, რომელიც განასახიერებდა მგზნებარებას, მხიარულებას, გონებამახვილობას“.[2]

[1] Русская старина, 1869, აპრილი, გვ. 696-697.

[2] К. Бороздин. Мингрелия и Сванетия с 1854 по 1861 год, 1885, გვ.80-81.

თანამედროვეებს მიაჩნდათ, რომ ეკატერინე ნინოზე უფრო ლამაზი იყო, მაგრამ სულიერი სილამაზითა და სათნოებით გრიბოედოვის მეუღლე უფრო მაღლა იდგა. გაბედული და მხიარული ეკატერინე ახალგაზრდობის გულს აძგერებდა, კეთილი, გულისხმიერი და ალერსიანი ნინო კი ყველაზე დამამშვიდებლად მოქმედებდა და თავის მიმართ საყოველთაო პატივისცემისა და მოწიწების გრძნობას იწვევდა.

1837 წელს, როცა ლერმონტოვი საქართველოში ჩამოვიდა, ნინო 25 წლის იყო, ეკატერინე კი — 21 წლისა, პირველი მათგანი ლერმონტოვზე ორი წლით უფროსი იყო, მეორე — ორი წლით უმცროსი (1816—1882). განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ეკატერინე მაშინ გასათხოვარი იყო (იგი 1839 წელს გათხოვდა), ნინომ კი რვა წლის წინათ გადაიტანა საშინელი ტრაგედია — საყვარელი მეუღლის — გრიბოედოვის დაღუპვა.

ძნელია დავასახელოთ პოეტურ-ტრაგიკული სიყვარულის მეორე ისეთი მაგალითი, როგორიც წილად ხვდა ნინო ჭავჭავაძეს. 1828 წლის აგვისტოში იგი თექვსმეტი წლის ასაკში ჯვრის დასაწერად მოირთო, რამდენიმე თვის შემდეგ კი—შავები ჩაიცვა; მოკლე აღმოჩნდა ბედნიერება, მაგრამ მარადი — მისი ერთგულება დაღუპული მეუღლის ხსოვნისადმი. გრიბოედოვის სიკვდილის შემდეგ ნინომ კიდევ 28 წელი იცოცხლა. ამ ხნის განმავლობაში არა ერთ ბრწყინვალე სასიძოს უთხოვია მისი ხელი, მაგრამ ვერავინ და ვერაფერმა ვერ დაარღვია „ერთხელ დადებული აღთქმა ქვრივობისა“.

ნინოს ასეთი სიყვარული გადაიქცა ბევრი პოეტური ნაწარმოების წყაროდ. მაგრამ ყველაზე უფრო პირველი და ძლიერი პოეტური ქმნილება ეკუთვნის თვით ნინო ჭავჭავაძეს, მაგრამ იგი დაწერილია არა ქაღალდზე. მთაწმინდაზე, გრიბოედოვის საფლავზე ახალგაზრდა ქვრივმა აღმართა შესანიშნავი ძეგლი — ხელოვ-

ნების საუცხოო ნაწარმოები, რომელიც გულში ჩამწვდომად მეტყველებს ტრაგიკულად შეწყვეტილ დიდ სიყვარულზე:

Ум и дела твои бессмертны в памяти русской,
Но для чего пережила тебя любовь моя!

რა დიდი აზრია ჩაქსოვილი ამ ლაკონურ წარწერაში გრიბოედოვის ძეგლზე! და რა უნუგეშო მწუხარებას გამოხატავს საფლავზე მუხლმოდრეკილი მოტირალი ქალის ფიგურა!

„ბნელს აკლდამაში სძინავს
და მცირე ძღვენი ქვრივის —
კანდელი უდგას თავით,
მკრთალად მომფენი სხივის,
რომ წაიკითხოს ყველამ
ლოდზე წარწერა გარე:
სიყვარულისგან ვაი,
ვაი ჭკუისგან — მწარე“.[1]

ლერმონტოვმა, ცხადია, ნახა ეს შესანიშნავი ძეგლი — ერთგული სიყვარულისა და მეგობრობის თავისებური სიმბოლო. ცნობილია, რომ გასული საუკუნის ოციანი წლებიდან დაწყებული თბილისში ჩამოსული რუსი მოღვაწეები, განსაკუთრებით პოეტები, პირველ ყოვლისა, როგორც წესი, ამ წმიდა ადგილს ეწვევიან ხოლმე. როცა კავკასიაში გადმოსახლებულმა დეკაბრისტმა მწერალმა ა. ა. ბესტუჟევ-მარლინსკიმ თბილისში პუშკინის დაღუპვის ამბავი გაიგო, უმალ გრიბოედოვის საფლავს მიაშურა და „ორი ალექსანდრეს (გრიბოედოვის და პუშკინის) პანაშვიდი გადაიხადა[2]. იმავე წელს მეორე გადმოსახლებული დეკაბრისტი ა. ი. ოდოევსკი, რომელიც კავკასიაში განსაკუთრებით დაუმეგობრდა ლერმონტოვს და რომელიც მეტად გულთბილად მიუღია ალ. ჭავჭავაძის ოჯახს. (ამაზე ქვემოთ), ა. ე. როზენის მოწმობით, „ ხშირად დადიოდა თავის მეგობრის — გრიბოედოვის საფლავზე“.[3]

[1] ი. პოლონსკი. „ნ. ა. გრიბოედოვა“. თარგმანი ი. მოსაშვილისა.

[2] A. A. Бестюжев-Марлинский. Сочинения в двух томах, ტომი II. გვ. 673-674. 1958.

[3] Записки декабриста, ლაიპციგი, 1870, გვ. 364.

დაქვრივების შემდეგ ნინომ მთელი თავისი ცხოვრება უძღვნა ნათესავებსა და მეგობრებს. მემუარისტის სიტყვით, იგი წარმოადგენდა ქველმოქმედების განსახიერებას. „ეს იყო მთელი ოჯახის მფარველი ანგელოზი და არსება, რომელსაც კავკასიაში თაყვანს სცემდა ყველა — მთავარმმართველებიდან, და მეფის ნაცვლებიდან დაწყებული, სულ პატარა ადამიანებამდე“.[1]

„ყველა, ვინც კი მას იცნობდა, — წერდა დავით ერისთავი ნინოს შესახებ, — სრულიად სხვადასხვა ფენების. წარმოდგენებისა და აზრების მქონე ადამიანებიც კი ერთსულოვნად აღიარებდნენ, რომ ეს იყო იდეალური ქალი“.[2]

იმ დროს მთელ კავკასიაში არ ყოფილა მეორე ისეთი ქალი, რომლისთვისაც ამდენი ქება-დიდება შეესხათ პოეტებსა და საზოგადო მოღვაწეებს.

„მინახავს ამის მსგავსი რამ?. — წერდა ნინო ჭავჭავაძეზე ნ. დ. სინიავინი, — არა, დედამიწაზე არ შეიძლება არსებობდეს ასეთი სრულყოფა, სიმშვენიერე, გული, გრძნობა, ენით გამოუთქმელი სიკეთე! ვფიცავ, მას ვერავინ შეედრება“.

„ნინო — მიწიერი სრულქმნილებაა, ნინო — ზეციური ნეტარებაა“,— ამბობდა ცნობილი ნუმიზმატი მ. პ. ბარათაევი (ბარათაშვილი). ხოლო გენერალი ლ. ალბრანდტი 1848 წელს გელენჯიკიდან ი. ჭილაშვილს სწერდა:

„ნინო ალექსანდრეს ასულის ღიმილი ახლაც ისევე მომხიბლავია, როგორც კურთხევა?... როცა მას შეხვდებით, უთხარით, რომ აქაც, შორეული მთების გადმოლმა, მე თაყვანს ვცემ მას, ვით მაჰმადიანი ამომავალ მზეს“.[3]

ნინოს აღტაცებაში მოჰყავდა ლევ პუშკინიც (დიდი პოეტის ღვიძლი ძმა), რომელიც 1835 წ. გაზაფხულზე ორი კვი-

[1] К. А. Бороздин. Мингрелия и Сванетия с 1854 по 1861 г. 1885. გვ. 16-17.

[2] გაზეთი „Тифлисский вестник“, 1879 № 24.

[3] Русский архив, 104, № 1, გვ. 138.

რით ესტუმრა ჭავჭავაძეებს წინანდალში. „მან შემოიარა საქართველო: — სწერდა დედამისი თავის ქალიშვილს 1835 წლის 19 ივნისს, — ორი კვირა გაატარა გრიბოედოვის ქვრივის მამულში; ის ამბობს, რომ ეს იყო უმშვენიერესი დღეები მის ცხოვრებაში, რომ იგი (ნინო) მომხიბლავი ქალია“.[1]

ნინოს ლექსები უძღვნეს, როგორც ცნობილია, გრ. ორბელიანმა და ი. პოლონსკიმ, გ. ერისთავმა და ი. კერესელიძემ, დ. თუმანიშვილმა, დ. ბერიევმა, ლ. ისარლიშვილმა და ბევრმა სხვამ.

ნინო ჭავჭავაძის ნაცნობი ქართველი, რუსი და უცხოელი პოეტები და საზოგადო მოღვაწეები თავის ლექსებში, მემუარებსა და წერილებში აღნიშნავენ არა მარტო მის იშვიათ სილამაზეს, სათნოებასა და გულისხმიერებას, არამედ ფართო განათლებასაც და მხატვრულ გემოვნებას. ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახში მშვენივრად იცნობდნენ და ფასებდნენ მხატვრულ ლიტერატურას. ამიტომ გრიგოლ ორბელიანი და ნიკოლოზ ბარათაშვილი, გიორგი ერისთავი და სხვა მაშინდელი გამოჩენილი პოეტები თავის ახალ ნაწარმოებებს პირველ ყოვლისა ჭავჭავაძის სალონში კითხულობდნენ. დამახასიათებელია, რომ იაკობ პოლონსკიმაც გასული საუკუნის ნახევარში თავისი დრამა „იმერეთის დედოფალი დარეჯანი“, როგორც თვითონ აღიარებს გამოუქვეყნებელ ავტობიოგრაფიაში, წაიკითხა „ნინო ალექსანდრეს ასულ გრიბოედოვას... მიწვევით მისი ძმის, თავად ჭავჭავაძის სახლში, რასაც შერჩევით მიპატიჟებული სტუმრებიც ესწრებოდნენ.[2]

თანამედროვენი განსაკუთრებით აფასებდნენ ნინო ჭავჭავაძის პოეტურ-ტრაგიკულ სიყვარულსა და ერთგულებას გრიბოედოვისადმი. შეიძლება ითქვას, რომ უსაზღვრო ერთგულებისა და რკინისებური სიმტკიცის — სიმბოლოს წარმოადგენდა არა მარტო ის ხანჯალი, რომელიც ნიწომ ლერმონტოვს აჩუქა, არამედ პირველ რიგში თვითონ ნინო, მისი სპეტაკი პიროვნება და შესანიშნავი ცხოვრება.

იოლი წარმოსადგენია, თუ როგორ შთაბეჭდილებას მოახდენდა გრიბოედოვის ქვრივი ლერმონტოვზე, განსაკუთრებით მეორე რუსი გენიოსის — პუშკინის ცოლთან შედარებით.

უცნაური დამთხვევაა: ორივენი — ნინო ჭავჭავაძე და ნატალია გონჩაროვა — 1812 წელს დაიბადნენ; ორივენი იშვიათი სილამაზით გამოირჩეოდნენ; ოთხი თვეც არ იყო გასული მას შემდეგ, რაც თბილისში გრიბოედოვმა ჯვარი დაიწერა თექვსმეტი წლის ნინოზე, რომ მოსკოვში ერთ-ერთ ბალზე პუშკინს „ერთი შეხედვით“ შეუყვარდა ნატალია გონჩაროვა — ასევე თექვსმეტი წლის ლამაზმანი.

და აი, პუშკინის მკვლელების წინააღმდეგ გამოსვლის გამო საქართველოში გადმოსახლებული ლერმონტოვი აქ შეხვდა მეორე რუსი გენიოსის — გრიბოედოვის ქვრივს, რომელიც ნატალია გონჩაროვას სრულ წინააღმდეგობას წარმოადგენდა. ლერმონტოვის წინაშე იყო ერთგული მეუღლისა და მეგობრის იდეალი, სულიერი სიმტკიცისა და გმირული ხასიათის იშვიათი მაგალითი. ასეთი ადამიანის მიმართ ლერმონტოვს არ შეიძლებოდა არ დაბადებოდა აღტაცებისა და მოწიწების გრძნობა. სწორედ მასზე შეეძლო ეთქვა ლერმონტოვს: „და მე, ყარიბი, შენში ვხედავ ძვირფას მაგალითს“.

ყოველივე ზემონათქვამის შემდეგ გასაგები ხდება ამ სტრიქონის აზრი „ხანჯალში“. ახლა უკვე გასაგებია ისიც, თუ რატომ გადაჰკრავს ლექსს ტრაგიკული ელფერი. იოლია აგრეთვე ამ შესანიშნავი ქმნილების სხვა ადგილების გაშიფრვაც. რკინის საჩუქარი ლერმონტოვისათვის ნინო ჭავჭავაძის

[1] Литературное Наследство, № 16-18, 1934 გვ. 793.

[2] И. С. Богомолов. Из истории русско-грузинских литературных взаимоотношений (Я. Полонский и грузинская действительность). Автореферат кандидатской диссертации, 1960, გვ. 16.

„უნაზეს ხელს“ მიურთმევია; ლექსში ლაპარაკია გრიბოედოვის დამწუხრებული ქვრივის „ნათელ ცრემლზე“ („მარგალიტი მწუხარებისა“) და „კაეშნით სავსე“ შავ თვალებზე[1]. ოცდარვა წლის განმავლობაში ნინო მართლაც გამოუთქმელად, ჩუმად ატარებდა თავის დაკოდილ გულში „მუნჯ სიყვარულს“ («Немая любовь»). უდროოდ დაღუპული მეუღლისადმი. ამ საოცრად თავდაჭერილ და ნებისყოფიან ქალს არ ახასიათებდა თავის ტრაგიკული სიყვარულის აფიშირება და რეკლამირება; მისთვის უცხო იყო ყოველგვარი თეატრალობა; ის წმინდად ინახავდა ბულის სიღრმეში თავის პირველ და ერთადერთ სიყვარულს.

აღსანიშნავია, რომ ნინოს ეს ჩუმი ტანჯვა და „მუნჯი სიყვარული“ კარგად შენიშნა მეორე რუსმა პოეტმაც — იაკობ პოლონსკიმ, რომელიც პირადად იცნობდა ნინოს და რომელიც თავის ლექსში „ნ. ა. გრიბოედოვა“ (1846—1879) წერდა:

მახსოვს საათი, ოდეს
შორს, თოვლიანი მთები
წითლად აენთნენ და ძირს
ჩრდილში შეცურდნენ ზვრები.

ოდეს მეტეხმა თითქოს
ქვამლი მოისხა — მტკნარი
და მწუხრის ბინდში ცამდე
დადგა სიონის ჯვარი.

ის აივანზე იჯდა,
ძირს თავდახრილი — ცერად
ცრემლს დაენამა მისი
შუქმილეული მზერა —

და ტკბილ წარსულზე ოდეს
უდროვო სიტყვა ვკადრე,
მისი მკვნესარე სულის
სიმშვიდე ჩაეკალ ადრე.

ასე მეგონა, იმ წამს
ამოვიკითხე სრულად
მე მის თვალებში, რაც კი
მისგან ოცნებით თქმულა.

(თარგმანი ი. მოსაშვილისა)

[1] მრავალი წყაროდან ვიცით, რომ ნინო ჭავჭავაძეს ჰქონდა ძალიან ლამაზი შავი თვალები.

ნინო ჭავჭავაძისაგან საჩუქრად მიღებულ ხანჯალს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც ლერმონტოვის შემდგომი შემოქმედებისათვის, ისე საერთოდ ლიტერატურისათვის. საქართველოდან დაბრუნების შემდეგ ლერმონტოვმა ხანჯლის სიმბოლური სახე გამოიყენა თავის საპროგრამო ლექსში „პოეტი“ (1838), რომელიც მთლიანად აგებულია პოეტისა და ხანჯლის ალეგორიულ შედარებაზე.

როგორც ოდესღაც მთებში მებრძოლ მეომარს ერთგულად, უანგაროდ და თავდადებულად ხანჯალი ემსახურებოდა („ჭირსა და ლხინში განუყრელად, მტერს სცემდა თავზარს“), ისე პოეტის სიმტკიცით სავსე სიტყვა.

ცეცეხლს უკიდებდა ვაჟკაცს ბრძოლისთვის...
...ჭეშდა ხალხისთვის, როგორც ვეჩეს
კოშკიდან ზარი,
ლხენის და ტანჯვის გამომსახველი.

(თარგმანი კ. ნადირაძის)

ლერმონტოვი შესანიშნავი პოეტური ხერხით გამოთქვამს იმ აზრს, რომ პოეზია ბრძოლის ბასრი იარაღია, რომ იგი ხალხს ესაჭიროება. ავტორი გვიხატავს ჭეშმარიტი, მებრძოლი პოეტის სახეს, რომელიც ოდესღაც ისევე ერთგულად და უანგაროდ ემსახურებოდა ხალხს, როგორც ხანჯალი თავის ვაჟკაცპატრონს. მაგრამ ეს იყო ძველად (იგულისხმება პუშკინისა და დეკაბრისტების ეპოქა); ახლა?

დღეს მშობლიური და ნალეწი ომში ქარქაში
გმირის თანამგზავრს არ ამკობს უკვე;
იგი კედელზე უვნებელი ახლა კაშკაშებს,
ვით სპთამაშო ურგი და უქმი!

ახლა არავინ შეჩვეული მზრუნველი ხელით
მას არ ეხება ალერსის ნაჩვევს;
და მის წარწერას, როს მლოცველი განთიადს
ელის,
არვინ კითხულობს და არვინ არჩევს.

შენც ხომ, პოეტო, ამ განცხრომის საუკუნეში
დანიშნულება დაჰკარგე შენი.
ოქროს ანაცვლე შენი ძალა, რომლის წინაშე
იდგა ქვეყანა განაბულ სმენით?

პუშკინისა და დეკაბრისტების გენიალური მემკვიდრე, პოეტი-მოქალაქე,

რომელმაც სიმტკიცის ფიცი დასდო, ოცდაათიანი წლების რეაქციულ ხანაში, საზოგადოებრივი აქტივობისა და პოეზიის დაქვეითების ეპოქაში, კვლავ განაგრძობს გაბედულ ბრძოლას ჭეშმარიტი, ხალხისათვის ესოდენ საჭირო, სამოქალაქო პოეზიისათვის. ნინო ჭავჭავაძის წინაშე დადებული ფიცისთვის მას არასოდეს არ უღალატია.

ქართველი სამოციანელები, რომლებიც, რუსუდან ნიკოლაძის გადმოცემით, ლერმონტოვის „ხანჯალს" ჩვეულებრივად მის „პოეტთან" მჭიდრო კავშირში განიხილავდნენ ხოლმე, აკაკი წერეთლის ლექსი „ხანჯალს" მიაჩნდათ ლერმონტოვის „პოეტის" თავისებურ გაგრძელებად. მართალია, დიდმა აკაკიმ თითქოს პასუხი გასცა ლერმონტოვის „პოეტის" დასასრულში დასმულ შემდეგ კითხვაზე:

„დასძლევ, პოეტო გაკიცხულო, ძილს ,შენ
რომ გტანჯავს,
თუ, შურის მნდომი, წინათ დიდებულს
ვეღარ ამოგლეჯ ქარქაშიდან მღელვარე
ხანჯალს,
დღეს სამარცხვინოდ ჟანგმოკიდებულს?"

აკაკის ლექსში ვკითხულობთ:

„შენი ჭირიმე ხანჯალო,
რკინაო ხვარასნისაო,
შენ ერთად-ერთო იმედო
მტრისაგან გამოხსნისაო.

გლესავ და გლესავ, ხანჯალო,
ამოგიფერავ გულსაო!
შენ უნდა ეძმო და ეყმო
უმართლოდ დაჩაგრულსაო!"

განსაკუთრებით საინტერესოა ამ ლექსის დასასრული:

„დროა, ამოდი ქარქაშით,
აღარ გაქვს აწ მანდ ბინაო"

მიიღო რა ლერმონტოვის ფიცი, დიდმა ქართველმა პოეტმა შემოქმედებითად გამოიყენა მისი „ხანჯალი" და ახალ პირობებში, ოთხმოციან წლების შავბნელ რეაქციის ხანაში შექმნა შესანიშნავი ლექსი, რომელსაც თანამედროვეებმა სამართლიანად უწოდეს „ქართული მარსელიოზა".

IV. ეკატერინე ჭავჭავაძე — ლერმონტოვის ლექსების ადრესატი

მხედველობაში გვაქვს შემდეგი დაუსათაურებელი ლექსები:

I

Слышу ли голос твой
Звонкий и ласковый
Как птичка (в клетке)
Сердце запрыгает.

Встречу ли глаза твои
Лазурно-глубокие,
Душа им навстречу
Из груди просится.

И как-то весело
И хочется плакать,
И так на шею бы
Тебе я кинулся.

II

Как небеса твой взор блистает
эмалью голубой,
Как поцелуй звучит и тает
твой голос молодой.

За звук один волшебной речи
За твой единый взгляд,
Я рад отдать красавца сечи,
Грузинский мой булат.

И он порою сладко блещет,
И сладостней звучит,
При звуке том душа трепещет
И в сердце кровь кипит.

III

Она поет-и звуки тают
Как поцелуи на устах,
Глядит и небеса играют
В ее божественных глазах;
Идет ли— все ее движенья,
Иль молвит слово все черты
— Так полны чувства, выраженья,
Так полны дивной простоты.

სამივე ლექსი დაწერილია ლერმონტოვის საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ 1837 წელს. ისინი წარმოადგენენ ერთი და იგივე თემის ვარიაციებს და უმღერიან ქალს, რომელშიც პოეტს განსაკუთრებით ხიბლავს ცისფერი თვალები და ჯადოსნური, ალერსიანი ხმა.

ამ. პოეტური თვალმარგალიტების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადრესატი ბოლო დრომდე უცნობი იყო, მაგრამ ლერმონტოვის თანამედროვე ქართველ, რუს და უცხოელ მოღვაწეთა ლექსები, წერილები და მემუარები, განსაკუთრებით კი რუსუდან ნიკოლაძის მოგონებები ეჭვს არ ტოვებენ, რომ მათი ადრესატი ეკატერინე ჭავჭავაძეა.

ეს მოსაზრება ჯერ კიდევ 1957 წელს შალვა ალხაზიშვილმა გამოთქვა თავის რეცენზიაში ი. ანდრონიკაშვილის წიგნზე.[1]

„თუ გავითვალისწინეთ, — წერდა შ. ალხაზიშვილი, — რომ ლერმონტოვი ხშირი სტუმარი იყო ალ. ჭავჭავაძის ოჯახისა როგორც თბილისში, ისე წინანდალში, სადაც ი. ანდრონიკაშვილის თქმით, „ალბათ, ლერმონტოვი ნინო ჭავჭავაძესა და მამამისს ესაუბრებოდა, ლექსებს უკითხავდა“(გვ. 78), და, გარდა ამისა, „ფორტეპიანოზედ მომღერალ“ (ნ. ბარათაშვილის სიტყვები) ეკატერინესაც აღფრთოვანებით უსმენდა და მისი «Звонкий и ласковый». (ლერმონტოვის სიტყვები) ხმით მოხიბლულა, შეიძლება გამოითქვას მოსაზრება, რომ ეს სამი ლექსი დაწერილია თბილისში 1837 წელს და მათი ადრესატია ეკატერინე ჭავჭავაძე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაახლოებით ამავე დროს ნ. ბარათაშვილმა მთელი რიგი ლექსები უძღვნა ეკატერინეს, სადაც (ცხადია, ლერმონტოვისგან სრულიად დამოუკიდებლად) თავისი ადრესატის ცისფერ თვალებსა და ტკბილ ხმას უმღერის“[2],

როგორც შ. ალხაზიშვილის მოსაზრება, ისე მისი არგუმენტაცია სავსებით დამაჯერებელია და უცნაურია, რომ დღემდე იგი არავის გაუზიარებია. მართლაც, გავიხსენოთ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი „თავადის ჭ-ძის ასულს ეკ-ნას“, რომელშიც ქართველი გენიოსი მოხიბლულია ეკატერინე ჭავჭავაძის „ტკბილი ხმით“.

ხმით ეშვენიერით,
ტკბილის სიმღერით,
ჰაეროვანო, სულს ელხინები;
თვალს არონინებ,
გულს დააწყლულებ
და ღიმილითა ესალბუნები!
სად ხარ, იმ არეს
მოჰფენ სიამეს, —
უშენოდ მოჰსცდეს მხიარულება!
შენის ენითა,
სავსე ლხენითა,
ვინ არა ივრძნოს გულკეთილობა!
მახსოვს სიამით,
ოდეს ტკბილი ხმით,
ვარდსა და ბულბულს მოელხინარე;[1]
პირმცინარითა,
სინარნარითა
მგოსნის ყარიბ გულს ესხივმფენარე.

მკითხველი იოლად შენიშნავს ლერმონტოვისა და ბარათაშვილის ლექსების მსგავსებას. ეს მსგავსება აიხსნება ცხადია, არა ერთი პოეტის „გავლენით“ მეორეზე (ყველა ზემოთ მოტანილი ლექსი გამოქვეყნდა მათი ავტორების სიკვდილის შემდეგ). არამედ იმით, რომ ორივე პოეტმა თითქოს ერთდროულად (1837-1839) ქება-დიდება შეასხეს ერთი და იგივე ლამაზმანის ტკბილ ხმასა და ღვთიურ თვალებს.

ნ. ბარათაშვილის ამ ლექსში საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ავტორის შემდეგი შენიშვნა: „ბულბული და ვარდი ლექსია სამღერალო ნათარგმნი რუსულიდამ თ-ის ჭავჭავაძისაგან“. ნ. ბარათაშვილს მხედველობაში აქვს გამოჩენილ დეკაბრისტ-პოეტის ა. ი. ოდოევსკის ლექსი „ბულბული და ვარდი“.

ცნობილია, რომ ოდოევსკი საქართველოში გადმოასახლეს 1837 წელს და ჩარიცხეს იმავე ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში, რომელშიც ლერმონტოვი იყო გამოგზავნილი. ისიც კარგად ცნობილია, რომ ლერმონტოვი კავკასიაში ყოფნის დროს განსაკუთრებით დაუმეგობრდა ოდოევსკის, რომლის დაღუპვას 1839 წელს გამოეხმაურა

[1] იხ. „მნათობი“, 1957 წ. № 6, გვ. 184-187.

[2] „მნათობი“, 1957 № 6, გვ. 186.

[1] „ბულბული და ვარდი ლექსია სამღერალო. ნათარგმნი რუსულიდამ ბ-ის ჭავჭავაძისაგან“ (ნ. ბარათაშვილის შენიშვნა).

გულში ჩამწვდომი ლირიკული ლექსით „ა. ი. ოდოევსკის ხსოვნას“.

„მე მას ვიცნობდი — ორნი ერთად
ვმოგზაურობდით
აღმოსავლეთის მაღალ მთებში. — განდევნის
სევდას
ვიყოფდით ძმურად“...

ასე იწყება ლერმონტოვის ეს შესანიშნავი ლექსი (თარგმანი კ. ნადირაძისა).

ლერმონტოვის მეგობარი ოდოევსკი, რომელიც გრიბოედოვის ნათესავი და უახლოესი მეგობარიც იყო, ცხადია, ძალიან თბილად მიიღეს გრიბოედოვის ქვრივის ოჯახში. გადასახლებიდან დაბრუნებული გენერალი ა. ჭავჭავაძე არ ვაღრბოდა სალდათურ ფარაჯაში გამოწყობილ „სახელმწიფო დამნაშავესთან“ შეხვედრებს, რადგან მასში ნიჭიერი ქართველი პოეტი ხედავდა, პირველ ყოვლისა, პოეტსა და თავის სიძის მეგობარ-ნათესავს.

ჭავჭავაძე-ოდოევსკის შორის შემოქმედებითი მეგობრობაც დამყარდა. ოდოევსკი წერს ალეგორიულ ლექსს „ბულბული და ვარდი“ (ალბათ, აღმოსავლური პოეზიის საუკეთესო მცოდნის ალ. ჭავჭავაძის გავლენით), ქართველი პოეტი მას მშობლიურ ენაზე თარგმნის, ხოლო მისი ქალიშვილი ეკატერინე მას „ტკბილი ხმით“ მღერის, რითაც აღტაცებაში მოჰყავს არა მარტო ნიკოლოზ ბარათაშვილი, არამედ, როგორც ირკვევა, ლერმონტოვიც და, უნდა ვიფიქროთ, თვით ოდოევსკიც.

ფრიად დამახასიათებელია ეკატერინესადმი მიძღვნილი ნ. ბარათაშვილის მეორე ლექსის სათაურიც „ნა... ფორტეპიანოზე მომღერალი“, ისევე, როგორც პოეტის აღიარება ლექსში „ცისა ფერს, ლურჯსა ფერს“ — „თვალებში მშვენიერს ვეტრფი მე ცისა ფერს“. პ. ინგოროყვას დამაჯერებელი ჰიპოტეზით „ცისა ფერს, ლურჯსა ფერს“ ბარათაშვილმა ეკატერინესათვის გადააკეთა, და რომ ეს ასეა, დასტურდება იმით, რომ ამ ლექსის ხელნაწერი აღმოჩნდა ეკატერინე ჭავჭავაძის ქალის ქაღალდებში“.[1] ი. გრიშაშვილის სიტყვით, „თუ ა. ჭავჭავაძემ „ფერსა ბნელს, ფერსა შავს“ კაეშნიან ნინოს მიუძღვნა, ნ. ბარათაშვილმა თავისი ლექსი „ცისა ფერს“ ლურჯთვალება ეკატერინეს ალბომში მოათავსა“.[2]

ულამაზეს ეკატერინეს უმღერა და ხოტბა შეასხა აგრეთვე მრავალმა სხვა ქართველმა, რუსმა და უცხოელმა მოღვაწემ და პოეტმა. და, რაც მთავარია, ძათი ლექსები, მემუარები და წერილები ეკატერინეზე მეტნაკლებად მოგვაგონებენ ლერმონტოვის ლირიკულ შედევრებს. თითქმის ყველა მათგანი მოჯადოებული იყო ეკატერინეს წკრიალა ტკბილი ხმით, ცეკვითა და მხიარული ხასიათით.

გრიგოლ ორბელიანმა ჯერ კიდევ 1829 წელს უძღვნა „ეკატერინე ჭავჭავაძეს“ ცნობილი ლექსი, რომელიც ასე იწყება:

„წინანდლის ვარდო!
სულითა ტრედო,
გულითა წმინდავ, ვით მთისა წყარო!
ვითა ცისკარო,
ხარ მოცინარი
რომე მხილველის გული ახარო“.

გადასახლებაში მყოფი გრ. ორბელიანი 1835 წელს განსაკუთრებული სიამოვნებით იგონებდა იმ დღეს, „როდესაც ეკატერინა ქუდჩაკეცილი დაღისტნულ ლეკივით ლეკურს თამაშობდა და იმღეროდა: ბროლის ფიცარი, აფიცარი გულს დაგეღონოს“[3]. ცნობილია, რომ გრ. ორბელიანი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ყოველთვის თაყვანს სცემდა ეკატერინე ჭავჭავაძეს და მიმოწერა ჰქონდა მასთან. ისიც საკმაოდ ცნობილია, რომ ეკატერინეს სიმშვენიერეს აღტაცებაში მოჰყავდა გიორგი ერისთავიც, ივანე კერესელიძეც, ინგლისელი კაპიტანი რი-

[1] „მნათობი“ 1938 წ. № 9.

[2] ი. გრიშაშვილი, ლიტერატურული ნარკვევები, 1952 წ., გვ. 109.

[3] გრ. ორბელიანი, წერილები, ა. გაწერელიას რედაქციით. ტ. I. გვ. 25.

ჩარდ ვილბრეჰემიც, რომელიც სწორედ 1837 წლის შემოდგომაზე გაეცნო მას თბილისში, ნიკოლოზ პირველის საპატივცემლოდ გამართულ ბალზე.

„თავადის ქალი კატინკა (Princess Katinka), — წერს ვილბრეჰემი, — ლამაზი ქართველი ქალი, თავისუფლად ლაპარაკობდა ფრანგულად და მისი მანერები, ისევე როგორც ტანსაცმელი, ევროპიული იყო“. როცა ამის შემდეგ ვილბრეჰემი მთავარსარდლის ადიუტანტთან ერთად თავის „საუცხოო პარტნიორშის“ ოჯახს ეწვია, „კატინკა“ მას კიდევ უფრო მომხიბლავად მოეჩვენა[1].

ასეთია დაბეჭდილი მასალები ჩვენთვის საინტერესო საკითხზე. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს პროფ. რუსუდან ნიკოლაძის გამოუქვეყნებელი მემუარები, რომლებიდანაც უდავოდ მტკიცდება, რომ ლერმონტოვის სამივე ლექსის ადრესატი ეკატერინე ჭავჭავაძე ყოფილა.

„ჭავჭავაძეების სახლში, — წერს რ. ნიკოლაძე, — ნინო გრიბოედოვასა და მისი რჩეული მეგობრების უაღრესად სერიოზული წრის გვერდით ახალგაზრდულად ბრწყინავდა, მღეროდა, ცეკვავდა და სიცოცხლის სიხარულით კიაფობდა ამ ოჯახის უმცროსი თაობა — „ცისფერ-ვარდისფერი“ მომხიბლველი კატინკა, რომელმაც არა ერთი ლირიკული შედევრი შთააგონა ბარათაშვილს და რომელმაც ასევე ძლიერად თურმე მოაჯადოვა ლერმონტოვი, რის შედეგად რუსული ლიტერატურა გამდიდრდა სამი შესანიშნავი ლექსით“.

ნინოსა და ეკატერინეს, რომელთა სათნოებითა და სილამაზით, გრ. ორბელიანის სიტყვით, „თითქმის პეტერბურღითგან ისპაანამდის გაგიყებულნი იყვნენ ხალხნი“, ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში უწოდებდნენ პოეზიის დედოფლებს.

„თქვენ გამომიყვანეთ მე კაცად, პოეტად და ახლაც თქვენ ხართ ჩემი ნუგეშისმცემელიო“, — წერდა მოხუცებულობაში გრ. ორბელიანი ეკატერინე ჭავჭავაძეს.

იმ პოეტთა რიცხვში, რომლებისთვისაც ალექსანდრე ჭავჭავაძის ამ ულამაზეს ასულს ბრწყინვალე სტრიქონები შთაუგონებია, როგორც გამოირკვა, დიდი რუსი პოეტი ლერმონტოვიც ყოფილა.

---

[1] Travels in the Trans—caucasion provinces of Russia... in the antimen and winter of 1837 By captain Richard Wifebraham, London, 1839, p. 251, 259.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეკემია ქაჩალიშვილი

მაქსიმ რილსკი

მოძმე უკრაინის მწერლობამ, მთელმა საბჭოთა ლიტერატურამ უდიდესი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა ჩვენი ეპოქის გამოჩენილი პოეტი, უკრაინის საბჭოთა ლიტერატურის ერთერთი ფუძემდებელი და მედროშე მაქსიმ რილსკი.

მაქსიმ რილსკი ერთი იმათთაგანია, რომელმაც მთელი შეგნებული ცხოვრება უანგაროდ მოახმარა თავისი ხალხის სიკეთეს, შთაგონებულად უმღერა სამშობლოს განახლებას, მის თვალუწვდენელ ველებს, თავდაყრილ ყანებს, გლეხის შრომას, მიწის ბარაქას, ადამიანის სიყვარულს და ხალხთა მეგობრობას. იგი დიდი გულის პოეტი იყო და ბრწყინვალე შედევრებით გაამდიდრა ეროვნული მხატვრული კულტურის საგანძური. პოეტს, თავისი კეთილი წინაპრების—ტარას შევჩენკოს, ივანე ფრანკოს და ლესია უკრაინკას მსგავსად, მზერა მუდამ მზისკენ ჰქონდა მიპყრობილი, მზის ნათელსა და მიწის სურნელებას უმღეროდა, მაღალ მოქალაქეობრივსა და ზნეობრივ იდეალებს ქადაგებდა.

მაქსიმ რილსკის პოეზიაში იშვიათი ძალით გამოვლინდა უკრაინელი ხალხის სულიერი სიმდიდრე, მისი მომხიბლავი მშვენიერება. იგი ყურადღებას იქცევდა საღებავების უშუალობითა და სიმკვეთრით, აზრის სიცხადით, ლექსის მუსიკალობითა, შინაარსის სიღრმითა და აქტუალობით. ამ მხრივ მაქსიმ რილსკი ბრწყინვალედ აგრძელებდა უკრაინული კლასიკური პოეზიის საუკეთესო ტრადიციებს, მის დემოკრატიულ პრინციპებს. მაგრამ ვიდრე მაქსიმ რილსკი რევოლუციურ-დემოკრატიული ტრადიციების სწორუპოვარი გამგრძელებელი და ჭეშმარიტი სახალხო პოეტი გახდებოდა, შემოქმედებითი ცხოვრების რთული და არათანაბარი გზა გაიარა. მწვერვალებისაკენ მიმავალი გზა არასოდეს არ არის იოლი და პირდაპირი, ორ წერტილს შორის უმოკლესი, მას მისახვევ-მოსახვევები აქვს და მაქსიმ რილსკიც ვერ ასცდა ამ სიძნელეებს. იგი ცდილობდა პოეზიის ახალი სიმაღლეები „დაეზვერა", ახალი „ცის ტატნობები" აღმოეჩინა, და ეს უმტკივნეულოდ არ ხდებოდა; ვიდრე საკუთარ მხატვრულ კონცეფციას საბოლოოდ გამოიმუშავებდა და სოციალისტური რეალიზმის გზას ურყევად დაადგებოდა, პოეტს მრავალი შინაგანი წინააღმდეგობის გადალახვა, ზიგზაგებით სიარული და რთული შემოქმედებითი წინააღმდეგობის დაძლევე მოუხდა, არა ერთ დეკადენტურ ლიტერატურულ მიმართულებას გადაუხადა ხარკი.

მაგრამ პოეტის რთულ შინაგან ბრძოლაში რაციონალურსა და ირაციონალურს შორის, საბოლოოდ გამარჯვებული ყოველთვის რაციონალური გამოდიოდა. ამას განაპირობებდა, ერთი

მხრივ, მისი შემოქმედებითი გულწრფელობა და, მეორე მხრივ, დემოკრატიული იდეალების ის კეთილი თესლი, რომელიც ყრმობიდანვე ჩაენერგა პოეტს გულში.

მაქსიმ რილსკი დაიბადა 1895 წლის 19 მარტს ქალაქ კიევში, გამოჩენილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ოჯახში. მამამისი თედორე რილსკი წარმოშობით აზნაური იყო, მაგრამ თავის კლასთან კავშირი გაწყვეტილი ჰქონდა და პროგრესულ მოაზროვნედ ითვლებოდა. ლიბერალურ-ნაროდნიკულ მიმართულებას თანაუგრძნობდა. პოეტის დედა კი უბრალო და სიკეთით აღსავსე რომანოვკელი გლეხის ქალი იყო. ბავშვობა მაქსიმმა დედულეთში გაატარა. შემდეგშიც, როცა კიევის გიმნაზიაში სწავლობდა და უნივერსიტეტის სტუდენტი იყო, ხშირად ჩადიოდა რომანოვკაში და მთელ დროს გლეხის ბავშვებთან ატარებდა. პატარა მაქსიმი ხარბად აკვირდებოდა სოფლის ცხოვრებას, გლეხის მძიმე შრომას, უკრაინის სოფლის ლამაზი ბუნებით და მდიდარი შთაბეჭდილებებით ივსებოდა.

რილსკები შეძლებულად ცხოვრობდნენ, პატარა მაქსიმიც ლაღსა და უზრუნველ ცხოვრებას ეწეოდა, მაგრამ ცნობისმოყვარე და დაკვირვებულ ბავშვს მხედველობიდან არ რჩებოდა რომანოვკაში გაბატონებული სოციალური უთანასწორობა, გლეხების აუტანელი მდგომარეობა. შიშველ-ტიტველი და მშიერი ბავშვების დანახვაზე ბევრჯერ თვალზე ცრემლი მორევია, მათი სიბრალულით გული ასჩუყებია, ფიქრები აჰფორიაქებია, მაგრამ არსებითი მისთვის დიდხანს შეუმჩნეველი დარჩენილა. ასეთი უთანასწორობის მიზეზებს პატარა მაქსიმი ვერ ხვდებოდა. ბავშვის იდილიური ცხოვრება ერთგვარი „რკინის ფარდა“ იყო და ღრმა დაფიქრების საშუალებას არ აძლევდა. მხოლოდ იმ დღიდან, როდესაც გიმნაზიაში ტარას შევჩენკოს ლექსებს პირველად გაეცნო, ბავშვობის დროის სოფლის შთაბეჭდილებებმაც ახალი სახე მიიღეს და მის თვალწინ სულ სხვანაირად წამოიზარდნენ. ახალგაზრდა რილსკის არსებაში წინაპირობები უკვე არსებობდა იმისათვის, რომ დიდი კობზარის სულიერ პროტესტს, მის დემოკრატიულ იდეალებს ერთგვარი გამოძახილი ეპოვა მომავალი პოეტის სულში. მაგრამ რომ ეს რაციონალური მარცვალი გაღვივებულიყო და კეთილ ნერგად ქცეულიყო, ამას ხელი შეუშალა ახალგაზრდა პოეტის გატაცებამ ფრანგული და რუსული სიმბოლიზმით.

მაქსიმ რილსკიმ ლექსების წერა ადრე დაიწყო. პირველი ლექსი შვიდი წლისას დაუწერია, მაგრამ ამ ლექსებმა პოეტის შემოქმედებითს ცხოვრებაში კვალი ვერ გაავლო და ავტორის სამწერლო ბიოგრაფიის სათავედ ვერ იქცა. მისი ნამდვილი სამწერლო მოღვაწეობა 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ იწყება. მაქსიმ რილსკის ლექსების პირველი კრებული 1910 წელს გამოვიდა და პოეტის დაბადების თარიღიც აქედან იწყება.

და აი, სწორედ ამ პირველ წიგნში გამოჩნდა მაქსიმ რილსკის შინაგანი თრთოლვა და ჭიდილი, მისი პოეზიის პრინციპული თავისებურება. ახალგაზრდა პოეტი იცნობდა ეპოქის სოციალურ ვითარებას, მის თვალწინ გადაიარა პირველი რევოლუციის ქარიშხალმა, იგი გრძნობდა, რომ სიმართლე მებრძოლი მუშებისა და გლეხების მხარეზე იყო, მაგრამ თავის ჰანგები მათს საბრძოლო ხმებს ვერ აუწყო, რეაქციის გაბატონებამ კი უფრო მეტად უბიძგა სიმბოლიზმის პრინციპებს გაჰყოლოდა და მხოლოდ ყრუ ქვითინში გამოეხატა თავისი გულისტკივილი.

როგორც სამართლიანად ამბობს ლენინი, ჭეშმარიტ ხელოვანს, რა ესთეტიკურ თვალსაზრისზეც არ უნდა იდგეს ის, არ შეუძლია არ იგრძნოს ცხოვრების ნამდვილი მაჯისცემა და რამენაირად არ გამოხატოს იგი. და აი,

სასტიკი რეაქციის ბატონობის მიუხედავად, მაქსიმ რილსკიც, თუმცა გაუბედევად, მაგრამ მაინც ეხმაურება ხალხის გულში დაგუბებულ ბოლმას:

ჰეი, ძმებო, ოქროს სიმებს
ჩამოჰკარით მხნედ!
ახალგაზრდულ ფიქრს და იმედს
კვლავ ჩაუნთეთ მზე!
გესლს ანთეხევდეს დაე მტერი, —
არ შევდრკებით ჩვენ!
ამ ქუხილით, ამ სიმღერით
დავადუმებთ, ვძლევთ!
ჰეი., ძმებო, ოქროს სიმებს
ჩამოჰკარით მხნედ!
ახალგაზრდულ ფიქრს და იმედს
კვლავ ჩაუნთეთ მზე!

მაგრამ ამ კეთილმა ხმებმა ახალგაზრდა რილსკის პოეზიაში განვითარება ვერ ჰპოვა. რეაქციის სუსხმა მასშიც ჩაჰკლა მზისკენ ლტოლვის პირველი ნაპერწკალი და შეგუების გზას დაადგა:

ერთი რამ ვიცი ცხოვრებაში
მხოლოდ და მხოლოდ:
ვდუმდე მოწყენით
და ვოცნებობდე...

სიმბოლიზმი ბოჭავდა და განვითარების საშუალებას არ აძლევდა პოეტის შინაგან მოწოდებას, თვითონ რილსკი ამ პერიოდს „უგუნური ყრმობის“ ხანას უწოდებს.

ახალგაზრდა რილსკიმ შეითვისა უკრაინის კლასიკური მწერლობის ჰუმანიზმი, მაგრამ არ მიიღო მისი შემართების სულისკვეთება, მიიღო და გაიზიარა შევჩენკოსა და ფრანკოს, კოციუბინსკისა და უკრაინის შემოქმედების დემოკრატიული საწყისები, მაგრამ გაუგებარი დარჩა მისი რევოლუციური არსი. ამიტომ ახალგაზრდობაში პოეტი განზე გაუდგა რევოლუციურ მოძრაობას, ვერ გაიგო გლეხობის სურვილები და მისწრაფებები, იმ გლეხებისა, რომელთა შორისაც იგი ბავშვობაში იზრდებოდა. მის ჰუმანიზმს აკლდა იდეალების სიცხადე და მიზანდასახულება, როგორც თვითონ პოეტი მშვენივრად ამბობს, მწვავედ, მთელი არსებით განიცდიდა მაშინდელი სოციალური წყობის უსამართლობას, მაგრამ ამ მდგომარეობიდან გამოსავალს ვერ ხედავდა. ეს იყო ძლიერი და სუსტი მხარე ახალგაზრდა პოეტის ტალანტისა.

მაგრამ მაქსიმ რილსკის თავიდანვე დაჰყვა ერთი ღირსება, რომელმაც მისი ნიჭი გადაარჩინა და დიდ სარბიელზე გამოიყვანა. ეს იყო გულწრფელობა. პოეტი ცხოვრებაშიც და შემოქმედებაშიც გულწრფელი, და ამდენად თავისთავთან ყოველთვის მართალი იყო. პოეტი მართალი იყო მაშინაც, როცა სწორ გზაზე იდგა, და ცხოვრების სიმართლეს გამოხატავდა, და მაშინაც, როცა სცდებოდა, რადგან ყოველთვის სწამდა, რასაც აკეთებდა, და არასდროს არაფრისა და არავის წინაშე არ პირმოთნეობდა. გულწრფელი ადამიანი განვლილსაც საღად აფასებდა და არასოდეს არ უცდია დაეფარა თავისი შეცდომები. იგი სამართლიანად ფიქრობდა, რომ შეცდომის დაფარვა ხელს უშლის პოეტის ფანტაზიის სილაღეს, და მოვლენებს პირისპირ ვაჟკაცურად ხვდებოდა, შეცდომებს გულწრფელად აღიარებდა. და თანაც იქვე დასძენდა:

მაგრამ ამ ქვეყნად მე არასოდეს
უსამართლობას არ ვმსახურებდი.

დიახ, სიმართლე არის პოეტის მთელი შემოქმედებითი ცხოვრების შინაარსი. სიმართლისათვის სამსახურს სთვლიდა იგი თავის იდეალად. ამიტომ, როდესაც ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ღირებულებათა გადაფასება დაიწყო. პოეტს არ გაუჭირდა წარსულთან დამაკავშირებელი გზები გადაეჭრა. რევოლუცია მთლიანად მიიღო და მხარში ამოუდგა თავისუფალ ხალხს თავისუფალი ცხოვრების მშენებლობაში. რევოლუციის სიმართლე მისი პოეზიის სიმართლედ იქცა და ახალი გზების გაკაფვა, ახალი „ცის ტატნობების“ ძიება დაიწყო. არ შევცდებით თუ ვიტყვით რომ მწერ-

ლობის ჭეშმარტად დიდ გზაზე მაქსიმ რილსკი ოქტომბერმა გამოიყვანა. ოქტომბერმა მის მხატვრულ სიტყვას შთაგონების ძალა და დამაჯერებლობა შემატა. ამიერიდან იგი სიმართლეს არა ინტუიციით, გონებით სჭვრეტდა და გულით გრძნობდა. მაქსიმ რილსკის პოეზიის რაციონალური მარცვალი სოციალისტურმა რევოლუციამ გააღვივა, გაანაყოფიერა და უკვდავი სიცოცხლე მიანიჭა. აკი თვითონ პოეტი ამბობს:

„... არ დამხმარებია არც 1905 წელი, როცა, მართალია, ჯერ ისევ ბავშვი ვიყავი, არც რეაქციის წლები, არც ღარიბ გლეხთა შორის განუწყვეტელი ყოფნა, არც წიგნები, არც მეგობრები, რომ მტკიცე სოციალურ-პოლიტიკური მსოფლმხედველობა გამომემუშავებინა. კიდევ უფრო საოცარია, რომ ეს არც იმპერიალისტური ომის შავბნელ წლებში მოხდა, როცა მე უკვე სტუდენტი ვიყავი...“ 1917 წლის თებერვლის რევოლუციამაც პოეტისათვის თითქოს შეუმჩნევლად ჩაიარა. თავის გონებრივ განახლებას იგი უკავშირებს ოქტომბრის მკაცრ სკოლას, დიდი მასწავლებლების—ხალხის, პარტიის, ლენინის ხმებს... „ამ სკოლამ ,ამ ხმებმა,—წერს მაქსიმ რილსკი—მაქციეს იმათ, რაც დღეს ვარ: ლიტერატორად, რომელიც თავისთავს, უპირველეს ყოვლისა, ხალხის მსახურად სთვლის, ადამიანად, რომელიც ჰიტლერელ მხეცებთან წმიდათაწმიდა ბრძოლების დროს შევიდა კომუნისტური პარტიის რიგებში და მტკიცე აღთქმა მისცა—თავისი მუშაობით გაამართლოს კომუნისტის წოდება“.

სოციალისტურმა სინამდვილემ ხელი შეუწყო მაქსიმ რილსკის თანმიმდევრული იდეურ-ესთეტიკური პრინციპები გამომემუშავებინა და თვალსაჩინო როლი შეესრულებინა უკრაინული საბჭოთა მწერლობის განვითარებაში, მისი ერთ-ერთი გამოჩენილი ფუძემდებელი გამხდარიყო.

პოეტი დიდად აფასებდა თავისი ხალხის მრავალსაუკუნოვან კულტურულ მემკვიდრეობას, მაგრამ ამავე სტიკი წინააღმდეგი იყო ეროვნული შეზღუდულობისა და კარჩაკეტილობისა. მხატვრული კულტურის წარმატებებს იგი მთელი კაცობრიობის გონებრივ მონაპოვართან აკავშირებდა — „იმისათვის, რომ ლიტერატურაში ახალი ცის ტატნობები აღმოაჩინოთ, — წერდა იგი, — ურყევად და დარწმუნებით უნდა იდგეთ მშობლიურ ნიადაგზე და უნდა აღიჭურვოთ ყოველივე იმით, რაც საუკუნეების მანძილზე კაცობრიობის გენიას, ხალხის გენიას შეუქმნია. მაშინ და მხოლოდ მაშინ სამყაროს მომავლის მშვენიერება მთელი თავისი სიდიადით თვალწინ გადაგეშლებათო“.

მაქსიმ რილსკი თავისი შემოქმედებითი გზნებითა და სულიერი სილამაზით მოწინავე საბჭოთა მწერლის ტიპიური განსახიერება იყო. მას საბჭოთა ადამიანის სიამაყის გრძნობა, იმ ადამიანის სიამაყის გრძნობა, რომელსაც დედამიწაზე ყველაზე მაღლა უჭირავს სიმართლისა და სამართლიანობის დროშა და ხალხთა გულებს ერთმანეთთან სიყვარულით აკავშირებს, შემოქმედებითად შთააგონებდა. ერთ თავის ლექსში იგი წერს:—მე არ შემიძლიან დავფარო ჩემი ამაყი ფიქრები, ჩვენ, კომუნიზმის მებრძოლები და კალატოზები, ძმობის ურყევ ხიდს გავდებთ მთელს სამყაროშიო.

ნიკოლოზ ტიხონოვმა მაქსიმ რილსკის განთიადის წინასწარმეტყველი უწოდა, და ეს პოეტური ჰიპერბოლა, სიტყვის სილამაზისათვის უბრალოდ ნახმარი შედარება როდია, ის არის შესანიშნავი საბჭოთა პოეტისა და მოქალაქის, დიდი პატრიოტისა და ჰუმანისტის შემოქმედების არსის მოსწრებული და ლაკონური დახასიათება. განათლებული პოეტი, რომელსაც კარგად ჰქონდა შესწავლილი და შეთვისებული ეროვნული კლასიკური მემკვიდრეობა და ბრწყინვალედ იცნობდა კა-

ცობრიობის გენიის მონაპოვარს, ბიღ-წეულით არასოდეს არ კმაყოფილდ-ებოდა, ახალის მუდამ დაუცხრომელ ძიებაში იყო და მშობლიურ ლიტერა-ტურას ახალ-ახალ ჰორიზონტებს უხსნიდა. ეს დახვეწილი გემოვნების ფაქი-ზი ლირიკოსი პოეტური კულტურის ჭწვერვალზე იდგა და სავსებით ფლობ-და თანამედროვე ლექსის ყველა სიმ-დიდრეს.

მაქსიმ რილსკის დასახასიათებლად ეს ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის, საბჭოთა ეპოქამ პოეტი დიდ პატრი-ოტ-მოქალაქედ აქცია. რილსკის ლექ-სები ინტონაციურად მდიდარი, უალ-რესად მელოდიური და მოქნილია, მაგ-რამ იგი არც ერთ წუთს არ მღეროდა მხოლოდ" ტკბილ ხმათათვის". მაქსიმ რილსკი ლექსს უყურებდა როგორც მასების იდეურ-ესთეტიკური აღზრდი-სა და დარაზმვის მძლავრ საშუალებას. პოეტის საბჭოთა ეპოქის შემოქმედება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცალ-კეულ, ეპიზოდურ იდეურ ჩავარდნებს, გამსჭვალულია თავისუფალი შრომისა და პატრიოტული შემართების პათოსით. ეს პათოსი განსაკუთრებით მძლავრად გამოვლინდა მაშინ, როცა დიდი სამამუ-ლო ომის წლებში სამშობლო განსაც-დელის წინაშე დადგა და მის გადასარ-ჩენად და ვერაგი მტრის გასანადგურ-ებლად მთელი ძალების მობილიზა-ცია გახდა საჭირო. პოეტი თავისი პატ-რიოტული მოწოდების სიმაღლეზე აღ-მოჩნდა. მისი მგზნებარე მოწოდების ხმა კიდით-კიდე სწვდებოდა, ზურგისა და ფრონტის მებრძოლებს მხნეობასა და გარდუვალი გამარჯვების რწმენას განუმტკიცებდა. ომის პირველ დღეებ-შივე იშვიათი საბრძოლო ლექსები გამოაქვეყნა, რომლებშიც საბჭოთა პატრიოტის მაღალი გრძნობა გამოხა-ტა. ლექსში „მე შვილი ვარ საბჭოთა ქვეყნისა", პოეტი წერდა:

ვარ ჩემი ქვეყნის ღვიძლ-შვილი
გესმით იუდებს?
კაენის დაღი თქვენს ჭირიან შუბლზე იბუდებს,
არა, მე სისხლით არ ვივაჭრებ მშობელი
დედის,
დავუკავშირე სამშობლოს ბედს მე ჩემი ბედი.

და საბჭოთა ადამიანებს მოუწოდებ-და:

ჰეი, აღსდექ მძლედ,
წინ იყურე მხნედ
და გნდევნე მტერი!
გვიხმობს გმირულ ბრძოლაში
უკანასკნელ ბრძოლაში
ქვეყნის მთა და ველი.

თარგმ. თ. ჯანგულაშვილისა.

ომის შემდგომ პერიოდში პოეტმა დაწერა შესანიშნავი ლექსები. ამ ლექ-სებში დიდი პოეტური ძალით აისახა საბჭოთა ადამიანის სულიერი ცხოვრე-ბის სილამაზე, მისი სასარგებლო შრო-მა და ხალხთა შორის მეგობრობის წმიდათა-წმიდა მისწრაფებები. ეს ლექსები ამდიდრებდნენ მთელ საბჭო-თა პოეტურ კულტურას.

მაქსიმ რილსკის დიდი გული თამამ-ად იტევდა ყველა ხალხის სიყვარულს და ამ სიყვარულს ყველას გულუხვად და რაინდულად უნაწილებდა. საქარ-თველოსთანაც მაქსიმ რილსკის გულწ-რფელი გრძნობა აკავშირებდა, იგი გა-ტაცებით ადევნებდა თვალს ქართული ლიტერატურის მიღწევებს და გული-თადად მეგობრობდა ქართველ მეგობ-რებს. მან თარგმნა ქართველი კლასი-კოსების ნაწარმოებები და მშვენიერი სტრიქონები მიუძღვნა რუსთაველსა და დავით გურამიშვილს.

მაქსიმ რილსკის სახელი საბჭოთა პოეზიის მშვენება და სიამაყეა. მის ნემკვიდრეობაზე თაობები აღიზარდე-ბიან და მისი შთაგონებული ხმა მარად იჟღერებს კიდით-კიდე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ კანკავა

ახალი მოტივები უახლეს ქართულ პოეზიაში

ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების უკანასკნელ ათწლეულს თუ ერთი თვალის გადავლებით დავაკვირდებით, დასამახსოვრებელი ხდება, როგორი გატაცებითა და ვნებიანობით ეტანებიან ქართველი მწერლები თანამედროვეობის მიერ წარმოშობილ სოციალურ მოვლენებს, ფაქტებს, კოლიზიებს. პიროვნების კულტის მანკიერებათა დღის სინათლეზე გამოტანა, ოცდაჩვიდმეტი წლის მწარე დღეების მოგონება, ან სხვა საჭირბოროტო საზოგადოებრივ-ეთიკური მოტივებით დაინტერესება მწერლობაში ქმნის სრულიად თავისებურ ახალ ზღურბლს, რომლის აქეთ ამ საკითხთა გარშემო საკმაოდ ინტერესაღმძვრელი ნაწარმოებები შეიქმნა. ქართულ პოეზიაში, შედარებით ეპიზოდურად, მაგრამ მოვლენათა ისტორიული შეგნებით, დაისვა ყველა ის საზოგადოებრივ-ზნეობრივი საკითხი, რომელიც ამ უკანასკნელი ბობოქარი ათწლეულის ყურადღების შუაგულში იდგა.

თუკი ქართული პოეზიის ზნეობრივ-ფილოსოფიურ ნაკადზე ვილაპარაკებთ, უნდა ითქვას, რომ ზოგიერთ ქართველ პოეტთან ამგვარი მოტივები ღრმად ზის თუნდაც უკანასკნელ დროს შექმნილ ლექსებში. ერთგვარი ფილოსოფიურობით ხასიათდება, ამ მხრივ, ირაკლი აბაშიძის, სიმონ ჩიქოვანის, კოლაუ ნადირაძის, გრიგოლ აბაშიძის, და ზოგიერთ სხვათა ლექსები. ზოგჯერ პოეტის ნაწარმოები ერთ რომელიმე ზოგადფილოსოფიურ საკითხის მხატვრულ გაშლას წარმოადგენს, უფრო ხშირად კი ავტორი რაიმე ცხოვრებისეულ საკითხს განიხილავს ზნეობრივ-ფილოსოფიური განზოგადებით, ცხოვრებისეულ სურათს გვიხატავს ზნეობრივი გაღრმავებით ან თავისებურ ფილოსოფიურ „ფონზე".

საკითხის ამგვარად განზოგადებული დამუშავებით გამოიყოფა ირაკლი აბაშიძის „პალესტინა, პალესტინა!"... პოეტის ეს წიგნი წარმოადგენს ლექსების რკალს, რომელიც შოთა რუსთაველის ცხოვრების უკანასკნელ დღეებს და ფიქრსა თუ განცდებს უნდა გვიხატავდეს, პოეტურად აღგვიდგენდეს. პოეტური „რეპროდუქციის" ეს ხერხი საკმაოდ გაბედულია, რადგან, ამ შემთხვევაში ავტორი ვერ იყენებს უქონლობის გამო ვერავითარ დოკუმენტურ მასალას. უნდა ისიც ითქვას, რომ ფაქტობრივ მასალად ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, მას ვერ გამოადგებოდა ვერც „ვეფხისტყაოსანი", რომელიც პალესტინის ჯვრის მონასტერში შეკედლებულ ავტორს თავისი ცხოვრების განვლილ საუკეთესო მოგონებად, ერთგვარ „ეტაპად" თუ ეგულებოდა.

მაშ, რით ხელმძღვანელობდა ავტორი, როდესაც მკითხველის თვალწინ აღადგენდა შოთა რუსთაველის გარეგან პორტრეტს თუ მის შინაგან უღრმეს განცდებს? ამაში მას დაეხმარა, ერთი მხრივ, იერუსალიმში, ძველი ჯვრის მონასტრის ერთერთ სვეტზე აღმოჩენილი ფრესკა, რომელიც შოთა რუსთაველის პორტრეტი უნდა იყოს და რომლის მიკვლევაში პოეტს დიდი წვლილი აქვს შეტანილი. იერუსალიმში შედგენილ თავის „პალესტინის დღიურში"[1] მან საჩქა-

---

[1] ირაკლი აბაშიძე, პალესტინის დღიური, თბილისი, 1961 წ. გვ. 56.

როდ ჩაწერა: „ვაშა, გამოჩნდა, გამოჩნდა დიდებული სახე ბრძენი მოხუცისა. ამაყი, მაგრამ ღრმად კაეშნიანი, თითქოს ნაცნობი სახე, საოცრად ნაცნობი სახე. მთელ სვეტზე აღმართული წმინდანების იოანე დამასკელისა და მაქსიმე აღმსარებელის ფერხთა შორის დგას იგი, ხელაპყრობილი“.

მეორე მხრივ, მას აღაფრთოვანებდა ის შეუდარებლად დიდი ეროვნულ-პოეტური დანიშნულება და ხვედრი, რომელიც საქართველოს ისტორიულ-კულტურულ განვითარებაში ხვდა „ვეფხისტყაოსანს“. ქრისტიანულ-სასულიერო მცნებებისა და მოძღვრების გვერდით ქართული ზნეობრივი დოგმატების ჩამოყალიბებაში და ერთგვარად მათი ცხოვრებაში გატარებაში ისტორიულ როლს ინაწილებს „ვეფხისტყაოსანი“. ქართული ეკლესია მუდამ გრძნობდა ამ პოემა-რომანის ზნეობრივ-მსოფლმხედველობრივ კონკურენციას. ამას გარდა „ვეფხისტყაოსანი“ რვა საუკუნის განმავლობაში, ე. ი. დღემდე მშობლიური ენის დაუფლებისა და მისი მხატვრული ბუნების შესწავლის დიდ „პედაგოგიურ კურსს“, უბადლო სკოლას წარმოადგენდა. ყველა ეს მოტივი მხატვრულად ასახულია ირ. აბაშიძის „პალესტინა, პალესტინაში“.

ლექსების ეს ციკლი შედგება შვიდი „ხმისაგან“, რომლებიც შოთა რუსთაველის შინაგან მონოლოგებს წარმოადგენენ; ამ ციკლს ერთვის სამი ლექსი („შენ აქ ხარ“, „ვინ იცის, როგორ მელის ვარძია“, „უცნობი მინაწერი პალესტინის ქართულ პერგამენტზე“), რომლებიც ბიოგრაფიულ თუ ლოკალურ ფონს უქმნიან მათ შორის მოქცეულ და ჩართულ „ხმებს“.

ლექსების ამ ციკლში ბიოგრაფიულ მომენტების გარდა, რაც უფრო ტრადიციულ გადმოცემებს ეყრდნობა, ჩართულია პოეტის გაბაასება საწუთროსთან, ღმერთთან. გადმოცემულია მისი სასიყვარულო განცდების დრამატული იერი, მაგრამ ყველაფერს დომინანტობს ეროვნული საკითხის ღრმად პოეტური გაშლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც ირაკლი აბაშიძემ 1957 წელს გამოაქვეყნა თავისი ლექსი „პაოლო იაშვილს“, ეს ჰგავდა პოეტის სიკვდილიდან ოცი წლისთავის აღმნიშვნელ „საიუბილეო“ ლექსს; ოცი წლის სრული დუმილის შემდეგ პრესის ფურცლებზე პირველად ითქვა პაოლო იაშვილის სახელი. „არც გარეგნობაში, არც მის სულში, — წერდა მწერალი გერონტი ქიქოძე პ. იაშვილის შესახებ — არაფერი იყო დეკადენტური: გეგონებოდათ, ის სიმბოლისტური და დეკადენტური პოეზიის სკოლას უფრო თავით მიემხრო ვიდრე გულითო. ეს იყო ლამაზი, მაღალი, გრუზათმიანი შავგვრემანი ჭაბუკი... პაოლო იაშვილი ახლადმოვლენილი ავთანდილი იყო თავის მეგობრებისთვის“.

ლექსში „„პაოლო იაშვილს“ ლირიკული სიმძაფრით გაიელვებს კონტურები ადრესატის ბობოქარი ცხოვრებისა და პიროვნებისა. ავტორი თითქოს პასუხს თხოვს პოეტს, რომელსაც „არ ეყო წინდახედულება“ შეენარჩუნებინა საკუთარი თავი პოეზიისთვის და მისი ხალხისთვის. ამავე ლექსში ავტორი აცხადებს, რომ თავისი ნაწარმოების გმირის გაფერმკრთალებული ცხოვრების თუ შინაგანი პორტრეტის აღდგენა მას სულიერ დაშოშმინებას, მორალურ კმაყოფილებას შესძენს და ერთგვარად გასწევს იმის მაგიერობასაც, რასაც მეგობრული ვალის გადახდა, პოეტური მოვალეობის გრძნობა თუ ვაჟკაცური სიტყვა ჰქვია:

სწუხდი, მეძახდი,
თან დამდევდი ოცი წელია,
რომ გეთქვა ჩემთვის
მაგ ოცი წლის შენი სიკვდილით,
მგოსანს ჭეშმარიტს
რომ სიკვდილი არ უწერია.

ქართველ მწერალთა შემოქმედებაში ცალკეული სახით აისახა ის მძიმე და უღიმღამო ატმოსფერო, რომელიც პიროვნების კულტის დროს სუფევდა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, აისახა, რო-

გორც სამწუხარო ფაქტი, როგორც მეტად შემაძრწუნებელი გარდასული ბნელი ჩვენება. მთავარია, რომ ის აღარ შეიძლება განმეორდეს! — ასეთი იყო მაინც ქვეტექსტი ყველა მათი მხატვრული ნაწარმოებისა, უფრო სწორად, მთავარია,რომ ის დრო აღარ განმეორდება! — ამ რწმენით და სიმტკიცით საბჭოთა მწერლობა არ ერიდებოდა დღის სინათლეზე გამოეტანა კულტის დროინდელი მრავალი მხარე საზოგადოებრივი მანკიერებისა.

პოეტი ოთარ ჭილაძე რეტროსპექტულად ფსიქოლოგიურ პლანში ხატავს იმდროინდელ მძიმე ინტიმურ-საზოგადოებრივ ატმოსფეროს:

ოთახში ისევ ვიღაცა დადის,
თუმცა მე ისევ ვერ ვარჩევ სახეს
და მისი ხელი, ხელი თუ თათი,
ჩემს უჯრებს ურცხვად აღებს თუ ამტვრევს.
მე მხოლოდ მიკვირს და მერიდება,
შევხედო კარგად ან ვუთხრა რამე,
და მისი ჩრდილი, უშნო და დიდი
აწყდება საწოლს, მაგიდას, სკამებს...

ზოგჯერ ადამიანის მორალური სიფაქიზის, სინიდისის ქენჯნის თუ საზოგადოებრივად ჩადენილი დანაშაულის განცდის მხატვრულად განხორციელება ისტორიულ ასპექტშია დამუშავებული. ეს თავისებური ლიტერატურული ტრანსპოზიცია საზოგადოებრივ მოტივთა შუქზე სავსებით გასაგები ხდება. ამ მიზნით ანა კალანდაძეს გამოყენებული აქვს მე-12 საუკუნის დასაწყისის (თუ მე-11 საუკუნის დასასრულის) შესანიშნავი პოეტური ძეგლი „გალობანი სინანულისანი“, რომელიც მისმა ავტორმა, დავით აღმაშენებელმა თავისი ცხოვრების ბოლო ხანებში შეჰქმნა. დღემდე მხოლოდ ვარაუდები არსებობს იმის ასახსნელად, თუ რითი იყო გამოწვეული სახელოვანი მეფის ის მძაფრი სულიერი რეზინიაცია თუ ზნეობრივი რეფლექსიები, რამაც გამოიწვია კიდეც ამ ნაწარმოების, „გალობანი სინანულისანის“ შექმნა. დავით აღმაშენებელი, რომელიც დიდ პოლიტიკას ეწეოდა წინააზიაში, რომელსაც ისტორიული ღვაწლი მიუძღვოდა ამიერკავკასიის ხალხთა კონსოლიდაციის საქმეში და კულტურულ მშენებლობაში, — თავის თავის მკაცრი მსაჯული ყოფილა და „გალობანში“ თავის თავს ყოველგვარს ბრალსა სდებს და მარტოოდენ ღვთაების განუსაზღვრელ კაცთმოყვარეობის იმედიღა აქვს. როდესაც ჩემი აღსასრულის წამი დადგესო, მომხიბლავის გულწრფელობით და შემზარავის ძლიერებით აქვს ნათქვამი „გალობანი სინანულისაში“ და „ჟამი რაი წულილთა ამოფშვინვათაი წარმოდგეს, ზარი მეფობისაი წარხდეს და დიდებაი დაშრტეს, შენობანი უქმ იქმნენ, ყვავილოვნება დაჭნეს, სხუამან მიიღოს სკიპტრაი, სხუასა შეუდგენ სპანი, მაშინ შემიწყალე მსაჯულო ჩემო! განრა ეღოს წიგნი დღესაშინა სასჯელისასა და მე ქედ-დადრეკილი წარმოგიდგე განკითხვად, მსაჯული მართლ სჯიდეს, მსახურთა რისხუაი ქროდის, მართალნი ნეტარებდნენ, ცოდვილთა ჰგუემდეს ცეცხლი, — მაშინ შემიწყალე იესო ჩემო!“[1]

აი ამ პოეტური-ისტორიული დოკუმენტის მხატვრული კომენტარი, რომელიც თანამედროვე პოეტი ქალის, ანა კალანდაძის ლექსში „ფეხი დამადგით, გულზე დამადგით ფეხი ყოველმან“ არის მოცემული:

— ფეხი დამადგით, გულზე დამადგით ფეხი
ყოველმან,
წყალობა ჰყავით...
საქართველოს ყოვლის მპყრობელმან
ვისურვე, დავით...
ფეხქვეშ გაცვითეთ საფლავის ლოდი
ყურძნის მტევნებით...
— ასეთი ცოდვა რა გაქვს, მეფეო,
მიუტევები?
ღირს მსახურებდი ქართულ მიწა-წყალს,
რაი გადარდებს?
გასწიე იგი „ნიკოფსიითგან
დარუბანდამდე“..
თუ... ეს მაღალთა თავდაბლობაა
ოდით და ოდით?
თუ ცოდვილი ხარ, მაშინ, მეფეო,
რაღა ჰქმნან ცოდვილთ,

[1] ი. ვ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, თბილისი, 1948 წ. გვ. 220.

სულის სიმშვიდის, სულის სიმშვიდის
ვერსით მპოველთა?
— გულზე დამადგით, ფეხი დამადგით.
გულზე ყოველთა.

სოციალური მოტივებით მძაფრი დაინტერესება და საზოგადოებრივ-ეთიკური საკითხების მხატვრული გაშლა ძალზე ნიშანდობლივი შეიქმნა გალაქტიონ ტაბიძის მოღვაწეობის უკანასკნელ პერიოდისთვის. გ. ტაბიძეს თავისი ცხოვრების ბოლო წლებშიც ყველაზე უფრო მწვავე და მახვილ პუბლიცისტურ პოზიციებს გამონახავდა საკუთარი სოციალური კრიტიცისტული შეხედულებებისთვის... იგი ამხელდა იმ „პარადულ“, ფუჭ და გაზვიადებულ სამუშაო სტილს, რომელსაც რეალურად ცოტა რამ შეეძლო შეექმნა საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობისთვის. ამ მხრივ მისი პოეტური პალიტრა მუდამ ანთებული და შემოქმედებითი მზადყოფნაში იყო:

იმ გაზაფხულის სავსე ფიალა
გადმოიტოპა.
რა ნიაღვარის იყო გრიალი,
რა წყალდიდობა!..
მაგრამ დარჩა იმ გარემოდან
რამე ნიშანი?
წყალნი წავიდნენ და წამოვიდნენ,
დარჩნენ ქვიშანი...
ასწი ფიალა, სავსე ფიალა!
აქა მშვიდობა!
რა ნიაღვრებმა გადიგრიალა,
რა წყალდიდობამ!
რამე თვითეულს გარემოიდან
შეგვრჩა ნიშანი?
წყალნი წავიდნენ და წამოვიდნენ
დარჩნენ ქვიშანი?

(„დარჩნენ ქვიშანი“).

გალაკტიონ ტაბიძე პოეტის ზნეობრივ ვალად მიიჩნევდა — ყოფილიყო პირუთვნელი და უტყუარი მხატვარი, მთელი სისრულით ამსახველი ცხოვრების სურათების. ერთ-ერთ თავის ბოლო დროს დაწერილ ლექსში „უცხოელ პოეტს“ ის იმგვარ შემოქმედთა ღირსებაზე ლაპარაკობს, რომელთაც საკუთარი ლიტერატურული საქმიანობა მლიქვნელურ კარიერიზმთან დაუკავშირებიათ. ლექსი დაწერილია უცხოელი პოეტის მისამართით; მასში ჩანს ავტორის თვალსაზრისი, რომლითაც ის ადასტურებს, რომ მწერალი ხალხის ცხოვრების წინა რიგში ვერ იდგება, თუკი ამის უფლებას ვერ მოიპოვებს, ხოლო ნამდვილი შემოქმედი ვერ გახდება, თუკი მას მლიქვნელის თვისებისთვის თავი ვერ გაურთმევია:

ჩვენში: „გაგვიძეღ, ბერო მინდიავ,
მუხლი მაიბი მგლისაო“ — მღერდნენ.
თქვენში კი — ერთობ სხვა ამინდია,
მგოსნებიც თქვენი გადასხვაფერდნენ.

რა სასწაულით, რა საწყაულით
პოეტი უნდა შეიქმნეს მოგვი—
მუხლები თუ აქვს გადატყაული
ბატონების წინ ხვეწნით და ჩოქვით.

არვინ მიენდოს ამგვარს იოტით!
პოეტი მართლა პოეტი თუა —
არც ერთ მლიქვნელის და იდიოტის
სწრაფვას იმისი არ აჰყვეს ჭკუა!

პოეტი იცავდა პიროვნული ინიციატივის, აზრის თავისუფლების თუ ხელშეუხებლობის მაღალ იდეალს, რომლის ბიუროკრატიულ დამახინჯებას იგი ჩვენს საზოგადოებაში ამჩნევდა. მის მახვილ პოეტურ მზერას არ შეიძლებოდა გამორჩენოდა ამგვარი სახის მანკიერება და, ბუნებრივია, ის თავის ასახვას ჰპოულობდა მწერლის შემოქმედებაში. ძალზე დამახასიათებელია, რომ პოეტი მსგავს შემთხვევებში მიმართავდა ჩვენი სახელოვანი კლასიკოსების მხატვრულ ხერხებს, იყენებდა იგავის ეზოპურ ენას, მაგრამ არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ ეს ჟანრობრივი არჩევანი გამოწვეული იყო, რაღა თქმა უნდა, მისი ერთგვარი მანერულობით, ლიტერატურული პოზის თუ თავისებური კვარცხლბეკის შერყევით. საქმე ისაა, რომ პოეტი ბოლო წლებში შეუნიღბავად ეყრდნობოდა ქართველ კლასიკოსთა პოეტურ სახეებს, ტროპიკას, ფრაზეოლოგიას. (მაგალითისათვის მოვიგონოთ ლექსი „გაზაფხულია“: „გაზაფხულია, ხე ფოთოლს ისხამს. ვაზის ცრემლებით აივსო ზვარი. ამ მშვენიერ დღეს, ამ სისხამ დილას ფეხებს გისუსხავს ეს. უხვი ცვარი... ხე ფოთოლს ისხამს, ხე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოთოლს ისხამს"... და სხვ.) ეს პოეტური ხერხი მას თითქოს ერთგვარ მორალურ კმაყოფილებასაც ანიჭებდა, — როდესაც ის თანამედროვე საქართველოს სახალხო პოეტი, ესიტყვებოდა მათ, თუ იმათივე ფრაზებით ამდიდრებდა საკუთარ მხატვრულ — ლიტერატურულ არსენალს; ამით თითქოს ურღვევ კონტაქტსა და ზნეობრივ თანხმობას ამყარებდა მე-19 საუკუნის ქართველ კლასიკოსთა აზრებთან და განცდებთან. ქართველი მკითხველისათვის აშკარაა რომ გ. ტაბიძის „გაზაფხულია" ილიას ცნობილი შედევრის „გაზაფხულის" თავისებურ პარაფრაზს წარმოადგენს.

გ. ტაბიძის ლექსში „მგელი ბატკანს" ეზოპური ენაა გამოყენებული, მაგრამ ვიმეორებთ, ეს ავტორის თავისებური პოეტური მოსასხამია, რომელიც გასული საუკუნის ცნობილ მოღვაწეთა პოეტურ გარდერობიდანაა ამოღებული. ამ ლექსში პოეტი სწორედ პიროვნული და იდეური ხელშეუხებლობის აზრს ანვითარებს. ნაწარმოებს ალის ენასავით შიგნიდანვე ანათებს მახვილი ჰუმორის გრძნობა, პოეტური ლაკონიზმის ოსტატობა და ლექსის მართლაც კლასიკური სისადავე:

მგელი ბატკანს
შეხვდა ნავსად
შეკრთა
დაიბანდა...
ცად კი ერთი
კასრის მსგავსად
მთვარის დისკო
ჩანდა.
მგელმა ბატკანს
ჰკითხა:
— კასრის
მსგავსი რაა
გარეთ?
ბატკანმა თქვა:
ჩემის აზრით,
ცაზე ბრწყინავს
მთვარე...
მგელმა ბატკანს
(რა გგონიათ?)
გაჰკრა კბილი
ბასრი:
როგორ ბედავ,
იქონიო
საკუთარი
აზრი?!

ნამდვილი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ყღერადობა ახასიათებს გიორგი ლეონიძის ლექსს „სიზმარი". პოეტის ეს მძიმე „სიზმარი" გამიზნულია ყველა იმ უზურპატორის სამხილებლად, როგორსაც თავისი ბნელი პოლიტიკური მაქინაცია მიმართული აქვს ქვეყნის მომავლის, ამ მომავლის საუკეთესო განმსახიერებელთა — ბავშვთა ბედნიერების დასარღვევად.

გ. ლეონიძე მისთვის ჩვეული ხატოვანი პოეტური სტილით, რომელიც ძალზე ხშირად გამდიდრებულია ეროვნული ზეპირსიტყვაობის სახეებით და მეტაფორული ხერხებით, გვიამბობს თავის ეროქალაქეობრივ მზადყოფნაზე — გააუნებლოს ყოველი ქვეყნის მემკვიდრენი ყოველგვარი მოსალოდნელი ხელყოფისაგან.

პოეზიის საგნად იქცა აგრეთვე მეშჩანური ყოფის, ფილისტერთა გონებაშეზღუდული ცხოვრების თემა; ცხადია, პოეტურ გაკენწლას არ აცდა ადამიანი, რომელიც თავის ბედნიერებას ნაყიდი საოჯახო ნივთების სიმრავლით და მაღალხარისხოვნებით ზომავს; მწარე ირონიის საგნად იქცა აგრეთვე ისიც, რომელიც თავის ღირსებას გრძნობას უკავშირებს იმ ფაქტს, რომ სასწავლებელში ის ერთად სწავლობდა ამჟამად დიდად ცნობილ პოეტთან ერთად. მუხრან მაჭავარიანის უსათაურო ლექსის („ღვინოს მიმართავს") გმირი ფრიად დოვლათიანი და პურმარილიანი ოჯახის ბურჯია, მაგრამ იგი ღარიბია სულით. მართალია, ამ უკანასკნელ ფაქტს ლექსის ლირიკული გმირისთვის ნაკლები მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ავტორი სწორედ მისი ამ თვისებით არის აღელვებული,

მუხრან მაჭავარიანი, ამ შემთხვევაში, ცალმხრივობაში არ ვარდება. მისთვის მამოძრავებელ მოტივად იქცა ის. რომ ადამიანს საკუთარი შინაგანი მდიდარი ცხოვრება არა აქვს; მას არსები-

თად ეს ამოძრავებს, და მიუხედავად ფარული ირონიისა, ცხოვრების დანარჩენ ატრიბუტებში ის მიუღებლად არაფერს არ მიიჩნევს:

ღვინოს მიმართეს
(მოიარა სუფრა არაყმა).
კარგი ოჯახი.
პურმარილი, — შენი ქებული.
— ერთად ვსწავლობდით! —
დიდ პოეტზე ამბობს ამაყად
კაცი რიგითი—
რიგითობას შერიგებული.

შინიდან გარეთ, დიდ გზაზე გასვლა, კამერული მყუდროების ცოცხალი, მზით და ქარით გაწმენდილი სივრცით შეცვლა — ქართული პოეზიის ერთერთი მთავარი მოტივია. „ვინც სახლში დარჩა, რა გააკეთა“ — ამ მოტივის განზოგადოებულად, ღრმა შინაარსით დამუშავება დღეს უფრო ფილისტერულ კარჩაკეტილობასთან და ადამიანის, ცოტა არ იყოს, დამყაყებულ სულიერ და ფიზიკურ არსებობასთან ბრძოლას და შეურიგებლობას გულისხმობს:

როცა სახლიდან გარეთ გავდივარ,—
ასე მგონია
სახლში ვბრუნდები,
ვიცილებ უცებ ყველა სატკივარს,
ვლამაზდები და ვმხიარულდები.
კვლავ მიბრუნდება ახალგაზრდობა,
ვარ, როგორც ქარის გამოქროლება,
და მაშინ ვფიქრობ:
რა უაზროა
შინ ჩაკეტილი კაცის ცხოვრება,

(მ. ქვლივიძე, „როცა სახლიდან გარეთ გავდივარ“).

დიდი სიყვარულის გრძნობა იწრთობა გარეთ, სხვა ადამიანებთან ურთიერთობის პროცესში. ამ დიდ გრძნობას სცილდება ყოველგვარი ზედმეტი დანაშრევი, ჩენჩო, რომელიც მას აღმოცენებისას შეიძლება შერჩენოდა; სამაგიეროდ ემატება ის სიმტკიცე და ურყეობა, რომელიც მხოლოდ ამ გრძნობას ცხოვრებისეულ გამოცდის შემდეგ უჩნდება.

სიყვარულის ეს გრძნობა ადამიანებმა ერთმანეთს უნდა გადასცენ. ასე იბადება სიყვარული, რომელიც ცეცხლის ნაპერწკალს შეადარა არჩილ სულაკაურმა. სიყვარულისთვის ყოველთვის ორი ადამიანია საჭირო; მაღალ გრძნობას ადამიანს სხვა უნერგავს ისევე, როგორც საჭიროა, რომ ეს გრძნობა, ესტეტიკის წესით, მან სხვას გაუღვივოს, გადასცეს.

ლექსში „თოვამ იმატა უფრო და უფრო“ ა. სულაკაური ზამთრის სუსხიან საღამოს აღწერს; ამ ქარიან ამინდში ლექსის ლირიკულ გმირს ხიდზე მოუხდა გავლა. მას უნდა პაპიროსს ცეცხლი მოუკიდოს, მაგრამ ეს შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ კი ის ანთებულ პაპიროსიან მგზავრს გადაეყრება. ხიდის მახლობელ მოსახვევში იგი ასეთს პოულობს და აბოლებს პაპიროსს. ქრის ყინვიანი ქარი, თოვს, მაგრამ ლირიკული გმირი სხვა ფიქრს შეუპყრია: აი ის გააჩერეს, მოუხადეს ბოდიში და მისი პაპიროსის ცეცხლს დაეწაფნენ; ჩქარა ამ მეორე ადამიანსაც (რიცხვით უკვე მესამეს) ვიღაც სხვა მოსთხოვს ცეცხლს, მას კიდევ და კიდევ სხვა... ასე გავრცელდება სითბო, ცეცხლი, სიკეთე და სიყვარულის ნაპერწკალი ერთმანეთთან შემხვედრთა შორის.

ამ ლექსს შეიძლება ითქვას, ალეგორიული ელერა აქვს: ყველაზე მძიმე დღეებში ადამიანმა არ უნდა დაუკარგოს სხვას ის სითბო და სიკეთის ნაპერწკალი, რომლის გადაცემის და მინიჭების უფლება თუ მოვალეობა მას აკისრია— საზოგადოების თითოეულს და ყოველ წევრს ერთდროულად.

ა. სულაკაურს აქვს მსგავსი ელერადობის ლექსი — „გზაზე დავახეთე ცეცხლი პატარა“, რომელშიც ავტორი გაკვირვებას გამოთქვამს, რომ ერთ ადამიანს შესწევს იმდენი უნარი, რომ საკუთარი შინაგანი ცეცხლით შეუძლია გაათბოს ბევრი სხვა, შეიძლება მისთვის უცნობნიც; აქ პირად კონტაქტს მნიშვნელობა აღარა აქვს. ეს ლექსი წმინდა ალეგორიულ პლანშია დაწერილი, და „დანთებული ცეცხლის“ თემაში ლირიკულ სუბიექტად შეიძლება ვივარაუდოთ როგორც თვით პოეტი, ისე ყოვე-

ლი სხვა კაცი, რომელიც ფართო საზოგადოებრივი მნიშვნელობის მოღვაწეობას ეწევა.

საბჭოთა ჰუმანიზმი იქცა თემად ალიო მირცხულავას ლექსისათვის — „მას ეპატიოს". ამ მცირე მოცულობის ლექსში ახმიანდა და გაცოცხლდა საბჭოთა ჰუმანიზმის ზოგი ნაცნობი ნიშანი. შეცდომა ადამიანურია — სტრიქონშუა ვკითხულობთ ჩვენ ამ ლექსში, და ის, ვინც ქვეყნის მშენებლობის ფერხულში გატაცებით, თავგამოდებითაა ჩაბმული, მკაცრად არ უნდა იყოს განკითხული, თუ გატაცების დროს ცოტათი ფეხი აერია. ან ის, ვინც დაღლილა და წაბორძიკებულა საქვეყნო ბრძოლაში, იმსახურებს ხელის გაწოდებას. წაბორძიკება, შესაძლებელია, უფრო ადამიანურია, ვიდრე ის, რომ უარყო ასეთი შესაძლებლობა საკუთარი შრომის თუ მიზანსწრაფვების მიმართ. „ადამიანი ცდება, ვიდრემდის ის მიისწრაფვის" — ეს გოეთეს ცნობილი სიტყვებია „ფაუსტიდან", რომლის პოპულარობას მხოლოდ ის საშიშროება ახლავს, რომ ის მხოლოდ შემარბილებელ საბუთად არ იყოს გამოყენებული.

ა. მირცხულავას „მას ეპატიოს" სრულებით არაა დაწერილი რაიმე ფილანტროპიული მოსაზრებით. აქ არც იმის მტკიცებაა, თითქოს ჩვენ მოწოდებულნი ვართ იმისათვის, რომ ადამიანს შეცდომები და გზის გამრუდებანი ვაპატიოთ; აქ უბრალოდ თქმულია იმათზე, ვინც მთელი არსებით ემსახურება თავის სამოქმედო ასპარეზს და, მიუხედავად ასეთი ბეჯითობისა, ცთომილებისაგან არ არიან დაზღვეულნი. სწორედ ამიტომ უწოდა ავტორმა ლექსს — „მას ეპატიოს":

მას ეპატიოს კვნესა გულისა,
ვინც ამ ცხოვრების
მთაგორიან ზღვას გადალახავს,
დარდი ჩრდილია სიხარულისა,
ყოველ სინათლეს
განუყრელად ლანდი თან ახლავს.
მას ეპატიოს დაღლა, წაქცევაც,
ხან თუ ფიქრების
სიმძიმის ქვეშ მოიხრის თავსაც,
ვინც მშობლიური ქვეყნის აწევას
მხარი შეუდგა
ქართლის ხუროთ-მოძღვარის მსგავსად.

ციტირებულ ლექსში სწორედ იმ დამაშვრალ კაცზეა ლაპარაკი, რომლის ზეშთაგონებაზე და შემოქმედებით გატაცებაზე ასე მეტაფორულად და მოხდენილად გვამცნო პოეტმა კარლო კალაძემ ლექსში „მზის სადიდებლად". პოეტმა კარგად მოარგო ხალხურ თქმულებას საკუთარი მხატვრული კონცეფცია და მის შრომას სადიდებელი ჰიმნის განზოგადება მიანიჭა. „ამომავალ მზეს ფრენა-გალობით ხვდება ტოროლა. იგი ისეთი თავდავიწყებით მიისწრაფვის ხოლმე ცაში, რომ შემდეგ ხშირად მინდორზე უსულოდ დაცემულს ნახულობენ სოფლელები",—წერს ლექსის ეპიგრაფში ავტორი. აქედან „მორალის" გამოტანა თითქოს ძნელი არაა: ისე როგორც ტოროლა წმინდა ლაჟვარდში ჰქრის მზისკენ მიაპობს და ამ გულის შემკუმშველ სურვილში სიცოცხლეს ლევს, ისევე ადამიანმა უმაღლესისკენ ლტოლვის სიძნელეში უნდა ნახოს თავისი მიზანიც და აღსასრულიც. და მაინც ლექსის წაკითხვის შემდეგ არ შეიძლება მხოლოდ ამ მშვენიერ ჭეშმარიტებაზე ჩაფიქრებამ დაგვაკმაყოფილოს (თუმცა კი ლექსის ავტორი აქ სვამს წერტილს) და კიდევ ერთხელ არ გავიფიქროთ სიკვდილ-სიცოცხლის თუ აღმშენებლობისა და ნგრევის უაღრესად შინაგან და იდუმალ დიალექტიკაზე.

ლექსი „მზის სადიდებლად" სადა, ხალხურ კილოსთან მიახლოვებული ენითა და პოეტური სტილით არის შესრულებული. მის სიმსუბუქეს არ არღვევს მასში თხრობითი ელემენტების შეყვანა. ლექსი პოეტური პეიზაჟის მხატვრული მინიშნებებით იწყება, რომლის ფონზეც პოეტს (თხრობა პირველ პირში მიმდინარეობს) ხელში აუყვანია მკვდარი ტოროლა და ახლა ირგვლივ მყო-

ფი ეკითხება მისი უეცარი ჩამოვარდნის მიზეზს:

როცა ჯერ კიდევ ცისკართან
ბრუნავს მზე ნაპერწკლიანი,
მისი გალობა გაისმის
და მისი ჩანგის წკრიალი!
მაღლა, სულ მაღლა მიიწევს
ხიბლავს სილაღე დილისა,
ვიდრე არ შეიკუმშება
გული ცად მოწვეტილისა!...
მაშინღა შესწვეტს გალობას
და ფრთები მოეკეცება,—
მზისკენ თუ მიისწრაფვოდა—
დედამიწაზე ეცემა!...

ჰუმანურობის სხივითაა გამთბარი ს. ჩიქოვანის ლექსი „ბერმუხის ამბავი". პირველი შეხედვით ჩანს, თითქოს აქ დამუშავებულია „სპილო და ფინიას„ ერთ-ერთი თემატიკური ვარიანტი, მაგრამ, სინამდვილეში, ლექსს სრულიად სხვა ემოციური პლანი აქვს და თემაც საკმაოდ პოეტური ორიგინალობითაა გადაჭრილი.

... ტყეში დგას მეფური გარეგნობის მოხუცი, საუკუნეებისაგან მოღლილი მუხა, რომლის ასწლოვან გარინდებას და დროთა მიერ მოგვრილ რულს აფრთხობს მის დამსკდარ ქერქზე მიმჯდარი ხეკაკუნა კოდალა. კოდალას ავი განზრახვა არა აქვს; ის ჭორაობის ხასიათზე მოსულა, მუხას „ყურივით მიჰკრობია" და ცდილობს გააგონოს ბერმუხას ქვეყნის ჭორი, ანდა დასტყუოს მისი ასაკი. ბერმუხას კი ამ ქვეყნის ამბებიდან აღარა აინტერესებს რა; სხვა საქმეა, თუ მის კოჟრიან სხეულს დაალბობდა და სიცოცხლის წვენით გაჟღენთდა მისის თქორი. ამ ამბის შემსწრეს, ლექსის ლირიკულ გმირს, უნდა თოფი ესროლოს კადნიერ კოდალას, მაგრამ, რაც მთავარია, მას იმედი აქვს, მეხის ქუხილის ხმა გამოიყვანს მუხას ამ საბედისწერო მთვლემარებისაგან, ხოლო ზეცით მოიყვანს ჟუჟუნა წვიმას, რომელიც განბანს მას და ისევ სასიცოცხლოდ ააჟღერებს.

მიუხედავად მუხისა და თვით კოდალას პერსონიფიცირებისა, ლექსი არ იკითხება იგავ-არაკივით და არც ალეგორიულადაა დაწერილი. მიუხედავად იმისა რომ ტყის ორივე პერსონაჟი გადამიანებულია და უნატიფესი განცდებით დაჯილდოვებულია, ისინი გადატანითი, ალეგორიული პლანით არ არიან გამოხატულნი. ამაშია სურნელებაც სიმონ ჩიქოვანის ამ ლექსისა. ჩვენ ვხედავთ ნატიფ ბუნების სურათს, ტყის სიღრმეში გათამაშებულ პატარა დრამას, რომლის აღსაქმელად და გადმოსაცემად ჩვენ მხოლოდ ადამიანური ენა, განცდა და განწყობილება გვაქვს. ამგვარია ს. ჩიქოვანის ლექსის პერსონიფიცირების საფუძველი, რაც პრინციპში განსხვავდება საერთოდ იგავში მიღებული მხატვრული ხერხებისაგან.

„ბერმუხას ამბავს" პირველშობილ მშვენებას მატებს ისიც, რომ ავტორის აღნიშვნის თანახმად ის ზედაზნის ნისლიან კალთებზეა შექმნილი.

„ბერმუხის ამბავის" გარდა, თავისი ლექსების ციკლში „ბუნების კარი" ს. ჩიქოვანს შეტანილი აქვს სხვა საყურადღებო ლექსები: „ცხრა მუხა", „ხმელი წიფელი", „კამეჩები"... მსგავს ჰუმანისტურ ნაკადს ისინი მოკლებულნი არიან, მაგრამ თუ ამათგან უკანასკნელი წმინდა „ჟანრისტულ", ყოფითს სურათს გადმოგვცემს, პირველი ორი კარგი პატრიოტული ლექსებია.

ჰუმანიზმის, ხალხის უკვდავების თუ ხალხურობის მოტივები ჭარბად ანოყივრებენ თანამედროვე ქართულ ლირიკას. პოეტის მეცნიერულ ცოდნას თითქოს მითიური გადმოცემაც უბამს მხარს, როდესაც პოეტი მთელი არსებით გრძნობს თუ რა ღრმად არის ჩაზრდილი მისი შემოქმედებითი „ფესვები" მისივე ხალხის წიაღში. ძნელია სრულად აღნუსხო ყველა ის მხარე, რითაც პოეტი დაკავშირებულია მშობელ ხალხთან. ხომ სადავო აღარაა ის ფაქტი, რომ მწერლის პოეზია ერთ ენაზე არსებობს, პოეტი მთელი თავისი ჰარმონიული დასრულებულობით ერთ ენაშია მოცემული. ერთი ფრანგი ენათმეცნიერი ამგვარ ჩივილს გამოთქვამდა: ის, რომ ძველ ბერძნულ ენას სკოლებში

ალარ ასწავლიან, ეს როგორც ენათმეცნიერს თითქმის არ მაღელვებს, მაგრამ მე ვერ შევრიგებივარ აზრს, რომ ჰომეროსის სრულყოფილი მშვენიერება თითქმის ხელიდან ეცლება შთამომავლობასო. ეხობრივი ქსოვილის გარდა მხატვრული აზროვნების სპეციფიკით და კალაპოტებით, ისე როგორც პრობლემატიკის სიმწვავით და შერჩევით მწერალი თავისი ხალხის სულიერი წყურვილით არის დაჭრილი. ამ მხრივ გიორგი ლეონიძეს მეტად ბევრი აქვს სათქმელი, როგორც ქართული ხალხური აზროვნების ყველაზე ელვარე და წმინდა სათავეებში წყურვილდამცხრალს:

მე გული წმინდა ვერცხლივით
ხალხის წინაშე ვატარე,
უმისოდ შუქი, ვერც სხივი
სიტყვას ვერ გამოვატანე!
ვერცა ვთქვი ნასურვილარი;
არც მქონდა ნაპერწკალობა;
სახალხოდ მთქმელი ვინ არი,
სთქვას დიდი გულის გალობა!
(„მე გული წმინდა ვერცხლივით“).

სხვა ლექსში „ბრილის წყარო“ გ. ლეონიძე სავსებით ტრადიციულ სტილში საკუთარი ლექსების მადლს და სიწმინდეს ქართლის ერთ კუთხეში შეხვედრილ ბრილის წყაროს დაუშრეტელ ანკარა ჭავლს და მის თავდამბლურ დუდუნა სამსახურს ადარებს. როგორც ამ ვერცხლისებრ წკრიალა ბრილის წყაროს მეგობრობენ, აფასებენ და მასთან სიარულს არ იშლიან, ილოცება ავტორი, ისე ჩემი სიტყვაც ხალხისთვის ღირებული, მის გულზე გადამწვდარი იყოს. ლექსი მკითხველს ატყვევებს სისადავითა და გულწრფელობით.

ხალხის უკვდავებისა და ხალხის ერთგულების მოტივი გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედებაში გამოსადეგია როგორც მსუბუქი მუნასიბისთვის, ისე მეტად ორკესტრულად მჟღერ ლექსებისთვის. ამ თემისათვის მის სალექსო ფორმებში ზღუდე არ არსებობს. მისი ფაქიზი პოეტური ინტუიცია და ალღო მუდამ ანსხვავებდა შემთხვევით პიროვნებების, მედროვეების საქმიანობას ხალხის ნამდვილ ინტერესებისაგან, თვით ხალხის ძირითად მოთხოვნილებებისაგან. ერთ პატარა თავის უსათაურო მუნასიბში („გიორგი! ახლა“) იგი ჩვენთვის უცნობ ადრესატს აფრთხილებს, რომ ხალხის ჭეშმარიტი ინტერესები არ გადააფასოს და ანგარიშიც მხოლოდ და მხოლოდ მშობელ ხალხს ჩააბაროს:

გიორგი! ახლა
მზრუნველს და მომვლელს
საქართველოში
ვინმე გამოლევს?
მზად იყავ მისცე
ანგარიში ხალხს
და არა ყოველ
გამვლელ-გამომვლელს!

უფრო მძლავრი პოეტური აკორდებით, ორატორული მქუხარებით და იმ შინაგანი პათეტიკით, რომელიც ქართულ თოთხმეტმარცვლოვან ლექსს ახასიათებს, გ. ტაბიძის „წინ, წინ, სამშობლო მხარეო!“-ში ქებათა-ქება აქვს შესხმული ხალხის ნებას, ხალხის სულიერ ძალებს და შეუცდომელ ალღოს. ლექსი არტისტული მჭევრმეტყველებისა და მჭევრმეტყველი დეკლარაციის ხერხით ვითარდება. მასში გამოირჩევა ორკესტრულად მჟღერი რეფრენი—ლეიტმოტივი: „ხალხი და მხოლოდ ხალხი!..“ ხალხი პოეტის თვალში ერთობ მყარი, მტკიცე, შეუცდომელი ცოცხალი არსებაა, რომლისადმი მინდობა და რომლის სამსახური მას სულიერ შვებას, დაშოშმინებას და, ერთდროულად აღმაფრენას აძლევს.

ხალხთან, ადამიანების წრესთან, კონტაქტი რაღაც სასიცოცხლო პირობად არის ქცეული. მწერალი მათ სტიქიაში ამოწმებს საკუთარ თავს, საკუთარ შემოქმედებითი მიღწევებს. თანამედროვე ქართველ მწერალს ახსოვს ლევ ტოლსტოის სავსებით ღრმაგაზროვანი შეგონება: როდესაც ხალხში ხარ, იფიქრე იმაზე, რაზეც მარტო ფიქრობდი, როდესაც მარტო ხარ, იფიქრე, რაზეც

ხალხში ფიქრობდი... ხალხთან მჭიდრო ურთიერთობა პოეტს ემოციურად ამდიდრებს, აცოცხლებს, ხოლო აზრის ასპარეზს უფართოვებს. ზოგი პოეტის თვალში ამ კავშირს მაგიური ძალა დაპატრონებია და ერთგვარი გარდაუვალობის ბეჭედი აზის (მ. ქვლივიძე: „ხალხს რომ ვარ ასე დახარბებული“).

ხალხის სამსახურის და სამშობლოს სიყვარულის უსაზღვროდ ტევადი გრძნობა ყველაზე მძლავრი და მაცოცხლებელი იდეური ნაკადია, რომელიც ქართველ პოეტთა კრებულებს ასაზრდოებს. მაგალითად, რევაზ მარგიანის პოეზიაში, მძლავრია მამულის სიყვარულის განცდა. მას მრავალი ლამაზი ბალადა და თქმულება, ცხოვრების სულ სხვადასხვა თემაზე შექმნილი ნაწარმოები აქვს, მაგრამ მის კრებულებში დომინანტია სწორედ სამშობლოს ერთგულების და სამშობლოს წინაშე ფიცისდების მოტივები, რომლებიც ქმნიან კიდეც ერთ საერთო დიდ ფონს.

რევაზ მარგიანის პოეზიაში თითქმის ყველა ციკლი ლექსებისა შეიძლება დაიყვანოთ პატრიოტულ მოტივზე. ეს მისი სიმდიდრეც და სიღარიბეცაა, ერთსა და იმავე დროს. ყოველ შემთხვევაში, თვით ავტორი თავის ამ თვისებას დიდ სიმდიდრედ თვლის და მკითხველსაც ეს სჯერა. კრებულში —„მთანი მაღალნი“—ყოველ განყოფილებას საკუთარი დასათაურება აქვს: „მამულს დიდება“, „მთანი მაღალნი“, „მთის კალთაზე სახლი მედგას“, „ცხრა მთის იქით“, „აქა მშვიდობა!“, „გზადაგზა“ და „მუმლი მუხასა“... მათში ბევრია საყოფაცხოვრებო, ეთნოგრაფიული, ფოლკლორული თემების დამუშავების ნიმუში, ასევე ბევრია მშვიდობის, შრომის, აღმშენებლობის ან სატრფიალო მოტივების გამოყენება; რ. მარგიანი არ გაურბის, ცხადია, პეიზაჟურ ლირიკას ან მოსავლის ბარაქის აღწერას, მაგრამ ყველა მის მიერ შერჩეული თემა ეყრდნობა ერთ დიდ მარადმწვანე, უბერებულ თემას—სამშობლოს სიყვარულს, რომელიც თავის მხრივ, აკეთილშობილებს და თავისებური სხივით მოსავს მის ლექსს.

პატრიოტული თემატიკის ლექსები ძირითადად ორ სახეობად განიყოფება: ნაწილი ისტორიულ პლანშია გადაწყვეტილი, ნაწილი-სავსებით თანამედროვე. ის ლექსები, რომლებიც ისტორიულ ასპექტში არიან წარმოდგენილნი, ყოველთვის ისეთ შთაბეჭდილებებს ტოვებენ, რომ ძველი საგმირო ამბის გახსენებით ავტორს სურს კიდევ უფრო განამტკიცოს რწმენა სამშობლოს დღევანდელ და ხვალინდელ დღეში, ისტორიული რემინისცენციით კიდევ უფრო გაუმაგროს საძირკველი ჩვენს თვალსაზრისს სამშობლოს ბედზე, მისდამი სიყვარულის გრძნობას. ასეთ შემთხვევაში, სამშობლოს ისტორიას განიცდი როგორც საკუთარ წარსულს და მისდამი ერთგულებას ისტორიული შეგნება და ხასიათიც ეძლევა.

კოლაუ ნადირაძის ლექსში „ცოტნე დადიანი და მუცი სცევოლა“ ისტორია მხოლოდ მასალაა საკუთარი პატრიოტული კონცეფციის ჩამოსაყალიბებლად. პოეტმა ისტორიაში ცნობილი ორი მეტად საინტერესო ეპიზოდი დაუპირისპირა ერთმანეთს და პოეტურად მიგვანიშნა, თუ რამდენად საჭიროა ხალხისთვის ასეთი რაინდული საქმეების ჩადენა და შემდეგ კი მგოსნის თუ ისტორიკოსის მიერ მათი უკვდავყოფა.

ქართულ და სომხურ მატიანეებში დაცულია ცნობა მე-13 საუკუნის შუა წლებში ქართველთა შეთქმულების შესახებ დამპყრობ მონღოლთა წინააღმდეგ, საქართველოს ისტორიაში ეს შეთქმულება „კოხტასთავის შეთქმულების“ სახელითაა ცნობილი.

კოლაუ ნადირაძე ამ ისტორიულ ეპიზოდს უკავშირებს ძველრომაულ გადმოცემას მუცი სცევოლას შესახებ. პოეტი საკუთარი ფანტაზიის ძალით ახ-

ვედრებს ამ ორ ისტორიულ და ნახევრადლეგენდარულ პიროვნებებს, რომ ამით გადმოეცა სამშობლოსათვის თავგანწირვის მაღალი გრძნობა, ამ გრძნობის ზეაღმტაცი ხასიათი.

ასეთივე ხასიათის ისტორიულ-პატრიოტული ნაწარმოებია კ. ნადირაძის „სამასი სპარტანელი და სამასი არაგველი“, ხოლო, „მყინვარის საჩუქარი“ ან ლირიკული „ბევრი არ მითქვამს, მამულო შენთვის“, მამულის სიყვარულის თანამედროვე მასალით გამოხატვის კარგი ნიმუშებია.

პატრიოტული თემის კარგი გააზრებაა ლექსში „სტამბოლის ნაციონალურ მუზეუმში“, რომელიც გრიგოლ აბაშიძემ შექმნა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში მოგზაურობის შედეგად. მისი აზრი მარტივია, მაგრამ ნათელი და მტკიცე: ავტორს არ სურს იყოს იმ ქვეყნის შვილი, რომლის ისტორია და ისტორიული რელიქვიები — სამუზეუმო ექსპონატები—მეტყველებენ დამპყრობ-მტაცებლურ ტრადიციებზე. სტამბოლის მუზეუმში ნანახი თითქმის ყოველი ნივთი, ხელოვნების ნიმუში, მას გაძარცვის ასოციაციასთან აქვს დაკავშირებული; ოქროში ჩასმულ კეთილშობილ თვალში, ის ჩერქეზის ასულის ცრემლს ხედავს, ხოლო ლალიაგუნდის შუქი, თურქი ასკერის მიერ მის სამშობლოში გაჩაღებულ ხანძრის ალს აგონებს;

> მივყვები ბრწყინვალე დარბაზებს
> ყოველი კუნჭული მაბრაზებს,
> რამდენიც ოქრო და ვერცხლია,
> იმდენი სისხლი და ცეცხლია.
> რამდენიც ძვირფასი თვალია,
> იმდენი ნახანძრების ალია!

საქართველოს ისტორიის დრამატული გააზრებით არის შთაგონებული გრიგოლ აბაშიძის „შავი ზღვის სანაპიროს ჩავლისას“ და „მამლუკების გახსენება ეგვიპტეში“. საინტერესოა ლექსი „თვითონ არ ვიცი, ასე რად ხდება“ გრძნობის სინაზის თვალსაზრისით. მასში პოეტი არ მიმართავს სამშობლოს ისტორიულ მტერთა აჩრდილებს, დღევანდელ საქართველოს უმღერის და მეტად ნაზ ტრფობას უცხადებს თუ ეფიცება.

ლექსში „მეტეხზე ხომლის წვერები ვთვალე“ ს. ჩიქოვანი ისტორიის განცდას მაღალი პატრიოტული სულისკვეთებით აღწევს. აქ ისტორიის განცდა თითქოს თავისთავად უდრის სამშობლოს სიყვარულს, ყოველი ისტორიული ფაქტის ან თარიღის მოგონება ისტორიის რომანტიკულად აღქმას და ამავე დროს, უაღრესად მშობლიური გრძნობის აღძვრას გულისხმობს!

გიორგი ლეონიძის ლექსების წიგნში „მუხის ფოთოლი“ თითქმის ყოველი ლექსი პატრიოტული შინაარსისაა. პოეტის დედა შემსწრე ყოფილა იმისა, რომ „განგმირულ ილია ჭავჭავაძეს, სიონში რომ ესვენა, ნატყვიარ შუბლზე მუხის ფოთოლი ეფარა;“ ეს სიტყვები ამაღელვებელი ეპიგრაფია გ. ლეონიძის ლექსის „მუხის ფოთოლისა“, რომელიც მე-19 საუკუნის საქართველოს მამად აღიარებულის, მუხაკაცის — ილიასადმია მიძღვნილი. მაგრამ ეს ნაწილობრივ მშვენიერი საბაბია იმისათვის, რომ პოეტმა თავისი დაუშრეტელი სიყვარულით სავსე გული გადაუხსნას დედა-სამშობლოს.

როდესაც ეცნობი გ. ლეონიძის ლექსებს: „ზღვაში, რომ ნაბიჯგადამდგარია“, „ჩემი ბაღი“, „ქართული სიტყვა“, „ადგილის დედა“, „ჩამობრიალდი ჩემო არწივო“ „ჩვენი ჯერია...“ „გურიაში ვარ“, „ძველი ანდერძი“, „სიტყვა ძველ თბილისს“ „მე მოვდივარ ყანებიდან“, შთაბეჭდილება ისეთია, რომ პოეტი შეპყრობილია ერთი აზრით — როგორმე გამოთქვას თავისი გრძნობა თუ სათქმელი სამშობლოზე, ან როგორც იტყვიან, „განთავისუფლდეს“ ამ დიდი თემისაგან, მაგრამ ჩანს ისიც, რომ მისთვის ეს მხოლოდ ამაო გაბრძოლება იქნებოდა.

სამშობლოს, მისი მშობელი კუთხის უანგარო სიყვარულითაა შთაგონებუ-

ლი ანა კალანდაძის „თოვლი აჭარ-გურიის მთების“, შესანიშნავი მთის პოეტური კოლორიტით გასხივებული ლექსების ციკლი „ფშავში“, გიორგი კალანდაძის ლექსების რკალი „ჩაუქრობელი კერა“, არჩილ სულაკაურის „ალაზნის ველზე ისე ღამდება“, „ეღო“, „გონიო“, ალექსანდრე გომიაშვილის ავტობიოგრაფიული სიცხადით და გულწრფელობით შესრულებული „ადგილის დედა“... ეს უკანასკნელი (ისე როგორც ანა კალანდაძის „თოვლი აჭარა-გურიის მთების“) ერთხელ კიდევ გარწმუნებთ იმ უდავო ჭეშმარიტებაში, რომ სამშობლოს დიდი სიყვარული ისახება და ღვივდება, პირველ ყოვლისა იმ კუთხესა და არე-მარეში, სადაც ადამიანი ბავშვობისა და ყრმობის წლებს ატარებს. მხოლოდ შემდეგში მოდის იმის შეგნება, რომ ის დიდი მთელის ურღვევი ნაწილია; რომ მისი სიყვარული სამშობლოსადმი — ზოგად-ეროვნული ხასიათისაა.

ამავე თემატიკურ რკალში მოსათავსებელია შალვა ამისულაშვილის, თეიმურაზ ჯანგულაშვილის, მორის ფოცხიშვილის, ნოდარ გურეშიძის, შოთა ნიშნიანიძის, ჯანსუღ ჩარკვიანის, თამაზ ჭილაძის და ოთარ ჭილაძის არაერთი ლირიკული ნაწარმოები. პატრიოტული ხასიათის ლექსებიდან გამოირჩევა შ. ნიშნიანიძის „დღესაც ვერ გავყევი დილის მატარებელს“, გიორგი ლეონიძის მძლავრი პოეტური ხელწერის აშკარა ზეგავლენით შექმნილი „საცა ზღვა და ხმელია“ ან „ნეტა ახალგაზრდობის“; განსაკუთრებული დინამიკურობით გამოირჩევა „ცა ქუდად, მიწა ქალამნად“, ამ ლექსში პოეტი სიამაყის გრძნობას აუვსია, რაც მისი ქვეყნის გმირული სისხლსავსე ცხოვრებით არის გამოწვეული.

კარგ შთაბეჭდილებას ახდენს ჯანსუღ ჩარკვიანის „ბეთანია“ და „იმერეთი ანთია გზებზე“, ხოლო თამაზ ჭილაძის ლექსში „ადამიანმა შეჰბედა კოსმოსს“ ის აზრია გატარებული, რომ კაცობრიობის დიდ კულტურულ-მატერიალურ წარსულში ლოგიკურად მზადდებოდა და მწიფდებოდა ის გიგანტური ნაბიჯი, რომელიც პირველად საბჭოთა კავშირში გადაიდგა კოსმოსური სივრცის დასაპყრობად და ასათვისებლად.

აღსანიშნავია ოთარ ჭილაძის პატრიოტული ლექსი „მინდორში ვდგევარ და ქორებს ვუსტვენ“. მისი ორიგინალობა თემის შინაგანი გულწრფელობით და სავსებით სუბიექტური გახსნითაა გამოწვეული. შინაგანი პოეტური უშუალობა მას, ამ ლექსის სახით აწერინებს მხატვრულ ნაწარმოებს, რომელიც თითქმის სავსებით მოკლებულია დეკლარაციულ ფრაზას, სათქმელის ჯიქურ გადაშლას. ავტორი სამშობლოსადმი დიდი სინაზის გრძნობას ამხელს, სიცოცხლის მანძილზე იგი მხოლოდ იმას ცდილა, რომ მისთვის როგორმე თავი მოეწონებია, რომ მისგან შეუმჩნეველი არ დარჩენილიყო.

XX საუკუნის ქართულ პოეზიაში პოეტური ლაკონიზმის კულტივირება გალაკტიონ ტაბიძის სახელთანაა დაკავშირებული. პოეტური მინიშნების დანერგვაში თუ ცალკეული ფრაზის შედგენაში, რომელიც ხშირად გამოხატული ერთი სიტყვითაც, ფრაზის თანაბარ დატვირთვას შეიცავს,—ლაკონურობის ენობრივი შესაძლებლობა თითქმის მაქსიმალურად გამოყენებულია. პოეტური ლაკონიზმის ამ პრინციპზეა აგებული გ. ტაბიძის ლექსი „გემი ვით არ იცნობს“. ქართულ პატრიოტულ ლირიკაში მას მით უმეტეს საპატიო ადგილი უკავია, რომ იგიც ილია ჭავჭავაძის მხატვრული ფრაზეოლოგიით და ეროვნული შეგნებით არის გამოკვებილი.

ლექსი მარტივი, მაგრამ ნათელი პოეტური ლოგიკურობითაა შეკრული: უნაპირო ზღვაში გასულ გემს მეზღვაური სამშობლოდ თვლის, მეზღვაურს „სამშობლოდ ეკუთვნის“; ქართველი კაცისთვის თავისი მიწაწყალი ამ გემზე

სანდო და მტკიცე ნავსაყუდელია და ამ ხმელეთის საჭეც მას უნდა ეყუდვნოდეს:

გემი ვით არ იცნობს
ზღვას ვრცელსა და განიერს,
იგიც ხომ მეზღვაურს
სამშობლოდ ეკუთვნის?
— მოხევეო! გახედე
ჩვენს იმერ-ამიერს:
ეყუდვნის თავის თავს?
— ცხადია, ეყუდვნის!

ბუნებრივია, რომ ხალხის მაღალზნეობრივი და ერთგული სამსახურის, სამშობლოს მიწა-წყლისა და მისი მომავლისა თუ ისტორიის პრობლემების შემდეგ ქართულ მწერლობაში მშვიდობის საკითხი ყველაზე აქტუალურად იქცა. მშვიდობის თემა საბჭოთა მწერლობის ყოველ პერიოდში და ეტაპზე წინა პლანზე გამოდიოდა, მაგრამ ამ უკანასკნელ ათწლეულში მან მაინც ახალი თვისება შეიძინა: თუკი მანამდე განმტკიცება და დაცვა ხალხთა შორის მშვიდობისა მ ო წ ო დ ე ბ ი ს დონეზე იდგა, იგი საუკეთესო ს ურ ვ ი ლ ს შეადგენდა, დღეს მას იმედის რწმენა შეემატა. ქართველი პოეტი დღეს ბევრად უფრო დარწმუნებულია მშვიდობის შენარჩუნების რეალობაში. ქართულ მწერლობაში ამ საკითხს ელოლიავებოდა და ესაყვარლებოდა ყოველი მგოსანი, მით უმეტეს, რომ მშვიდობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შანსების სულ უფრო და უფრო გაზრდა იძლეოდა მის შესანიშნავ შედეგებზე უფრო მეტი დაფიქრების და სიხარულის შეგნების ზრდას.

თითქოს ნიშანდობლივია, რომ ლექსში „ეპიტაფია", სახალხო პოეტი ი. გრიშაშვილი თავისი პოეტური მოღვაწეობის ერთგვარი „შეჯამების" სახით წერს, რომ იგი სიყვარულის და მშვიდობის მომღერალი იყო. პოეტის სურვილია, შთამომავლობის წარმოდგენაში და მეხსიერებაში დარჩეს, ძირითადად, ამ ნიშნით: როგორც ამ ორი დიდი, ადამიანის ცხოვრების დამამკვიდრებელი მოვლენის მაცნე და პოეტი-მსახური. ყველაზე საპატიო დანიშნულებად სწორედ ამგვარი სახის პოეტური შრომა მიაჩნია. პოეტს, რასაკვირველია, არ სურს იყოს ორაზროვანი, როდესაც ის არ აკონკრეტებს თავისი „სიყვარულის", ობიექტს, შინაარსს. მკითხველს მოეხსენება, რომ მასში სწორედ ქალისადმი ტრფიალება იგულისხმება, მისი პოეზიისათვის დამახასიათებელი ყველაზე ინტიმური გრძნობა, ხოლო სოციალური გრძნობებიდან მას სწორედ ხალხთა შორის მშვიდობის მაღალი იდეალი აღელვებს:

განა არ ვიცი, მოვკვდები, ჩემი მზეც
დაიწვერება,
ერთი პატარა წერილი ჩემზედაც დაიწერება.
გაზეთის ბოლო ფურცელზე
მოათავსებენ ცნობადა:
სიყვარულს უმღეროდაო
სიცოცხლის უკვდავ ნობათად.
სიყვარულს უმღეროდაო, განა სიძულვილს?
ფლიდობას?
სიყვარულს უმღეროდაო და ერთა შორის
მშვიდობას
როდი ყოფილა საწუთრო უნდა და
დასაძრახელი,
რადგან ამ ქვეყნად დავტოვე შეუბღალავი
სახელი.
თუ ჩემი ლექსის ჯავარი ერთს მაინც
ემახსოვრება,
ვიტყვი: უქმად არ გავლია ჩემი პატარა
ცხოვრება.

შოთა ნიშნიანიძე პროტესტის სახით ხატავს „ომის პორტრეტს", უფრო სწორედ, ხატავს სურათს, რომელიც ავტორის განმარტებით, ომის ხელითაა შესრულებული: ესაა წყვილ ყავარჯენზე დაყრდნობილი ფრონტიდან ჩამოსული ინვალიდის სახე.

„აკვნებს — მშვიდობა" —ასე ეწოდება თეიმურაზ ჯანგულაშვილის ლექსს. აქ გატარებულია ის აზრი, რომ მის შვილებს, მისი ქვეყნის ყველა პატარას ახლა ძინავს იმ უდრტვინველი ძილით, რომელიც არ შეიძლება რაიმე ბოროტმა განზრახვამ დაარღვიოს, რადგან მათი ძილის გუშაგი ახლა ყველაზე საიმედო ძალა-მშვიდობაა.

უსათაურო ლექსში („დღეს ჩემს ოჯახში, ყველა ოთახში, ბედნიერება დადის, ხმაურობს!") პოეტი მირიახ აბულაძე მშვიდობას განიცდის, როგორც ოჯახური სრულფასოვნებისა და ბედნიერების მომასწავებელს. ეს შესანიშნავი განცდაა, როცა შენს ოჯახს, და არა მარტო შენსას, მეზობლის, მთელი შენი ხალხის ოჯახებს მშვიდობის სუნთქვა ათბობს. „ფეხადგმული" მშვიდობა, კეთილგანწყობილება თითქოს უჩუმრად ვერ დარჩება და თავის სასიხარულო არსებობას ბედნიერი ხმაურიანი ყოფით გვამცნობს!

ახლა სამშვიდობო სიმღერებია საჭირო, რომ მშვიდობიან დროს შრომის და მოსავლის ბარაქა ვადიდოთ! — ასეთია რევაზ მარგიანის ლექსის „სიცოცხლე მამულს!" იდეური შინაარსი. „გუთნისდედური" — ეს ხომ შრომისა და ნაყოფიერების სიმღერაა, „ნანა" — მშვიდობიანი, გამრავლებული ოჯახის, ხოლო „ლილეო" — სიცოცხლისა და მზის შესანიშნავი ჰიმნი. ასეთი ჰანგები სწორ, ჭეშმარიტ მიმართულებას აძლევს ჩვენს შემოქმედებით ცხოვრებას.

გრიგოლ აბაშიძე ერთ შედარებით ადრეულ ლექსში („უჯარმის ნანგრევები") მეტად საინტერესოდ განიხილავს ქვეყნის მშვიდობიანობისა და თავდაცვითი შრომის საკითხს. ეს საკითხი ისტორიულ თვალსაზრისით არის წარმოდგენილი. ლექსი დაწერილია სამგორის არხის მშენებლობაზე. რადგან სამგორის არხი გაყვანილია ძველი ციხე-ქალაქ უჯარმის აწ ჩამონგრეულ კედლებთან ახლო, პოეტს არ შეუძლია მის წინ გაშლილი დიდი მშენებლობის ფონზე უყურადღებოდ დატოვოს უჯარმის ციხეც. არხის მშენებლობასთან ერთად ის დაცქერის ჩამონგრეულ კედლებს, მის საუკუნოვან ქვებს და გუმანით ხვდება, რომ ციხის ხუროთმოძღვარი მძიმე ისტორიული პირობების გამო იძულებული იყო აქ არხის მაგიერ ეშენებინა თავდაცვითი ნაგებობა. ავტორი ლექსისა ისტორიულად ამართლებს ვახტანგ გორგასალის უსახელო ხუროთმოძღვარს, რომელმაც აქ ციხე ააშენა, „რომელიც მართალი იყო მის დროსთან" და იძულებული იყო სამეურნეო მნიშვნელობის არხის ნაცვლად აქ მიუვალი ციხე აღემართა.

დღეს, დიადი აღმშენებლობის ეპოქაში შრომა მშვიდობიანი ხასიათისაა. ხალხის ენერგია და მშენებლობითი ინიციატივა სამშვიდობო საქმიანობისკენ არის მოწოდებული. ამიტომ შრომამ დღეს სულ სხვა იერი და დანიშნულება მიიღო. დღეს ხალხი, როგორც არასდროს, დარწმუნებულია თავისი შრომის კეთილ და საპატიო მიზნებში. ლექსში „გაზაფხული" გრ. აბაშიძე ბუნების გაცოცხლების და განახლების მნიშვნელობას ანიჭებს სახალხო შრომასაც:

ხე მწვანეს იცვამს, კვირტები ღვივის,
გაზაფხულს ბევრი საქმე ჰქონია!
თეთრ ყვავილს ჰფანტავს ხეების მწკრივი
და გეგონება — მტკვარზე თქორია.

ფერი მოსვლია უკვე ჯეჯილსაც,
თითქო ბუნება მართლა ბავშვია—
შეხედე, როგორ შრომობს ბეჯითად,
როგორ ფუსფუსებს, რა ამბავშია!

შრომითი აღმავლობა, მშენებლობის ენთუზიაზმი და ყიჟინა როგორც ქალაქად, ისე სოფლად, — აი მამოძრავებელი მოტივი ს. ჩიქოვანის ლექსებისა: „ქუჩის დაბადება", „ვაკის მშენებლებს ვაშა გავძახე", „თიბათვე", „სათიბში გასვლა"... ეს შრომითი გატაცება მომასწავებელია მისი სახალხო ხასიათის, ხან კი ამ ცხოველ საქმიანობას ავტორი საკუთარ სულიერ ახალგაზრდობას და მის შემოქმედებით მზადყოფნას უკავშირებს და ადარებს.

ვ. გაბესკირიას ლექსში „გზაზე გაფიქრებული" შრომის თემა უფრო სანახაობითობის პრინციპითაა შედგენილი. ხრამჰესი ავტორს სწორედ ამ მოების ანსამბლში მოსწონს, როდესაც ცივილიზაცია გაბედულად იჭრება ბუნებაში და თავისი სიმძლავრით რაღაც შინაგანი მთლიანობის შეგრძნებას იძლევა; ექსკავატორი ასეთ ფონზე, რაღა

თქმა უნდა, შეიძლება მხოლოდ დიდ ნისკარტიან წეროს შეადარო, რომელიც საკვებად ჯებირისთვის განკუთვნილ ლოდიანებს იტაცებს: ასეთი მძლავრი ექსპრესიული სურათი ავტორში მძაფრ სიხარულს იწვევს:

ვეტრფი ყველაფერს რაც მახარებს, რასაც
შევზრდილვარ,
თოვს, და თოვაში ვით დარბაზში, ისე
შევდივარ!

ამ უკანასკნელი ათწლეულისთვის უფრო დამახასიათებელია შრომის თემატიკის მეტაფორულად, არაჯიქურად მხატვრული გადაწყვეტა. ხატავენ ბუნების სურათს, თუ პოეტური შთაგონების პროცესს, მასში შრომის რიტმი და დინამიკაა გამოხატული. ასეთია მუხრან მაჭავარიანის მძლავრი პოეტური შტრიხებით შესრულებული „ზღვაც“. ავტორს სტიქიის მიქცევისა თუ მოქცევის რიტმი შრომისა და „დასვენების“ შემოქმედებითი ავზნებისა და ზნეობრივი დაშოშმინების ხატოვან აქტად მიუჩნევია.

ასეთივე მეტაფორული გააზრებითაა შექმნილი ალიო მირცხულავას „ვერხვი“, მხატვრული პერსონიფიკაციის ნიმუში, რომელშიც პოეტის მოქალაქეობრივი სახე და ფიქრები ჩანს. ალიო მირცხულავა, მოქალაქეობრივი მოტივების პოეტია და ამ ნაწარმოებშიაც ის თავის თავს არ ღალატობს:

კლდეზე ვდგავარ თეთრი ვერცხვი,
მხრები ამიტოტებია,
ვინმე ხრამში თუ გადაცდა — ხელი
გამიწოდებია,
შეხს ვარიდებ მოზარდ ვერხვებს —
ტანი აუშოლტებიათ,
ფრთებს ისხამენ მტრედები და...
საბუდარებს შორდებიან...
ახლაც ვებრძვი ქარს და წვიმას,
გული აუშფოთებია,
თუ სიტყვები მცვივა, განა —
შემოდგომის ფოთლებია?

შალვა ამისულაშვილს ერთგვარი ჰუმორის გრძნობა შეაქვს ლექსში „ღრუბელო, შავლეგო ღრუბელო!“ მთელი ლექსის ემოციური „სიმძიმის ცენტრი“ იმაზეა გადატანილი, რომ ბუნების სტიქიას ქართველი სოფლის მშრომელნი სწორედ იარაღებიდან არ დაუწყებენ ხვეწნას; სამყაროს საირიგაციო არხი მისი წყლითაა სავსე. ასე ჩნდება „უპირატესობის“ გრძნობა ბუნების მიმართ, რაც ადამიანის შრომითი საქმიანობის ბედნიერი შედეგიცაა.

მაგრამ თუ ადამიანის „უპირატესობის“ და სიამაყის პოეტურ კვალს გავყვებით, უდავოდ „კოსმიური შრომის“ პრობლემასთან მივალთ... იოსებ ნონეშვილის ლექსში „თქვენ ორი ფრთა ხართ ჩვენი პლანეტის“, რომელიც იური გაგარინისა და გერმანე ტიტოვისადმია მიძღვნილი, მათ კოსმიურ ღვაწლს ლოგიკურად უკავშირებს ჩვენი ქვეყნის ორმოცდახუთი წლის ისტორიულ განვითარებას, ბრძოლებს, გაქანებას, შრომისმოყვარეობას:

შებმა შეტევა ვიცით სხვაგვარი,
მიტომ ვიღწვოდით, ვიბრძოდით მიტომ,
რომ გაგეშალა ფრთები — გაგარინს,
რომ ცა შეგეძრა — გერმანე ტიტოვს.
ქარსა და ხორშაკს როდი დანებდით,
გაშალეთ დროშად ღრუბლები შორი,
თქვენ ორი ფრთა ხართ ჩვენი პლანეტის,
ჩვენი მომავლის აფრა ხართ ორი.

მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც ამ პერიოდს წითელ ხაზად მიჰყვება (მხატვრულ ლიტერატურაში) — ეს არის ახალგაზრდა ქართველი მწერლების სულიერი დავაკაცება და ზოგი მათგანის სულიერი სიმწიფის დადგომაც. ნიჭიერი ქართველი ახალგაზრდა პოეტები შეემატა თანამედროვე მწერლობას. ყოველი ახალგაზრდა პოეტი ლიტერატურაში შემოდიოდა ისე, რომ ჰყავდათ სათაყვანებელი მხატვრული კერპები. მაგრამ მაინც, ყველაზე მეტად მათ საკუთარი ხმის წვდომა თუ საკუთარი მხატვრული ინდივიდუალობის დადგენა სურდათ. ვინც უფრო სადა და ბუნებრივი გზით მიდიოდა, მან უფრო მეტი დრო დაუთმო ლექსის მსოფლმხედველობრივ - აზრობრივი არის გაფართოებას და საინტერესო შემოქმედებად იქცა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზურაბ კაკაბაძე

ფრანც კაფკა

ფრანც კაფკა დაიბადა 1883 წელს პრაღაში ჩეხურ-ებრაული წარმოშობის ოჯახში. კაფკების ოჯახი გერმანულ ენაზე ლაპარაკობდა; ფრანცმა სწავლა-განათლებაც გერმანულ ენაზე მიიღო. მამა, ჰერმან კაფკა, სიღარიბეში გაიზარდა; მაგრამ დიდი მონდომებისა და შრომის შედეგად მან ბოლოს შეძლებული კომერსანტის მდგომარეობას მიაღწია. იგი მაგარი, უხეში აგებულებითა და პრაქტიკული მიზანდასახულობით გამოირჩეოდა. დედა შედარებით შეძლებული ოჯახის შვილი იყო. ფრანცის მამისაგან განსხვავებით იგი სულიერი ინტერესებითა და დახვეწილი მგრძნობიარებით ხასიათდებოდა. ფრანცს დედის ფსიქიკური წყობა გამოყვა. მამის ცხოვრების სტილი მისთვის უცხო იყო. თავის მხრივ მამაც უკმაყოფილებასა და უნდობლობას იჩენდა შვილის მიმართ. ოჯახში მამა ბატონობდა, დედა სრულიად ემორჩილებოდა მას. უმცროსი დები ასაკობრივად დიდად იყვნენ მისგან დაცილებული; ამიტომაც ფრანცი ოჯახში თავს უცხოდ გრძნობდა.

გიმნაზიასა და უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში იგი დიდ ინტერესს იჩენდა ფილოსოფიისა და ლიტერატურისადმი. პროფესიად იურისპრუდენცია აირჩია. მუშაობდა პრაღის „უბედურ შემთხვევათაგან მუშათა დამზღვევ დაწესებულებაში". სამსახურში მოვალეობის შეგნებით, საქმის ცოდნითა და გულისხმიერებით გამოირჩეოდა. მჭიდრო კონტაქტში იმყოფებოდა არა მხოლოდ პრაღის ინტელიგენციასთან, არამედ უბრალო ხალხთანაც; ესწრებოდა პოლიტიკურ კრებებს, სისტემატურად მონაწილეობდა მეცნიერულ-ფილოსოფიურ დისკუსიებში.

სამჯერ დანიშნა ფრანცმა საცოლე და სამივეჯერ თვითონვე გააუქმა ნიშნობა (ორჯერ ერთსადაიმავე ქალიშვილთან). ეს აიხსნებოდა იმ მოთხოვნებით, რომლებსაც იგი თავის თავსა და ქორწინებას უყენებდა.

1917 წელს ფრანც კაფკა ტუბერკულოზით დაავადდა; იგი გარდაიცვალა 1924 წელს.

ფრანც კაფკას დაწერილი აქვს სამი რომანი (სამივე დაუმთავრებელი); „ამერიკა", „პროცესი", „კოშკი"; მას ეკუთვნის მრავალი მოთხრობა, რომელთაგან ცნობილია „განაჩენი", „მეტამორფოზა", „მოხსენებითი ბარათი აკადემიას", „დამსჯელ კოლონიაში", „სოფლის ექიმი", „შიმშილის ოსტატი" და სხვ. გამოქვეყნებულია მისი დღიურები, აფორიზმები, პირადი ბარათები. მან სიცოცხლეში მხოლოდ რამდენიმე მოთხრობა გამოაქვეყნა; დანარჩენები მის სიკვდილშემდეგ დაიბეჭდა.

ფრანც კაფკას ლიტერატურული სიმპატიები ასეთი იყო: ძალიან უყვარდა გოეთე; ბევრი იმუშავა მისი შემოქმედების ათვისებისათვის. მაგრამ კაფკას შემოქმედებაში არა ჩანს გოეთეს გავლენა. გავლენა მან უფრო კლაისტისაგან მიიღო, რომელიც აგრეთვე მისი საყვარელი მწერალი იყო. ფლობერი ერჩია ბალზაკს, დოსტოევსკი ტოლსტოის, სტრინდბერგი იბსენს. უყვარდა ჩეხოვი. რომანი „ამერიკა" დასწერა

დიკენსის გავლენით; „დავით კოპერ-ფილდის“ მსგავსი ნაწარმოების შექმნა ჰქონდა განზრახული. მსგავსება გარეგნული გამოვიდა; შინაგანად საპირისპირო შედეგი მიიღო. არ უყვარდა ედგარ პო, არც ბოდლერი. მოსწონდა ჰოფმანსტალი, ჰერმან ჰესე, ალფრედ დობლინი; თაყვანს სცემდა თომას მანს; მის შესახებ სწერდა: იგი იმათგანია, რომელთა ნაწერების მიმართ შიმშილს განვიცდიო. არ უყვარდა ექსპრესიონისტული სკოლის მწერლობა; არც ექსპრესიონისტულ მხატვრებს თანაუგრძნობდა. თუმცა კი, როცა სცადა გრაფიკაში მუშაობა, ექსპრესიონისტული ტიპის ნაწარმოებები მიიღო.

კაფკა დაინტერესებული იყო ზიგმუნდ ფროიდის ფსიქოანალიტიკური თვალსაზრისით და დანიელი ფილოსოფოსის სორენ კიერკეგორის ეგზისტენციალისტური პრობლემატიკით. ჰერმან ჰესე შენიშნავდა, კაფკას როგორც პიროვნებასა და მწერალს კიერკეგორის ტიპის „პრობლემატური რელიგიოზურობა ახასიათებდაო“.

არაჩვეულებრივად ძლიერია ფრანც კაფკას შემოქმედების რეზონანსი. არ დარჩენილა თითქმის არცერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი თანამედროვე ბურჟუაზიული მწერალი და ლიტერატორი-თეორეტიკოსი, რომელსაც არ გამოუთქვამს მისი შემოქმედების მაღალი შეფასება. თომას მანი წერდა, მსოფლიო ლიტერატურის ნიმუშებს შორის კაფკა ყველაზე მეტად არის წაკითხვის ღირსიო. ფრანც ვერფელი აღნიშნავდა: „იგი ზეციით მოვლენილი, რჩეული კაცია და მხოლოდ ეპოქა არის დამნაშავე, რომ მან თავისი მიღმური ცოდნა და ენით უთქმელი გამოცდილება პოეტურ სახეებად ჩამოასხა“. ბერტოლტ ბრეჰტი კაფკას „პროფეტულ მწერალს“ უწოდებდა. ჟან პოლ სარტრი კაფკას შემოქმედების დაუღალავი პროპაგანდისტია. კაფკას პირადი მეგობარი და მისი შემოქმედების მკვლევარი მაქს ბროდი წერს: მე-20 საუკუნეს ოდესმე კაფკას საუკუნეს უწოდებენო. შეიძლება ამგვარი განცხადებების უსასრულოდ გაზრდა.

ფრანც კაფკას შემოქმედების შესახებ იწერება უამრავი მონოგრაფია, სტატია; ანდრე ჟიდმა და ჟან ლუი ბარომ მოახდინეს „პროცესის“ დრამატიზება. ამავე რომანის მიხედვით გოტფრიდ ეინემმა ოპერა შექმნა, ხოლო ამერიკელებმა ამასწინათ ფილმი გადაიღეს.

კაფკას მიხედვით ხელოვნება უწინარეს ყოვლისა ჭეშმარიტების აღმოჩენა და გამჟღავნებაა. მაგრამ მას მიაჩნია, რომ თანამედროვე ადამიანური სამყაროს ჭეშმარიტება საშინელი ჭეშმარიტებაა. ამიტომაც წერს იგი: „ჩვენი ხელოვნება არის ჭეშმარიტებით თვალთდაბნელება“. თავისი შემოქმედება ძველი სამყაროს ნგრევის ამსახველად მიაჩნდა: „მე ვარ დასასრული ან დასაწყისი“, წერდა იგი. მის თვალში თანამედროვე ადამიანური სამყაროს სიღრმისეული ჭეშმარიტება დიამეტრალურად განსხვავდება იმისაგან, რაც ცხოვრების ზედაპირზე ადამიანთა ჩვეული შეხედულებების სახით ჩანს. ამ აზრით ამბობდა კაფკა: „ნამდვილი რეალობა ყოველთვის არარეალისტურია“. თავის შემოქმედებით მომენტებს „ნათელხილვის მდგომარეობებს“ უწოდებდა. იგი აღნიშნავდა, ლიტერატურა ჩემთვის ლოცვის თავისებური ფორმა არისო.

საინტერესო შეხედულებას გამოსთქვამს კაფკა მწერლისა და სახელმწიფოს ურთიერთობის შესახებ: „მწერლები ცდილობენ, რომ ადამიანებს სამყარო სხვა თვალით დაანახვონ და ასე გარდაქმნან იგი. ამიტომაც წარმოადგენენ ისინი სახელმწიფოსათვის სახიფათო ელემენტებს; მათ არსებული მდგომარეობის შეცვლა სურთ, ხოლო სახელმწიფო და მისი ერთგული მსახურნი არსებული მდგომარეობის შენარჩუნებას მიესწრაფიან“.

კაფკა ხშირად განიცდიდა საკუთარი ხელოვნებით უკმაყოფილების შეტე-

ვებს; მას სიკვდილის წინ მაქს ბროდისათვის ანდერძად თავისი გამოუქვეყნებელი ნაწერების დაწვა დაუბარებია. იგი უკმაყოფილო იყო იმით, რომ ადამიანს ვერაფერი უთხრა სანუგეშო, რომ ადამიანური არსებობის კრიზისი გამოამჟღავნა და ამასთანავე კრიზისის დაძლევის გზა ვერ მონახა.

სანამდე შევაფასებდეთ და მსჯავრს დავდებდეთ ფრანც კაფკას შემოქმედებას, უპირველეს ყოვლისა უნდა გავერკვეთ მის ძირითად თავისებურებებში, შინაარსში, თუ რას გამოსთქვამს და გამოხატავს იგი; უნდა ვცადოთ გავხსნათ „კაფკაურის“ შინაგანი მოტივაცია, გამოვამჟღავნოთ ის შინაგანი მოტივი, რისი ძალითაც წერს კაფკა.

ფრანც კაფკას ნაწარმოებები აღსავსეა საშინელებათა და სიმახინჯეთა კოშმარული ვიზიონებით, მათში ადამიანი უკიდურესად უბედური და დამცირებული ჩანს. მკითხველი ხშირად ედავება კაფკას იმ მხრივ, რომ მან ადამიანი ასე გაუბედურებულ და დამცირებულ მდგომარეობაში წარმოადგინა. ეს დავა მარტივად ვერ გადაწყდება; ყველაფერი დამოკიდებულია იმისაგან, მართლაც თუ იმყოფება თანამედროვე ადამიანური სამყარო იმ მდგომარეობაში, როგორც ეს კაფკამ დაინახა, მართლაც თუ მიექანება თანამედროვე ადამიანური სამყარო ფიზიკური და ეთიკური კატასტროფებისაკენ, მართლაც თუ დგას თანამედროვე ადამიანის აზროვნება და ცხოვრება კაფკას მითითებულ იმ საფუძველზე, რომელიც ადამიანის არსებობას კატასტროფებისაკენ მიაქანებს.

თავდაპირველად გავარკვიოთ რაში ხედავს კაფკა იმ საფუძველს, რომელიც მისი აზრით, თანამედროვე ადამიანურ სამყაროს კატასტროფებისაკენ მიაქანებს.

ფრანც კაფკა წერდა: „ადამიანს არ შეუძლია ცოცხლობდეს იმის გარეშე რომ მუდმივ მიენდოს თავის თავში რაღაც დაურღვეველს (etwas Unzerstörbare)“; მის ნაწარმოებებში ადამიანთა ბედის რადიკალური შევიწროება ჩანს როგორც შედეგი იმ გარემოებისა, რომ ადამიანებმა მხედველობიდან დაჰკარგეს სწორედ ეს „დაურღვეველი“, აბსოლუტური, მარადიული მნიშვნელობის გეზი, ტენდენცია, იდეალი, და რომ ამჟამად მათს განკარგულებაში მყოფ საშუალებათა შორის მათ არ გააჩნიათ ამისი მიგნების საშუალება.

მოკლედ გავარჩიოთ რას მოასწავებს ადამიანის არსებობისათვის ის, თუ მას მხედველობაში არ აქვს მიღებული ისტორიის მარადიული, „დაურღვეველი“, აბსოლუტური მნიშვნელობის გეზი, ტენდენცია, იდეალი.

ადამიანი ერთი მხრივ არსებობს ფიზიკური ობიექტის მსგავსი სახით. მისი არსებობა იწყება და თავდება, იგი არსებობს კერძო და დროებითი არსებობით. იგი მიესწრაფის თავისი ამგვარი არსებობის შენარჩუნება-გახანგრძლივებას. მას გააჩნია ამისი შესატყვისი მოთხოვნილებები, და ზრუნავს მათს დაკმაყოფილებაზე. თუ ადამიანს არ შეუძლია მხედველობაში მიიღოს ისტორიის აბსოლუტური, მარადიული გეზი, მიმართულება, ტენდენცია, მაშინ მას არც შეიძლება ჰქონდეს იმედი, რომ მის მიერ წამოწყებული რაიმე საქმე მუდამ ჰპოვებს რაღაცნაირ გაგრძელებას და რომ მისი საქმე არასოდეს დაჰკარგავს მნიშვნელობასა და ღირებულებას; მის ყოველ წამოწყებასა და საქმეს კერძო და დროებითი მნიშვნელობა აქვს. სწორედ ამიტომ მისი სიკვდილი არის სიკვდილი უკვალოდ. მას არანაირი უკვდავება არ გააჩნია. ასეთ პირობებში სიკვდილის შიში გაორმა-

გებულ ინტენსივობას იძენს. ადამიანი, ჰკარგავს რა საყოველთაო, მარადიული მნიშვნელობის იდეალს, რჩება კერძო, დროებითი მოთხოვნილებების, ვიტალური, ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების ამარა და იგი მხოლოდ ამგვარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე ზრუნვას ახერხებს. სწორედ ამიტომ მისი არსებობა მოკლებულია ყოველგვარ რანგობრივ სიმაღლეს, იგი ცხოველის არსებობის თანაბარია. ადამიანის ღირსების შეგნებას საფუძველი აქვს გამოცლილი. ადამიანი პატივისცემას ჰკარგავს თავისი თავისადმი და, მით უფრო, ყოველი მეორე ადამიანისადმი, რომლის არსებობაც ცხოველის არსებობასთან თანაბარ მნიშვნელობასა და ღირებულებას იძენს. უფრო მეტიც, ადამიანები ერთმანეთისადმი საწინააღმდეგო, მტრული ტენდენციებით იმსჭვალებიან, რამდენადაც ვიტალური მოთხოვნილების დაკმაყოფილება ერთი ადამიანის მიერ პრინციპულად არ ნიშნავს იმავე დროს სხვათა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, არამედ, პირიქით, სხვებისათვის ეს რამდენადმე დანაკლისიცაა. თუ ადამიანები მხოლოდ კერძო, ვიტალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე ზრუნავენ, მაშინ ისინი თავიანთი მოქმედებითა და საქმით პრინციპულად უპირისპირდებიან ერთმანეთს, პრინციპულად აფერხებენ ერთმანეთის არსებობას და ასეთ პირობებში მათი დროებითი არსებობისა და ბედნიერების შანსებიც კატასტროფიულად მცირეა; ადამიანის საცხოვრებელი გარემო მისადმი მტრული და უცხოა, აღსავსეა მისთვის გაუგებარი, მასთან შეუთანხმებელი და მისადმი უცხო, მტრული ტენდენციებით. საქმეს ვერ უშველის ის, რომ რომელიმე ადამიანმა ან ადამიანთა რაღაც ჯგუფმა ნამდვილი ხედვისა და მეთოდური, შემეცნებითი გამომჟღავნების გარეშე თვითნებურად შეთხზას, გამოიგონოს რაიმე იდეალი და მისცეს მას მარადიული, გაუუქმებელი მნიშვნელობის პრეტენზია. ასეთი იდეალი ვერ გაამართლებს თავის თავს, ვერ მოიპოვებს დამაჯერებლობას, მას თვითნებური კაპრიზის მნიშვნელობა მიეცემა და როგორც ასეთი, გაუქმდება, გადაშენდება.

ადამიანი, აღმოაჩენს რა საქმის ამგვარს ვითარებას, იმსჭვალება თავისი არსებობის პრინციპული შეფერხებულობის, ცხოვრების უაზრობისა და უპერსპექტივობის, სიკვდილის გაორმაგებული შიშის, თავისი თავისა და სხვათა უღირსობის, დაცემულობის საშინელი განცდებით, რაც მის გარემომცველ სამყაროში მონაწილე საგნებსა და მოვლენებს კოშმარული ვიზიონების გამომეტყველებას აძლევს.

კაფკას შემოქმედება კოშმარულ სიზმარს გავს. კოშმარული სიზმრის „მექანიზმი“ ასეთია: როცა რომელიმე ადამიანს რაღაც მიზეზით თავისი არსებობის ძლიერი შერყევა და შეფერხება შეემთხვევა, მაშინ მას ინტენსიური უარყოფითი ტონის განცდები ეუფლება; ეს იქნება ვთქვათ, შიში, შეძრწუნებულობა, და ა. შ. როცა ეს განცდები ძილში ჩაყვება, მაშინ იგი სიზმრად ნახავს ამ უარყოფითი განცდების შესატყვის გამომხატველ ფანტასტიკურ სანახაობას. ამგვარ სიზმარში საგნები და მოვლენები ინტენსიური უარყოფითი განცდის გამომხატველ, არაბუნებრივ, ფანტასტიკურ გარეგნობას იძენენ. ეს კოშმარული სანახაობა არ იქნება ხელოვნების მნიშვნელობის მქონე, რადგან მისით გამოხატული განცდა შემთხვევითია, შემთხვევითი მიზეზითაა გამოწვეული. მაგრამ თუ კოშმარული სანახაობით გამოხატული განცდა ტიპიურია თანამედროვე ადამიანური სამყაროსათვის, თუ თანამედროვე ადამიანური სამყარო ზოგადად მართლაც იმსახურებს ამგვარ განცდას, ანუ თუკი კოშმარული სანახაობა ადამიანური სამყაროს სიღრმეში ჩახედვითაა გამოწვეული, მაშინ იგი ხელოვნების, სახელდობრ,

მხატვრული გროტესკის პრეტენზიას იძენს; და ფრანც კაფკას კოშმარულ ვიზიონებს სწორედ ეს პრეტენზია გააჩნიათ. კაფკას შემოქმედება, ასე ვთქვათ, მსოფლმხედველობრივი მასშტაბის კოშმარია. ჩვენ მხედველობიდან დავკარგეთ აბსოლუტური, მარადიული ინსტანცია, ჩვენი ისტორიის მარადიული მნიშვნელობის ტენდენცია, იდეალი და სწორედ ამიტომ ვართ ჩვენ უკიდურესად უბედურნი და დაცემულნი. ასე ჩანს ფრანც კაფკას შემოქმედების მიხედვით.

კაფკას მხედველობაში აქვს ხოლმე მოვლენათა ჩვეული, ყოველდღიური მდინარება, რომელსაც გარს ახვევია ადამიანთა ჩვეული ილუზორული იმედები და მოლოდინი; მაგრამ იგი ამ ილუზიების საწინააღმდეგოდ ხედავს რაღაცას საშინელს და მახინჯს, რაც ნამდვილად ხდება და რაც ნამდვილად მოსალოდნელია მოვლენათა ამ ჩვეულ მდინარებაში. ამ საშინელებისა და სიმახინჯის განცდის ძალით მწერლის ხედვაში, როგორც ეს კოშმარულ სიზმარში ხდება ხოლმე, ჩნდება ფანტასტიკური ელემენტი, ჩართული მოვლენათა ჩვეულ მდინარებაში, როგორც ამ უკანასკნელის ნამდვილი მნიშვნელობისა და შედეგების გამომხატველი. მწერალი იმ საფუძველსაც ხედავს, რაზედაც დგას მოვლენათა ჩვეული მდინარება და რაც გარდუვალად განაპირობებს მის ასეთ მნიშვნელობასა და შედეგებს.

კაფკას მხატვრული სახეები მოვლენათა ჩვეული მდინარების ამ საშინელი მნიშვნელობა-შედეგებისა და შესატყვისი საფუძველის თავისებურ შიფრს წარმოადგენენ.

კაფკას ნაწარმოებები ფილოსოფიური მასშტაბისაა; ეს შემდეგს ნიშნავს; ნაწარმოებს, რომელსაც აკლია ფილოსოფიური მასშტაბი, მხედველობაში აქვს ადამიანთა არსებობისა და ურთიერთობის რაღაც კონკრეტული წესი და უჩვენებს, თუ ადამიანს ამ წესის საფუძველზე არსებობისა და ბედნიერების რა შესაძლებლობები გააჩნია. იგი მხარს უჭერს ან, პირიქით, ამტყუნებს ამ წესით არსებობას; ხოლო ფილოსოფიური მასშტაბის ნაწარმოებები შეეხება ადამიანთა არსებობის უზოგადეს წესს, საბოლოო საფუძველს და უჩვენებს, თუ როგორია ამ მხრივ ადამიანის არსებობისა და ბედნიერების შანსები. კაფკას ნაწარმოებების მიხედვით ისე ჩანს, რომ თანამედროვე ადამიანების მიერ მიღებული არსებობის უზოგადესი, ელემენტარული წესის ძალით ადამიანის ბედნიერების შანსები კატასტროფიულად მცირეა.

მაგრამ რაში მდგომარეობს თანამედროვე ადამიანური სამყაროს საბოლოო საფუძვლად მდებარე უზოგადესი, ელემენტარული წესი? იგი, როგორც ვთქვით, შემდეგში მდგომარეობს: თანამედროვე ადამიანი ამჩნევს მხოლოდ იმას, რაც კერძო, დროებითი არსებობით არსებობს; იგი მხოლოდ ამ სახით არსებულზე იღებს გეზს და ამისი შესატყვისი კერძო, დროებითი, წარმავალი მნიშვნელობის მიზნებით მოქმედებს. (კაფკას ნაწარმოებები დაეინებით გადმოსცემენ წვრილმანი ცხოვრების რითმს; გმირები მოქმედებენ მხოლოდ კერძო, დროებითი მნიშვნელობის მიზნების მიხედვით. მათი ცხოვრებიდან ამორთულია რაიმე ზოგადი, მარადიული მნიშვნელობის იდეალი და საქმე).

ადამიანთა არსებობისა და ბედნიერების პრინციპულ ზრდას სჭირდება ის, რომ მათ გამოამჟღავნონ და მხედველობაში მიიღონ ისტორიის აბსოლუტური, „დაურღვეველი" ტენდენცია და შესატყვისი იდეალი. მაგრამ თუ როგორ შეიძლება ამგვარი ტენდენციისა და იდეალის გამომჟღავნება, ეს კაფკამ არ იცის; უფრო მეტიც, მას მიაჩნია, რომ აზროვნების თანამედროვე დონის მიხედვით ამ აბსოლუტური ტენდენციისა და იდეალის პრობლემა პა-

რადოქსალურ ვითარებას ქმნის. ამიტომაც იგი იზიარებს თავისი გმირების დანაშაულისა და სასჯელის განცდას.

ყოველივე ეს განსაზღვრავს მოვლენების შეფასების იმ თავისებურ პოზიციას, რომელიც კაფკას ნაწარმოებებშია გამჟღავნებული.

მოვლენების შეფასებისას ადამიანის ჩვეულებრივი პოზიცია ასეთია: ვიღაც მიგვაჩნია უსამართლოდ და უდანაშაულოდ დასჯილად, ვიღაც მიგვაჩნია დამნაშავედ. ერთს მხარს ვუჭერთ, მეორეს ვამტყუნებთ. იგულისხმება, რომ ყველასათვის ასე თუ ისე დასანახად არსებობს ცხოვრების რაღაც სწორი გზა, წესი; როცა ვინმეს ვამტყუნებთ, მიგვაჩნია, რომ მას შეეძლო ამ წესის დაცვა, მაგრამ მან სულმოკლეობა და სისუსტე გამოიჩინა და გადაუხვია. ტრადიციული კლასიკური მწერლობა ამ პოზიციას ამჟღავნებს. სხვაგვარია კაფკას პოზიცია; როცა კაფკას გმირი განიცდის შევიწროვებას სხვათა მხრივ, როცა იგი ამგვარად უბედური ხდება, ამასთანავე მას თითქოს არა აქვს საბუთი, რომ სხვაგვარი დამოკიდებულება მოითხოვოს და ასე დაადანაშაულოს მისი შემვიწროვებლები; რადგან თვითონაც იმავე წესით ცხოვრობს, როგორც ყველა სხვა; ეს ის წესია, რომელიც იწვევს ამგვარ შევიწროებას; ყველას მიღებული აქვს რაღაც ისეთი წესი, რომელიც გარდუვალად იწვევს ერთმანეთის შევიწროებას — დანაშაულსა და სასჯელს. გმირმა არ იცის თუ როგორ შეიძლებოდა ამგვარი წესის შეცვლა და დანაშაულისა და სასჯელის აცდენა. ამ დღეშია თვითონ მწერალიც; ისიც ამ წესით ცხოვრობს და მასაც ვერ მიუგნია მისი შემცვლელი წესისათვის. ამიტომაა, რომ მწერლის მხრივ არ იგრძნობა ჩვეულებრივი გარკვეული პროტესტი (რაც ხშირად მკითხველის უკმაყოფილებას იწვევს). მწერალი უფრო სირცხვილის გრძნობას ამჟღავნებს. ეს არის სირცხვილი თავისი თავის გამო და იმავე დროს ყველა სხვა ადამიანის მაგიერ. ყველანი ერთნაირად დამნაშავენი და დასჯილნი ვართ. ამიტომაც — არც სარაფერი გვაქვს ერთმანეთის წინაშე საპროტესტო. მაგრამ სწორედ ესაა სამარცხვინო; სამარცხვინოა, რომ ჩვენ ვერ მიგვიგნია არსებობის იმ წესისათვის, რომელიც ამგვარი უბედურებისა და დაცემის აცილების საშუალებას მოგვცემდა.

კაფკა გმირად ხაზგასმით საშუალო კაცს ირჩევს (წვრილფეხა სოვდაგარი, კომივოიაჟერი, ბანკის მოხელე და სხვა); ხოლო თავგადასავალი ფანტასტიკურია; ამასთანავე ეს ფანტასტიკური თავგადასავალი აღსავსეა უაღრესად ფამილიარული, ყოველდღიური დეტალებით, რომლებსაც მწერალი ნატურალისტური სიზუსტით აღწერს. გმირი თავისი ცხოვრების წესის მიხედვით ოდნავადაც არ გამოირჩევა სხვებისაგან; მიუხედავად ამისა, მისი ცხოვრება ფანტასტიკურად ფერხდება. ყოველივე ამას შემდეგი აზრი აქვს; უბედურების წყარო არის არა გმირის ან სხვების მხრივ ცხოვრების ელემენტარული, საყოველთაოდ მიღებული წესის დარღვევა, არამედ სწორედ ეს ელემენტარული წესი.

„განაჩენის“ მთავარი გმირი გეორგ ბენდემანი საშუალო, ჩვეულებრივი, რიგითი კაცია (მისი სახლიც კი ერთმანეთისაგან განურჩეველი სახლების რიგში დგას); იგი სავსებით ჩვეულებრივი წესით ცხოვრობს; არავითარ მიღებულ კანონს არ არღვევს. ამასთანავე ფიქრობს, რომ მისი ცხოვრებისა და მოქმედების მიმართულება შეთანხმებულია დანარჩენ ადამიანურ სამყაროსთან. იგი არ ელის პრინციპულ შეფერხებას; ფიქრობს, რომ ჰყავს მახლობლები, მაგალითად, მამა და მეგობარი; ერთბაშად აღმოაჩენს, რომ ეს ილუზია ყოფილა; იგი, ზრუნავდა რა თავისი ცხოვრების მოწყობაზე, გამოცალკევებია და დაპირისპირებია დანარჩენ ადამიანებს, მათ შორის მამასა

და მეგობარს; ერთის საქმე უცხო ყოფილა მეორისათვის; საქმე კი არ აკავშირებდა მათ, არამედ სთიშავდა. ამიტომაც მას არ ეხებოდა მამისა და მეგობრის ბედი და თავის მხრივ ისინიც მტრულად მოჰკიდებიან. მან ვერ გაუძლო ამგვარ აღმოჩენას, შიშისა და სინდისის ქენჯნის გრძნობებმა შეიპყრეს და შინაგანი კატასტროფა განიცადა. ამასთანავე მან არ იცის რა იყო მისი შეცდომა და როგორ შეიძლებოდა კატასტროფის აცილება. იგი ხომ საყოველთაოდ მიღებული წესით ცხოვრობდა. მოთხრობაში ფანტასტიკური ელემენტი გმირის მიერ საშინელი ჭეშმარიტების აღმოჩენასა და შინაგანი კატასტროფის განცდას გამოხატავს.

როცა ადამიანთა ცხოვრებიდან ამორთულია მარადიული მნიშვნელობის იდეალისა და შესატყვისი „დიდი საქმის“ ასპექტი, როცა ადამიანები წვრილმანი ცხოვრებით ცხოვრობენ, მაშინ მოსალოდნელია, რომ მათ დაჰკარგონ ერთმანეთის არსებობის ღირებულების განცდა; მოსალოდნელი ხდება, რომ ადამიანს მობეზრდეს თავისი მახლობელი, იმ ზომამდე მობეზრდეს, რომ ვეღარ აიტანოს და მისი თავიდან მოცილება სცადოს. ამგვარ ურთიერთობას შეეხება მოთხრობა „მეტამორფოზა“; გმირის ფანტასტიკური თავგადასავალი იმას გამოხატავს, თუ როგორ განიცდის იგი მახლობლების დამოკიდებულებას, რასაც ხედავს იგი ამ დამოკიდებულების ნამდვილი მნიშვნელობის სახით.

კომივოიაჟერი გრეგორ ზამზა მახლობლების თვალში საშინელ მახინჯ მწერად იქცა. ბოლოს იგი თავიდან მოიცილეს. გრეგორი მუდამ წესიერად ექცეოდა მახლობლებს, მათ მიმართ ყოველგვარ მოვალეობას ასრულებდა. მიუხედავად ამისა, იგი თითქოს შეეგუა მახლობლების ამგვარ დამოკიდებულებას; მან თითქოს საბუთი ვერ ნახა პროტესტისათვის; მან საბოლოო ანგარიშში გაიზიარა მახლობლების აზრი მისი უღირსობის შესახებ.

მწერლის მსოფლმხედველობა განსაკუთრებით ნათლად და სრულად გამჟღავნებულია რომანში „პროცესი“ და „კოშკი“. „პროცესში“ მთავარ გმირს მოულოდნელად ბრალდება რაღაც დანაშაული და შესატყვისი სასჯელი ემუქრება. იგი ცდილობს გაერკვეს, რაშია მისი დანაშაული, რომელი კანონი დაურღვევია მას. ირკვევა, რომ ეს არაა რაიმე ცნობილი, კონკრეტული სახის, ვთქვათ სახელმწიფოს მიერ გამოცემული კანონი. მას არცერთი ასეთი კანონი არ დაურღვევია. მაგრამ, მეორე მხრივ, რომანში ხაზგასმულია ის გარემოება, რომ გმირს მხოლოდ თავისი პირადი, კერძო, რელატივური ინტერესებისა და მიზნების მიხედვით უმოქმედნია და უცხოვრია; მას არასოდეს არა ჰქონია მხედველობაში აბსოლუტური, მარადიული, საყოველთაო მნიშვნელობის რაიმე იდეალი; სწორედ ასეთი იდეალი შეადგენს იმ კანონის შინაარსს, რომელიც დაურღვევია მას და რისი დარღვევის გამოც სასჯელი ემუქრება. მაგრამ ამ მხრივ მთავარი გმირი არ შეადგენს გამონაკლისს. ამ კანონს ასევე არღვევენ სხვებიც და მათაც პრინციპულად იგივე ბედი ელით. თანაც ირკვევა, რომ ეს არ არის მარტივი დანაშაული; თანამედროვე ადამიანს არ გააჩნია ამ უმაღლეს კანონში შეღწევისა და მისი მიდევნების საშუალება. თანამედროვე ადამიანის აზროვნების ფუნდამენტური წესების მიხედვით აბსოლუტური, საყოველთაო მნიშვნელობის იდეალის გამომთქმელი კანონი დაუძლეველ პარადოქსად ჩანს.

რომანის ფინალში გმირს სიკვდილით სჯიან. სიკვდილის წინ იგი ამბობს: „როგორც ძაღლი“. თითქოს ეგ სირცხვილი უნდა გადარჩეს მისი სიკვდილის შემდეგ“. მწერალი ამით გვეუბნება: ადამიანის ხსნისა და გადარჩენის გზაზე აუცილებელი პირველი ნაბიჯი არის მიხვედრა, რომ ყალბი ყოფილა ცხოვ-

რების ის წესი, რომლის მიხედვითაც გვიცხოვრია. თანამედროვე ადამიანის არსებობის წესში რადიკალურად დაეჭვებული სინდისი არის ადამიანური არსებობის ჭეშმარიტი წესის მიგნებისა, ადამიანის ხსნისა და გადარჩენის საწინდარი.

როგორ უნდა განვსაზღვროთ ჩვენი დამოკიდებულება კაფკას შემოქმედებასთან?

არ შეიძლება ვუსაყვედუროთ კაფკას, რომ მან ვერ გაიზიარა ძველი მწერლობის, ვთქვათ, ახალი დროის კლასიკოსების მიერ მითითებული იდეალი და შესატყვისი ოპტიმიზმი. მას ამისი გაზიარება არც შეეძლო. მარქსიზმი გვასწავლის, რომ კაცობრიობის განვითარება არ არის სწორხაზოვანი, იგი თავისებურ ზიგზაგს გავს. განვითარება, როგორც რაღაც ერთი მიმართულება, ერთი გზა, ტენდენცია, ერთმანეთთან დაკავშირებული სხვადასხვა მიმართულებების, ერთმანეთზე დაშენებული სხვადასხვა საფეხურების სახით ხორციელდება. კაცობრიობის ცხოვრებისა და კულტურის სხვადასხვა დონეს აზროვნებისა და მოქმედების რამდენადმე სხვადასხვაგვარი წესი და მიმართულება შეეფერება. ყოველი ასეთი წესი და მიმართულება თავდაპირველად უზრუნველყოფს ცხოვრებისა და კულტურის აღმავლობას; მაგრამ აიყვანს რა მათ თვისობრივად ახალ დონეზე, საჭიროებს პრინციპულ კორექტივს, ურომლისოდაც საზოგადოება კრიტიკულ სიტუაციაში ექცევა და კატასტროფისაკენ მიექანება. საზოგადოების განვითარებას ახასიათებს გარდამავალი პერიოდები, როცა ცხოვრებისა და კულტურის ძველი წესი, მიმართულება, იდეა სათანადო კორექტივის გარეშე ძალას კარგავს. კლასიკოსები ბურჟუაზიული ცხოვრებისა და კულტურის აღმავლობის პერიოდში წერდნენ, ხოლო ფრანც კაფკა გარდამავალი, კრიტიკული პერიოდის შვილია. ამიტომაც მან არ შეუძლია გაიზიაროს კლასიკური მწერლობის იდეალი და შესატყვისი ოპტიმიზმი, იგი ბურჟუაზიული ლიტერატურის უკიდურესი დეკადანსის წარმომადგენელია.

მეორე მხრით თანამედროვე ბურჟუაზიული აზროვნება, მსოფლმხედველობა — პოზიტივიზმი — მართლაც გამორიცხავს ადამიანთა ისტორიის რაიმე აბსოლუტური, გაუუქმებელი გზისა და ტენდენციის აღმოჩენასა და მხედველობაში მიღებას; ბურჟუაზიული აზროვნებისა და ცხოვრების წესი განვითარების თანამედროვე დონეზე ადამიანს მართლაც ფიზიკური და ეთიკური კატასტროფების წინაშე აყენებს. კაპიტალისტურ სამყაროში ადამიანის ბედი მართლაც ჰგავს იმას, რასაც კაფკა მოგვითხრობს.

მაგრამ ფრანც კაფკას შემოქმედებას იმისი პრეტენზია აქვს, რომ ეხება თანამედროვე ადამიანურ სამყაროს მთლიანად, თანამედროვე ადამიანის ბედს საერთოდ. სწორედ ამ მხრივ გვაქვს ჩვენ ფრანც კაფკას მიმართ პრინციპულად საწინააღმდეგო ხასიათის პოზიცია. ჩვენ დავამყარეთ სოციალისტური საზოგადოებრივი წყობა, შევქმენით ახალი ცხოვრება; ჩვენ ამ ახალი, აღმავალი ცხოვრების ნიადაგზე ვდგევართ, ჩვენი მსოფლმხედველობა ოპტიმისტური მსოფლმხედველობაა, ამიტომ ჩვენთვის ყოვლად მიუღებელია ფრანც კაფკას რადიკალური პესიმიზმი.

ჩვენი ეპოქის პროგრესული მხატვრული ტრადიცია — ესაა რწმენა ახალი სამყაროსათვის მებრძოლი და შემოქმედი ადამიანისადმი, კაფკას შემოქმედება კი, მთავარი მაგისტრალური ხაზის, რეალიზმის გარეშე დგას. ამიტომ იგი ჩვენთვის მისაღები არ არის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კალე ბობოხიძის ახალი წიგნი

ცნობილ საბჭოთა ქართველ პოეტს კალე ბობოხიძეს მიმდინარე წლის აგვისტოში დაბადების 60 წელი შეუსრულდა. ქართველი მკითხველი კარგად იცნობს პოეტ კალე ბობოხიძის პოპულარულ ლექსებს, როგორიცაა: „მეზღვაური", „რუბენ იბარური", ლექსების ციკლი „ულიანოვსკის დღეები", „ყორანი", „მშვიდობის ქუჩა", „სიყვარულის ზღაპარი" „დრო", და პოემა — „კავკასიონი ქარიშხალში" ასევე სიყვარულით სარგებლობს ხალხში ლენინურ პარტიაზე და კომკავშირის თემაზე დაწერილი ლექსები, „ჰიმნი პარტიას", „კოსმოსურ ოკეანეში" და „სიმღერა გამოსალმებისა". ამ ლექსებში ავტორი უმღერის საბჭოთა ადამიანების გმირულ შეართებას შრომისა და ბრძოლის ფრონტებზე. დიდი სამამულო ომის გმირები, ახალი ადამიანების მაღალი ზნეობა, სამშობლოსათვის თავდადება, ახალი მშენებლობანი, მეცნიერებისა და ტექნიკის წინსვლა და განვითარება — აი, რა აღელვებს პოეტს, რომელიც ინტენსიურად ეხმაურება ყოველ ახალსა და საინტერესო მოვლენას.

საბჭოთა ადამიანების ცხოვრებას, მათ გმირულ შრომას, სიყვარულსა და მეგობრობას ეხება კალე ბობოხიძის ლექსთა კრებული" სიცოცხლის სადღეგრძელო". კრებულის დასაწყისშივე ყურადღებას იპყრობს ლექსი „ბედნიერება" სადაც პოეტი სამშობლოს დაცვითა და შრომით მოპოვებულ ბედნიერებას უმღერის:

და-ძმის, მეგობრის სითბო, სინათლე,
მამის ალერსი, დედის ფერება;
რომ აგიხდება, რასაც ინატრებ,
აი, რა არის ბედნიერება.

მეორე ლექსის — „გამარჯვება ჩვენია", გმირებია კოსმონავტები — ნიკოლაევი და პოპოვიჩი, რომელიც საბჭოთა მეცნიერების დიად საქმეებს განასახიერებენ:

დღეს მსოფლიო
იცნობს ციურ ძმობილებს —
ნიკოლაევს
და პოპოვიჩს შეხარის,
მეცნიერებს —
ბრძოლის ცეცხლში წრთობილებს
ვერ სძლევს ზეცა
მრისხანებით მჭექარი.
ჩვენ ხომ მათთვის
სიცოცხლესაც ვიმეტებთ,
თავს ვევლებით,
ვით ტიტოვს და გაგარინს.

პოეტის ფიქრებს განუშორებლად თანსდევს შრომის ფერხულში ჩაბმული კუნთმაგარი ვაჟკაცებისა და გამრჯე ქალების მიღწევები. ლექსში „შრომის გმირს" პოეტს ახარებს საკოლმეურნეო სოფლის ბარაქა და მშვენიერება, რაც საბოლოოდ ავიწყებს იმ შავ-ბნელ წარსულს, როდესაც სოფელი დაბეჩავებული და ღატაკი იყო. შრომის გმირების სასახელო საქმენი აღაფრთოვანებენ დღეს ხალხის გულს, სამშობლოსადმი მათი ამაგი სანიმუშოდ ქცეულა კოლმეურნეთათვის.

ყველა ქვეყნის კეთილი ნების ადამიანები იზიარებენ იმ დიდ მიღწევებს, რაც ერთა მეგობრობის დროშის ქვეშ გაერთიანებულმა საბჭოთა ადამიანებმა მოიპოვეს. და დღეს, როდესაც „მზეს და ზეცას ელვარება ემატებათ", როდესაც იზრდება და მაღლდება მრავალბრძოლაგამოვლილი ქვეყნის შვილთა საარაკო სიმტკიცე, ლომგული ხალხის მთელი გულისყური მიმართულია ახალ-ახალი რაინდული საქმეების შესრულებისაკენ, საშვილიშვილო გამარჯვებათა დაგვირგვინებისაკენ:

კოსმოსური
შემართება, ჩვენი საქმე —
ყველა ერის
სიცოცხლე და იმედია;
ჩანს მომავლის
ბრწყინვალება როგორც სარკე,
წყვდიადს სახე
სასიკვდილოდ მიბნედია.

პოეტი ხედავს ახალი ადამიანების გადადგმულ გიგანტურ ნაბიჯებს, ცის ხომალდების ლეგენდარულ ძალას და გრძნობას, რომ თანამედროვე ხელოვნება მხარიმხარ უნდა მიჰყვეს

კ. ბობოხიძე. სიცოცხლის სადღეგრძელო.

სამყაროს დამპყრობთა უშიშარ სწრაფვასა და იგავმიუწვდენელ ტემპებს. კ. ბობოხიძე მოუწოდებს მგოსნებს, რომ მათი სიმღერები აუცილებლად ემსახურებოდეს დღევანდელობას...

ცის ხომალდები: „სამი“ და „ოთხი“
მიწას უვლიან ცეცხლის არშიად;
დასრულდა ჰანგი სევდის და ოხვრის,
ჩვენი ლექსები მაინც ვალშია.

კრებულში შეტანილი მრავალი ლექსი პოლიტიკური ლირიკის კარგ ნიმუშს წარმოადგენს, საბჭოთა ადამიანის მაღალ იდეალებს განასახიერებს და ჰაბუკური ტემპერამენტით სუნთქავს. ასეთებია „ხელოვნების არმიას“, „ომგადახდილს“, „ღია წერილი იაპონელ მწერალ ფუკუროს“ და სხვ.

ბრძოლისა და შრომის ჰეროიკის გამომხატველი ლექსების გვერდით ყურადღებას იპყრობს სატრფიალო ლირიკის, სოციალური და ზოგადსაკაცობრიო ხასიათის ლექსები, რომლებიც აღბეჭდილია ხატოვანი სახეებითა და უშუალობით:

სიყვარული ერთგულების რწმენაა
და ღელვათა მარად დაუცხრომლობა;
სიყვარული შთაგონების ენაა
და ზეციურ სიმღერების გალობა.

მუსიკალური ეღერადობითა და სურათოვნებით გამოირჩევა ლექსები: „სურათი“ „სტუდენტური ექსპრომტი“, „ბუნების სურათი“ და სხვ. საინტერესოა ინდუსტრიული ქუთაისისადმი მიძღვნილი ლექსი „მარად სავარდო“, სადაც მრავალი პოეტის კალმით ნაქები ქალაქის მაჯისცემა ახლებური თვალთახედვით არის დანახული. კ. ბობოხიძის ლექსებში ხშირია ხალისიანი რიტმი და მიმზიდველი პასაჟები:

წვიმას აპირებს,
რად არ იწყება?
არღვევს ნაპირებს
თავდავიწყება.

კრებულში გვხვდება მოძღვნითი ხასიათის ლექსებიც, რომელთა შორის გამოირჩევა ირ. აბაშიძისადმი მიძღვნილი „შენ რუსთაველის ქვაც გიძებნია“.

აქა-იქ გვხვდება პროზაული ხასიათის სტრიქონები და ერთგვარად გაცვეთილი რითმები („ღვარული — სიყვარული“ გვ. 87), ან კიდევ ასეთი პრიმიტიული სურათი:

დაცვენილ ფოთლებს
დაუფარავს ეზო, სახლ-კარი;
რთველი გათავდა,
სოფლად უკვე ყველა მზად არის (გვ. 82)

საერთოდ, კ. ბობოხიძის სარეცენზიო კრებული პატრიოტული პათოსით დაწერილ ლექსებს შეიცავს, თემატური და მხატვრული მრავალფეროვნებით ახარებს მკითხველს და ერთხელ კიდევ ადასტურებს პოეტის ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას.

გიორგი ჩიქოვანი

პოეტური ფიქრის სიცოცხლე

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა იოსებ ნონეშვილის ლექსების სრული კრებული. ამ კრებულში პოეტს შეტანილი აქვს თითქმის ყველა ის ლექსი, რაც მას თავისი პოეტური მოღვაწეობის წლებში შეუქმნია.

ი. ნონეშვილის პოეზია უმთავრესად იმითაა საინტერესო, რომ იგი ახლო, მჭიდრო კავშირშია ჩვენს ყოფასთან. მის ლექსებში საკმაოდ მკაფიოდაა არეკლილი ჩვენი თანამედროვეობა. ჩვენი ხალხის ფიქრები, მისი ცხოვრება თავისი აწმყოთი და წარსულით. ი. ნონეშვილის პოეზია ჩვენს ყოველდღიურობაში, ჩვენი ხალხის ჰეროიკულ შრომაში ჰპოვებს საზრდოს. ამით პოეტი ახერხებს იყოს გამომსახველი დროისა და ხალხის ფიქრებისა.

ი. ნონეშვილის პოეზიის ამ თვისებაზე კარგად მიუთითებდა სერგი ჭილაია, როცა ამასწინათ „მნათობში“ სწერდა: „ი. ნონეშვილი უაღრესად ნაციონალური პოეტია, ეროვნული ემოციების პოეტი, ამავე დროს მახვილი და ემოციურია მისი ლექსები. როდესაც ი. ნონეშვილის ლექსებს კითხულობთ, თქვენ გრძნობთ ქართული ლექსის სურნელებას, მის ეროვნულ სულს. პოეტი ყოველივე ამას თავისებურად უფარდებს თავის საოქმელსა და განცდებს. ამავე დროს მისი ლექსები ხალხურია, ფართო აუდიტორიისათვის განკუთვნილი“. საკმაოდ ნათელი და ზუსტი შეფასებაა! პოეტის ლექსების ეს თვისება იგრძნობა ერთმანეთისაგან თემატიკურად სრულიად განსხვავებულ ნაწარმოებებში, იქნება ეს ლექსები ყამირზე თუ ზოია კოსმოდემიანსკაიაზე, შაჰ-აბასზე თუ ნიო-იორკის ცათამბჯენებზე. ალბათ, ი. ნონეშვილის პოეტური ნატურის ამ თვისებამ განაპირობა ის, რომ პოეტის სიცოცხლეში დაწერილი ლექსები დღესაც ახლებურად იკითხება და სარეცენზიო კრებულში შეტანილ ახალ ლექსებს უწევენ მეტოქეობას.

დროის სუნთქვის, ნანახისა და განცდილის სრულყოფილად გადმოსაცემად საჭიროა სწერო ადამიანზე, მისი „სულის მოძრაობაზე“. ი. ნონეშვილის ლექსებში ბევრი კარგი ეპიტეთი თუ თქმაა; ყოველი პოეტურ სახეს მხოლოდ მაშინ აქვს ფასი, როცა ლექსის საერთო აზრში

იოსებ ნონეშვილი, „ლექსები“, საბჭოთა საქართველო, 1964

„შინაურულად სუნთქავს“ და ხელოვნურობის იერს არ ატარებს. ი. ნონეშვილის სარეცენზიო წიგნში შესულ ლექსებში ამას არასოდეს არა აქვს თვითმიზნური ხასიათი. პოეტისთვის ყველაფერი ეს საშუალებაა ადამიანზე, ჩვენს ყოფაზე საინტერესო ნაწარმოების შესაქმნელად.

პოეტის ამ უკანასკნელ წიგნში შესული ძველი და ახალი ლექსებია იმის დასტური, რომ პოეტი ცხოვრებას უმთავრესად რომანტიული თვალით უყურებს და აღიქვამს. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ნაწყვეტს პოეტის ერთი ლექსიდან:

...და ყველგან, ყველგან
კოსმოსს ვებრძვით
თუ ვტეხთ ყამირებს,
მთები გავაპეთ,
თუ უდაბნო
ავაყვავილეთ, —
ყველგან იმარჯვებს
ჩვენი ფიქრი,
აზრი და მკლავი.
პლანეტას ჩვენსას
ჩვენ გავავლეთ
მშვიდობის კვალი.

ასევე, ჩვენი დღეებისა და ცხოვრების რომანტიკულ-ჰეროიკულად წარმოსახვის დანიშნულება აქვს დაკისრებული ი. ნონეშვილის ყამირული ლექსების ციკლს. ამ ციკლზე ბევრი ითქვა და დაიწერა, ჩვენ კი იმას ვიტყოდით, რომ „ბიჭო, იქნებ პაპა იყო შენი“ და „ყიზი ყუუ- დაეწიე ქალიშვილს“ არანაკლებ საჭირო ნაწარმოებია ცხოვრებისეული მოვლენების ლიტერატურული ფაქტად ქცევისათვის, ვიდრე პოეტის სხვა უაღრესი ლირიკული სითბოთი გამთბარი ლექსები.

ყამირზე მოგზაურობამ, მისმა პეიზაჟმა და ადამიანებმა ერთიორად გაზარდეს პოეტის ხედვის არე, რაც კარგად აირეკლა პოეტის შემდეგ-დროინდელ ლექსებში. შეიძლება ლექსში „ბიჭო, იქნებ პაპა იყო შენი“ იგრძნობოდეს ერთგვარი რიტორიკა, გამარტივება, მაგრამ ვფიქრობთ, პოეტს ეს საგანგებოდაც კი აქვს გაკეთებული, რადგან პოეტს სურს მისმა სიტყვამ ყველასაკენ გაიკვლიოს გზა. ამიტომ არა მგონია, რომ, ვინმე გულგრილი დარჩეს წუთისოფელზე დამაფიქრებელი შემდეგი სტრიქონებით:

სად შეწყდება სიცოცხლის გზა გრძელი,
სადაურსა სად წაიყვახ ბედო...
ბიჭო, იქნებ პაპა იყო შენი,
ვისაც ფეხზე ეგ ბორკილი ედო.

ბიჭო, იქნებ პაპა იყო შენი
შეებრძოლა მეფის ადათწესებს
ჩამოპპარსეს გლეხკაცს ცალი წვერი
შებორკილი ციმბირს გაამწესეს.

ი. ნონეშვილის ლექსი უაღრესად მუსიკალური და ჰარმონიულია, რითაც პოეტი ავრძელებს ქართული ლექსის ტრადიციებს.

ამ კრებულში შესულია ი. ნონეშვილის ბევრი სატრფიალო ლექსი. აქვე გვსურს აღვნიშნოთ ის თვისება, რომელიც ი. ნონეშვილის სატრფიალო ლირიკას გააჩნია. მისი სატრფიალო ლექსების ლირიკული გმირი ტემპერამენტიანი, გულმართალი და პოეტური ბუნების ადამიანია: ამავე დროს იგი სულიერი სიფაქიზითაც ხასიათდება. ი. ნონეშვილის სატრფიალო ლექსების ლირიკული გმირის ეს თვისებები მისი მოქალაქეობრიობითა და სულიერი კრისტალობითაა გამოწვეული. ეს ადამიანები ყოფიდან, ყოველდღიურობიდან მოდიან პოეზიაში და ამიტომაც არ გვანან პოეტურ მანეკენებს. ეს კარგად სჩანს ლექსებში: „შენ არა გაქვს მეფის გვარი“, „მაგრამ გაგიბედავ“, „გამიგონია მთვარიან ღამეს“ და სხვა. მე არ მინდა ამ რკალში მოვაქციო ლექსი „მე მუდამ ვფიქრობ“, რადგან ეს ლექსი უფრო ფართო ეღერადობისაა — აქ პოეტის როლზე, ხალხის ცხოვრებაში მის ადგილსა და იდუმალ ფიქრებზე უფროა ლაპარაკი, ვიდრე „პატარა გოგოზე“.

მე მუდამ ვფიქრობ:
ეს ჩემი ლექსი
მკერდში რომ დიდხანს ბორგავს წვალებით,
როგორ გახდება
ხელიდან ხელში
ხელიდან ხელში
საგოგმანები.

და ბოლოს უნდა აღინიშნოს იოსებ ნონეშვილის პოეზიის ერთი თვისება, რომელმაც მკვეთრად იჩინა თავი ამ წიგნში. უკანასკნელ წლებში პოეტი ბევრს მოგზაურობს უცხოეთში. აკვირდება როგორც ბურჟუაზიული, ასევე სოციალისტური ქვეყნების ხალხთა ცხოვრებას და ბევრ რაიმე საინტერესოს აღიქვამს პოეტურად.

ყველაფერი ეს წარმოშობს სრულიად ახალ თემასა და ახალ დამოკიდებულებებს ამ ქვეყნისადმი, რაც გამოვლინდა კიდეც პოეტის უკანასკნელ წლებში დაწერილ ლექსებში. ამ ნაწარმოებებში ხელშესახებად გამოიკვეთა პოეტისა და უცხოეთის დამოკიდებულების თემა. ი. ნონეშვილი ლექსიდან ლექსამდე ანვითარებს და ახალ საფეხურზე აყავს ამ საკითხისადმი მიძღვნილი ლექსების იდეურ-მხატვრული სიძლიერე, მისი ემოციურობა. ამის დასტურია პოეტის უკანასკნელი ლექსი, რომელიც ჯერ „მნათობში“ გამოქვეყნდა და შემდეგ ამ წიგნში შევიდა, აქ პოეტი გვეელინება როგორც კარგი ალღოსა და დაკვირვების მქონე მოქალაქე, რომელიც შესანიშნავ პოეტურ ფიქსაციას უკეთებს მის მიერ დანახულსა და განცდილს.

მაგრამ სხვა არის სივრცესთან შებმის
თავდავიწყების სურვილი წმინდა,
როცა გრიგალებს ზეება გინდა,
როცა შიგ სულშიც მძლავრობენ ფრთები,
როცა გაწუხებს ალბათ და „იქნებ“
შეუცნობელის შეცნობის ქინი,
როცა ყურს უგდებ, ვით სირთა ქივილს,
გულში წამოშლილ იქვებს და ფიქრებს.

ამ ლექსმა ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთ-საინტერესო მოვლენის გამო, რაც ნათლად გამოიკვეთა სწორედ ამ ნაწარმოებში: იოსებ ნონეშვილისათვის უცხოეთი არც უბრალო ცნობისმოყვარეობით გატაცებული ტურისტის თვალით დანახული ქვეყანაა და არც ლტოლვა უცხოეთში მომლოდინე ეგზოტიკისაკენ. პოეტისათვის უპირველეს ყოვლისა ეს არის საშუალება, რათა უფრო ფართო მასშტაბებში წარმოგვიდგინოს ადამიანი, მისი ლტოლვა ბუნებისა და ცხოვრების ძველისძველი საიდუმლოებათა შეცნობისაკენ. და აქ არც ცდება პოეტი. ჭეშმარიტი პოეზიისათვის არ არსებობს საგანი, ან მოვლენა, თავისთავად, იგი უპირველესად ეპირველი მასალაა რისი მეშვეობითაც უნდა გამოიხატოს ჩვენი თანამედროვე ადამიანი თავისი სულისკვეთებითა და ტკივილებით. ამიტომაც ი. ნონეშვილის პოეტური ფიქრის სიცოცხლე, მისი კეთილშობილება, სწორედ ამ ჭეშმარიტებისადმი მტკიცე ერთგულებაში მდგომარეობს.

რა უნდა ვთქვათ დასასრულს? ი. ნონეშვილის მიერ დანახული და განცდილი მეტად საინტერესო და ღრმამნიშვნელოვანია. ყოველივე ეს ჭეშმარიტ პოეტს გადაუშლის ნათელ პერსპექტივებს, რათა უფრო ღრმად ასახოს ჩვენი დღეები, ხალხის მღელვარე, რთული და რომანტიკით აღსავსე ცხოვრება, რომ პოეტმა თავის მკითხველს მართლაც დააძლევინოს „შეუცნობელის შეცნობის ქინი“.

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲐᲗᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲬᲘᲒᲜᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲖᲔ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ გამოსცა აკად. ნ. ბერძენიშვილის თხზულებათა პირველი წიგნი. ამ წიგნში ავტორის მიერ სხვადასხვა დროს დაწერილი გამოკვლევა შეიდა. აქედან რვა პირველად იბეჭდება. წერილები ეხება საქართველოს ისტორიულ გეოგრაფიას.

ისტორიულ გეოგრაფიას დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ ჩვენში ჯერ კიდევ XI საუკუნეში (გიორგი მთაწმინდელი, ლეონტი მროველი). განსაკუთრებულ როლს ანიჭებდა ისტორიულ გეოგრაფიას ვახუშტი ბაგრატიონი. მან „ადგილის აღწერა“ ისტორიული კვლევის აუცილებელ ატრიბუტად მიიჩნია.

ისტორიული გეოგრაფიის საჭიროება თუ მნიშვნელობა გათვალისწინებული ჰქონდათ მ. ბროსეს, დ. ბაქრაძეს, ნ. მარს, ე. თაყაიშვილს, მ. ჯანაშვილს, თ. ჟორდანიას, ს. კაკაბაძეს. ისტორიული გეოგრაფიის სფეროდან არაერთი მეცნიერული ნაშრომი დაგვიტოვეს განსვენებულმა აკადემიკოსებმა — ივ. ჯავახიშვილმა და ს. ჯანაშიამ.

სარეცენზიო წიგნის ავტორის აკად. ნ. ბერძენიშვილის დამსახურება ამ მხრივ იმაში მდგომარეობს, რომ მან მთელი პრინციპულობით დასვა ისტორიული გეოგრაფიის მეცნიერული შესწავლის აუცილებლობა და თავის ამ გამოკვლევებში არა მარტო მრავალი მეცნიერული დებულება წამოაყენა და დაასაბუთა, არამედ დასახა კიდეც გზები ამ მეცნიერული დისციპლინის შემდგომი განვითარებისათვის.

აკად. ნ. ბერძენიშვილი ასე მსჯელობს: „მოქმედების ყველა მომენტში ადამიანი აითვისებს (გარდაქმნის, ეგუება) გარკვეულ ბუნებრივ-გეოგრაფიულ არეს. ამ სარბიელზე მისი ასეთი მოქმედება ტოვებს მატერიალურ თუ სხვა სახის კვალს. ჩნდება ისტორიული გეოგრაფია. ქალაქი თუ ნაქალაქარი, დაბა თუ ნადაბური, სოფელი თუ ნასოფლარი, ქვაბული თუ დარანი, გორა თუ ლოდოვანი, ციხე თუ ნაციხვარი, ბურჯ-კოშკი თუ გალავანი, სასახლე თუ ნასახლარი, ზღუდე თუ კედელი, გზა თუ ნაგზური, გაპრილ-გადათხრილი თუ კლდე-კარი, ქარვასლა თუ ფუნდუკი, სავანე თუ ხანი, ხიდი თუ ნახიდური, ყელი თუ უღელტეხილი, თარჯი თუ სამანი, ქვაჯვარი თუ ქვაკაცი, ველი თუ სუინაკტი, რუ თუ არხი, რუსხმული თუ ბურღარი, ეკლესია თუ ტაძარი, სასაფლაო თუ ყორღანი, აკლდამა თუ მატური, ხატი თუ ჯვარი და ადგილთა უთვალავი სახელი, ადამიანის მოქმედების შესახებ რომ მეტყველებენ, — ყველაფერი ეს ისტორიული გეოგრაფიის შინაარსს შეადგენს“ (გვ. 347-348). მკვლევარს სჯერა, რომ „ადამიანის მოქმედების ეს აუცილებელი ნაკვალევი უწესრიგო გროვას კი არ წარმოადგენს, ეს არის ადამიანის მტკიცე, კანონზომიერი მოქმედების ნაკვალევი“ (გვ. 348). აქედან, კონკრეტული მაგალითების ჩვენებით, მკვლევარი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ყოველ საზოგადოებას ყოველ დროში თავისი ისტორიული გეოგრაფია ახასიათებს. იცვლება საზოგადოება, იცვლება

ნ. ბერძენიშვილი, „საქართველოს ისტორიის საკითხები“, წიგნი I, საქ. სსრ მეც. აკად.) 1964.

ისტორიული გეოგრაფიაც. რადგან ეს ასეა, აკად. ნ. ბერძენიშვილის აზრით, „აი ამ კანონზომიერების გათვალისწინებით ძეგლების მეცნიერული რუკა, მათი შესწავლა და ისტორიის საშენ მასალად გადაქცევა (ისტორიული ინტერპრეტაცია) არის ისტორიული გეოგრაფიის დარგში მომუშავე ისტორიკოსთა პირდაპირი ამოცანა“ (348). ძეგლების მეცნიერული აღრიცხვა და ამ საფუძველზე ისტორიული გეოგრაფიის რუკის შედგენა გეგმაზომიერ საველე მუშაობას მოითხოვს. თუ როგორ უნდა წარმოებდეს ეს მუშაობა, ამის საუკეთესო მაგალითს თვით აკად. ნ. ბერძენიშვილის „დღიურები“ წარმოადგენს.

1927 წლიდან მოყოლებული იგი ხშირი სტუმარია საქართველოს ამა თუ იმ მხარისა და განთიადიდან მწუხრამდე სწავლობს ძეგლებს, ვერანა სოფლებს, გზებს, ტოპონიმიკას, ეპიგრაფიკას, სარწყავ სისტემებს, გორებს. აკად. ნ. ბერძენიშვილის ეს „დღიურები“ მოგზაურის ჩვეულებრივი ჩანაწერები კი არ არის, არამედ — მეცნიერული გამოკვლევები.

1932 წელს ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციის ერთ-ერთი წევრია ნ. ბერძენიშვილი. ჩხარის „ციხის“ დათვალიერების შემდეგ იგი ასეთ დასკვნამდე მიდის: „არავის ეჭვი არ შეგვპარვია ,რომ აქ პირველყოფილი ტომის ნაბადურია. ზომიერი, თბილი ჰავა, თევზი ნადირი, ტყე, ხილი, საკვები მცენარეულობა (მხალი, პურეული), იშვიათი ბუნებრივი სადგომები — ყველა ეს საკმაო პირობები იყო იმისათვის, რომ მღვიმის ადამიანს ეცხოვრა ამ რაიონში“ (გვ. 13).

საკმარისია ითქვას, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში ასეთი მოსაზრება პირველად ნ. ბერძენიშვილმა გამოთქვა.

მკვლევარს სჯერა, რომ თვალით ნახული სჯობს გაგონილს და იგი განაგრძნობს მოგზაურობას. იმავე წელს მანგლისს ესტუმრა, იქაური სიძველეები მოინახულა, არემარეს თვალი გადაავლო და ასეთი მოსაზრება წამოაყენა: „მანგლისს ფრიად ხელსაყრელი ადგილი უჭირავს აღმოსავლეთ საქართველოში. მანგლისის მხარე ეკვრის შიდა ქართლს, თბილისს, სომხით-საბარათიანოს და წალკა-ჯავახეთს. იმყოფება რა ალგეთის, თეძმის (სამაჯალოს ხევი), კავთურას და ვერეს გამოსავლებში, მანგლისის ხეობა სტრატეგიულად ბატონობს აღნიშნულ მხარეებზე (გვ.26). ნ. ბერძენიშვილი მანგლისიდან თრიალეთში ადის და ამ მხარის დათვალიერების შემდეგ მოგვითხრობს: „თრიალეთი აღმოსავლეთ საქართველოს გული იყო, კლდეკარი კი თრიალეთის გასაღები.

მსხვილი და წვრილფეხა საქონელი და ხორბლეული — ესაა თრიალეთის სიმდიდრე. მაგრამ ეს არ იყო ის, რაც ასე ძვირფასად ხდიდა თრიალეთს, მიტაცების საგნად ჰყოფდა მას, ხოლო მიმტაცებელს ამდიდრებდა, აძლიერებდა“ (გვ. 32). მარტო აქ ჩამოთვლილი სიკეთე არ განსაზღვრავდა თრიალეთის მნიშვნელობას. მთავარი ის იყო, რომ „მანგლისის მხარესთან ერთად თრიალეთი მთელი აღმოსავლეთ საქართველოს გზასაყარი იყო. აქ გამოვლინდა ყველაზე უმოკლესი და უმნიშვნელოვანესი გზა ბიზანტიიდან — ქართლში (მცხეთაში, თბილისში), კახეთში“ (გვ. 32).

ექსპედიცია ექსპედიციას მოსდევს და მკვლევარის ცოდნათა ჯამი დიდდება. 1933 წელს ნ. ბერძენიშვილი ჯავახეთშია. მისი ინტერესის სფერო ფართოა: ამოწმებს წარწერებს, იწერს ხალს, ეცნობა ძეგლებს, ქალაქებს, ნაქალაქარებს; ვერანა სოფლებს... ნ. ბერძენიშვილის დღიურების საშუალებით ჩვენი წარმოდგენა ჯავახეთის ისტორიაზე საგრძნობლად გაფართოვდა. ავიღოთ, მაგალითად, ჯავახეთის მოსახლეობის რაოდენობის განსაზღვრა. რუსული ხუთვერსიანი რუკა ჯავახეთში 55 ვერანა სოფელს ითვლის, ქართულმა რუკამ მათი რიცხვი 33-მდე დაიყვანა. ნ. ბერძენიშვილმა 122 ვერანა სოფელი დაითვალა და თანაც დასძინა, რომ „ვერანაების ჩემ მიერ აღრიცხვა სრული არაა“ (გვ. 166). იგი გვარწმუნებს, რომ ვერანათა რიცხვი აქ 140-150-მდე იქნებაო. მეცნიერი ვარაუდობს, რომ ისტორიულ ჯავახეთში 240-250 სოფელი მაინც უნდა არსებულიყო, სადაც სულ ცოტა 75000 სული მცხოვრები იქნებოდა (იქვე).

ჯავახეთის ისტორიული ბედი თავისებური იყო. „ჯავახეთი—ეთნიკური ქართლის განაპირა ქვეყანაა, საზაფხულო სადგომ-საძოვრებით მდიდარი (მცხეთა-არმაზის ძლიერების ხანა). ეკონომიურად და პოლიტიკურად დაწინაურებული ცენტრალური ოლქი („საშუალო საუკუნეები“ — IX-XIII სს). დაცემის გზაზე დამდგარი პროვინცია (XIV-XVI სს.), ჩამორჩენილი პროვინცია (XVII-XVIII სს. — ოსმალთა მფლობელობა) და მიყრუებული ბუნაგი (XIX ს.)“ (გვ. 167).

რით აიხსნება ყოველივე ეს? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელი არ არის. როცა „ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდნოდა“ (IX-XIII), ქვეყნის საწარმოო ძალები აღმავალი გზით ვითარდებოდა და აქაურ ქართველს საშუალება ჰქონდა თავისი სამეურნეო გამოცდილება გამოეყენებინა, მხარის ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები შესაფერისად აეთვისებინა.

ჩვენი ქვეყნის ძლიერების ხანაში ჯავახეთი ერთ-ერთი დაწინაურებული ქვეყანა იყო. „ალმახი და ქერის პური, ჯოგის, ფარის, აზავერის და ბროწეულის სიმრავლე ფრიადი, შინაური ფრინველი, თაფლი და სანთელი, სელი და ზეთი, მატყლი და შალეული და საღი ჰავა — აი რით ხასითდებოდა ჯავახეთი.

გადიოდა დრო, ჩვენი ქვეყნის საგარეო და

საშინაო პირობები რთულდებოდა. მონღოლთა შემოსევები, თემურლენგი, ოსმალები, შინაფეოდალური პარტიკულარიზმი, გლეხთა საბატონო ბეგარის დამძიმება, ქვეყნის დაშლა სამეფო-სამთავროებად, სათავადოთა სისტემის წარმოქმნა, ყოველივე ეს ცალცალკე და ერთად ხელს უწყობდა საწარმოო ძალების დეგრადაციას, ნაშენი მხარე პარტახდებოდა, დაბა უდაბურად ხდებოდა, მოსახლეობა კატასტროფულად მცირდებოდა, ამ ნიადაგზე ვერანა სოფლები მრავლდებოდა. ეს მოვლენა საქართველოს ყველა კუთხეში შეიმჩნეოდა, მაგრამ განსაკუთრებით მასიური გახდა ეს მესხეთ-ჯავახეთში.

1935 წელს ივრის ხეობაში ეწყობა ექსპედიცია. ამ ექსპედიციის მონაწილეა ნ. ბერძენიშვილი, მის საანგარიშო მოხსენებაში, რომელიც სარეცენზიო წიგნში პირველად იბეჭდება, საინტერესო მოსაზრებებია წამოყენებული. ივრის ხეობის მატერიალური კულტურის ძეგლთა გაცნობამ და საგზაო მაგისტრალების შესწავლამ ავტორი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ „საქართველოში თითოეულ მხარეს „თავისი ისტორია“ აქვს. ზოგადისა და საერთოს გვერდით თითოეულ მათგანს დანარჩენთაგან განსხვავებული ისტორიული განვითარების თავისებურებანიც გააჩნია“ (გვ. 175).

რადგან ეს ასეა, ამიტომ, დაასკვნის მკვლევარი, „ცალკეულ მხარეთა ამ თავისებურებების ისტორიული შესწავლა აუცილებელია. და ეს აუცილებელია სწორედ საქართველოს მთლიანი ისტორიული განვითარების ცოცხლად, ხორცშესხმულად წარმოდგენისათვის, ამ განვითარების ნამდვილი მეცნიერული შესწავლისათვის“ (იქვე). პატივცემული მეცნიერის ეს სურვილი, გამოთქმული 1935 წელს, დღეს, ნაწილობრივ მაინც, შესრულებულია. საქართველოს ისტორიის მკვლევართა დასი საკმაოდ გაიზარდა. ამ დასის წარმომადგენელთა დიდი უმრავლესობა თვით აკად. ნ. ბერძენიშვილის მიერაა გაზრდილი და თავის გაზრდილებს ეს ღვაწლმოსილი მეცნიერი ისეთ პრობლემებზე ამუშავებდა, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ცალკეული მხარის ყოველმხრივ ისტორიულ შესწავლას გულისხმობდა. ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, აფხაზეთი, აჭარა, სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, მესხეთ-ჯავახეთი, ქართლის მთიანეთი ისტორიული შესწავლის ორბიტში მოექცნენ და ამ მხარეთა შესახებ არაერთი საინტერესო მეცნიერული მონოგრაფია გამოქვეყნდა.

მიუხედავად ამისა, აკად. ნ. ბერძენიშვილის მოთხოვნა დღესაც ძალაში რჩება და ამ მიმართულებით ცხოველი მეცნიერული კვლევა გრძელდება.

ივრის ხეობაში მოგზაურობის დროს ნ. ბერძენიშვილი დარწმუნდა, რომ საქართველოს სხვა მხარეებთან ერთად, კახეთიც რთული ისტორიული პროცესის შედეგად წარმოიქმნა. მაგრამ კახეთი ამ მხრივ დანარჩენთაგან მაინც განსხვავდება: 1. სხვებთან შედარებით ეს ისტორიული პროცესი აქ რთული ჩანს; 2. აწინდელი კახეთი უფრო გვიან ყალიბდება, ვიდრე საქართველოს სხვა დანარჩენი კუთხეები და ამიტომაც ამ პროცესის შესახებ ცნობებიც მეტი მოგვეპოვება. „კახნი, კოხნი, წანარნი, გარდაბანელნი, ალვან-ჰერნი, სოჯნი, ფხოველ-ფშაველნი, ხევსურნი, თუშები, ქისტები და, შემდეგ, ლეკები, თურქები, ოსები, სომხები და ყველა თემის ქართველები (მეგრელები, გურულები, იმერლები, რაჭველები, ჯავახ-მესხნი, სომხითარნი, ქართლელები) — ყველა ამათ შერწყმა - „შეჯავრების“ (ბრძოლისა და თანამშრომლობის) ისტორიული სარბიელი იყო ეს შედარებით პატარა, მაგრამ დიდი შესაძლებლობის ქვეყანა.

თითეულ ამათგანს თავისი წვლილი შეუტანია აწინდელი კახეთის შექმნაში. ათეულ საუკუნეთა სიგრძეზე მიმდინარეობდა აქ მოსულ დამხვდურთა თუ მეზობელთა ეს რთული ურთიერთობა, მთისა და ბარის, ველისა და ზეგანის სამეურნეო და სოციალურ სისტემათა ჭიდილი (და ამ ნიადაგზე თემობრივი ბრძოლის კლასობრივ ბრძოლად გადაზრდა) და ყოველივე ეს სათანადო კვალს სტოვებდა მონუმენტურ-არქიტექტურულ, ენობრივ თუ მატერიალური, ფოლკლორული თუ წერილობითი ნაშთების სახით“ (გვ. 175).

თავის ამ „ანგარიშში“ ნ. ბერძენიშვილმა სხვა, არა ნაკლებ მნიშვნელოვანი დებულებები წამოაყენა. მან დაადგინა, რომ ჯერ კიდევ XI ს. დამდეგს კახეთის პოლიტიკური ცენტრი ივრის ხეობაში — თიანეთში იყო (180). საწარმოო ძალთა განვითარება და XI ს. 20-იან წლებში კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური გაერთიანება იწვევს ძველი ცენტრის გაუქმებას და მის გადატანას ალაზნის ხეობაში (გვ. 182).

სარეცენზიო წიგნში შევიდა ნ. ბერძენიშვილის საყურადღებო ნაშრომი — „ერთი უძველესი საბაჟოს ადგილმდებარეობისათვის საქართველოში“. ეს ნაშრომი ჯერ კიდევ 1940 წელს იყო გამოქვეყნებული. როგორც ცნობილია, ბაჟი ფეოდალური ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი იყო. ქვეყანაში მრავალი საბაჟო არსებობდა. მათი ადგილმდებარეობის დადგენა საინტერესო და ყურადსაღებია. ერთ-ერთი ასეთი საბაჟო თანამედროვე ქარელის რაიონში არსებობდა. მისი ადგილმდებარეობა ქართულს ისტორიოგრაფიაში საცილობელი იყო. ნ. ბერძენიშვილმა დაადგინა, რომ ეს საბაჟო საზუერეთში იყო (გვ. 192).

სარეცენზიო ნაშრომში დაბეჭდილია აგრეთვე 1943 წელს გამოქვეყნებული ნარკვევი —წყალტუბოს ისტორიისათვის. ავტორი სათანადო

წერილობითი მასალების ანალიზის საფუძველზე ადგენს წყალტუბოს წყლით მკურნალობის ისტორიას. ამ წყლით მკურნალობის შესახებ საბუთები XIII საუკუნიდან გაგვაჩნია, აქ „აბანოს სახლი“ ძველად სამეფო ქონება ყოფილა (გვ. 197). მკვლევარი ვარაუდობდა, რომ სახელწოდება „წყალტუბო“ (— წყალთბილი) VIII-IX საუკუნეებზე უფრო ადრინდელი წარმოშობისაა, როცა ამ ადგილებში მეგრული ენა ჯერ კიდევ ბატონობდა (გვ. 201). და ბოლოს ავტორი ერთგვარ ქრონოლოგიას იძლევა წყალტუბოს წყლით მკურნალობის შესახებ, დაწყებული XII საუკუნიდან XIX საუკუნის ჩათვლით. წყალტუბოს წყლით მკურნალობის ისტორიით დაინტერესებულ კურორტოლოგებს დიდ სამსახურს გაუწევს ნ. ბერძენიშვილის ეს გამოკვლევა

1947 წელს ნ. ბერძენიშვილი დასასვენებლად მიემგზავრება ბორჯომში. დამახასიათებელია, რომ მეცნიერ პატრიოტს არა მარტო ჩვენი ხალხის წარსული დიდების მეტყველი მატერიალური კულტურის ძეგლთა ნახვა აღაფრთოვანებს, არამედ აწმყოს დიდების მშენებლობაც. 20. VIII ჩითახევჰესის მშენებლობის დასათვალიერებლად მიდის. მას და მის მხლებელ პირებს პატივისცემით ხვდებიან მშენებლები და მოუთხრობენ მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ. მეცნიერი შთაბეჭდილებებს თავის დღიურში იწერს და აღნიშნავს: „საამაყოა სოციალისტური მშენებლობა. მაგრამ აქ კიდევ მეტია ჩემთვის საამედო და საამაყო: სოციალიზმის მატერიალური მშენებელი სხვა კი არაა, თვით ქართველი ხალხია, მისი სახელოვანი შვილები.“ (გვ. 223).

ბორჯომის ხეობის სხვადასხვა სოფლებში ესაუბრება ხანში შესულ კოლმეურნეებს, იგებს ვინ საიდან არის აქ მოსული. აგონდება წარსულის ჟამთასიავე და ძნელბედობა — დარბევა-აყრა, ბოგანობა, ხიზნობა და გლეხთა მოძრაობის სხვა მიზეზები და ასეთ დასკვნას აკეთებს: „ფეოდალური ხანის საქართველოს მოსახლეობა წარმოქმნილია უმთავრესად კლასთა ბრძოლის ნიადაგზე და მის შედეგად, რომ ფეოდალური საქართველოს ეთნიკური განვითარება უპირატესად კლასობრივი ბრძოლის შემოქმედებაა“ (238-239).

მეცნიერი აწყურის ციხის სანახავად მიემგზავრება. ციხე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს და ციხის უბრალო აღწერილობას კი არ გადმოგვცემს, არამედ ციხის როლს ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებაში. აი, როგორ ესახება საერთოდ ეს ციხე აკად. ნ. ბერძენიშვილს: „მატერიალური კულტურის ეს ძეგლი — ციხე ჩვენში ხომ ჯერ კიდევ შეუსწავლელია როგორც სამხედრო, ისე სოციალური თვალსაზრისით. ამავე დროს ციხე ამა თუ „ამ სახით თან ახლავს საზოგადოებას მისი არსებობის მთელ მანძილზე.

ციხის ნაგებობაში თვალსაჩინოდ არის ბეჭდილი მისი შემქმნელი საზოგადოების რაობა და ამ საზოგადოების განვითარების საფეხურები

ციხეში წარმოდგენილია საზოგადოების არა მარტო ტექნიკური განვითარების მომენტები: არა მარტო ქვისა და შურდულის, ან შუბისა და მშვილდისრის, არ მარტო ფილეკევანის და თოფ-ზარბაზნის ხანა, არამედ ადამიანის ამ ნამოქმედევში არა ნაკლებ თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი საზოგადოებრივი განვითარების სოციალური მომენტები“ (257). ნ. ბერძენიშვილის ბორჯომის დღიური სხვა მრავალ საინტერესო დაკვირვებასაც შეიცავს: მთისა და ბარის დამოკიდებულების საკითხი, „თორის ქვეყნის“ მნიშვნელობა, გზები, ფრესკები, წარწერები, გადმოცემები... ყველაფერი ამეტყველებულია

1948 წელს ცნობილ აძიკვის წარწერის ამოსაკითხავად მიემგზავრება აკად. ნ. ბერძენიშვილი. ეს წარწერა არაერთ მეცნიერს წაუკითხავს. მაგრამ ყველას სხვადასხვანაირად. ზოგმა ნებისმიერად წაიკითხა და თავის მცდარ წანაკითხზე მთელი თეორიები ააგო. ნ. ბერძენიშვილმა უფრო დააზუსტა სხვათა წანაკითხი და თავისი, სხვებისაგან განსხვავებული, მოგვცა, მაგრამ, რადგან ამ წარწერის მთლიანი ამოკითხვა მაინც ვერ მოხერხდა, საბოლოო დასკვნებზე თავი შეიკავა.

1949 წელს ქვემოქართლში ეწყობა ექსპედიცია. მოპოვებულ მასალებზე იწერება აკად. ნ. ბერძენიშვილის ქვემოქართლის ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა.

სამწუხაროდ, ამ მიმოხილვის მხოლოდ შესავალი დაიბეჭდა სარეცენზიო წიგნში. ამ წერილში ავტორი ისტორიული გეოგრაფიის შესწავლის არა მარტო აუცილებლობაზე საუბრობს, არამედ მეთოდურ მითითებასაც იძლევა საკვლევი ობიექტის კვლევის ხასიათის შესახებ.

1951 წელს აფხაზეთში ეწყობა კომპლექსური ექსპედიცია. ამ ექსპედიციის მეცნიერი ხელმძღვანელი აკად. ნ. ბერძენიშვილია.

ექსპედიციის მიზანი კეთილშობილია —გამოავლინოს უტყუარი მასალები ქართველთა და აფხაზთა საუკუნეთა მანძილზე ერთად ცხოვრებისა, საერთო მტრის წინააღმდეგ ერთად ბრძოლისა. ექსპედიციის წევრთა პირველი შთაბეჭდილება ასეთი იყო: „შენდება სოხუმი, შენდება ახალი აფხაზეთი, შენდება საქართველო და ჩვენ, ისტორიკოსები, რაღაის მაქნისები ვართ, თუ ამ მშენებლობაში უახლოეს მონაწილეობას არ მივიღებთ?“ (291).

ყველაფერი, რაც ამ წერილში აქვს მოთხრობილი აკად. ნ. ბერძენიშვილს, სიმართლეა. მეც მქონდა ბედნიერება ამ ექსპედიციის მონაწილე ვყოფილიყავი და საკუთარი თვალით ვნახე და საკუთარი ყურით მოვისმინე აფხაზი მე-

გობრების დიდი იმედები ექსპედიციის დახმარების შესახებ აფხაზეთის ისტორიის შესწავლის საქმეში. თითქოს ორივე მხარეს გვიკვირდა კიდეც თუ რატომ აქამდე არ მოხერხდა ასეთი დახმარების აღმოჩენა.

სარეცენზიო წიგნში დაბეჭდილია აგრეთვე 1951 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი — ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან (აგარანი). ამ ნაშრომში მკვლევარმა აურაცხელი მასალა, ადგილობრივი თუ უცხოური, შეკრიბა, გადაამუშავა და იმ დასკვნამდე მივიდა რომ ისტორიული აგარანი თანამედროვე კოქორი და მისი მიმდგომი სანახებია, ხოლო აგარათა ციხე აწინდელი კოქრის ციხეა (გვ. 317).

წერილში — „ერთი ისტორიულ-გეოგრაფიულ მოვლენის გამო", რომელიც სარეცენზიო წიგნშია დაბეჭდილი, დამტკიცებულია, რომ რუსთავი არასოდეს ჰერეთში არ შედიოდა. იგი კუხეთისა იყო და კუხეთის პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებაში შესაფერის როლს ასრულებდა. ამავე წერილში საინტერესო მოსაზრებებია გამოთქმული გეოგრაფიული სახელების წარმოშობის შესახებ.

ორი უკანასკნელ გამოკვლევაში —„ისტორიული გეოგრაფიისათვის" და „ერთი ფურცელი ისტორიულ-გეოგრაფიული დღიურიდან," უაღრესად საინტერესო მოსაზრებებია წამოყენებული. ამ შრომებში მაგალითები აღმოსავლეთ საქართველოდან არის მოტანილი, მაგრამ ანალიზი და ზოგად-თეორიული დებულებები მთელს საქართველოზე შეიძლება გავრცელდეს. გამოკვლევაში — ისტორიული გეოგრაფიისათვის განსაზღვრულია ისტორიული გეოგრაფიის მიზანი და ამოცანები.

იმის გამო, რომ ისტორიული გეოგრაფია დღემდე სათანადოდ არ არის შესწავლილი, ჩვენი წარმოდგენა რიგ ისტორიულ მოვლენებზე არადამაკმაყოფილებელია. მკვლევარი ამ ჩამორჩენილობის კონკრეტულ მაგალითებზე უხვად მიუთითებს: არ გვაქვს შესწავლილი სად მზადდებოდა რკინა, რომლითაც აღჭურვილი იყო ქართული ლაშქარი XII-XIII საუკუნეებში; იგი მოითხოვს ტოპონიმიკის, მეჭურჭლეობის, მორწყვის სისტემის, მესაქონლეობის და სხვ. გულდასმით შესწავლას.

ხეობები, მხარეები, გორები, როცა სათანადოდ იქნება შესწავლილი, „მაშინ, აგრე მოპოვებული მასალისა და წერილობით ჩვენებათა კრიტიკული შესწავლით ჩვენ შევძლებთ უფრო მაღალ მეცნიერულ საფეხურზე ავიყვანოთ ჩვენი ისტორიოგრაფია და მდიდარ კონკრეტულ ფაქტებზე დავამყაროთ ჩვენი ქვეყნის წარსულის მარქსისტული ცოდნა" (გვ. 365).

როგორც ვხედავთ, აკად. ნ. ბერძენიშვილის ახლად გამოსული წიგნი მრავალ კარდინალურ პრობლემას ეხება.

ამ წიგნის სახით ქართულმა ისტორიოგრაფიამ მნიშვნელოვანი ნაშრომი შეიძინა. დასანანია, რომ წიგნის ტირაჟი ასე მცირეა (3000).

პროფ. **დ. გვრიტიშვილი**

ქართული კულტურის დიდი მონაპოვარი

მეთხუთმეტე ტომის გამოსვლით დაგვირგვინდა დიდი ქართველი კლასიკოსი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის — აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებულის თხუთმეტტომიანი აკადემიური გამოცემა.

ამ გამოცემის თხუთმეტი ტომი გრანდიოზული მოცულობის ლიტერატურული მემკვიდრეობაა. ამ ფასდაუდებელ გონებრივ საგანძურს თან ერთვის მდიდარი კომენტარები, შენიშვნები და მეცნიერული აპარატი, რომელიც აკაკი წერეთლის მრავალრიცხოვან თხზულებათა შესახებ მკითხველს აწვდის ძვირფას ლიტერატურულ-ისტორიულ ცნობებს. ამასთან ერთად, თხუთმეტ ტომეულში წარმოდგენილია პოეტის ყველა ნაწარმოების ვარიანტი. მთლიანად ეს გამოცემა XIX საუკუნის ქართული კულტურის ცხოვრების ცოცხალი მატიანეა.

მეთხუთმეტე ტომში შესული მასალის — მწერლის მთელი ეპისტოლარული მემკვიდრეობისა და რუსულ ენაზე დაწერილი თხზულებათა თავმოყრა რედაქტორისა და, მასთან ერთად, მეცნიერ თანამშრომელთა კოლექტიური შრომის ხანგრძლივი კვლევაძიებისა და შესწავლის შედეგია.

ტომის პირველ ნაწილში შესულია ის პირადი წერილები, რომლებიც აკაკის, თავისი ცხოვრების განმავლობაში, სხვადასხვა დროს გაუგზავნია ახლო ნათესავების, მეგობრებისა თუ საზოგადო მოღვაწეებისადმი. ეს წერილები უხვ მასალას იძლევიან, ნათელს ჰფენენ მწერლის ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მნიშვნელოვან საკითხებს. წერილებში იგრძნობა ეს უაღრესად გულთბილი დამოკიდებულება და სიყვარული, რომელიც დიდ პოეტს აკავშირებდა მასთან ახლო ურთიერთობაში მყოფ ადამიანებთან: მშობლებთან, ნათესავ-მეგობრებთან, საზოგადო მოღვაწეებთან.

განსაკუთრებით, ეს მოჩანს სწორედ ამ ტომში ერთად თავმოყრილ მასალის ფონზე, რომელშიაც წარმოდგენილია ყველა, ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი პირადი წერილი თუ ბარათი.

მკითხველის განსაკუთრებულ ყურადღებას

აკაკი წერეთელი, XV ტ, რედაქტ. გიორგი აბზიანიძე, საბჭოთა საქართველო, 1963.

პირველ რიგში იპყრობს აკაკის წერილები დედისადმი, და-ძმებისადმი, საზოგადო მოღვაწეებისადმი: ანტონ ფურცელაძის, კირილე ლორთქიფანიძის, ნიკო ნიკოლაძის, გიორგი წერეთლის, სერგეი მესხის, იაკობ გოგებაშვილისა და სხვებისადმი.

ამ წერილებში აღძრულია საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხები, რომლებიც ასახავენ XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის პირველი ათეული წლების არსებულ ვითარებას ქართველი ხალხის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ-ლიტერატურულ ცხოვრებაში. ეს პირადი წერილებიც. მწერლის საზოგადოებრივი საქმიანობისა და უანგარო მოღვაწეობის, თავდადებისა და უზომო ერთგულების მხარეებს გვიშლიან.

აკაკის პირადი წერილები და ბარათები ერთხელ კიდევ გვახსენებს, ქართველი ხალხისათვის საყვარელ ადამიანთა და მწერალთა ნათლით მოსილ სახეებს, გვახსენებს მათ ფიქრებსა და მისწრაფებებს. პოეტის წერილებშიც მკვეთრად მოჩანს „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტ“ სამშობლოზე ამღერებული მგოსნის სახე.

კრებული იხსნება დედისადმი მიმართული წერილებით. ეს წერილები მოწერილია პეტერბურგიდან, 60-იან წლებში. ამ წერილებით ვეცნობით ჭაბუკი პოეტის მისწრაფებას, მის სტუდენტურ ცხოვრებას, მოქმედებას, სწავლასმოწყურებული ცოდნის შესაძენად სამშობლოდან შორს მყოფი ახალგაზრდის გონებრივსა და სულიერ ვითარებას.

მწერალთა და საზოგადო მოღვაწეებთან მიწერილ წერილებში აკაკი მოჩანს სამშობლოს, ხალხის ერთგული მოჭირნახულე, მშობლიური, ეროვნული მწერლობისა და კულტურის მოამაგე, მისი წინსვლისა და განვითარებისათვის მზრუნველი და მებრძოლი, ამავე დროს უაღრესად პრინციპული, მოურიდებელი და დაუნდობელი. მამხილებელი ყოველგვარი ბოროტებისა, შურისა და მტრობისა, რაც ადამიანთა სიკეთის საზიანოდ იყო მიმართული.

ერთ ადრეულ წერილში, 1867 წელს აკაკი ანტონ ფურცელაძეს სწერდა: „ჩემს გულში არც შური, არც მტრობა, არც სხვა რამე უგვანი საქმე გასახულა ჯერ. ის მქონდა და მაქვს აღვსილი მამულის ერთგულებით, მოძმეს სიყვარულით, მომავლის იმედით, პატიოსნებით და ყოვლისკაცობრივის გრძნობით“ (გვ. 44). დიდი გულთამხილავი ადამიანი, მოქალაქე და პოეტი ცხოვრების უკეთესობისთვის ბრძოლაში ყოველთვის შემართებული იყო. „არავისი მეშინია, გარდა ერთის ჩემის სინდისისა და ჩემის თავისა“.

საზოგადოებრივი და ლიტერატურულ-ისტორიული თვალსაზრისით, თავისი შინაარსით, განსაკუთრებით აღსანიშნავია ნიკო ნიკოლაძესთან მიწერილი აკაკის 19 წერილი.

ეს ორი დიდი ეროვნული მწერალი და მოღვაწე საზოგადო ასპარეზზე გამოსვლისთანავე, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის ხშირად წინააღმდეგობასაც ჰქონდა ადგილი, ბოლომდის მეგობრებად დარჩნენ და ერთმანეთს დიდათაც აფასებდნენ. ეს გარკვევით ჩანს როგორც აკაკის წერილებიდან, ისე ნიკო ნიკოლაძის აკაკისადმი გაგზავნილ წერილებიდანაც.

თუ ბოლომდის გადაიკითხავთ და გულისყურით გაჰყვებით აკაკის წერილებს კ. ლორთქიფანიძისა (გვ. 48—60) და ნ. ნიკოლაძისადმი (გვ. 61—90), დარწმუნდებით, იმის სრულ ჭეშმარიტებაში, რომ ამ სასიქადულო მოღვაწეთა ცხოვრებასა და ურთიერთობაში საზოგადოებრივი ინტერესები ყოველთვის მაღლა იდგა პირად ინტერესებზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტომში გამორჩენილია აკაკის ორი წერილი ნ. ნიკოლაძისადმი: ერთი — ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდიდან (იხ. № 921, ავტოგრაფი, უთარიღო), მეორე — კარლ მარქსის სახელობის საქართველოს რესპუბლიკური ბიბლიოთეკის იმავე ფონდიდან (იხილეთ № 13/363).

ტომში წარმოდგენილი აკაკის პირადი წერილები, უმრავლეს შემთხვევაში, უთარიღოა. ამით არის გამოწვეული ზოგიერთი წერილის შეცდომით დათარიღება და მათი ქრონოლოგიურად დალაგება. ასე მაგალითად მე-15 წერილი ნ. ნიკოლაძისადმი ტომში დაუთარიღებელია. ეს წერილი თარიღდება ნ. ნიკოლაძის საპასუხო წერილით, რომელიც დათარიღებულია — 1875 წლის 4 ნოემბრით და სხვ.

აკაკი წერეთელს განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის გაზეთ „დროების“ მუშაობაში. იგი იყო გულშემატკივარი და თანამშრომელი გაზეთისა, რომელშიაც წლების განმავლობაში ბეჭდავდა ფელეტონებს, „ცხელ-ცხელ ამბებს“, პოემებს, ლექსებს. აკაკის ხშირად უსიამოვნებაც ჰქონდა ხოლმე გაზეთის რედაქციასთან, მაგრამ ეს მას ხელს არ უშლიდა ბოლომდის ახლო მეგობრობა ჰქონოდა სერგეი მესხთან.

აკაკის „კალმის წვერის ნაწარმოების მომლოდინე“ ს. მესხი ხშირად ეხმაურებოდა წერილებით და ემუდარებოდა მას, რომ გაზეთისათვის მასალები ხშირად ეგზავნა.

ქართული საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების ისტორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ტომში შეტანილ ს. მესხისადმი მიწერილ 9 წერილსაც. დღემდე ცნობილი იყო მხოლოდ შვიდი წერილი. ტომში შესულია ორი უცნობი წერილიც.

ამ წერილებიდანაც ნათლად ირკვევა იმ პერიოდის ქართული საზოგადოებრივი და ლი-

ტერატურული ცხოვრების ზოგიერთი საყურადღებო საკითხი.

აქვე საჭიროა შევნიშნოთ, რომ აკაკის მე-2 წერილის დათარიღება არ არის ზუსტი. ამ წერილს ათარიღებს ს. მესხის 1875 წლის 28 ღვინობისთვის თარიღიანი წერილი. (იხ. ს. მესხის წერილები აკაკი წერეთლისადმი, წერილი VI, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, III, 1961, გვ. 174—176).

განსაკუთრებით გვინდა მკითხველის ყურადღება მივაქციოთ ტომში შესული იაკობ გოგებაშვილისადმი გაგზავნილ 8 წერილის მნიშვნელობას.

დიდ ქართველ პედაგოგს და საზოგადო მოღვაწეს ი. გოგებაშვილს აკაკი წერეთელი ქართული პოეზიის იალბუზად მიაჩნდა. ეს ორი დიდი ქართველი ადამიანი ურთიერთი სიყვარულისა და მეგობრობის იშვიათ მაგალითს იძლეოდა.

აკაკი წერეთელმა თავის პირად წერილებში დაგვიხატა ი. გოგებაშვილის ნათლითმოსილი სახე, მხნეობით აღსავსე დიდბუნებოვანი ადამიანი, რომელიც იღწვოდა სამშობლოს აღორძინებისათვის.

წარსულის უკუღმართი ცხოვრების პირობებით ბევრჯერ სევდით მოცულ, მწუხარებაში მყოფი აკაკი წერეთლისათვის ი. გოგებაშვილი დიდ ნუგეშსა და საიმედო ზნეობრივ ძალას წარმოადგენდა. „ხანდახან რომ გამომელაპარაკები ხოლმე, გულს მიკეთებ!.. — წერდა აკაკი იაკობს. — აი ახლაც შენმა წერილმა და თან მოყოლებულმა წიგნმა გულს გადამყარეს მოწოლილი სევდა!.. გადავიკითხე , გადავათვალიერე მუშტრის თვალით; ავწონ-დავწონე და შიგ ჭეშმარიტებისა და სიკარგის მეტი ვერა ვიპოვე რა. კურთხეულ იყოს არა თუ მარტო შენი შრომა, ყოველი ბიჯის გადადგმაც კი!..“ (გვ. 124).

აკაკი წერეთლისა და იაკობ გოგებაშვილის მიმოწერაში აღძრულია რიგი საზოგადოებრივი საკითხებისა. მათ ამ წერილებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ქართული კულტურისა და აზროვნების ისტორიისათვის

დასანანია, რომ ტომში გამორჩენილია აკაკის ერთი მეტად საყურადღებო უთარიღო წერილი, საიდანაც ჩანს, თუ რა დიდათ აფასებდა იგი იაკობ გოგებაშვილს (იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ი. გოგებაშვილის ფონდი № 18).

აღნიშნულის გარდა, ტომში გამორჩენილია აგრეთვე აკაკის სხვა წვრილი ბარათები და წერილებიც, მაგალითად: იონა მეუნარგიასადმი (ზუგდიდის მუზეუმის ფონდი № 531), იმერეთის ეპისკოპოს — გაბრიელ ქიქოძისადმი (ხელნაწერთა ინსტიტუტის აკაკის ფონდი № 573), იმერეთის ეპისკოპოს— გიორგი (დავით) ალადაშვილისადმი (ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი სხვადასხვა № 24) და სხვა.

ქართველმა მკითხველმა ამ ტომით ასე მთლიანად თავმოყრილი პირველად მიიღო აკაკი წერეთლის არა მარტო პირადი წერილები, არამედ ბოეტის რუსულად დაწერილი თხზულებებიც. ეს თხზულებანი გაბნეულია, სხვადასხვა დროს, რუსულ პრესაში და სიძველეთსაცავებში დაცული ავტოგრაფების სახით. ეს თხზულებანი, როგორც ტომის წინასიტყვაობაშიც აღნიშნულია, ერთხელ კიდევ თვალნათლივ წარმოგვიდგენს აკაკი წერეთლის დიდ სულიერ ნათესაობას და სიყვარულს რუსული კულტურის, ხელოვნებისა და ლიტერატურისადმი (წერილები რუსულ თეატრალურ ხელოვნებაზე, ნეკრასოვის დაკრძალვაზე და სხვ.).

ამასთან დაკავშირებით, მკვლევართა ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებაზე, რომ ჩვენი დიდი მწერლებისა და მოღვაწეების: ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის, ნიკო ნიკოლაძის, ალექსანდრე ხახანაშვილის და სხვათა ლიტერატურულ-პუბლიცისტური მემკვიდრეობიდან რევოლუციამდელ რუსულ პრესაში უფრო მეტია ნაბეჭდი, ვიდრე დღემდეა ცნობილი. ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასარკვევი, შესასწავლი და გამოსაქვეყნებელი.

ტომში გამორჩენილია პეტერბურგის 1879 წლის 1 მარტის „გოლოსში“ (№ 60) ხელმოუწერლად დაბეჭდილი ა. წერეთლის „წერილი თბილისიდან 17 თებერვალი“ („გოლოსის“ კორესპონდენცია), რომელიც ეხება თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში არსებულ ქართულ სკოლებში გამეფებულ სასწავლო პირობებს და სხვ.

იმავე წლის „გოლოსში“ და შემდეგ წლებშიც ხშირად იბეჭდებოდა წერილები თბილისიდან სახალხო განათლებისა და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ყველა ამ წერილის შესწავლის შედეგად ქართველ მწერალთა პუბლიცისტურ მემკვიდრეობას მიემატება დღემდე უცნობი წერილებიც.

დასასრულ, უნდა შევნიშნოთ, რომ ტომში შესულ პირადი წერილების ცალკეულ ჯგუფს წინ უძღვის მთავარი ცნობები ადრესატის შესახებ და ყველას ცალკ-ცალკე იქვე ბოლოში აქვს შენიშვნები. ჩვენი აზრით, უმჯობესი იყო, რომ ეს ცნობები და შენიშვნები მთლიანად ტომს ბოლოში დართოდა. მაშინ ერთი და იგივე ცნობის ხშირ განმეორებას ადგილი აღარ ექნებოდა.

აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებულის თხუთმეტ ტომად აკადემიური გამოცემა ქართული საბჭოთა კულტურის დიდი მონაპოვარია.

ᲗᲐᲚᲕᲐ ᲒᲝᲖᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲒᲣᲚᲜᲐᲠᲐ ᲒᲝᲖᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალი წიგნები

„საბჭოთა საქართველო“

ლადო ავალიანი — ახალი ჰორიზონტი. რომანი. ნაწილი მესამე. რედ. კ. ბობოხიძე. გვ. 315 ფასი 59 კაპ.

შალვა ამისულაშვილი — წყურვილი. ლექსები და ბალადები. რედ. ლ. ფოფხაძე. გვ. 80. ფასი 17 კაპ.

გიორგი კალანდაძე — გზა შუბის ტარზე. ლექსები. რედ. შ. ფორჩხიძე. გვ. 95. ფასი 18 კაპ.

სანდრო შანშიაშვილი — ტომი IV. ლეგენდები და პოემები. რედ. ილ. ხოშტარია. გვ. 218. ფასი 86 კაპ.

შოთა ნიშნიანიძე — ლექსები. რედ. შ. ფორჩხიძე. გვ. 94. ფასი 14 კაპ.

კაპიტონ რუსიძე — ჭიდილი მთებში. რედ. ბ. მირცხულავა. გვ. 428. ფასი 74 კაპ.

კალე ბობოხიძე — სიცოცხლის სადღეგრძელო. ლექსები. რედ. შ. ამისულაშვილი. გვ. 90 ფასი 13 კაპ.

ა. კუპრინი — მოთხრობები. ტომი II. რედ. ლ. ელიოზიშვილი. გვ. 543. ფასი 1 მან. 7 კაპ.

პლატონი — ნადიმი. ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო ბაჩანა ბრეგვაძემ. რედ. ლ. იმერლიშვილი, გვ. 80. ფასი 40 კაპ.

„ლიტერატურა და ხელოვნება“

სერგი ჭილაია — წინაპრები და მეგობრები. რედ. ნ. ხომერიკი. გვ. 556, ფასი 1 მან. 36 კ.

რეზო ამაშუკელი — ლექსები. რედ. მ. ქოიავა. გვ. 58, ფასი 9 კაპ.

ქართული შექსპირიანა — ტომი II. ნიკო ყიასაშვილის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით. გვ. 276. ფასი 1 მან. 42 კაპ.

გუსტავ ფლობერი — მადამ ბოვარი. რომანი. თარგმანი ა. ჭუმბაძისა, გვ. 358, ფასი 1 მან. 7 კაპ.

ვალერიან ჩეკურიშვილი — გაჯავრებული მაყარი. მოთხრობები. რედ. ც. ჩხეიძე. გვ. 114. ფასი 15 კაპ.

ბონდო კეშელავა — ნათელი ფიქრი. რედ. ო. შალამბერიძე, გვ. 88. ფასი 15 კაპ.

ალეკო შენგელია — სიმღერა, სიყვარული, სიცოცხლე; ლექსები. რედ. რ. მარგიანი გვ. 155. ფასი 23 კაპ.

ხუტა გაგუა — ხმა იდუმალი ლექსები. რედ. ო. შალამბერიძე, გვ. 67. ფასი 12 კაპ.

სოლომონ იორდანიშვილი — ნარკვევები. პროფ. შოთა ძიძიგურის რედაქციითა და შესავალი წერილით. რედ. ც. ჩხეიძე, გვ. 278, ფასი 67 კაპ.

პავლე ანტოკოლსკი — ძმადნაფიცები. (რუსულ ენაზე) რედაქტორი გ. ბებუთოვი. გვ. 302, ფასი 87 კაპ.

რევაზ მარგიანი — ლექსები (რუსულ ენაზე) რედ. მ. ზავერინი. გვ, 236, ფასი 29 კაპ.

კლიმენტი გოგიავა — სად არის შენი ბედნიერება. მოთხრობები. (რუსულ ენაზე) რედ. ე. ელიგულაშვილი. გვ. 198, ფასი 46 კაპ.

არჩილ სულაკაური — აბელის დაბრუნება (რუსულ ენაზე) მოთხრობები. რედ. გ. მარგველაშვილი. გვ. 268, ფასი 35 კაპ.

„ცოდნა“

ალ. ლლონტი — ქართული ლექსიკოლოგია. რედ. ე. გელაშვილი, გვ. 210. ფასი 62 კაპ.

გ. სარიშვილი — დაწყებით კლასებში სწავლების ცხოვრებათსან დაკავშირება. რედ. ვ. გორგაძე. გვ. 68. ფასი 13 კაპ.

ფასი 80 კაპ.

Индекс
76128

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ИЗДАТЕЛЬСТВО „ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА“